

სტუდენტური საუნივერსიტეტო
სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
BATUMI SHOTA RUSTAVELI
STATE UNIVERSITY

სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული

BSU STUDENT CONFERENCE PROCEEDINGS

მაისი
MAY 25-26 2019

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2019

UDC(უაკ) 378.4(479.223)(063)
ს-901

სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში შევიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 2019 წლის „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის დაარსებიდან 100 წლისადმი“ მიძღვნილი კონფერენციის მასალები.

კრებული მრავალდარგობრივია, მასში შევიდა: ეკონომიკის, სამართალმცოდნეობის, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო, მედიცინის, გეოგრაფიის, აგრარულ, ზუსტ მეცნიერებათა, ასევე ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ფოლკლორის, ენათმეცნიერების მიმართულებით შექმნილი სამეცნიერო შრომები.

ვფიქრობთ, კრებული დააინტერესებთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევართა საქმიანობით დაინტერესებულ პირებს და, ზოგადად, მკითხველთა ფართე წრეს.

რედაქტორი: მამია ფაღავა

სარედაქციო კოლეგია:

მარინე გიორგაძე, ვლადიმერ ღლონტი, მარინა ქორიძე, ლევან ჯაყელი, ლელა თურმანიძე, გაიოზ ფარცხალაძე.

ISBN 978-9941-488-36-8
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2019

ტექსტური მონაცემების ანალიზის ერთ-ერთი მეთოდი

ანრი ფაღავა,
ბსუ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი,
კომპიუტერული მეცნიერები, პირველი კურსი;
ელ. ფოსტა: anri.paghava69@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: *გრიგოლ კახიანი,*
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია ახალი მეთოდი, რომელიც სხვადასხვა ტექსტის კლასიფიკაციისა და მათი ანალიზის საშუალებას გვაძლევს. წარმოდგენილი მეთოდი დამყარებულია საკვლევ ტექსტში გამოყენებული სიმბოლოთა წყვილების სიხშირის ანალიზიდან მიღებული შედეგების საფუძველზე, გამოსახულებების გენერირებით და მათი ნეირონული ქსელების მეშვეობით დამუშავებით.

საკვანძო სიტყვები: NLP , ANN, Python, CNN.

შესავალი

ყოველდღიურად ჩვენ შეხება გვაქვს უამრავი სახის ტექსტურ ინფორმაციასთან. ხშირ შემთხვევაში, ინფორმაციის მიზანმიმართულად გამოყენება მის დამუშავებას მოითხოვს. თუმცა ინფორმაციის დიდი რაოდენობა და მოცულობა ადამიანისთვის გარკვეული სახის პრობლემებს იწვევს, ამიტომ კომპიუტერული რესურსების გამოყენება ამ მიზნით ხშირად ხდება. პრობლემა კი მდგომარეობს იმაში, რომ კომპიუტერისთვის, ადამიანისთვის ცნობადი ენა გაუგებარია. მსგავსი პრობლემების გადაჭრის მიზნით, ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო ვითარდება მანქანური დასწავლის პარადიგმის ერთ-ერთი გამოვლენა-NLP[14]. ტექსტური მონაცემების პირველადი დამუშავების მთავარ მეთოდად, ტექსტის კატეგორიებად დაყოფა და მათზე შესაბამისად მოქმედება მიიჩნევა[8-11], რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ტექსტში შემავალი ცალკეული ლექსემების მახასიათებლებზე (სიგრძე, ადგილმდებარეობა წინადადებაში, აბზაცში და ა.შ.). მსგავსი მეთოდიკა რასაკვირველია მოითხოვს არსებული ტექსტის აზრის „გაგებას“. შესაბამისად ზემოაღნიშნული ნაწილობრივ ეწინააღმდეგება ტექსტის მანქანური დამუშავების იდეას, თუნდაც კლასიფიკაციის დონეზე.

ძირითადი ნაწილი

ამ პრობლემის ერთგვარი გადაჭრის მიზნით, კრიფტოგრაფიაში (მართალია საკმაოდ ვიწრო და სპეციფიური ამოცანების გადაწყვეტისთვის) გამოიყენება ენის სტატისტიკური ანალიზი, რომელიც ითვლის გარკვეული ენებისათვის გამოყენებული სიმბლოებისა და მათი წყვილების სიხშირეებს[1-2].

თანამედროვე კლასიფიკაციური ამოცანები კარგად ვითარდება სახეთა ამოცნობის (განსაკუთრებით გრაფიკული სახეთა ამოცნობის)[3] მიმართულებით. კლასიფიკაციის ქვეშ თავიდანვე იგულისხმება, რომ მოხდება ერთნაირი სახის ობიექტების (ჩვენ ჩემთხვევაში ტექსტური ფრაგმენტების) დაჯგუფება რაიმე საერთო თვისების ან თვისებების მიხედვით და ასეთ ჯგუფებს კლასტერები ეწოდება. აქ საკმაოდ წარმატებული გამოდგა კონვოლუციური ნეირონული ქსელების[4-5] გამოყენება. ნეირონულ ქსელებს ფართოდ იყენებენ ისეთი მონაცემების კლასიფიკაციისთვის როგორიცაა: საგნის ამოცნობა, ხელნაწერი ტექსტის ამოცნობა[6-7], სახის ამოცნობა და ა.შ. შემდგომი კველვების საფუძველზე დადგინდა, რომ ნეირონული ქსელების გამოყენებით შეიძლება ასევე ტექსტური მონაცემების კლასიფიკაციაც[8-11].

ამ მიმართულებით კვლევების დროს, ჩვენ მიერ, შექმნილი იქნა, არა მხოლოდ ზემოთ ხსენებული ცხრილები (უკვე არსებული), არამედ საკვლევი მასალის ყოველი ფრაგმენტისათვის (ცალკეული სონეტა, ცალკეული სტროფი, ცალკეული აბზაცი) სიმბოლოების წყვილების შეწონილი სიხშირის გამოსახულებები, რომლებიც გენერირდებოდა შემდეგნაირად: პირველ ეტაპზე ხორციელდება სრული ტექსტური მონაცემების წაკითხვა, (რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა კატეგორიაში განთავსებული ტექსტები, მაგალითად სხვადასხვა ავტორის ნაწარმოების ფრაგმენტები და ა.შ.) ტექსტში თითოეული სიმბოლოების წყვილების რაოდენობის დათვლა, რომელთა განმეორებადობათა რაოდენობა ინახება 256x256 მატრიცაში, სადაც თითოეულ X და Y კოორდინატს შეესაბამება კონკრეტული სიმბოლოების რაოდენობრივი მნიშველობა, სადაც X, Y არის შესაბამისი სიმბოლოების წყვილის ASCII კოდები. ამის შემდეგ, ანალოგიურად, ვანხორციელებთ იგივე ოპერაციას თითოეულ კატეგორიაში მყოფი თითოეული ფრაგმენტისათვის, მაგრამ ამჯერად თითოეული ტექსტური ფრაგმენტის მიღებული მატრიცის შედეგებს ვაფარდებთ სრული ნაკრებიდან მიღებული შესაბამისი წყვილების სიხშირესთან და ვახდენთ მათ სკალირებას [0, 255] შუალედზე. აღნიშნული მიდგომა საშუალებას გვაძლევს ერთდროულად მოვახდინოდ, როგორც საერთო ანაკრებში (ყველა ტექსტური ფრაგმენტი) ლოკალური სიხშირეების დათვლა, ასევე ამ გათვლების შედეგად წარმოქმნილ სივრცეში განვათავსოთ ცალკეული ფრაგმენტი (დავითვალოთ მის მიერ შეტანილი წვლილი).

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, ძალიან პერსპექტიული აღმოჩნდა აღწერილი მეთოდიკით გენერირებული მატრიცების დაკავშირება კონვოლუციურ ნეირონულ ქსელებთან მათი შემდგომი კლასიფიკაციური ანალიზის თვალსაზრისით. ჩვენ მიზნად დავისახეთ, რომ მიღებული მატრიცები წარმოგვედგინა 256x256 განზომილების მქონე გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელშიც კონკრეტულ X და Y კოორდინატზე მდებარე ფიქსელის შეფერილობა განისაზღვრებოდა ტექსტში განმეორებადი წყვილების სიხშირის საფუძველზე. ფერების მნიშვნელობები მოთავსებულია დიაპაზონში [0,255], იხ. სურ 1ა, 1ბ.

ა ბ

სურ.1 ა)სონეტების სრული სტატისტიკა. ბ) ცალკეული სონეტა (#147)

გასაგებია, რომ წარმოდგენილ გამოსახულებებზე ნათელ წერტილებს შეესაბამება უფრო მეტი სიხშირე.

როგორც ავღნიშნეთ, კონვოლუციური ნეირონული ქსელების გამოყენების ინსტრუმენტული საშუალებები ძალიან ფართოდაა გავრცელებული[4-5, 9-11], მაგრამ ყველა ეს პროდუქტი გამოირჩევა ან იმით რომ არის ფასიანი, ან კიდევ ვერ წარმოადგენს მუშაობის შედეგებს ანალიზისათვის მოსახერხებელ ფორმატში. ამის გამო, ჩვენი არჩევანი შევაჩერეთ პროგრამირების ენა python-ზე დაწერილ მანქანური სწავლების, მონაცემთა დამუშავების და მონაცემთა ვიზუალიზაციისათვის განკუთვნილ ინსტრუმეტალურ პლატფორმა "Orange" -ზე. უნდა აღინიშნოს, რომ “Orange” არის ღია პლათფორმა, რომლიც უზრუნველყოფს თავისი ფუნქციების შესრულებას ვიზუალურ კომპონეტნებზე დაყრდნობით[12].

აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ, Orange-ში ჩაშენებული კლასის, ვიზუალური მართვის ელემენტების მეშვეობით, აგებული მონაცემთა დამუშავების შემდეგი სქემა, იხ.სურ 2.



სურ.2 “Orange”- ს მონაცემთა დამუშვების სქემის სტრუქტურა

განვიხილოთ გამოყენებული ვიზუალი მართვის ელემენტების ფონქციონალური დატვირთვა.

1.Import Image[13]–აუცილებელია გამოსახულებების ბაზის (ფოლდერის) ლოკალიზაციისათვის. უზრუნველყოფს ყველა გამოსახულების ჩატვირთვას, ალაგებს მათ ქვეკატეგორიებად ქვეპაპკების მიხედვით. მუშაობის შედეგად ვღებულობთ ერთ ცხრილიან მონაცემთა ბაზას.

2.Data Table[14]- საშუალებას გვაძლევს დავათვალიეროთ მონაცემთა ბაზის ცხრილი.

3.Image Embedding[15]- მიღებულ გრაფიკულ გამოსახულებებს ატვირთავს Google სერვერზე და ღებულობს ერთ ცხრილიან მონაცემთა ბაზას, რომელიც შედგება დამატებით 2048 სვეტისგან, სადაც გრაფიკული მონაცემების დეტალური ინფორმაციაა წარმოდგენილი ციფრებით. უნდა აღინიშნოს, რომ პარამეტრად გამოყენებული გვაქვს Embedder-Painter [16]-ი, რომელიც ორიენტირებულია გრაფიკული გამოსახულების მაქსიმალურად დეტალურ დამუშავებაზე.

4.Distance[17]-შემომავალი მონაცემების საფუძველზე ააგებს მანძილთა მატრიცას არჩეული მეთოდის მიხედვით. ჩვენ შემთხვევაში, ეს მეთოდი წარმოადგენს Cosine deasure[18-20], რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად ახლოსაა ორი ვექტორი ერთმანეთთან, მათ შორის კუთხის საფუძველზე.

5.Hierarchical Clustering[21]-უზრუნველყოფს, მანძილთა მატრიცის საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული მეთოდით, გამოჰყოს, წინასწარ განსაზღვრული, ერთმანეთთან მაქსიმალურად ახლოს მყოფი, ვექტორთა ჯგუფები და იგივე პრინციპით გააერთიანოს მიღებული მონაცემები ერთმანეთან, მანამ სანამ ყველა ვექტორი არ გაერთიანდება ერთ ჯგუფში. მიღებულ ინფორმაციას ვიზუალურად წარმოგვიდგენს დენდოგრამების სახით. შესაბამისი კლასტერიზაცია შესაძლებელია რამოდენიმე მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდებიდან ვიყენებთ Average link [22-23]კლასტერიზაციას, რომელიც ქმნის კლასტერთა ჯგუფს, არა ვექტორთა თითოეული წყვილის საფუძველზე, არამედ ვექტორის ყველა წყვილს შორის გამოთვლილი საშუალო მანძილის საფუძველზე, რაც გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ ვექტორთა გარკვეული ჯგუფი საერთო მახასიათებლების უმცირესი ცდომილებით.

6. PCA(principal component analysis)[24]-არის თანამედროვე სტატისტიკაში ერთ-ერთი ძირითადი ინსრუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, რომ შევამციროთ საკვლევი მონაცმების განზომილება ადეკვატური ორთოგონალური პროექციების ძებნისა და მათზე დაგეგმილების გზით. “Orange”- ში არსებულ

კომპონენტში აუცილებელია მიეთითოს საძიებო ორთაგონალური განზომილებების (კომპონენტების) რაოდენობა და ამავდროულად ვღებულობთ ინფორმაციას, თუ ჩვენი მონაცემების რა ნაწილი იქნება ჩართული ამ გარდაქმნაში.

ნაშრომში წარმოდგენილი მეთოდის ექსპერიმენტული ნაწილის ჩასატარებლად გადავწყვიტეთ, თანამედროვე და რენესანსის პერიოდში შესრულებული ცნობილი ნაწარმოებები გამოგვეყენებინა. პირველ ეტაპზე, საკვლევ ობიექტად ავიღეთ უილიამ შექსპირის რამოდემიმე პოეტური ნაწარმოები, გამომდინარე იქედან, რომ შექპირის მოღვაწეობის პერიოდში ბევრი მისი თანამედროვე იყო დაკავებული მსგავსი თემატიკის ნაწარმოების შექმნით. ცნობილი ფაქტია, რომ თანამედროვეებს შორის მუდმივი პაექრობა მიმდინარეობდა[26]. აღსანიშნავია, რომ საშუალოდ ისეთი ნაწარმოების შექმნას, რომელიც დაწერილია სონეტების ან პოემის სტილში, საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, რაც ერთ-ერთი საფუძველია იმისა, რომ რომელიმე კონკრეტული ავტორის ინდივიდუალიზმი კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ და გაგვიჩნდეს ეჭვი: იყო თუ არა ავტორი სხვა ხელოვანის ზეგავლენის ქვეშ, ნაწარმოების შექმნის პერიოდში.

საწყის ეტაპზე გადავწყვივეთ, შექსპირის სონეტები[25] და მისი ერთ-ერთი ცნობილი პოემა “A Lover’s Complaint”[25] შეგვედარებინა ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ “A lover’s Complaint” - თავიდან გამოიცა ისე, როგორც შექსპირის სონეტების წანილი, ის შინაარსითაც და სტილითაც საკმაოდ განსხვავებულია სონეტებისაგან. ექპერეიმენტის შედეგმა ნათლად აჩვენა, თუ ერთი ავტორის მიერ შესრულებული ორი ნაწარმოები რამდენად განსხვავებულია ერმანეთისგან და რაოდენ მჭირდო კავშირი აქვს თითოეული ტექსტის თითოეულ ფრაგმენტს ერთმანეთთან, იხ.სურ 3.



სურ.3 შექსპირის სონეტების და „A Lover’s Complaint”-ის დამუშავებით მიღებული შედეგი

სონეტები 1609 წელს გამოიცა. ამ პერიოდისთვის შექსპირი უკვე ცნობილი იყო თავისი ნაწარმოების უმრავლესობით და ჩამოყალიბებული იყო ე.წ. შექსპირისეული წერის სტილი[25]. აღსანიშნავი ფაქტია, რომ “A Lover’s Complain”-შესრულებული იყო არაშექპირისეული სტილით. სწორედ ამიტომ ეს პოემა კრიტიკის საგნად იქცა[26]. სპეციალისტების აზრით, შექსპირის სონეტებისგან განსხვავებით, “A Lover’s Complain”- ის სტილი ჰგავდა ე.წ. „DELIAN” -სტილს[26], რომელიც დამკვირდრებული იყო სამუელ დენიელის (Samuel Daniel) მიერ 1592 წელს, ეს მოსაზრება კი საგრძნობლად ზრდის იმის ალბათობას, რომ ზემოაღნიშნული ნაწარმოები შესაძლოა არ ყოფილიყო შექსპირის მიერ დაწერილი. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ ამ სონეტებისა და პოემების კომბინირებული ექპერიმენტალური გამოკვლევა. კლევებმა თითქმის 100%-ანი შედეგით აჩვენა, რომ სამუელ დენიელის სონეტა „Delia”- ზედმიწევნით ჰგავს შექსპირის “A Lover’s Complain”-ს და ორივე მათგანი საგრძნობლად განცალკევებულია საკუთრივ შექსპირის სონეტებისგან, იხ.სურ4.

ნაშრომში წარმოდგენილი მეთოდით ასევე შესაძლებელია ერთმანეთისგან განვაცალკევოთ სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე მწერლების ნაწაროებებიც. ამ ექპერიმენტის ჩასატარებლად გამოვიყენეთ უკვე შესწავლილი შექსპირის ნაწარმოებები და XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მწერლის ჯონ რონალდ რუელ ტოლკინის (John Ronald Reuel Tolkien) მიერ შექმნილი სიმღერები(“The Little House of Lost Play: Mar Vanwa Tyalieva”, “Song of Beren and Lúthien”[27]). საყურადღებოა



სურ.4. შექსპირისა და დელიასი სურ.5 XVII და XX საუკუნეების ნაწარმოებები

ის ფაქტი, რომ ტოლკინს ამ ნაწარმოებებში მითური, ძველი სამყაროს გმირებზეა საუბარი. ცნობილია, რომ ეს ნაწარმოები, მიუხედავად ავტორის მოღვაწეობის პერიოდისა, მაქსმიალურად შესრულებულია შედარებით ადრეული პერიოდის ინგლისურით[28]. მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტის შედეგად შეიძლება თამამად ითქვას, რომ არანაირი კავშირი არ აქვს ზემოხსენებულ ნაწარმოებებს ერთმანეთთან, იხ.სურ5.

დასკვნა

ნაშრომში, შემოთავაზებული კვლევის მეთოდის საფუძველზე, ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტებით, საკმაოდ მაღალი ალბათობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტექსტური მონაცემების ანალიზი ტექსტის სტილის დონეზე, შესაძლებელია ტექსტში სიმბოლოების წყვილების სიხშირული ანალიზის დამუშავების საფუძველზე. მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს, რომ მკაფიოდ მოვახდინოთ ტექსტური მონაცემების ფრაგმენტების კლასიფიკაცია ავტორებისა და პერიოდის მიხედვით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ავტორის სხვა ნაწარმოებებს არ ვიცნობთ.

გამოყენებულლი ლიტერატურა

[1]. "What is the frequency of the letters of the alphabet in English?". *Oxford Dictionary. Oxford University Press*. Retrieved 29 December2012.

[2]. "English Letter Frequency Counts: Mayzner Revisited or ETAOIN SRHLDCU". *norvig.com*. Retrieved 18 April 2018.

[3]. Bishop, Christopher M. (2006). Pattern Recognition and Machine Learning. Springer. p. vii. Pattern recognition has its origins in engineering, whereas machine learning grew out of computer science. However, these activities can be viewed as two facets of the same field, and together they have undergone substantial development over the past ten years."

[4]. *Zeiler, Matthew D.; Fergus, Rob (2013-01-15). "Stochastic Pooling for Regularization of Deep Convolutional Neural Networks".* arXiv:1301.3557 *[*cs.LG*].*

[5].*Md Zahangir Alom, Theus Aspiras(*19 April, 2019) *"Advanced Deep Convolutional Neural Network Approaches for Digital Pathology Image Analysis: a comprehensive evaluation with different use cases" . arXiv:1904.09075.*

[6].T. Bluche, H. Ney, and C. Kermorvant, "Feature extraction with convolutional neural networks for handwritten word recognition," 2013 12th International Conference on Document Analysis and Recognition, pp. 285–289, 2013.

[7].V. Pham, T. Bluche, C. Kermorvant, and J. Louradour, “Dropout improves recurrent neural networks for handwriting recognition,” Arxiv https://arxiv.org/abs/1312.4569v2), pp. 1–6, 2016.

[8]. Roger A. Stein, Patricia A. Jaques, Joao F. Valiati. (September 2018). “An Analysis of Hierarchical Text Classification Using Word Embeddings”. arXiv:1809.01771

[9]. Amr Adel Helmy. (March 2019). “A Multilingual Encoding Method for Text Classification and Dialect Identification Using Convolutional Neural Network”. arXiv:1903.07588

[10].Kim, Y. (2014). Convolutional neural networks for sentence classification. 19th Conference on Empirical Methods in Natural Language Processing

[11].Zhang, X., Zhao, J., & LeCun, Y. (2015). Character-level convolutional networks for text classification. Advances in Neural Information Processing Systems.

[12]. https://buildmedia.readthedocs.org/media/pdf/orange-visual-programming/latest/orange-visual-programming.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04/24/2019

[13].https://orange3-imageanalytics.readthedocs.io/en/latest/widgets/importimages.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04/24/2019

[14].http://docs.biolab.si/3/visual-programming/widgets/data/datatable.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04/24/2019

[15].https://buildmedia.readthedocs.org/media/pdf/orange3-imageanalytics/latest/orange3-imageanalytics.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04/24/2019

[16].http://eprints.fri.uni-lj.si/3976/1/63110220-Nejc_Ileni%C4%8D-Globoki_modeli_avtorstva_umetni%C5%A1kih_slik.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04/24/2019

[17].https://docs.biolab.si//3/visual-programming/widgets/unsupervised/distances.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04/24/2019

[18]. “A Comparison Study on Similarity and Dissimilarity Measures in Clustering Continuous Data”. https://journals.plos.org/plosone/article/file?id=10.1371/journal.pone.0144059&type=printable, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04/24/2019

[19]. Han J, Kamber M, Pei J. Data mining: concepts and techniques. Morgan Kaufmann; 2006. [Google Scholar]

[20]. Xu R, Wunsch D. “Survey of clustering algorithms. IEEE Transactions on Neural Networks”. 2005. pp. 645–678.

[21]. http://docs.biolab.si/3/visual-programming /widgets/ unsupervised/ hierarchicalclustering.html. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04/24/2019

[22].Rokach, Lior, and Oded Maimon. "Clustering methods." Data mining and knowledge discovery handbook. Springer US, 2005. 321-352.

[23].https://cs.wmich.edu/alfuqaha/summer14/cs6530/lectures/ClusteringAnalysis.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04/24/2019

[24]. https://docs.biolab.si//3/visual-programming/widgets/unsupervised/PCA.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04/24/2019

[25]. http://www.agdc.ac.in/pdf/resource/william_shakespeare.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია 04/26/2019.

[26]. Kenji Go, "Samuel Daniel's The Complaint of Rosamond and an Emblematic Reconsideration of A Lover's Complaint". pp. 82-122.

[27]. J.R.R Tolkien. The history of middle earth. Volume 1. "The book of lost tales".

[28].Lisa Soderberg.(April 2005). "Analysis of the Function of Songs and Poetry in J.R.R. Tolkien's The Lord of the Rings".

Abstract

The research describes new techniques and opportunities of text data classification and analysis. The proposed method is based on analysis of frequency of symbol pairs in research text, represented by generating images and processing through convolutional neural networks.

Keywords: NLP, ANN, Python, CNN.

კლასიკური კრიპტოსისტემის რიცხვით სისტემებთან კომბინაციით მიღებული ჰიბრიდული მოდელი

ანა სურმანიძე, დავით ხოჯავა
ბსუ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი,
ფიზიკის მეორე კურსი, კომპიუტერულ მეცნიერებების მესამე კურსი.
ელ.ფოსტა: annna.surman@gmail.com, khojavad30@gmail.com
***სამეცნიერო ხელმძღვანელი** : ელზა ჯინჭარაძე,*
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში მონაცემთა უსაფრთხოების საკითხს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. დღესდღეობით არსებობს უამრავი კრიპტოგრაფიული სისტემა არსებული საკითხის მოსაგვარებლად, თუმცა ყოველ მათგანს აქვს სუსტი მხარე. წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ჰიბრიდული მოდელი, რომელიც აერთიანებს დაშიფვრის ორ მეთოდს, კერძოდ უძველეს კეისრის შიფრსა და რიცხვით მეთოდებს. შედეგად მიღებულ იქნა ახალი ჰიბრიდული კრიპტოსისტემა, რომელიც აუმჯობესებს მონაცემების უსაფრთხოების დონეს, ამავდროულად არის მარტივი და უმოკლეს დროში უზრუნველყოფს დაცულ კომუნიკაციას.

საკვანძო სიტყვები: კრიპტოგრაფია, ჰიბრიდული შიფრაცია, ინფორმაციის უსაფრთხოება.

შესავალი

ისტორიის მანძილზე ინფორმაციის დაცვისა და საიდუმლოდ გადაცემის საჭიროებამ საფუძველი ჩაუყარა კრიპტოგრაფიას. კრიპტოგრაფია („კრიპტოს“ - საიდუმლო და „გრაფო“ - წერა) არის სამეცნიერო-ტექნიკური დარგი, რომლის მიზანია ინფორმაციის უსაფრთხოება საიდუმლო არხების გამოყენებით [1]. თანამედროვე ეპოქამდე კრიპტოგრაფია ყურადღებას ამახვილებდა შეტყობინების კონფიდენციალურობაზე დღესდღეობით კი ის უზრუნველყოფს საიდუმლო კომუნიკაციებს. მისი პოპულარიზაცია გამოიწვია რამდენიმე მოვლენამ: პირველ რიგში, ზოგიერთი ინდუსტრია - განსაკუთრებით ფინანსური მომსახურება - დაეყრდნო მას, როგორც უსაფრთხო ელექტრონულ გადარიცხვას. სხვა ინდუსტრიები კი დაინტერესდნენ საკუთარი ინფორმაციის დაცვით. შესაბამისად, კრიპტოგრაფიის გამოყენების სფერო ფართე არეალს მოიცავს : სამხედრო-

სახელმწიფოებრივი, საბანკო-საფინანსო, ინტერნეტი და სხვა [5, 11]. კრიპტოგრაფიაში გამოყოფენ ორ მიმართულებას: უშუალოდ კრიპტოგრაფია რაც გულისხმობს საიდუმლო კომუნიკაციის ალგორითმების შემუშავებას და კრიპტოანალიზი - გასაიდუმლოებული შეტყობინებიდან საწყისი ტექსტის ამოცნობის ხელოვნება[12] .

პროცესს, როცა საწყისი მონაცემის (ტექსტური, გრაფიკული და სხვა სახის ინფორმაცია) იერსახე იცვლება გასაიდუმლოების მიზნით შიფრაცია ეწოდება. ხოლო, შებრუნებულ პროცესს, როცა ხდება დაშიფრული მონაცემიდან საწყისი მონაცემის აღდება - დეშიფრაცია ეწოდება [2] (ნახაზი 1).



ნახაზი №1. შიფრაცისა/დეშიფრაციის ალგორითმები

- T - საწყისი ინფორმაცია
- k - საიდუმლო გასაღები
- e - შიფრაციის ფუნქცია
- d - დეშიფრაციის ფუნქცია
- a - დაშიფრული ინფორმაცია

შევნიშნოთ, შიფრაციისა და დეშიფრაციის ალგორითმებში e და d არის საჯარო და ურთიერთშექცევადი ფუნქციები $T = d_k(e_k(T))$, ინფორმაციის დაცულობა კი დამოკიდებულია გასაღებზე - k [7].

ჩვეულებრივ, კრიპტოგრაფიაში კომუნიკაციის მხარეები აღინიშნება A და B სიმბოლოებით, თუმცა ხშირად უფრო მოსახერხებელია ადამიანის სახელების გამოყენება: ალისა და ბობი, თავდამსხმელი - ევა [15].

კლასიკური შიფრაციის სისტემები და მეთოდები

შიფრი, კრიპტოგრაფიული ალგორითმი, გამოიყენება მონაცემის შიფრაციისა და დეშიფრაციისათვის. არსებობს შიფრაციის სხვადასხვა სისტემები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მონაცემის უსაფრთხოების შენარჩუნება. ერთერთ მეთოდს წარმოადგენს კლასიკური შიფრაცია, რომელიც გამოიგონეს კომპიუტერულ ერამდე და მას ხშირად ყოფენ ორ ნაწილად : ჩანაცვლებადი შიფრი და გადანაცვლებადი შიფრი.

ჩანაცვლებადი შიფრი - წარმოადგენს კრიპტოგრაფიულ ალგორითმს, რომლის მიხედვითაც, საწყის ტექსტში არსებული ინფორმაციის ერთეულების ჩანაცვლება ხდება სხვა სიმბოლოთი ან სიმბოლოთა ჯგუფით [4, 9, 18].

ჩანაცვლებადი შიფრი ხშირად გვხვდება თავსატეხ წიგნებში, საინტერესო ისტორიებსა და ლიტერატურაში. მაგალითად, არტურ კონან-დოილის ნაწარმოებში „შერლოკ ჰოლმსში“ სისტემის საიდუმლო იმალება მოცეკვავე კაცუნებში, ცვლადი სიმბოლოები კი აღებულია „ჯოხი მამაკაცის“ ანბანისაგან სხვადასხვა პოზიციებით.



ნახაზი №2. ჩანაცვლების შიფრის ტიპები

- მარტივი ჩანაცვლება - წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრული წესით ჩამოწერილ ანბანურ ცხრილს, შიფრი მოქმედებს ცალკეულ სიმბოლოზე ბიჯით ნებისმიერი მიმართულებით. (მაგ. კეისრისა და ატბაშის შიფრები)
- პოლიგრაფული ჩანაცვლება - საწყისს ტექსტში არსებულ სიმბოლოთა ჯგუფზე მოქმედება ხდება ერთდროულად. (მაგ. ჰილსის შიფრი)
- პოლიალფაბეტური ჩანაცვლება - თავდაპირველი სიმბოლოთა ჯგუფები ჩანაცვლდება სხვა სიმბოლოთა ჯგუფებით. (მაგ. ვიჟენერის შიფრი)
- ჰომოფონური ჩანაცვლება - ორიგინალ ტექსტში არსებული ერთი სიმბოლო იცვლება რამდენიმე სიმბოლოთი.
- მექანიკური ჩანაცვლება - საწყისი სიმბოლოების ჩანაცვლება ხდება მანქანის მიერ განსაზღვრული წესით შერჩეული სიმბოლოებით. ჩანაცვლების წესი წინასწარ დაიტანება როტორულ დისკზე. (მაგ. ენიგმა)

- ერთჯერადი ბლოკნოტი - სიმბოლოსა და გასაღების კომბინირებით მიღებული შიფრაცია.
- თანამედროვე ჩანაცვლება - იყენებს სპეციალურ ჩანაცვლების ცხრილებს და ოპერირებს ბიტებზე. (მაგ. DES, AES, ვოინიჩის მანუსკრიპტი)

გადანაცვლებადი შიფრი - კრიპტოგრაფიული ალგორითმი, რომელიც საწყის ტექსტში არსებულ სიმბოლოს ან სიმბოლოთა ჯგუფს გადაანაცვლებს განსაზღვრული თანმიმდევრობით. საწყისი ტექსტის სიმბოლოებით იქმნება ცხრილი, მოქმედებები ხდება სვეტებსა და სტრიქონებზე ხოლო შიფრის გასაღებს წარმოადგენს ცხრილის განზომილება [19].

ვინაიდან სიხშირული ანალიზით გადანაცვლებადი შიფრის გატეხვა იოლია, ამიტომ მას ხშირად უთავსებენ სხვა კრიპტოგრაფიულ მეთოდებს. კრიპტოანალიზის კიდევ უფრო გასართულებლად კი გამოიყენება ბინარული ფორმატი, რაც გულისხმობს საწყის ტექსტში ბიტებზე ჩანაცვლებისა და გადანაცვლების ოპერაციების შემდეგ ბაიტების უკუგარდაქმნას ASCII კოდის სიმბოლოებად. სწორედ ეს უკანასკნელი გამოიყენება მრავალ თანამედროვე ბლოკურ შიფრში.

კეისრის შიფრი - შეტყობინების უსაფრთხოების უზრუნველყოფა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში. 2000 წელზე მეტი ხნის წინ რომის იმპერიის სამხედრო საიდუმლოების დაცვისათვის იყენებდნენ საიდუმლოებით მოცულ კრიპტოგრაფიას. [10] კეისრის შიფრი, ცნობილია ასევე ბიჯით დაშიფვრის, კეისრის კოდის სახელწოდებით, პირველად გამოიყენა იულიუს კეისარმა. დაშიფვრის ეს ტექნიკა იყენებს შეცვლის მეთოდს, კერძოდ, საწყისი ტექსტის თითოეული ასო იცვლება ანბანის სხვა ასოთი, რომელიც მისგან დაშორებულია კონკრეტული, წინასწარ განსაზღვრული, ბიჯით [1, 6].

მაგალითად, დავშიფროთ შემდეგი შეტყობინება „CAESAR“, სადაც გასაღები არის 7. ამისათვის გამოვიყენოთ სიმბოლოების ცხრილი (ნახაზი№3).

ნახაზი №3. სიმბოლოთა ცხრილი

A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	M	N	O	P	Q	R	S	T	U	V	W	X	Y	Z
0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25

გარდავქმნათ ასოები რიცხვებად, დავუმატოთ 7, მიღებული შედეგი ისევ გარდავქმნათ ასოებად.

	C	A	E	S	A	R
	2	0	4	18	0	17
დავამატოთ 7	9	7	11	25	7	24
	J	H	L	Z	H	Y

მივიღებთ დაშიფრულ შეტყობინებას - „JHLZHY“.

Base64

კომპიუტერულ მეცნიერებაში Base64 არის კოდირებისა და დეკოდირების სისტემას, რომელიც გამოიყენება ორობითი მონაცემების ASCII(American Standard for Information Interchange) სიმბოლოებით წარმოდგენისათვის და პირიქით. იგი გამოიყენება ელექტრონული ფოსტის, MIME(Multipurpose Internet Mail Extension)_სა და XML_ის მონაცემთა მუშაობისას [13, 14, 16]. Base64 ანბანი შედგება 64 საბეჭდი სიმბოლოსაგან და დამატებით ექვივალენტობის სიმბოლოსაგან „=“, რომელიც წარმოდგენილია ნახაზ №4_ში.

0	A	**16**	Q	**32**	g	**48**	W
1	B	**17**	R	**33**	h	**49**	X
2	C	**18**	S	**34**	i	**50**	Y
3	D	**19**	T	**35**	j	**51**	Z
4	E	**20**	U	**36**	k	**52**	0
5	F	**21**	V	**37**	l	**53**	1
6	G	**22**	W	**38**	m	**54**	2
7	H	**23**	X	**39**	n	**55**	3
8	I	**24**	Y	**40**	o	**56**	4
9	J	**25**	Z	**41**	p	**57**	5
10	K	**26**	a	**42**	q	**58**	6
11	L	**27**	b	**43**	r	**59**	7
12	M	**28**	c	**44**	s	**60**	8
13	N	**29**	d	**45**	t	**61**	9
14	O	**30**	e	**46**	u	**62**	+
15	P	**31**	f	**47**	v	**63**	/

ნახაზი №4. Base64_ის ანბანი [17]

ჰიბრიდული მოდელი

თანამედროვე კრიპტოსისტემებში განიხილება ჰიბრიდული მოდელები, რომლებიც გულისხმობს რამდენიმე კრიპტოსისტემის კომბინაციის შედეგად მიღებულ ახალ კრიპტოგრაფიულ სისტემას. ჰიბრიდული მოდელის მთავარი მიზანი არსებული კრიპტოსისტემების სწრაფქმედების და უსაფრთხოების დონის გაუმჯობესებაა. დღესდღეობით ჰიბრიდულ კრიპტოსისტემებში ძირითადად განიხილავენ ასიმეტრიული და სიმეტრიული კრიტპოგრაფიული ალგორითმების ჰიბრიდულ მოდელებს [3, 8]. თუმცა, მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია ჰიბრიდული მოდელის განსხვავებული კომბინაცია. კერძოდ, კი გამოყენებულია ერთერთი უძველესი კლასიკური შიფრაციის მეთოდისა (კეისრის შიფრი) და ბინარული კოდირების კომბინაციური მოდელი.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ მოდელში საწყისი ინფორმაციის შიფრაციის პროცესი იყოფა შემდეგ ეტაპებად:

პირველ ეტაპზე ხდება კეისარის შიფრის მოდიფიკაცია, კერძოდ კი იზრდება შიფრაციის გასაღების სიგრძე [0; N] ინტერვალში, სადაც $N<2^{16}-1$ ნებისმიერი მთელი რიცხვია. ასევე იცვლება კეისრის შიფრიისთვის დამახასიათებელი ანბანური ცხრილის ინტერვალი. დასაშიფრი სიმბოლოების ინტერვალი განისაზღვრება UNICODE $[0 ; 2^{16}-1]$ სისტემაში. შედეგად, მოცემული K გასაღებით იშიფრება საწყისი P შეტყობინება.

შიფრაციის მეორე ეტაპზე ხდება კეისრის შიფრაციის შედეგად მიღებული დაშიფრული E შეტყობინების გადაყვანა სხვადასხვა ათვლით სისტემაში. მაგ; (ორობითი, სამობითი და ა.შ). შედეგად გვექნება 01001000101.. სახის დაშიფრული შეტყობინება.

შიფრაციის ბოლო ეტაპზე მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას C = Binary (E(K,P)). შესაბამისად, გვექნება ორი გასაღები - ათვლის სისტემა Binary და კეისრის მეთოდის K გასაღები.

დეშიფრაციის პროცესის გამოსახულება იქნება შემდეგი სახის: P = D (K, Binary(C))



ნახაზი №5 ჰიბრიდული მოდელის მუშაობის პრინციპი

დასკვნა

კვლევის შედეგად შეიქმნა ჰიბრიდული დაშიფვრის მოდელი, რომელიც აძლიერებს მონაცემების დაცვას არასანქცირებული წვდომისა და თავდასხმებისაგან. კლასიკური შიფრაციის სისტემების შეთავსებამ რიცხვით სისტემებთან აღმოფხვრა ორივე ალგორითმის შეზღუდვები და ხარვეზები. შედეგად მივიღეთ ახალი ჰიბრიდული მოდელი, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, ვიდრე ერთი მოდელი ინდივიდუალურად.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის სამომავლო გაგრძელებად შესაძლებელია განხილული იქნას სხვა მსგავსი კომბინაციური მოდელის შექმნა და შემდგომ ადაპტაცია კრიპტოგრაფიაში.

ბიბლიოგრაფია

[1] კეკელია ვალიერიანი, კოტრიკაძე გულნარა, ,,კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის მეთოდები და მოდელები“, გამომცემლობა ,,ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 2016;

[2] ჭელიძე მალხაზი, ,,კრიპტოსისტემისა და ციფრული ხელმოწერის ალგორითმების სინთეზისათვის“, სადოქტორო დისერტაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. 2008;

[3] Artish Jain, Ronak Dedhia, Abhijit Patil, Enhancing the Security of Caesar Cipher Substitution Method using a Randomized Approach for more Secure Communication, International Journal of Computer Applications, India. 2015;

[4] Chris Bourke, Cryptography and Computer Security, USA. 2015;

[5] Kenneth W. Dam and Herbert S. Lin, Cryptography's role in securing the information society, Washington, D.C. 1996;

[6] Robert Churchhouse, Codes and ciphers, published by the press syndicate of the University of Cambridge, England. 2004;

[7] Nigel Smart, Cryptography: An Introduction, England. 2004;

[8] Sridhar C. Iyer, R.R. Sedamkar, Shiwani Gupta, A Novel Idea on Multimedia Encryption using Hybrid Crypto Approach, Published by Elsevier B.V, An open access article under the CC BY-NC-ND license, India. 2016;

[9] William Stallings, Cryptography and Network Security, Publisher: Prentice Hall. 2005;

[10] Welsey Pegden, Cryptology course packet. 2009;

[11] ადამია ვლადიმერი, არაბული ნანი. (თებერვალი, 2018) ,,კრიპტოანალიზის თანამედროვე მეთოდები", მოძიებულია 20 აპრილი, 2019,

http://journal.eta.edu.ge/index.php/Pr17/article/view/193 ;

[12] Dirk Rijmenants. (2018) Cipher machines and cryptology, მოძიებულია 21 აპრილი 2019,

http://users.telenet.be/d.rijmenants/ ;

[13] Jonathan Knudsen. Appendix B. Base64, მოძიებულია 21 აპრილი 2019,

https://www.oreilly.com/library/view/java-cryptography/1565924029/apb.html ;

[14] Richard G. Baldwin. (July 2004) Understanding Base64 Data, მოძიებულია 21 აპრილი 2019,

https://www.developer.com/java/other/article.php/3386271/Understanding-Base64-Data.htm ;

[15] Steve. (September, 2014) Cryptography with Alice and Bob, მოძიებულია 20 აპრილი 2019,

https://wordtothewise.com/2014/09/cryptography-alice-bob/ ;

[16] Techopedia, Base64, მოძიებულია 21 აპრილი 2019,

https://www.techopedia.com/definition/27209/base64 ;

[17] Wikipedia. (April 2019) Base64, მოძიებულია 21 აპრილი 2019,

https://en.wikipedia.org/wiki/Base64 ;

[18] Wikipedia. (April 2019) Substitution cipher, მოძიებულია 20 აპრილი 2019,

https://en.wikipedia.org/wiki/Substitution_cipher ;

[19] Wikipedia. (March 2019) Transposition cipher, მოძიებულია 20 აპრილი 2019,

https://en.wikipedia.org/wiki/Transposition_cipher ;

Abstract

In the modern world, data security is an important part of every person's life. Nowadays, there are many cryptographic systems to solve this issue, but each has a weakness. The presented scientific article discusses a hybrid model, which combines two methods of encryption : The ancient Caesar cipher and numerical methods. As a result, a new hybrid cryptosystem has been developed. It improves the level of data security, furthermore provides secure communication in the shortest possible time.

საინფორმაციო სისტემების დისტანციური ადმინისტრირება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით

გიორგი ბერია,
ბსუ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი,
ბიზნეს ინფორმატიკა (მაგ.), მეორე კურსი,
ელ. ფოსტა: beria.giorgi1@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გრიგოლ კახიანი,
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საინფორმაციო სისტემის მართვის კლიენ-სერვეული მოდელი რომელიც უზრუნველყოფს სერვერული (საინფორმაციო სისტემის) მართვას ე. წ. გამჭვირვალე კლიენტის არქიტექტურით რაც გულისხმობს რომ კლიენტის მხრიდან არავითარი დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფა არ არის. აღწერილია სისტემის ზოგადი არქიტექტურა დადებითი და უარყოფითი მხარეები. აღნიშნული მიდგომა ჩვენი აზრით საშუალებას იძლევა რომ გავამარტივოთ საინფორმაციო სისტემებთან წვდომა და როგორც შედეგი გავაფართოვოთ დისტანციური წვდომის გამოყენება როგორც საოფისე ოპერაციული სისტემების დანართებთან ასევე პერსპექტივაში „ჩაშენებულ“ და IoT (Internet of Things)[1] სისტემებთან წვდომისათვის.

საკვანძო სიტყვები: დაშორებული მართვა, ელ-ფოსტა , პითონი , ნივთების ინტერნეტი

შესავალი

თანამედროვე საინფორმაციო სისტემების ადმინისტრირება დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან რადგან ითხოვს რუტინული სამუშაოების შესრულების მიზნით მაღალკვალიფიციური საინჟინრო პერსონალის დასაქმებას მთელი სამუშაო დღის განმავლობაში გარდა ამისა ჩნდება აუცილებლობა, რომ მოხდეს ამ საინფორმაციო სისტემებთან დისტანციური წვდომა კონსულტირების ან ცალკეული კომპონენტების სერვისული მომსახურების მიზნით რაც რასაკვირველია დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან [2]. ამ ფონზე ბოლო პერიოდში განვითარდა ეწ დისტანციური მართვის პროგრამული პაკეტები მაგალითად (Radmin [3] / Ammy admin [4] / Anydesk [5] / Team Viewer [6] და სხვა მრავალი)

მაგრამ ყველა ეს პაკეტი ითხოვს მაღალი სიჩქარის საკომუნიკაციო არხებს და შედარებით დიდი წარმადობის მქონე კომპიუტერებს. აგრეთვე თითქმის ყველა მათგანის მუშაობისთვის საჭიროა საქსელო კონფიგურაციის მოდიფიცირება (სხვადასხვა პორტის გახსნა) რაც კომპიუტერს უფრო დაუცველს ხდის სხვადასხვა შემოტევებისგან. ხშირად IT პერსონალს ესაჭიროება სისტემურ პროგრამებთან ურთიერთქმედება, სხვადასხვა ისეთი სერვისების გაშვება რომელიც მხოლოდ სისტემურ დონეზეა შესაძლებელი. გარდა ამისა ვებ ინტერფეისით ხელმძღვანელობის შემთხვევაში ვებ ბრაუზერი მუდმივად ჩართული უნდა იყოს რომ შესაძლებელი გახდეს სურვილისამებრ დავუკავშირდეთ მოწყობილობას რომლის მართვაც გვინდა. თუმცა თანამედროვე ვებ ბრაუზერები რომლებიც მსგავსი პროგრამის გაშვების საშუალებას მოგვცემდა მოიხმარენ კომპიუტერის რესურსების დიდ რაოდენობას ამიტომ ვებ ინტერფესის გამოყენება ამ საქმეების შესასრულებლად არ იქნებოდა სწორი გადაწყვეტილება. შედეგად გადაწყვეტილ იქნა გამოვიყენოთ თითქმის ყველგან გამოყენებადი პროგრამირების ენა Python. აგრეთვე შემოვიდა ასეთი ცნება (IoT -Internet of things) რომელიც მიმოიხილავს სხვადასხვა მოწყობილობების ინტერნეტთან დაკავშირებას მაგალითად ჭკვიანი სახლის მართვისთვის საჭირო სხვადასხვა მოყობილობა სწორედ რომ IoT მოწყობილობაა. თანდათან ასეთი მოწყობილობები სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ასევე პროგრამირების ენა Python-იც. ამიტომ მწარმოებლები სულ უფრო და უფრო ბევრ მოწყობილობაში აყენებენ Python-ის ინტერპრეტატორს.

აღწერილი ამოცანის გადაჭრის ჩვენი გზა აკმაყოფილებს შემდეგ წინაპირობებს

1. კავშირისათვის არ არის სავალდებულო მაღალი გამტარიანობის მქონე სტაბილური არხი
2. კავშირისათვის არ არის სავალდებულო მაღალი წარმადობის მქონე მოწყობილობა
3. საშუალება უნდა გვქონდეს მოვახდინოთ რუტინული ოპერაციების ავტომატიზება
4. მულტიპლატფორმულობა
5. ინსტრუმენტის ფუნქციონირებისათვის არ უნდა იყოს საჭირო ობიექტისა და ადმინისტრირების მხარის პროგრამული და ქსელური ინფრასტრუქტურის საგრძნობი მოდიფიკაცია

ძირითადი ნაწილი

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტა არის საინფორმაციო სისტემის მართვა SMTP/POP3 [7] პროტოქოლზე აგებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

აღწერილი კონცეფცია ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა დაპროგრამების ენა Python-ზე. რომელსაც გააჩნია პროგრამული ინტერფეისი ფაქტიურად ყველა პოპულარულ პლატფორმაზე [8-12] და ასევე გააჩნია ინტერფეისები (ბიბლიო-თეკები) რომლებიც უზრუნველყოფენ მის მუშაობას ელექტრონული ფოსტის მიმოცვლის სერვისებთან [13].

ობიექტის მხარეს ელექტრონული ფოსტის დამუშავებისა, ბრძანებების შესრულებისა და მიღებული შედეგების შესახებ რეპორტების გაგზავნის მიზნით ყენდება დაპროგრამების ენა Python-ზე შესრულებული სერვისი რომელიც აღიქვამს როგორც SMTP/POP3 პროტოქოლით ელექტრონულ ფოსტას ასევე ამ ფოსტის მეშვეობით გადაცემულ ბრძანებათა ფაილებს რომლებიც თავისმხვრივ არის შესრულებული როგორც დაპროგრამების ენა Python-ზე ასევე ჩვენს მიერ შემუშავებულ სპეციალიზებულ დაპროგრამების ენაზე.

აღნიშნული მიდგომა გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებს ყველა ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნას საშუალებას გვაძლევს არ „მივაბათ“ ადმინისტრაციული პერსონალი სამუშაო ადგილს და ტექნოლოგიაში დაბალი შესვლის დონიდნიდან გამომდინარე დავნერგოთ ეს მეთოდიკა საინფორმაციო სისტემების ფართე არეალში.

გასაგებია რომ ნებისმიერი მართვის სისტემა გულისხმობს სამართავ ობიექტ-ზე რაიმე ბრძანების გადაცემას და მათ შესრულებას ჩვენს შემთხვევაში ეს არის როგორც წინასწარ გამზადებული ბრძანებების სია აგრეთვე უშუალოდ ოპერა-ციული სისტების ბრძანებები და Python -ის სკრიპტები (გამომდინარე იქიდან რომ პროგრამის ფუნქციონირებისათვის სისტემაში უნდა იყოს დაინსტალირე-ბული Python).

სერვერზე გაშვებული სერვისი ფაქტიურად წარმოადგენს ელ ფოსტის კლიენტს, რომელიც საშუალებას იძლევა კომპიუტერს რომელზეც შესაბამისი პროგრამა (სერვისი) დაყენებულია, დავავალოთ რაიმე ბრძანებების შესრულება. შესაბამისი ფუნქციონალური სქემა მოყვანილია სურ. 1. -ზე



სურ. 1. სისტემური ბრძანების შესრულების ფუნქციონალური სქემა

ყურადღება მივაქციოთ იმას რომ ნებისმიერი ბრძანების შესრულება იწყება წერილის მიღებით, რაც აუცილებლად ითხოვს წერილის გამგზავნის ვალიდურობის დადგენას. პირველ ეტაპზე პროგრამა ამოწმებს ელ ფოსტის აუთენტურობას არის თუ არა შესაბამისი ელ ფოსტა კონფიგურაციის ფაილში. ამით თავიდან ვიცილებთ არასანდო წყაროებისგან საშიში დავალებების შესრულების შესაძლებლობას.

ნებისმიერ შემთხვევაში ვალიდურობის შემოწმების შედეგები როგორც ნებისმიერი სხვა მოთხოვნები უსაფრთხოების სტანდარტებიდან გამომდინარე იწერება ლოგ ფაილში და შესაბამისად არ არის ანონიმური.

არაუთენტურობის შემთხვევაში ახდენს ამ შემთხვევის ლოგირებას. ასრულებს პროცესს და გადადის ახალი ფოსტის ლოდინის რეჟიმში. თუ ელ ფოსტა ნაცნობია კითხულობს წერილს და ამოწმებს წერილში მყოფ გადმოსაწერად გამზადებულ ლინკს რომელიც უნდა შეიცავდეს შესასრულებელი ბრძანების ფაილს.

ბმულის არავალიდურობის შემთხვევაში გამომგზავნს (კლიენტს) უბრუნდება წერილი შეცდომის შესახებ. ეს ინფორმაცია აღიწერება ლოგ ფაილში და პროგრამა გადადის მომდევნო წერილის ლოდინის რეჟიმში. ბმულის ვალიდურობის შემთხვევაში ხდება ფაილის ჩამოქაჩვა და შესრულება. ამ შემთხვევაშიც

ყველა ეტაპის ლოგირება და შესრულების სტატუსის დაბრუნდება გამომგზავნ ელ ფოსტაზე.

ხშირად ბრძანების შესრულების შედეგად მიღებული ფაილები აუცილებელია გავუგზავნოთ მომხმარებელს. ამისათვის მიზანშეწონილია ეს ფაილები დაარქივდეს. ჩვენს მიერ ამ მიზნით სისტემაში დაემატა ახალი ფუნქიონალი რომელიც უზრუნველყოფს სასურეველი საქაღალდის ან(და) ფაილების დაარქივებას და გადაგზავნას მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე. შესაბამისი პროცესის ფუნქცონალური სქემა იხილეთ სურ. 2. -ზე.

შექმნილი პროგრამული პაკეტი მუშაობს ობიექტზე ორიენტირებული პარადიგმის პირობებში და შედგება შემდეგი ძირითადი კლასებისაგან



სურ. 2. დაარქივების და გაგზავნის ბრძანების შესრულების ფუნქციონალური სქემა

1. RCmail - პასუხისმგებელია წინასწარ გამზადებული ბრძანებების შესრულებაზე რომლებიცაა: compress (აარქივებს სასურველ საქაღალდეს ან(და) ფაილებს), upload (მითითებულ ფაილს ატვირთავს წინასწარ განსაზღვრულ მისამართზე), send file zipped(აგზავნის დაარქივებულ ფაილს ელ ფოსტის საშუალებით.), take screenshot (იღებს ეკრანის ფოტოს ბრძანების გამოძახების მომენტში

და აგზავნის ელ ფოსტაზე), download (იქაჩავს ფაილს მოცემული ლინკიდან და ინახავს მითითებულ მისამართზე.)

2. RCMaillog - პასუხისმგებელია სერვისში მიმდინარე პროცესების აღწერაზე და ლოგირებაზე. შეიცავს write და delete ფუნქციებს

3. Receive - პასუხისმგებელია ელ ფოსტის მიღება-წაკითხვაზე და ელ ფოსტიდან ბრძანების ამოკითხვაზე. ამოწმებს ელ ფოსტის სტრუქტურის ვალიდურობას შეესაბამება თუ არა ბრძანების აღწერის წესი წინასწარ განსაზღვრულ პროტოკოლს.

4. PythonService - უზრუნველყოფს სისტემაში ფონურ რეჟიმში სერვისის მუშაობას და მის რეაგირებას გარე მოვლენებზე, აგრეთვე უზრუნველყოფს პროგრამის შეუღლებას ოპერაციული სისტემის ბირთვის პროგრამულ ინტერფეისთან.

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა რომ გამჭვირვალე სამომხმარებლო ინტერფეისის მეშვეობით უზრუნველვყოთ ადმინისტრაციული პერსონალის წვდომა საინფორმაციო სისტემებთან როგორც სამაგიდო ასევე ჩაშენებულ მოწყობილობებში. წარმოდგენილი არქიტექტურა სასუალებას იძლევა რომ გამოყენებული იქნას არამხოლოდ ადამიანების მიერ არამედ სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მიერ და შესაბამისად წარმოგვიდგება როგორც ადმინისტრირების ავტომატიზაციის რგოლი. ხოლო ჩაშენებული ბრძანებების ერთობლიობას გააჩნია კარგი პერსპექტივა რათა გადაიქცეს ადმინისტრირების სპეციალიზირებულ სკრიპტულ ენად.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია

[1] McKinsey Quarterly, The Internet of Things , March 2010 მოძიებულ იქნა 29/04/2019 https://www.mckinsey.com/industries/high-tech/our-insights/the-internet-of-things

[2] Remote Access A Computer, მოძიებულ იქნა 29/04/2019 https://www.itarian.com/remote-access-a-computer.php

[3] Reliable Remote Support Software For IT Pros მოძიებულ იქნა 29/04/2019 https://www.radmin.com/

[4] Remote Desktop Software and Remote Desktop Connection მოძიებულ იქნა 29/04/2019 http://www.ammyy.com/en/index.html

[5] Remote Desktop Software მოძიებულ იქნა 29/04/2019 https://anydesk.com/en/

[6] The new Standard for remote control and remote support. მოძიებულ იქნა 29/04/2019 https://www.teamviewer.com/en/

[7] J. Myers , Carnegie Mellon, M. Rose, Dover Beach Consulting, Inc., May 1996 Post Office Protocol - Version 3. მოძიებულ იქნა 29/04/2019 . https://tools.ietf.org/html/rfc1939

[8] Miscellaneous operating system interfaces. მოძიებულ იქნა 29/04/2019 https://docs.python.org/3/library/os.html

[9] Subprocess management მოძიებულ იქნა 29/04/2019 https://docs.python.org/3/library/subprocess.html

[10] PyAutoGUI's documentation მოძიებულ იქნა 29/04/2019 https://pyautogui.readthedocs.io/en/latest/

[11] Python Service Windows მოძიებულ იქნა 29/04/2019 https://github.com/eduardofaneli/PythonWinService

[12] SMTP protocol client მოძიებულ იქნა 29/04/2019 https://docs.python.org/3/library/smtplib.html

[13] An email and MIME handling package მოძიებულ იქნა 29/04/2019 https://docs.python.org/3.4/library/email.html#module-email

Abstract

The paper deals with a client-server model of information system management that provides a server (Information System) management using so called transparent client architecture. That means there is no need to install any additional software from the client side. The paper describes the structure of the system, tools that were used to make program work. Pros and cons of using it. Described approach allows you to simplify access to information systems. As a result we will extend remote access to new levels of information systems as well as "built-in" and may be in the IoT (Internet of Things) systems [1]. While working we searched for software with similar purpose. analyzed their advantages and disadvantages. As a result, system service is created through which the e-mail is received, analyzed. Then service executes received command and sends confirmation email to sender if necessary. Paper also describes principles of working system, functional model and used instruments.

Keywords : Remote Control, Email, Python, IoT.

კონვეის უჯრედული ავტომატის მუშაობის ანალიზი შენონის ენტროპიის გამოყენებით

კახი კახიძე

ბსუ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი,
კომპიუტერული მეცნიერებები, მეორე კურსი.
ელ. ფოსტა: kakhidze.k@yahoo.com
***სამეცნიერო ხელმძღვანელი**: გრიგოლ კახიანი,*
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია კონვეის სიცოცხლის თამაშის ტიპის დეტერმინირებული სისტემებისათვის ლოკალური და გლობალური საინფორმაციო ენტროპიის დათვლის ახალი მათოდი – დაყვანილი ენტროპია. აღწერილია გამოყენებული სამუშაო ინსტრუმენტები და ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტები.

საკვანძო სიტყვები: **Shanon**, **Game Of Life**, **Entropy**.

შესავალი

Game Of Life, ანუ სიცოცხლის თამაში არის 1970 წელს ბრიტანელი მათემატიკოსის, ჯონ კონვეის მიერ გამოგონილი უჯრედული ავტომატი, რომელიც ემორჩილება გარკვეულ წესებს[1].

უჯრედული ავტომატის მოქმედების არეალს „სამყარო“ ქვია (იხ. სურ. 1), ეს არის უჯრედებად დაყოფილი გარემო, თითოეული უჯრედი მოიცავს 8 მეზობელს რომლებიც განსაზღვრავენ უჯრის მდგომარეობას[2].



სურ. 1: კონვეის სამყარო.

ყოველ უჯრედს შეუძლია მხოლოდ 2 მდგომარეობაში ყოფნა, ის ან ცოცხალია (1) ან მკვდარი (0).

„სამყაროს“ მოცულობა და უჯრების მდგომარეობა ერთმანეთთან კავშირში არაა ამიტომაც „სამყაროს“ სასრულობა და უსასრულობა ვერანაირად ვერ იმოქმედებს წესებზე.

მომხმარებელი თვითონ აწყობს ფიგურებს ისე როგორადაც ის გადაწყვეტს, ამ მოქმედებას პირველი თაობის გენერირება ქვია და ამ შემთხვევაში უჯრედის სიცოცხლეზე გარემოფაქტორი ვერ მოქმედებს, მაგრამ ამის შემდგომ უკვე ირთვება შემდეგი ნაბიჯი, რომლის მიხედვითაც სამყაროში ჩნდება ან ქრება უჯრედი.

უჯრედული ავტომატის ალგორითმი გამოიყენებოდა ტორონტოს გარეუბნებში სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზირებისათვის [3]. იგივე მოდელი გამოიყენებოდა ტყის ხანძრების საშიშროების წინასწარ გაგებისთვის[4], ტერიტორია დაყოფილი იყო ნაწილებად და გარემოს ფაქტორებად, როგორიც იყო გზები, რელიეფი, გამოიყენებოდა სხვადასხვა მდგომარეობის აღსაწერად რომელთანაც ცეცხლის კერას შეეძლო მიღწევა.

ერთგანზომილებიანინ და არაერთგვაროვანი უჯრედული ავტომატი ითვლება ფსევდოშემთხვევითი რიცხვების სიხშირეს, რომელიც გამოიყენება კრიპტოგრაფიაში საიდუმლო კოდის მეშვეობით. ფსევდოშემთხვევითი რიცხვების სიხშირის ხარისხიანობა დამოკიდებულია უჯრედული ავტომატის მიღებულ წესებზე[5]

კონვეის შექმნილი თამაში წარმოადგენს ილუსტრირებას იმისა თუ როგორ შეუძლიათ სხვადასხვა ცოცხალ სისტემებს გადარჩნენ რაღაც კონკრეტულ გარემოში, ენტროპიის შემცირების თვალსაზრისით. თამაში და მისი სხვა ვერსიები განსხვავებული წესებით ცნობილები არიან როგორც უჯრედული ავტომატები, რომლებიც წარმოადგენენ უამრავი ექსპერიმენტის და კვლევის ბაზისს გამოთვლით ბიოლოგიაში.[6]

საინფორმაციო ენტროპია, რომელსაც მეორენაირად შენონის ენტროპიასაც უწოდებენ. შენონისებური თეორიით ენტროპია წარმოადგენს ერთგვარ გაურკვევლობის ზღვარს, შეიძლება სხვანაირად მას ქაოსის ზღვარიც ვუწოდოთ. უკეთესად რომ ითქვას, შენონისებური ენტროპია არის სისტემის ინფორმაციული მოცულობის აღმნიშვნელი ფუნქცია. ენტროპიის ტერმინის აღსანიშნავად ხშირად გამოიყენება ტერმინი „შენონისებური ინფორმაცია“ ან „ინფორმაციის რაოდენობა შენონის ფორმულის დახმარებით“ [8].

ინფორმაციული ენტროპიის ცნება პირდაპირ კავშირშია ინფორმაციის თეორიასა და სტატისტიკასთან[7] და სტატისტიკურ ფიზიკასთან, რამეთუ ინფორ-

მაციის ენტროპია წარმოიდგინება, როგორც სისტემაში შემავალი მდგომარეობების ლოგარითმი. ასეთი ფუნქცია მისი შედეგით უზრუნველყოფს ენტროპიის ადიტიურობას

სადაც N წარმოადგენს თავსებადი მდგომარეობების რაოდენობას P_i - ალბათობების გაბნევის საშუალო მნიშვნელობა, სწორედ ამ ტოლობიდან გამომდინარეობს შენონის ინფორმაციული ენტროპიის ფორმულა[11]:

$$H = -\sum_{i=0}^{N} P_i \log(P_i)$$

ჩავთვალოთ რომ ყოველი ჩვენთვის საჭირო სისტემა შეიძლება თანაბრად არსებობდეს ყოველ N–ში, ჩვენთვის საჭირო სიდიდით და მათი ალბათობა იყოს რაიმე P_i სადაც $i = 1, 2, 3, \dots, N$, ხოლო ენტროპია რომელიც შენონმა აღნიშნა H–ით არის ყველა ჩვენი ალბათობების სიმრავლე $P = (p_i, \dots, p_n)$: საიდანაც გამომდინარეობს ფუნქცია $H = H(p)$. [7]

ძირითადი ნაწილი

ზემოთ მოყვანილ ფორმულის მნიშვნელობას განსაზღვრავს: ასევე გასათვალისწინებელია რომ ყოველი ჩვენი სისტემისთვის $H(P) \leq H(P_\infty)$ სადაც უსასრულობისკენ მიმართული P არის თანაბრად გადანაწილებული როგორც ყველა ალბათობისთვის ტოლობა არის 1/N, იმ შემთხვევაში თუ სისტემის ყოველი ელემენტი ღებულობს ორ მდგომარეობას მაში ენტროპიის გრაფიკი გამოიყურება შემდეგნაირად (იხ. სურ. 2)



სურ. 2 [7]: ინფორმაციული ენტროპიის გრაფიკი,
რომელიც მიიღება ბინალურ სისტემებში

როგორც გრაფიკიდან ჩანს ენტროპია ღებულობს სიმეტრიულ მნიშვნელობას 0.5 ალბათობის ირგვლივ, ესეიგი შეუძლებელია ამ თვალსაზრისით გავარჩიოთ როგორც მთლიანად შევსებული არე, ასევე მთლიანად ცარიელი არე. იმ მიზნით რომ გადაგველახა ეს უხერხულობა, კვლევის ფარგლებში ჩვენს მიერ შემოღებულ იქნა დაყვანილი ენტროპია რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$H = \begin{cases} \sum_{i=0}^{N} P_i \log(P_i) \ \ \text{თუ} \ P_i > 0{,}5 \\ -\sum_{i=0}^{N} P_i \log(P_i) \ \ \text{თუ} \ P_i \leq 0{,}5 \end{cases}$$

ამ ფორმულის შესაბამისი ენტროპია ითვალისწინებს სისტემის მდგომარეობას და გვჩვენებს რით არის განპირობებული ენტროპია(განუზღვრელობის ზომა) ობიექტების ჭარბი არსებობით თუ მათი მეჩხრობით. ამ ფორმულის შესაბამისი გრაფიკი გამოიყურება შემდეგნაირად(იხ. სურ. 3)



სურ. 3 დაყვანილი ენტროპიის გრაფიკი

კონვეის სამყარო თავის თავში წარმოადგენს ორობითი კოდის გრაფიკული ფორმას (გარკვეული სახით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის შეტყობინება). შესაბამისად მოცემულ ორობით მასივს შეგვიძლია დავუქვემდებაროთ ენტროპია. ასევე თავის მხრივ თითოეულ უჯრას გააჩნია 8 მეზობელი(იხ. სურ. 4) (რომლებიც ზემოქმედებენ ერთმანეთზე) და ანალოგიური მსჯელობით შეიძლება მასაც დავუქვემდებაროთ გარკვეული ენტროპია.



სურ. 4[9]: უჯრედი და მისი მეზობლები

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს დავაკავშიროთ ერთმანეთს კონვეის „სიცოცხლის თამაში“ და ენტროპია.

ამ მიზნით დაიწერა პროგრამა C#-ში, რომელის სამუშო არე დაყოფილია ორ ნაწილად, პირველი ნაწილი წარმოადგენს კონვეის სამყაროს სიმულაციას, ხოლო მეორე ნაწილი კი არის ვიზუალიზაცია ამ სამყაროს კავშირს ენტროპიასთან. პროგლამის სამომხმარებლო ინტერფეისი წარმოდგენილია სურ. 5–ზე.[12,13,14,15]



სურ. 5: პროგრამის სამომხმარებლო ინტერფეისი. 1. სამუშაო დაფა. 2. საინ-ფორმაციო პანელი. 3. მართვის ელემენტები. 4. სტატისტიკური მახასიათებლები.

1. სამუშაო დაფა – აქ ხდება კონვეის სამყაროს საწყისი კონფიგურაციის აწყობა და შემდგომი სიმულაცია.

2. საინფორმაციო პანელი – უზრუნველყოფს სიმულაციის პროცესში სხვადასხვა სახის მონეცემების გრაფიკულ ვიზუალიზაციას. პანელი მუშაობს 3 რეჟიმში, ელემენტების მეზობლების ჩვენება, კლასიკური ენტროპიის და დაყვანილი ენტროპიის რეჟიმები.

3. მართვის ელემენტები – უზრუნველყოფენ მომხმარებლის მიერ პროგრამის მართვას.

4. სტატისტიკური მახასიათებლები – აქ თითოეულ სვლაზე აისახება ელემენტების სიმკვრივე, კლასიკური და დაყვანილი ენტროპია.

აღწერილ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული იქნა რამოდენიმე ექსპერიმენტი, რომლებმაც გვიჩვენა, რომ ენტროპიას და განსაკუთრებით დაყვანილ ენტროპიას დიდი გავლენა გააჩნია ანალოგიური დისკრეტული სისტემების ფუნქციონირების დროს. კერძოდ, ისეთ დისკრეტულ სისტემეში როგორიც არის კონვეის სამყაროს მაგვარი სისტემები სადაც როგორც ელემენტის ადგილმდებარეობა, ასევე მისი სხვა ელემენტებთან ურთიერთქმედების წესები მკაცრად დეტერმინირებულია, ჩვეულებრივ რაიმე მოქმედებას (უჯრის სიკვდილს ან მის გაჩენას) წინ უსწრებს ამ უჯრაში ლოკალური ენტროპიის ცვლილება, განსაკუთრებით ეს ნათლად ჩანს თუ კლასიკური ენტროპიიდან გადავალთ დაყვანილ ენტროპიაზე. ექვე უნდა აღინიშნოს რომ სისტემაში ლოკალური ენტროპიის ცვლილება შესაძლოა არ იქონიოს ზეგავლენა მთელი სისტემის ენტროპიის დონეზე (გლაიდერები). ამ მოსაზრებების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები.

მრავალი სხვადასხვა სახის რიცხვითი ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა რომ დაყვანილი ენტროპია შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც პოპულაციის განვითარების ერთგვარი შეფასების ინსტრუმენტი, მაგალითად აღმოჩნდა რომ ე.წ. სიკვდილის წერტილები(სურათებზე აღნიშნულია ხასხასა მწვანე ფერით) არის იმის მიმანიშნებელი, რომ მიმდინარე სტრუქტურა ან მისი შემდგომი ევოლუციური საფეხური იქნება უფრო განვითარებული (მრავალფეროვანი, რთული) ან თუნდაც შეინარჩუნებს თავის სტრუქტურას, სურათზე მოყვანილია საყოველთაოდ ცნობილი სტრუქტურების (Glider, Block, Blinker, Beehive, Aircraft Carrier) ევოლუციის სხვადასხვა სტადია, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას რომ სტრუქტურები რომლებსაც გააჩნიათ მწვანე წერტილები, უფრო მეტი შანსი აქვთ იმისა რომ გადარჩნენ შემდეგ თაობაში ან მათი სტრუქტურა გართულდეს. ხოლო იმ ობიექტების სტრუქტურა რომლებსაც არ გააჩნიათ მწყანე წერტილები, არის ან აბსოლუტურად სტაბილური (Block), ან არის დინამიკურად სტაბილური რაც

იმას ნიშნავს, რომ სტრუქტურას გააჩნია ფაქტობრივად ორი ერთნაირი მდგომარეობა (Aircraft Carrier, Blinker). (იხ. სურ. 6)



სურ.6

ამ მოსაზრების გამყარების მიზნით მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, ამჯერად უფრო რთული სტრუქტურისა, რომელსაც გააჩნია მრავალი არაგამეორებადი მდგომარეობა.(იხ. სურ. 8)



სურ. 8

ჩვენი თვალსაზრისით, აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ისევ მწვანე წერტილების კონცენტრაციას, რომელიც ხშირად კონცენტრირდება სხეულის ბირთვის ცენტრში და განსაზღვრავს მის ევოლციას, ასევე რიცხვითი ექსპერიმენტებისას მივაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ სტრუქტურის ნებისმიერ ცვლილებას წინ უსწრებს მოსალოდნელი ცვლილების წერტილში ინფორმაციული ენტროპიის ცვლილება, ერთი ევოლუციური სვლის პერიოდში ამ ცვლილების ერთობლიობა წარმოქმნის ერთგვარ ტალღას რომელიც წარმოადგენს მოსალოდნელი ცვლილებების ერთგვარ ანონონსს, შეიძლება ვივარაუდოთ რომ კონვეის ტიპის სისტემებში რომელთა განვითარების წესები არის მკაცრად დეტერმინირებული, ცვლილებების ტალღას წინ უსწრებს საინფორმაციო ენტროპიის ტალღა.

კონვეის სამყაროს წესები სტატიკური არაა, რისი წყალობითაც შესაძლებელია გავწეროთ სხვა პირობები, მაგალითად ასეთი მეთოდი გამოიყენა კანადამ, კონვეის სამყაროს წესები გადაიტანა ტყის ხანძრების და მათი სხვადასხვა მიზნების გენერირებით პროგრამაში და შედეგად მათ შეძლეს ტყის ხანძრის გავრცელების სავარაუდო სურათის ნახვა, სადაც ცოცხალი უჯრა იყო არსებული ცეცხლის კერები. ამ ყველაფრის საშუალებით კი შესაძლებელი ხდებოდა იმის თქმა თუ სად მივიდოდა ხანძარი უახლოეს პერიოდში. ჩვენს მიერ შემუშავებული ენტროპიის საშუალებით შესაძლებელი ხდება არა მარტო შემდგომი კერის გაჩენის ადგილის, არამედ შემდგომინდელი კლიმატური ცვლილებების დადგენაც, მაგალითად იგივე ატმოსფეროში კვამლის გაბნევის ან ბუნებისათვის ცეცხლისგან მიყენებული ზიანის მიახლოებითი გამოთვლების გაკეთება (ნორმალური პირობების გათვალისწინებით).

კონვეის სამყაროს გამოყენებით შესაძლებელია მარტივად დადგინდეს ბაქტერიების ან მისი მსგავსი არსებათა განვითარების დადგენა ან უკეთესი ვარიანტი, შესაძლებელია ნებისმიერი დაავადების განვითარების სისწრაფის დადგენაც თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ ეს ყველაფერი ხდება ნორმალურ პირობებში, რათქმაუნდა ანომალიების და სხვა შემთხვევების მიმართებაში პროგრამას გარკვეული ცდომილება ექნება. ამის მიხედვით კი შეიძლება იმის თქმა რომ კონვეის სამყაროს გამოყენება შესაძლებელია უამრავ დარგში, დაწყებული მედიცინიდან დამთავრებული გარემოს დაცვამდე.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი დაყვანილი ენტროპიის და ლოკალური ენტროპიის ანალიზის მეთოდიკა შეიძლება გამოყენებული იქნას დეტერმინირებული დინამიკური სისტემების ანალიზის და პროგნოზირების მიზნით, შეიძლება

დადგენილად ჩაითვალოს, რომ დინამიკურ სტრუქტურებში ცვლილებების ტალღას წინ უძღვის ენტროპიის ტალღა. კვლევის ფარგლებში იგეგმება მრავალ-პოპულაციური კონვეის უჯრედული ავტომატების კვლევა აღწერილი მეთოდიკის გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია

[1]Andrew Adamatzky, Game of life Cellular Automata მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[2] Conway, private communication to the 'Life list', 14 April 1999 მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[3]Peter Deadman, Robert D. Brown, and H. Randy Gimblett, Modelling Rural Residential Settlement Patterns with Cellular Automata, Journal of Environmental Management 37: 147-160 (1993). მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[4]Ioannis Karafyllidis and Adonios Thanailakis, A model for predicting forest fire spreading using cellular automata, Ecological Modelling 99: 87-97 (1997). მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[5]Franciszek Seredynski, Secret Key Cryptography with Cellular Automata მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[6]https://gammacephei.wordpress.com/2012/03/24/entropy-and-the-game-of-life/ მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[7]https://en.wikipedia.org/wiki/Entropy_(information_theory) მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[8] https://ee.stanford.edu/~gray/it.pdf 25 აპრილი, 2019

[9] https://en.wikipedia.org/wiki/Moore_neighborhood 25 აპრილი, 2019

[10]http://www.conwaylife.com/wiki/Conway%27s_Game_of_Life მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[11] https://www.sciencedirect.com/topics/engineering/differential-entropy მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[12]https://embryo.asu.edu/pages/game-life-john-horton-conway მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[13]https://www.ibiblio.org/lifepatterns/october1970.html მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[14]http://mathworld.wolfram.com/DifferentialEntropy.html მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[15]https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/11970467 მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[16]https://www.mdpi.com/1099-4300/12/1/80/pdf მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[17] https://rosettacode.org/wiki/Conway%27s_Game_of_Life მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[18]https://codereview.stackexchange.com/questions/47167/conways-game-of-life-in-c მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[19]https://www.scientificamerican.com/article/the-game-of-life/ მოძებნილია 25 აპრილი, 2019

[20] Kaszanyitzky, Andr´as, The GraftalLace Cellular Automaton მოძებნილია 25 აპრილი, 2019

Abstract

The article proposes a new method of calculating local and global informational entropy for conway's life-type game systems - reduced entropy. The article describes tools and the numerical experiments.

Key words: **Shanon, Game Of Life, Entropy.**

ენა ბურჯია ერისა

მარიამ ფუტკარაძე
ბსუ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი,
დაწყებითი განათლება
ელ.ფოსტა:mariamfutkaradze1997@gmail.com
სამეცნიერო თემის ხელმძღვანელი: გული შერვაშიძე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა
დეპარტამენტის პროფესორი.

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომში საუბარია, ეროვნების ერთ-ერთი მთავარი ბურჯის, ენის შესახებ. თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ღირებულია ის ერის განვითარებისათვის, რამდენად ღრმად არის დაკავშირებული ენა ერის სულთან და ხორცთან და როგორ უნდა დავიცვათ ის. აგრეთვე, ნაშრომში განხილულია, თუ რატომ არის მშობლიური ენა სხვა ენების სწავლების საფუძველი, თუ რა შედეგები მოჰყვება მშობლიური ენის უარყოფას და რამდენიმე უცხო ენის ერთდროულად სწავლებას. კვლევა სწორედ აღნიშნული საკითხების განხილვით შემოიფარგლება გამოკითხვის ერთ-ერთი ფორმით, ანკეტის საშუალებით. ანკეტა შეადგება ათი როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვისაგან. კვლევაში მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ არა მარტო არჩევითი პასუხებიდან ერთ-ერთის არჩევისა, არამედ თავიანთი აზრის ღიად და ნათლად დაფიქსირებისა. კვლევა მიზანად ისახავდა, გაგვეგო საზოგადოების დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და როგორც ირკვევა გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ენა მთავარი ბურჯია ეროვნების, ერის სულთან და ხორცთან დაკავშირებული, რომლის დაცვის აუცილებელი პირობაა შთამომავლობას ჩავუნერგოთ ენისადმი დიდი სიყვარული.

შესავალი

დღევანდელ საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც მოგვეხსენება, დაწყებითი საფეხურის პირველი კლასიდან იწყება უცხო ენის მშობლიურ ენასთან ერთად სწავლება. არსებული მდგომარეობა ჩემთვის მიუღებელია და ვფიქრობ, რომ განათლების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არანაირი კვლევის შედეგს არ ეფუძნება. აღნიშნული საკითხი საზოგადოების მხრიდან

უფრო და უფრო მეტი განხილვისა და დავის ობიექტია. უნდა ისწავლებოდეს თუ არა ინგლისური პირველი კლასიდან, ქმნის თუ არა სირთულეებს ორ ენასთან ერთდროულად შეჭიდება? და მრავალი სხვა. ვიდრე აღნიშნული თემის განხილვაზე გადავიდოდეთ ალბათ, უმჯობესია იმით დავიწყოთ თუ ზოგადად რა არის ენა, რამდენად ღირებულია ის ჩვენთვის, რამდენად ღრმად არის დაკავშირებული ენა ერის სულთან და ხორცთან, როგორ უნდა დავიცვათ ის? კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე თემის მთავარი მიზანია, გავიგოთ საზოგადოების დამოკიდებულება არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და არასწორი მიდგომა, სწორი მიმართულებით შევცვალოთ. სწორი მიმართულება პირველი ნაბიჯია მომავალი წარმატებისა და განვითარებისათვის.

ძირითადი ნაწილი

საყოველთაოდ ცნობილია ენის შემდეგი სახის განმარტება: ენა ადამიანთა შორის ურთიერთობის, აზრთა გაცვლის საშუალებაა. გარდა ამისა, ენის მნიშვნელობის შესახებ ძალიან საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით: „ენა საზოადოებრივი მოვლენაა“ **(ჩიქობავა, 2008 :10)** რაც იმას ნიშნავს, რომ ის მთლიანად ადამიანთა გარკვეული ჯგუფის კუთვნილებაა, საზოგადოებაში ჩნდება და არსებობს მანამ, სანამ არსებობს კაცობრიობა. დრო მიდის, თაობები მიდიან, მაგრამ ენა კი რჩება და მასზე შენდება ყოველი თაობის ისტორიული მოვლენები. ხატოვნად თუ ვუწოდებთ: „ენა ცოცხალი მუზეუმია“ **(ძიძიგური, 1990 :3)**, რომელშიც დაცულია ერის ისტორია, როგორც სამუზეუმო ექსპონატი.

მსოფლიოში სულ 3000-მდე ენაა. მათგან საკუთარი დამწერლობა მხოლოდ 14 ენას აქვს და მათ შორისაა ჩვენი ენა ქართული, რომელსაც ქართველმა ხალხმა დედა-ენა უწოდა, ეს მანიშნებელია იმისა, თუ რაოდენ ძვირფასია მშობლიური ენა ქართველებისათვის.

ი.გოგებაშვილის ნაწარმოებში „ბურჯი ეროვნებისა“ ვკითხულობთ: „ქართული ენა ისეთივე მდიდარი და მრავალ-მხროვანია, როგორიცა არის ბუნება კავკასიონისა“ **(გოგებაშვილი, 1984 :205).** საქართველოს ბუნება მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ გვხვდება რელიეფის თითქმის ყველა ფორმა, სწორედ ასეთივე მრავალფეროვნებით გამოირჩვა ქართული ენა.

ქართული ენის მრავალმხრივ ღირებულებაზე შეიძლება ვისაუბროთ. თუ მივიჩნევთ, რომ ზმნა მეტყველების მთავარი საყრდენი სისტემაა მაშინ ამ თვალსაზრისით ქართული უპირველესია მსოფლიო ენათა შორის. გარდა, ზმნების სიუხვისა, ქართული ენა შინაგანი ბუნება-აგებულებით გამორჩეულია მსოფლიო ანბანთა შორის. აქ არ გვხვდება დიდი და პატარა ასო-ბგერები, ერთ გრაფიკულ

ნიშანს, ერათი ბგერა შეესაბამება, რაც მანიშნებელია იმისა, რომ ქართული ფონეტიკური დაწერილობის ენაა. სხვა უცხო ენებში, მაგალითად, ინგლისურში ერთ ასო-ბგერას რამდენიმე გრაფიკული ნიშანი შეესაბამება, რაც ძალიან აშორებს წარმოთქმას და წერას ერთმანეთისაგან. გარდა ამისა, ქართულში არ გვხვდება რბილი და მაგარი ასო-ბგერები, რომლებიც რუსულში უხვად მოიპოვება და ზოგიერთ შემთხვევაში მთლიანად ცვლის სიტყვის შინაარსს და ბოლოს ქართული ანბანი მრგვალი მოხაზულობითაც გამორჩეულია **(მაღლაკელიძე, 2013 :16; 17).**

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი, ენათმეცნიერი ვ. ჰუმბოლტი ენას ერის სულს უწოდებდა: „ენა ხალხისა არის მისი სული და სული ხალხისა - მისი ენა“ **(მაღლაკელიძე, 2013:11).** მშობლიური ენის განსაკუთრებული სიძლიერე ღრმა კავშირი დედა-ენისა ერის სულთან და ხორცთან იკვეთება ი. გოგებაშვილის ნაწარმოებში „იავნანამ რა ჰქმნა“ და ეს ნათლად ჩანს, მაშინ როდესაც მოთხრობის მთავარ მოქმედ პირს, ქეთოს მშობლიური ენის ჰანგები ბავშვობის ტკბილ მოგონებებს ახსენებს. **(გოგებაშვილი, „იავნანამ რა ჰქმნა).** „უცვლელი ფსიქოლოგიური კანონის მიხედვით, ყოველი შთაბეჭდილება, რომელიც სხვაზე ადრე იჭერს ადგილს, ყველა სხვა შთაბეჭდილებაზე უფრო ღრმად ინერგება“ **(უშინსკი, 1974 :157).** თავდაპირველად, ქეთო მშობლიურ გარემოში იზრდებოდა, მშობლიური ენით, დედა-ენით, საზრდოობდა და ისე ღრმად გაიდგა ფესვები გრძნობა-გონებაში, რომ შემდგომმა პერიოდმა, უცხო გარემოში ყოფნამ, ძლიერი ზეგავლენა ვერ იქონია მასზე. სწორედ ეს არის მანიშნებელი იმისა, თუ რაოდენ მომაჯადოებელი ძალა აქვს მშობლიურ ენას, რომ მას ადვილად ვერ ამოშლი გონებიდან და გულიდან ვერ ამოჰგლეჯ.

ენა იმ სამ საუნჯეთაგან „ენა, მამული, სარწმუნოება“ ერთ- ერთია, რაც ქართველებს შემოგვრჩა მამა-პაპათგან. ენის დაცვისა და შენარჩუნების თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ერთ-ერთი მხატვრული ფილმი „ფესვები“. ფილმის მთავარი მოქმედი პერსონაჟი, პაპა გიორგი შვილიშვილს ეუბნებოდა: „ხის სიმაღლე მიწის ზევიდან კი არ იზომება, ფესვებიდან“ **(მხატვრული ფილმი „ფესვები“ რეჟისორი ი. ბილანიშვილი).** ეს ის ფესვებია, რომლებიც მშობლიური კუთხის, მშობლიური ენის ძირებთან გვაკავშირებს. მიუხედავად მრავალი წლის უცხოეთში ცხოვრებისა მან, მაინც შეინარჩუნა მშობლიური ენა. მის ღირსებას კიდევ უფრო ამაღლებს ის გარემოება, რომ შვილიშვილსაც ასწავლა ქართული ენა და ეროვნული სულისკვეთებით აღზარდა. ენის ისევე, როგორც მამულისა და სარწმუნოების დაცვა ერის უპირველესი ამოცანაა. ჩვენი წინაპრები ამას გრძნობდნენ და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ, მაგრამ რა მდგომარეობაა დღეს, ვიცავთ ამ ძვირფას საუნჯეს, ვიბრძვით მათ დასაცავად? თუ გადავხედავთ

დღევანდელ საზოგადოებას, დავაკვირდებით მათ მეტყველებას უთუოდ შევნიშნავთ, რომ მათ საუბარში ქართულთან ერთად უცხოური სიტყვების ელემენტები იჩენს თავს. თითქოს უცხო სიტყვების გამოყენება განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია. სინამდვილეში, ამით მშობლიურ ენას ჩრდილს ვაყენებთ.

უცხო ენის ზეგავლენას გარკვეულწილად განაპირობებს ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობა. მაგალითად, საბჭოთა პერიოდში, როგორც მოგვეხსენება სკოლებში რუსულად მიმდინარეობდა სწავლა-განათლება, რამაც ხელი შეუწყო ქართულში რუსული სიტყვების შემოდინებას. დღეს არც საბჭოთა მმართველობის და არც რაიმე სახის ზემოქმედებას განიცდის ქვეყანა, მაგრამ ენაში, მაინც ჭარბად შემოედინება უცხო სიტყვები. რა განაპირობებს ამას? ალბათ, ერთ-ერთი განმსაზღვრელი ამისა არის უცხო ენის სწავლებაზე უპირატესობის მინიჭება. „აი ია“-ს სწავლების გვერდით this is, I am, you are… და სხვა მსგავსი ფრაზების დაზეპირება ვფიქრობ არასწორია, რადგან „აი ია“ ეს ორი ასო-ბგერიათ შედგენილი მთელი წინადადებაა, რომლითაც მოსწავლე დედა-ენის, მშობლიური ენის წიაღში იწყებს მოგზაურობას და სამყაროს სულ სხვა თვალით აღიქვამს. ამიტომ სხვა ენა ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება, რომელიც აფერხებს მშობლიური ენის აღქმას.

ცნობილია, პედაგოგიურ მეცნიერებათა კლასიკოსის, ჯონ ლოკის გამოთქმა „სუფთა დაფა“. ამ მოსაზრების მიხედვით ბავშვი, როდესაც იბადება მასში თავისთავად არაფერია მოცემული. ამიტომ უწოდა მას „სუფთა დაფა“. ეს შეხედულება ეწინააღმდეგება მემკვიდრული, გენეტიკური კოდის არსებობას. მემკვიდრული ნიშნის უგულებელყოფა ვფიქრობ, არასწორია, რადგან ბავშვი, როდესაც იბადება მას მშობლებისაგან მემკვიდრული ნიშნები თან დაჰყვება: თვალის, კანის, თმის ფერი და სხვა. სწორედ ასევე, მასში გენეტიკური კოდის სახით მოცემულია მშობლიური ენის სწავლების ნიშნები: „ყოველს ადამიანს დაბადებიდგან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებიდგან ბულბულის გალობის ნიჭი, იადონს- იადონის გალობის და სხვა“ **(გოგებაშვილი, 1984 :207).** შეიძლება ასეც ვთქვათ ბავშვი დაპროგრამებულია მშობლიური ენის შესასწავლად. ამიტომ მნიშვნელოვანია ის შესაბამის ბუნებრივ პირობებში ვამყოფნოთ. ახალშობილი ძლიერი და ჯანმრთელი რომ იყოს, ძლიერი იმუნიტეტი რომ ჰქონდეს, მნიშვნელოვანია დედის რძით იკვებოს. სწორედ ასევე შეიძლება ითქვას დედა-ენის შესახებაც: „პირველს სულიერს საზრდოს დედა-ენა უნდა აძლევდეს ბავშვსა“ **(გოგებაშვილი, 1984 :222).** ადამიანი, რომელიც მოკლებულია დედა-ენის სწავლებას, მისი განვითარება მიდის გენეტიკური კოდის საწინააღმდეგოდ, მაშინ სხვა ენა

ღრმად ვერ გაიდგამს ფესვებს გულსა და გონებაში, რადგან შინაგანად მომზადებულ მემკვიდრულ ნიშანს შესაფერისი გარემო არ ხვდება.

დედა-ენის უარყოფით გამოწვეული შედეგები ძალიან მძიმეა: „ბავშვი და-ბადებიდგან მოკლებული დედა-ენის გამაცოცხლებელს გავლენას, ისე ძნელად ისწავლის ჯეროვან აზროვნებას და ისეთივე უხეირო ჭუის პატრონი გამოვა, როგორც უხეირო მემუსიკედ შეიქმნება ადამიანი“ **(გოგებაშვილი, 1984 :208).** ენის უარყოფა ერის უარყოფაა, ამიტომ სჯის ასე მკაცრად ბუნება ყველა იმას, ვინც არღვევს მის კანონებს.

თუ რა მდგომარეობაა ენაზე ზრუნვის თვალსაზრისით ჩავატარე კვლევა. კვლევის შედეგები ასე გამოიყურება:

კითხვები:	დიახ	არა	თავს შევიკავებ	არ ვიცი
1.როგორ ფიქრობთ მშობლიური ენა არის თუ არა ბურჯი ეროვნების?	90%	2%	7%	1%
2. თქვენი აზრით, დედაენა ერის სულთან და ხორცთან ღრმად არის დაკავშირებული?	96%	1%	2%	1%
3.მშობლიური ენის ძირებთან ადმიანი გენეტიკურად არის დაკავშირებული?	75%	13%	9%	3%
4.ეთანხმებით თუ არა, რომ მშობლიური ენა სხვა ენების სწავლების საფუძველია?	75%	16%	8%	1%
5.როგორ ფიქრობთ, მიზანშეწონილია პარალელურ რეჟიმში რამდენიმე უცხო ენის ერთდროულად სწავლება, ადრეულ ასაკში?	41%	55%	2%	2%

გამოკითხულთა შორის ღია კითხვებზე პასუხები შემდეგნაირია: კითხვაზე, თქვენი აზრით, პირველ კლასში უცხო ენის სწავლება ბავშვის ფსიქიკაზე უარყო-ფითად მოქმედებს? გამოკითხულთა უმრავლესობა, 54%, მიიჩნევს, რომ უარყო-ფითად მოქმედებს, აქედან 23% განმარტავს, პირველ კლასში მოსწავლეს ბევრ

რამესთან შეგუება უწევს და უცხო ენის დამატება იწვევს მის ზედმეტ გონებრივ დატვირთვას. ბავშვმა ჯერ მშობლიური ენა არ იცის და ორი ენის ერთდროულად სწავლამ შეიძლება ფსიქიკაზე უარყოფითად იმოქმედოს. 35%-არ მოქმედებს, აქედან 4% განმარტავს, პირველ კლასში მოსწავლე ისეთ ასაკშია მას უფრო ადვილად შეუძლია უცხო ენის ათვისება და მეტი ინფორმაციის დამახსოვრება. 3%-კითხვას არ პასუხობს, 7%-ნაწილობრივ მოქმედებს, 1%-არ ვიცი. რა თქმა უნდა, ვეთანხმები იმ აზრს, რომ ბავშვის გონება ძალიან სწრაფად იმახსოვრებს ახალ ინფორმაციას და მითუმეტეს ადვილად სწავლობს უცხო ენას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ განვითარება არასწორი მიმართულებით წარვმართოთ და გადავტვირთოთ მისი გონება, არამედ მნიშვნელოვანია დავიცვათ სისტემურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი ჯერ მშობლიური ენა ვასწავლოთ და შემდეგ სხვა ენა. კითხვაზე, როგორ ფიქრობთ, ქმნის თუ არა სირთულეებს უცხო ენის მშობლიურ ენასთან ერთად სწავლება? 45%-არ ქმნის სირთულეებს, აქედან 3%-პირიქით უკეთესია, 6%-გააჩნია ასაკს და ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებს. 44%-ქმნის სირთულეებს, აქედან 16%-როცა ერთდროულად ისწავლება ორი ენა შესაძლოა ერთმანეთში აღრევა მოხდეს და ბავშვის ტვინის გადაღლა. 8%-ნაწილობრივ ქმნის სირთულეებს, 3%-კითხვას არ პასუხობს. რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, უცხო ტერმინებით მეტყველება მაშინ, როდესაც მას მშობლიურ ენაზე შესატყვისი მოეძებნება? 85%-არ მიაჩნია მიზანშეწონილდ, აქედან 10% განმარტავს, რომ უცხო ტერმინებით მეტყველება ენის გადაგვარებას იწვევს. 7%-მიზანშეწონილია, 8%-კითხვას არ პასუხობს. როგორ ფიქრობთ, რა არის ენაში უცხო სიტყვების შემოდინების საფუძველი? 71%-ასახელებს სხვადასხვა მიზეზებს: საკუთარის დაუფასებლობა, არასრულფასოვანი ცოდნა მშობლიური ენისა, უცხო ენის სწავლებაზე უპირატესობის მინიჭება, ტურისტების ხშირი მიმოსვლა, გლობალიზაცია, თანამედროვე ტექნოლოგიები, სოციალური ქსელები, ტელევიზია, უცხო ქვეყნის გავლენა, მიგრაცია, რა თქმა უნდა, ყველა ჩამოთვლილი განმაპირობებელია უცხო ტერმინების შემოდინებისა, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი და უპირველესი ვფიქრობ, დაწყებითი საფეხურის პირველივე კლასიდან უცხო ენის სწავლებაზე უპირატესობის მინიჭებაა, 25%- კითხვას არ პასუხობს, 2%- არ ვიცი, 2%- თავს შევიკავებ. როგორ უნდა დავიცვათ ენა? 84%-სხვადასხვაგვარად აღნიშნავს, ვწეროთ და ვიმეტყველოთ ქართულად, შთამომავლობას ჩავუნერგოთ ენისადმი დიდი სიყვარული და ვასწავლოთ, რომ მშობლიური ენა ჩვენთვის ღირებულია და უპირველესი, სკოლებში სწავლის დროს დედაენას უფრო მეტი დრო დავუთმოთ, კარგი იქნება თუ ბავშვებს ქართულენოვან საბავშვო გადაცემებს ვაყურებინებთ.

დასკვნა

ამრიგად, როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ენა მთავარი ბურჯია ეროვნების, მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ადამიანის სულთან და ხორცთან ღრმად არის დაკავშირებული და ეს კავშირი გენეტიკურია. საზოგადოების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მშობლიური ენა სხვა ენების სწავლების საფუძველია, რომ თავდაპირველად, ბავშვი მშობლიური ენის ძირებით უნდა საზრდოობდეს, რათა სამომავლოდ მყარი ნიადაგი ჰქონდეს უცხო ენების შესასწავლად. თუ გვსურს, სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებული და შედეგის მომცემი იყოს, უნდა გავითვალისწინოთ ყველა ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობა, ასაკობრივი თვისებურებები და შესაბამისად, ინგლისური ან სხვა რომელიმე უცხო ენა პირველ კლასში არ უნდა ისწავლებოდეს, რადგან ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე არ არის მიზანშეწონილი და კვლევის შედეგებიც ამას მოწმობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბილანიშვილი ი. მხატვრული ფილმი „ფესვები“;
2. გოგებაშვილი იაკობი, „თხზულებანი", საბჭოთა საქართველო, 1984;
3. გოგებაშვილი იაკობი „იავნანამ რა ჰქმნა“;
4. მაღლაკელიძე ნათელა, „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა“ გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2013
5. უშინსკი კ. „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“ 1974;
6. ჩიქობავა არნოლდ, „ენათმეცნიერების შესავალი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2008
7. ძიძიგური შოთა, „ქართული ენის თავგადასავალი“ მეცნიერება.

Abstract

The scientific work deals with one of the main pillars of the nation – the language. The importance of the language development and the connection of it with the soul of the country. How to defend the language. The paper also, refers to the basis of mother tongue and its connection with teaching another languages. What is the result of regecting the mother tongue and learning several foreign languages together. According to the surrey which consists with 10 open and close questions. The main idea of this research is to identify people’s opinions clearly and it aimed to find out the attitude of these issues. As it turned out majority of people believes that the language is the main pillar of the nation and protecting. It means to depend the great love of the language into generation.

ლიდერობა - როგორ შევქმნათ იდეალური მომავალი

ნინო ყაჭეიშვილი
ბსუ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი,
დაწყებითი განათლება, მესამე კურსი.
ელ.ფოსტა: nino10kacheishvili@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გული შერვაშიძე,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომში საუბარი არის ლიდერზე, როგორც გუნდის წარმმართველსა და გუნდის წარმატების გარანტზე. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ანკეტირების სახით, გამოიკითხა 100 სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი. კვლევა მიზნად ისახავდა დაგვედგინა საზოგადოების აზრი და შეგვედარებინა იგი სხვა დროს და სხვა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებთან. ძირითადად საკვლევ საკითხს შეადგენდა ლიდერის დეფინიციის განსაზღვრა, იდეალური მომავლის შექმნის ხელშემწყობი ფაქტორების დადგენა, მმართველობის ფორმისა და ლიდერისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისებების დადგენა, ასევე ვიკვლევდით ლიდერის მნიშვნელობას წარმატებული მომავლის შექმნაში.

შესავალი

21 საუკუნის სწრაფად ცვლად გარემოში ძალიან მნიშვნელოვანია თითოეულმა ინდივიდმა აუწყოს ნაბიჯი ცხოვრების სწრაფ რიტმს. ოჯახი, ბაღი, სკოლა, უნივერსიტეტი, სამსახური ის მცირედი ჩამონათვალია, რომელშიაც გვიწევს ცხოვრება და მოღვაწეობა თითოეულ ინდივიდს და ამ რგოლებში ჩართვისას იკვეთება ლიდერი, რომელსაც ან ვემორჩილებით ან საერთოდ არ ვემორჩილებით, რომელთანაც ვთანამშრომლობთ, ან თავს ვარიდებთ თანამშრომლობას რომელთან ერთადაც ვაღწევთ წარმატებას ან მასთან ერთადვე განვიცდით წარუმატებლობას.

სამეცნიერო წყაროთა ანალიზის შედეგად იკვეთება ლიდერის რამოდენიმე ტიპი და ეს ტიპებია: ლიდერი რომელიც არ თანამშრომლობს გუნდთან, ლიდერი რომელიც უბრძანებს გუნდს და ლიდერი რომელიც თანამშრომლობის პრინციპით სარგებლობს და გუნდთან ერთად ცდილობს მიაღწიოს დასახულ მიზნებს. ლიდერის და ლიდერობის მნიშვნელობა იმდენად დიდი არის, რომ საჭიროდ

ჩავთვალეთ სწორედ აღნიშნულ საკითხზე მოგვემზადებინა ნაშრომი გამოგვეკითხა საზოგადოება და დაგვედგინა ლიდერის, როგორც გუნდის წარმმართველის როლი იდეალური მომავლის შექმნაში.

ძირითადი ნაწილი

ლიდერობა ეს არის, ადამიანთა გარკვეული ჯგუფის დასახული მიზნის მისაღწევად, გაძღოლის ცოდნა და უფლება. „ლიდერი არის ის ვინც ყველაზე ძლიერ ზემოქმედებს ჯგუფის წევრებზე და მათ ქცევაზე“ (ი. იმედაძე. „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, გვ.263). ლიდერობის განსხვავებულ დეფინიციას გვთავაზობს სხვადასხვა ავტორი, თუ თეორეტიკოსი, მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი, რაც ძირეულად განსაზღვრავს ლიდერობის ფუნდამეტურ არსს ეს არის, ქოულის განსაზღვრება: „ლიდერი არის ის, ვინც შეძლებს მიაღწიოს იმას, რომ მას გაყვნენ“ (პიტერ ნორთ ჰაუზი, „ლიდერობა“)

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ლიდერობა ფართო ცნებაა და მასში გაერთიანებულია სხვადასხვა კომპონენტი. წყაროთა ანალიზის თანახმად ლიდერობაში გამოიყოფა 3 თეორია, ესენია: ნიშნის თეორიები; ქცევის თეორიები და სიტუაციური თეორიები. (დ. ჩარკვიანი, „ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში“, გვ.156-189)

1960-იან წლებში ჩატარებულმა სხვადასხვა კვლევამ გამოავლინა პიროვნების ის ნიშნები (80-მდე ნიშანი), რომელიც ლიდერისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ თვისებებიდან ყველა ლიდერს ახასიათებს თითოეული მათგანი. კვლევების შედეგად გამოიკვეთა ყველა ლიდერისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები, ესენია: ამბისიურობა, ენერგიულობა, ადამიანთა ჯგუფის ხელმძღვანელობის სურვილი, პატიოსნება, საკუთარი ძალების რწმენა, ჭკუა, საკუთარი მოქმედების კონტროლის უნარი, ღრმა პროფესიული ცოდნა.

წყაროთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ლიდერისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი დაიყვანება „დიდი ხუთეულის“ მოდელზე (Big-Five-Model). ამ 5 საბაზისო ერთეულს წარმოადგენს:

ა) ექსტრავერსია- რაც ასახავს ადამიანის სხვა ადამიანთან ურთიერთობის კომფორტულ დონეს. ექსტრავეტორები კომუნიკაბელურები და გახსნილები არიან, ხოლო ინტროვენტები- არაკომუნიკაბელურები, მორცხვები და მშვიდები.

ბ) შემგუებლობა/შემთვისებლობა- ადამიანები მაღალი შემგუებლობით, სიამოვნებით თანამშრომლობენ სხვა ადამიანებთან, ენდობიან ადამიანებს და მეგობრულად ეპყრობიან მათ. ადამიანები დაბალი შემგუებლობით ცივები, ჯიუტები არიან და ყველა შემთხვევაში ცდილობენ საკუთარი აზრის გატანას.

გ) კეთილსინდისიერება-საიმედობის მაჩვენებელია, ნამდვილად კეთილ-სინდისიერ ადამიანს ახასიათებს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, ის ორ-განიზებულია, საიმედო და მედგარი.

დ) ემოციური მდგომარეობა- გულისხმობს სტრესებისადმი მდგრადობას. ადამიანები, რომლებიც სტრესებისადმი მაღალი მდგრადობით გამოირჩევიან, როგორც წესი მშვიდები, საკუთარ თავში დარწმუნებულები და გაწონასწო-რებულები არიან.

ე) გახსნილობა/ღიაობა გამოცდილებისადმი- ასახავს ადამიანის ინტერესს სიახლისადმი. გამოცდილებისადმი გახსნილობა დამახასიათებელია შემოქმედე-ბითი, ცნობისმოყვარე, ადამიანებისათვის.

აღსანიშნავია კუზესის და პოზნერის კვლევები, რომლის მიხედვითაც გან-საზღვრულია

ლიდერის ოთხი უმაღლესი თვისება, ესენია: პატიოსნება, შორსმჭვრეტე-ლობა, შთამაგონებლობა, კომპეტენტურობა.

ქცევითი, ანუ ფუნქციონალური თეორიის მოაზროვნენი ლიდერის ქცევის სტილს და მათ ფუნქციებს შეისწავლის. ქცევითი ფორმის შესწავლა მოხდა არაერ-თი დაწესებულებისა, თუ ორგანიზაციის მიერ, მაგრამ ამ კუთხით განსაკუთ-რებით ყურადსაღებია ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის გამოკვლევა, ქცევითი ფორმის შესახებ.

სიტუაციურ თეორიებში ლიდერობასთან მიმართებით გამოყოფენ რამოდე-ნიმე თეორიას:

1) ფიდლერის მოდელი
2) ლიდერსა და ხელქვეითს შორის ქცევის თეორია
3) გზა-მიზანი თეორია
4) ლიდერის მიერ გადაწყვეტილების მიღების თეორია (დ. ჩარკვიანი, „ფსი-ქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში“, გვ. 156-189)

5) სამეცნიერო წყაროთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ავტორი განსხვავებულად აღწერს და გამოყოფს ლიდერის ტიპს. მაგალითად, რ. ჰაუზი კვლევებზე დაყრდნობით გამოყოფს ლიდერობის სტილის 4 ფორმას, ესენია:

1) მბრძანებლური ლიდერი;
2) მხარდამჭერი ლიდერი;
3) თანამონაწილეობრივი ლიდერი;
4) მიღწევაზე ორიენტირებული ლიდერი.

ლევინი კი გამოყოფს ლიდერის 3 ტიპს, ესენია: ავტორიტეტული, ავტორი-ტარული და ლიბერალური მართვის სტილი. მან, ჩაატარა ცდა, რომელშიც მო-ნაწილეობდა ათიოდე მოსწავლე და მასწავლებელი. მოსწავლეები დაყოფილი

იყვნენ ჯგუფებად (3 ჯგუფად). ერთ-ერთ ჯგუფში გადაწყვეტილებას იღებდა ერთპიროვნულად მასწავლებელი, რაც არის ავტორიტარული მართვის სტილი. მეორე ჯგუფში გადაწყვეტილების მიღებაში ჯგუფის ყველა წევრი იყო ჩართული, რაც არის დემოკრატიული მართვის სტილი, ხოლო, მესამე ჯგუფში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მასწავლებელი თითქმის არ ერეოდა, რაც წარმოადგენს ლიბერალური მართვის სტილს. ცდის შედეგებიც სწორედ, რომ მმართველობის ფორმის საპირწონე აღმოჩნდა. ავტორიტარული მმართველობის დროს შედეგი საკმაოდ მაღალპროდუქტული იყო, მაგრამ ცდის პირთა კმაყოფილება - დაბალი. დემოკრატიული სტილით მართვის შემთხვევაში მოსწავლეთა კმაყოფილების დონეც მაღალი იყო და ხარისხიც, ხოლო ლიბერალური მმართველობის დროს გამოიკვეთა ცდისპირთა აშკარა უკმაყოფილება და დაბალი ხარისხი. (ი. იმედაძე, „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, გვ. 364-365)

გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ლიდერისათვის დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია ლიდერი ფიქრობდეს გუნდის წარმატებაზე და დემოკრატიული პრინციპით იხელმძღვანელოს, რადგან შედეგის ხარისხი (პროდუქტულობა) და გუნდის წევრთა კმაყოფილება სრულ თანხვედრაში იყოს. მაშინ როცა ლიდერი წარმატებაზე არის ორიენტირებული და ნათლად აქვს მიზანი დასახული შედეგიც მაღალხარისხიანია და გუნდის წევრთა კმაყოფილებაც. ავტორები ია ჟვანია და გიორგი კიკნაძე სხვა თვისებებთან ერთად ლიდერისათვის უმთავრეს თვისებად გმოკვეთს მუშაობის პროცესში იუმორის გამოყენებას. მკვლევარები თვლიან, რომ წარმატებული გუნდის შექმნისათვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენ იუმორი. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, კი გამოკითხულთა მხოლოდ 3%-მა მიუთითა, რომ ლიდერისათვის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული თვისება.

ჰალპინის მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომლითაც მოხდა თვითმფრინავის კაპიტნებისა და სკოლის დირექტორების შესწავლა დაადგინა ეფექტიან ლიდერობასთან ასოცირებული ორი ქცევა, ესენია: სტრუქტურის ინიცირება და ყურადღებიანობა.

სტრუქტურის ინიცირებისას ლიდერის პასუხისმგებლობაში განხილვა გულისხმობს, რომ ლიდერი შეძლებს განსაზღვროს თითოეული წევრის მოსალოდნელი ქცევა და ორიენტირებული იყოს „საქმის შესრულებაზე“. ჰალპინის მიერ დასახელებული ლიდერის მეორე ქცევას წარმოადგნს ყურადღებიანობა, მაშინ, როცა ადმინისტრატორი შეითვისებს ყურადღებიანი ლიდერის როლს, იგი მარტივად შეძლებს განავითაროს პოზიტიური და დამაკმაყოფილებელი ურთიერთობები თანამშრომლებს შორის. გამომდინარე აქედან მაშინ, როცა ლიდერის

სტრუქტურული ინიცირება ამოცანაზეა ფოკუსირებული, ყურადღებიანობა ადამიანზე აქცენტს მოიაზრებს. (რ.ა. გორტონი; ჯ.ა. ალსტონი; პ.ი. სნოუდინი, „ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლებში“, გვ.27-45)

სამეცნიერო წყაროს ანალიზი გვიჩვენებს რომ ეფექტიანი გუნდის შესაქმნელად აუცილებელი არის 12 მარტივი ნაბიჯის გადადგმა. ეს 12 ნაბიჯი შემდეგნაირად გამოიყურება:

1) გუნდის მომავალი წევრების წინასწარ შეხვედრა
2) გუნდის მისია
3) როლების განაწილება
4) ჯგუფის ინდივიდუარული სახის შექმნა
5) მოქმედების გეგმის შექმნა
6) სიტყვების; „ჩვენ“ და „ჩვენი“ გამოყენება
7) არადომინირება
8) ქსელის განვითარება
9) დროის გამოყოფა არაფორმალური შეხვედრისათვის
10) გუნდის კონცეფციის გაძლიერება
11) იუმორის გამოყენება
12) თავისუფალი ატმოსფეროს შექმნა (ია ჟვნანია, გიორგი კიკნაძე, „ლიდერი და ლიდერობა“)

სამეცნიერო წყაროს ანალიზი გვიჩვენებს, რომ გუნდის წარმატებისათვის უმნიშვნელოვანესია, ფორმალურ გარემოსთან ერთად გუნდის წევრთა შეხვედრა არაფორმალურ გარემოში, გუნდის გაერთიანება ერთი მიზნის გარშემო და გზების დასახვა. ზემოთ აღნიშნული აქტივობები წარმოადგენს გუნდის ლიდერის ქმედით ღონისძიებებს რომელიც წარმატებაზე არის ორიენტირებული.

სამეცნიერო ლიტერატურათა ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ლიდერს ქონდეს: მოსმენის ნიჭი; მნიშვნელობის მენეჯმენტი; რწმენის მენეჯმენტი და საკუთარი თავის მენეჯმენტი. მაშინ, როცა ლიდერს ესმის, თუ რა არის მნიშვნელოვანი და აქვს რწმენა იდეის, რომლის გარშემოც არის გუნდი გაერთიანებული, სჯერა, რომ გუნდის წარმატება გარდაუვალია და შეუძლია მოუსმინოს გუნდის თითოეულ წევრს დადებითად ისახება გუნდის საერთო წარმატებაზე. აუცილებელი კომპონენტია, ლიდერი მოუფრთხილდეს გუნდის წევრთა დროს ამას მოწმობს ერთ-ერთი ცნობილი დირიჟორის, ფლეიჩერის, შემთხვევა. ფლეიჩერი იყო ძალიან ძლიერი და წარმატებული თავის კარიერაში, ერთ-ერთი ჯურნალისტი და რედაქციის რედაქტორი გამუდმებით ცდილობდა მისგან აეღო ინტერვიუ, მაგრამ ყოველი მცდელობა უშედეგოდ

სრულდებოდა. აღნიშნულმა ჯურნალისტმა ერთ დღეს ფლეიჩერის მოსწავლეებისაგან სრულიად შემთხვევით მიიღო შეკითხვაზე, თუ: „რა არის ფლეიჩერის წარმატების საიდუმლო“ პასუხი და ერთ-ერთმა სტუდენტმა უთხრა: „ მე ვიცი რა არის მისი სიძლიერის საიდუმლო, ის უფრთხილდება ჩვენს დროს“, ეს შემთხვევა ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლიდერის მიერ სწორად განსაზღვრული და შესრულებული მოქმედებები რაც, პირდაპირი წესით ისახება გუნდის წარმატება/წარუმატებლობაზე. ასევე აუცილებელიალიდერი ფლობდეს მნიშვნელობის მენეჯმენტის უნარს: „ლიდერმა ისე უნდა წარუდგინოს თავისი იდეა, რომ იგი თითქმის ხელშესახები, მატერიალური, რეალური გახდეს, მთავარია ადამიანები გაჰყვნენ იდეას“. (ია ჟვანია, გიორგი კიკნაძე, „ლიდერი და ლიდერობა“)

ლიდერობასა და წარმატებული მომავლის შექმნასთან დაკავშირებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავატარეთ კვლევა, ანკეტირების სახით, რომელიც მიზნად ისახავდა დაგვედგინა საზოგადოების აზრი და შეგვედარებინა იგი სხვა დროს და სხვა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებთან. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწუიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ მასწავლებლემბა, კვლევაში მონაწილეობდა 100 სტუდენტი და ფროფესორ-მასწავლებელი.

კვლევის შედეგები:

შეკითხვაზე, თუ „რას ნიშნავს თქვენთვის ბედნიერება?“ გამოკითხულთა 19%-მა აღნიშნა, რომ ბედნიერება ნიშნავს წარმატებულ კარიერას, 7%-მა აღნიშნა, რომ ნიშნავს ფულს, 17%-მა აღნიშნა, რომ ნიშნავს სიყვარულს, 51%-მა აღნიშნა, რომ ბედნიერება ნიშნავს ოჯახსა და მეგობრებს, 3%-მა დააფიქსირა, რომ ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ არის მათთვის ბედნიერების აღმნიშვნელი, ხოლო 13%-მა არ უპასუხა ზემოთ აღნიშნულ შეკითხვას.

შეკითხვაზე, თუ „რა უწყობს ხელს იდეალური მომავლის შექმნას ?“, გამოკითხულთა 31%-მა აღნიშნა მიზანდასახულობა, 41%-მა აღნიშნა შრმისმოყვარეობა, 2%-მა - ინტელექტი, 4%-მა - უბრალოდ ბედისწერა, 1%-მა - მატერიალურად უზრუნველყოფილი მომავალი, ხოლო 1%-მა არ უპასუხა აღნიშნულ შეკითხვას.

შეკითხვაზე: „ლიდერობის რომელ ფორმას ანიჭებთ უპირატესობას და რატომ?“ , 33%-მა აღნიშნა- ავტორიტეტული, 7%-მა აღნიშნა- ავტორიტარული, 26-მა აღნიშნა - ლიბერალური, ხოლო 34%-მა არ დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ შეკითხვაზე

შეკითხვაზე: „ამოირჩიეთ ლიდერისათვის დამახასიათებელი 3 ძირითადი თვისება“ გამოკითხულთა პასუხების ანალიზის შედეგი შემდეგნაირად გამოიყურება:

1) 36%- პატიოსნება;
2) 32%- შორსმჭვრეტელობა;
3) 12% - შთამაგონებლობა;
4) 29% - კომპეტენტურობა;
5) 26%- გახსნილობა/ღიაობა;
6) 6% - შემთვისებლობა;
7) 47% - ნიჭი/ჭკუა/ცოდნა;
8) 31% - ღრმა პროფესიული ცოდნა;
9) 2%- საკუთარი ძალების რწმენა;
10) 10% ამბიციურობა ;
11) 3%- იუმორი;
12) 2%- ყველა ზემოთ ჩამოთვლილი;
13) 0%- არც ერთი;
14) 0% - თავს შევიკავებ.

შეკითხვაზე: „არის თუ არა დამოკიდებული ლიდერზე გუნდის წარმატება?“, გამოკითხულთა 91%-მა აღნიშნა რომ დამოკიდებულია ლიდერზე გუნდის წარ-მატება, 6%-მა აღნიშნა, რომ არ არის ლიდერზე დამოკიდებული გუნდის წარმა-ტება, ხოლო 3%-მა თავი შეიკავა აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისაგან.

შეკითხვაზე: „უწყობს, თუ არა ლიდერი ხელს წარმატებული/იდეალური მომავლის შექმნას ?“ გამოკითხულთა 67% თვლის რომ ხელს უწყობს იდერი წარმატებული მომავლის შექმნას, 9% თვლის რომ ნაწილობრივ უწყობს, 5% თვლის რომ არ უწყობს, ხოლო 24% ამ საკითხზე, უბრალოდ, არ უფიქრია.

შეკითხვაზე, თუ: „რას ნიშნავს ლიდერობა და ვინ არის ლიდერი?“ პასუხები მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ლიდერი არის გამორჩეული პირი რომელიც წარუძღვება გუნდს. პიროვნება, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობის, შრომისმოყვარეობის და მმართ-ველობის უნარები რომლის საშუალებითაც სწორი და სასარგებლო მიზნისაკენ გააერთიანებს ადამიანთა ჯგუფს. ლიდერი არის მთავარი წარმმართველი გუნდური/ჯგუფური მუშაობისას. აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი არ დააფიქსირა გამოკითხულთა 26%-მა.

კვლევაში მონაწილე პირთაგან შეკითხვაზე,თუ: „ როდის იღიმით/იცინით?“ გვიპასუხეს, რომ იღიმიან/იცინიან მაშინ, როცა იგებენ კარგ ამბავს; როცა ირგვლივ ყველა ბედნიერია; როცა წარმატებას მიაღწევენ; ხედავენ მათთვის საყვარელ ადამიანებსა და ოჯახის წევრებს, მაშინ როდესაც თავს ბედნიერად გრძნობენ. აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის დაფიქსირებისაგან თავი შეიკავა 19%-მა, ხოლო 1%-მა აღნიშნა, რომ იღიმის მაშინ როცა სიკეთეს უკეთებს სხვებს.

დასკვნა

ლიდერობა არის ფართო და კომპლექსური საკითხი. სხვადასხვა მკვლევარი, სხვადასხვა დროს იკვლევდა და ამდიდრებდა ცოდნას ამ თემის შესახებ. ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა ლიდერის ყველაზე მთავარი თვისებები და განგვესაზღვრა, თუ რამდენად უწყობს ხელს ლიდერი იდეალური მომავლის შექმნასა და გუნდის წარმატებას ხელს. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ლიდერი უწყობს ხელს, როგორც იდეალური მომავლის შექმნას, ასევე გუნდის წარმატებას. გამოკითხულთა უმეტესობამ, კერძოდ კი 33%-მა აღნიშნა , რომ მათთვის მისაღებია ავრორიტეტული, ანუ დემოკრატიული ლიდერობის ფორმა. კვლევის ანალიზის შედეგად შეგვიძლია შემოგთავაზოთ ის 5 თვისება/უნარი, რომელზეც ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა, ესენია: ნიჭი/ჭკუა/ცოდნა- 47%, პატიოსნება-36%, შორსმჭვრეტელობა-32%, ღრმა პროფესიული ცოდნა-31%, კომპეტენტურობა- 29%, გახსნილობა-ღიაობა-26%. გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოება მზად არის მიიღოს ლიდერი, რომელიც გამოიყენებს მმართველობის დემოკრატიულ ფორმას, იქნება ღია ყველასთვის, მოუსმენს გუნდს, გაუზიარებს ცოდნას და გამოცდილებას და გუნდთან ერთად იზრუნებს წარმატებისა და მიზნის მიღწევაზე, ხოლო მარცხის შემთხვევაში მათთან ერთად განიცდის წარუმატებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ი. იმედაძე „ ფსიქოლოგიის საფუძვლები“ გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2007 წელი;

2) დ. ჩარკვიანი „ ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში“, თბილისი 2001 წელი;

3) პიტერ ნორთჰაუზი, „ლიდერობა“ https://www.academia.edu/35075716/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%98_%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.pdf

4) რ.ა. გორტონი; ჯ.ა. ალსტონი; პ.ი. სნოუდინი, „ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლებში“ https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/lideroba-da-administrireba-skolashi-richard-gortoni-judi-a.-alstoni-petra-i.-snoudoni.pdf

5) ია ჟვანია, გიორგი კიკნაძე, „ლიდერი და ლიდერობა“ http://www.bpa.ge/book/book10.pdf

Abstract

There is talk in the work, it is about the leader as the team leader and the guarantor of team success. We conducted a survey and interviewed 100 students and professors at Shota Rustaveli State University. The purpose of the study was to compare public opinion with those of other time and in other countries. The focus of the study was to define definition of leader to identify the factors that contribute to the creation of an ideal future, to determine the form of governance and key attributes of a leader, as well as to identify the leader in creating a successful future.

უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლე

სალომე ფუტკარაძე
ბსუ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი,
დაწყებითი განათლება, მესამე კურსი.
ელ.ფოსტა: 61010018342@bsu.ge
სამეცნიერო თემის ხელმძღვანელი: გული შერვაშიძე,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი

აბსტრაქცია

სამეცნიერო ნაშრომში საუბარია წიგნიერებაზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და წიგნის როლზე და ფუნქციაზე ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ანკეტირების სახით, გამოიკითხა 100 სტუდენტი, პროფესორ-მასწავლებლები და რამდენიმე მოსწავლე. კვლევა მიზნად ისახავდა დაგვედგინა საზოგადოების აზრი და შეგვედარებინა სხვა კვლევებთან. ძირითად საკვლევ საკითხს შეადგენს წიგნის მნიშვნელობა, წიგნიერების ტერმინს განსაზღვრება, წიგნიერების დაბალი დონე რისგან არის გამოწვეული და უწყობს თუ არა განათლება ხელს წიგნიერების ამაღლებას.

შესავალი

წიგნიერება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საქართველოში. ვისაუბრებ, რამ გამოიწვია წიგნის უკანა პლანზე გადაწევა და რამ დააკნინა მისი მნიშვნელობა. განვმარტავ მეცნიერულად წიგნიერებას და რა ადგილი უნდა უკავოს წიგნს ჩვენს ცხოვრებაში. შემოგთვაზებთ ჩემ მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს, ვისაუბრებ სხვადასხვა კვლევებზე, ჩავატარებ კვლევას და ანალიზს გავუკეთებ ჩემ მიერ ჩატარებულ კვლევას.

ძირითადი ნაწილი

„წიგნი ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია“ ეს ის ფრაზა, რომელიც რეალურ ცხოვრებაში გამოყენებული უნდა იყოს. დღეს ეს ასე არ არის. მკითხველი აღარ მიდის წიგნთან. დევიდ დენბი ამბობდა: „მე მქონდა ინფორმაცია და არა ცოდნა, შეხედულებები და არა პრინციპები, ინტერესები და არა მრწამსი“. (www.tabula.ge/ge/tablog/65440-tsigni-sulis-gimnastika). დენბისათვის ეს ყოველივე შეიცვალა, როცა 48 წლის ასაკში კლასიკოსების კითხვა დაიწყო. კარგი იქნება თუ

ყველა ადამიანი უფრო ადრეულად დაიწყებს წიგნის კითხვას და დარწმუნდება დენბის მსგავსად, რომ უწიგნოდ ადამიანის შეხედულებები ცხოვრებაზე, ნებისმიერ ფასეულობებზე მწირი ცოდნა ჰქონია. თუ გინდა, რომ გახდე სამყაროს წევრი გაეცანი წინა თაობების ბრძნულ შეხედულებებს, რომ ჩამოყალიბდე კულტურულ ადამიანად წაიკითხე წიგნები, რომლებშიც ისწავლი მას.

უკეთესები და ჭკვიანები, რომ ვიყოთ თავისუფალ დროს ვიკითხოთ წიგნები, იმის ნაცვლად, რომ სოციალურ სივრცეში ტყუილად დრო დავკარგოთ. იშვიათია, ვინმეს დავუნახო ხელში წიგნი და თავისუფალ დროს კითხულობდეს. პირველი რამაც წიგნი უკანა პლანზე გადაწია არის ინტერნეტ სივრცე. საზოგადოებაში ისმის ფრაზა „ რად მინდა წიგნის კითხვა? ინტერნეტში არის ყველანაირი წიგნი ატვირთული და იქ წავიკითხავ“. ინტერნეტში კი არის ატვირთული სხვადასხვა კლასიკოსისა თუ თანამედროვე მწერლის მხატვული შემოქმედება, მაგრამ ამის წასაკითხად არავის სცალია, სხვა უფრო მნიშვნელოვან გასართობ საშულალებებს აქცევენ ყურადღებას და ავიწყდებათ წიგნი. გორკი ამბობდა: „გიყვარდეს წიგნი - იგი გაგიადვილებს ცხოვრებას, მეგობრულად დაგეხმარება, შეგასწავლის პატივისცემას ადამიანისა და საკუთარი თვისა“. ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ შევეცდები დაგარწმუნოთ, რომ წიგნი მართლაც ცხოვრების თანამგზავრია. იქედა ბევრი რაღაცის სწავლაა შესაძლებელი, მაგრამ წიგნით კი არ უნდა ვიცხოვროთ, არამედ მასში მოცემული ინფორმაციას გავუკეთოთ ანალიზი და რაც ღირებულია ის გამოვიყენოთ რეალურ ცხოვრებაში.

ცნობილი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე მის ერთ-ერთ ნაწარმოებში „ოთარაანთ ქვრივის“ ერთ თავში, „უეცარი წკიპურტი“ წერს „ ... ის, ჩემო კარგო, რაც თავმოწონებულ არცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია. თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს. ... მე აბუჩად წიგნებს კი არა, ჩემს თავს ვიგდებ: არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთხედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნიდანაც საგმარისად გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგრობარისთვისაც კი ოსტატია. ეს ტყუილი თაკილია...“ (ი. ჭავჭავაძე, მოთხრობები, გამომცემლობა პალიტრა L 2012, გვ.131-132.). ილიამ ეს სიტყვები ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს, არჩილს ათქმევინა, რომელსაც განათლება უცხოეთში ქონდა მიღებული. ბევრი წიგნი

ჰქონდა წაკითხული, მაგრამ გიორგი, რომელიც იყო მისი მოჯამაგირე ცხოვრებისეული გაკვეთილი ჩაუტარა და დაარწმუნა იმაში, რომ მარტო წიგნების კითხვით ცხოვრებას ვერ ვისწავლით, თუმცა დაგვეხმარება მარტივად გადავლახოთ ცხოვრებისეული სირთულეები, დაგვეხმარება ვისწავლოთ სხვისი და საკუთარი თავის პატივისცემა და სხვა.

ზემოთ ვახსენე სოციალურმა სივრცემ დაავიწყა საზოგადოებას წიგნის კითხვა. მარტო ეს არ არის მიზეზი. XXI საუკუნემ განვითარების პიკს მიაღწია. ადამიანები მატერიალურ კეთილდღეობისათვის დილიდან საღამომდე მუშაობენ და დრო არ რჩებათ წიგნის კითხვისათვის. ასეთი დატვირთვის გამო უფროსი თაობა შეცდომას უშვებს, რომ არ აკონტროლებენ თავიანთი შვილების დღის განრიგს, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ეს მათი დაუდევრობით არ ხდება. მოზარდი თაობა კი უქმათ ხარჯავს თავიანთ ძვირფას დროს, იმის ნაცვლად რომ წიგნების კითხვით ან სხვადასხვა სახალისო ფიზიკური აქტივობებით დაკავდნენ.

წიგნის კითხვა ბევრ სასიამოვნო შეგრძნებას გვასწავლის. საოცნებათა სამყაროში გვამოგზაურებს. მხატვრული ლიტერატურის ავტორები ყოველთვის ამას აკეთებდნენ. დღეს მოზარდ თაობას და ზოგადად საზოგადოების უმრავლესობას წიგნის კითხვა ვალდებულება გგონიათ, იმიტომ რომ ეშინიათ სხვასთან საუბრის, კერძოდ წიგნების შესახებ საუბრისას არ შერცხვეთ და ერთი-ორი სიტყვა მათაც თქვან. მე კი იშვიათად მინახავს ადამიანები, რომლებიც წიგნზე საუბრობენ და თუ საუბრობენ მათდამი გულგრილი დამოკიდებულება აქვათ. არა და ადამიანები ვალდებულების მიზნით არ უნდა კითხულობდნენ. ასეთი კითხვის დროს წიგნის შინაარსზე ყურადღებას ვერ ამახვილებს და როგორც გ. დოჩანაშვილი ამბობს ასეთ მკითხველები „გადამკითხველები“ გამოდიან. „კითხვა თვისუფალია განსჯაში; ის არ დაფრინავს ისე სწრაფად, როგორც მოსმენილი; პირიქით შესაძლებელია, ხშირად გავიმეოროთ ცალკეული ფრაზები, თუ შენ ვერ იგებ, ან გინდა მისი დამახსოვრება. გირჩევთ, გაიმეოროთ წაკითხული, ჩაუფიქრდეთ ყოველ სიტყვას“ (მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი, მჭერმეტყველების სწავლება თავი X, თბილისი 2016, გვ. 14). საუკეთესო წიგნები, რომლებიც არასოდეს გაგვიცრუებენ იმედებს ვიკითხოთ ყურადღებით და ისეთი მონდომებითაც კი, თითქოს ჩვენ თვითონ ვწერთ ამა თუ იმ წიგნს. წიგნის კითხვის დროს ადამიანი სიამოვნებას უნდა ღებულობდეს, გონებით, აზროვნებით შიგ უნდა ეფლობოდეს, რომ წიგნი საინტერესო აღმოჩნდეს და თითოეული სიტყვის, ფრაზისა თუ აფორიზმის მნიშვნელობა გესმოდეს. მინახავს ადამიანები, რომლებიც ერთი და იგივე წიგნს რამდენჯერმე კითხულობდეს სიამოვნებისთვის, ეს გრძნობა ბევრჯერ, რომ განიცადოს. ერთ-ერთი ასეთს დაგისახელებთ გამოჩენილ ქართველ მეფეს დავით

აღმაშენებელს, რომელიც საკუთარ ბიბლიოთეკაში თითქმის ყველა წიგნი 18-ჯერ თუ 24-ჯერ აქვს წაკითხული და ყოველი ახალი წაკითხვისას ახალ რამეს აღ-მოაჩენდა.

ყველაფერი წიგნიდან ამოკითხული არ არის აუცილებელი გავითვალის-წინოთ. ის უნდა გავიაზროთ. წაკითხულიდან თითეული სიტყვის მნიშვნელობა უნდა გვესმოდეს, რომ არასწორად არ გამოვიყნოთ საუბრის დროს. „ბრმად არ უნ-და ვბაძავდეთ სიტყვების თავისუფალ არჩევანში ან კონსტრუქციის სილაღეში“ (მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი, მჭერმეტყველების სწავლება თავი X, თბილისი 2016, გვ.18). გვქონდეს სიტყვების უხვი მარაგი, მდიდარი არსენალი, მხოლოდ სიტყვების გაცნობის მიზნით ეს შეცდომაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ ამოკითხუ-ლი სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობის გაგება აუცილებელია, რომ მხოლოდ მაღალფარდოვანი სიტყვების გამოყენება არ გამოგვივიდეს საუბრის დროს. ისეთი, რომ მოსაუბრემ ვერ გაიგოს რას ვამბობთ. მეტყველებაში ყველა სიტყვის გამოყენება შეგვიძლია სწორი კონსტრუქციით, ზოგჯერ საუბრისას გვიწევს უბრალო ხალხის ენიდან გამოსული სიტყვების გამოყენება, ასეთ სიტყვებს შეუძლია ბევრი რამის თქმა იმ სიტყვებთან შედარები, რომლებიც წიგნიდან ამოვიკითხეთ. ამიტომ რეალური ცხოვრება და წიგნი ერთმანეთთან მჭიდროდ კავშირში უნდა იყოს. რაცა ვსაუბრობთ კარგად უნდა დავფიქრდე თითოეული წინადადებაში შემავალ სიტყვებს სწორად და ადეკვატურად თუ ვიყენებთ. სიტყ-ვები შეიძლება ამბობდეს ერთს და გულისხმობდეს მეორეს, ამოტომ როგორც პიტერ დრაკენი ამბობდა „კომუნიკაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის იმის გაგება, რაც არ თქმულა“ (ნ.სირაბიძე, ბათუმი 2012, პიტერ დრაკენი, გვ. 293)

იმას ვისაც ბევრი წიგნი აქვს წაკითხული, მას წიგნიერ ადამიანს უწოდებენ. წიგნიერი ადამიანი ფლობს სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულს, მსჯელობს სწორად და გამართულად, შეუძლია სხვადასხვა განათლების მქონე ადამიანებთან შესა-ბამისი კომუნიკაციის დამყარება. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით ფლობს გაგე-ბა-გააზრების, სინთეზის, ანალიზისა და შეფასების საფეხურებს. ამ უნარებითა და გარკვეული საშუალო განათლებით შეიძლება დიდი წარმატებას მიაღწიონ ადამიანებმა და გახდნენ საუკეთესო მჭერმეტყველები, ორატორები. მჭერმეტყვე-ლება არის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა დღეს, რომ არ აქვთ ლექსიკური ერთეულების სიუხვე, არ შეუძლიათ აზრის სრულად ჩამოყალიბება და სხვა. რადგან არ აქვთ გარკვეული საინფაორმაციო ცოდნა, რომელსაც ღებულობენ წიგ-ნის კითხვის დროს. უჭირთ გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფთან კომუნიკაციის დამყარება, უჭირთ დამარწმუნებელი აზრის ჩამოყალიბება. “უძლეველი რამ არის მჭერმეტყველება, მაგრამ „ჯერ გაიგე იმის მნიშვნელობა რასაც ამბობ და შემდეგ ილაპარაკე“ (ნ.სირაბიძე, წარმატების გასაღები, ბათუმი 2012, ფარტაძი, გვ. 7,

ეპიქტეტე გვ.27). ეს ფარზები ერთმანეთ დავუკავშირე იმიტომ, რომ მჭერმეტყველმა უაზროდ არ უნდა იასუბროს. რასაც იტყვის მოსაუბრესთვის და საერთოდ ფართო საზოგადოებისთვის გასაგები უნდა იყოს თითოეული სიტყვის მნიშვნელობა, პირველ რიგში კი თვითონ უნდა ესმოდეს რას საუბრობს. ანუ მე რისი თქმაც მინდა გეტყვით შემდეგი ფრაზით „ვერავინ იასუბრებს კარგად, თუ თავად არ არის კარგი“ (მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი, მჭერმეტყველების სწავლება თავი X, თბილისი 2016, გვ. 65). თავად, რომ კარგი გახდეს უნდა იყოს მოაზროვნე, კარგი მოსაუბრე. ასეთი რომ გახდეს მას წიგნი ეხმარება. მეტყველება კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება. კარგი მეტყველება ეფექტური კომუნიკაციის საფუძველია, ხოლო კომუნიკაცია წარმატების საწინდარია. მის მისაღწევად მჭერმეტყველ ადამიანს სჭირდება სხვადასხვა უნარი: ემოცია, სხვისი მოსმენა, ტემბრი, ინტონაცია და სხვა. ამ ყველაფერს წიგნიდან სწავლობს თავდაპირველად, შემდეგ კი საზოგადოებასთან ურთიერთობაში კარგად ივითარებს.

ზემოთ აღვნიშნე, რომ წიგნიერება მნიშვნელოვანი პრობლემაა. „გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებუისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) წიგნიერებას განმარტავს, როგორც განსაზღვრის, გაგების, ინტერესის, საქმის, კომუნიკაციის, გამოთვლის, ამა თუ იმ კონტექსტთან დაკავშირებული ნაბეჭდი და წერილობიოთი მასალის გამოყენების უნარ-ჩვევების ერთობილობას. წიგნიერების ცნება გულისხმოვს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და ინდივიდის პოტენციალს, მიაღწიოს მიზნებს, გაიღრმავოს ცოდნა, აიმაღლოს შესაძლებლობები და სრულად მოახდინოს საზოგადოებაში ინტეგრირება“ (პ.პაპავა, თ.ჭანტურია, წიგნიერება, მასწავლებლის სახელმძღვანელო, თბილისი 2016, გვ.5). სხვა სიტყვებით, რომ განვმარტო ვიწრო გაგებით, წიგნიერება ნიშნავს კითხვისა და წერის ცოდნას, ხოლო ფართო გაგებით იგი მოიცავს მრავალფეროვანი მხატვრული, ინფორმაციული-შემეცნებითი, ყოფით პრაგმატული ტექსტების წაკითხვის, შექმნის, განხილვის, გადამუშავებისა და სხვადასხვა კონტექტში გამოყენების უნარებს და ცოდნის უნარების და დამოკიდებულებების ერთობლიობას, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ენის ეფექტურად გამოყენებას სწავლისა და კომუნიკაციის მიზნით, როგორც სასკოლო ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში. თუ დავაკონკრეტებთ, წიგნიერება გააზრებულ კითხვასთან ერთად მოიცავს აქტიურ მოსმენის, ზეპირმეტყველებისა და წერითი აზროვნების უნარების და მაქსიმალურად განვითარების ზეპირი, ვიზუალური, ნაბეჭდი თუ ციფრული გზით მიღებული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების.

ტელევიზიაში თუ გაზეთებში ბევრს საუბრობენ წიგნიერების დონის ამაღლებაზე და წიგნის პოპულაციაზე. ზოგიერ ადამიანს კითხვა უჩნდება ამასთნ დაკავშირებით. რატომ არის საჭირო ამხელა ხამურის გამოწვევა წიგნის კითხვის

გამო? პასუხი ერთი ეს საჭიროა დღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოკითხვების საფუძველზე. რადგან მოზარდი თაობის უმეტესობას მარტივი ტექსტიდან უჭირთ მთავარი სათქმელის გამოყოფა, მისი გაგება-გააზრება და კრიტიკული შეფასება. შეიძლება ტექსტი კრიტიკულად ვერ შეაფასოს ყველამ, მაგრამ მასთან დაკავშირებით მოსწავლემ მსჯელობა და შინაარსის რეალიზება უნდა შეძლოს. დაწყებით საფეხურზე კვლევის თანახმად წიგნიერების დონე საშუალოზე დაბალია. თვალშისაცემია წაკითხული შინაარსის გააზრებისა და მისი გადმოცემის სირთულეები. ასევე წიგნიერებაში მნიშვნელოვან როლს ეკონომიკური ფაქტორიც თამაშობს. ისინი ვინც ფინანსურად კარგად არიან, ამ ოჯახების შვილები განათლების დონე მაღალია შედარებით იმ ოჯახების შვილებთან ვისაც ფინანსურად უჭირს. ამიტომ სახელმწიფო ზრუნავს განათლების და საგანმანათლებლო რესურსების თანაბარ მიწოდებას ყველასათვის. წიგნიერების დონის ასამაღლებლად სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები მართავენ სხვადასხავ ღონისძიებებს, ხსნიან მკითხველთა კლუბებს ან წიგნიერების გაკვეთილს სავალდებულო საგნის სტატუს ანიჭებენ. ამ აზრს ვეთანხმები. მასწავლებელი მარტო სავალდებულო საგნის ჩატარებაზე არ უნდა ფიქრობდეს. ქართული ენისა და ლიტერატურის და არა მხოლოდ ეს საგნის მასწავლებელი, ყველა საგნის მასწავლებელი თავს ვალდებულად უნდა თვლიდეს კვირაში ხუთი სასწავლო დღიდან ერთი საათი დაუთმოს წიგნიერებას. ამ საათზე მასწავლებელი უნდა განიხილავდეს სხვადასხვა მწერლის, სხვადასხვა ჟანრის წიგნებს. პროცესი კი სახალისო და შემოქმედებითი უნდა იყოს. აქტივობები ისეთი უნდა შეიტანოს და პროცესი ისე უნდა დაგეგმოს, რომ მოსწავლეებმა სიხარულით ჩაერთონ აქტივობებში. კარგად დაგეგმილი და მოსწავლეზე მორგებული პროცესი მოსწავლეებს შეაყვარებს წიგნს და მასთან მუშაობასაც შეასწავლის, აღუძრავს სურვილს რომ იმოგზაურონ საოცნებათა სამყაროში წიგნის დახმარებით. „პატარა მკითხველებს წიგნების საშუალებით უფართოვდებათ მსოფლმხედველობა, უვითარდებათ მხატვრული გემოვნება და მეტყველების კულტურა“ (ე. კაკაბაძე, კლასგარეშე კითხვა რვაწლიან სკოლებში, „განათლება“, თბილისი 1966, გვ.3) ეს ყველლაფერი მასწავლების და მხოლოდ მისი არა, ოჯახის წევრების დახმარებით უნდა ხდებოდეს. ი.გოგებაშვილი ამბობდა „კითხვა გადავუქციოთ ყოველდღიურ მოთხოვნილებად“ (ე. კაკაბაძე, კლასგარეშე კითხვა რვაწლიან სკოლებში, „განათლება“, თბილისი 1966, ი. გოგებაშვილი, გვ. 3). ამ პროცესის განხორციელება სახალისოდ და საინტერესოდ უნდა ხდებოდეს, რომ მოსწავლეებს ყოველდღიური მოთოვნილებად გადაექცეთ წიგნის კითხვა.

კითხვა მარტო მსოფლმხედველობასა და მეტყველბის კულტურას არ უვითარებს. გააზრებული კითხვა მოსწავლეებს ასწავლის ლოგიკურ აზროვნებას,

აჩვევს ტექსტთან მუშაობისას ინფორმაციის დაჯგუფებას, ლოგიკური კავშირების დადგენას, კითხვებზე სწორი პასუხების გაცემას, აზრის სწორედ და ლაკონურად ჩამოყალიბებას. როგორც ვიცით პედაგოგიკა აღზრდის შესახებ მეცნიერებაა, რომელიც პიროვნების განვითრების და აღზრდის საფუძვლებს, თუ როგორ და რა გზით შეიძლება პიროვნების განვითრება და აღზრდა. ისიც ვიცით, რომ აღზრდა იწყება ჩასახვიდან და გძელდება მისი დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე. ბავშვის აღზრდა უნდა ხდებოდეს ყოველმხრივ ზნეობივად, გონებრივად, ესთეტიკურად, ფიზიკურად და შრომითი მიმართულებებით. აქედან პრაქტიკული გზით ყველას უნდა ფლობდეს. ბავშვი ბუნებით მიმბაძველები არიან. შრომითი და ფიზიკური აღზრდა ამ გზით შესაძლებელია მარტივად მოხდეს, მაგარმ ზნეობრივს, გონებრივს და ესთეტიკურ აღზრდას პრაქტიკულად განხორციელებისთვის გარკვეული ცოდნის მიწოდებაა საჭირო. რა არის კარგი და ცუდი, რომელი ინფორმაცია არის სწორი და მეცნიერული, როგორ შეიძლება გაიგოს რა არის მშვენიერება, სილამაზე და სხვა აბსტრაქტული ცნებების მნიშვნელობა და ა.შ. ამის გაგება შეიძლება წიგნებიდან. წიგნი ხომ ცალკე აღებული სამყაროა, რომელის სხვა სამყაროში გვამოგზაურებს, როგორც ესთეტიკურად, ისე ზნეობრივად. გვასწავლის კარგისა და ცუდის გარჩევას, ხოლო ეს რომ პრაქტიკულად გამოიმუშაოს სხვადასხვა ფაქტის წინაშე უნდა დავაყენოთ და ვამსჯელოთ პერსონაჟის ადგილას, როგორ მოიქცეოდი მოეწონა თუ არა ყველა პერსონაჟის ქმედება და რატომ. ამ ყველაფერს საფუძველი ეყრება ოჯახში, როცა ოჯახის რომელიმე წევრი მას ზღაპრებს ან საბავშვო მოთხრობებს უყვება, აკეთებს სხვადასხვა სახალისო აქტივობებს ბავშვებთან ერთად და ამ დროს ახსენებს მის მიერ მოსმენილ ზღაპარს. ამით ბავშვები წიგნის გამოყენებას სწავლობენ, იგებენ რატომ უნდა იყოს წიგნთან ახლოს და არა მუდმივად ტექნოლოგიებთა. საკმარისია მხოლოდ ერთი საათი გატარო მათთან ერთად ასეთ ამპულაში. მე ყოველთვის ვნანობდი, რომ ჩემი მშობლები და მასწავლებლები ამას არ აკეთებდნენ. ამიტომ გადავწყვიტე გავმხდარიყავი პროფესიით მასწავლებელი. მე ბავშვებს ვასწავლი წიგნის სიყვარულს, მათ გამოყენებას და რეალურ ცხოვრებას თან დაკავშირებას, რომ ისინი ერთმანეთთან კავშირშია, რომ მხოლოდ წიგნების კითხვით ან მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილებით წარმატებული ვერ გახდები და საზოგადოებაში თავს ვერ დაიმკვიდრებს. მასწავლებლის მოვალეობა მოსწავლეებს გადასცეს ცოდნა, მაგრამ მოამზადოს უნდა ცხოვრებისათვის, განუვითაროს მსოფლმხედველობა და აზროვნება, რომ შეძლოს აზრის ლაკონურად, გამართულად და გასაგებად ჩამოყალიბება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ცდილობს სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები არ იყოს ცოდნის გადაცემის ადგილი. ისინი ცდილობენ

ახალგაზრდობა მოამზადნონ ცხოვრებისათვის, გახადონ შრომის ბაზარზე. ზემოთ აღვნიშნე, რომ სახელმწიფო სხვადასხვა ღონისძიებებს ატარებს წიგნიერების დონის ასამაღლებლად. მაგრამ უშედეგოდ. „წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგებიოთ მოზარდთა წიგნიერების დონე საქართველოში საშუალოზე დაბალია. დაწყებით კლასებში წაკითხულის შინაარსის გააზრება და გადმოცემის მიხედვით მსოფლიოს 45 ქვეყნიდან ჩვენი ქვეყანა 37 ადგილზეა. ეს უკეთესი შედეგია სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან, სადაც ბოლო პოზიციებს აფრიკულ ქვეყნებთან ვინაწილებთ. კვლევის მიხედვით საქართველო სასკოლო განათლების დონით მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ეს ტენდენცია მომავალ პედაგოგებზეც ვრცელდება“ (https://edu.aris.ge › ARIS.GE)

დღევანდელ ეპოქაში წიგნიერების დაბალი დონე ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენ მთელს მსოფილოში. განვითარებულ ქვეყნებთან ერთად განვითარებად ქვეყნებსაც აწუხებთ ეს პობლემა. მათი ზოგადი განათლების დონე და მეტყველების კულტურა უკიდურესად დაბალია, ლექსიკური მარაგი - ღარიბი, აზროვნება - გაუფასურებული. ამ ფაქტორებზე ბევრი რამე მოქმედებს, ყოველწლიური რეფორმები განათლებაში, მოუცლელობა და ტექნიკის განვითარება. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა კომპიუტერის დამკვიდრება. მნიშვნელოვნად გაანელა წიგნის ინტერესი და აღარ არის საიდუმლო, რომ მოზარდები წიგნებს აღარ კითხულობენ.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი საქართველოში კვლევის კოორდინატორი ნათია ანდღულაძე ამბობს: „საქართველოში 14%-ს შეადგენს იმ ბავშვების რაოდენობა, რომელთაც ძალიან დაბალი კითხვის უნარიც კი ვერ აჩვენეს. დაბალ დონეზე საუბრისას კი აღნიშნავს მრავალ განმაპირობებელ მიზეზს. მათ შორის მშობლებისა და პედაგოგების არაკოორდინირებულ თანამშრომლობას, სკოლამდელი მომზადების პროგრამები, მასწავლებელთა მომზადების დონე და კონკრეტული უნარები, სტრატეგიების ფლობა და ა.შ. მაგრამ მთავარ მიზეზად ასახელებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას“ (https://pirveli4ever.wordpress.com). ასეთი შედეგებით ქვეყანის ვერ განვითარდება. ქვეყნის განვითარება კი დამოკიდებულია წიგნიერებაზე და განათლებაზე.

ზემოთ მოყვანილმა სტატისტიკა არის წამოდგენილი სხვადასხავ კვლევითი ორგანიზაციების მიერ. ამან შემაშფოთა და ჩავატარე კვლევვა. გამოვიკითხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტების 100 ადამიან. ისინი არიან სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და რამდენიმე მოსწავლე. კვლევის მიზანია დავადგინორამდენად არის გავრცელებული წიგნის კითხვა, რამდენად ახლოს არიან წიგნთან, როგორ ფიქრობენ არის

თუ არა საქართველოში წიგნიერების დაბალი დონე და როგორ გებულობენ ტერმინ წიგნიერების მნიშვმნელობას? წარმოგიდგენთ ჩემ მიერ გაკეთებულ კვლევის ანალიზს. გამოკითხყლთა შორის კითხვაზე „რისთვის კითხულობს წიგნს?“ გამიკითხულთა 1% დააფიქსირა ცოდნისთვის, 1% - არ დააფიქსირა პასუხი, 1%- შემეცნებისთვის და ცოდნისთვის, 5% - სიამოვნებისის და ცოდნისთვის, 2% - შემეცნებისთვის, 2% - სიამოვნებისთვის, 5% - სიამოვნებისთვის და განვითარებისთვის, 6% - ცოდნისთვის, 7%- განვითარებისთვის, 68% - სიამოვნებისთვის, შემეცნებისთვის, ცოდნისთვის და განვითარებისთვის. კითხვაზე „როგორ ფიქრობთ, როგორი არის წიგნიერების დონე საქართველოში“ გამოკითხულთა 3% აღნიშნულთნ დაკავშირებით არ უფიქრია, 39% ფიქრობს საშუალო დონეა, 58% - დაბალია. კითხვაზე „უწყობს თუ არა განათლების დონე წიგნიერების ამაღლებას ხელს?“ გამოკითხულთ 11% პასუხისგან თავს იკავებს, 13% ამბობს არ უწყობს ხელს და 76% - უწყობს. კითხვაზე „რა ადგილი უჭირავს წიგნს თქვენს ცხოვრებაში?“ პასუხები შემდეგნაირია დიდი ადგილი უჭირავს, მნიშვნელოვანი, მთავარი, უპირველესი, წიგნი სულის საზრდოა, ცხოვრების ნაჭილია, მის გარეშე არ შემიძლია, არავითარი, არც ისე დიდი, სწავლისთვის, ხოლო 8% პასუხს არ აფიქსირებს. კითხვაზე „ როგორ გესმით ტერმინი წიგნიერება?“ ესმით, რომ არის სწორი აღზრდა, განათლება, ცონდა, განვითარება, წიგნების სიყვარული და მათი კითხვა, წიგნთან მიუშაობის გამოცდილება, განათლებული ადმიანი, წაკითხულის გაგება-გააზრება და პრაქტკიკაში გამოყენება, თვითშემეცნება, შემეცნება და 23% თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემას. კითხვაზე „როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია წიგნიერების დაბალ;ი დონე?“ ფიქრობენ, რომ სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობა, სიზარმაცემ, არასწორმა განათლების რეფორმა და სწრაფმა ცვლილებებმა, წიგნის უსიყვარულობამ, მოუცლელობა, აღზრდისადმი არასწორმა დამოკიდებულელბებმა, ტექნიკისა განვითარებამ, ინტერნეტ კავშირის დამკვიდრებამ და მისდამი მიჯაჭვულობამ, ხოლო 15% პასუხს არ აფიქსირებს. ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ გამოკითხულთა უმეტესობისათვის წიგნი მნიშვნელოვან როლს თმაშობს და მიაჩნია რომ წიგნიერების პრობლემა არის საქართველოში და ამის გამომწვევ მიზეზები ზემოთ დავასახელე. ამის აღმოსაფხვრელად დიდი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს უნდა ოჯახის და სკოლის დახმარებით. ოჯახმა სკოლამდელი აღზრდის პერიოდში, ხოლო სკოლამ სასკოლო პერიოდში, ასევე ოჯახის დახმარებით. მასწავლებელთ პროფესიული განვითარებით და ხარისხიანი მომზადებით, საგაკვეთილო და კლასგარეშე სახალისო აქტივობებით, რომელიც ხელსშეუწყობს წიგნისადმი ინტერესისი გაღვიძებას.

დასკვნა

ჩემ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი არის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა და ეს კვლევის შედეგად დასტურდება, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ფიქრობს წიგნი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცხოვრებაში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება წაკითხულის გააზრება მოზარდ თაობას უჭირს და ეს სახარბიელო მდგომარეობა არ არის. კვლევისას წარმოშობილი პრობლემა იყო ის, რომ გამოკითხულთა გარკვეული რაოდენობა სრულფასოვნად არ სცემდა პასუხს, ზოგიერთი გაურკვეველად წერდა, მაგარმ მიუხედავად ასეთი შემთხვევებისა შევეცადე სრულდ წარმომეჩინა კვლევის ანალიზი. ანალიზის შედეგად სახარბიელო მდგომარეობა არ არის. ბევრისთვის წიგნი და მისი კითხვა მნიშვნელოვანია, მაგამ უმრავლესობისათვის ის მხოლოდ ვალდებულებაა და გარკვეული მიზსნდ ემსახურება. პრობლემის მოგვარება კი ერთიანი ძალებით უნდა შევძლოთ, რომ საქართველო განვითარდეს ყოველმხრივ. სწორი განათლების რეფორმები და საზოგადოების ნაყოფიერი შრომის შედეგად ეს პრობლემა მოგვარდება. აღზრდა აღზრდას უნდა ექვემდებარებოდეს და სკოლასა და მასწავლებელს მნიშვნელოვანი ფუნქციები უნდა დაუბრუნდეს, რომ ეს პრობლემა აღმოიფხვარას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი.ჭავჭავაძე, ტ. II, მხატვრული პროზა, თბილისი 1950
2. მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი, მჭერმეტყველების სწავლება თავი X, თბილისი 2016
3. ე. კაკაბაძე, კლასგარეშე კითხვა რვაწლიან სკოლაში. თბილისი 1966
4. ნათია სირაბიძე, წარმატების გასაღები, ბათუმი 2012
5. https://www.radiotavisupleba.ge
6. http://geocigniereba.blogspot.com/
7. https://edu.aris.ge/news/ratom-aris-wignierebis-done-saqarTveloSi-saSualoze-dabali.html
8. www.tabula.ge/ge/tablog/65440-tsigni-sulis-gimnastika

Abstract

This scientific work is about literacy and about its problems. It's about the role of book and its place in our live. We conducted a research in Batumi Shota Rustaveli State University, 100 students, professors and some pupils participated in this research. The purpose of this research was to determine public opinion and to compare it to other researches. The main research issues were the value of book, to determine the term-literacy, to understand what is the cause of low literacy and if education helps with this problem.

ცხოვრების ღირებულება საქართველოში

ანა სარიშვილი, მარიამ ფუტკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირება, პირველი კურსი,
ელ. ფოსტა: ana-sari789@mail.ru, Mariamfutkaradze26@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მურმან ცეცხლაძე,
ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

მოცემული სამეცნიერო–საკონფერენციო ნაშრომის მთავარი თემაა საქართველოში ცხოვრების ღირებულების გამოთვლა, მისი დეტალური ანალიზი და შედარება სხვა ქვეყნების მონაცემებთან. მიზნის განსახორციელებლად ჩავატარეთ საქართველოში 2019 წლის სამომხმარებლო კალათის რაოდენობრივი და თვისებრივი გამოკვლევა. 120 რესპოდენტის გამოკითხვის შედეგები გამოვსახეთ დიაგრამებისა და ცხრილების სახით.

ამის შემდეგ, ჩვენ მიერ მიღებული შედეგები შევადარეთ როგორც საქართველოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, ისე ჩვენი მეზობელი ქვეყნის თურქეთისა და ჩვენსავით აქტიური რეფორმების მქონე ქვეყნის უკრაინის მონაცემებს.

კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობს ცდომილება ჩვენსა და ეროვნული სტატისტიკის მონაცემებს შორის; ასევე აღმოჩნდა, რომ საარსებო მინიმუმი უკრაინაში უფრო დაბალია, ვიდრე ჩვენთან, ხოლო თურქეთში კი გაცილებით მაღალი.

შევიმუშავეთ შესამაბისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ცხოვრების ღირებულება, საარსებო მინიმუმი, სამომხმარებლო კალათა.

შესავალი

თემის აქტუალურობა: თანამედროვე საქართველოში აქტუალურ პრობლემად რჩება ეკონომიკის არამდგრადობა. მიუხედავად ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა (შავ ზღვაზე გასასვლელის მქონე ქვეყანა, მსგავსად ჩვენ მიერ შესადარებლად არჩეული უკრაინისა და თურქეთისა), მისი ეკონომიკა სავალალოა. გამოსავალის პოვნა ყოველი ჩვენი მოქალაქისა და მათ შორის ჩვენი ძირითადი ინტერესია. რატომ არის ასეთი დიდი განსხვავება ჩვენი მეზობელი თურქეთისა და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა კეთილდღეობებს შორის, ჩვენი ქვეყნისა და თურქეთის ან უკრაინის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობებში? რატომ გაიზარდა უმუშევრობის დონე და მიგრაციის პროცესი, რატომ ხდება საქართველოს მოსახლეობის გადინება უცხოეთში და მათ შორის თურქეთსა და უკრაინაში? რატომაა მოკლებული ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა მსოფლიო დონის ტექნოლოგიებსა და საყოფაცხოვრებო პირობებს? სწორედ ეს და სხვა მსგავსი კითხვები ხდის ჩვენს მიერ არჩეულ თემას აქტუალურს.

კვლევის მიზანი და ამოცანები: საკითხის აქტუალურობამ გვიბიძგა ჩავღრმავებოდით ამ პრობლემას და **მიზნად** დავისახეთ გაგვესაზღვრა ქვეყნის საშუალო მომხმარებლის რეალური სამომხმარებლო კალათის ღირებულება, რამდენად სწორად ასახავს სახელმწიფოს მიერ გამოქვეყნებული საარსებო მინიმუმი რეალურ საჭიროებას.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დავისახეთ კონკრეტული **ამოცანები**:

- მოსახლეობის უშუალო გამოკითხვით სამომხმარებლო კალათის ღირებულების განსაზღვრა;
- საქართველოს ცხოვრების ღირებულებისა და დონის მაჩვენებლების შედარება თურქეთისა და უკრაინის მონაცემებთან;
- შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

კვლევის ობიექტი და საგანი: კვლევის ობიექტია ცხოვრების ღირებულება, ხოლო საგანია საქართველოში ცხოვრების ღირებულების გამოთვლა და შედარება სხვა ქვეყნის მონაცემებთან.

კვლევის მეთოდები: მოცემული კვლევის განხორციელების მიზნით შემუშავდა სტრატეგიები, რომლებიც შედგებოდა შემდეგი ძირითადი კომპონენტებისაგან:

- რაოდენობრივი კვლევა;
- თვისებრივი კვლევა.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ანკეტირების (გამოკითხვის), პირისპირ ინტერვიუირების მეთოდით და იგი განხორციელდა კითხვარების საშუალებით, გამოიკითხა 120 სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანი, შევეცადეთ კვლევა ყოფილიყო სანდო და ობიექტური.

ძირითადი ნაწილი

როდესაც განვიხილავთ ცხოვრების ღირებულებას, უნდა გავითვალისწინოთ ბევრი ფაქტორი, მათ შორის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ), უმუშევრობის დონე, სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) და ა.შ. ქვეყნებს შორის ამ მონაცემების განსხვავების განმაპირობებელი ფაქტორები მრავალია – პოლიტიკური ვითარება, დემოგრაფიული ვითარება, ბუნებრივი რესურსები, ტექნოლოგიური ცოდნა და ა.შ.

ამ განსხვავებებით დავინტერესდით და გადავწყვიტეთ სტატისტიკური მონაცემების ერთმანეთთან შედარება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი, ანუ სახელმწიფოს შემოსავლები/ხარჯები, 2018 წლის მონაცემებით შეადგენს 41 077,5 მლნ. ლარს, მოსახლეობა იმავე წლის მონაცემებით იყო 3 729,6 ათასი კაცი. მშპ–ს რაოდენობის გაყოფით მოსახლეობის რაოდენობაზე ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, როგორია შემოსავლების განაწილება ერთ სულ მოსახლეზე, რამაც 2018 წელს 11 013 ლარი შეადგინა. მაგრამ ასე მარტივად გამოანგარიშება ვერ მოხერხდება, რადგან გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები, როგორიცაა უმუშევრობისა და ინფლაციის დონე. შეიძლება ეს ციფრი ძალიან კარგი მოგვეჩვენოს, მაგრამ ვერ დარჩება ყურადღების მიღმა ის ფაქტი, რომ საქართველოში აბსოლუტური ზღვარის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი მერყეობს 20–დან 25 პროცენტამდე. ასევე საგულისხმოა, რომ „2019 წელს მარტში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ 1,0 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 3,7 პროცენტი შეადგინა“ **(სამომხმარებლო..., 2019)**. ფასების მატების მაჩვენებელი საქონელსა და მომსახურებაზე მერყეობს 1%–დან 20%–მდე. ამის მიხედვით, ძალზე რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია ის კონკრეტული თანხა ჩვენი მოსახლეობისათვის.

რა თქმა უნდა, ჩვენ ასევე გვაინტერესებს, თუ რამდენად ჩამოვრჩებით სხვა ქვეყნებს ან ვასწრებთ მათ. მშპ–ს მიხედვით, რომელიც ეკონომიკური კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი საზომია, ლიდერია ჩინეთი 25 270 მლრდ. დოლარით, ჩვენი მეზობელი ქვეყანა, თურქეთი მე–13 ადგილზეა 2 293 მლრდ. დოლარით, ხოლო პოსტსაბჭოური და შავი ზღვის ქვეყანა, უკრაინა 49–ე ადგილზეა. ჩვენ კი ამ მონაცემებში ვიმყოფებით 116–ე ადგილზე. ჩავთვალეთ საჭიროდ ასევე მოგვეძია ინფორმაცია მშპ–ზე 1 სულ მოსახლეზე და მივიღეთ მკვეთრად განსხვავებული შედეგი. კერძოდ, ჩინეთი ამჯერად იმყოფება 67 ადგილზე 9 608 დოლარით ერთ სულ მოსახლეზე; ჩინეთის შემდეგ 68–ე ადგილს იკავებს თურქეთი 9 346 დოლარით; ამის შემდეგ მოდის საქართველო 105–ე ადგილზე 4 400 დოლარით ერთ სულზე; ყველაზე ბოლოსაა

უკრაინა – 128–ე ადგილზე იმყოფება 2 963 დოლარით ერთ სულ მოსახლეზე. განსხვავება ძალიან მკვეთრია. ასევე „Trading Economics“-ის მიხედვით ინფლაციის დონე თურქეთში და უკრაინაში შეადგენს შესაბამისად 19,71% და 8,6%.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავ ინფორმაციას მოვუყარეთ თავი, ბევრი კითხვა მაინც პასუხგაუცემელია, მათ შორის მთავარი – რამ განაპირობა განსხვავებები ჩვენს ქვეყანასა და შესადარებელ სახელმწიფოთა შორის, როგორ შეიძლება მათი შემცირება. პირველ რიგში, გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სანდო კვლევა.

კვლევის მიმდინარეობა

კვლევის დაწყებამდე შევეცადეთ ანკეტირების ისეთი ფორმა შეგვემუშავებინა, რომელიც მოიცავდა ყველა იმ საქონელსა და მომსახურებას, რომლებსაც იყენებს ადამიანი. ასეთად ჩავთვალეთ 305 დასახელება, რომელთა კლასიფიკაცია მოხდა 12 კატეგორიად და 39 ქვეკატეგორიად მათი საერთო თვისებების შესაბამისად. ანკეტირება გათვლილი გვქონდა 100 ადამიანზე, მაგრამ მოქალაქეების აქტიურმა ჩართულობამ 120–მდე გაზარდა რესპოდენტთა რაოდენობა.

საკმაო მოცულობის რაოდენობრივი შედეგების დამუშავების შემდეგ, ისინი დავყავით ორ ჯგუფად: ≥100 მომხმარებლის მქონე საქონელი/მომსახურება და ≤20 მომხმარებლის მქონე საქონელი/მომსახურება.

305 სახეობის საქონლისა და მომსახურებისგან 36 მოხვდა პირველ ჯგუფში, ხოლო 41 – მეორეში.

დიაგრამა – 1



წყარო: შედგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე

საკმაოდ ბუნებრივია, რომ პირველ ცხრილში მოხვედრილ 36 პროდუქტიდან 18, ანუ 50% შედის საკვებისა და უალკოჰოლო სასმელის კატეგორიაში.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ოჯახის შემოსავლის 70% მოიხმარება სწორედ საკვებსა და სასმელზე, ჩვენი სტატისტიკაც შეესაბამება ამ ინფორმაციას.

მეორე ჯგუფს რომ დავაკვირდეთ, აღმოვაჩენთ, რომ 11 პროდუქტი 41–დან ეკუთვნის „საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ – კატეგორიას.

გამოვიტანეთ დასკვნა: სწორედ პირველ ცხრილში მოცემული 36 საქონელი და მომსახურება 2019 წელს წარმოადგენს პირველადი მოხმარების საგნებს, ხოლო მეორე ცხრილში აღნიშნული 41 შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ფუფუნების საგანი, რომლის შეძენა მოსახლეობას ან არ სურს, ან საშუალება არ აქვს მის საყიდლად.

დიაგრამა – 2



წყარო: შედგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე

ცხოვრების ღირებულება საქართველოში

ბუნებრივია, ცხოვრების ღირებულების გამოთვლისას ჩვენი შემდგომი ნაბიჯი იყო ფასების დადგენა, რომლის დასაზუსტებლად ვიყავით სხვადასხვა მაღაზიაში, სუპერმარკეტში, სავაჭრო ცენტრებში, ასევე გადასახადების ტარიფების დასადგენად ვესტუმრეთ ტარიფების ოფიციალურ ვებსაიტებს.

მიღებული რიცხვების დეტალურად შესწავლით და ასევე გამოკითხვის შედეგად მოცემული პროდუქციის შეძენის სიხშირის გამოვლენით, ჩვენ შევეცადეთ გამოგვეთვალა საშუალო ოჯახის ცხოვრების მინიმუმი, რამაც შეადგინა **305,75 ლარი.**

ამის შემდეგ გავავლეთ პარალელი საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებთან, რომლებიც ამტკიცებს, რომ 2019 წლის მარტის მონაცემების მიხედვით საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმია **304 ლარი,** ხოლო სამ და ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი მერყეობს 200–დან 330 ლარამდე.

არ შეიძლება გამოგვრჩეს ისეთი საგულისხმო ფაქტები, როგორებიცაა ოჯახის შემოსავლები და წევრების რაოდენობა. მართალია, არსებული 120 რესპოდენტიდან ეს გრაფა არ შეავსო გარკვეულმა რაოდენობამ, მაგრამ ხელმისაწვდომი მონაცემებით ჩვენ დავადგინეთ, რომ გამოკითხულთა საშუალო შემოსავალი შეადგენს **1 007 ლარს**. აქედან შესაძლებელია მინიმალურად აღნიშნული 304 ლარით დაკმაყოფილება, მაგრამ ყურადღების მიღმა ვერ დარჩება, რომ ჩვენი კვლევის მიხედვით საშუალო ოჯახის შემადგენლობა მოიცავს ოთხ სულს, და აქედან ასეთი ოჯახის მინიმალური შემოსავალი დაფიქსირდა 660, ხოლო მაქსიმალური – 2 100 ლარი.

საბოლოო ჯამში, შემოსავლებითა და სულოვნებით ასევე შევძელით რესპოდენტთა დაყოფა ჯგუფების მიხედვით და გამოგვივიდა ჯამში 3 ჯგუფი:

- ერთსულიანი ოჯახი, რომელშიც მინიმალური შემოსავალი 500 ლარია, ხოლო მაქსიმალური – 1100;
- ოთხსულიანი ოჯახი, რომელშიც მინიმალური შემოსავალი 660 ლარია, ხოლო მაქსიმალური – 2100;
- ცხრასულიანი ოჯახი, რომელშიც მინიმალურიც და მაქსიმალური შემოსავალიც 900 ლარი დაფიქსირდა.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ისე ცხოვრება, რომ მინიმალურით უზრუნველყო თავი, საკმაოდ ძვირია. ჩვენი აზრით, ეს გამოიხატება იმით, რომ ზოგჯერ სიღარიბიდან გამოსასვლელად ხალხი იძულებულია მიმართოს კომერციულ ბანკს, შეიძინოს რაიმე საჭირო ნივთი შემდგომი გადახდის პირობით, რაც მძიმე ტვირთად აწვება ოჯახს და ხშირია

შემთხვევა, რომ ოჯახის შემოსავლის ნახევარზე მეტი მიდის სწორედ არსებული ვალდებულებების დასაფარად. ამიტომაცაა ჩვენთვის ცხოვრება ასეთი მძიმე და ძვირი. იმაზე ძვირიც, ვიდრე ჩვენი ოფიციალური სტატისტიკა მიგვითითებს, ამიტომაც გვაქვს უაღრესად მძიმე სოციალური ფონი – ელემენტარული მოთხოვნების დაუკმაყოფილებამ მოხუცებს არ მისცა წამლების ყიდვის საშუალება, მშობლებს – შვილების სრულფასოვანი გამოკვებისა, იმატა არასრულწლოვანთა ქურდობის ფაქტებმა, შიმშილის გამო მცირეწლოვანთა სუიციდის შემთხვევებმა, გაიზარდა მათხოვართა რაოდენობა, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდასათვის მიუწვდომელია უმაღლესი განათლება, მატერიალური საძირკველი გამოეცალა ოჯახებს...

ცხოვრების ღირებულება საქართველოსა და სხვა ქვეყნებში

საქართველოში საარსებო მინიმუმის გამოკვლევის მომდევნო ეტაპზე ჩვენს ხელთ არსებული მასალა შევადარეთ თურქეთისა და უკრაინის მონაცემებს, რადგან ისინი ჩვენთვის შედარებით ხელმისაწვდომი იყო. მაქსიმალური სიზუსტისა და ავთენტიკურობის გარანტად ჩავთვალეთ მრავალი ინტერნეტსაიტის გაცნობა. არსებული მონაცემები წარმოდგენილი იყო იმ სავალუტო კურსით, რომელიც მოქმედებს ამ ქვეყნებში, შედეგის თვალსაჩინოებისათვის ციფრები გადავიყვანეთ ლარებში, რაც ჩანს შემდეგი დიაგრამაში:

დიაგრამა – 3



წყარო: შედგენილია ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე

ამ ცხრილის თანახმად, მივიღეთ საკმაოდ საინტერესო შედეგი. კერძოდ, ყველაზე ძვირი ცხოვრება დაფიქსირდა თურქეთში, ხოლო ყველაზე იაფი – უკრაინაში. საქართველო კი ცოტათი თუ უსწრებს უკრაინას.

ამის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს შედარებით არასტაბილური პოლიტიკურ–ეკონომიკური ვითარება საქართველოში, წლების განმავლობაში სახიფათო მდგომარეობა უკრაინაში და შედარებით სტაბილური თურქეთში. დავადგინეთ, რომ თურქეთში მოსახლეობის სამომხმარებლო კალათაში მეტი პროდუქციაა, ვიდრე საქართველოსა და უკრაინაში, ხოლო უკრაინა შედარებით ზღუდავს საკუთარ მოხმარებას, შესაბამისად კალათაში შემავალი საქონელი/მომსახურება უფრო მწირია.

დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის ისეთი შედეგები მივიღეთ, რომლებიც სავსებით შეესაბამება ჩვენს ქვეყანაში არსებულ რეალობას. გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო პოლიტიკასთან და რომელთა გადაუწყვეტელობა ქვეყანას სავალალო სდდეგებამდე მიიყვანს. კერძოდ:

- ჩვენი კვლევის მიერ დადგენილი 36 საქონელი და მომსახურება ითვლება 2019 წლის პირველადი მოხმარების საგნებად;
- მომხმარებლების მოთხოვნების, გადასახადების და ფასების გათვალისწინებით დავადგინეთ, რომ საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი წარმოადგენს 305,75 ლარს;
- ჩვენ მიერ განხილული საარსებო მინიმუმის, ოჯახების შემოსავლის და განსაკუთებული ხარჯების გათვალისწინებით საქართველოში ისე ცხოვრება, რომ მინიმალურით უზროვნელყო თავი, საკმაოდ ძვირია.
- მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით საარსებო მინიმუმი ყველაზე მეტია თურქეთში, ხოლო ყველაზე ნაკლები – უკრაინაში. საქართველო არის მოქცეული მათ შორის.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ აღნიშნული პრობლემების მოგვარების უმთავრესი გზა GINI–ს კოეფიციენტის მნიშვნელობის სწორად გაანალიზება, სტაბილურობის მიღწევა, სამუშაო ადგილების გაჩენა, პენსიების გაზრდა, მრავალშვილიანთათვის მეტი შეღავათების მიცემა, სოციალური დახმარების პირობების მოდერნიზება და მორგება, ხელის შეწყობა მოსახლეობას შეუმცირდეთ ხარჯებში სურსათის წილი და მეტი გასაქანი მიეცეთ სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული ბანკის კურსები (აპრილი, 2019). Tarifebi.ge. შეადარე და დაზოგე. მოძიებულია 19 აპრილი, 2019, https://taripebi.ge/%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

2. კომუნალურები (აპრილი, 2019). Taripebi.ge შეადარე და დაზოგე. მოძიებულია 19 აპრილი, 2019, https://taripebi.ge/%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

3. მენქიუ გრეგორი, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა დიოგენე, თბილისი. 2008;

4. საარსებო მინიმუმი (თებერვალი, 2019). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.მოძიებულია 15 აპრილი, 2019, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo–minimumi

5. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია) (თებერვალი, 2019). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოძიებულია 18 აპრილი, 2019, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/price/CPI%20Press%20Release_03.2019_GEO.pdf

6. ტუხიაშვილი ემა, რამდენად ასახავს სამომხმარებლო კალათა რეალურ სურსათს (თებერვალი, 2015). მოძიებულია 20 აპრილი, https://www.kvirispalitra.ge/economic/24297-ramdenad-asakhavs-samomkhmareblo-kalatha-realur-suraths.html?add=1&all=1&add_new=0&reply=0&rnd=1556076021.7972

7. შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი (თებერვალი, 2019). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოძიებულია 18 აპრილი, 2019, https://www.geostat.ge/media/20614/mamakacis-saarsebo-minimumi-%28geo%29.pdf

8. Inflation Rate (აპრილი, 2019). Trading Economics. მოძიებულია 21 აპრილი, 2019, https://tradingeconomics.com/country-list/inflation-rate

9. Minimum Wage – Turkey (აპრილი, 2019). Wageindicator.org We Share, We Compare. მოძიებულია 21 აპრილი, 2019, https://wageindicator.org/salary/minimum-wage/turkey

10. Гаркуша Татьяна, Состав потребительской корзины в Украине. (აპრილი, 2019). მოძიებულია 21 აპრილი, 2019: https://maanimo.com/indexes/140180-sostav-potrebitelskoy-korziny-v-ukraine-i-stranah-evropy

11. Прожиточный минимум в Украине. Минфик. მოძიებულია 21 აპრილი, 2019, https://index.minfin.com.ua/labour/wagemin

Abstract

Presented scientific conference work's main theme is to determine and analyze the cost of living in Georgia and compare it to other countries' statistics. To achieve this goal, we organized a research of content of the consumer baskets in Georgia in 2019. The result of 120 respondents participating in the research project is highlighted by various diagrams.

After that, we compared our result to official Georgian statistics, to our neighboring country's Turkey's statistics and to Ukraine's statistics, which is following similar development pattern to us.

The research showed, that our results didn't fully matched the official statistics; furthermore, we found out that the cost of living is considerably little compared to our own and that the cost of living in Turkey is a lot larger. We developed adequate advice.

Key words: the cost of living, minimum wage, consumer basket.

ლურჯი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა საქართველოში

ლინდა ანანიძე, გიგა ჯაფარიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკა, მეორე კურსი,
ელ. ფოსტა: ananidze-linda@mail.ru, : giga.japaridze.99@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო კონცელიძე, ეკონომიკის დარგობრივი
დეპარტამენტის (ბსუ) ასისტენტი

ანოტაცია

„ლურჯი ეკონომიკა“-ში იგულისხმება საზღვაო რესურსების გამოყენება, მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს ოკეანის სისტემის სიჯანსაღეს.

თავის მხრივ ლურჯი ეკონომიკა იცავს, აღადგენს და ინარჩუნებს ეკოსისტემას, საზღვაო რესურსებს და ბიომრავალფეროვნებას. ეს კი მოითხოვს განახლებადი ენერგიის და გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გამოყენებას.

ზღვის რესურსების მდგრადი გამოყენების გამოწვევები, როგორიცაა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზღვის დონის ზრდა, გახშირებული ცუდი ამინდები და ტემპერატურის ზრდა, აქვთ პირდაპირი და ირიბი ზემოქმედება ოკეანეებთან დაკავშირებულ სექტორებზე, როგორიცაა მეთევზეობა, აკვაკულტურა და ტურიზმი.

იმისათვის, რომ ქვეყანამ ან რეგიონმა მიაღწიოს გრძელვადიან ეკონომიკურ კეთილდღეობას, უნდა იზრუნოს მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდაზე და გარემოს შენარჩუნებაზე, განსაკუთრებით ზღვის, რომელიც არის ლურჯი ეკონომიკის საფუძველი. ამ თვალსაზრისით კი საქართველოს გააჩნია დიდი პოტენციალი შავი ზღვის სახით. ნაშრომში განხილულია და შეფასებულია შავი ზღვის ეკონომიკური პოტენციალი და მისი ზრდის შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: ლურჯი ეკონომიკა, შავი ზღვა, ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

შესავალი

კაცობრიობის ურთიერთკავშირი ოკეანეებთან, თუ როგორ იყენებენ და ახდენენ რესურსების ექსპლუატაციას, ვითარდებოდა მრავალმხრივი გზით. ოკეანეები სულ უფრო და უფრო ხდება საკვების, ენერგიის, პროდუქციის, როგორიცაა მედიკამენტები და ფერმენტების წყარო.

დღესდღეობით საზოგადოებას უკეთესად ესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოკეანეებისა და ზღვების როლი არასაბაზრო საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფაში, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ ასევე გვესმის ისიც, რომ ოკეანეები და ზღვები არ არის უსაზღვრო გამოყენების და ისინი განიცდიან ადამიანთა უარყოფით ზემოქმედებათა კუმულაციას. წყლები, რომლებიც არ არის ჯანსაღი და სტაბილური, ვერ უწყობენ ხელს ეკონომიკურ ზრდას.

ის ფაქტი, რომ ოკეანეებსა და ზღვებს მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ ეკონომიკის მდგრად განვითარებაში, უდავოა.

„ლურჯი ეკონომიკ“-ის შინაარსი მდგომარეობს ეკონომიკური ზრდის, საზოგადოების ჩართულობის, საარსებო წყაროების შენარჩუნების ან გაუმჯობესების წახალისებაში, ამავდროულად უზრუნველყოფს გარემოს სტაბილურობას. მისი ძირითადი იდეა არის, ოკეანეებთან დაკავშირებული სექტორებისა და აქტივობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოყოფა გარემოსა და ეკოსისტემის დეგრადირებისგან.

ის მიზნად ისახავს სახელმწიფოსა და ინვესტორების ჩართულობას, რათა უზრუნველყოს გარემოს სიჯანსაღე და ეკონომიკური განვითარება. საზოგადოდ ცნობილია, რომ ეს არის გრძელვადიანი სტრატეგია, რომლის ძირითადი ამოცანაა მხარი დაუჭიროს ზღვის საქმიანობების მტკიცე და თანაბარ ეკონომიკურ ზრდას.

„ლურჯი ეკონომიკა“ შესაბამისობაშია ყველა ქვეყანასთან და შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მასშტაბებში, ადგილობრივიდან გლობალურის ჩათვლით.

იმისათვის, რომ ის გამოვიყენოთ პრაქტიკაში, მისი კონცეფცია გამყარებული უნდა იყოს სანდო და საფუძვლიანი ცოდნით, მენეჯმენტით და განვითარებული ტექნოლოგიებით, რაც იქნება ინოვაციების შთაგონებისა და მხარდაჭერის წყარო.

ლურჯი ეკონომიკის განვითარების მეთოდები უნდა ითვალისწინებდეს კლიმატის ცვლილებს, როგორიცაა ზღვის დონის აწევა, მაღალი წყლის ტემპერატურა და ა.შ., რომლებიც ზეგავლენას ახდენს ზღვისა და სანაპიროს ეკოსისტემაზე, რაც უკვე დაფიქსირებული და მოსალოდნელია.

ბოლო წლების განმავლობაში ეს თემა საკმაოდ აქტუალურია, რასაც მოწმობს ევროკომისიის მიერ გამოცხადებული პროექტი სახელწოდებით „დახმარება შავი ზღვის ქვეყნებს ლურჯი ეკონომიკის განვითარებისათვის“.

2014 წლიდან ყოველწლიურად შავი ზღვის ქვეყნებში საერთაშორისო კონფერენციები ტარდება, სადაც განიხილება „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების პერსპექტივები. 2017 წლის 15 სექტემბერს კი გაიმართა ქალაქ ბათუმში, სადაც რეგიონალური საზღვაო სტრატეგიის აუცილებლობას გაესვა ხაზი. ეს სტრატეგია კი წარმატებას მოიტანს, თუ მასში ჩაერთვებიან სანაპირო საზოგადოების და საზღვაო საკითხებით დაინტერესებული პირები.

ამ კონფერენციაზე გარემოს, საზღვაო და თევზჭერის საკითხებში ევროკომიის წევრმა კარმენუ ველამ (Karmenu Vella) აღნიშნა: „კონფერენციის მხარდასაჭერად, ევროკომისია მხარს დაუჭერს ტექნიკურად და გაუწევს შეღავათებს ლურჯი ეკონომიკის განვითარებისათვის შესაბამის სექტორებს, რომელიც ღია იქნება ინტეგრირებული საზღვაო პოლიტიკით დაინტერესებული ევროკავშირის წევრობის არმქონე შავი ზღვის ქვეყნებისათვის. პროექტი დაეხმარება ამ ქვეყნებს აღმოაჩინონ - როგორ მიიღონ უკეთ და მდგრადი გზით ჩვენი ზღვებიდან ეკონომიკური სარგებელი, აგრეთვე დაეხმარება მათ შავი ზღვის ერთიანი საზღვაო დღის წესრიგის შემუშავებაში".

ამ კონფერენციაზე ასევე აღინიშნა საქართველოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯების როლი, რომელიც ქმნის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის საკოორდინაციო ჯგუფს, რათა უკეთ გაართვან თავი აღებულ ვალდებულებებს.

ამ პროექტის მიზანია დაეხმაროს შავი ზღვის ქვეყნებს, შეიმუშაონ პრაქტიკული სამოქმედო გეგმა რეგიონში კოოპერაციის გასაძლიერბლად. საქართველომ უნდა შეეცადოს მოძებნოს საუკეთესო გზები, რომელთა მეშვეობითაც მაქსიმალურად იქნება გამოყენებული საზღვაო რესურსები, ისეთი დარგების განსავითარებლად როგორიცაა: მეთევზეობა, სატრანსპორტო ხაზები და სხვა (eugeorgia.info).

ლურჯი ეკონომიკის განვითარება ძირითადად დამოკიდებულია ეროვნულ და ადგილობრივ პრიორიტეტებსა და მიზნებზე. მიუხედავად ამისა, ყველა ქვეყანას მოეთხოვება სხვადასხვა საფეხურების გავლა, თუ ისინი მიზნად ისახავენ ამ მეთოდის გამოყენებას საკუთარი წყლების უკეთესი მენეჯმენტისათვის. რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ❖ ქვეყნებმა ზუსტად უნდა განსაზღვრონ ოკეანეებისა და ზღვების პოტენციალი, რათა შეიმუშაონ განვითარების სწორი ტაქტიკა გადაწყვეტილებების მიღებისას.
- ❖ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების, საუკეთესო მეცნიერული მიღწევებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას, რათა საფუძველი ჩაეყაროს მართვის ფორმასა და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებების ამოქმედებას გრძელვადიანი ცვლილებების უზრუნველყოფას.

- თითოეულმა ქვეყანამ უნდა შეაფასოს ლურჯი ეკონომიკის თითოეული სექტორის მნიშვნელოვნება, პრიორიტეტები და ანალიზზე დაყრდნობით გადაწყვიტოს რომელს მიანიჭოს უპირატესობა.
- ოკეანისა და ზღვების კეთილდღეობისათვის საჭიროა ახალი ინვესტიციები და მიზნობრივი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება.
- ლურჯი ეკონომიკის სრული პოტენციალის გააზრება ასევე მოითხოვს აქტიურ ჩართულობას საზოგადოების ყველა ჯგუფებისაგან.
- მნიშვნელოვანი ნაბიჯია სანაპიროსა და ზღვის სივრცის მოწყობის გეგმების განვითარება ზღვის სივრცეში გადაწყვეტილებების მიღებისა და კონფლიქტების მოგვარებისთვის.
- კერძო სექტორს შეუძლია და აუცილებლად უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ლურჯ ეკონომიკის განვითარებაში. ბიზნესი არის მამოძრავებელი ძალა ვაჭრობის, ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიღარიბის დაძლევაში(WORLD BANK GROUP, UNITED NATIONS).

ქვეყნის გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი საზღვაო პოტენციალის შესახებ ინტერესს იჩენს როგორც ევროპის, ასევე აზიის ქვეყნები. უკანასკნელ ათწლეულებში, ბათუმის სატრანსპორტო გზაჯვარედინზე არსებობამ, აქტუალური გახადა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბება, რადგან იმისათვის, რომ ქვეყანა მჭიდროდ ჩაერთოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, აუცილებელია თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობა. მისი შექმნა ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო კონკურენტუნარიანობას ამაღლებს გლობალურ ეკონომიკაში. რასაც მოწმობს XIX საუკუნეში ბათუმის „პორტო-ფრანკოდ“ გამოცხადება, რამაც დადებითად იმოქმედა როგორც მრეწველობის, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

ამ ფაქტებზე დაყრდნობით, ბათუმს აქვს დიდი პოტენციალი მსგავსი მიმართულებით შეიტანოს წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ექსპორტზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდითა და უმუშევრობის შემცირებით. შესაბამისად ამ გეგმის განხორციელებას სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით, ვინაიდან მას გააჩნია ბევრ მნიშვნელოვანი ბერკეტი.

ამასთანავე აუცილებელია ყურადღება მიექცეს პორტების მდგრად განვითარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს საზღვაო რესურსებისა და პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას. ისეთი პორტები, როგორიცაა: ბათუმის, ფოთის, ყულევის და ანაკლიის (დაუსრულებელი), მოგვცემს მნიშვნელოვნ ეკონომიკურ სარგებელს.

ბოლო წლებში ბათუმის პორტში აღინიშნება შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება ნავთობპროდუქტების ტვირთბრუნვის კლების გამო, რაც არც თუ ისე სახარბიელოა. თუმცა აღინიშნება გადატვირთული კონტეინერების რაოდენობის ზრდა, მშრალი ტვირთების ტვირთბრუნვისა და გემთბრუნვის სტაბილური ცვლილება. რა თქმა უნდა შესაძლებელია სახელმწიფოს ჩართულობით მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება თუ განვახორციელებთ შემდეგს:

- ახალი აბრეშუმის გზისპირა ქვეყნებში სატრანზიტო ტვირთზიდვის ინტენსივობის ამაღლებას;
- აღნიშნულ ქვეყნებში საბაჟო პროცედურების შემსუბუქებას;
- გამჭოლი ტარიფების შემუშავება და პარტნიორ ქვეყნებთან შესაბამისი ეკონომიკური დიპლომატიის სწორი წარმართვას;

ბათუმის პორტისაგან განსხვავებით, ფოთის პორტს პროგრესი აღენიშნება, ვინაიდან წინა წლებთან შედარებით შემოსავალი და ტვირთბრუნვა გაიზარდა, ყოველივე ეს საქართველოს მზარდი ეკონომიკისა და კავკასიის რეგიონში ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების შედეგია (იხ. დანართი №1).

2008 წლის შემდეგ ყულევის პორტის საშუალებით აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკარმა“ 20,355 მილიონი ტონა ნავთობპროდუქტი გადაზიდა. ხოლო 2019 წლიდან კი იგეგმება გადაზიდვების მოცულობის ზრდა, რაც ყოველწლიურ მაჩვენებელს გაზრდის და შეადგენს 500 000 ტონას.

მიუხედავად იმისა რომ ანაკლიის პორტი ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროექტია, მისი დატვირთვის ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს ტრანზიტული ტვირთების ზრდა საქართველოს მეშვეობით აბრეშუმის გზაზე, რაც ასევე დამოკიდებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო შემაერთებელი კორიდორის შემადგენელი სხვა ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. ეკონომიკური პროგნოზების საშუალებით აბრეშუმის გზის შემაერთებელ ქვეყნებში მოსალოდნელია მდგრადი ეკონომიკური ზრდა თუმცა უმნიშვნელო, ამ მხრივ გვაქვს იმედის საფუძველი, რომ ანაკლიის პორტი ფოთისა და ბათუმის პორტებთან ერთად შეძლებს გახდეს ის ალტერნატიული საშუალება ევროპასა და აზიას შორის, რომელიც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს ტვირთბრუნვის ტრანსპორტირებასა და გადამუშავებას.

ზოგადად პორტების განვითარება და გაფართოება ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოსთვის, ვინაიდან დიდი პორტების არსებობა დამატებითი შემოსავლებისა და ეკონომიკური გაუმჯობესების საკმაოდ დიდი წყაროა. პორტების განვითარების მეშვეობით, შევძლებთ დავამყაროთ კავშირი ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა ჩინეთი და აზიის დიდი ქვეყნები, რომლებიც

არათუ სხვა გზებს მოძებნიან სატრანზიტოდ, არამედ ისარგებლებენ შავი ზღვითა და ჩვენი პორტებით, ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის ტვირთბრუნვას, რაც საბოლოო ჯამში საკმაოდ დიდი პროგრესია ლოგისტიკის და ტრანსპორტირების მიმართულებით.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA) და ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს. იგი გზას უხსნის საქართველოს ევროკავშირთან მჭიდრო ინტეგრაციისაკენ და ასევე ის ახალისებს რეფორმებს დაკავშირებულს სავაჭრო სფეროსთან.

ეს ხელშეკრულება მიზნად ისახავს ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ევროპის ბაზარზე.

მას შემდეგ რაც ხელშეკრულება ამოქმედდა და ევროკავშირის ბაზარი გაიხსნა საქართველოსათვის, 2017 წლის მონაცემებით ევროკავშირში ექსპორტი ჯამში 16%-ით გაიზარდა, რაც თითქმის 1 755 000 000 დოლარის ექსპორტს გულისხმობს.

თევზჭერისათვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის უქონლობა, რაშიც იგულისხმება: ლიცენზიების არქონა, მწირი რესურსები, გაუმართავი აღჭურვილობა და მოძველებული თევზჭერის მეთოდოლოგია, განაპირობებს საქართველოს დაბალ კონკურენტუნარიანობას სხვა ტექნოლოგიებით აღჭურვილ კომპანიებთან შედარებით. შესაბამისად სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გასცეს სუბსიდიები, მოიზიდოს ინვესტიციები, შეისყიდოს თევზსაჭერი გემები, შეამსუბუქოს ან გაამარტივოს ლიცენზიების მიღების პროცედურები და საფასური, აღჭურვოს მეთევზეები სრული ინფორმაციით ლიცენზიის მოპოვების წესებისა და პირობების შესახებ, რათა ქართველ მეთევზეებს მისცეს საშუალება დაიმკვიდრონ თავი ევროკავშირის ბაზარზე.

თევზჭერის განვითარება არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ მეთევზეების პრიორიტეტიც უნდა იყოს, ამიტომ ისინიც აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი ამ პროცესებში, თუნდაც საკუთარი ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით გაერთიანდნენ და საკუთარი რესურსების გამოყენებით, ერთობლივი საწარმო ჩამოაყალიბონ. ისინი ერთიანი ძალებით უნდა შეეცადონ თევზჭერის ლიცენზიის მოპოვებას, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს, როგორც მათ დასაქმებას საწარმოში, ასევე საქართველოს ექსპორტის ზრდას ბაზარზე. რეგისტრირებულია 386 სუბიექტი, აქედან აქტიურია სულ 102 მეთევზე, რაც არც თუ ისე სახარბიელო მაჩვენებელია, ამიტომ უნდა გაიზარდოს აქტიურ სუბიექტთა რიცხვი.

ბენგალიის ყურეს სამხრეთ აზიის ქვეყნებისთვის აქვს უზარმაზარი პოტენციალი, ამ მხრივ ამ ქვეყნებს ნამდვილად გაუმართლათ, რომ მსგავსი მდებარეობა გააჩნიათ. მას შემდეგ რაც ლურჯმა ეკონომიკამ მოიკიდა ფეხი ამ ქვეყნებში, ძირითადად უმეტეს მათგანში გაიზარდა მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, რაც კარგი შედეგია. ამასთანავე სამხრეთ აზიის ქვეყნებში თევზჭერა გაიზარდა 5%-დან 8%-მდე (WORLD BANK GROUP, UNITED NATIONS).

ბენგალიის ყურეში თევზჭერის მოცულობით გამოირჩევა ინდოეთი (1,2 მილიონი ტონა ყოველწლიურად), რომელსაც მოსდევს მიანმარი (1,1 მილიონი ტონა), ბანგლადეში, შრი-ლანკა და ა.შ ინდოეთსა და ბანგლადეშში აღინიშნება თევზჭერისა და აკვა კულტურის თანაბარი განვითარება საკმაოდ მაღალ დონეზე შრი-ლანკასა და პაკისტანთან შედარებით (იხ. დანართი №2)

რა თქმა უნდა ბანგლადეშსა და სხვა სამხრეთ აზიის ქვეყნებს შეუძლიათ განვითარება და რაც უფრო სწრაფად განვითარდებიან, მით უკეთესია მათთვის. მომხმარებლისათვის უკეთესი ხარისხით მიწოდება შესაძლებელია პროდუქციის მოცულობისა და ხარისხის გაზრდით. საბოლოო ჯამში ბაზრის წილი გაიზრდება, დამყარდება უკეთესი ფასები და მთლიანი შიდა პროდუქტში ბაზრის წილიც გაიზრდება.

ბოლო წლების განმავლობაში განადგურებული გემების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, რაც მიანიშნებს, რომ ხდება მათი მაქსიმალურად გამოყენება სხვადასხვა მიმართულებით (ტრანსპორტირება და ა.შ). სარგებლის მიღების მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ განვითარებულ ქვეყნებს.

საქართველოში გემთმფლობელს, რომელსაც სურს კომპანიის დარეგისტრირება, შეუძლია ეს განახორციელოს მოწინავე ევროპულ საზღვაო ქვეყნებში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, ოფშორულ იურისდიქციებში ან საქართველოში. ჩვენი ქვეყნის გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები სართაშორისო საზღვაო კრუიზების განმახორციელებელ გემთმფლობელებს უწესებენ გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს ან სრულიად ათავისუფლებს გადასახადისაგან, შესაბამისად ქართველი გემთმფლობელები უპირატესობას ანიჭებენ დაარეგისტრირონ თავიანთი გემები უცხოეთში, რის შედეგადაც საქართველოში არ არის დარეგისტრირებული არცერთი გემთმფლობელი, რომელიც ფლობს მსხვილ ტონაჟიან საერთაშორისო რეისების განმახორციელებელ გემს(თარიმანაშვილი, 2017).

გლობალურად, სანაპირო ტურიზმს უჭირავს ბაზრის ყველაზე მსხვილი სეგმენტი, რომელიც საკმაოდ სწრაფად იზრდება. მდგრადი საზღვაო ტურიზმის შექმნით, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები და შევამციროთ

სიღარიბე. ტურიზმის განვითარება მხარს უჭერს ადგილობრივ ეკონომიკას. ინვესტიციების ჩადება ტურიზმის აყვავებაში შეუძლია შეამციროს ფასები და გაზარდოს ეკოსისტემის ღირებულება და კულტურული მემკვიდრეობა.

კერძო სექტორები მობილიზებულები უნდა იყვნენ, რომ მხარი დაუჭირონ საზღვაო ტურიზმის განვითარებას, რომელიც საჭიროებს ფინანსურ მხარდაჭერას.

დიზაინი და კონსტრუქციული სამუშაოები სანაპირო ზოლსა და ზღვის არეებში უნდა იყოს ჰარმონიაში სტრუქტურასთან, ხასიათთან და დინამიკასთან საზღვაო და სანაპირო ზოლის ნებისმიერ ერთეულში.

ბოლო წლებში საქართველოს სანაპირო ტერიტორიაზე იმატა ტურისტების რაოდენობამ, ასევე აღინიშნება უცხოური ბრენდების სასტუმროებისა და ოჯახური ჰოსტელების ზრდა, რაც დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. რა თქმა უნდა საქართველოს აქვს მეტი პოტენციალი განვითარდეს ამ მიმართულებით და მიაღწიოს უკეთეს შედეგს.

დასკვნა

აკვა კულტურა, თევზჭერა, საზღვაო ტვირთების გადაზიდვები, ტრანსპორტირება და ტურიზმი არის ეფექტიანი გზა შავი ზღვის ეკონომიკურ სარგებლის ზრდის ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორი. ჩვენი რეკომენდაცია იქნება ყველა საწარმო, პატარა თუ დიდი, ზღვაზე თუ ზღვის ირგვლივ, მიჰყვეს ლურჯი ეკონომიკის განსაზღვრულ კონცეფციას, რათა მიიღონ მაქსიმალური ეკონომიკური სარგებელი.

მენეჯმენტის გადაწყვეტილებები და ინვესტიციები, რომლებიც ფოკუსირებულია ოკეანეებისა და ზღვების კეთილდღეობაზე, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას თუ როგორ ვაპირებთ სარგებლის მიღებას მდიდარი ბუნებრივი რესურსებისაგან.

საზღვაო გარემოში აღმოჩენილი ბევრი ბუნებრივი რესურსი, რომლებიც არ გამოიყენება შესაბამისად, რისკის ქვეშ აყენებს ეკოსისტემას, საკვების უსაფრთხოებას და კლიმატის რეგულაციებს. შესაბამისად სახელმწიფო და მოსახლეობა უნდა ცდილობდეს მსგავსი ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენებას.

სწორედ ის არის „ლურჯი ეკონომიკის“ მიზანი, რომ ზღვებისა და ოკეანეების რესურსების გამოყენებით, მოხდეს მოსახლეობისათვის საარსებო საკვების მიწოდება, სამუშაო ადგილების ზრდა შესაბამისი დარგების განვითარებით, რაც თავისთავდ სიღარიბის დონეს მნიშვნელოვნად შემცირებს. „ლურჯი ეკონომიკა“ ხსნის ზღვის ეკონომიკურ პოტენციალს, ამცირებს ოკეანეებისა და ზღვების დეგრადირებას, ეკონომიკური სარგებლის მიღების ხარჯზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯაფარიძე სალომე, „საზღვაო პოტენციალის გამოყენების ზოგიერთი სტრუქტურული საკითხი, მოძიებულია 27.04.2019 file:///C:/Users/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98/Downloads/1.pdf

2. თარიმანაშვილი ჯაბა, „საზღვაო სანაოსნო დარგის განვითარების გზები საქართველოში“, გამოქვეყნებულია 21.11.2017, მოძიებულია 25.04.2019

https://jabatarimanashvili.wordpress.com/2017/11/21/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AA-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%9B/?fbclid=IwAR0F917_rkZIZkRekIVst7f0r60iqrd-fYZY1YoSdXdHzlQXht2k0aFGalY

3. eugeorgia.info (21.11.2017) „ევროკომისია შავი ზღვის რეგიონში ლურჯი ეკონომიკის წახალისების ახალ პროექტს უშვებს“, მოძიებულია 26.04.2019

http://eugeorgia.info/ka/article/658/evrokomisia-shavi-zgvis-regionshi-lurji-ekonomikis-waxalisebis-axal-proeqts-ushvebs/

4. Pawan G. Patil, John Virdin, Sylvia Michele Diez, Julian Roberts, Asha Singh „Toward a Blue Economy: A Promise for Sustainable Growth in the Caribbean“ მოძიებულია 27.04.2019

https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/25061/Demystifying0t0the0Caribbean0Region.pdf?sequence=4

5. WORLD BANK GROUP, UNITED NATIONS “THE POTENTIAL OF THE BLUE ECONOMY Increasing Long-term Benefits of the Sustainable Use of Marine Resources for Small Island Developing States and Coastal Least Developed Countries” მოძიებულია 29.04.2019

https://www.greengrowthknowledge.org/resource/potential-blue-economy-increasing-long-term-benefits-sustainable-use-marine-resources-small

6. Dali Sekhniashvili, Nicholas Kathijotes „GEORGIA BLUE ECONOMY IN THE MARINE SECTOR“ მოძიებულის 27.04.2019 http://www.rieas.gr/images/publications/rieas176.pdf?fbclid=IwAR1FL0OOqrI6ZYU4MxBTnihM-J84OLxGrGqLl97PjP7Ul2aNqwexk8CUnXs

7. Report on the Georgian National Workshop on Blue Growth in the Black Sea Tbilisi, Radisson Blu Hotel, 11/05/2018 მოძიებულია 28.04.2019

https://blackseablueconomy.eu/sites/default/files/georgian_national_workshopmay2018_1_0.pdf?fbclid=IwAR33JaM-5eXRtJmOFDC5KIAz9q3-v3LRn6q4d4auqKZE-rzaPu7ZgUCwbvc

8. Abdullahel Bari, Ph D, C Eng, FIEB, FRINA “Our Oceans and the Blue Economy: Opportunities and Challenges”

დანართი №1

ბათუმის მონაცემები:

	2014	2015	2016	2017	2018	2019
ნავთობი	4 338 819	3 630 334	3 607 793	2 202 256	1 022 265	282 641
მშრალი ტვირთების თვირთბრუნვა	848 908	590 766	525 474	377 293	806 319	138 421
კონტეინერები TEU	61 980	54 695	55 731	76 025	90 002	26 997
მთლიანი ტვირთბრუნვა	283 108	306 675	248 582	337 233	663 797	160 904

ფოთის მონაცემები:

	2014	2015	2016	2017	2018	2019
ნავთობი	724 944	509 951	408 121	518 665	458 868	158 722
მშრალი ტვირთბეის თვირთბრუნვა	2 676 329	1 847 363	1 738 147	1 781 969	1 763 904	615 255
კონტეინერები TEU	384 992	325 112	273 690	318 762	363 936	155 366
მთლიანი ტვირთბრუნვა	1 634 930	1 185 231	3 372 610	2 203 799	3 505 336	1 906 816

დანართი №2



Annotation

"Blue Economy" This is the sustainable use of maritime resources for economic development, which implies the health of the ocean system and improved performance as well as better living conditions.

On the one hand, blue economy protects, restores and preserves ecosystems, maritime resources and biodiversity. This requires the use of renewable energy and improved technologies.

The challenges of sustainable use of marine resources, such as rising sea levels due to climate change, frequent extreme weather and rising temperatures, have direct and indirect impacts on ocean-related sectors such as fisheries, aquaculture and tourism.

In order for a country or region to achieve long-term prosperity, it must take care of increasing the well-being of its citizens and preserving the environment, especially the sea, which is the basis of the blue economy. In this respect Georgia has great potential in the form of the Black Sea. The paper discusses and analyzes the economic potential of the Black Sea

Keywords: Blue Economy, Black Sea, Economic Growth, Sustainable Economic Development.

სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აჭარის მაგალითზე

მზია შავძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკა მესამე კურსი
ელ.ფოსტა: m.shavadze44@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ფოლადაშვილი,
ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტის (ბსუ) მოწვეული მასწავლებელი

აბსტრაქტი

საქართველოში მძიმე სოციალური ფონია. საზოგადოებას სურსათზე ხელმისაწვდომობის პრობლემა ექმნება, რაც ასახულია „ოქსფამის", საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის და სხვა საერთაშორისო და ეროვნულ კვლევებში. მიღებული შედეგებისა და საქართველოში არსებული სტატისტიკური მონაცემების განხილვამ აჩვენა, რომ სტატისტიკა საქართველოში არსებულ რეალურ სურათს ვერ ასახავს (ამის მიზეზი კი სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიაა) და მოსახლეობას საარსებო მინიმუმით გათვალისწინებული თანხა არ ყოფნის თვიდან თვემდე სამომხმარებლო მინიმუმის დასაკმაყოფილებლად. დაბალი შემოსავლები სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობის პრობლემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. მეორე ფაქტორი სურსათზე ფასების ზრდაა, რაც ძირითადად განპირობებულია ქვეყანაში წარმოების დაბალი დონით.

იმის დასადგენად თუ რა სიტუაციაა აჭარაში, სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში ჩავატარეთ რაოდენობრივი გამოკითხვა, რომელშიც 90-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. კვლევის შედეგების განხილვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის შემოსავლები არაა საკმარისი მათი ოჯახების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. რაც უფრო მეტია ოჯახის წევრთა რაოდენობა, მით უფრო უჭირთ ოჯახის რჩენა. ასევე ოჯახის შენახვა პრობლემას წარმოადგენს მათთვის, ვისაც რამოდენიმე არასრულწლოვანი ჰყავს. სპეციალური საჭიროებების მქონე პირების მოსავლელად ოჯახებს თანხები არ ჰყოფნით, მიუხედავად ოჯახის შემოსავლის სიდიდისა. ასევე აჭარის მოსახლეობის რაციონი მდიდარია ხილითა და რძის პროდუქტებით, მაგრამ განიცდის ხორცის ნაკლებობას.

საკვანძო სიტყვები: სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობის პრობლემა, წარმოების დაბალი დონე, სურსათზე ფასების ზრდა.

შესავალი

საქართველოში სოციალური პრობლემები ყოველთვის აქტუალური თემაა და ზოგიერთი მათგანი დროთა განმავლობაში უცვლელი რჩება. მათ შორის სურსათზე ხელმისაწვდომობის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას. სტატისტიკური მონაცემებით ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება. ეკონომისტებისა და სხვა მკვლევარების შეფასებებით, ზემოთ აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაცია ხშირად რეალობას ზუსტად ვერ ასახავს. ამიტომაც საჭიროა სურსათზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული კვლევების მონაცემების შედარება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებთან და ცდომილებების მიზეზების ძიება. ჩვენს შემთხვევაში აღებულია „ოქსფამის“ 2014 წლის ზაფხულში ჩატარებული კვლევა.

საქართველოში არსებული მდგომარეობის სტატისტიკური მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი, 2019) მონაცემებით ქვეყანაში საშუალო ოჯახს თვეში 304 ლარად შეუძლია არსებობა, ხოლო საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 160.5 ლარია. ამავე მონაცემების მიხედვით საქართველოში ხუთსულიან ოჯახს თვეში 361.2 ლარად შეუძლია გაიტანოს თავი. სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა 2019 წლის მარტის თვის საარსებო მინიმუმის მაჩვენებლები, რის მიხედვითაც შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 181.2 ლარს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი წინა თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 2.1 ლარით.

როცა ამ მონაცემებს ჩვენს ყოველთვიურ ხარჯებს ვადარებთ გვეჩვენება, რომ ამ თანხით შეუძლებელია აუცილებელი პროდუქტებისა დ მომსახურების შეძენა და რომ იგი მინიმალურ მოთხოვნილებებსაც ვერ დააკმაყოფილებს. თუმცა დღეისათვის სამომხმარებლო კალათაში შედის 305 დასახელების სხვადასხვა საქონელი და მომსახურება. იგი ითვალისწინებს სურსათს, უალკოჰოლო და ალკოჰოლურ სასმელებს, თამბაქოს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საცხოვრებელ სახლს და მის მოვლა-შეკეთებას (მათ შორის ავეჯი, სახლის მორთულობა, საოჯახო ნივთები), კომუნალურ გადასახადებს, ჯანმრთელობის დაცვას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, დასვენებას, გართობას, კულტურას, განათლებას, სასტუმროში განთავსებას, კაფეებსა და რესტორნებში კვებას, ჰიგიენურ საშუალებებს, პირად ნივთებს, დაზღვევას, საფინანსო მომსახურებას და სხვა სახის მომსახურებებს. ფაქტია, საარსებო მინიმუმის გაანგარიშებისას ყველა პროდუქტი და მომსახურება გათვალისწინებულია, რაც საშუალო ადამიანს ერთი თვის განმავლობაში შეიძლება დასჭირდეს. მაგრამ საზოგადოების აზრით, საარსებო

მინიმუმი არაა საკმარისი სრულფასოვანი არსებობისათვის (ან ყოველთვიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად) მეტიც მათ ეს თანხა სურსათის შესაძენადაც არ ყოფნით. ამას მოწმობს „ოქსფამის'' კვლევა, რომელიც 2014 წლის ზაფხულში ჩატარდა (ოქსფამი, 2014). კვლევამ მნიშვნელოვან საკითხებზე საგანგაშო შედეგები გამოავლინა. მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 1/3 მოიხმარს რკინით მდიდარ ხორცის პროდუქტებს, ასაკოვანი მოსახლეობის მხოლოდ 24-25%-ს მიუწვდება ხელი ცხოველური წარმოების პროდუქციაზე. ასევე ჩვენი მოსახლეობის 61% ხორცეულისა და თევზეულის დეფიციტს განიცდის, 45% - ხილის და ბოსტნეულის, 20% რძის ნაწარმს ვერ იღებს საკმარისი რაოდენობით. ოჯახების 14% კი სისტემატურად სესხულობს ფულს სურსათის შესაძენად. საქართველოს მოსახლეობის 50%-ს სურსათზე მატერიალური ხელმისაწვდომობის პრობლემები აქვს.

სურსათზე ხელმისაწვდომობის დაბალ დონეს ბევრი ფაქტორი განაპირობებს. უმთავრესად კი დაბალი შემოსავლები. პირველადი წყაროების მოკვლევის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვეულებრივი მუშაკის შრომის ანაზღაურება საქართველოში ძალიან დაბალია. სახელმწიფო სექტორსა და მცირე და საშუალო ბიზნესში ხელფასები დაბალია, ხოლო მსხვილ ბიზნესში მაღალი. აღნიშნულის საპირისპირო სურათს გვაძლევს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გასული წლის მონაცემები. საქართველოში საშუალო ხელფასი 1 122.5 ლარია, რაც საარსებო მინიმუმს დაახლოებით 6-ჯერ აღემატება. მაგრამ საშუალო ხელფასი არ ნიშნავს, რომ ყველა მუშაკს მსგავსი ან ტოლი ანაზღაურება აქვს. საშუალოს გამოთვლისას შესაძლებელია მიღებული შედეგი რეალობას მკვეთრად ასცდეს. დავუშვათ 6 ადამიანიდან 2-ს 2 000 ლარი აქვს ხელფასი, ხოლო დარჩენილ 4-ს - 500. მათი საშუალო ხელფასი იქნება 1 000 ლარი. ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს - შეიძლება მოსახლეობის მცირე ნაწილის ყოველთვიური ანაზღაურება ძალიან მაღალი იყოს, ხოლო დანარჩენის 4-ჯერ და მეტჯერაც დაბალი, მაგრამ საშუალოს გამოთვლისას უკიდურესობები აღარ ჩანს. 2017 წლისთვის საქართველოში ჯინის კოეფიციენტი 0.4-ის ტოლი იყო (2018 წლის მონაცემი ჯერ არ არის გამოქვეყნებული). ჯინის კოეფიციენტი მოსახლეობის შემოსავლებს შორის უთანასწორობის მაჩვენებელია. ინდექსის მნიშვნელობა იცვლება 0-დან 1-მდე და რაც უფრო უახლოვდა 1-ს, მით მეტია სოციალური უთანასწორობა. ძალიან მაღალი ანაზღაურების მქონე მოსახლეობა, რომელთა რიცხვი არც ისე დიდია, გადაწონის დაბალი ანაზღაურების მქონე მოსახლეობას, მიუხედავად მათი სიმრავლისა (რაც ლორენცის მრუდით კარგადაა ნაჩვენები). საბოლოო ჯამში, მართალია მათემატიკური გაანგარიშება სწორია, მაგრამ მიღებული შედეგი არ ასახავს რეალობას. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ეს

არის ნომინალური საშუალო ხელფასი და ეროვნული ვალუტის გაუფასურებაც მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. ამავდროულად, 2017 წლის მონაცემებით (2018 წლის მონაცემები ჯერ არ გამოქვეყნებულა) საქართველოს მოსახლეობის 21.9% სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა და დამოკიდებული იყო საარსებო შემწეობასა და პენსიაზე. საქსტატის მიხედვით, გასულ 2018 წელს უმუშევრობის დონე 12.7% იყო, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობის დარჩენილი ნაწილი დასაქმებული იყო და მით უფრო იმას, რომ მათი საშუალო ხელფასი დაახლოებული 1 122.5 ლარს უტოლდებოდა. საქმე იმაშია, თუ ვის მიიჩნევს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სტატისტიკის წარმოებისას დასაქმებულად.

- ✓ დასაქმებულად ითვლება „15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამსახურში, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.
- ✓ თვითდასაქმებულად ითვლება - „მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი“ (მერაბ ვანიშვილი, 2015)

ამ დებულებების გათვალისწინებით თვითდასაქმებულად ითვლება სოფლის ნებისმიერი მცხოვრები, რომელიც ეწევა ფერმერულ მეურნეობას და როცა საქართველოს მოსახლეობის 42.8% (მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით) სოფლად ცხოვრობს უმუშევრობის ასეთი დაბალი დონე არაა გასაკვირი. სოფლის მეურნეობაში დაბალი პროდუქტიულობა და მცირე შომოსავალია, ეს კი ძირითადად განპირობებულია ამ სფეროს განვითარებისა და წარმოების პროცესში მექანიზაციის შედარებით დაბალი დონით და სხვა რიგი მიზეზებით.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია და მიზნები

საკითხის შესწავლის პროცესში აღმოჩნდა, რომ სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობის კვლევა ბოლო პერიოდში არ ჩატარებულა და ამ საკითხით არ დაინტერესებულა მკვლევართა დიდი ნაწილი. მიუხედავად თემის აქტუალობისა და პრობლემატურობისა, ძალიან ცოტა ოფიციალური კვლევაა ჩატარებული, რომელსაც შეიძლება დავეყრდნოთ საკითხის განხილვისას. მათ შორის ყველაზე ახალი 2014 წელს „ოქსფამის“ მიერაა ჩატარებული, რომლის შედეგებიც

განვიხილეT. ასევე არაა გამოკვლეული რა სიტუაციაა საქართველოს ცალკეულ რეგიონში. სწორედ ამიტომ აჭარის რეგიონში ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა „სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობა“

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- აჭარის მოსახლეობის შემოსავლების ოდენობის დადგენა;
- ძირითადად რა არის აჭარის მოსახლეობის შემოსავლის წყარო.
- რამდენად არის დამოკიდებული სურსათზე ხელმისაწვდომობა ოჯახის წევრებისა და არასრულწლოვანთა რაოდენობაზე;
- იღებს თუ არა აჭარის მოსახლეობა საკმარის ხილს, რძის პროდუქტებსა და ხორცს;
- უწევთ თუ არა მათ შიმშილობა უსახსრობის გამო.

რაოდენობრივი კვლევის ანალიზი და შედეგები

აჭარა ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი რეგიონია საქართველოში და საინტერესოა როგორია სურსათზე ხელმისაწვდომობის საკითხი რეგიონში. ამის დასადგენად ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა Google questionnaire–ის გამოყენებით. რადგანც საკითხი მეტად სოციალურია და ყველა ფენისთვის ერთნაირად საჭირო, კითხვარი გავავრცელეთ სხვადასხვა სოციალური ქსელის მეშვეობით. ამით, გავზარდეთ შესაძლებლობა, რომ ყველას, ვისთვისაც საკითხი სენსიტიური იყო, მიეღო კვლევაში მონაწილეობა. კითხვარის შედგენის შემდეგ, სატესტო რეჟიმში დაეგზავნა 7 რესპოდენტს, მათგან მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები იქნა გათვალისინებული და კითხვარი ჩაეშვა აქტიურ რეჟიმში. გამოკითხვა მიმდინარეობდა 10 დღის განმავლობაში. სულ შევსებული იქნა 137 ანკეტა. მათი დამუშავების პარალელურად, გამოვლენილი ხარვეზებისა და შემჩნევების გამო, ისეთი მიზეზების გათვალისწინებით, როგორიცაა არასწორად შევსებული ან დაუსრულებელი ანკეტა, მოქალაქე, რომელიც არ იყო სრულწლოვანი ან არ ცხოვრობდა აჭარის რეგიონში, და კვლევისთვის ხელისშემშლელ სხვა მიზეზთა გამო 47 რესპოდენტის პასუხი ანულირდა.

შედეგების მოსამზადებლად გავითვალისწინეთ 90 რესპოდენტი. რესპოდენტთა 31.1%-მა განაცხადა, რომ მათი ოჯახის 2 წევრია დასაქმებული (კითხვაში მოცემული იყო დასაქმებულის განსაზღვრება), 22.2% - არცერთი წევრი არ არის დასაქმებული, 20% - ერთი წევრი, 16.7% - 3 წევრი, 10% - 4 და მეტი (დიაგრამა იხილეთ დანართი 1.) გამოკითხული ოჯახების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ოჯახის წევრების ხელფასი, კერძო ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი, სოფლის მეურნეობა და პენსია. კვლევამ აჩვენა, რომ თვიური შემოსავლები

აჭარის რეგიონში მცხოვრები ოჯახებისთვის საკმაოდ მაღალია. 36.7%-ის ყოველ-თვიური შემოსავალი აჭარბებს 1500 ლარს, 27.8%-ის შემოსავლები 501-1000 ლარის ფარგლებშია, 13.3% - 301-500 ლარის ფარგლებში, 12.2% - 1001-1500 ლარის ფარგლებში, 8.9% - 100-300 ლარის ფარგლებში (დიაგრამა იხილეთ დანართი 2), მიუხედავად მაღალი ანაზღაურებისა, რესპოდენტთა 71.1%-ი აღნიშნავს, რომ არ ყოფნის ყოველთვიური შემოსავალი საკვების, მედიკამენტების, ექიმის მომსა-ხურების, ტანსაცმლის და სხვა პირველადი მოთხოვნილების პროდუქტისა და მომსახურების შესაძენად. გამოკითხულთა 65.6%-ს კი სურსათის შესაძენად ფულის სესხად აღება უხდება.

რაც შეეხება კვებით რაციონს, გამოკითხულთა 30%-ს თვეში რამოდენიმეჯერ აქვთ ოჯახში ხორციანი კერძი, 23.3%-ს - კვირაში რამოდენიმეჯერ, 21.1%-ს - კვირაში ერთხელ, 1.1%-ს - ყოველდღე, ხოლო სხვებს უჭირთ პასუხის გაცემა. 43.3% ოჯახში ყოველდღიურად მიირთმევს რძის პროდუქტს, 33.3% - კვირაში რამოდენიმეჯერ, 10% - თვეში რამოდენიმეჯერ, 5.6% - კვირაში ერთხელ, ხოლო სხვებს უჭირთ პასუხის გაცემა. 42.2% ხილს კვირაში რამოდენიმეჯერ მიირთმევს, 36.7% - ყოველდღე, 12.2% - თვეში რამოდენიმეჯერ, 3.3% - კვირაში ერთხელ, ხოლო სხვებს უჭირთ პასუხის გაცემა.

კითხვაზე ერთი წლის განმავლობაში ყოფილა თუ არა ერთი დღე მაინც, როცა ოჯახის რომელიმე წევრმა ვერ მიიღო საკვები, რადგან არ ჰქონდათ საკმარისი ფული, რესპოდენტთა 2.2%-მა განაცხადა, რომ ასეთი რამ ხშირად ხდება, 10%-თვის - ხანდახან და 87.8-თვის ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

2 ან 3 სულიან ოჯახებს, რომლებსაც არ ყავთ არასწრულწლოვანი ოჯახის წევრი, არც სპეციალური საჭიროებების მქონე პირი და მათი ყოველთვიური შე-მოსავალი აღემატება 1000 ლარს ძირითადად ყოფნით ეს თანხა, აქ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვილბავშვიანთა და მცირეწლოვანთა ოჯახებს პრობლემა წარმოექმნებათ ბავშვის შეძენის შემდეგ, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ მცირე-წლოვანთა კვება და მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფა ძალიან დიდ ტვირთად აწვება ოჯახებს.

ყველა რესპოდენტმა, ვისაც ყავს სპეციალური საჭიროებების მქონე პირი ოჯახში, განაცხადა, რომ არ ყოფნით ყოველთვიური შემოსავალი მის მოსავლე-ლად და მედიკამენტების შესაძენად. აქ მივდივართ კიდევ ერთ პრობლემასთან. რომლის წინაშეც ქართული საზოგადოება დგას, საქართველოში მედიკამენტების ფასები ძალიან მაღალია.

საბედნიეროდ ყველა სოფლად მცხოვრებმა რესპოდენტისთვის არ ყოფილა ერთი წლის განმავლობაში ერთი დღე მაინც, როცა ოჯახის რომელიმე წევრმა ვერ

მიიღო საკვები, რადგან არ ქონდათ საკმარისი ფული, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს სურსათის შესაძენად ფულის სესხად აღება უწევდა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე აჭარის მოსახლეობის შემოსავლები საკმაოდ მაღალია, თუმცა იგი მაინც არაა საკმარისი მათი ყოველთვიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და მათ უმეტესობას სურსათის შესაძენად ჭირდება ფულის სესხად აღება. რაც შეეხება კვების რაციონს, ისინი საკმარისი რაოდენობით იღებენ ხილსა და რძის პროდუქტებს, მაგრამ მათ რაციონში ნაკლებად შედის ხორცი.

გამოკითხულთა 90%-ის ყოველთვიური შემოსავალი აღემატება სამომხმარებლო მინიმუმს, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილისთვის ეს თანხა არაა საკმარისი სურსათის, მედიკამენტების, ექიმის მომსახურებისა და სხვა პირველადი მოხმარების პროდუქციის შესაძენად. შესაბამისად, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, რომელიც დამოკიდებულია საარსებო შემწეობაზე ან პენსიაზე, ვერ შეიძენს სურსათსა და სხვა აუცილებელ პროდუქტსა და მომსახურებას.

დასკვნა

კვლევის განხორციელების შეზღუდული დროისა და არეალის გამო, ჩვენი კვლევის განზოგადება არ მიგვაჩნია მართებულად, რაც კვლევის ლიმიტაციას წარმოადგენს. თუმცა აღნიშნული ნაშრომი არის პირველი მცდელობა რეგიონში დაწყებული იქნას მსგავსი ტიპის კვლევები, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ყველა სოციალური ფენის ადამიანისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გამოკითხვის ზოგიერთი მაჩვენებელი ემთხვევა „ოქსფამის“ კვლევის შედეგებს, რაც კვლევის სანდოობასა და რელევანტურობაზე მეტყველებს.

„ოქსფამის“ კვლევამ და მონიტორინგმა აჩვენა, რომ საქართველოში სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობის პრობლემა მწვავედ დგას. მიუხედავად დადებითი სტატისტიკური მაჩვენებლებისა: საშუალო ხელფასი საკმაოდ მაღალია, უმუშევრობის და ინფლაციის დონე ნორმის ფარგლებშია და საარსებო მინიმუმში ადამიანისთვის საჭირო ყველა პროდუქტი და მომსახურებაა შესული, მოსახლეობის შემოსავლები მაინც არაა საკმარისი ყოველთვიურად თავის გასატანად. ამის ძირითადი მიზეზი კი სამომხმარებლო ფასების ზრდა და დაბალი შემოსავლებია. ქვეყნის მომხმარებლური ეკონომიკა აუარესებს მდგომარეობას, რაც სურსათის ფასებს არასტაბილურს ხდის. ასევე შიდა წარმოების დაბალი დონეც მოქმედებს დასაქმებაზე, რაც პირდაპირაა დაკავშირებული შემოსავლებზე. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი ჯაჭვურ კავშირშია და ერთმანეთზე ზემოქმედებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სურსათზე ხელმისაწვდომობის პრობლემა აჭარის მოსახლეობასაც აწუხებს. მართალია მათი შემოსავლები ძირითადად 1 500 ლარზე მეტია, მაგრამ ეს არაა საკმარისი მათი სრულფასოვანი არსებობისათვის და მათ სურსათის შესაძენად ფულის სესხად აღება უწევთ. თანაც მათი შემოსავლები ბევრად აღემატება სამომხმარებლო კალათის ღირებულებას. თუმცა ამის მიუხედავად, საბედნიეროდ, აჭარის მოსახლეობა შიმშილობის ზღვარზე არ იმყოფება და საკმარისი რაოდენობის ხილს და რძის პროდუქტს მიირთმევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიზნეს პორტალი LARI.GE. (2019, აპრილი 26). *ბიზნეს პორტალი LARI.GE*. Retrieved from ლარის დინამიკა: აშშ დოლარის კურსი ლართან მიმართებაში: http://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD
2. ვანიშვილი მ., ჭიკაიძე ნ., ვანიშვილი ნ, (2015). *სოციალური ეკონომიკა.* თბილისი: საზოგადოება ცოდნა.
3. *საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერნეტ გაზეთი ETRONOME.GE.* (2019, აპრილი 13). Retrieved from საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერნეტ გაზეთი ETRONOME.GE ვებ გვერდი: https://metronome.ge/story/60688
4. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და "ოქსფამი". (2011). *სურსათზე ხემისაწვდომობა საქართველოში.* თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019, აპრილი 22). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* Retrieved from სამომხმარებლოფასების ინდექსი (ინფლაცია): http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/price/samomxmareblo%20kalatis%20metodologiis%20shesaxeb%202019.pdf
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019, აპრილი 22). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* Retrieved from სამომხმარებლო კალათა: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/price/samomxmareblo%20kalatis%20metodologiis%20shesaxeb%202019.pdf
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019, აპრილი 22). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: http://www.geostat.ge/?lang=geo
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019, აპრილი 22). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* Retrieved from ცხოვრების დონე: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo

9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019, აპრილი 25). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* Retrieved from ხელფასები: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/nace1/02%20Sul_xelfasi(wliuri)%20nace%201.xls

10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019, აპრილი 26). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* Retrieved from ხელფასები: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo

დანართი 1.



დანართი 2.



Abstract

There is a poor social background in Georgia. Some type of society has a problem of accessing food. The problem is widely explained in "Oxfam" studies, as well as in other international and national papers. Discussion obtained by the researchers and statistical data in Georgia has shown that statistics do not reflect the actual picture of Georgia (the reason is mainly connected to methodology). Food accessibility is connected with several major issues, such as: Low income and income inequality; Increased prices of food and etc. In order to research food economic accessibility in Adjara, we conducted a survey in which questioned 90 respondents. The survey results showed that the income of the population is not enough to satisfy the needs of their families. The greater the number of family members, the more difficult it is to satisfy with food. The family needs increase for those who have some minor children. Regardless of income, food economic accessibility is the issue for the families that have members with special needs. The daily products usually includes with fruit and milk products and there is a lack of meat and other products.

Key words: economic accessibility of food; Low income and income inequality; Increased prices of food;

მცირე ბიზნესის საგადასახადო რეფორმის პირველადი შედეგები

ივანე ბაკურაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკა, (მაგ.) მეორე კურსი, ელ.ფოსტა: 61001087227@bsu.ge
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე შაინიძე, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის მოწ. მასწ.

აბსტრაქტი

საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა და გამარტივება ჩვენი ქვეყნისათვის მუდამ აქტუალურია. საგადასახადო ადმინისტრირების სისტემამ უნდა შეასრულოს ორი მნიშვნელოვანი ამოცანა - უზრუნველყოს ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზება და ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას. სწორედ ამ ორი ამოცანის შესრულებისას ე.წ. „ოქროს შუალედის“ პოვნა მუდმივი ზრუნვის საგანია საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებისას.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ გასულ წელს ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულ მცირე ბიზნესის საგადასახადო რეფორმას და მის პირველად შედეგებს, როგორც ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზების, ისე მეწარმეთა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების თვალსაზრისით. რამდენადაც საკანონმდებლო ცვლილება რამდენიმე თვის წინ ამოქმედდა, ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხის შესწავლა საინტერესო და მნიშვნელოვანია რეფორმის შეფასების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, რეფორმა, საშემოსავლო გადასახადი, შედეგები

შესავალი

საქართველოში ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება დიდ ინტერესს იწვევს როგორც გადამხდელების, ისე ექსპერტების მხრიდან. მსგავსი საკითხები მსჯელობის საგანი ხდება. ამდენად, საგადასახადო კანონმდებლობაში მნიშვნე-

ლოვანი ცვლილებების შედეგების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც აღნიშნულ სფეროში წარუმატებელი რეფორმებიც მრავლად განხორციელებულა. ამდენად, აუცილებელია, პირველადი შედეგების საფუძველზე მოხდეს შესწავლა, რამდენად შეუწყო ხელი მცირე ბიზნესის საგადასახადო რეფორმის ფარგლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა დასახული მიზნის მიღწევას და სრულდება თუ არა გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქცია. რადგანაც, რეფორმა ძალაში შევიდა 10 თვის წინ, მისი პირველადი შედეგების შეფასება მნიშვნელოვანი სიახლე იქნება.

2018 წლის 1 ივლისიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი (N2391-IIს, 30.05.2018), რომლითაც შეიცვალა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის წესი. საკანონმდებლო ცვლილების ინიცირებისას საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კანონპროექტის მიღების მიზეზი და მიზანია მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეგულაციების ცვლილება და ამ კატეგორიის გადამხდელთათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, რაც დადებითად იმოქმედებს აღნიშნულ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე. ამასთან, წინასწარი პროგნოზით რეფორმის შედეგად გადასახადების სახით მისაღები წლიური შემოსავალი მცირდებოდა დაახლოებით 40 მლნ. ლარით.

რამდენადაც აღნიშნული კვლევის მიზანი მცირე ბიზნესის საგადასახადო რეფორმის პირველადი შედეგების შესწავლაა, კვლევის ამოცანებად გვესახება შემდეგი:

- რეფორმის პირობებში საგადასახადო შემოსავლების ზრდის/შემცირების დინამიკის შესწავლა. კვლევის შედეგების შესაფასებლად აღნიშნული ტენდენციის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება;
- რეფორმის გავლენის შესწავლა სხვადასხვა საქმიანობის განმახორციელებელი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების საქმიანობაზე;
- კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდაციების შემუშავება კანონმდებლობის სრულყოფის ან/და მისი ოპტიმალურად გამოყენების მიმართულებით.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება სტატისტიკური და ეკონომიკური ანალიზის მეთოდები.

კვლევის შედეგები მოგვცემს პირველად ინფორმაციას რეფორმის წარმატებისა თუ წარუმატებლობის შესახებ, საშუალება გვექნება შევისწავლოთ აღნიშნულის მიზეზები და შევიმუშავოთ რეკომენდაციები.

ძირითადი ნაწილი

2018 წლის 1 ივლისიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებით მნიშვნელოვნად შეიცვალა სპეციალური დაბეგვრის ერთ-ერთი რეჟიმის - მცირე ბიზნესის სტატუსი მქონე პირთა დაბეგვრის წესი. რეფორმის ამოქმედებამდე აღნიშნული სტატუსი ენიჭებოდა მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატებოდა 100 000 ლარს. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრებოდა 3%-ით, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს ჰქონდა ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები, სხვა შემთხვევაში კი - 5%-ით. ამასთან, დღგ-ს გადამხდელად დარეგისტრირება სტატუსის გაუქმების საფუძველი იყო. საშემოსავლო გადასახადის დეკლარირება ხდებოდა წლიური დეკლარაციის წარდგენის გზით.

საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედების შემდეგ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირთა დასაშვები ზღვარი გაიზარდა წელიწადში 500 000 ლარამდე, დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1%-ით, ასევე, მოქმედებს 3%-იანი განაკვეთი, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა. პირი ამ განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500 000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირებისთვის) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე.

სტატუსის მინიჭება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელებისთვისაც. მისი გაუქმების საფუძველი კი არის 500 000 ლარიანი ზღვრის გადაჭარბება ორი კალენდარული წლის მიხედვით (იგულისხმება თითო კალენდარულ წელში ზღვრის გადაჭარბება).

შეიცვალა დეკლარირების წესით, ნაცვლად წლიური დეკლარირებისა, აღნიშნული სტატუსის მქონე პირები ვალდებულნი არიან მოახდინონ ყოველთვიური დეკლარირება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადონ გადასახადი. ამასთან, ისინი მიმდინარე გადასახდელებს აღარ იხდიან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რადგან აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ძალაში შევიდა 2018 წლის 1 ივლისიდან, 2018 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით პერიოდში მიღებული შემოსავლები დაექვემდებარა ძველი წესით დაბეგვრასა და წლიურ დეკლარირებას არაიგვიანეს 2019 წლის 1 აპრილისა.

საინტერესოა რეფორმის შედეგების შესწავლა მოვახდინოთ პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე, რისთვისაც გამოვიყენებთ რამდენიმე გადამხდელის ფაქტიურ მონაცემებს.

პირველ შემთხვევაში განვიხილავთ მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელსაც მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა 2018 წლის 1 აგვისტოდან და მისი საქმიანობის სფეროა სასტუმროს მომსახურება (იხ. ცხრილი 1) .

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მოცემული მეწარმე მცირე ბიზნესის საგადასახადო რეჟიმის ამოქმედებიდან 1 თვეში გახდა აღნიშნული სპეციალური რეჟიმის სტატუსის მქონე. შესაბამისად 2018 წლის პირველი 7 თვის მიხედვით მის მიერ მიღებული შემოსავლები დაექვემდებარა საშემოსავლო გადასახადის ჩვეულებრივი რეჟიმით ანუ ერთობლივი შემოსავლებისა და კოდექსით ნებადართული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობის 20%-ით დაბეგვრას.

სტატუსის მინიჭების შემდეგ იგი მოექცა ერთობლივი შემოსავლის 1%-ით დაბეგვრის რეჟიმში და 8 თვის შედეგების მიხედვით სულ საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 336 ლარი. ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმის შემთხვევაში მისი საგადასახადო ვალდებულება საშემოსავლო გადასახადში ამავე პერიოდში განისაზღვრებოდა 4749 ლარით. მაშასადამე, რეფორმის შედეგად მოცემული მეწარმის ეკონომიამ საშემოსავლო გადასახადში შეადგინა 4413 ლარი. კონკრეტულ შემთხვევაში გადამხდელმა თანხის ნაწილი მოახმარა სასტუმროს სერვისების გაუმჯობესებას, ნაწილი კი - აიღო მოგების სახით.

ცხრილი 1

საქმიანობის სფერო-სასტუმროს მომსახურება										
მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თარიღი	01.01.2018-31.07.2018				01.08.2018-31.03.2019					
	ერთობ-ლივი შემოსა-ვალი	გამოქ-ვითვა-დი ხარჯი	დასაბეგ-რი შემო-სავალი	საშემო-სავლო გადასა-ხადი	დასაბეგრი ბრუნვა (ერთობლივი შემოსავალი)		საშემო-სავლო გადასა-ხადი	გამოქვითვა დი ხარჯი ჩვეულებრი-ვი რეჟიმის შემთხვევაში	საშემოსავლო გადასახადი ჩვეულებრივი რეჟიმის შემთხვევაში	სხვაობა
01.08.2018	22054	9018	13036	2607	აგვისტო	11492	114	3447.6	1608	1494
					სექტემბერი	16229	162	4868.7	2272	2110
					ოქტომბერი	2739	27	821.7	383	356
					ნოემბერი	576	6	172.8	80	74
					დეკემბერი	339	3	101.7	47	44
					იანვარი	750	7	225	105	98
					თებერვალი	784	7	233.2	110	103
					მარტი	1025	10	303.5	144	134
ჯამი				2607			336		4749	4413

მეორე შემთხვევაში განვიხილავთ მეწარმე ფიზიკური პირის მონაცემებს, რომლის საქმიანობის სფეროა სურსათით ვაჭრობა (იხ. ცხრილი 2). აღნიშნულ გადამხდელს მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა რეფორმის ამოქმედებამდე და მოქცეული იყო 3 პროცენტიანი დაბეგვრის რეჟიმში. ცვლილებების შემდეგ ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმთან მიმართებაში მისი საგადასახადო ვალდებულება განახევრდა, რამდენადაც ფასნამატი ამ შემთხვევაში მხოლოდ 10%-ია ანუ კოდექსით ნებადართული გამოქვითვები

ცხრილი 2

საქმიანობის სფერო-სურსათით ვაჭრობა										
მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თარიღი	01.01.2018-30.06.2018				01.07.2018-31.03.2019					
	ერთობ-ლივი შე-მოსავა-ლი	გამოქ-ვითვადი ხარჯი	დასა-ბეგრი შემოსა-ვალი	საშემოსა-ვლო გადასახა-დი (3%)	დასაბეგრი ბრუნვა (ერთობლივი შემოსავალი)		საშემო-სავლო გადასა-ხადი	გამოქვი-თვადი ხარჯი ჩვეულებ-რივი რეჟიმის შემთხვე-ვაში	საშემოსავ-ლო გადასა-ხადი ჩეუ-ლებრივი რეჟიმის შემთხვევაში	სხვაობა
01.10.2017	9026	8123	9026	274	ივლისი	8088	80.88	7279.2	161.76	80.88
					აგვისტო	14932	149.32	13438.8	298.64	149.32
					სექტემბერი	4086	40.86	3677.4	81.72	40.86
					ოქტომბერი	230	2.3	207	4.6	2.3
					ნოემბერი	336	3.36	302.4	6.72	3.36
					დეკემბერი	681	6.81	612.9	13.62	6.81
					იანვარი	313	3.13	281.7	6.26	3.13
					თებერვალი	672	6.72	604.8	13.44	6.72
					მარტი	1059	10.59	953.1	21.18	10.59
							303.97		607.94	303.97

ერთობლივი შემოსავლის 90%-ს შეადგენს, თუ გადამხდელს დოკუმენტურად დადასტურებული ექნებოდა იგი. ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის ძველი დაბეგვრის წესთან მიმართებაში კი მისი საგადასახადო ვალდებულებები გამესამედდა. ამ შემთხვევაში შესაძლოა ვიმსჯელოთ, თუ რატომ უნდა აერჩია გადამხდელს რეფორმამდე არსებული დაბეგვრის წესი მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებით, რამდენადაც დასაბეგრი შემოსავლის 20% უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ერთობლივი შემოსავლის 3%. მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ხარჯების დოკუმენტურად დადასტურებაა, რისი აბსოლუტური საჭიროებაც მცირე ბიზნესის სტატუსის რეჟიმის დროს არ დგას.

განვიხილოთ მესამე შემთხვევაც. საქმიანობის სფერო ამ შემთხვევაში სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით ვაჭრობაა (იხ. ცხრილი 3). გადამხდელი რეფორმის ამოქმედებამდეც სარგებლობდა მცირე ბიზნესის სტატუსით და მოქცეული იყო ერთობლივი შემოსავლის 5%-ით დაბეგვრის რეჟიმში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

საქმიანობის სფერო-სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით ვაჭრობა										
მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თარიღი	01.01.2018-30.06.2018				01.07.2018-31.03.2019					
	ერთობ-ლივი შე-მოსავა-ლი	გამოქ-ვითვა-დი ხარჯი	დასა-ბეგრი შემოსა-ვალი	საშემო-სავლო გადასა-ხადი (5%)	დასაბეგრი ბრუნვა (ერთობლივი შემოსავალი)		საშემო-სავლო გადასა-ხადი	გამოქვით-ვადი ხარ-ჯი ჩვეუ-ლებრივი რეჟიმის შემთხვე-ვაში	საშემოსავ-ლო გადასა-ხადი ჩეუ-ლებრივი რეჟიმის შემთხვევაში	სხვაობა
01.02.2017	4555	1556	4555	228	ივლისი	1409	14.09	986.3	84.54	70.5
					აგვისტო	947	9.47	662.9	56.82	47.4
					სექტემბერი	944	9.44	660.8	56.64	47.2
					ოქტომბერი	806	8.06	564.2	48.36	40.3
					ნოემბერი	891	8.91	623.7	53.46	44.6
					დეკემბერი	716	7.16	501.2	42.96	35.8
					იანვარი	661	6.61	462.7	39.66	33.1
					თებერვალი	696	6.96	487.2	41.76	34.8
					მარტი	760	7.6	532	45.6	38
							78.3		469.8	392

მოცემულ შემთხვევაში ფასნამატი შეადგენს 30%-ს ანუ გამოქვითვადი ხარჯები ერთობლივი შემოსავლის 70%-ია. რეფორმის შედეგად საშემოსავლო გადასახადი ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით დასარიცხთან მიმართებაში შეაგდენს მეხუთედს.

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ რეფორმის გავლენა ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. როგორც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებიდან ჩანს, 2018 წლის მონაცემების მიხედვით საგადასახადო შემოსავლების გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილში 100,1%-ით არის შესრულებული (იხ. ცხრილი 4), ნაერთი ბიუჯეტის ნაწილშიც ასევე 100,1%-ით, ხოლო უშუალოდ საშემოსავლო გადასახადში კი - 101%-ით (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 4

სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები

დასახელება	2018 წლის დამტკიცებული გეგმა	2018 წლის დაზუსტებული გეგმა	2018 წლის ფაქტიური შესრულება	შესრულება %-ში
შემოსავლები	10,463,098.0	10,463,098.0	10,595,649.4	101.3%
გადასახადები	9,690,000.0	9,690,000.0	9,695,962.2	100.1%
გრანტები	338,098.0	338,098.0	404,014.7	119.5%
სხვა შემოსავლები	435,000.0	435,000.0	495,672.5	113.9%

ცხრილი 5

ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლები

დასახელება	**2018 წლის გეგმა**	**2018 წლის ფაქტი**	**+/-**	**%**
შემოსავლები	**11,705,000.0**	**11,822,151.9**	**117,151.9**	**101.0**
გადასახადები	**10,500,000.0**	**10,506,316.2**	**6,316.2**	**100.1**
საშემოსავლო გადასახადი	3,215,000.0	3,247,088.8	32,088.8	101.0
მოგების გადასახადი	740,000.0	736,624.4	-3,375.6	99.5
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,430,000.0	4,426,909.8	-3,090.2	99.9
აქციზი	1,440,000.0	1,465,726.6	25,726.6	101.8
იმპორტის გადასახადი	70,000.0	73,416.9	3,416.9	104.9
ქონების გადასახადი	435,000.0	441,160.3	6,160.3	101.4
სხვა გადასახადი	170,000.0	115,389.4	-54,610.6	67.9

საშემოსავლო გადასახადით მისაღები დაგეგმილი შემოსავალი 2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვითაც 100%-ით არის შესრულებული (გეგმა 2 920 000 ათასი ლარი, ფაქტი 2 918 865,4 ათასი ლარი). მაშასადამე, მცირე ბიზნესის საგადასახადო რეფორმის შედეგად ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი არ შემცირებულა.

დასკვნა

განხილული მაგალითებიდან და ბიუჯეტი შესრულების ანგარიშებიდან ჩანს, რომ მცირე ბიზნესის საგადასახადო რეფორმა დადებითად აისახა სტატუსით მოსარგებლე გადამხდელების ფინანსურ მდგომარეობაზე. მათ განკარგულებაში გაცილებით მეტი ფინანსური რესურსი გაჩნდა, ვიდრე საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ჩვეულებრივი წესის ან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში არსებული მექანიზმის შემთხვევაში. ამასთან, განსაკუთრებით მეტ სარგებელს ნაკლები გადასახადის გადახდით პოულობს ის გადამხდელები, რომელთა მოგების წილი დანახარჯებთან მიმართებაში მაღალია. ხოლო იმ პირებისთვის, რომელთა ფასნამატი საკმაოდ დაბალია, მცირე ბიზნესის რეჟიმის არჩევა დანახარჯების დოკუმენტურად დადასტურების სირთულეების თავიდან ასაცილებლად არის ხელსაყრელი.

ჩვენი აზრით, მიუხედავად რეფორმის დადებითი პირველადი შედეგებისა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება გადამხდელთა ინფორმირების დეფიციტი, დაბალი საგადასახადო კულტურა და მცირე ბიზნესის სფეროში

სუსტი ადმინისტრირება. დღემდე მოუგვარებელია ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე მეწარმეთა მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების პრობლემა. ბაზრობის ორგანიზატორის მიერ საგადასახადო აგენტის შესრულების და მოვაჭრეთა მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებების ამოქმედება რამდენჯერმე გადაიდო და ბოლო მონაცემებით 2020 წლის 1 იანვრამდეა შეჩერებული.

ამდენად, ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები. ჩვენს ქვეყანაში საგადასახადო ლიბერალიზაცია არ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ საგადასახადო ტვირთის შემცირებას. სუსტი ადმინისტრირების პირობებში დაბალი საგადასახადო კულტურის მქონე გადამხდელებისათვის საგადასახადო ტვირთის სიდიდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს საგადასახადო ვალდებულების შესრულების თვალსაზრისით. ამდენად, ჩვენი აზრით, ნებისმიერ საგადასახადო რეფორმას სჭირდება გადამხდელთა ინფორმირების გაზრდა, საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრება (რაშიც არ ვგულისხმობთ მხოლოდ მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს), რაც აიძულებს გადამხდელებს დაბალი საგადასახადო განაკვეთის პირობებში მაინც შესრულონ ჯეროვნად ვალდებულებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010 წ) - კოდიფიცირებული ტექსტი. თბილისი;
2. საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (განთავსებულია ელ. მისამართზე https://mof.ge/images/File/biujeti%2022.03.2018/TAVI%20I%2022.03.2018.pdf);
3. საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (განთავსებულია ელ. მისამართზე https://mof.ge/5235);
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შესახებ კანონპროექტის (N07-2/176/9) განმარტებითი ბარათი (განთავსებულია ელ. მისამართზე https://info.parliament.ge/#law-drafting/15286);
5. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #999 ბრძანება „საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“.

Abstract

Improvement and simplification of tax legislation is always relevant to our country. The tax administration system should fulfill two important tasks - to mobilize budget revenues and promote entrepreneurship development. That's exactly what the two tasks do. Finding the "Golden Intermediate" is the subject of constant care when initiating legislative amendments.

In this paper we will discuss the tax reforms of small business in our country last year and its first results, as well as mobilizing budget revenues and relieving tax cargoes of entrepreneurs. Since the legislative amendment has been launched several months ago, we think it is interesting and important to evaluate the reform.

Keywords: small business, reform, income taxes, results

კრიპტოვალუტების გავლენა საქართველოს ეკონომიკასა და საფინანსო სისტემაზე

მარიამ ლეჟავა, ია ბერიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ფინანსები, მესამე კურსი.

ელ-ფოსტა: lejava2015@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლელა ონიანი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

შენიშვნა: ტექნიკური მიზეზების გამო, სტატია 2018 წლის ნაცვლად, გამოქვეყნდა 2019 წლის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების კრებულში

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოს მსხვილი აგენტები აქტიურად იყენებენ კრიპტოვალუტებს, როგორც ფინანსურ ინსტრუმენტს, ანგარიშსწორების საშუალებას და ინვესტირების სარფიან მექანიზმს. ტექნოლოგიების განვითარება აღნიშნულ პროცესს კიდევ უფრო აჩქარებს , რის გამოც მან უკვე გლობალური მასშტაბები შეიძინა და საქართველოშიც გავრცელდა. აღნიშნული ტექნოლოგიური როგორც უკვე აღვნიშნეთ ინოვაციაა , როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოშიც და ის საქართველოს ეკონომიკასა და მიმდინარე განვითარების პროცესებს საინტერესო და საყურადღებო ფაქტების წინაშე აყენებს. დღეისათვის საქართველოში არ ხორციელდება პროცესის სამართლებრივი რეგულირება და არა მარტო საქართველოში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშიც. საქართველოს ეროვნული ბანკი ისევე, როგორც სხვა ქვეყნის ეროვნული ბანკები, ყურადღებით აკვირდებიან, თუ როგორ ხდება პროცესების განვითარება ვირტუალურ ვალუტებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: კრიპტოვალუტა,ბლოკჩეინი, მაინინგი/მაინერი.

შესავალი

სამეცნიერო კონფერენციის მიზნები და ამოცანები**:** თემის დამუშავების მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და შესაძლო კითხვებზე პასუხის გაცემა.ხოლო, ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ვირტუალური ფულის დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გამოვლენა, მათი შეფასება დღევანდელი გადასახედიდან.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანია კრიპროვალუტები, ხოლო ობიექტი მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკასა და საფინანსო სისტემაზე.

ძირითადი შედეგები:დამუშავებული მასალების საფუძველზე რეკომენ-დაციებისა და პროგნოზების ჩამოყალიბება.

ძირითადი ნაწილი

ათასწლეულების განმავლობაში კაცობრიობა სრულფასოვან ფულს-ოქროს და ვერცხლს იყენებდა, რომლის რეგულირებაც მთლიანად სახელმწიფოს მიერ ხდებოდა. რისკები და პრობლემები ცხადია იმ დროსაც იყო. ამგვარად, სახელ-მწიფო პერიოდულად „აფუჭებდა“ მონეტებს. მათში ოქროს და ვერცხლის გამოც-ხადებულ რაოდენობას ამცირებდა. ამის შემდეგ, როგორც სახელმწიფო, ისე ბანკები იმაზე მეტ ბანკნოტს უშვებდნენ ბრუნვაში, ვიდრე ოქროს მარაგი ჰქონ-დათ. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ბრეტონ-ვუდსში მსოფლიო სახელმწი-ფოებმა ოქროს აშშ დოლარი მიაბეს, სხვა დანარჩენი ვალუტა კი- დოლარს. ამგვა-რად, მსოფლიოში დოლარის ბატონობა დამკვიდრდა. აშშ ვალდებული გახდა დოლარი ოქროზე გადაეცვალა, ანუ მათ ხელში არსებულ ოქროზე მეტი ბანკნოტი ვეღარ უნდა გამოეშვათ. თუმცა, სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა და მთელი მსოფლიო მწვანე ბანკნოტებით აივსო. ცენტრალურმა ბანკებმა მიზნად დაისახეს ინფლაციასთან ბრძოლა. ცენტრალური ბანკების არაოფიციალური მაკონტრო-ლებელი საერთაშორისო სავალუტო ფონდია, რომელიც ამბობს რომ ცენტრა-ლური ბანკები ეროვნული სახელმწიფოებისგან დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ, თავისი კი ცენტრალურ ბანკებს თავად იმორჩილებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისისნი მსოფლიო სარეზერვო ვალუტის -აშშ-ს ემიტენტის ინტერესებს ატარებს.

ერთი მხრივ, თითქოსდა მსოფლიოში ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის დოქტრინა მინიმალური სახელმწიფო ჩართულობით ბატონობს, მეორე მხრივ-ფული დამოკიდებულია არა მოთხოვნის კანონზე, არამედ ცენტრალური ბან-კების სურვილზე. რაღა აზი აქვს საბაზრო ეკონომიკას, თუკი ვიღაცას ამ შემთხ-ვევაში ცენტრალურ ბანკს, საკუთარი სურვილით შეუძლია დაბეჭდოს ან არ დაბეჭდოს ფული და ამით ზეგავლენა მოახდინოს საქონლის და მომსახურების ფასზე.

სწორედ ასეთი სისტემის პასუხია კრიპტოვალუტა, რომელიც პირველად 2008 წელს შეიქმნა და უკვე 10 წელია განვითარების სწრაფ და საინტერესო გზას გადის. სწორედ ეს გახდა ჩვენი ამ საკითხით დაინტერესების მიზეზი.

რა არის კრიპტოვალუტა

კრიპტოვალუტა თავის თავში მოიცავს ოქროს მთელ რიგ თვისებებს, რაც მას იდეალურ ფულად აქცევს. მას არ გააჩნია ერთიანი ემიტენტი, მას არავინ აკონტ-როლებს, მისის გამოშვება მთელს მსოფლიოში მილიონობით კომპიუტერის

მუშაობის საშუალებით ხორციელდება, რომელებიც მათემატიკური ალგორითმების გაანგარიშების პროგრამას იყენებენ. ის არაფრით არის გამყარებული, თუმცა მისი წარმოება ისევე რთულია როგორც ოქროს მოპოვება. მაგალითად ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კრიპტოვალუტის, ბიტკოინისმაქსიმალური რაოდენობა შეზღუდულია: 21 მილიონი! თანაც მესამედი კიდევ არ არის წარმოებული! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ვალუტას ინფლაცია არ ემუქრება. ამასთანავე ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია სისტემაში ანუ ე. წ ბლოკჩეინზე, რომელსაც ელექტრონულ საფულესაც უწოდებენ, განათავსონ კრიპტოვალუტები და განახორციელონ ტრანზაქციები.ეს ყველაფერი კი ხდება მესამე მხარის ჩარევის გარეშე. ბლოკ ჩეინისა და საქართველოს კავშირი ჯერ კიდევ კრიპროვალუტების პოპულარობამდე შეიმჩნევა. კონკრეტულად კი პროცესი იწყება ID ბარათების შემოღებით და უკვე 2016 წელს საქართველოში ქონების ბლოკჩეინ სისტემით რეგისტრაციის საპილოტეპროექტი დაიწყო, რომელიც ბლოქჩეინს ქონების რეგისთრაციისთვის გამოიყენებს. კრიპტოვალუტა თავისი შინაარსით არაფერია ბლოკჩეინის გარეშე, მაგრამ ბლოკჩეინს დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარი გააჩნია და მას მთავრობები ეფექტურად იყენებენ მომსახურების სისწრაფისა და გაუმჯობესების მიზნით. ამასთან ანონიმურობაც გარანტირებულია. ამრიგად, სახელმწიფო თქვენს ოპერაციებს მათ შორის დაბეგვრისა და ფულის გათეთრების მიზნით ვერ აკონტროლებს. უფრო მეტიც, ალგორითმის სისტემა ისეთია, რომ მის განვითარებასთან ერთად, მისი უსაფრთხოებაც იზრდება და პრაქტიკულად შეუძლებელია მისი გატეხვა თუ რა თქმა უნდა ინტერნეტი მთელს მსოფლიოში არ გაითიშა. თუმცა სახელმწიფოს უუნარობა ოპერაციებისა და ტრანზაქციების კონტროლის საკითხში, ჩვენი აზრით სულაც არ წარმოადგენს მისასალმებელ ფაქტს.

კრიპტოვალუტის შეფასებისთვის განვიხილოთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

უარყოფითი მხარეებია: უკანონო და ამორალური ქმედების დაფინანსება, დანაკარგის მარალი რისკი,ჭარბი არასტაბილურობა, მასშტაბურობის პრობლემა, და ფულის გათეთრების რისკი.ანალიზისათვის, აქვე მოვიყვანთ მის დადებით მხარეებს:თაღლითობის თავიდან არიდება, იდენტობის მოპარვის შესაძლებლობების შემცირება, პირდაპირი გადარიცხვები შუამავლების გარეშე, ისტორიულად მიუწვდომელ ბაზრებზე შესვლა და დაბალიტარიფები.

სახელმწიფო ვალუტების კურსის მუდმივი ცვალებადობა კრიპტოვალუტებს უკიდურესად მიმზიდველს ხდის, რადგან მას შეუძლია ფულის შემდეგი ფუნქციების შესრულება:

1) ღირებულების საზომი

2) გადახდის საშუალება

3) დაგროვების საშუალება

მას იღებენ როგორც გადახდის საშუალებას და ეს მთავარია! ასეთ შემთხვევაში, რაში სჭირდებათ კონტრაგენტებს ოფიციალურ ვალუტას დაექვემდებარონ და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მოხდნენ?

ჩვენი აზრით კრიპტოვალუტათაგან ერთერთი ყველაზე გავლენიანი ბიტკოინი იშვიათად ასრულებს ფულის ზემოთ აღნიშნულ ფუნქციებს, ეს კი გამომდინარეობს იქედან, რომ მისი კურსი ბაზარზე მერყევია, მაგალითად 2017 წლის 1 იანვარს ერთი ბიტკოინი 997 აშშ დოლარი ღირდა, დღევანდელი მონაცემით investing.com-ის მიხედვით 9387 აშშ დოლარს შეადგენს და შეუძლებელია მისდამი მაღალი ნდობის გამოცხადება. ჩვენი აზრით იმისათვის რომ ბიტკოინმა მოიპოვოს მაღალი ნდობა, აუცილებელია ბაზარზე შეიქმნას ახალი კრიპტოვალუტები, რომლებიც ერთმანეთთან ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ჩამოაყალიბებენ სამართლიან კურსს და კურსთაშორისიმერყეობა შემცირდება. საქართველოში ბიტკოინის მონეტიზაციის საშუალებას e-moneyიძლევა. კომპანიის ცნობით, მომხმარებელთა რაოდენობა 2015-2016 წლამდე 400%-ით გაიზარდა, 2016-2017 წლამდე კი- 130%-ით. გაიზარდა ინიციატივებიც და უკვე 2017 წლის ივნისში საქართველოში შეიქმნა ქართული კრიპტოვალუტა „ოქროს საწმისი“, თუმცა ჩვენდა გასაოცრად მისი ყიდვა მისი შემენა განსხვავებულიო გზებით ხდება სხვა კრიპტოვალუტებისაგან განსხვავებით, მაგალითად: მისი ყიდვა ნებისმიერი ქვეყნიდან არის შესაძლებელი ბიტკოინითა და ეთერიუმით, დოლარითა და ევროს შემთხვევაში კი ავტორიზაციაა საჭირო პასპორტის მონაცემებით , ასევე შესაძლებელიEMONEY-ზე ჯერ ბითკოინის ხოლო მხოლოდ ამის შემდეგ ოქროს საწმისის შესყიდვა.პირველი ქართული კრიპტოვალუტის შექმნით საქართველო უკვე გახდა პროცესის აქტიური მონაწილე. ხოლო შექმნის მიზანს, ჩვენი აზრით წარმოადგენს მასშტაბური მაინინგ დატა ცენტრების მშენებლობა. სწორედ ამიტომ ადამიანები ფულს კრიპტოვალუტაში აბანდებენ, ის ინვესტირების სარფიანი საშუალება გახდა.

რას გულისხმობს კრიპტოვალუტაში ინვესტირება?

კრიპტოვალუტაზე საუბრისას უნდა განვიხილოთ ორი მიმართულება ვაჭრობა და მოპოვება. ინვესტირება, როგორც ვაჭრობა გულისხმობს კურსთაშორისი სხვაობებით მოგების მიღებას, ხოლო მოპოვება მაინინგს. მოპოვებას საქართველოში ახორციელებს ბითფური(BitFury) ჯგუფის დატა ცენტრი, როგორც მას უწოდებენ ბიტკოინის მწარმოებელი ფერმა.ის მდებარეობს ტბილისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, ძირითადი საქმიანობაა ე .წ მაინინგი ანუ

გამომუშავება და, აგრეთვე სხვა კომპანიებისთვის ბლოკჩეინ-სერვისის მიწოდება, მაგალითად მონაცემთა ბაზის შენახვა.

რატომ საქართველო ?

სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველო 2017 წელში ბიზნესის კეთების სიმარტივით მეცხრე ადგილზეა, თუმცასხვა გასათვალისწინებელი ფაქტორებიც აუცილებელია. თავად ინვესტორები ამ ხელშემწყობ ფაქტორთაგან გამოყოფენ: ელექტროენერგიის სიიაფე, მუშა ხელის სიიაფე, საგადასახადო შეღავათები და ბუნებრივი პირობები.

რა სარგებელი მოაქვს კრიპტოვალუტების წარმოებას საქართველოსთვის? ან მოაქვს კი საერთოდ სარგებელი **?**

პირველ რიგში მნიშვნელოვანია განვიხილოთ რა საგადასახადო ვალდებულებებს კისრულობენ მსგავსი ინვესტორები სახელმწიფოს ბიუჯეტის წინაშე?

გამომდინარე იქიდან რომ, დატა ცენტრები მდებარეობს თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში ის თავისუფლდება გადასახადებისგან, მაგრამ როგორც ბითფური ჯგუფის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში განმარტავს, კომპანია ასაქმებს 1000 მდე ადამიანს , ბიუჯეტის წინაშე მათი ვალდებულება კი მათი განცხადებით, სწორედ დასაქმებულთა ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავებაში გამოიხატება, ასევე მათი განცხადებით ისინი სახელმწიფოსგან განსაკუთრებული შეღავათებით არ სარგებლობენ, მაგრამ საყურადღებოსაკითხად მივიჩნევთ 2017 წლის ელექტრო ენერგიის მოხმარების გაზრდილი მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც საქართველოში ელექტრო ენერგიის მოხმარება გაიზარდა, რაც იმის მაჩენებელია, რომ ქვეყანაში ეკონომიკა ვითარდება, საყურადღებოა თუ რის ხარჯზე, იმის გამო რომ საქართველოს საკმარისი რესურსი არ გააჩნია, მოხმარების გაზრდასთან ერთად გაიზარდა იმპორტიც. ელექტროენერგიის მოხმარება გაზრდილია კომერციული სექტორის, მათ შორის ელექტრონული ფულის მაინინგის ხარჯზე,რასაც დიდი რაოდენობის ბუნებრივი რესურსი ესაჭიროება.ბიტკოინის მიერ წლიურად მოხმარებული ელექტროენერგია 14,49 ტერავატ საათს შეადგენს.მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით საქართველოში 20 ოჯახიდანმინიმუმ 1 ადამიანი კრიპტოვალუტის მოპოვებაშია ჩართული. მათი განცხადებით აღნიშნულის ხელშემწყობს წარმოადგენს საგადასახადო შეღავათები და ელექტროენერგიის დაბალი ფასი.თუმცა საინტერესოა სანამდე იქნება ეს ფასი დაბალი და რამდენად მოქმედებს გაზრდილი მოხმარება ელექტროენერგიის სამომხმარებლო ფასებზე?

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებით 1,5 თეთრით დაიზარდა ელექტროენერგიის როგორც სამომხმარებლო ისე კომერციული ტარიფი თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანიის აბონენტებისათვის. ამავე დადგენილებით, საშუალოდ 1,28 თეთრით გაძვირდა დენი რეგიონებში. დადგენილება 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და სამი წლის განმავლობაში იქნება ძალაში. საყოფაცხოვრებო სექტორში შემდეგი ტარიფები დადგინდა: 0 კლვ.სთ-დან 101 ჩათვლით-14,54 თეთრი ,ნაცვლად 12,98 თეთრისა. 101 კლვ.სთ-დან 301-ის ჩათვლით -18,55თეთრი, ნაცვლად 16,99 თეთრისა და 301კლვ.სთ-ზე მეტის მოხმარების შემთხვევაში23,99 თეთრი,ნაცვლად 21,4 თეთრისა.

ისევე როგორც მსოფლიოში, საქართველოში კრიპტოვალუტა დამყარებულია დეცენტრალიზებულ კონსესუსზე. დეცენტრალიზებული კონსესუსიეს არის წესების ერთობლიობა, რომელზეც თანხმდება ყველა მოქალქე და ამ წესების მიხედვით ისინი ახორციელებენ ტრანზაქციებს,აქვე იგულისხმება, რომ საერთაშორისო ტრანზაქციებში შუამავლის, როგორც სახელწიფო საფინანსო სისტემის შემადგენელი ნაწილის როლს, ბანკი აღარ ასრულებს.ეს კი ჩვენი აზრით ქმნის საფრთხეს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:თუ გავითვალისწინებთ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მოწოდებებს იმის თაობაზე, რომ ქვეყნის პოლიტიკა მიმართული იყოო,იმისკენ რომ უნაღდო ანგარიშსწორება გაზრდილიყო დანაღდი ანგარიშსწორების წილი შემცირებულიყო იმ მიზნით, რომ მოქნილი ყოფილიყო კონტროლის მექანიზმი ბიზნესს ოპერატორების მიერ ბიუჯეტის წინაშე შესასრულებელი ვალდებულებების კუთხით, მაშინ დღევანდელი გადმოსახედიდან და უკვე მომავალში ეს მიდგომები სრულიად უსარგებლო დარჩება, ვინაიდან შუამავალი სუბიექტი ანუ ბანკი, რომლის საშუალებითაც ხდებოდა კონტროლი გადასახადების სწორედ ამოღებაზე თამაშ გარეთ რჩება. ამ დროს სახელმწიფოს არ აქვს ინფორმაცია ვინ ვისგან ყიდულობს, რას ყიდის ამასთან მისი მხრიდან ფულადი რესურსების მოძრაობის კონტროლის არანაირი მექანიზმი არ მოქმედებს.

აქედან გამომდინარე რა ელის ეროვნული ბანკის ფუნქციებს?

ჩვენი აზრით,თუ კი კომერციული ბანკები დაკარგავენ მათ ფუნქციებს, მაშინ ეროვნული ბანკის, როგორც ბანკთა ბანკიცუფუნქციო რჩება, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მისი საგადასახადო-საანგარიშსწორებო სისტემის ორგანიზების ფუნქციაც. იქედან გამომდინარე რომ, ვირტუალური ფულით ტრანზაქციების დროს ფულის მასა გაედინება მიმოქცევის სფეროდან და ვერ ხერხდება ფულის

მისი გაკონტროლება, ამ ნაწილშიც ეროვნული ბანკი კარგავს მის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას რაც მდგომარეობს ბანკნოტების მონოპოლიურ ემისიაში და ამავდროულად დადგება ის რეალობა, როცა ეროვნული ბანკი ვეღარ განახორციელებს სენიორაჟს და დაკარგავს მოგებას, რომელსაც ამ უკანასკნელისგან იღებს.

გამომდინარე ზემოთ ხსენებული მსჯელობებისა რა გამოწვევების წინაშე დგას სახელმწიფო ? გამოწვევები მდგომარეობს შემდეგში:

1) ფინანსური სისტემის მდგრადობის შენარჩუნება. კრიპტოვალუტის რაოდენობის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ქაოსი და ბზარები ფინანსურ ბაზრებზე. ჩვენი აზრით, საყურადღებოა კრიპტოვალუტების ეკოსისტემის განვითარების ტენდენციები,რომელიც ტრადიციული საბანკო და საფინანსო სფეროს ალტერნატივას ქმნის.

2) მაღალი ენერგომოხმარება,რა მომავალში სერიოზულ გავლენას იქონიებს კლიმატის ცვლილებაზეც.

3) კრიპტოსისტემის რეპუტაცია და იდენტიფიცირება. არალეგიტიმურობისა და კომპიუტერულად გენერირებული პროცესების გამო კრიპტოვალუტების ნომინალური ღირებულების პროგნოზირება და ციფრული აქტივის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა რთულია.

ჩვენი აზრით, საჭიროა სახელმწიფომ განახორციელოს:

1) გააკონტროლოს კერძო და სამოქალაქო პირების მიერ ახალი კრიპტოვალუტების შექმნის საკითხი;

2) თვალყური ადევნოს კრიპტოინდუსტრიის სისტემას, მაინინგის პროცესს. ქვეყანაში უნდა შეფასდეს მაინინგის პროცესი განვითარების თავისებურებები და განისაზღვროს მოსალოდნელი გამოწვევის გადაჭრის გზები. დასახოს სახელმწიფო მიდგომა და სამართლებრივად დაარეგულიროს ციფრული გარემო;

3) საზოგადოებამ უნდა იცოდეს კრიპტოვალუტის უპირატესობები და ნაკლოვანებები, რისთვისაც სახელმწიფო ორგანიზაციებმა უნდა გაატარონ მკაფიო ინფორმაციული პოლიტიკა.

რა რეალობის წინაშე დააყენა კრიპტო ვალუტამ მსოფლიო?

კრიპტოინდუსტრიის კონტრასტული ხედვა აჩვენებს, რომ შეიქმნა კრიპტოვალუტის ტალღა, რომელმაც წარმოქმნა გლობალური კრიპტომანია და შეცვალა ადამიანების ფინანსური ცხოვრება. მისი განვითარების ტენდენციებმა აჩვენა რომ:

- გლობალური პოლიტიკური რყევებისა და ეკონომიკური გაურკვევლობის პირობებში, კრიპტო ბაზრისადმი ინვესტორების ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. კრიპტოვალუტამ კონკურენცია გაუწია ფასიან ქაღალდებსა და ოქროს.

- პოპულარული კრიპტოვალუტის-ბიტკოინის-ზრდა განაპირობა აშშ-ის, ჩინეთის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის ინვესტორების ინტერესების ზრდა. ასევე, მის პოტენციალში არსებულმა კაპიტალის გადინებისმოკონტროლის გვერდის ავლის მახასიათებლებმა.

სახელმწიფოები, რომლებიც ისწრაფვიან საკუთარი სახელმწიფო სისტემის კონტროლისაკენ, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ კრიპტოინდუსტრიის განვითარების გამო. სირთულეს ქმნის ტექნოლოგიური მასშტაბები, არქიტექტურა, მოქმედების პრინციპი, მომხმარებლის აღქმა და მონეტარული მახასიათებლები.

დასკვნა

ჩვენი აზრით, თუ საქართველოში კრიპტოვალუტის მწარმოებლებს განვიხილავთ როგორც ბიზნეს ოპერატორებს მაშინ ვღებულობთ შემდეგ მოცემულობას: ჩვენ მათ ვუქმნით სასათბურე პირობებს- თავისუფალი ეკონომიკური ზონა, გადასახადებისაგან გათავისუფლება, ისეთი საქონლის წარმოებაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის ფულად-საკრედიტო და საგადასახადო სისტემას. სახელმწიფო ხელს უწყობს ისეთი პროდუქციის წარმოებას, რომელიც ხელს უშლის ისევ მისივე პოლიტიკის განხორციელებასა და გატარებას.კრიპტოვალუტა თავშივე გულისხმობს დეცენტრალიზაციას და სწორედ ამ ვირტუალური ვალუტის გამოყენების მთავარი მიზანი,ჩვენი აზრით იყო ის რომ, ბიზნეს სუბიექტები გაქცეოდნენ სახელმწიფო რეგულაციებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1) 2018მარი ჩიტაია (10 იანვარი,2018) „ბრძოლა ბიტკოინის წინააღმდეგ საქართველოსა და მსოფლიოში“ მოძიებულია 10 აპრილი,

https://bpn.ge/finansebi/41581-rezonansiq-brdzola-bitkoinis-tsinaaghmdeg-saqarthvelosa-da-msoflioshi.html?lang=ka-GE&fullComments=1

2) ბაჩო ადამია (17 მაისი,2018)“ კრიპტოვალუტის მაინინგი ქართველზე მორგებული ბიზნესია,მაგრამ რატომ, ამაზე არავინ საუბრობს.“ მოძიებული 21 მაისი 2018)

https://commersant.ge/ge/post/kriptovalutis-mainingi-qartvelze-morgebuli-biznesia-magram-ratom-amaze-aravin-saubrobs

3)მამედ მამეზადე (27 დეკემბერი,2017) „აზერბაიჯანი და მსოფლიო, როდის დაემუქრება კრახი კრიპტოვალუტას?“ მოძიაებულია 10 აპრილი,2018

http://dlmn.info/ge/bitkoini-azerbaijani-da-msoplio-rodis-daemukreba-kraxi-kriptovalutas/

4)გივი ადეიშვილი (20 იანვარი, 2018) „საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა ბიტკოინის გამოშვებით“ მოძიებულია 12 აპრილი,2018

https://www.kvirispalitra.ge/economic/39583-qsaqarthvelo-msoflioshi-meore-adgilzea-bitkoinis-gamomushavebithq.html

5)სალომე დეისაძე/ ISET Economist Blog (7 აპრილი 2018) „ბლოკჩეინი სოფლის მეურნეობაში:მომავალი ჯერ არ დაწერილა“ მოძიებულია 12 აპრილი 2018

http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2018-04-20-07-03-34

6) BUSSINES MEDIA GEORGIA (12 იანვარი 2018) “BITFURY ელექტრო ენერგიის ხარჯებს ასაჯაროვებს“ მოძიებულია 14 აპრილი, 2018.

http://www.bm.ge/ka/article/bitfury-eleqtroenergiis-xarjebs-asajaroebs/16258

7)marketer (16 თებერვალი,2018) „ ბიტკოინი: იყავი საკუთარი თავის ბანკი“- უქმნია თუ არა კრიპტოვალუტა ბანკებს საფრთხეს? მოძიებულია 15 აპრეილი 2018

https://www.marketer.ge/kriptovaluta-vs-bankebi/

8) BUSSINES MEDIA GEORGIA (1 აგვისტო 2017) „ოქროს საწმისი- პირველი ქართული კრიპტოვალუტა“ მოძიებულია 16 აპრილი 2018

http://www.bm.ge/ka/article/quotoqros-sawmisiquot---pirveli-qartuli-kriptovaluta/13217

9)თეონა აბსანძე (26 დეკემბერი 2018)“ რა აფექხებს საქართველოში თიზების განვითარებას?“ მოძიებულია 17 აპრილი 2018

http://forbes.ge/news/3229/ra-aferxebs-Tizebis-ganviTarebas

10)ხატია გელბრეიტი (18 მარტი 2018)“ რა ბედი ელის ბიტკოინს“მოძიებულია 18 აპრილი 2018

http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/96072-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1/98/

Abstract

The modern world's major agents actively use crypto currency as the way of payment and the best way for investment. The development of technology further accelerates the process, which has already acquired the global scope and spread in Georgia. This technology has already been mentioned as an innovation, both in the world and in Georgia, and it puts the interesting and noteworthy facts about Georgia's economy and current development processes. Today, Georgia does not have a legal regulation of the process and not only in many countries of the world. The National Bank of Georgia, as well as the national banks of other countries, carefully observe how the development of processes on virtual currencies.

Key words: Cryptocurrency, Blockchein, Maining / Miner.

ანარიცხები საპენსიო ფონდში, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირის დამატებითი საგადასახადო ტვირთი

მამუკა სურმანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების, მესამე კურსი.
ელ-ფოსტა: m.surmanidze1998@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვაჟა ვერულიძე,
საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის
დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი.

აბსტრაქტი

ქვეყნის საპენსიო სისტემა სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ეფექტიანი საპენსიო სისტემის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება ისე მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. სტატისტიკის მიხედვით ქვეყანაში პენსიონერთა რაოდენობა მზარდია და 2050 წლისათვის ის ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 33% [1] მიაღწევს, რაც სოციალური დანახარჯების მუდმივ ზრდას გამოიწვევს. აქედან გამომდინარე აუცილებელია ახალ სისტემაზე ეტაპობრივად გადასვლა, რაც თავის მხვრივ ხელს შეუწყობს საბაზისო პენსიის არამდგრადი ზრდისგან გამოწვეული წნეხის შემსუბუქებას.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ახალი საპენსიო რეფორმის (ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან) თანმდევი დადებითი თუ უარყოფითი მოვლენები. თუ რა გავლენას მოახდენს ის დამსაქმებელზე, დასაქმებულზე და სახელმწიფო სექტორზე, რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს რეფორმის წარმატებით განხორციელებამ და რა დაბრკოლებებმა შეიძლება იჩინოს თავი რეფორმის განხორციელებისას. ამასთანავე კვლევის ამოცანას წარმოადგენს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების პრაქტიკის საფუძველზე ხაზგასმულ იქნას ის რისკები, გამოწვევები და დამდგარი სავალალო შედეგები, რაც თან სდევდა აღნიშნულ რეფორმას.

კვლევისათვის გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების კომბინირება. ინფორმაციის შეგროვებისათვის გამოყენებული იქნა ინტერნეტის საძიებო სისტემები: https://www.google.com/, https://search.aol.com/,

[1] რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე 2018წ

https://scholar.google.com/ და სხვა. ასევე მონაცემების სიზუსტისათვის გამოყენებულ იქნა შეგროვებითი, შედარებითი მეთოდები. კვლევისას უფრო მეტი სიზუსტისათვის. გამოვიყენე მათემატიკური გამოთვლები

საკვანძო სიტყვები: საპენსიო რეფორმა, საპენსიო პოლიტიკა, მოსალოდნელი შედეგები.

ძირითადი ნაწილი

მსოფლიო ბანკის, შრომის მსოფლიო ორგანიზაციისა და სოციალური უსაფრთხოების საერთაშორისო ასოციაციის წლების განმავლობაში მიმდინარე დავა საპენსიო სისტემაში დაგროვებითი და გადანაწილებითი ელემენტების პროპორციის შესახებ საბოლოოდ პოლიტიკური კონსესუსით დასრულდა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ უნივერსალური გამოსავალი არ არსებობს აღნიშნულ საკითხში და ყველა ქვეყანამ თავად უნდა აირჩიოს საკუთარი მოდელი გამომდინარე ქვეყანაში არსებული ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობიდან.[2]

მე-20 საუკუნიდან მსოფლიოში საპენსიო მოდელები სხვადასხვა სახით მოქმედებს. მიუხედავად მათ შორის მცირედი განსხვავებებისა, ძირითადად ეს მოდელი სამ ჯგუფად იყოფა:

- სოლიდარულ პრინციპზე დამყარებული მოდელი - საპენსიო გასაცემლები ფინანსდება შრომისუნარიანი მოსახლეობიდან მობილიზებული გადასახადების მეშვეობით;
- დაგროვებით პრინციპზე დამყარებული მოდელი - პენსიის სიდიდე დამოკიდებულია შენატანის სიდიდესა და საპენსიო ფონდის საინვესტიციო სტრატეგიის წარმატებაზე.
- შერეულ პრინციპზე დამყარებული მოდელი - რაც გულისხმობს, ელემენტების შეჯერებას, როგორც სოლიდარული, ასევე დაგროვებითი სქემის მოდელებიდან.

დღეს მსოფლიოში ყველაზე ხშირად დაგროვებით პრინციპზე დამყარებული საპენსიო მოდელი გვხვდება სხვადასხვა ვარიაციით, ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე. ქვეყნების ნაწილში საპენსიო სისტემაში მონაწილეობა სავალდებულოა: პოლონეთი, ფინეთი ესტონეთი, ისლანდია, ავსტრალია, შვეიცარია. ნაწილში კი ნებაყოფილობითი: ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, იტალია.[3]

---

[2] https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/sapensio%20reporma_WEB_2.pdf

[3] ***კანონპროექტისთვის*** „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-2/162; 29.12.2017)

საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ აღნიშნული საკითხი კარგად გათვ-ლილი და კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმას საჭიროებს: 1994 წელს საპენსიო რეფორმაზე დისკუსიებს იტალიის მთვრობა შეეწირა, 1995 -ში კი საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ალან ჟუპე, 2008 წელი, როცა სკანდინავიის ქვეყნებში დაიკარგა დაზოგილი თანხების ნაწილი.

1999 წლამდე, პოლონეთში მოქმედებდა მხოლოდ სოლიდარული (სახელ-მწიფო, PAYG) საპენსიო სისტემა. პირველი დონე წარმოადგენს პირობით გან-საზღვრულ შენატანებზე დაფუძნებულ სავალდებულო სოლიდარულ სქემას, რომელიც სახელმწიფოს კუთვნილი სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის (ZUS) მფლობელობაშია. აღნიშნულმა ჩაანაცვლა ძველი სოლიდარული (PAYG) საპენ-სიო სისტემა. პენსიონერებისათვის გასაცემი სარგებელი მკაცრად განისაზღვრება შენატანების მიხედვით საპენსიო დაზღვევის შენატანი შეადგენს ბრუტოს (აქ:. მთლიანი ხელფასი) 19,52 %-ს. აქედან, ნახევარს იხდის დასაქმებული, ნახევარს - დამსაქმებელი. 2014 წლის 1 თებერვლიდან ივნისამდე საპენსიო დაზღვევის შენატანი გადაიხდებოდა შემდეგნაირად: 12,22% - სოციალური დაზღვევის ორგანოს ანგარიშზე (ZUS - პოლ. Zakład Ubezpieczeń Społecznych); 4,38 % - იმავე ორგანოს ქვეანგარიშზე; 2,92 % - ღია საპენსიო ფონდის ანგარიშზე. 2014 წლის ივლისიდან, დაზღვეულის სურვილის მიუხედავად, საპენსიო დაზღვევის შენატანის 2.92 % გადაირიცხებოდა ან ღია საპენსიო ფონდში ან ZUS-ის ქვეან-გარიშზე (სულ 7,3 %). იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული პირები არ შედიან ღია საპენსიო ფონდში, მაშინ საპენსიო დაზღვევის მთელი შენატანი (19,52 %) გადაე-ცემა სოციალური დაზღვევის ფონდს და იდება დაზღვეულის ინდივიდუალურ ანგარიშზე.[4]

90-იანი წლებში შრომის ბაზრის ჩავარდნის გამო პოლონეთში სახლმწიფო საპენსიო სისტემა განიცდიდა დეფიციტს. სახელმწიფოს მფლობელობაში არსე-ბული სოციალური დაზღვევის ინსტიტუტმა (ZUS) აიღო ხაზინიდან სესხები, რათა მოეხდინა პენსიების გაცემა. ხაზინამ დაბალი საბიუჯეტო შემოსავლებიდან გამომდინარე გამოუშვა სახელმწიფო ბონდები და უზრუნველყო დეფიციტის დაფარვა, მაგრამ ვალმა მიაღწია კრიტიკულ ზღვარს. სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მეორე სვეტის დანაზოგები მიემართა სახელმწიფო პენსიის დასაფინანსებლად და ამით შეემცირებინა ბიუჯეტის დეფიციტი. ამ ყველაფერმა კი გამოიწვია დაზოგილი თანხის დაახლოებით 50%-ის დაკარგავა. გაცილებით რთული სიტუაცია იყო უნგრეთში, სადაც მოქმედებდა სამ სვეტიანი სისტემა. პირველი სვეტი წარმოადგენს სავალდებულო სახელმწიფო პენსიას,

[4] https://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/

რომელსაც ინაწილებს დამსაქმებელი (24%) და დასაქმებული (9%) საპენსიო სისტემის მეორე სვეტი შედგებოდა კერძო დაგროვებითი ფონდებისაგან, რომელშიც მონაწილეობა 2010 წლამდე სავალდებულო იყო და რომელშიც დასაქმებულის შენატანი შეადგენდა 6%-ს. ბიუჯეტის დეფიციტის დროს კი სახელმწიფომ მოახდინა პენსიების ნაციონალიზაცია და მეორე სვეტიდან თანხები სრულად გადაიტანა პირველ სვეტში, რათა დაეფინანსებინა სახელმწიფო ბიუჯეტი, რითაც მოსახლეობამ დაგროვილი თანხის თითქმის 100% იზარალა. [5]

,,მერსესერი"-სა (დამოუკიდებელი სპეციალური კომპანია), და ,,ჰელფეიჯი"-ს (გაეროსთან არსებული ორგანიზაცია), რომლებიც ყოველწლიურად წარმოადგენენ მსოფლიოს ქვეყნების საპენსიო სისტემების ანალიზსა და შეფასებას, (ისეთი კრიტერიუმების მიხედვით როგორიცაა: საპენსიო ფონდის სიმრავლე, საპენსიო სისტემის სიმყარე დ.ს.) მიხედვით ბოლო 10 წელია საუკეთესო საპენსიო სისტემა მოქმედებს ნიდერლანდებსა და დანიაში. ნიდერლანდებში მოქმედებს სამდონიანი (დაგროვებითი) დანიაში კი შერეული საპენსიო სისტემა.

რაც შეეხება საქართველოს 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესულ კანონმა, დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკური მიზანშეწონილობით იყო ნაკარნახევი არამედ გარდაუალი აუცილებლობითაც, მნიშვნელოვანი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოების ყველა ფენაში მათი სტატუსის (დასაქმებული, დამსაქმებელი, დროებით უმუშევარი) მიუხედავად.

კანონპროექტის მიხედვით, სისტემაში ჩართვა სავალდებულოა 40 წლამდე დაქირავებით დასაქმებულ მოქალაქეებისათვის, თვითდასაქმებულებისათვის და 40 წელს ზემოთ დასაქმებულ მოქალაქეებისათვის კი - ნებაყოფილობითი. სქემის არსი შემდეგში მდგომარეობს - დაგროვებით სისტემაში მონაწილე დასაქმებულის პირად (ინდივიდუალურ) საპენსიო ანგარიშზე ყოველთვიურად შეიტანება დასაქმებულის დაუბეგრავი ხელფასის 6%. აქედან 2%-ს თვითონ დასაქმებული, 2-ს დამსაქმებელი, 2-საც სახელმწიფო (ვფიქრობ სახელმწიფოს ასეთი სახით კონტრიბუცია გააღრმავებს სოციალურ უთანასწორობას ვინაიდან უფრო მაღალ შემოსავლიანი დასაქმებული სახელმწიფოს მხრიდან მიიღებს უფრო მეტ სარგებელს) რიცხავს. დასაქმებულებს რომლის წლიური ხელფასი 24000-დან 60000-მდეა სახელმწიფო მათ სასარგებლოდ რიცხავს 1%, ხოლო თუ წლიური ხელფასი აღემატება 60000 ლარს ამ შემთხვევაში დასაქმებული ვერ ისარგებლებს აღნიშნული დაგროვებითი სისტემით.

რაც შეეხება თვითდასაქმებულებს, იმ შემთხვევაში თუ ისინი გამოთქვამენ სურვილს, რომ ჩაერთონ აღნიშნულ სისტემაში მათ ყოველთვიურად პირად

[5] რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე 2018წ

საპენსიო ანგარიშზე უნდა შეიტანონ დასაბეგრი შემოსავლის 4%, კონტრიბუცია სახელმწიფოს მხრიდან კი ისეთივეა, როგორც დაქირავებით დასაქმებულის შემთხვევაში.

სწორედ სისტემის ასეთმა ფორმატმა გააჩინა რიგი კითხვები მის საიმედოობასთან, რელევანტურობასთან, სამართლიანობასთნ და მოქნილობასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში ვფიქრობ, მნიშვნელოვანია განისაზღვროს იმ მოწყვლადი ჯგუფის რაოდენობა ვისთვისაც ამოქმედდა აღნიშნული რეფორმა: 2017 წლის მონაცემებით სამუშაო ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 30% შეადგენს დაქირავებით დასაქმებულს, 32,98% თვითდასაქმებულს, ხოლო დარჩენილი 37,02% სამუშაო ძალაში არ შედის ან უმუშევარია. ასევე ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ დაქირავებით დასაქმებულთა 54,79% 40 წელზე მეტი ასაკისაა, მათთვის კი სისტემაში ჩართვა ნებაყოფილობითია. გამოდის რომ რეფორმა თავისი სავალდებულოობიდან გამომდინარე გავრცელდება სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ 13,5%-ზე.[6]

წარმოადგენს თუ არა აღნიშნული შენატანი გადასახადს და დამატებით საგადასახადო ტვირთს. სსკ-ს მე-6 მუხლის მიხედვით, გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შენატანები მიემართება არა ბიუჯეტში, არამედ საპენსიო ფონდში ის მისი გადახდის ფორმით (სავალდებულო, არაეკვივალენტური, აუცილებელი) და დატვირთვით მნიშვნელოვნად ემსგავსება მას და ზრდის საგადასახადო ტვირთს, როგორც დამსაქმებლებისათვის ასევე დასაქმებულებისათვის.

დასაქმებულებისათვის საგადასახადო ტვირთის სიდიდის გამოთვლისას შეგვიძლია გამოვიყენოთ ფორმულა: საგადასახადო ტვირთი=გადასახადები/შემოსავლებთან*100, რაც ნიშნავს გადასახადების გაზრდით გაიზრდება საგადასახადო ტვირთი და პირიქით. მაგ. პირის დასაბეგრ შემოსავალს წარმოადგენს 1122,55 ლარს რეფორმამდე (საპენსიო) საგადასახადო განაკვეთს წარმოადგენს 20%-ს. რეფორმის შემდეგ კი გვექნება: 1) 1122,55×2%=22,45 2)1122,55-22,45=1100.1 3) 1100,1×20%=220,02 4) 22,45+220,02=242,47 5) 242,47/1122,55=0,2159 6) 0.2159×100=21.59 , როგორც ვხედავთ საგადასახადო ტვირთი იზრდება 21,59%-მდე.

[6] http://www.geostat.ge/?lang=geo

რაც შეეხება კომპანიის (დამსაქმებლის) საშუალო დანახარჯს, იგი განსხვავებული იქნება სხვადასხვა ზომის კომპანიისათვის ასე მაგალითად: კომპანიისათვის, რომელსაც 50 თანამშრომელი ყავს რომელთა საშუალო ხელფასი შეადგენს 1122,55 ლარს, ყოველთვიური შენატანი ფონდში იქნება - 1122,55 ლარი, ყოველწლიური კი - 13470.6 ლარი. კომპანიაში რომელშიც დასაქმებულების რაოდენობა 500 კაცია - ფონდში ყოველთვიური შენატანი 11225,5, წელიწადში კი იქნება 134706, სწორედ აღნიშნული თანხით მცირდება დამსაქმებლის ყოველწლიური მოგება. ამ ყველაფერმა შეიძლება რიგი პრობლემები გამოიწვიოს კერძო სექტორში:

- შესაძლებელია რომ დამქირავებლის მხრიდან მოხდეს ხელფასის დაკლება დაქირავებულისათვის აღნიშნული გადასახადის გასტუმრების მიზნით.
- გაიზარდოს ქვეყანაში არაფორმალურად დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი (ჩრდილოვანი ეკონომიკის ,,წახალისება“)
- დამძიმდეს საინვესტიციო გარემო იმ უცხოური კომპანიებისათვის (დამატებითი 2% საგადასახადო ტვირთი).

საქსტატის მონაცემებით 2018 წელს საქართველოში ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 1939000. დასაქმებულების რაოდენობა 1694200-ია, საიდანაც თვითდასაქმებულების რაოდენობა შეადგენს 833400-ს ხოლო 860200 დაქირავებით დასაქმებულს[7] ამ უკანასკნელთაგან 40 წლამდე დასაქმებულებს შეადგენენ დაახლოებით 362900-ს შესაბამისად ფონდში ერთი წლის განმავლობაში მობილიზებული თანხა (სავალდებულო წესიდან გამომდინარე) 2018წლის საშუალო ხელფასის გათვალისწინებით იქნება 1122,55 × 6% (2%+2%+2%)=67,353 2)67,353×362900=2444243.7, 3) 2444243.7×12=293308844 ეს თანხა გაიზრდება ყოველწლიურად, მაგრამ კანონის დონეზეც (კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ) კი არ არსებობს სადაზღვეო მექანიზმი, რომელიც სისტემაში მონაწილე სუბიექტებს აგრძნობინებს რომ მათი კუთვნილი სახსრები დაცულია და არ მოხდება მათი სხვა რაიმე მიზნით გამოყენება. საპენსიო სააგენტოს პასუხი კითხვაზე: არის თუ არა მონაწილის საპენსიო აქტივები დაზღვეული დანაკარგისაგან? არის შემდეგი - „საპენსიო აქტივების ღირებულების შემცირების რისკის შემცირების მიზნით, ინვესტიციები განხორციელდება დივერსიფიცირებულად, მხოლოდ კეთილსაიმედო ფინანსურ ინსტრუმენტებში“ [8]

საინტერესოა ახალი საპენსიო სისტემის მიხედვით, საშუალოდ რამდენი ლარის დაგროვებაა შესაძლებელი. ჩავატაროთ გამოთვლები მცირე დაშვებებით:

[7] http://www.geostat.ge/?lang=geo

[8] https://www.pensions.ge/about/pensionschemaquestions

დავუშვათ რომ 35 წლის ქალბატონი ხელფასი 1122,55 ლარია (საქსტატის 2018 წლის მონაცემებით), საპენსიო ასაკამდე კიდევ 25 წელი აქვს. (მიუხედავად იმისა რომ დაქირავებულების ნაწილს გაცილებით ნაკლები ხელფასი აქვთ, ვფიქრობ რომ საშუალო მონაცემის აღება ზოგადი სურათის დასახატად უფრო რელევანტური იქნება). გამოდის რომ 25 წელიწადში ინდივიდუალურ ანგარიშზე არსებული თანხა მიაღწევს 103'700.44 (დაშვებები და დეტალური სიმულაციური ცხრილი იხილეთ დან.1.) ლარს. ვინაიდან ქალები პენსიის მიღებას 60 წლის ასაკიდან იწყებენ, აღნიშნული თანხა უნდა გავყოთ 17,9 (77,9-60) წელზე. გამოდის რომ თვეში 870.73 ლარის აღება შეეძლება. ეს არის ყველაზე ოპტიმისტური გათვლა იმ დაშვებებით, რომ ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმული ყველა ვარაუდი გამართლდა და რომ ლარის კურსი იქნება სტაბილური მომდევნო 25 წლის განმავლობაში და მნიშვნელოვნად არ დაკარგავს მის ღირებულებას (რაც ძალიან საეჭვოდ ჩანს ბოლო წლებში)

დასკვნა

ნებისმიერი სახის რეფორმა დგას გამოწვევებისა და რისკების წინაშე, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მისი ყოველმხრივი შესწავლა და სიღრმისეული ანალიზი. საპენსიო რეფორმა ფართომაშტაბიანი ეკონომიკური პროექტია, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკური მიზანშეწონილობით იყო ნაკარნახევი, არამედ გარდაუალი სიტუაციით დამდგარი აუცილებლობაც. ვინაიდან 2050 წლისათვის პენსიონერთა რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედს (25%) მიაღწევს ამ დროისათვის ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს სტაბილური, მყარი და ადეკვატური საპენსიო სისტემა (მკაცრად და გასაგებად ჩამოყალიბებული საპენსიო პოლიტიკა).

ვფიქრობ, რომ საპენსიო სისტემის მიმდინარე სახით არსებობა ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლებიც თვალსაჩინოა და რომლებიც დაძლეულ უნდა იქნას იმისათვის რომ მიღწეულ იქნას საპენსიო რეფორმის ძირითადი მიზანი: ,,უზრუნველი სიბერის უზრუნველყოფა“.

ნაშრომში განხილულ იქნა სხვა ქვეყნების მაგალითები (წარმატებული თუ წარუმატებელი) აღნიშნულ რეფორმასთან დაკავშირებით, ასევე შედეგები, რომლებიც დადგება იმ შემთხვევაში თუ ყველაფერი დაწერილი სცენარის მიხედვით წარიმართება, ის გვერდითი მოვლენები, რომლებიც თან სდევს აღნიშნულ პროცესს და რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია რეფორმის სრულყოფილად წარმართვისათვის.

რეფორმის უკეთესი წარმართვისათვის ვფიქრობ, ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია

- მკაცრად უნდა განისაზღვროს მთავრობის უფლებამოსილება საპენსიო ფონდთან მიმართებით.
- მუდმივი კავშირი სისტემის პოტენციურ მონაწილეებთან რეფორმის აუცილებლობაში, საიმედოობაში და სანდოობაში დასარწმუნებლად.
- ყველასათვის გასაგები წესების შექმნა, ქვეყანაში არსებული საპენსიო ფონდებისა და მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციის შესახებ;
- რეფორმის პირველ ეტაპზე განხორციელებისას თანმდევი პრობლემა-ტიკის იდენტიფიცირება და რისკების მინიმუმამდე დაყვანა
- მონაწილის საპენსიო აქტივების დაზღვევის მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება
- საპენსიო აქტივების ინვესტირების მიმართულების გამოკვეთა ადგი-ლობრივ საფონდო ბაზართან მიმართებაში (კანონი დაგროვებითი პენ-სიის შესახებ მუხლი 17)

გამოყენებული ლიტერატურა

1. ***კანონპროექტისთვის*** „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-2/162; 29.12.2017)
2. რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე 2018წ
3. Averting the Old Age Crisis - A World Bank Policy Research Report
4. Pensions after the financial and economic crisis: a comparative analysis of recent reforms in Europe — David Natali Working Paper 2011.07
5. https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/sapensio%20reporma_WEB_2.pdf
6. https://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/
7. http://www.geostat.ge/?lang=geo
8. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo
9. https://www.pensions.ge/about/pensionschemaquestions

დანართი

გრაფიკი 1 დაგროვებითი საპენსიო სისტემის სიმულაცია

დაშვებები	
საშუალო ხელფასი	1122,55
შენატანი (%)	6%
საშუალო წლიური ამონაგები დანაზოგზე	7%
შემოსავლის საშუალო წლიური ზრდა	4%
პენსიაზე ყოფნის წლები	15

პენსია		საწყისი ხელფასი				
		500	800	1122,55	1500	2000
მუშაობის წლები	10	54.79	87.66	122.95	164.16	213.89
	20	191.21	305.93	427.96	564.01	731.74
	30	504.31	804.96	1'115.99	1'465.21	1'897.65
	40	1'190.37	1'886.10	2'606.54	3'409.62	4'398.10

დაგროვილი თანხა		საწყისი ხელფასი				
		500	800	1122,55	1500	2000
მუშაობის წლები	10	6'095.54	9'752.86	13'678.39	18'263.62	23'796.50
	20	21'272.85	34'036.56	47'613.41	62'749.21	81'410.97
	30	56'107.30	89'556.19	124'160.08	163'013.66	211'124.81
	40	132'435.42	209'839.79	289'993.52	379'340.04	489'314.92

Abstract

Pension system is one of the most significant parts of a state policy. Without effective pension system it is impossible not only for a state economy to function properly but also for improving the social condition of citizens. Following the statistics the number of retired people in the country is increasing and by 2050 it will reach 33% [9] of a country population which will cause constant growth of social expenses.

Therefore it is essential to move on a new system gradually , that will assist to ease the pressure caused by the unstable increase of basic pension.

The target of the research is positive or negative accompanying occurrences of a new pension reform (has become valid since 1st January 2019) Also the impact, it will have on an employer, on an employee and on a state sector and the results which can lead us to, in case of successful implementation of the reform and the obstacles that can arise during the implementation of the reform. In addition, the research topic is to highlight the risks on the basis of the practice in developing and developed countries, the challenges and deplorable consequences which followed the given reform.

Combination of quantitative and qualitative research methods are used in the given study. The following search engines were used for collecting the information: https://www.google.com/, https://search.aol.com/, https://scholar.google.com/ and so forth . For data accuracy, collective and comparative methods were used. During the research work I used mathematical calculations for more precision.

Key words: Pension reform, Pension policy, expected outcomes

[9] Assessment of adjustment impact on the reform of pension fund 2018

სოფლიდან ქალაქში მიგრაციის პრობლემები აჭარაში (სტატისტიკურ ჭრილში)

ელზა ველიაძე, ქრისტინა ველიაძე
ბათუმისშოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკა, მეორე კურსი
ელ. ფოსტა : e.veliadze@mail.ru
ელ. ფოსტა : qristine.veliadze@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია რობიტაშვილი,
ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

მიგრაცია ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლაა გადასახლების მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს პოლიტიკური მოტივები, ეკოლოგიური კატასტროფები, განათლება, დასაქმება, ცხოვრების ხარისხი და პირობები. საქართველოში გარე მიგრაციასთან ერთად აქტუალურია შიდა მიგრაცია, ძირითადად სოფლებიდან ქალაქებში. აჭარაში სოფლიდან ქალაქში მიგრაციის პრობლემების შესასწავლად ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა შიდა მიგრაციის ძირითადი მიზეზები, რომლთა საფუძველსაც ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს. სოფლიდან ქალაქში მიგრაციას შეიძლება დამანგრეველი შედეგები მოუტანოს არა მხოლოდ სოფლებს არამედ ქალაქებსაც. იგი ქვეყნის ეკონომიკისთვის და განვითარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვინაიდან სოფლად უნდა ხდებოდეს მარაგის შექმნა რესურსების სახით და მათი წარმოებაში გამოყენება. სოფლიდან ქალაქში მიგრაცია არასასურველია როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობისთვისაც, რადგან იწვევს სოფლის დაცარიელებას და ქალაქში უმუშევრობის ზრდას. სოფლიდან ქალაქში მიგრაცია უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების დონეზე, რადგან სოფლად შობადობის დონე უფრო მაღალი იყო და მის ხარჯზე ხდებოდა მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა. შიდა მიგრაციის შედეგებიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლა და აღმოფხვრის გზების ძიება.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, მიგრაციის სტატისტიკა, სტატისტიკური დაკვირვება. მოსახლეობის სტატისტიკა.

შესავალი

თემის აქტუალობა: მიგრაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემაა მთელ მსოფლიოში, რადგან იგი მსოფლიოში ქმნის მთელ რიგ პრობლემებს, როგორებიცაა: დემოგრაფილი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური. თანამედროვე პერიოდში შიდა და გარე მიგრაციის გამომწვევი მიზეზებია: პოლიტიკური მდგომარეობა, დასაქმება-უმუშევრობა, ცხოვრების ხარისხი, ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვა. გამომდინარე აქედან შეიძლება ითქვას, რომ შიდა მიგრაციაც ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ქვეყნისთვის, რამაც შეიძლება ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემები მოუტანოს.

კვლევის მიზანი და ამოცანები მიგრაციის ტენდენციების შესწავლა მიგრაციის პოტენციური რისკის შემცველ პუნქტში აჭარაში. ანუ მიგრაციის რისკების შემცველი სოციალურ-ეკონომიკური ჭრილის გამოკვეთა და აღნიშნულ თემებში მცხოვრები მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების შესწავლა. აჭარაში მიგრაციის გამომწვევი მიზეზების შეფასება და მისი აღმოფხვრის გზების დადგენა.

კვლევის მეთოდი: კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს კითხვარი; მეთოდი გამოკითხვის, შერჩევა - საკუთრივ-შემთხვევითი. კვლევის ობიექტი - მოსახლეობა.

ძირითადი ნაწილი

1. მიგრაციის ზოგადი მიმოხილვა

მიგრაცია (<u>ლათ.</u> Migratio — გადასახლება) — ადამიანის გადაადგილება ან გადასახლება სხვადასხვა ვადით (*რამდენიმე საათიდან სიცოცხლის ბოლომდე*), რომელიც სტატისტიკურად აღრიცხვადი საზღვრების (*ძირითადად ქალაქის, ქვეყნის და სხვა ადმინისტრაციული საზღვრების*) გადაკვეთაში გამოიხატება.

განასხვავებენ: მუდმივ, დროებით, სეზონურ, ქანქარისებურ, შიდა და გარე, იძულებით და სხვა სახის მიგრაციებს.

ეს გლობალური მოვლენა ეხება საქართველოსაც, რადგან დემოგრაფიული ასპექტი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებთან შედარებით დაახლოებით 600000-ით შემცირდა. 2014

წელს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ასახსნელად საჭიროა გადაიხედოს არსებული დემოგრაფიული მონაცემები, რადგან საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღინიშნებოდა დადებითი ბუნებრივი მატება და ამასთან ერთად მიგრაციის სალდოც არ იყო მაღალი. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება ძირითადად გამოწვეულია ემიგრაციით (***ცხრილი N1.1***).

როგორც სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდაზე ჩანს, საქართველოს მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულია, რადგან 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 14,6%-ს შეადგენს. მოსახლეობის დაბერება და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება შესაძლებელია ემიგრაციის კიდევ ერთი უარყოფითი გავლენა იყოს, რადგან ემიგრანტთა საშუალო ასაკი დაახლოებით 34 წელს შეადგენს (**დიაგრამა N1.1**).

შიდა მიგრაციების ყველაზე გავრცელებული ფორმაა მიგრაცია სოფლიდან ქალაქში. განვითარებულ ქვეყნებში უკვე დაიწყო იმ პრობლემის აღმოფხვრა, რომლებსაც იწვევს სოფლიდან ქალაქში მიგრაცია. საამისოდ განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო მოსახლეობის მიგრაცია ქალაქიდან სოფელში. განსხვავებული სურათი იხატება განვითარებად ქვეყნებში, სადაც სოფლიდან ქალაქში მიგრაციამ დიდ მაშტაბებს მიაღწია. ასეთი სახის მიგრაცია იწვევს შიმშილის საფრთხეს და ამიტომ ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ადამიანი ცდილობს ქალაქში გადასახლებას. სწორედ ეს უღარიბესი მასა ავსებს ქალაქის უმუშევართა და კრიმინალთა რიგებს, რაც უკიდურესად ამძაფრებს ქალაქის პრობლემებს. საქართველოში შიდა მიგრაციის გამომწვევი ბევრი მიზეზი არსებობს (ამ თემას ვრცლად მოგვიანებით განვიხილავთ).

შიდა მიგრაციის დიდი აქტივობით ხასიათდებოდა გასული საუკუნის 80-იან წლები, როდესაც მთიან აჭარაში (ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების სოფლებში) სტიქიური უბედურება მოხდა – მეწყერის შედეგად დაზარალდა 5 657 ოჯახი (24 287 ადამიანი). იმ პერიოდისათვის ეკომიგრანტთა მიმღები ძირითად განსახლების ადგილს გურია და სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენდენენ.

საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე შემდეგი შიდა და გარე მიგრაციული ფაქტორები ახდენენ გავლენას:

- საერთაშორისო მიგრაციის შედეგად მოსახლეობა ბერდება;
- საერთაშორისო მიგრაციის შედეგად მდედრობითი სქესის მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება;
- შიდა და გარე მიგრაციის შედეგად სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება და გარკვეულ ტერიტორიებზე იქმნება დეპოპულაციის საფრთხე.

საქართველოში შიდა მიგრაცია, ძირითადად, გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით, შეიარაღებული კონფლიქტებით და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით.

აღწერათაშორის პერიოდში (2002-2014 წწ.) მოსახლეობის შემცირება უფრო მეტად სასოფლო ტიპის დასახლებებმა განიცადა: სოფელში მოსახლეობის კლებამ ამ პერიოდში 23,7% შეადგინა, მაშინ როდესაც ქალაქის მოსახლეობის კლება 7,1%-ია. შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქისა და სოფლის სტრუქტურაც: ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში თითქმის 5%-ით, 52,3%-იდან 57,2%- მდე გაიზარდა. **<u>როგორც დიაგრამა აჩვენებს (დიაგრამა1.2),</u>** მოსახლეობის კლების ტენდენცია სოფლებში 2015 წლის 1 იანვრის შემდეგაც გრძელდება.

2002-2014 წლებში მოსახლეობის შემცირება ყველაზე ნაკლებად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შეეხო, 2015 წლის შემდგომი გამოთვლები კი აჭარაში მოსახლეობის ზრდაზე მიუთითებს.

2.მიგრაციის მართვა

მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩო

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მიგრაციის მართვის მექანიზმების განვითარების კუთხით, რაც ეროვნულ დონეზე სფეროს თანმიმდევრული პოლიტიკის შექმნაში გამოიხატება. აღნიშნული მნიშვნელოვანწილად განაპირობა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით წარმოებულმა საქმიანობამ.

საქართველოში მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი პირველი სტრატეგიული ტიპის დოკუმენტი 1997 წელს შეიქმნა. ეს იყო პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია“. თავისი დროისათვის ამ მეტად ნოვატორულ დოკუმენტს, ძირითადად, უფრო დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა, რადგან არ გააჩნდა განხორციელების სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად შესრულდა კონცეფციაში განსაზღვრული ამოცანები და რა როლი ითამაშა მან ქვეყანაში მიგრაციის მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად. ხსენებული კონცეფცია 2013 წელს ძალადაკარგულად გამოცხადდა და იგი ჩაანაცვლა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულმა „2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიამ“, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მიგრაციის მართვის მექანიზმთა ინსტიტუციურ განვითარებას ქვეყანაში და უფრო მკაფიოდ განსაზღვრა სახელმწიფოს პრიორიტეტები მიგრაციის ცალკეული სფეროების განვითარების კუთხით. სტრატეგიამ ხელი შეუწყო ქვეყანაში

მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას მიგრაციის მართვის გასაუმჯობესებლად. საქართველოს მთავრობამ, გაითვალისწინა რა მსოფლიო და კონკრეტულად ჩვენს რეგიონში არსებული გლობალური გამოწვევები და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნები, 2015 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი რიგით მესამე დოკუმენტი - 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. იგი მიგრაციის სფეროში პოლიტიკის დაგეგმვის თვალსაზრისით თვისებრივად სრულიად ახლებური დოკუმენტია, რომელიც ითვალისწინებს მომიჯნავე სფეროების სექტორულ სტრატეგიებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვა აქტებს და დიდწილად ასახავს ამავე წელს ევროკავშირის მიერ შემუშავებულ „ევროპის მიგრაციის დღის წესრიგის“ დებულებებს. სტრატეგიასთან ერთად მიღებულ იქნა შესაბამისი სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ინდიკატორები, რომელთა საფუძველზეც ფასდება მიღწეული შედეგები.

2018 წლის 9 მარტს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მისიის პროგრამების კოორდინატორს მარკ ჰულსტს შეხვდა, სადაც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის საკითხები მიმდინარე და სამომავლო პროექტები განიხილეს. ზურაბ პატარაძემ ხაზი გაუსვა მაღალმთიანი აჭარის გაძლიერებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, რომელიც შიდა მიგრაციის პროცესების შეჩერებას და მთაში დასაქმების გაზრდას ისახავს მიზნად. მარკ ჰულსტმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს აჭარაში ახალი პროექტის „საქართველოში საზღვრის და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა“ ამოქმედების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

3.სოფლიდან ქალაქში მიგრაციის სტატისტიკური კვლევა

საქართველოში რთული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ფონზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა გარე მიგრაციის მასშტაბები. მაგრამ, გარე მიგრაციასთან ერთად ქვეყანაში იზრდება შიდა - სოფლიდან ქალაქში მიგრაცია.

შიდა მიგრაციას მასიური ხასიათი აქვს ფაქტობრივად სოფლები დაცლილია - „სოფლებში ოჯახებში მხოლოდ მოხუცები არიან დარჩენილი, ისინი ვინც არ მიდიან დროებით სამუშაოზე პრობაციონერები არიან, თუ არა მიგრაციის პროცენტი კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა. სამუშაო მიგრაცია მარტო გურია-აჭარის პრობლემა არაა, რამდენიმე დღის უკან თიანეთში ვიყავი, იქაც ქალი არა სოფელში დარჩენილი, საზღვარგარეთ მიდიან მასიურად“, აღნიშნავს ერთ-ერთი რესპოდენტი.

სოფლიდან ქალაქში მიგრაციის მიზეზების კვლევისათვის ჩავატარეთ კვლევა. მივმართეთ არასრულ დაკვირვებას, ჩავატარეთ საანკეტო გამოკითხვა საკუთრივ-შემთხვევითი შერჩევის მეთოდით.

გენდერულ ჭრილში რესპონდენტების მონაცემები ასახულია ცხრილში N1. როგორც ცხრილშია ნაჩვენები გამოკითხულთა 45% ქალია, ხოლო 55% მამაკაცი (ცხრილი N3.1).

რესპოდენტთა შორის სჭარბობს 17-24 წლმდე ასაკის მოსახლეობა (54%). გამოკითხულთა საშუალო ასაკი კი 26 წელია (ცხრილი N3.2).

გამოკითხულთა შორის 63% აჭარის მკვიდრია, თუმცა რესპოდენტები ასევე იყვნენ გურიის, სამეგრელოს, იმერეთის და კახეთის მხარეებიდან (ცხრილი N3.3).

მიგრაციის მთავარ მიზეზად რესპოდენტები განათლების მიღებისა და დასაქმების მიზნით სოფლიდან ქალაქში გადაადგილებას ასახელებენ (ცხრილი N3.4).

მიგრაცია სოფლიდან ქალაქში იძულებითი მდგომარეობაა, რომელიც სამუშაო ადგილების ნაკლებობითაა გამოწვეული, აღნიშნავს გამოკითხულთა 43%, 28%-ს კი მიაჩნია, რომ იგი საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმცირითაა განპირობებული, 14 % თვლის, რომ მიზეზი ცუდი საცხოვრებელი პირობებია, ხოლო 15% -ს სხვა მიზეზები გააჩნიათ (ცხრილი N3.5).

გამოკითხულთა 66%-ის ოჯახის ყველა წევრი მიგრირებს (ცხრილი N3.6).

რესპოდენთების 38%-ს აღარ სურს სოფელში დაბრუნება, 39%-ს კი არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული (ცხრილი N3.7).

იმისდამიუხედავად, რომ გამოკითხულთა უმეტესობა აღარ აპირებს სოფელში დაბრუნებას, 83% თვლის, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაცია წარმოადგენს სოფლის ტიპის დასახლებისათვის პრობლემას (ცხრილი N3.8).

რესპოდენტთა 37% სოფლად ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში ხედავს სოფლიდან ქალაქში მიგრაციის შემცირების საფუძველს, 22% - სახელმწიფოს უფრო მეტ ჩართულობაში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, 13% - ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, ხოლო 11% - განათლების დონის ზრდასა და ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებაში (ცხრილი N3.9).

დასკვნა

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაციის ძირითადი მიზეზი არის სასურველი განათლების მიღება და სამუშაოს ძიება (დასაქმება). გამოკითხულ რესპოდენტთა 43% თვლის, რომ მიგრაცია იძულებითი მდგომარეობაა, რომელიც გამოწვეულია სოფლად სამუშაო ადგილების ნაკლე-

ბობით ან საერთოდ არ არსებობით, 14% უკმაყოფილოა საცხოვრებელი პირობებით და მიგრირებს ქალაქად სწორედ საცხოვრისის გაუმჯობესების მიზნით. გამოკითხულთა 66%-ის ოჯახის ყველა წევრი ქალაქშია წამოსული სასწავლებლადა და სამუშაოდ, ხოლო მიგრანტთა მხოლოდ 23% აპირებს სოფელში დაბრუნებას. რესპოდენტთა 83% მიიჩნევს სოფლის ტიპის დასახლებისათვის შიდა მიგრაციას პრობლემად. თუ რა შეიძლება იყოს მიგრაციის შემცირების საფუძველი, 37% ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში ხედავს, 22% სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ბიუჯეტიდან მეტი სახსრების გამოყოფაში, 13 % ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, ხოლო 11% განათლების დონის ზრდაში.

შეიძლება ითქვას, რომ მიგრაცია არის იძულებითი ან ნებაყოფლობითი, ჩვენს დღევანდელობაში 1 ვარიანტი გაცილებით მაშტაბურია, და ასე თუ გაგრძელდა სოფელში მარტივად რომ ვთქვათ ხალხი აღარ დარჩება რადგან დღეს დღეობით მარტო ქალაქი იძლევა იმის საშუალებას რომ ადამიანი ყველანაირად პროგრესირდეს.

სოფლიდან ქალაქში მიგრაცია არასასურველია როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობისთვისაც, რადგან იწვევს სოფლის დაცარიელებას და ქალაქში უმუშევრობის ზრდას.

სოფლიდან ქალაქში მიგრაცია უარყოფითან მოქმედებს ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების დონეზე, რადგან სოფლად შობადობის დონე უფრო მაღალი იყო და მის ხარჯზე ხდებოდა მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა.

საქართველოში დამუშავებითი მრეწველობის პრაქტიკულად ერთადერთი დარგი, კვების მრეწველობა დაქვეითების გზაზეა. მისი განვითარება და ხელახალი აღორძინება კი შესაძლებელია სოფლიდან ქალაქში მიგრაციის შემცირებით და სუბსიდიების გაზრდით ფერმერებზე. რაც ყველაზე მთავარია ტრადიციული ექსტენსიური სოფლის მეურნეობიდან, ინტენსიურ მაღალგანვითარებულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლა უნდა მოხდეს.

დანართი

ცხრილი N1.1. **საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა**

წელი	მამაკაცი	ქალი	სულ
1989	2,563,040	2,838,801	5,400.841
2002	1 898,400	2 092,800	3 991,300
2012	1 781,400	1 958,000	3 739,300
2014	1 777,100	1 944,800	3 721,900
2018	1 791,600	1 938,100	3 729.600

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა N1.1



დიაგრამა N1.2

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი N3.1



ცხრილი N3.2



ცხრილი N3.3



ცხრილი N3.4



ცხრილი N3.5



ცხრილი N3.6



ცხრილი N3.7



ცხრილი N3.8



ცხრილი N3.9



გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე ნ., ქინქლაძე რ., ჩიტალაძე ქ., სტატისტიკა ტურიზმისათვის, თბ. 2015.
2. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ. 2011.
3. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ., ,,სოციალური სტატისტიკა", თბ. 2013
4. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თბ. 2008
5. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია -საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი. თბილისი 2017
6. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი „მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში" ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2018
7. სტატისტიკის ეროვნული სამსახური
8. http://migration.commission.ge/files/migration_profile_geo_may.pdf ;
9. http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new_1.pdf;
10. http://migration.commission.ge/files/saqartvelos_2016-2020_ww._migraciis_strategia.pdf;
11. http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=638876&gid=10#.XJqNYFUza70;
12. https://geocodna.wordpress.com/2016/03/05/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94/;
13. https://www.bpn.ge/article/30913-kvleva-sakartveloshi-qovel-mexute-axalgazrdas-kveqnis-datovebis-zlieri-survili-akvs/

Abstract

Migration is the movement of person, or group of people from one place to another with the intentions of settling, permanently or temporarily at a new location. Reasons of migration can be different: Political interests, Ecological disasters, Education, Employment, looking for a better life conditions and qualities. In Georgia within external migration is also actual internal migration, generally from villages to cities. In Adjara, by researches were named main reasons caused migration, among them the main is to improve life's quality. The migration from village to city, can cause destructive aftermaths not only for villages, but also for big cities. This is a big economical problem for the country, cause in the villages must be processed supplies and then their realization in whole country. The migration from village to city is big problem for both – villages turns empty and in the cities increases the unemployment. Also this type of migration is "unhealthy" for country's demographical picture, cause in the villages the number of birthrate always were more than in the city. By the aftermaths its obviously, that we must find the ways to solve this problem.

ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი და კონტრიბუციის ინდექსი საქართველოში

რუსუდან ბარამიძე, გოგიტა ბარამიძე
ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირება,
პირველი და მესამე კურსი
ელ. ფოსტა: rubaramidze@gmail.com, gobaramidze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვლადიმერ ღლონტი,
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი

აბსტრაქტი

ნაშრომში გამოკვლეულია და დადგენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორის როლი. პირველ თავში გაანალიზებულია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) ტენდენციები და დადგენილია ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში. მეორე თავში განხილულია პუი-ს მოტივაციები, რომლის მიხედვითაც გამოკვეთილია ინვესტორთა დაინტერესება ეფექტიანობის, რესურსებისა და საშინაო ბაზრის მაძიებლის მიხედვით. აქედან გამოიკვეთა, რომ საქართველო მხოლოდ იაფი რესურსების ბაზარი არ არის და სახეზეა მოტივაციების დივერსიფიკაცია. მესამე თავში შეფასებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოტენციალი და გაანგარიშებულია კონტრიბუციის ინდექსი, ინდექსის ანალიზის საფუძველზე კი ნათლად ჩანს, რომ უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები ბაზრის სერიოზული მოთამაშეები არიან და დიდწილად ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის ძირითად ბირთვს. მოცემული ინდექსის გამოთვლისას გათვალისწინებულია უცხოური კაპიტალით შექმნილი კომპანიების წილი (მაჩვენებლები) ექსპორტსა და დასაქმების ზრდაში.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა, ექსპორტი, კონტრიბუციის ინდექსი.

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და მდგრადი განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი ინვესტიციების ზრდას უკავია. ინვესტიცია (საქონლისა და მომსახურების წარმოებაში კაპიტალდაბანდება) შეიძლება იყოს შიდა ან უცხოური. ორივე შემთხვევაში ინვესტიციას დანაზოგები ქმნის.

საქართველოში დანაზოგების დონე მაღალი არ არის, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს ისეთი შემოსავალი, რომ ფული დაზოგოს. ეს გარემოება კიდევ უფრო აუცილებელს ხდის უცხოური დანაზოგების, იმავე ინვესტიციების საქართველოში მოზიდვას. ამასთან უცხოური ინვესტიციები უცხოური ვალუტით შემოდის და ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს. ხშირ შემთხვევაში უცხოურ ინვესტიციას ცოდნა, გამოცდილება, ტექნოლოგიები და ცნობადობა მოჰყვება.

აქედან გამომდინარე ნაშრომის მიზანი და ამოცანებია:

1. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი;
2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების ანალიზი;
3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოტენციალის შეფასება და კონტრიბუციის ინდექსის გაანგარიშება.

ძირითადი ნაწილი

1. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი

,,გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკაში, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, ისევე როგორც ეკონომიკური ზრდის მოდელის სწორი შერჩევა.“ (პაპავა, 2007)

მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და განვითარების პერსპექტივაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენა განსაკუთრებულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს საქართველოსთვის, რადგან 2009 წლიდან შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა აშშ დოლარში.

2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
1 569,7	**664,2**	**845,1**	**1 129,9**	**1 022,9**	**1 020,5**	**1 817,7**	**1 665,6**	**1 565,8**	**1 894,5**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამ მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია განვიხილოთ პუი-ის წილი მშპ-ში.



წყარო: https://data.worldbank.org/indicator/bx.klt.dinv.wd.gd.zs

მშპ წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებელს და მნიშვნელოვანია განვიხილოთ პუი-ის წილი მშპ-ში და შევადაროთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს. არსებული ტენდენციიდან გამომდინარე ნათლად ჩანს პუი-ის როლი მშპ-ში. 2017 წლის მონაცემებით ევროპისა და ცენტრალური აზიის მაჩვენებელი 3,24%-ია ხოლო საქართველოში 12,1%. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კეთილდღეობის ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია პუი-ზე.

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები 2008-2017 წლებში

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო წვდომა, ასევე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა ხელს უწყობს ინვესტიციების განვითარებას.

,,პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებით სტრატეგიის ფორმირებისას აუცილებელია განისაზღვროს მოტივაციები და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე, ქვეყნისა და დარგის მახასიათებლის გათვალისწინებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები სხვადასხვა ქვეყნებისა და ეკონომიკის დარგებისათვის განსხვავებულია. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპა იზიდავს შედარებით მაღალი ღირებულების შემქნელ წარმოებას, (როგორიცაა ელექტრონიკა და მანქანათმშენებლობა) მაშინ, როცა თურქეთი ისეთი დარგებითაა დაინტერესებული, როგორიცაა - საფეიქრო, კვების პროდუქტების

გადამუშავება და მომსახურება - ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პირ-დაპირი უცხოური ინვესტიციების სამიზნე.“ (ჭარაია, 2015) ეკონომიკური თა-ნამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიხედვით, მოტივაციები განსხვავებული დარგის მიმართ განსხვავებული დაინტერესებით გამოირჩევიან, კერძოდ:

- „რესურსების მაძიებელი ინვესტიციები - ხასიათდებიან კაპიტალდაბან-დებებით დაბალტექნოლოგიურ და საშუალო-დაბალტექნოლოგიურ, აგრეთვე, ტრადიციულად საექსპორტოდ ორიენტირებულ დარგებში.
- ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციები - ხასიათდება დაინტერესებით მაღალტექნოლოგიურ და საშუალო-მაღალტექნოლოგიურ დარგებში, აგრეთვე, მნიშვნელოვანია ექსპორტის გზით უცხოურ ბაზრებზე გასვლა.
- ბაზრის მაძიებელი ინვესტიციები - ადგილობრივი ბაზრის ათვისებაზეა ორიენტირებული.“ (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები 2008-2017 წლებში (საქართველო)



წყარო: სიხარულიძე, ჭარაია 2018

აღსანიშნავია, რომ 2008-2017 წლებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებლები, როგორც დიაგრამიდან ჩანს, 80% ბაზრის ათვისებით იყვნენ დაინტერესებულნი, მეორე ადგილზე 17%-ით გავიდა ეფექტიანობის მაძიებელნი, ხოლო მესამეზე 3%-ით რესურსების მაძიებელნი. შესაბამისად, საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის, უკვე არ არის მხოლოდ იაფი რე-სურსების ბაზარი, არამედ სახეზეა მოტივაციების დივერსიფიკაცია. ძალიან

მნიშვნელოვანია ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციების 17%-იანი წილი მთლიან ინვესტიციებში, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების საწინდარია,

ასევე მნიშვნელოვანია, უცხოური კომპანიები საქართველოს ბაზრის სიმცირის მიუხედავად (გლობალური კონკურენტუნარიანობის 2018 წლის ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში - 102-ე), მისი ათვისებით არიან დაინტერესებულნი, რაც სავაჭრო დეფიციტის შემცირების საწინდარია.

3. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების პოტენციალი და კონტრიბუციის ინდექსი საქართველოში

,,კონტრიბუციის ინდექსი მიგვითითებს უცხოური კაპიტალით დაფუძნებული საწარმოების გავლენის ხარისხზე, ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორიცაა დამატებითი ღირებულება, დასაქმება, შრომის ანაზღაურება, საგადასახადო შემოსავლები, წილი ექსპორტში, წილი კვლევასა და განვითარებაში და კაპიტალის ფორმირებაში.“ (სიხარულიძე, 2012)

კონტრიბუციის ინდექსი საქართველოსთვის (2013 წელი)

ცხრილი 1.

რეგიონი/ ეკონომიკა	დამატებული ღირებულება	დასაქმება	ექსპორტი	საგადასახადო შემოსავლები	შრომის ანაზღაურება	კვლევა და განვითარება	კაპიტალის ფორმირება
განვითარებული ეკონომიკა	12,7	7,5	19,3	13,9	14,6	24,2	10,5
განვითარებადი ეკონომიკა	12,2	7,9	17,3	14,6	15,4	24,1	11,6
აფრიკა	21,7	7,3	...	...	21,7	37,2	18,4
აღ. და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	10,5	9,9	30,9	7,7	8,9	22,5	6,2
სამხრეთი აზია	10,3	6,1	...	...	16	...	3,8
დასავლეთი აზია	16,8	5,5	1,9	...	15	...	3,8
ლათინური ამერიკა/ კარიბის ზღვის აუზი	15,9	6	17,9	18,9	16	35	14,8
გარდამავალი ეკ. ქვეყნები	21,7	3	...	...	11,2	15,4	25,7
საქართველო	33	18	47,9	46,5	15	...	40

წყარო: უცხოური პირდაპირი ინვესტიციები თეორია და საქართველოს გამოცდილება

საქართველოში დაფიქსირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე, უფრო ზუსტად კი, ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიები. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები ბაზრის სერიოზული მოთამაშეები არიან და დიდწილად ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ძირითად ბირთვს. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიების წილი მთლიან ექსპორტში, რომელიც დაახლოებით ½-ს შეადგენს და მიგვანიშნებს, რომ ქართული ექსპორტი დიდწილად უცხოური ინვესტიციების ხარჯზე ვითარდება.

კონტრიბუციის ინდექსის თანახმად საქართველო უცხოური კაპიტალით დაფუძნებული საწარმოების გავლენის ხარისხით უსწრებს სხვა დანარჩენ რეგიონებსა თუ ქვეყნებს. აღნიშნული დარგები ნათლად მიგვანიშნებენ უცხოური საწარმოების გავლენაზე და მნიშვნელობაზე საქართველოს ეკონომიკაში.

3.1 დასაქმება

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დასაქმება. არ შეიძლება სახელმწიფოში სამუშაო ძალის დიდი ნაწილი რჩებოდეს დაუსაქმებელი. ეს პრობლემა, თავის მხრივ, განპირობებულია სამუშაო ადგილების სიმცირით. იმისათვის, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს მოსახლეობა სამუშაო ადგილებით, საჭიროა მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რის საშუალებითაც შეიქმნება დასაქმების მეტი პოტენციალი, მაგალითად შეიქმნება უფრო მეტი ფაბრიკა-ქარხნები, საწარმოები, ოფისები და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, სადაც ადამიანები დასაქმდებიან.



წყარო: საქართველო სტატისტიკის ეროვნული სააგენტო

საქსტატის მოცემული მონაცემები ცხადყოფს, რომ ინვესტიციების ზრდასთან ერთად იკლებს უმუშევრობის დონე. ბუნებრივია, უმუშევრობის დონის კლება, მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით არ არის განპირობებული, თუმცა ცხრილი 1-დან გამომდინარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მაღალია და მოცემული ტენდენციების გათვალისწინებით ინვესტიციების ზრდა ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას.

3.2 ექსპორტი

დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, ანუ იმპორტი აღემატება ექსპორტს. ,,საქართველოს უარყოფითი ბალანსის შემცირება ექსპორტის ზრდით უნდა მოხდეს, ეს კი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზეა დამოკიდებული. დღეს საქართველოს მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ექსპორტი აქვს: ფაქტობრივად, გაგვაქვს მხოლოდ ის, რაც ჩვენს ტერიტორიაზე მოიპოვება ან რასაც ჩვენი კლიმატი განაპირობებს. საქართველოდან უმნიშვნელო რაოდენობით გადის ის არასასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც კონკურენციას უწევს სხვა ქვეყნების წარმოებას. ეს ხდება იმიტომ, რომ არ გვაქვს ცოდნა, როგორ ვაწარმოოთ. არ გვყავს კადრები, ვისაც შეუძლია აწარმოოს.“ (http://forbes.ge/news/1911/saqarTvelo-cudi-vaWaria)

უცხოური თანამონაწილეობით შექმნილი კომპანიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქართული საექსპორტო პოტენციალის განვითარებაში, მათზე საქართველოს ჯამური ექსპორტის ნახევარზე მეტი მოდის.

ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციების ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში

წელი	მთლიანი ექსპორტი ($ მილიონი)	წილი მთლიან ექსპორტში (%)
2008	1 495,30	53,7
2009	1 133,60	46,5
2010	1 677,30	44.1
2011	2 186,40	47.9
2012	2 376,60	51.1
2013	2 910,30	52.1
2014	2,861.0	58.6
2015	2,204.7	61.4
2016	2,112.9	61.2
2017	2,735.5	62.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო ნათელია 2017 წლის მონაცემებზე დაკვირვებით, სადაც ეს მაჩვენებელი 62.6%-მდე არის გაზრდილი, თუმცა, ექსპორტში თანამონაწილეობა არ არის ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების უკუპროპორციული. მაგალითად, აზერბაიჯანის 2.3 მილიარდიანი ინვესტიციების მიუხედავად მისი კონტრიბუცია საქართველოში 0.5%-საც კი არ აღწევს. ანალოგიური ვითარებაა ჩინური ინვესტიციების მხრივ, თუმცა ჩინეთის შემთხვევაში საქმე ოპტიმისტურადაა, რადგანაც, მას შემდეგ, რაც ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაფორმდა საქართველო გახდა რეგიონში ერთდერთი ქვეყანა, რომელსაც თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, როგორც ჩინეთთან ასევე ევროკავშირთანაც აქვს. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროპაში ექსპორტს გაზრდის. მოცემული კუთხით საკმაოდ საინტერესო ქვეყანაა ნიდერლანდები, მისი ინვესტიციები საქართველოში სწორედ უცხოურ ბაზრებზე გასვლისათვის არის დიდწილად განხორციელებული. 2013 წლიდან დღემდე ჰოლანდიური უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიების წილი მთლიან ქართულ ექსპორტში 10%-ს აღემატება, რაც ყოველწლიურად 150-200 მლნ დოლარის ექსპორტს უტოლდება.

ამრიგად, ექსპორტის ხელშეწყობა ეკონომიკური ზრდის ტემპს აჩქარებს. მისი განვითარება დაკავშირებულია პირდაპირ უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან. მისი განვითარება იწვევს ადგილობრივი წარმოების ზრდას.

დასკვნა

ჩვენი სამეცნიერო ნაშრომის მიზანი იყო, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მოტივაციების ანალიზი, ასევე მისი პოტენციალის შეფასება და კონტრიბუციის ინდექსის გაანგარიშება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს არ გააჩნია იმდენი შემოსავალი, რომ მოახდინოს მისი დაზოგვა, რაც გამოწვეულია დაბალი ცნობადობით, ტექნოლოგიებისა და გამოცდილების სიმცირით.

კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ შედარების მეთოდი, როგორც სხვა ქვეყნებთან მიმართებით, ასევე საქართველოს ყოველწლიურ მონაცემებს შორის.

ანალიზის საფუძველზე თვალნათლივ გამოჩნდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი მშპ-ს ზრდაში, რაც იწვევს კეთილდღეობის ეკონომიკის განვითარებას საქართველოში. მოტივაციების შესწავლისას გამოიკვეთა, ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციების 17%-იანი წილი მთლიან ინვესტიციებში, რაც აუმჯობესებს კონკურენტუნარიანობას, შესაბამისად საქართველო უცხოელი ინვესტიციებისთვის, უკვე არ არის იაფი რესურსის ბაზარი ეს კი, სავაჭრო დე-

ფიციტის შემცირების საწინდარია. კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, საქართველოს სხვა ქვეყნებთან შედარებით კარგი მაჩვენებელი აქვს. ინვესტიციების ზრდასთან ერთად იკლებს უმუშევრობის დონე, იზრდება ექსპორტი, რაც ეკონომიკური ზრდის ტემპს აჩქარებს.

ამრიგად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში მრავალი სარგებლის მომტანია და მას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. თუ გვინდა რომ ქვეყნის ეკონომიკა გაიზარდოს, ხელი უნდა შევუწყოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

ბიბლიოგრაფია

ერქომაიშვილი გულნაზ, ,,საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები“, გამომცემლობა ,,უნივერსალი“, 2016

პაპავა ვლადიმერ, ,,აშენდება თუ არა ფოთში დუბაი და ვისთვის იქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონები საქართველოში?“, ჟ. ,,თბილისელები“ N23, თბილისი, 2007;

სიხარულიძე დავით, ჭარაია ვახტანგ ,,უცხოური პირდაპირი ინვესტიციები თეორია და საქართველოს გამოცდილება“, 2018

ჭარაია ვახტანგ, ,პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის“, 2015

Agrawal, G., Khan, A. (2011), Impact on FDI on GDP: A Comparative Study of China and India, International Journal of Business and Management, 6(10), 71-79.

De Schutter O., Swinnen J., Wouters J. (2012). Foreign Direct Investment and Human Development: The Law and Economics of International Investment Agreements. Routledge Research in International Economic Law.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო http://www.economy.ge/

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/

მსოფლიო ბანკი https://data.worldbank.org/indicator/bx.klt.dinv.wd.gd.zs

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია http://www.oecd.org/economy/

საბანკო რეგულაციების გავლენა ეკონომიკაზე

მარიკა ხოზრევანიძე[1], ანა დავითაძე[2]
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
ბიზნესის ადმინისტრირების მეორე კურსი
ელ. ფოსტა: [1]Khozrevanidze.marika@gmail.com, [2]anoukidavitadzee@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: *გიორგი აბუსელიძე,*
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული
პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული საბანკო და არასაბანკო სექტორის ახალი რეგულაციები, მათი გავლენა ეკონომიკურ აქტიურობაზე, ბიზნეს სექტორის საქმიანობაზე. შესწავლილია კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტატისტიკური მონაცემები, გაანალიზებულია პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გავლენა საკრედიტო ბაზარზე.

კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ სტატისტიკებზე, მსხვილი სავაჭრო ობიექტების გაყიდვების მოცულობაზე და ამასთანავე გამოკითხული მომხმარებლების პასუხებზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნები ამ რეგულაციის შემცველ რისკებზე, შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე. აგრეთვე გამოკვეთილია ის სირთულეები, რომლებიც თან ახლავს მის ფორმირებას და ფუნქციონირებას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: პასუხისმგებლიანი დაკრედიტება, საბანკო და არასაბანკო სექტორი, ეკონომიკური აქტივობა.

შესავალი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ახალი რეგულაციის მიხედვით, 2019 წლის პირველი იანვრიდან ყველა საფინანსო დაწესებულებისთვის გამკაცრდა სესხის გაცემის პროცედურა. კერძოდ, მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს ისეთი ფინანსური ვალდებულება, რომლის გადახდასაც ვერ შეძლებს ფინასური სირთულეების გარეშე. აღნიშნული საბანკო რეგულაციის, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების, მიზანია საფინანსო სექტორის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება. ვინაიდან საქართველოსთვის ჭარბვალიანობა ერთ-ერთი ყველაზე

მნიშვნელოვანი პრობლემაა, ჩვენი აზრით პასუხისმგებლიანი დაკრედიტება ჭარბვალიანობის საპირისპიროდ იქნება მიმართული.

ნაშრომის მიზანია გავაანალიზოთ აღნიშნული რეგულაციების გავლენა ეკონომიკურ აქტიურობაზე (სამშენებლო ბაზარზე, ვაჭრობაზე, მომსახურების სფეროზე და ა.შ); დავადგინოთ **რამდენად აისახა ეს ცვლილება საბანკო/არასა-ბანკო სექტორზე და მათ მომხმარებლებზე. ასევე, პასუხისმგებლიანი დაკრედი-ტების პარალელურად აღმოვჩნდებით თუ არა ე.წ "შავი ბაზრის" წარმოქმნის საფრთხის წინაშე. აღნიშნული მიზნების, მიდგომებისა და მეთოდების გამოყე-ნებით სრულყოფილად გავაანალიზოთ დაკრედიტების დადებითი და უარყო-ფითი მხარეები.**

კვლევის მეთოდოლოგია

ანალიზისთვის გამოვიყენეთ რაოდენობრივი მეთოდი (გამოკითხვებზე დაფუძნებული კვლევა). პირველ ეტაპზე გამოვიკითხეთ 150 ადამიანი, მათ შორის 20 წლამდე - 35 ადამიანი, 20-30 წლამდე- 55ადამიანი, 30 წლიდან ზემოთ - 60 ადამიანი. მეორე ეტაპზე, 10 საწარმო (სამშენებლო სექტორი; მსხვილი სავაჭრო კომპანიები). მესამე ეტაპი - კომერციული ბანკები და მიკრო საფინანსო ორგა-ნიზაციები.

ძირითადი ნაწილი

საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის კვლევა განსაკუთრებით მნიშვნე-ლოვანია განვითარებადი ქვეყნების და მათ შორის საქართველოსთვის, ვინაიდან, ეს ინსტიტუტები წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ბერკეტებს. ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმა, რომელიც ხორციელდება ქვეყანაში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ზოგადი ეკონომიკური ფონის შექმნაზე. ყველა ეკონომიკურ პროცესს გააჩნია ორი მხარე: დადებითი და უარ-ყოფითი, შესაბამისად იკვეთება ორი ჯგუფი, რომლებიც ან ეთანხმებიან ან უარყოფენ მოცემულ რეგულაციას. ჩვენს მიერ გამოკითხულთა შეხედულებებიც გარკვეულწილად ორად იყოფა, რომლებიც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის-თვის მთავარ გადაუჭრელ პრობლემად იქცევა აღნიშნული რეგულაციის შედე-გად:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უახლოეს სტატის-ტიკაზე დაყრდნობით, საქართველოში საშუალო ხელფასი 989 ლარია. ამის გათვალისწინებით, საშუალო ხელფასის მქონე მოქალაქეს შეუძლია თვის განმავლობაში მხოლოდ 197,8 ლარი (989*0.2) გადაიხადოს სესხის მომსახურებისთვის (წელიწადში 2373,6 ლარი). ფაქტობრივად, მოქალაქეს

ეზღუდება განვადებით რამდენიმე ნივთის ერთდროულად შეძენის შესაძლებლობა. ამავდროულად, გადაუდებელ სიტუაციებში მათთვის ერთადერთი გამოსავალი არაფორმალური სესხის მიღება ხდება. ახალი რეგულაციების მიხედვით იზღუდება იპოთეკური სესხების მოცულობაც, რაც პირდაპირ ამცირებს მოთხოვნას უძრავ ქონებაზე, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ აქტიურობაზე.

- ასევე არსებობს მოქალაქეთა ნაწილი, რომელთაც საერთოდ ეკრძალებათ სესხის აღება. შემოსავლების სამსახურის 2017 წლის მონაცემებით, საშემოსავლო გადასახადს 1.18 მლნ ადამიანი იხდიდა, აღნიშნულ პირებს არ გაუჭირდებათ შემოსავლების დადასტურება, თუმცა არსებობენ ე.წ „თვითდასაქმებული“ ადამიანები, რომელთა რაოდენობა ამავე სტატისტიკაზე დაყრდნობით ნახევარ მილიონს უტოლდება და აქვე სრულიად ბუნებრივია წავაწყდეთ ისეთ პრობლემას რომელსაც „შავი ბაზარი“ ქვია, რაც მევახშეების რიცხვის გაზრდას გამოიწვევს.

ამ უარყოფითი ფონის მიუხედავად, არსებობს საზოგადოების ნაწილი, რომელიც პასუხისმგებლიან დაკრედიტებას პოზიტიურად აფასებს და მის დადებით მხარეებზე საუბრობს.

საქართველო დგას იმ გამოწვევების წინაშე რომ გეგმიური ეკონომიკიდან სრულფასოვნად გადავიდეს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე. ამისათვის ნებისმიერი ახალი რეგულაციის მიღებისას საჭიროა გაითვალისწინოს სხვა ქვეყნების გამოცდილება. მაგალითად, უნგრეთში 2000-იანი წლების შუა პერიოდში საოჯახო მეურნეობის უცხოური ვალუტით დავალიანება მკვეთრად გაიზარდა, უცხოური ვალუტით დავალიანების ზრდის მთავარი მიზეზი რისკების არასათანადო შეფასება იყო. 2008 წელს უნგრეთის ეკონომიკა 7% შემცირდა და ამ პრობლემების წინაშე საფინანსო ინსტიტუტებიც აღმოჩნდნენ. შედეგად 2014 წელს უნგრეთი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა რომელმაც პასუხისმგებლიანი დაკრედიტება შემოიღო (უნგრეთის ეროვნული ბანკი, 2014). საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარე, კობა გვენეტაძე, განმარტავს რომ „სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტი შემოსავლების მიხედვით 30%-დან 60%-მდე მერყეობს ეს უკანასკნელი კი ყველაზე რბილ მაჩვენებელს წამოადგენს, ჩვენზე უფრო განვითარებულ და მდიდარ ქვეყნებში ეს კოეფიციენტი გაცილებით უფრო დაბალია. მაგალითად ის ჩეხეთში 45%, ხოლო ესტონეთსა და ლიეტუვაში 50% შეადგენს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კვლევების მიხედვით სესხის მომსახურების 40$-ზე მაღალი კოეფიციენტი მნიშვნელოვნად ზრდის მსესხებლის მოწყვლადობას. ასევე საერთაშორისო კვლევა აჩვენებს რომ

გადახდისუნარიანობის შესწავლის გარეშე დაკრედიტების ბიზნესმოდელი მსესხებელთა დიდი ნაწილის ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუარესებს და ფინანსური სტაბილურობის რისკებს ზრდის“ (გვენეტაძე, 2019). ამ და სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო მალევე აღმოჩნდებოდა ფინანსური კრიზისის წინაშე, რომელიც გამოწვეული იქნებოდა არამიზნობრივი სესხების გაცემით. არამიზნობრივ სესხებში იგულისხმება, ფიზიკური პირების მიერ აღებული სამომხმარებლო სესხები, რომლითაც არ იქმნებოდა ახალი ღირებულება. ამ პრობლემის გამწვავებაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების (მისოების) წვლილი დიდია. 2017 წლის ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშის მიხედვით, მისოების მიერ გაცემული სამომხმარებლო სესხები მთლიანი პორტფელის 58%-ს შეადგენს (იხ. დანართი 1). განსხვავებით საბანკო სექტორისა, მისოებს აქვთ შემოსავლების დამადასტურებელი საბუთების უფრო მარტივი მოთხოვნა, ამიტომ ის ადამიანები ვისაც ურთულდება იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელსაც კომერციული ბანკი უყენებს, ურჩევნიათ მარტივად აიღონ სესხი საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიუხედავად. რეგულაციის ფარგლებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მოექცა რაც გულისხმობს იმას რომ სესხების გაცემა არ იქნება ისეთი მარტივი როგორც მანამდე იყო. ეს პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეამცირებს გადახდისუუნარო მომხმარებლების დაკრედიტებას.

სახელმწიფომ ყურადღების მიღმა არ დატოვა საზოგადოების ის ნაწილი რომელსაც კერძო მასწავლებლები, ტაქსის მძღოლები და ის ხალხი წარმოადგენს, რომლებსაც ფინანსების დადასტურება არ შეეძლოთ, ახლა მათ აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ ინდივიდუალურ მეწარმედ და გადაიხადონ თავისი შემოსავლების მხოლოდ 1%. რა თქმა უნდა, ამ რეგულაციის მიზანია ე.წ „თვითდასაქმებულმა“ პირებმა შეძლონ შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტებში შემოსავლების დაფიქსირება და აგრეთვე სესხის აღება. თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, თუ რამდენად აქვთ მათ აღნიშნულ ინფორმაციასთან წვდომა და ამასთანავე, რამდენად სწორად აქვთ გააზრებული რეგულაციის შინაარსი. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას არ აქვს გააზრებული რეგულაციის არსი (იხ. დანართი 2). ვეცადეთ ძირითადად გამოგვეკვლია ადამიანთა ის კატეგორია, რომლებსაც შემოსავალი არ უფიქსირდებათ (გამოკითხულთა 60% თვითდასაქმებულია). აღმოჩნდა, რომ მათ აბსოლიტურ უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია ინდმეწარმედ რეგისტრირების შემთხვევაში არსებულ შეღავათებთან დაკავშირებით.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება ამ რეგულაციისადმი განპირობებულია ცნობიერების დაბალი დონით. ისინი ბოლომდე ვერ იაზრებენ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მნიშვნელობას. ვიმედოვნებთ, ეს ფაქტი გამოიწვია იმან, რომ რეგულაცია სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ იქნა მიღებული და გარკვეული დროის შემდეგ საზოგადოება გაითავისებს რამდენად დიდ მნიშვნელობას ატარებს რეგულაცია, როგორც მათთვის, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.

რაც შეეხება სამშენებლო ბაზარსა და მსხვილი სავაჭრო ობიექტების გაყიდვების მოცულობას. რა თქმა უნდა, დასაწყისისთვის ეს სექტორი წნეხის ქვეშ მოექცა, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს რეგიონში განვითარებულია განვადებით ბინებისა და მსხვილი საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა. უკვე მრავალჯერ ვახსენეთ, რომ რეგულაციის შემდგომ მოსახლეობას შეეზღუდათ სესხების აღება და შესაბამისად ვეღარ ახერხებენ განვადებით აღნიშნული მომსახურებისა და პროდუქციის მიღებას. თუმცა, სტატისტიკისა და მონაცემების შემოთავაზება გამოკითხულ კომპანიებს უჭირთ, ვინაიდან ჩვენთან საუბრის დროს აღნიშნეს რომ ბინების უმეტესობა უკვე გაყიდული ან გაცემული ქონდათ განვადებით რეგულაციამდე. თუმცა, რამდენად შეძლებენ ან დააპირებენ ისინი სამომავლოდ ამ ბიზნესის გაგრძელებას ან გაფართოებას ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

დასკვნა

საქართველო ბოლო პერიოდის განმავლობაში იდგა იმ საფრთხის წინაშე, რასაც ჭარბვალიანობა ჰქვია. ყველა ვთანხმდებით, რომ საბანკო და არასაბანკო სექტორებს უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვით ამ პრობლემის გამწვავებაში. სწორედ ამიტომ, აუცილებელი გახდა ახალი რეგულაციის შემოღება პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სახით. უდაოა, რომ ეკონომიკაში ყოველი ცვლილება შეიცავს სხვადასხვა რისკებს. პირველი რისკი, რომელიც გამოვლინდა იყო მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე "შავი ბაზრის" წარმოქმნის საფრთხე, სხვადასხვა კომპანიების გასვლა ბაზრიდან და ახალი კომპანიების რთულად დამკვიდრების რისკი. როგორც უკვე ვახსენეთ, დღესდღეობით ისეთი ქვეყანა როგორიცაა უნგრეთი და სხვა იდგნენ იგივე გამოწვევის წინაშე, როგორც საქართველო. აღნიშნულ ქვეყნებში პასუხისმგებლიანი დაკრედიტება უკვე წლებია ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, ისიც რომ ამ რეგულაციის ყველაზე დიდი პოზიტიური მხარე გადახდისუნარიანი მოსახლეობის ზრდა, საფინანსო წნეხის შემცირება და შემოსავლების და ხარჯების

პროპორციულად დაბალანსების შესაძლებლობაა. შეუძლებელია თვალი დავხუჭოთ იმ რისკებზე რის წინაშეც ვდგებით, თუმცა უნდა გავაკეთოთ არჩევანი გვიღირს კი ამ საფრთხეებისგან თავის აცილება ეკონომიკის განვითარების შეფერხების საპირწონედ?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, (2018) „საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკებისთვის პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მოთხოვნების შემოღებაზე აცხადებს“ მოძიებულია 10 აპრილი, 2019, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3333

2. გვენეტაძე, კ. (2019). სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტი საქართველოს შემთხვევაში შემოსავლის მიხედვით 30%-დან 60%-მდე მერყეობს. მოძიებულია 15 აპრილი, 2019 http://ghn.ge/news/223749.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, (2017). მოძიებულია 15 აპრილი, 2019 https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2018/annual2017final.pdf

4. უნგრეთის ეროვნული ბანკი, (2014). პუბლიკაციის სათაური. https://www.mnb.hu/en

დანართი 1:



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დანართი 2:



წყარო: ავტორისეული, კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით

Abstract

The aim of this paper is to discuss the new regulations of the banking and non-banking sectors, its impact on economic and business sector activity. For this purpose, statistics provided by commercial and microfinance organizations is studied and reviewed, the impact of responsible lending on financial market is analized.

Based on the statistics offered by commercial banks and microfinance organizations, the volume of sales of large merchants and the responses of surveyed consumers, we concluded about the risks, opportunities and challenges contained in this regulation, as well as difficulties associated with its formation and function in Georgia.

Keywords: responsible lending, banking and non-banking sector, economic activity.

ტურიზმის ინდუსტრიაში ადამიანური რესურსების მოტივაციის ძირითადი ფაქტორები

სოფიო გოგმაჩაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ტურიზმის ფაკულტეტი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი (მაგ), მეორე კურსი.
ელ. ფოსტა: sophio.gogmachadze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: როსტომ ბერიძე,
მასპინძლობის მენეჯმენტის დეპარტამენტის პროფესორი

ანოტაცია

ადამიანური რესურსების მოტივაციის ფაქტორების შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა იქცა მნიშვნელოვან ამოცანად წამყვანი ორგანიზაციებისთვის,რადგან მოტივირებული პერსონალი წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას და წარმატების ფორმულას კომპანიებისთვის. ადამიანური რესურსების სწორად მართვა და გამოყენება დიდ გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს.სტუმართმასპინძლობის ინდუსტრია მჭიდროდაა დაკავშირებული მოტივირებულ ახალგაზრდებთან, რომლებიც ბოლომდე იხარჯებიან სამუშაო პროცესში და არ ზოგავენ ძალისხმევას კომპანიის საერთო მიზნის მისაღწევად. ამიტომ კომპანიებიც უფრო მეტ ინვესტიციას დებენ პერსონალის მოტივირებისთვის.

ამგვარი შედეგის მიღწევა კი, შესაძლოა სწორი მოტივაციის სტრატეგიის შემუშავებით და ამიტომაც მოცემული ნაშრომის მიზანი გახლავთ რეკომენდაციების შემუშავება,რომლებიც დაეხმარება დამსაქმებელს შეინარჩუნოს დასაქმებულთა მოტივაცია.ძირითად ამოცანას კი წარმოადგენს მოტივაციის ინოვაციური და პროდუქტიული სტრატეგიის ჩამოყალიბება და შერჩევა. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება, ბათუმში, ტურიზმში დასაქმებულების კვლევის შედეგად მიღებული რეალური სურათი.

შესავალი

ორგანიზაციის ეფექტიანი მართვა ბევრ შიდა და გარე პარამეტრზეა დამოკიდებული, რომელთაგან უმთავრესი პერსონალია. ეფექტური მოტივაციის ფაქტო-

რების შემუშავება და დანერგვა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური რესურსების მართვის პროცესში პერსონალი არის არა დანახარჯი, არამედ რესურსი კონკურენტუნარიანობისა და მომგებიანობისთვის. მოტივირებული თანამშრომელი უკეთ იყენებს საკუთარ უნარ-ჩვევებს, ენერგიას. ყველა ორგანიზაცია არის დაინტერესებული იმით, თუ რა შეიძლება გააკეთოს რათა მიაღწიოს შესრულების მაღალ ხარისხს. მოტივაცია არის ენერგია და სურვილი მიზნის მისაღწევად ძალისხმევის გაწევისა. თანამშრომლების მოტივირება გულისხმობს დადებითი ატმოსფეროს შექმნას, ისეთი გარემოს უზრუნველყოფას, რომელიც მათ განაწყობს პროდუქტიული მუშაობისაკენ. ამ გარემოს შექმნა დამოკიდებულია მენეჯერის მართვის სტილზე, მიზნებსა და შეხედულებებზე.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია მოტივაციის პროცესი და სისტემები, მოტივაციის თეორიები, პერსონალის მენეჯმენტისა და განვითარების სისტემები. ასევე აჭარაში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც პერსონალის მოტივაციის ფაქტორებს და ოპტიმალური სტრატეგიის შერჩევას ეხება.

კვლევის მიზანია მეთოდოლოგიური დებულებებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება პერსონალის მოტივაციის სრულყოფისათვის.

დასახული მიზანი კი, მოიაზრებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- ბათუმში ტურიზმში დასაქმებულთა კვლევა, შედეგების ანალიზი და მოტივაციის ძირითადი ფორმების განსაზღვრა;
- ტურიზმში მოტივაციის სისტემების ხარვეზების გამოვლენა;
- მოტივაციის სისტემისთვის საჭირო მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლა;
- ტურიზმისა და მასპინძლობის განვითარების პერსპექტივების დასახვა.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა ჩატარდა წინასწარ შედგენილი კითხვარით. შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოიკითხა ბათუმის სასტუმროთა თანამშრომლები.

თავი I. მოტივაციის როლი და მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემაში

რა არის **მოტივაცია**? მოტივაცია არის რაიმეს გაკეთების მიზეზი. მოტივაცია დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, რომლებიც ახდენენ ზეგავლენას ადამიანთა ქცევაზე. არნოლდი ჩამოთვლის მოტივაციის სამ კომპონენტს, როგერებიცაა ***მიმართულება*** - საითაც მიისწრაფვის ადამიანი, ***ძალისხმევა*** - რამდენად ძლიერად ცდილობს და ***მუდმივობა*** - რამდენად დიდ ხანს ინარჩუნებს მცდელობას.

მოტივირება ადამიანებისა, გულისხმობს მისცეთ მათ შედეგის მომტანი მიმართულება. კარგად მოტივირებულ ადამიანებს აქვთ მკაფიო მიზნები და

ღებულობენ ზომებს, მათ მისაღწევად. მოტივაცია შეიძლება განვახორციელოთ ორი გზით. პირველ რიგში, ადამიანებს შეუძლიათ თვითმოტივირება - ეძიონ, იპოვონ და განახორციელონ საქმე, რომელიც აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს ან მინიმუმ ჰქონდეთ იმედი, რომ მათი მიზნები მიღწეული იქნება. თანამშრომლები შეიძლება მოტივირდნენ აგრეთვე მენეჯმენტის მეშვეობით, ჯილდოს, დაწინაურების, შექების და სხვა საშუალებებით.

1. მოტივაციის თეორიები

მოტივაციის არა ერთი თეორია არსებობს. თითეული მათგანი განსაკუთრებულ მიდგომას აყალიბებს და საკითხის სხვადასხვაგვარად გადაჭრის შესაძლებლობებს გვთავაზობს. ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეშიც კი გვხვდება. ისინი პასუხობენ კითხვებს იმის შესახებ, თუ რა იწვევს მოტივაციის ამაღლებას ან პირიქით, მის დაქვეითებას.

მე-19 საუკუნეში აღმოცენებული ინსტრუმენტალური თეორია, აქცენტირებს სამუშაოების რაციონალიზაციისა და ეკონომიკურ შედეგებზე. იგი ჯილდოებსა და ჯარიმებს სამუშაოს ეფექტურობას უკავშირებს. მისი ავტორის, F W Taylor-ის თქმით "შეუძლებელია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანმა იმუშაოს საშუალოზე მეტად, თუ არ მოვახდენთ მუდმივ ზრდას მათი ანაზღაურებისა''. ამისგან განსხვავებით, შინაასრობრივი თეორია ყურადღებას ამახვილებს მოტივაციის შინაარსზე. იგი ადგენს, რომ მოტივაცია არსებითად მოითხოვს ზომების მიღებას, რათა დააკმაყოფილოს და განსაზღვროს ძირითადი საჭიროებები, რომლებიც გავლენას ახდენს მოქმედებაზე. მისი ავტორი მასლოვი (1954) ამ საჭიროებებს „დამაკმაყოფილებლებს“ უწოდებს. მას ძალიან გავს, პროცესუალური თეორია, რომელიც მოტივაციაზე გავლენის მქონე ფსიქოლოგიურ პროცესებს უსვამს ხაზს. ესაა იგივე შემეცნებითი თეორია, რადგან დაკავშირებულია ადამიანთა მიერ სამუშაო გარემოს აღქმაზე.

ამოცანის შესრულებაზე გავლენას ახდენს ორი დამატებითი ცვლადი. პირველი, ესაა ***უნარი*** - ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორებიცაა ინტელექტი, მექანიკური უნარები, ცოდნა თუ როგორ გააკეთო. მეორე კი ***როლის აღქმა*** - ის რაც ინდივიდს უნდა რომ გააკეთოს ან ფიქრობს აუცილებელია რომ გააკეთოს.

მიზნის თეორია, განავითარეს ლატამ და ლოქემ (1979) რომელთაც შენიშნეს, რომ მოტივაცია და საქმიანობა უფრო მაღალია, როცა მიზანი კონკრეტული და რთულია, მაგრამ მიღწევადი და როცა ვიღებთ უკუკავშირს შესრულებულ საქმიანობაზე. უკუკავშირს ეხმიანება პორტერ ლოულერის თეორიაც. იგი ეფუძნება მოლოდინისა და სამართლიანობის თეორიებს და მასში წარმოდგენილია 5

ცვლადი. კერძოდ, 1) გაწეული ძალისხმევა; 2)აღქმა; 3) მიღებული შედეგები 4) დაჯილდოვება და 5) კმაყოფილების დონე.

ყველაზე ცნობილი საჭიროებათა კონცეფცია მასლოუს ეკუთვნის (1954 წ.). მან შემოგვთავაზა ხუთი ძირითად მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია დაწყებული ფუნდამენტური ფიზიოლოგიური საჭიროებებით და გაგრძელებული უსაფრთ-ხოების და სოციალური იერარქიით.



ნახაზი№1. მასლოუს იერარქიული პირამიდა

მოტივაციას ასევე კარგად აღწერს ,,ძალისხმევა-ჯილდოს დისბალანსის'' (**Effort-Reward Imbalance Model; Siegrist, 1996)** მოდელი, რომელიც P-E შესაბამი-სობის მოდელის ერთ-ერთი ვარიაციაა. ჯილდოში მოიაზრება ფულადია ნაზ-ღაურება, პატივისცემა და სტატუსის კონტროლი, როგორიც არის სამუშაოს სტაბილურობა, სტატუსების მონაცვლეობა და კარიერული ზრდა (ილუსტრაცია №2.). ილუსტრაცია №2.

2. მოტივაციის გაზრდის საშუალებები, საქართველოს მაგალითზე

საქართველოში პერსონალის არასათანადო მოტივაციას სხვადასხვა სფეროებში და განსაკუთრებით კი ტურიზმის სფეროში მივყავართ შემდეგ შედეგებამდე:

- ადამიანური რესურსების ხშირი როტაცია და დაძაბული ურთიერთობა გუნდის შიგნით
- დისციპლინის დაბალი დონე

• ხშირად ჯილდო არ არის პირდაპირ პროპორციული სამუშაოს შესრულებასთან

• პასუხისმგებლობის დაბალი დონე საქმის მიმართ და მენეჯერთა მხრიდან თანამშრომლებისადმი არასათანადო ყურადღება

• არაჯანსაღი ურთიერთობა თანამშრომელთა და მენეჯერთა შორის

• არაეფექტური კომუნიკაცია დეპარტამენტებს შორის და გუნდურობის პრობლემა

• წარმოების ხარვეზები, ასევე კარიერული წინსვლის არ არსებობით გამოწვეული არაპროდუქტიულობა

• დამსაქმებელსა და ხელქვეითებს შორის არსებული უთანხმოებანი

• თანამშომელთა დაუკმაყოფილებლობა სამუშაოთი

• პერსონალის დაბალი პროფესიონალურიდონე

• თანამშრომელთა პასიური ჩართულობა სამუშაო პროცესის გაუმჯობესებაში

• დაძაბული სამუშაო ატმოსფერო და კორპორაციული კულტურის არ ქონა

• არასაკმარისი ყურადღება თანამშრომელთა განათლებისა და სტაჟირების მიმართ

• თანამშრომლებში კვალიფიკაციის ამაღლებისკენ ნაკლები წრაფვა

• შრომის სტიმულირების სისტემის მოუწესრიგებლობა

• თანამშრომლის რეალური და მოსალოდნელი ქცევის შეუსაბამობა

როგორც აღმოჩნდა, ტურიზმის სფეროს წარმატებული ქართული კომპანიები მოტივირების შემდეგ საშუალებებს მიმართავენ:

- ხელფასის მომატება გამოცდილების მიხედვით ან ერთჯერადი წარმატებისთვის
- თანამდებობრივი დაწინაურება
- ტრანსპორტი – ავტომობილი ორგანიზაციის ლოგოთი
- მობილური საშუალების კრედიტის ანაზღაურება
- კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები ორგანიზაციის ხარჯზე (ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ)
- თანამშრომელთა და ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევა
- გუნდური შეკრებების წახალისება/დაფინანსება და თვის თანამშრომლის გამოვლენა
- ბონუს სქემის შექმნა და მუშაობის ეფექტურობა
- სასიამოვნო სამუშაო ატმოსფეროს შექმნა
- მნიშვნელოვან დღესასწაულებზე სასაჩუქრე ვაუჩერების გადაცემა
- თანამშრომელთა ყოველწლიური კვლევა

- მოქნილი სამუშაო საათების შემუშავება

მოტივაციის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის შესაძლებლობებსა და თანამშრომელთა მოთხოვნილებებს. ამგვარად შესაძლოა გამოვყოთ მოტივაციის შემდეგი სისტემები:

- მატერიალური და არამატერიალური სისტემა - ხელფასი ანუ მატერიალური ჯილდო ადამიანისათვის დროებითი კმაყოფილების წყაროა და დროთა განმავლობაში საჭირო ხდება არამატერიალური წახალისებაც
- დადებითი და უარყოფითი სისტემა - პერსონალი დადებითი შედეგის სანაცვლოდ იღებს მოტივირებას, უარყოფითი შედეგის მიღებისას კი ხდება სანქციების გამოყენება
- შინაგანი და გარეგანი სისტემები - შედეგის შეფასება ხდება პერსონალის (შინაგანი) და ხელმძღვანელის (გარეგანი) პოზიციებზე დაყრდნობით. აზრთა და შეფასებათა დამთხვევის დროს იზრდება პერსონალის თვითშეფასება და ხელმძღვანელის ავტორიტეტი
- საერთო ორგანიზაციული, ჯგუფური ან ინდივიდუალური სისტემა - ორგანიზაციას გააჩნია მოტივირების ერთიანი სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საერთო სისტემა შეიძლება დაყვანილ იქნას განყოფილების დონემდე, დღესდღეობით აუცილებელი ხდება ინდივიდუალური სისტემის დამკვიდრება კონკრეტული თანამშრომლისათვის, რაც მოტივირებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით.
- თვითმოტივაციის სისტემა - ადამიანი თვითონ ახდენს საკუთარი თავის მოტივირებას გარე ფაქტორების გარეშე. [Самоукина 2006:17-19]

თავი II. ძირითადი სამოტივაციო საშუალებები ტურიზმის სფეროში დასაქმებულთათვის

ტურიზმის ინდუსტრიის მოცულობის გამო მუდმივად იზრდება მოთხოვნა მოტივირებულ თანამშრომლებზე. მათზ ევინც მოემზადებიან, შეინარჩუნებენ ენერგიას, აქვთ ხალხთან მუშაობის ნიჭი და შეუძლიათ გასწიონ მაღალი ხარისხის მომსახურება. იმისათვის, რომ თითოეული თანამშრომელი მაქსიმალურად მოტივირებული იყოს ორგანიზაციის შედეგების გაუმჯობესებაზე, საჭიროა სამი რამ: საერთო მიზანი, მისიმუდმივი კომუნიკაცია-პროპაგანდა და მოტივაციის მიბმა საბოლოო შედეგებზე.

ამბიციური, გამომწვევი მიზანი, რომელსაც ყველა იზიარებს!

მიზანი უნდა იყოს ამბიციური, გამომწვევი, მაგრამ რეალური. თუ მიზნის მიღწევა შეუძლებლად ეჩვენებათ თანამშრომლებს, ისინი თავიდანვე დაკარგავენ

მოტივაციას. ხოლო თუ კი ზედმეტად მარტივად მოეჩვენებათ, არც ამ შემთხ-ვევაში დადგება შედეგი. საჭიროა, თითოეული თანამშრომელი გრძნდეს, რომ ეს მიზანი მასაც ეკუთვნის, ამიტომ ის ჩართული უნდა იყოს მიზნის ფორმირების პროცესში.

მიზნის მუდმივი კომუნიკაცია

გუნდის წევრებთან მუდმივი კავშირის დროს თანამშრომლები უფრო მეტად გრძნობენ თავს კომპანიის ნაწილად და აორმაგებენ ძალისხმევას.რიგითი თანამშრომლების როლი დიდია სტუმრების მოზიდვაში და კომპანიის იმიჯის სრულყოფისთვის. მათ პირდაპირი შეხება აქვთ მომხმარებელთან,ამიტომ მათ-ზეა დამოკიდებული ორგანიზაციის იმიჯი. ამ ადამიანების მუდმივი სტიმული-რება, გადამზადება და პროფესიული ზრდა ორგანიზაციის წარმატების პირდაპირპროპორციულია.

მოტივაციის სქემების შექმნა/ჩამოყალიბება

თანამშრომლები უნდა გრძნობდნენ,რომ კომპანიის კარგი შედეგი მათ კეთილდღეობაზეც აისახება. ამისთვის კარგიაბონუს სქემების შემუშავებაან მოგებისპროცენტული გადანაწილება სხვადასხვა დეპარტამენტებს შორის, ისე რომმათ გადაწყვიტონ თუ როგორ გამოიყენებენ თანხას.[თ.ჭითაშვილი.2010]

ორგანიზაცია მუდმივად უნდა ზრუნავდესთანამშრომლების სასიამოვნო სამუშაო ატმოსფეროზე.იქნება ეს კეთილმოწყობა ოფისის, თუ განტვირთვის ოთახის შექმნა.

ფაქტია, რომ ქართული მენეჯმენტი ნაკლებად ითვალისწინებს ან არასაკ-მარისად იცნობს მოტივირების მეთოდებსა და სტრატეგიებს. მათ ურჩევნიათ მოახდინონ ფინანსური და მოკლევადიანი მოტივირება, ვიდრე გეზი აიღონ არამატერიალურ და შედარებით ხანგრძლივი მოტივირებისაკენ.

დასაქმებულთა ჩართულობას ორგანიზაციაში ადგილი აქვს მაშინ როცა ისი-ნი აღტაცებით აკეთებენ თავიანთ საქმე.სამუშაო პროცესში ჩართულობა მაღალია როცა:

- ინტერესი და გამოწვევა - საქმე გამომწვევი და მიღწევადი უნდა იყოს
- მრავალფეროვნება - საქმის შესრულება უნდა მოითხოვდეს მრავალ უნა-რებს;
- ავტონომია - დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, პასუხისმგებე-ლობა შედეგზე;
- ამოცანის განსაზღვრა - ამოცანა უნდა იყოს განსაზღვრული და უნდა გვესმოდეს თუ რა მოგვეთხოვება მის შესასრულებლად;

- ამოცანის მნიშვნელობა - სამუშაო ხელს უწყობს მნიშვნელოვან შედეგების მიღებას და სხვა ადამიანების სიცოცხლესა და მუშაობაზე არსებითი გავლენა აქვს;

IRS-ის კვლევამ (IRS, 2004) დაადგინა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ხუთი გავლენა იყო მთავარი თანამშრომელთა კმაყოფილების და ჩართულობის გასაზომად:

1. მენეჯერთან ურთიერთობა - 63 %
2. კოლეგებთან ურთიერთობა - 60 %
3. ხაზის მენეჯმენტის ხარისხი - 62%.
4. წვლილის აღიარება - 56%.
5. ლიდერობა: ხილვადობა და ნდობა - 55%

პერსონალის მოტივირება იმავდროულად მეტად რთული პროცესია, რომელიც თვალსაჩინოდ ასე გამოიხატება:



ნახაზი 4. პერსონალის მოტივირების პროცესი

- პირველი ეტაპი – მოთხოვნილებათა წარმოშობა. ადამიანი გრძნობს, რომ მას რაღაც აკლია. ის იღებს სათანადო ზომებს.

- მეორე ეტაპი – მოთხოვნილებათა აღმოფხვრის გზების ძიება, როგორ, საშუალებებით შეიძლება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.
- მესამე ეტაპი – მოქმედებათა მიმართულების მიზანთა განსაზღვრა. ამ გზით ხორციელდება იმის დადგენა, თუ რა უნდა გააკეთოს პიროვნებამ, რომ დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებანი.
- მეოთხე ეტაპი – მოქმედების განხორციელება ანუ ძალისხმევის გამოყენება მოქმედებათა განხორციელებისათვის. ამ ეტაპს შესაძლოა ახლდეს მიზანთა კორექტირებაც, რამეთუ მიზნები და მოთხოვნილებები განიცდიან ცვლილებას.
- მეხუთე ეტაპი – მოქმედებათ აგანხორციელებისათვის ჯილდოს მიღება. აუცილებელია სამუშაოს შესრულების შემდეგ დაქირავებული იღებდეს იმ ჯილდოს, რომლის საშუალებითაც მასშეეძლება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.
- მეექვსე ეტაპი – მოთხოვნილებათა აღმოფხვრა. ადამიანი წყვეტს საქმიანობას ახალ მოთხოვნილებათა წარმოშობამდე.

თავი III. ტურიზმის ინდუსტრიაში ადამიანური რესურსების ინოვაციური მოტივაციის სისტემის განვითარება

ყველა ადამიანი თავისი ცხოვრების რაღაც ეტაპზე მაინც მუშაობს. ზოგს უყვარს თავისი სამსახური,ზოგს ნაკლებად, მაგრამ მაინც სჭირდება. თუმცა, ყველასთვის მნიშვნელოვანია ატმოსფერო. ეს განაპირობებს თუ რამდენად უხარიათ და ბოლომდე ერთვებიან საქმეში.ატმოსფეროსგასნაზღვრავს თანამშრომლების ურთიერთ დამოკიდებულება, პატივისცემა და ჯანსაღი კონკურენცია.

დასაქმებული პირის მუშაობას განაპირობებს სამი რამ: 1. შესაძლებლობა, რომ შეასრულოს კონკრეტული დავალება, 2. სამუშაო გარემო და 3. მოტივაცია. თუკი პერსონალს არ გააჩნია საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ან არ აქვს გამომუშავებული სათანადო უნარ-ჩვევები, ეს დილემა ადვილად გადაიჭრება შესაბამისი ტრეინინგის შედეგად, მაგრამ როცა საქმე მოტივაციის ნაკლებობასთან გვაქვს აქ დიდი ძალისხმევა უნდა ჩადოს მენეჯმენტმა მის აღმოსაფხვრელად.

პერსონალის მოტივაციის ეფექტურ სტრატეგიად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ემთხვევა და აკმაყოფილებს პერსონალის შეხედულებით მნიშვნელოვან კრიტერიუმებს, მაგალითად:

- **უფლებამოსილება** - მიანიჭეთ დასაქმებულს მეტი პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რაც გაზრდის მასში სამუშაოს შესრულებაზე კონტრო-

ლის შეგრძნებას და მობილიზებას კონკრეტული დავალებების შესასრულებლად. შედეგად კი თავიდან ავიცილებთ დასაქმებულის ფრუსტრაციას.

- **კრეატიულობა და ინოვაცია** - რიგ კომპანიებში, თანამშრომლები არ ამხელენ საკუთარ კრეატიულ იდეებსა და ინოვაციურ ხედვებს, რათა არ ამას არ მოყვეს კრიტიკა ან იგნორირება. კომპანიის მხრიდან სიახლის წახალისება და მხარდაჭერა პოზიტიურად აისახება პერსონალის მოტივირებულობაზე.
- **სწავლება** - კვალიფიკაციის ამაღლებისა და სერტიფიცირების პროგრამები ეფექტურად მოქმედებენ პერსონალზე. ცოდნის გაღრმავების ან ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობა უკეთესობისაკენ ცვლის კომპანიის თანამშრომლების დამოკიდებულებას სამუშაოსადმი და მომხმარებლებისადმი.
- **ეფექტური დაჯილდოების სისტემა** - ხელმძღვანელები ხშირად იყენებენ ჯილდოებს პერსონალის ,,გამოფხიზლებისა'' და მოტივაციის ამაღლებისთვის. ეს ჯილდო შეიძლება იყოს ორი სახის: **გარეგანი** - სხვა, გარეშე პირთაგან განპირობებული ჯილდო, როგორიცაა ბონუსები, დაწინაურება, განსაკუთრებული დავალება, დამატებითი თავისუფალი საათები, სიტყვიერი შექება და ა.შ. გარეგან ჯილდოთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მონეტარული წახალისება. მოტივატორთა ვრცელ ჩამონათვალში ფინანსურ წახალისებას ჯერ კიდევ მოწინავე პოზიციები უჭირავს. კომპანიის ასეთი ქმედებით, დასაქმებული აუმჯობესებს სამუშაო პროცესის, პროდუქტისა თუ მომსახურების ხარისხს. მონეტარული წახალისება განკუთვნილია ხარჯების შემამცირებელ და პროცესის გამაუმჯობესებელ დასაქმებულთათვის.
- **სამუშაო დიზაინის ცვლილება** - ყოველდღიური, რუტინული სამუშაო პროცესი იწვევს დასაქმებულთა ინტერესისა და მონდომების განელებას, რასაც ჭკვიანი ხელმძღვანელი შემდეგი ხერხებით უმკლავდება:
  - **სამუშაოს გაფართოება** - იგულისხმება ამოცანების (ვალდებულებების) ე. წ. ,,ჰორიზონტალური" გაფართოება. ეს ნიშნავს ისეთი ამოცანების დამატებას, რომელებიც სტრუქტურულად არსებული ამოცანების მსგავსია და ამის გამო ადამიანს არ სჭირდება ახალი კვალიფიკაციისდაუფლება. ასეთი პრაქტიკა ეხმიანება საქმის ზედმეტად გამარტივებით გამოწვეულ უკმაყოფილებას. თანამშრომელს, რომელიც პასუხისმგებელია არა ერთ, არამედ რამდენიმე ამოცანაზე, უფრო მეტი დრო აქვს მათ შესასრულებლად; მრავალდეროვნება მას დადებით განცდას უჩენს.

- **როტაცია** - მოისაზრებს ადამიანების სისტემატურ გადაადგილებას ერთი ამოცანიდან მეორეზე – ამ ამოცანების გართულების გარეშე. როტაციის მეშვეობით შრომის ნაყოფიერების იზრდება და ხდება მისი გამრავალფეროვნება. ეს გარკვეული დროით ზრდის ადამიანების მოტივაციას, ინტერესსა და ენთუზიაზმს.
- **სამუშაოს გამდიდრება** -პირველი მოტივატორია მიღწევა და მასთან დაკავშირებული აღიარება. მიღწევა, რაოდენ მცირეც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის იძლევა გამოცდილებას, რომლის საფუძველზე ვსწავლობთ.შემდეგი მოტივატორი პასუხისმგებლობაა, რომელიც სულ უფრო მეტი ხარისხით უნდა დაეკისროს თანამშრომელს, რათა მან იგრძნოს, რომ იზრდება და ვითარდება. რაც უფრო რთულია დავალებული საქმე, მით უფრო შემოქმედებითი ხდება ადამიანის შრომა, რომელსაც უწევს საქმისკომპონენტების ერთ მთლიან სურათად აწყობა.კიდევ ერთი მოტივატორია.
- **დაწინაურება** - თანამშრომელს სულ უფრო მეტი და უფრო რთული გადაწყვეტილებების მიღება უწევს. არჩევანის გაკეთებისა და გადწყვეტილების მიღების აუცილებლობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პიროვნების განვითარებაში. ასევე ძლიერი მოტივატორია ინტერესი იმ საქმის მიმართ, რომელსაც აკეთებს. თუ ადამიანი დაინტერესებულია სამუშაოს არსით, ის არა მხოლოდ უფრო მოწადინებულად მუშაობს, არამედ ნაკლებ ყურადღებას ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: სამუშაო პირობები, ურთიერთობები თანამშრომლებთან და ზედამხედველობის დონე.

ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელობა და მისი დიდი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე არაერთხელ აღინიშნა. ამ დარგის განვითარებისათვის საჭიროა ისეთი კადრების ყოლა, რომელთაც შეეძლებათ პროფესიონალურად გაართვან თავი ყველაფერს და მომხმარებლებს მიაწოდონ სერვისი, რომლისთვისაც ისინი მომავალში კვლავ დაბრუნდებიან. ამიტომ ნათელია ის თუ რამდენად დიდ როლს თანაშობს პერსონალის მოტივაცია და კმაყოფილების დონე. იმისთვის, რომ დამედგინა პერსონალის მოტივაციისა და კმაყოფილების დონე და მეპოვნა მისი ამაღლებისა და გამოსწორების გზები, ჩავატარე კვლევა. კვლევა ჩატარდა Google Drive-ზე ატვირთული ონლაინ კითხვარის საშუალებით და გამოიკითხა ბათუმში ტურიზმში დასაქმებული 97 თანამშრომელი.

კვლევის მიზნებია:

- პერსონალის კმაყოფილების დადგენა
- მოტივაციის ფაქტორების განსაზღვრა

- კვლევის შედეგების პრაქტიკაში საჭიროებისამებრ დანერგვა

დასკვნები და წინადადებები

კვლევის შედეგი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ტურიზმის სფეროში დასაქმებულია ძირითადად ახალგაზრდები 18 დან 30 წლამდე, 12.4%-24 წლის,13.5%-25 წლის,13.4%-26 წლის

2. მოტივაციის გასაზრდელად აუცილებელია მენეჯერების მხრიდან ყურადღება დასაქმებულების მიმართ.

3. ბათუმში დასაქმებულთათვის მეტნაკლებად მისაღებია მათ ორგანიზაციებში არსებული მოტივაციის დონე. 64.9%-დიახ, 29.9%-არა,

4. გამოკითხულთა უმეტესობა სამსახურს შეიცვლიდა თუკი ახალი სამუშაო ადგილი მისცემდა მათ მეტ შემოქმედებითობას და დამოუკიდებლობას,აგრეთვე ხელფასიც დიდ როლს თამაშობს როგორც მოტივაციის ფაქტორი,

5. აღსანიშნავია, რომ დაცულია განდერული თანასწორობა: 58.8 % მდედრობითი, 41.2 % მამრობითი

6. ტურიზმის დარგში ხელმძღვანელებსა და კოლეგებს შორის ურთიერთობა ძირითადად დადებით ხასიათს ატარებს

7. მოტივაციის გასაზრდელად საჭიროა მიღწეულის აღიარება, ტრენინგი და სწავლება

თანასწორობის პრინციპის დაცვა მენეჯერის უმთავრესი მოვალეობაა. მოტივაციის გასაზრდელად რეკომინდირებულია სამუშაოს გამრავალფეროვნება, როტაცია, უფლებამოსილების გაზრდა, კრეატიული და ინოვაციური იდეების დანერგვა, ეფექტური დაჯილდოების სისტემა, სწავლების სისტემების მოდერნიზება, სამუშაო დიზაინის ცვლილება, მოქნილი სამუშაო გრაფიკი დაწესება, უშუალო და პირდაპირი კონტაქტი დასაქმებულებთან, ობიექტურობა და სამართლიანობა, მადლიერების გამოხატვა, სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, კორპორატიული წვეულებების ტრადიციის დამკვიდრება, დაწინაურება, სამუშაო პროცესში ჩართულობა და გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას,რომ დღევანდელ სამყაროში ის აზრი, რომ ფული წარმოადგენს ერთადერთ მამოტივირებელ საშუალებას მცდარია. გარდა მონეტარული საშუალებებისა კომპანიებმა სულ უფრო მეტი უნდა იფიქრონ როგორ მოახდინონ გუნდის მოტივირება ხანგძლივი დროით,რადგან თანამშრომელი, რომელიც ჩართულია მთლიანად კომპანიის სამუშაო პროცესში,მოსწონს თავისი საქმე, თავს გრძნობს დაფასებულად და კომპანიის სრულუფლებიან წევრად გაცილებით მეტად იხარჯება,ვიდრე მისგან მოელიან.ამიტომ ყველა მაღალი რგოლის მენეჯერის მოვალეობაა იფიქროს არამარტო კომპანიის,არამედ თანამშრომლის კეთილდღეობაზეც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ბერიძე„ადამიანურირესურსებისმენეჯმენტი"–გამომც: „უნივერსალი", თბილისი, 2011
2. ც.ბერძენიშვილი,,მოტივაციის ფაქტორები",2015
3. თ.ქობულაძე სადისერტაციო ნაშრომი „ორგანიზაციულისამართლიანობა, სამუშაოსტრესი: მოდერაციულიდამედიაციურიეფექტები",2017
4. თ. ჭითაშვილი,სტატია „სტრატეგია და ორგანიზაცია"2012
5. ნ. ხახუბიას სადისერტაციო ნაშრომი"ტურიზმის ინდუსტრიაში პერსონალის მოტივაციის სისტემის მართვის სრულყოფისა და პროექტირების ზოგიერთი საკით-ხები,2015
6. Amstrong Handbook of Human Recourse Management Praqtice-10_th
7. Clark, Catherine S., Gregory H. Dobbins, and Robert T. Ladd. "Exploratory Field Study of Training Motivation
8. (Griffin, 1990, p. 437)
9. McGarvey, Robert. "Inspiration Points: Unmotivated Employees Could Cost You Your Business." *Entrepreneur*.September 1997
10. Frase-Blunt, Martha. "Driving Home Your Awards Program."*HRMagazine*.February 2001. Maslow, A. H. (1943). A theory of human motivation.Psychological Review, July 1943. 370-396.2009
11. Herzberg, Frederick. "One More Time: How Do You Motivate Employees?" *Harvard Business Review.* January-February 1968
12. http://www.cliffsnotes.com/more-subjects/principles-of-management/motivating-and-rewarding-employees/motivation-strategies

Annotation

The study and practice of human resource motivation factors has become a very important task for the leading organizations due to the fact, that motivated personnel is one of the main driver and the success measure for the companies. Proper management and usage of human resources requires tremendous experience and knowledge. Hospitality industry is very closely related to the young, motivated people who are fully involved in the working process and use all their skills as well as resources to achieve company goals. Thus, the companies are striving to increase the personnel motivation and investing relevant resources in the needed areas.

The achievement of such an outcome can be elaborated with a proper motivation strategy,that is why the purpose of the work is to share recommendations that will enable employer companies to retain the motivation of the employees. The main objective of the paper is to establish an innovative and productive motivational strategy.

The analysis is based on the survey results, conducted amongthe employees working in the tourism related organizations in Batumi.

გამოხატვის თავისუფლების ფარგლები ქართული და ევროპული სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით

არჩილ ჯინჭარაძე,
ბსუ, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
სამართალმცოდნეობა, მესამე კურსი.
ელ. ფოსტა: achiko.jincharadze.97@mail.ru
სამეცნიერო ხემძღვანელი: ანნა მდინარაძე,
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული მასწავლებელი

აბსტრაქტი

გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ქვაკუთხედს დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების, რაც ერთიორად უდიდეს ძალისხმევას საჭიროებს საკანონმდებლო გარანტიები ჯეროვანი სიზუსტით, ნათელი და განჭვრეტადი შინაარსით ფორმულირდეს. ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების ცალკეული კატეგორიის მიმოხილვა, ისევე, როგორც მოქმედ საკანონმდებლო სივრცეში მათი შინაარსობრივი ფორმულირების ანალიზი და კრიტიკული განხილვა. ნაშრომში კვლევის მეთოდებად გამოყენებულია_დოკუმენტის ანალიზის, ახსნის, გამოცდილების შესწავლისა და Case-study-ის მეთოდი. ეს უკანასკნელი, გულისხმობს ქართული და ევროპული სასამართლოების პრაქტიკის ანალიზს, რომელზე დაყრდნობითაც გაანალიზებული გვაქვს აზრისა და ფაქტის გამიჯვნის, ცილისწამების, საჯარო და კერძო პირთან მიმართებით „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლების საკითხი. ნაშრომის მიზანს ანუ თეორიულ და პრაქტიკულ დანიშნულებას წარმოადგენს აღნიშნული უფლების ცალკეული ასპექტის სიღრმისეული ანალიზი, მოქმედ კანონმდებლობაში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენა და მათი მინიმიზირება.

საკვანძო სიტყვები: აზრი, ფაქტი, ცილისწამება, ბრალი.

გამოხატვის თავისუფლების ზოგადი დახასიათება

გამოხატვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესი რგოლია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების, რადგან პლურალიზმის, გონივრული აზროვნებისა და შემწყნარებლობის არსებითი ნიშანია. ეს უკანასკნელი, წარმოადგენს პიროვნების თვითრეალიზაციის წყაროს. სწორედ ამიტომ, აღნიშნული საკითხი

არ კარგავს აქტუალურობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც ერთიორად წარმოშობს უდიდეს გამოწვევას სწორად იქნას განსაზღვრული ამ უფლების დანიშნულება. თავად ის ფაქტი, რომ საზოგადოებაში მიმდინარეობს მსჯელობა აზრის გამოხატვის შეზღუდვისა თუ სხვა საკითხების შესახებ, წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების უშუალო სამართლის ნაწილად არსებობის ერთ-ერთ მტკიცებულებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის შესახებ, განაცხადა: „გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია... სწორედ გამოხატვის თავისუფლების ხარისხი განსაზღვრავს ქვეყნის(საზოგადოების) თავისუფლებისა და დემოკრატიულობის ხარისხს.“[1] ზემოაღნიშნული მსჯელობა, პირდაპირმნიშვნელოვნად, მოითხოვს გამოხატვის თავისუფლების დაცვასა და, შესაბამისად, მისი შინაარსობრივი ფარგლების ჯეროვანი სიზუსტით ფორმულირებას. ამგვარი პათოსის მატარებელია კანონისმიერი დანაწესი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, რომლის მიხედვითაც ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. ამ მხრივ, კვლევის ობიექტად განვსაზღვრეთ საქართველოს საერთო სასამართლოების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, ამერიკის უზენაესი სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები, რომლებზე დაყრდნობითაც შევეცდებით აზრობრივი საფუძვლებით გავამყაროთ გამოხატვის თავისუფლების თითოეული ასპექტის რაობა, ისევე როგორც, კრიტიკულად გავაანალიზოთ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ცალკეული დანაწესის მნიშვნელობა და როლი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს სხვადასხვა შინაარსობრივ მხარეს, რომელთაგან ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს აზრის, ფაქტის, ცილისწამების, საჯარო და კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლების მკვეთრად განსაზღვრა.

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის № 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.6(მოძიებულია 24 დეკემბერი, 2018 წლის);

ქართული და ევროპული სამართალწარმოების პრაქტიკა

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „...კონსტიტუცია ამ მიმართებით კატეგორიულია - ის კრძალავს ადამიანის დევნას აზრის გამო, ასევე მის იძულებას, რომ გამოთქვას აზრი. ეს არის მკაცრი დანაწესი სახელმწიფოს, მისი ორგანოების მიმართ, რომელიც გამონაკლისს არ უშვებს...“[2] ამ მხრივ, აღნიშვნის ღირსია ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით გამოხატვის თავისუფლების დაუცველ სფეროთა ნუსხა(იხ. დანართი 1). „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც გულისხმობს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას. ამავე დროს, აზრი განმარტებულია, როგორც: „შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.“ აღნიშნული განმარტებიდან მნიშვნელოვანია ის, რომ კანონმდებელმა ცნება_ აზრი გამიჯნა დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტებისაგან, რაც ემსახურება, ერთი მხრივ, შეფასებითი მსჯელობის(აზრის) გამიჯვნას ფაქტისგან, მეორე მხრივ კი ცილისწამების განსაზღვრას, რომლისთვისაც ეს ორი უკანასკნელი აუცილებელი წინაპირობაა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას აზრისა და ფაქტის გამიჯვნის კრიტერიუმს, რომელიც თავად „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილით არის რეგულირებული, კერძოდ აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ აღნიშნა:„აუცილებელია ერთმანეთისგან დიდი სიფრთხილით გაიმიჯნოს

[2] საქართელოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II.პ.13(მოძიებულია 24 დეკემბერი, 2018 წლის);

ფაქტები და შეფასებები. ფაქტების არსებობა შეიძლება დემონსტრირებული იქ-ნეს მაშინ, როცა შეფასება არ ექვემდებარება დამტკიცებას...“[3] აზრში, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მოიაზრება შეფასებითი მსჯელობა, რაც მას აკავშირებს მისი გამომხატველის პირად შეხედულებასთან. აქსიოლოგიური მახასიათებლით არის განპირობებული აზრის აბსოლუტური პრივილეგიით დაცულობა, რაც მიჯ-ნავს მას ფაქტისგან, რომელიც სუბიექტური დამოკიდებულებისაგან განკერძოე-ბულია და შესაძლებელია გნოსეოლოგიური(შემეცნებითი) პროცესებით მისი ნამდვილობის დადგენა. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში გავრცელებული მოსაზრე-ბები შეიცავენ შეფასებით მსჯელობებსა და ფაქტებსაც. ეს უკანასკნელი კი, საჭიროებს ღრმა დაკვირვებასა და კრიტიკულ ანალიზს, რადგან დგება საკითხი მათი ერთმანეთისგან გამიჯვნის. მოქმედი კანონმდებლობით კი მხოლოდ კანონისმიერი დანაწესის ჯეროვანი ფორმულირებით იქნება შესაძლებელი მოცე-მული ვითარების რეგულირება. ამ კუთხით, ჩვენი რეკომენდაციაა მკაფიოდ ჩამოყალიბდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალის-წინებული სამართლებრივ-შინაარსობრივი მხარე, რომლის მიხედვითაც პი-როვნების არაქონებრივი უფლებების დაცვისას გათვალისწინებულია ცნება - ცნობები, რომელიც პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველია. გამომდინარე აქედან, სამოქალაქო კოდექსით არ არის გამიჯნული/გათვალისწინებული აზრი(შეფასებითი მსჯე-ლობა) და ფაქტი ერთმანეთისგან, რაც შეუსაბამოა საქართველოს კონსტიტუციას-თან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის შინაარსთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტი-კასთან. მოცემული დანაწესით კანონმდებელმა დაუშვა ნორმის სიცხადის პრევა-ლირება მის სიზუსტესთან. მართალია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით[4] აზრი და ფაქტი ერთმანეთისგან გამიჯნულია, რაც ზემოხსე-ნებულ საკითხს სიზუსტეს სძენს, თუმცა, გამოხატვის თავისუფლების კონსტი-ტუციური უფლება მოითხოვს ნათელი და განჭვრეტადი კანონმდებლობის არსებობას ამ უფლებასთან მიმართებით, რომელიც არ უნდა შეიცავდეს ზოგად, მრავალმნიშვნელოვან და ბუნდოვან ცნებებს. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე

---

[3] Lingens v. Austria (მოძიებულია 1 თებერვალი, 2019 წლის) https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22dmdocnumber%22:[%22695400%22],%22itemid%22:[%22001-57523%22]}

[4] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 2012 წლის 20 თებერვალი, საქმე №ას-1278-1298-2011;

ბროდრიკი ოკლაჰომის წინააღმდეგ,[5] სადაც სასამართლომ განავითარა „მნიშვნელოვნად ფართოდ ფორმულირებული“ დოქტრინა. აღნიშნულ დოქტრინას შინაარსობრივად ეთანადება „ბუნდოვანი კანონის“ დოქტრინა, რომელიც განმარტა ამერიკის უზენაესმა სასამრთლომ საქმეში Connally v. General Construction.[6]

ზემოაღნიშნული მეთოდით საკითხის განხილვა ვერ იქნება ყოველთვის გამართლებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ცილისწამებას, რომელიც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ნიშნავს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ და პირისათვის ზიანის მიმყენებელ, სახელის გამტეხავ განცხადებას. აზრისა და ფაქტის გამიჯვნისას შესაძლებელია თავად ინდივიდის მიერ გამოთქმული მსჯელობის შინაარსი შეიცვალოს და ტრანსფორმირდეს ცილისწამებად, აღნიშნული კი დაუშვებელია, რადგან იგი რისკის ქვეშ დააყენებს აზრის გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ პრინციპს. საჯარო პირის ცილისწამებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს ცილისმწამებლის ბრალი, მოსარჩელის - საჯარო პირის მტკიცების სტანდარტი და შინაარსობრივი მხარე, ცილისმწამებლის „ბოროტი წინასწარი განზრახვა“. საჯარო პირთან მიმართებით, განსხვავებით მასმედიისგან, კერძო პირებისგან(ცალკეული გამონაკლისების გარდა), მტკიცებას უნდა დაექვემდებაროს გამოქვეყნებული/გაჟღერებული განცხადების სიმცდარე და მისი გამავრცელებლის ბრალი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში ნიურ იორკ ტაიმსი სალივანის წინააღმდეგ[7] და Philadelphia Newspapers Inc. v. Hepps.[8] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, რომელიც შეეხება საჯარო პირის ცილისწამებას, გათვალისწინებულია ცილისმწამებლის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც მან გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე საჯარო პირმა უნდა ამტკიცოს განცხადების სიმცდარე, რაც ლოგიკურად გულისხმობს ცილისმწამებლის ბრალის ნაწილში მის დამოკიდებულებას ფაქტის სიმცდარესთან და არა ნამდვილობასთან. ჩვენი აზრია, რომ მოცემულ პათოსთან მიმართებით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების

[5] Broadrick v. Oklahoma, 413 US 601, 1973;(მოძიებულია 5 იანვარი, 2019 წლის);

[6] 269 US 385, 1926(მოძიებულია 5 იანვარი, 2019 წლის);

[7] 376 U.S. 254(მოძიებულია 20 იანვარი, 2019 წლის);

[8] 475 U.S. 767(მოძიებულია 20 იანვარი, 2019 წლის);

შესახებ“ საქართველოს კანონით ცილისმწამებლის გაუფრთხილებლობა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ფაქტის სამართლიანობასთან, რაც მას მოცემული დანაწესისათვის ირელავანტურს ხდის. რეალურად კი ცილისმწამებელს განცხადების სიმცდარის მიმართ უნდა ამოძრავებდეს „ბოროტი განზრახვა“, ხოლო გაუფრთხილებლობა ფაქტის სიმართლესთან მიმართებით შეიძლება არსებობდეს, რაც თავად საჯარო პირის მტკიცების საგანს სცდება და, ამავე დროს, ვერ გახდება პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ზემოაღნიშნული, ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ საფუძველს, რომელიც საჯარო პირის მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს შეეხება და საჯარო პირის მტკიცების სტანდარტს. სწორედ, ამგვარ საკითხს ეხმიანება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც აღინიშნა:„მნიშვნელოვანია, თუ რა მიზნით განხორციელდა აზრის გამოხატვის თავისუფლება:კერძო დისკუსიის ფარგლებში, საკუთარი ინტერესების გასატარებლად თუ ისეთ საკითხთან მიმართებით, რომელიც არსებითად ეხება საზოგადოების ინტერესებს. თუ სადავო გამონათქვამებს „წვლილი შეაქვს“ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, ასეთ შემთხვევაში, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მუდმივი პრაქტიკიდან გამომდინარე, ვრცელდება პრეზუმფცია სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ“.[9]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად საჯარო პირი არის „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. ხოლო კერძო პირი, ამავე კანონის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო. საზოგადოდ, კერძო პირთან მიმართებით დასაშვები კრიტიკის ფარგლები, განსხვავებით საჯარო პირისგან, ვიწროა. თუმცა, ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს გამოთქმული განცხადების შინაარსს. თუ განცხადება შეეხება კერძო პირის მიმართ ისეთ საკითხს, რომელიც თანადროულად საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები გაცილებით „წონად დასაბუთებას“ მოითხოვს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, „ფუენტეს-ბობო

[9] BVerfGE 7,198(208,212);61,1(11); (მოძიებულია 20 თებერვალი 2019 წლის)

ესპანეთის წინააღმდეგ“,[10] საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე დებატებისას კერძო პირის მიმართ შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენება არ მიიჩნია ცილისწამებად. აღნიშნული კი მნიშვნელოვანია თავად საჯარო პირის ცილისწამების შემთხვევისათვის, რადგან ექსტრაპოლაციურად, აღნიშნული გულისხმობს საჯარო პირთან მიმართებით გამოხატვის თავისუფლების დაცულობის, დასაშვები კრიტიკის შინაარსობრივი ფარგლების გაზრდას. ამავე საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გააწყვეტილება საქმეზე „ქ-ნი სუსანა ჯერუსალემი ავსტრიის წინააღმდეგ“, რომლის თანახმადაც კერძო პირები, რომლებიც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების სფეროში მოღვაწეობენ, მოეთხოვებათ მეტი მოთმინება. [11]გამოხატვის თავისუფლების შესახებ მსჯელობისას ღირებულებათა შეფასების დროს გასათვალისწინებელია არამხოლოდ გაჟღერებული განცხადების შინაარსი, არამედ თავად საზოგადოების უფლება მიიღოს ინფორმაცია. გამომდინარე იქედან, რომ საჯარო პირი თავისი ნებით აყენებს თავს საზოგდოებრივი ინტერესის ცენტრში და მოთმინების დიდი უნარის გამოჩენა მართებს, ამიტომ მასთან მიმართებით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები საკმაოდ ვიწროდ უნდა იქნას გაგებული. ჩვენი აზრია, ამ უკანასკნელთან მიმართებით, დასაშვები კრიტიკის ფარგლები შეფასდეს საზოგადოებისათვის ინტერესის მქონე, ღიად სადისკუსიო საკითხისგან გაუმიჯნავად. სწორედ, ზემოხსენებული აზრობრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლში არსებული შინაარსობრივი მსჯელობა გამოხატვის თავისუფლების დაცული ფარგლებისადმი შეუსაბამოდ.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლში დეკლარირებულია ის ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც შეიძლება იქნას დაცული იმ მიზნისათვის, რომელსაც დემოკრატიული საზოგადოება ჰქვია. გამომდინარე აქედან საზოგადოებამ უნდა ითმინოს იმგვარი გამონათქვამებიც კი, რომლებიც „შეურაცხმყოფელია“, „შემაწუხებელია“ ან „გამაოგნებელია“, თუმცა აღნიშნული გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია შეიზღუდოს, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს კონსტიტუცია სავალდებულო წესით არ ითვალისწინებს გამოხატვის უფლების შეზღუდვას,

---

[10] Case of Fuentes Bobo v. Spain(2000), https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-63608%22]}(მოძიებულია 15 თებერვალი, 2019 წლის);

[11] Case of Jerusalem v. Austria(2001), https://www.legislationline.org/documents/id/6318(მოძიებულია 20 თებერვალი, 2019 წლის);

როდესაც იგი უხამსობად, ცილისწამებად, პირისპირ შეურაცხყოფად გარდაიქმნება, რაც ხაზს უსვამს გამოხატვის თავისუფლების უშუალო სამართლის ნაწილად აღიარებას.

დასკვნა

გამოხატვის თავისუფლება, როგორც უშულო სამართლის ნაწილი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს წარმოადგენს. აზრის, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება, წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების მახასიათებლებს, რაც თავის მხრივ წარმოშობს პირთა მხრიდან თმენისა და შემწყნარებლობის მაღალ დონეს. თუმცა, ამავე დროს, იგი არ არის აბსოლუტური უფლება, რაც თავის მხრივ საჭიროებს მისი შინაარსობრივი ფარგლების ჯეროვანი სიზუსტით ფორმულირებას (სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლისა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქ. კანონის მე-14 მუხლი). ამ მხრივ, კრიტიკულად აუცილებელია საკანონმდებლო სივრცის ნათელი, განჭვრეტადი და ვიწროდ მიზანმიმართული კანონებით აღჭურვა, რომლებიც იქნება საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების საერთო სულისკვეთების გამოძახილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
3. საქართველოს კონსტიტუცია;
4. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის № 1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.პ.6;
6. საქართელოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი №2/2-389 გადაწყვეტილება, II.პ.13;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-1278-1298-2011;
8. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება BVerfGE 7,198(208,212);61,1(11);
9. Broadrick v. Oklahoma, 413 US 601, 1973;

10. Connally v. General Construction 269 US 385, 1926;

11. European Court of Human Rights, Case of Jerusalem v. Austria(2001), https://www.legislationline.org/documents/id/6318;

12. European Court of Human Rights, Case of Lingens v. Austria;

13. Case of Fuentes Bobo v. Spain(2000);

14. Handyside v. the United Kingom; http://catalog.supremecourt.ge/blog/foto/193.pdf;

15. New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 254;

16. Philadelphia Newspapers Inc. v. Hepps, 475 U.S. 767.

დანართი 1

დანართი 2



Abstract

Freedom of expression is the cornerstone of the development of a democratic state and society, which at the same time requires the utmost effort to ensure that legislative guarantees are formulated in a precise, clear and foreseeable manner. The subject of our research is an overview of individual categories of freedom of expression, as well as an analysis and critical examination of their content formulation in the current legislative field. The paper uses document-analysis, explanation, experience-study and case-study methods. The case-study method involves an analysis of the practices of the Georgian and European courts, based on which we have analyzed the question of the separation of opinion and fact, defamation, the scope of "permissible criticism". The purpose of the paper is to analyse particular aspect of this right, as well as to identifying and minimizing legislative gaps in existing legislation.

Keywords: opinion, fact, slander, blame.

შრომითი უსაფრთხოება, გამოწვევები და საკანონმდებლო რეგულირება

თეონა მოსიძე, ნათია კაკალაძე
ბსუ, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
სამართალმცოდნეობა, მესამე კურსი.
ელ-ფოსტა: teona8mosidze@gmail.com, natiakakaladze1234@gmail.com.
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანნა მდინარაძე,
სამართლის მაგისტრი, მოწვეული მასწავლებელი, დავით სამნიძე,
სამართლისა და საჯარო მმართველობის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი

აბსტრაქტი

შრომის უფლება სოციალურ-ეკონომიკური უფლებაა და წარმოადგენს შრომით ურთიერთობებში არსებული უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობას. ნაშრომში განვიხილავთ პრობლემებს, რომელიც ხელს უშლის დასაქმებულებს მოახდინონ ამ უფლების რეალიზება. ვისაუბრებთ სახელმწიფოს მიერ გატარებულ რეფორმებზე ამ სფეროში, მის ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე, საერთაშორისო ვალდებულებებსა და ქვეყანაში მოქმედ რეგულაციებზე. შევეხებით სამართლიანი და უსაფრთხო შრომის პირობების, სამართლიანი ანაზღაურების და სხვა უფლებებს.

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა: დასაქმებულთა შრომითი პირობები დღეს საზოგადოებისთვის ერთ–ერთი ძალიან აქტუალური თემაა. საზოგადოება იბრძვის დასაქმებულთა შრომითი პირობების გაუმჯობესებისთვის, მოითხოვს სხვადასხვა რეგულაციების ასახვას კანონმდებლობაში და ქმედითი შრომის ინსპექციის შემოღებას. ეს კონკრეტული კი ნაწილობრივ აისახა დღეს არსებული შრომითი უსაფრთხოების შესახებ არსებულ პროექტში, რომელიც მალე ამოქმედდება.

ბოლო დროის განმავლობაში ხელისუფლების ლიბერალურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ მძიმე გავლენა იქონია დასაქმებულთა უფლებრივ მდგომარეობაზე და სისტემური გახადა შრომის უფლების დარღვევები, ამის შედეგად, სამუშაო ადგილზე დაშავებისა და გარდაცვალების საგანგაშოდ მაღალ მაჩვენებელია.

2015 წელს სახელმწიფომ შექმნა შრომით პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომელმაც ვერ უზრუნველყო საწარმოო შემთხვევების შემცირება და შრომის უფლებების დაცვა.

2018 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის პროექტი განიხილა. აღნიშნული კანონპროექტი დადებით შეფასებას იმსახურებს, რადგანაც მიზნად ისახავს აღმოფხვრას არსებული ხარვეზები და მეტად დაუახლოვოს ის საერთაშორისო სტანდარტებს, ეს ცვლილებები კი კვლავ არ ქმნის სრულყოფილ საკანონმდებლო ჩარჩოს.

საკვლევი თემის მეცნიერული დამუშავების დონე: დღესდღეისობით საკვლევი თემა სათანადოდ არ არის დამუშავებული სამეცნიერო დონეზე. მასთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ შეფასებები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

კვლევის ობიექტი და საგანი: ნაშრომის კვლევის ობიექტია შრომითი უსაფრთხოების მხრივ არსებული საკანონმდებლო სისტემის ხარვეზები, ხოლო კვლევის საგანია შრომითი უსაფრთხოება.

კვლევის მიზანი და ამოცანა: კვლევის მიზანია მოხდეს შრომითი უსაფრთხოების მხრივ საქართველოს კანონით დადგენილი სიახლეების ობიექტური შესწავლა, პრობლემების გამოკვეთა და ძირითადი მიმართულებების ანალიზი. ამოცანას კი წარმოადგენს შრომით უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობის დეტალური გააზრება, გაცნობა ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდი: ნაშრომის მომზადების მიზნით, გამოვიყენეთ: დოკუმენტის ანალიზის, ახსნის, ანალოგიის, გამოცდილების შესწავლის მეთოდები.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება: ვფიქრობთ, ნაშრომში განხილული თემები მნიშვნელოვანია დღევანდელ რეალობაში, იქედან გამომდინარე, რომ შრომით უსაფრთხოების მხრივ გატარებული რეფორმები ვერ პასუხობენ სათანადო მოთხოვნებს, რაც შრომითი უფლებებიდან გამომდინარეობს და მას დღეს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

თავი პირველი - შრომის უფლების არსი

§ 1. სოციალური სახელწიფოს პრინციპი და შრომითი უფლებები

შრომის უფლება სოციალურ-ეკონომიკური უფლებაა და წარმოადგენს შრომით ურთიერთობებში არსებული უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს დასაქმებასთან დაკავშირებულ უფლებებს, სამართ-

ლიანი, უსაფრთხო და ჰიგიენური შრომის პირობების, სამართლიანი ანაზღაურების, პროფესიული სწავლების, თანაბარი მოპყრობის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, ინსტრუმენტულ და სხვა უფლებებს.

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც ადამიანთა თანასწორუფლებიანობასა და ღირსეული ცხოვრების უფლების უზრუნველყოფას გულისხმობს. რასაც განამტკიცებს კონსტიტუციაში არსებული ნორმა სახელმწიფოს ვალდებულებაზე, უზრუნველყოს უმუშევარ მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობა. კონსტიტუციის მიხედვით, შრომა თავისუფალია. აღნიშნული ჩანაწერი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან კავშირში განმარტა და დაცული უფლების შინაარსში მოიაზრა არა მხოლოდ უფლება აირჩიო სამუშაო, არამედ უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისაგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.

§ 2. საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. საჭიროა, აღვნიშნოთ საქართველოს მიერ რატიფიცირებული აქტები ესენია: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ევროპის სოციალური ქარტია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცის კონვენციები. აღნიშნული პაქტები თუ კონვენცია განამტკიცებს შრომის სამართლიან და ხელსაყრელ პირობებს.

თავი მეორე - უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე

§ 1. შრომის უსაფრთხოების დაცვის საკანონმდებლო სტანდარტი

შრომის კოდექსი დამსაქმებელს აკისრებს ვალდებულებას, შექმნას შრომის უსაფრთხო პირობები სამუშაო ადგილზე. კერძოდ, ადგენს დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოთი უზრუნველყოფის ვალდებულებას.

კანონმდებლობის მიხედვით, დამსაქმებელმა დასაქმებულს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სრული, ობიექტური და გასაგები ფორმით, ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომელიც მოქმედებს მის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა ან ბუნებრივი

გარემოს უსაფრთხოებაზე. ასევე, დამსაქმებელი მუდმივად უნდა ცდილობდეს, უსაფრთხოების პრევენციული სისტემის დანერგვით, თანამედროვე, უსაფრთხო ან ნაკლები საფრთხის შემცველი ტექნოლოგიების გამოყენებით, დასაქმებულთა სათანადო ინფორმირებით და მაქსიმალური პრევენციული ზომების მიღებით გააუმჯობესოს დასაქმების ადგილებში შრომის პირობები. შრომის კოდექსი ასევე ითვალისწინებს დამსაქმებლის გარკვეულ ვალდებულებებს საწარმოო შემთხვევების დადგომისას. გათვალისწინებულია ასევე სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ზიანის შემთხვევაში, დამსაქმებლის მიერ მისი ანაზღაურებისა და შესაბამისი მკურნალობის ხარჯების გაღების ვალდებულება.

§ 2. შრომის პირობების უსაფრთხოების მონიტორინგის მექანიზმი

სახელმწიფოთა მიერ სამართლებრივ აქტებში ასახული ნება შრომის უსაფრთხოების და ჯანსაღი სამუშაო გარემოს თაობაზე უნდა იყოს აღსრულებადი. ამისთვის აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი მექანიზმი, რომელიც შრომის პირობებისა და უსაფრთხოების მდგომარეობის კანონმდებლობის სტანდარტთან შესაბამისობას შეამოწმებს და ეფექტურ ზომებს მიიღებს. მნიშვნელოვანია იყოს შრომის პირობების უსაფრთხოების სათანადო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები. დღეისათვის მოქმედი შრომის უსაფრთხოების ნორმები საკმაოდ მოძველებულია და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

§ 3. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო. სააგენტო აწარმოებს მომეტებული საფრთხისშემცველი საწარმოების ინსპექტირებას, დარღვევის შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები და გასცეს მითეთებები.

§ 4. შრომის ინსპექცია

შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი ფუნციონირებს 2015 წლიდან. დეპარტამენტს არ მიენიჭა შრომითი უფლების მთლიანი სპექტრის შემოწმების უფლებამოსილება, რაც შექმნიდა შრომის პირობების დარღვევების სრულად გამოაშკარავების შესაძლებლობას, ასევე, არ განხორციელდა დეპარტამენტის აღჭურვა დასაქმების ადგილზე უპირობოდ დაშვების უფლებამოსილებითა და რელევანტური აღსრულების მექანიზმებით, რაც უზრუნველყოფდა გამოვლენილ დარღვევებზე ეფექტურ რეაგირებას. შრომის ინსპექცია იქმნება: შრომითი

დარღვევების პრევენციისა და რეაგირების მიზნით. შესაბამისად, შრომის ინსპექციას უნდა იყოს ჰქონდეს მექამნიზმი ორივეს განსახორციელებლად. ის შეიძლება გამოიხატოს, საწარმოს მოქმედებამდე მისი საქმიანობის შემოწმებისა და დარღვევების გამოსწორების მოთხოვნით. 2016 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს მიენიჭა შემოწმების განსახორციელებლად, საწარმოებში დაუბრკოლებელი შესვლის უფლება. საკანონმდებლო პაკეტით, არ განსაზღვრულა „შრომითი ექსპლუატაციის“ ცნება გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას კანონით დადგენილ ვადაში არ მიუღია შრომით ექსპლუატაციაზე ზედამხედველობის განხორციელების წესი, რაც პრაქტიკაში აბრკოლებს დეპარტამენტის მიერ ამ უფლებამოსილების გამოყენებას.

მოქმედი კანონმდებლობით, შრომითი უსაფრთხოების მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ, დასაქმებულთა ვიწრო არეალზე, მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე. ხოლო, მითითებული სფეროების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა ამ მიმართულებით არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს და კანონის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენდა. მოგეხსენებათ, 2018 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის პროექტის განიხილა, რომლის თანახმად, 2019 წლის 1 სექტემბრიდან კანონი დააარეგულირებს დასაქმების ყველა სექტორს რაც დადებით ნაბიჯს წარმოადგენს. რაც შეეხება ხარვეზს: შრომის უსაფრთხოების არსი განხილულია მხოლოდ დასაქმებულის ფიზიკური კეთილდღეობის მნიშვნელობით და თითქმის უგულვებელყოფილია შრომის უსაფრთხოების სფეროში ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხი. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით განისაზღვროს შრომითი უსაფრთხოების კონტექსტში სამუშაო სივრცეში ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობის პრინციპი და შესაბამისი გარანტიები. ასევე აღსანიშნავია ის, რომ კანონის მოქმედება არ გავრცელდება შრომითი ურთიერთობის სფეროზე. შრომითი უსაფრთხოების მიღმა, ჩვენს რეალობაში მწვავე და სისტემურ პრობლემად დგას შრომითი უფლებებისა და ექსპლუატაციისგან დაცვის საკითხი. აუცილებელია გაფართოვდეს ინსპექციის უფლებამოსილება სხვა შრომით უფლებებზე. მიუხედავად ორგანულ კანონში ცვლილების მნიშვნელობისა, მათი ამოქმედების ვადის 2019 წლის 1 სექტემბრისთვის გადადება ასუსტებს მათ დადებით ასპექტს. მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად გაგრძელდეს სამუშაო პროცესი, შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების დაცვის მიზნით ძლიერი და დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოსა და სტანდარტების ჩამოყალიბებისათვის. ინსპექ-

ციის სამსახური დამოუკიდებელი და გაძლიერებული უნდა იყოს. აუცილებელია დაუყოვნებლივ დაარსდეს შრომის პირობების ინსპექციის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლობა.

2019 წლის 17 აპრილს საქართველოს პარლამენტს და მთავრობას მოუწოდა ადამიანის უფლებებისა და სწავლების ცენტრმა (EMC),-მა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (GYLA),-მ, მწვანე ალტერნატივამ და სოლიდარობის ქსელმა. რეკომენდაციები შეეხებოდა შემდეგს;

1. აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე შეიქმნას საგანგებო სამუშაო კომისია, რომელიც გააერთიანებს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და თვითმმართველი ქალაქების ზედამხედველობის სამსახურებს. საგანგებო კომისიამ, უწყებების ერთმანეთთან მჭიდრო კოორდინაციით, უნდა დაიწყოს საქმიანობა სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის სისტემური და კომპლექსური შესწავლის მიზნით და გაატაროს მათი მანდატის შესაბამისი ღონისძიებები (დაჯარიმება და/ან შეჩერება.)

2. კრიზისის მართვისა და მისი დაუყოვნებლივ გადაწყვეტის მიზნით შეიქმნას სათათბირო კომისია პარლამენტთან, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან, შრომის, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ქ. თბილისის მერი.

3. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა უზრუნველყოს ღია და ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით საკომიტეტო მოსმენა შრომის უსაფრთხოების საკითხზე, სადაც საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცემა ღიად მიიღონ პასუხი ყველა იმ სახელმწიფო უწყების მხრიდან, რომლის მიმართაც შრომის უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით არსებობს შესაბამისი შეკითხვები.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს საწარმოო შემთხვევებზე დროული და ეფექტიანი გამოძიება, მათ შორის, მომხდარზე შესაბამისი პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირების მიზნით.

§ 5. დღეს არსებული სიტუაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

ბოლო პერიოდში სამუშაო ადგილზე ადამიანების გარდაცვალების და დაზიანების შემთხვევების შემაშფოთებლად დიდი მაჩვენებელია. ბოლო თვის განმავლობაში მასმედიის საშუალებით ხდებოდა ინფორმაციის მოწოდება საწარმო შემთხვევების შესახებ, რომელიც შეეხებოდა სამშენებლო სექტორში

მომხდარ 5 საწარმოო შემთხვევას. აღნიშნულის შედეგად კი 5 დასაქმებული დაშავდა და 6 პირი გარდაიცვალა.

ეს მონაცემები დასაქმებულთა დაშავებისა და გარდაცვალების მაჩვენებლის მხოლოდ მცირე ნაწილია. საწარმოო შემთხვევების შედეგად 2011-2018 წლებში დაშავდა 1081 და დაიღუპა 376 ადამიანი. 2018 წელს დაღუპულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა - 59 ადამიანი.

შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის მიღება დადებით ეფექტს ქმნის დასაქმებულთა შრომითი უფლებების უზრუნველყოფისთვის. თუმცა, გატარებული ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს სრულად დასაქმებულთა შრომითი პირობების დაცვის მაქსიმალურ სტანდარტს.



§ 6. შრომის უსაფრთხოების მიმართ არსებული სხვა ხარვეზები

პრობლემას წარმოადგენს ის, რომ კანონის მოქმედება და შესაბამისი ვალდებულებები არ ვრცელდება არაშრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, რაც განსაკუთრებით აისახება სამშენებლო სექტორში დასაქმებულ პირებზე. მათზე არ ვრცელდება ისეთი ვალდებულება, როგორიცაა უბედური შემთხვევის სავალდებულო დაზღვევა.

პრობლემურია ის საკითხიც, რომ ამ დროისთვის სათანადოდ არ არის გადაწყვეტილი უბედური შემთხვევის საკითხი, რის გამოც დამსაქმებლები ხშირად კანონის მოთხოვნის ფორმალურად შესრულების მიზნით, დაზღვევის ყველაზე მინიმალურ პაკეტს იძენენ. აღნიშნული კი უბედური შემთხვევის დროს, დასაქმებულთა მცირე საჭიროებების დაფარვასაც ვერ ახერხებს. უბედური

შემთხვევის დაზღვევის წესები და პროცედურები ჯანდაცვის მინისტრმა 2019 წლის 1 სექტემბრამდე უნდა დაადგინოს.

სამწუხაროდ, კანონის მოქმედება არ ვრცელდება მომსახურებით ხელ-შეკრულებით დასაქმებულ პირთა წრეზე და ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული გავრცელდეს არამხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა პირებზე.

§ 7. დაურეგულირებელი სამშენებლო სექტორი

სამწუხაროდ სამშენებლო სექტორში გარდაცვლილთა და დაშავებულთა ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. 2018 წლის მონაცემებით სამშენებლო სექტორში 83 000 ადამიანია დასაქმებული.

სახელმწიფო ეფექტურად ვერ უზრუნველყოფს ზედამხედველობის განხორ-ციელებას სამშენებლო სამუშაოებზე. აუცილებელია, რომ ზედამხედველობა განხორციელდეს როგორც მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ასევე მის შემდგომ, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს.

სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის ამოქმედება 2019 წლის 3 ივნისს არის დაგეგმილი. ამ დრომდე არის გადადებული ძირითადი კანონქვემდებარე აქტების, მათ შორის „მშენებლობის ორგანიზებისა და მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“, „სანებართვო დოკუ-მენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორ-ციელების დროებითი წესის შესახებ“ აქტების მიღება.

ამ დრომდე კი რეაგირების გარეშე რჩება სამშენებლო სექტორში არსებული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის დასაქმებული ადამიანების უსაფრთხოებაც. აუცილებელია ზემოაღნიშნული აქტების მიღების პროცესი უფრო ღია გახდეს. საჭიროა დაინტერესებულ პირებს წინასწარ აზრის გამოხატვისთვის გაეგზავნოთ დოკუმენტების პროექტები.

§ 8. არაეფექტიანი სისხლის სამართლებრივი რეაგირება

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, „2018 წლის განმავლობაში გამოძიება დაიწყო წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების 224 ფაქტზე, რაც 2017 წლის მაჩვენებელს (128 ფაქტი) ბევრად აღემატება. აქედან, გამოძიება შეწყდა 67 შემთხვევაში. სისხლის-სამართლებრივი დევნა დაწყებულია მხოლოდ 19 შემთხვევაში. 2018 წლის განმავლობაში წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებით საქალაქო და რაიონულმა სასამართლოებმა 35 საქმე განიხილეს და მათგან რეა-ლური სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 2 შემთხვევაში გა-

ნისაზღვრა. არსებითი განხილვის შედეგად გამამტყუნებელი განაჩენი დადგა კიდევ 7 საქმეზე (სასჯელის ფორმად თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა 3 შემთხვევაში, რაც ბრალდებულებს ჩაეთვალათ პირობით მსჯავრად (1 საქმეზე თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევასთან, 1 საქმეზე კი ჯარიმასთან ერთად). დანარჩენი 4 გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის ფორმად განისაზღვრა მხოლოდ ჯარიმა 1900, 2000, 3000 და 5000 ლარის ოდენობით). საქმეთა დაახლოებით 69% (22 საქმე) არსებითი განხილვის გარეშე დასრულდა საპროცესო შეთანხმების დადებით. 1 საქმე კი, განრიდების გამოყენების მიზნით, რაიონულ პროკურატურას დაუბრუნდა.“ აღნიშნული მაჩვენებლების შედარება საწარმოო შემთხვევების შედეგად ყოველწლიურად დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობასთან სრულიად ცალსახად წარმოაჩენს ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტურობას. პრობლემას წარმოადგენს ასევე, საწარმოო შემთხვევებთან დაკავშირებით გამოძიების ფარგლებში, მენეჯმენტისა და რეალური გადაწყვეტილების მიმღები პირების პასუხისმგებლობის არ გამოკვეთა და მთელი პასუხისმგებლობის უბრალო დასაქმებულებზე გადაკისრება. ასევე პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე (შრომის დაცვის წესის დარღვევა) და 240-ე მუხლი (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა) არ იძლევა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობას.

ასევე მნიშვნელოვანია ბოლო 3 წლის სტატისტიკა ამ წლების განმავლობაში თბილისის რაიონულ და უზენაეს სასამართლოში განხილულ საქმეთაგან რამდენი საქმე განიხილეს სამუშაო წარმოების უსაფრთხოების წესის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე. პოზიტიურ შემთხვევას წარმოადგენს ის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოზე მიმართვიდან რამდენიმე დღეში ჩვენ მივიღეთ აღნიშნული გადაწყვეტილებები შინ ფოსტის მეშვეობით. მოგვეწოდა 3 გადაწყვეტილება საწარმოო ტრავმის შედეგად ზიანის ანაზღაურების საქმესთან დაკავშირებით. რაც შეეხება უზენაესს სასამართლოს - გვიპასუხა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს ფუნქციებში არ შედის, მოქალაქეების (სხვა პირების) მიერ მოხოვნილი გარკვეული თემატიკის მოძიება, კოდიფიცირება, შინაარსობრივი შესწავლა და სხვა მსგავსი მომსახურება. ასევე მივმართეთ განცხადებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარ პროკურატურას იმის თაობაზე, რომ მოეწოდებინა ცნობა ბოლო სამი წლის განმავლობაში სულ რამდენ საქმეზე დაიწყო, შეწყდა და მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით განსაზღვრულ უსაფრთხოების წესის დარღვევაზე სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოზე. მათ კი ჩვენ განცხადებას არ უპასუხეს.

§ 9. დასაქმებულთა თვალით დანახული პრობლემები

კვლევა, რომელიც ჩაატარა 2017 წელს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ცენტრმა, წარმოადგენს იმ პირთა უშუალოდ გამოკითხვას, რომლებიც დასაქმებულნი არიან როგორც მძიმე და მსუბუქი მრეწველობის, ისე სარკინიგზო ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროში. კვლევის შედეგად კი რესპოდენტებმა შემდეგი პრობლემები დაასახელეს:

1) პირველ რიგში, მათ საწარმოებში პრობლემას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის სიძველე, არასაიმედოობა და მანქანა-დანადგარების რესტავრაციის, მოდერნიზებისა თუ არსებული რესურსებით წარმოების რეორგანიზაციის საჭიროება; 2) შესაბამისი ყურადღება არ ექცევა დასაქმებულთა სამუშაო ინსტრუმენტებითა და ტანსაცმლით აღჭურვას და მათი განახლების აუცილებლობას, სწორედ ამის გამო დგას შრომის პროდუქტიულობისა და უსაფრთხოების საკითხები, ასე მწვავედ; 3) არასათანადოდაა აღჭურვილი დასაქმების ადგილებზე პირველადი სამედიცინო სერვისები, ისინი განიცდიან ინვენტარის განახლების პრობლემას, რაც, რა თქმა უნდა კიდევ უფრო პრობლემატურს ხდის დაშავებული პირისთვის მომსახურების გაწევას; 4) დამსაქმებლების მხრიდან ზეწოლა და უშედეგო დაპირება ყოველგვარი კონპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით; 5) შრომის ინპექციის არაკვალიფიციურობა, მიზერული სანქციების გამოყენება და მათ მიერ წინასწარი ნებართვის აღება დამსაქმებელისგან, ამ მექანიზმს ყოვლად გამოუსადეგარს ქმნის. 6) არ არიან უზრუნველყოფილი სოციალური დაცვის გარანტიებით; 7) არ უტარდებათ პერიოდული სამედიცინო შემოწმება. 8) სურთ კანონონმდებლობით დარეგულირდეს მსგავს სამუშაოებზე მომუშავე პირებზე დაბალი საპენსიო ასაკი, როგორც ერთგვარი კომპენსაცია ჯანმრთელობის დაზიანებისა და მძიმე პირობებში მუშაობისთვის. ასევე კვლევამ გამოავლინა შრომითი დავების მედიაციისა და სამმხრივი მოლაპარაკების ფორმატის არაეფექტიანობა და ამასთანავე მიღწეული შეთანხმების აღსრულების მექანიზმების სისუსტე.

რაც შეეხება სუპერმარკეტებსა და სამკერვალოებს, გამოკითხვამ შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცა: სხვადასხვა ადგილზე სადაც სამუშაო საათები და შრომის დანაწილება საწარმოებისა და სარკინიგზო ტრანსპორტის მსგავსად რეგლამენტირებული და ნორმირებული არაა, მძიმე გამოწვევაა თანამშრომლებს შორის უფლებებისა და მოვალეობების გამიჯვნა, ზეგანაკვეთური შრომის ინტენსივობა და მშრომელთა დაჯარიმების არაადეკვატურად მკაცრი სანქციები დასაქმებულთა დისციპლინირებისთვის. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ რიგ სამკერვალოებში დასაქმებას პრეკარიატული ხასიათი აქვს და არასტაბილურია. საწარმოებში მკერავ პერსონალს არ აქვს ფიქსირებული

ხელფასი. ამასთან, ანაზღაურება არ განისაზღვრება ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით, რაც აღებულ შეკვეთაზე კოლექტიურ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს და რიგ შემთხვევაში აზარალებს ერთეულ დასაქმებულებს. სამკერვალო საწარმოებში დასაქმებულები შეკვეთის მჭიდრო ვადებში შესრულების საჭიროების შემთხვევაში ზეგანაკვეთური შრომის იძულებაზე უწევთ დათანხმება. საწარმოებში, სადაც შინაგანაწესის მიხედვით სამუშაო კვირა ექვსდღიანია, შვიდ დღეს მუშაობენ და ასევე აჭარბებენ შინაგანაწესით განსაზღვრული 8 საათიანი სამუშაო დღის ხანგრძლივობას. ეპიზოდური დასაქმებისა და ხელშეკრულებების არქონის გამო, დასაქმებულები ვერ სარგებლობენ სამუშაო უპირატესობებით, როგორიცაა: შვებულება, ბიულეტენი, დეკრეტული შვებულება და ა.შ.

დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში, ჩვენ უშუალოდ, ვისაუბრეთ იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დღეს დგას საქართველო შრომის უსაფრთხოების რეგულირების სფეროში. განვიხილეთ ყველა იმ სახელმწიფო სტრუქტურის მათ შორის შრომის ინსპექციისა თუ ტექნიკური და სამშენელო ზედამხედველობის სააგენტოს ეფექტურობა მათი უფლებამოსილების განხორციელების ჭრილში. მიმოვიხილეთ სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული აქტები შრომის პირობებთან დაკავშირებით და ვიმსჯელეთ რამდენად ახერხებს საქართველო ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და მოცემული რეალობის მაქსიმალურ დაახლოებას ILO-ს სტანდარტებთან. სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით, ნათლად წარმოვაჩინეთ საკანონმდებლო რეგულიერების ცხადი მანკიერება. ასევე წარმოვადგინეთ ის რეკომენდაციები, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანულ კანონში და ამასთან ერთად მოვიშველიეთ არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებიც.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვფიქრობთ წარმოდგენილმა ნაშრომმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ საკითხის თეორიულ დამუშავებაში და შემდგომში ვიმედოვნებთ, სახელმწიფო შეძლებს დასახელებული პრობლემების დროულად და ხარისხიანად გადაჭრას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი;
3. საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ
4. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
5. ევროპის სოციალური ქარტია;
6. ასოცირების შეთანხმება (რატიფიცირებული 2014 წელი);
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ", II.პ.19;
8. სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში;
9. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი;
10. https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_077633/lang--en/index.htm?fbclid=IwAR3kyt8uY8l45kHMtnwizmLEPxK26ZkYDUTSITZPVt0AnbKjHwXt1CbzG3U
11. ჭუბაბრია თათული, ჯოხაძე სალომე, გვიშიანი ლელა, „შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში" 2017 მოძიებულია 24 აპრილი, 2019 https://emcrights.files.wordpress.com/2017/01/e18399e18395e1839ae18394e18395e18390e296bae183a8e183a0e1839de1839be18398e183a1-e18398e1839ce183a1e1839ee18394e183a5e183a2e18398e183a0.pdf?fbclid=IwAR0LiUjEo3g4uy5-McO1bnJvCTDCTwspFB8VctoCBRS2-dQTApdHSneeQ-w

Abstract

The right to labor is a socio-economic right and is a combination of rights and obligations in labor relations. This paper discusses problems that hinder employees from exercising this right. We will talk about the state's reforms in this area, its shortcomings and recommendations, international obligations and regulations in the country. We will talk about fair and safe working conditions, fair pay and other rights.

გამარტივებული საალსრულებო წარმოება - სასამართლოს განტვირთვის მექანიზმი თუ კრედიტორის სასარგებლოდ გადახდილი შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო

მარიამ ბალაძე

ბსუ, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
სამართალმცოდნეობა, მესამე კურსი
ელ: ფოსტა: baladzemariami@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: *დავით სამნიძე,*
სამართლისა და საჯარო მმართველობის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელ

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომი შეეხება გამარტივებულ წარმოებას ფულადი დავალიანების გადახდევინებასთან დაკავშირებით, რომელსაც ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო.

გამარტივებული წარმოება - ეს არის სასამართლოს განტვირთვის მექანიზმი თუ კრედიტორის სასარგებლოდ გადახდილი შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ჩემი ნაშრომის მიზანია პასუხი გაეცეს ამ შეკითხვას და გამოიკვეთოს აღნიშნული მექანიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ნაშრომის საკვლევი თემაა გამარტივებული წარმოების ინსტიტუტის შეფასება როგორც კრედიტორის, ისე მოვალის მდგომარეობიდან გამომდინარე.

კვლევაზე მუშაობისას გამოვიყენე ანალიზის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირისა და დაკვირვების მეთოდები. სწორედ ეს მეთოდები დამეხმარა პრობლემის იდენტიფიცირებასა და მოგვარების გზების ძიებაში.

ის ძირითადი მიგნება, რომელსაც სამეცნიერო ნაშრომში გამოვკვეთ, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ მოვალის ჩიხში შესვლაა, საიდანაც გამოსავალს ვერ პოულობს. ნაშრომში განხილულია ეს პრობლემა და ჩამოყალიბებულია მისი მოგვარების ჩემეული ხედვა. საკითხი, რომელზეც არავინ წერს და საუბრობს, ვფიქრობ რომ საკმაოდ პრობლემურია და საჭიროებს კვლევას, მითუმეტეს, ყველა იურისტისთვის ყოველდღიურობად უნდა იქცეს ნორმების შესწავლა, განმარტება და რეგულირება.

საკვანძო სიტყვები: სასამართლო, პირგასამტეხლო, წარმოება, აღსრულება.

შესავალი

ზოგადი მიმოხილვა და თემის აქტუალობა. ჩვენს სამართლებრივ რეალობაში გამარტივებული წარმოება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, პრობლემური და აქტუალური საკითხია.

ვალდებულება ისეთი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის ძალითაც მოვალე ვალდებულია შეასრულოს კრედიტორის სასარგებლოდ განსაზღვრული მოქმედება, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოვალისგან ვალდებულების შესრულება. [6: ახვლედიანი ზ. 1999: 5]

ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებ ფულადი ვალდებულებების გადახდევინებაზე. მაშინ, როცა მოვალეები არ ასრულებენ ფულად ვალდებულებებს, კრედიტორები უფლებამოსილნი არიან სარჩელით მიმართონ სასამართლოს თანხის დაკისრების მოთხოვნით.

კრედიტორებს შეუძლიათ გამოიყენონ ალტერნატიული გზა, რომელსაც აღსრულების ეროვნული ბიუროსადმი განცხადებით მიმართვა წარმოადგენს. განცხადებით მიმართვის მიზანია აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემა.

ჩემი საკვლევი თემა სწორედ გამარტივებული სააღსრულებო წარმოებაა, რომელიც დაკავშირებულია გაცილებით ნაკლებ ხარჯთან, დროსა და პროცედურასთან, ვიდრე ეს სასამართლოში სასარჩელო წარმოების გზითაა გათვალისწინებული.

სწორედ ამ ფაქტორების გამო საქმის წარმოების ამ სახის გამოყენება კრედიტორებისთვის უფრო ხელსაყრელია, რაც განაპირობებს განმცხადებელთა მზარდ რიცხვს. საკითხის აქტუალობასთან ერთად კი ჩნდება პრობლემებიც, რომელსაც ჩემს ნაშრომში განვიხილავ.

ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო საკითხი არის ის, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო არ განიხილავს საქმეებს ზეპირი მოსმენით, არ ამცირებს შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოს, მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოვალეს უფლება აქვს, მოითხოვოს სასამართლოს გზით შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება.

როგორც კი აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებას დავალიანების გადახდევინების შესახებ, მოვალე კარგავს უფლებას მოითხოვოს სასამართლოს გზით პირგასამტეხლოს შემცირება და უწევს არსებული დავალიანების გადახდა, მათ შორის სესხის ძირი თანხის,

პროცენტის, დაკისრებული პირგასამტეხლოსა და გამარტივებული წარმოების საფასურის.

სრულიად განსხვავებული შემთხვევა გვაქვს სასამართლოს მიერ დავის განხილვისას. სასამართლოს გააჩნია იმის კომპეტენცია, რომ შეამციროს პირგასამტეხლოს ოდენობა და საბოლოო ჯამში, მოვალეს აკისრებს სესხის ძირი თანხის, პროცენტის და პირგასამტეხლოს შემცირებული, გონივრული, ოდენობის გადახდას.

ჩემი აზრით, ყველაზე პრობლემური საკითხი ისაა, რომ მოვალეები ვერ აცნობიერებენ თუ რა საფრთხეები შეიძლება შეუქმნას მათ გამარტივებულმა წარმოებამ, ამის გამო ისინი მძიმე შედეგებს იმკიან, პრობლემის მოგვარებაზე ფიქრს კი მაშინ იწყებენ, როცა უკვე ძალიან გვიანია და ფაქტობრივად, არც გამოსავალი არსებობს.

ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა აქტუალურია და ამავდროულად, საკმაოდ მწვავე, რაც საჭიროებს კვლევასა და გადაწყვეტის გზების ძიებას.

დასახული მიზნები. ჩემი მიზანია ნაშრომის საშუალებით გადმოვცე ჩემეული ხედვა და რეკომენდაციები. მივიჩნევ, რომ ასეთ პრობლემურ და აქტუალურ საკითხს ძალიან ბევრი პრაქტიკოსი იურისტი უნდა იკვლევდეს, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხზე არ არსებობს ისეთი ლიტერატურა, რომლის გამოყენებასაც შევძლებდი. მსურს მცირედით მაინც შევავსო ეს სიცარიელე და შევიტანო წვლილი აღნიშნული საკითხის კვლევაში.

ნაშრომის ამოცანები. ჩემი სამეცნიერო თემა დგას ისეთი ამოცანების წინაშე, როგორიცაა გამარტივებული სააღსრულებო წარმოების პრაქტიკის შესწავლა, დღეს არსებული სტატისტიკის კვლევა და ანალიზი. აგრეთვე, შვედეთის სააღსრულებო კანონმდებლობის შესწავლა და პარალელის გავლება საქართველოში დანერგილ პრაქტიკასთან.

საკვლევი თემის **თეორიული დანიშნულება** მდგომარეობს იმაში, რომ იგი სამომავლოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამარტივებულ სააღსრულებო პროცესებთან დაკავშირებით დაინტერესებული პრაქტიკოსი იურისტების მიერ.

ნაშრომს აქვს **პრაქტიკული დანიშნულებაც,** გამომდინარე იქედან, რომ თემის გაცნობის შემდეგ, მოქალაქეები დროული რეაგირების შემთხვევაში, შეძლებენ თავიდან აირიდონ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს გადახდა.

თავი პირველი

გამარტივებული წარმოების სამართლებრივი მიმოხილვა

2012 წლიდან კრედიტორსა და მოვალეს შორის გამარტივებული საქმის წარმოების წესი შეიცვალა და სასამართლოს ნაცვლად, დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეების განხილვის უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

„საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონის მიღების მიზეზია საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემის განტვირთვა და გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეების განხილვის უფლების აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მინიჭება. მიზანი კი სააღსრულებო პროცესის დახვეწა და ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრაა, რომლებიც გამოვლინდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციისას. [5] კანონმდებლების მიერ გამოყენებულ იქნა საფრანგეთისა და შვედეთის სააღსრულებო პრაქტიკა.

ცვლილების შედეგად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა თავი XVI[1], „გამარტივებული წარმოება ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით“.

კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა მხარეთა ახალი სახელწოდებები. მხარეები გამარტივებულ წარმოებაში არიან აპლიკანტი და რესპონდენტი. [3: მუხლი 91[3]]

აპლიკანტი არის პირი, რომელიც განცხადებით მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს. იგი ავსებს აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებულ სააპლიკაციო ფორმას. აპლიკანტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მის მიმართ ვალდებულების არსებობას. ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტები შეიძლება იყოს ხელშეკრულება, ვალის აღიარების ხელწერილი, საგადასახადო ანგარიშფაქტურა, ზედნადებები და ა. შ. მთავარია, რომ დოკუმენტში აღინიშნებოდეს მხარეთა ვინაობა, ვალდებულების ოდენობა და ვალდებულების შესრულების ვადა.

რესპონდენტი არის პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია აპლიკანტის მოთხოვნა. [3: მუხლი 91[3]]

დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება, რომელიც გამარტივებული წარმოების დაწყების საფუძველია, მიზნად უნდა ისახავდეს

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემას. [3: მუხლი 91[4]]

იმისათვის, რომ განცხადება წარმოებაში იქნას მიღებული, აუცილებელია, რომ იგი აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- სახეზე უნდა იყოს ვადამოსული ფულადი ვალდებულება;
- ვალდებულება უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტალურად;
- არ უნდა უკავშირდებოდეს საპასუხო ვალდებულების შესრულებას;
- დავის გადაწყვეტის წესად მხარეებს არ უნდა ჰქონდეთ შეთანხმება კონკრეტულ არბიტრაჟზე. [3]

ერთი სამართლებრივი საფუძვლით შემოტანილ განცხადებაზე გამარტივებული წარმოების საფასური ფიქსირებულია და შეადგენს 100 ლარს.

წილობრივი ვალდებულების შემთხვევაში, თუ მოთხოვნა წარდგენილია ერთზე მეტი აპლიკანტის მიერ ან/და მიმართულია ერთზე მეტი რესპონდენტის წინააღმდეგ, სააპლიკაციო საფასური შეადგენს 100 ლარს თითოეულ პირთან მიმართებაში. [4]

მას შემდეგ, რაც განცხადება დარეგისტრირდება, იგი განსახილველად გადაეცემა გამარტივებული წარმოების მრჩეველს, რომელიც 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს საქმეს როგორც ფორმალური, ასევე იურიდიული კუთხით. თუ არსებობს ხარვეზის საფუძველი, იგი ამავე ვადაში ახარვეზებს განცხადებას და აძლევს აპლიკანტს არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადას ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, შესაბამისი დოკუმენტაციისა თუ ინფორმაციის მოწოდებისათვის. ამ პერიოდის განმავლობაში გამარტივებული წარმოების ვადის დინება ჩერდება, ხოლო ვადის უშედეგოდ გასვლა იწვევს აპლიკანტისთვის დოკუმენტაციის დაბრუნებას. თუ საქმეს არ აქვს ხარვეზი, ან ხარვეზი გამოსწორებულია დათქმულ ვადაში, მრჩეველი მას საწარმოებლად გადასცემს ქეის-მენეჯერს. [3: მუხლი 91[5]]

როდესაც საქმე გადაეცემა ქეის-მენეჯერს, იგი პირველ რიგში ამზადებს შეტყობინებას რესპონდენტისათვის გასაგზავნად. ამ შეტყობინებით რესპონდენტს ეცნობება გამარტივებული წარმოების ნომერი, აპლიკანტის დასახელება, დაყენებული მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი. [3: მუხლი 91[7]]

შეტყობინებით რესპონდენტს ეცნობება იმის შესახებ, რომ მან კანონით დადგენილ ვადაში, 10 კალენდარული დღის განმავლობაში, უნდა შეასრულოს ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:

- სრულად დაფაროს დავალიანება, თუ მოთხოვნას მართებულად მიიჩნევს;

- დაფაროს დავალიანების ნაწილი, თუ მოთხოვნას ნაწილობრივ მართებულად მიიჩნევს;
- განაცხადოს წერილობითი პროტესტი აპლიკანტის მოთხოვნის წინააღმდეგ, თუ არ ეთანხმება მოთხოვნას;
- წერილობით აღიაროს მოთხოვნა სრულად თუ მოთხოვნას მართებულად მიიჩნევს;
- წერილობით აღიაროს მოთხოვნის ნაწილი, თუ მოთხოვნას ნაწილობრივ მართებულად მიიჩნევს;
- წარადგინოს განცხადება მორიგების შეთავაზების შესახებ, თუ სურს აპლიკანტთან გადახდის პირობებზე შეთანხმება. [3: მუხლი 91[7]]

შეტყობინება უნდა შეიცავდეს განმარტებას იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემას.

თუ რესპონდენტი 10 დღის ვადაში არ განახორციელებს ზემოაღნიშნულ არც ერთ მოქმედებას, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება გამოიცემა მოთხოვნის სრულ ოდენობაზე, რომელიც მოიცავს სესხის ძირ თანხას, პროცენტს, პირგასამტეხლოსა და გამარტივებული წარმოების საფასურს.

თავი მეორე

გამარტივებული წარმოების ხარვეზები და მისი აღმოფხვრის გზები

გამარტივებული წარმოების ინსტიტუტს საფუძველი 2012 წელს ჩაეყარა. იმისათვის, რომ ინსტიტუტის ქმედითობა შევაფასო, მოვიხმობ აღსრულების ეროვნული ბიუროს სტატისტიკას.

2013 წელს 4 855-მა აპლიკანტმა მიმართა განცხადებით აღსრულების ეროვნულ ბიუროს, 2014 წელს 9 501-მა, 2015 წელს 13 168-მ, 2016 წელს მათმა რიცხვმა შეადგინა 17 865, 2017 წელს წელს 20 890 განცხადება დაფიქსირდა, 2018 წელს აპლიკაციათა რაოდენობამ 28 328-ს მიაღწია. [7, 8, 9]

ბიურომ გამოაქვეყნა 2019 წლის პირველი სამი თვის ანგარიში. 2019 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით, გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურში სულ შევიდა 7 574 აპლიკაცია. აღნიშნულ პერიოდში დასრულებული საქმეებიდან, ნებაყოფლობით გადახდის კანონით დადგენილ 10 დღიან ვადაში, გადახდა განხორციელდა 47 საქმეზე, ხოლო დამტკიცდა მორიგება - 838 შემთხვევაში. [10]

მიუხედავად იმისა, რომ გამარტივებულ წარმოებაზე მოთხოვნა უფრო და უფრო იზრდება და ეს ინსტიტუტი წარმატებულად აღიქმება, ვფიქრობ,

რომ მორიგებით დასრულებული საქმეების რაოდენობა მაინც ძალიან მცირეა.

მაგალითად, დროის ერთი პერიოდი რომ ავიღოთ, 2016 წელს სულ 19 238 აპლიკაცია შევიდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში. მათგან კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 1 043 აპლიკანტს ეთქვა უარი წარმოებაზე, ხოლო ქეის მენეჯერებს წარმოებაში გადაეცათ 17 865 საქმე.

ქეის მენეჯერების მიერ 2016 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით წარმოებაში მიღებული 17 865 აპლიკაციიდან დასრულდა 11 458, მათ შორის ნებაყოფლობით გადახდის ვადაში გადახდა განხორციელდა 165 საქმეზე, ხოლო მორიგებით დასრულდა 1 667. [7]

ნებაყოფლობით გადახდისა და მორიგებით დასრულებული საქმეების რიცხვი არ არის დამაკმაყოფილებელი.

აღსრულების ეროვნული ბიუროს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ უმეტეს შემთხვევაში, გამოიცემა ბრძანება. ბრძანების გამოცემა კი ნეგატიურ შედეგებთანაა დაკავშირებული.

რესპონდენტები შეტყობინების მიღებისას უნდა იყვნენ მაქსიმალურად ყურადღებით და აუცილებლად უნდა შეასრულონ კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი მოქმედება. თუმცა პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ, რეალურად, ისინი ვერ იაზრებენ იმ სავალალო შედეგებს, რაც მიადგება მათ ბრძანების გამოცემის შემთხვევაში. მართალია შეტყობინებაში მითითებულია იმ ნეგატიურ შედეგებზე, რაც შეიძლება მოჰყვეს ბრძანების გამოცემას, თუმცა ამისდა მიუხედავად ისინი ან არ ეცნობიან შეტყობინებას ან ვერ იაზრებენ მის არსს ან სულაც სერიოზულად ვერ აღიქვამენ.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91[9]-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გასაჩივრება დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ არსებითად დარღვეულია გამარტივებული წარმოების ამ თავით დადგენილი პროცედურა.

კანონი მოქალაქეებს აძლევს ბრძანების გასაჩივრების უფლებას მხოლოდ მაშინ, როცა პროცედურები არსებითადაა დარღვეული. ეს არ შეეხება პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნის უფლებას.

მართალია კანონის არცოდნა არ გვათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ ვფიქრობ, რომ მოვალეები ვარდებიან მეტად მძიმე მდგომარეობაში, ვინაიდან დაუფიქრებლობისა და დაუდევრობის გამო, მათ უწევთ გადაიხადონ იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე სესხის ძირი თანხითაა განსაზღვრული. კრედიტორები სარგებლობენ რა თავიანთი დომინანტური მდგომარეობით, ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აკისრებენ მოვალეებს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს გადახდას.

მართალია ამაზე მხარეები თანხმდებიან ნების გამოვლენის შედეგად, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. [1: მუხლი 420]

ეს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა და იგივე კომპეტენცია არ გააჩნია აღსრულების ეროვნულ ბიუროს. შესაბამისად, გამარტივებული წარმოებისას აღსრულების ეროვნული ბიურო არ ამცირებს პირგასამტეხლოს ოდენობას, რესპონდენტს კი, რომელიც არ წარადგენს პროტესტს, თავმჯდომარის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე ეკისრება დავალიანების სრულად გადახდა.

ამის შემდეგ, რესპონდენტი კარგავს უფლებას მოითხოვოს პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ[2] ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ არსებობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ ან მორიგების პირობების დამტკიცების თაობაზე იმავე საქმესთან დაკავშირებით. [2: მუხლი 186]

სარჩელზე უარის თქმის ეს საფუძველი რესპონდენტს ართმევს საშუალებას დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოს გზით და მოითხოვოს ის, რის მოთხოვნასა და დაკმაყოფილებასაც შეძლებდა იმ შემთხვევაში, რომ არ ყოფილიყო გამოცემული ბრძანება.

ვფიქრობ, რომ ამ ნორმას მოვალეები შეჰყავს ჩიხში და აგდებს ისეთ მძიმე მდგომარეობაში, რომ მე, როგორც ამ თემაზე მომუშავე ავტორს, მიჩენს პროტესტის განცდას.

მიმაჩნია, რომ 10 დღე ზედმეტად ცოტაა იმისთვის, რომ იურიდიული განათლების არმქონე პირმა, მოქალაქემ, რომელიც ვერ ახერხებს დავალიანების დაფარვას, შეძლოს იმის გაცნობიერება თუ რა შეიძლება შედეგად მოჰყვეს მის ქმედებებს. მოვალე ამ დროს ვერც კი წარმოიდგენს, რომ ამით მას ეკარგება პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნის უფლება.

საკითხი, რომ უფრო ცხადად განვიხილოთ, მაგალითის სახით მოვიყვან თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2018 წლის 12 სექტემბერს მიღებულ განჩინებას, რომლის მიხედვითაც: ერთ-ერთ მოქალაქესა და სესხის გამცემ კომპანიას შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება. მოქალაქემ ვერ შეძლო სესხის დროულად დაფარვა, რის გამოც, კომპანიამ მიმართა აღს-

რულების ეროვნულ ბიუროს. რესპონდენტმა, 10 დღიან ვადაში ვერ განახორციელა კანონით დადგენილი ვერც ერთი მოქმედება. აღსრულების ეროვნული ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ, რომლითაც რესპონდენტს აპლიკანტის სასარგებლოდ დაეკისრა 6 162.11 ლარის ოდენობით გადახდა, საიდანაც პირგასამტეხლო 5 360.11 ლარია.

რესპონდენტმა პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნით მიმართა საქალაქო სასამართლოს, რომელმაც სარჩელი არ მიიღო წარმოებაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან არსებობს აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ[2] ქვეპუნქტის შესაბამისად, სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული განსახილველად.

სასამართლომ მიიღო განჩინება, რომლითაც დაადგინა, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვას პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ სარჩელის განსახილველად მიღებაზე. (იხ. განჩინება, დანართი N1)

აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ[2] ქვეპუნქტი არის საკანონმდებლო ხარვეზი. ჩემი რეკომენდაციაა ამოღებულ იქნას ეს ქვეპუნქტი კანონიდან და მოქალაქეებს მიეცეთ უფლება დაიცვან თავიანთი უფლებები და შეძლონ მათი ისედაც მძიმე მდგომარეობის ოდნავ მაინც შემსუბუქება.

ცვლილება, რომლის საფუძველზეც, გამარტივებულ წარმოებას 2012 წლიდან აღარ ახორციელებს სასამართლო და ის აღსრულების ეროვნული ბიუროს კომპეტენციაში გადავიდა, დასაბუთებულია იმით, რომ ეს საერთო სასამართლოების განტვირთვის მექანიზმია.

მართლაც, სასამართლო გათავისუფლდა გამარტივებული წარმოების გზით ფულადი ვალდებულებების გადახდევინების შესახებ დავების განხილვისგან, მაგრამ რა შედეგებამდე მიგვიყვანა ამან, ხომ არ დამძიმდა ამით მოვალეების მდგომარეობა?! მათ ხომ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს გადახდა უწევთ და ამისგან თავის დაღწევის გზას ვერ პოულობენ, რადგან კანონმდებლობა არ აძლევს ამის საშუალებას.

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში მოქალაქეების უფლებები და ინტერესები ბევრად უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე საჯარო ინტერესი, რომელიც სასამართლოს განტვირთვაში მდგომარეობს. სასამართლო ერთადერთი ორგანოა, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას, რომელსაც ენდობა მოქალაქე და სადავო ან დარღვეული უფლების დასაცავად მიმართავს. მიმაჩნია, რომ სასამართლო უნდა განიხილავდეს მოქალაქეების სარჩელებს იმის მიუხედავად,

მათ წინააღმდეგ გამოცემულია თუ არა ბრძანება მორიგების პირობების დამტკიცების ან დავალიანების გადახდევინების შესახებ. რამეთუ სწორედ ამ შემთხვევაშია დარღვეული მათი უფლებები და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში არიან აღმოჩენილები. სამწუხაროდ, მოვალეები უმეტესად ბრძანების გამოცემის შემდეგ იაზრებენ იმ სავალალო შედეგებს, რომლებიც მათ მიადგათ, და მიმართავენ სხვადასხვა იურიდიულ ორგანიზაციებს კონსულტაციის მიზნით და/ან შეაქვთ სარჩელები სასამართლოში, რომლებიც წარმოებაში არ მიიღება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით.

იმისათვის, რომ პრობლემის არსებობა უფრო თვალსაჩინო გავხადო, ვიყენებ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის მიერ მოწოდებულ სტატისტიკას. 2018 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 25 აპრილის ჩათვლით, ორგანიზაციის იურიდიული დახმარების ცენტრის იურისტების მიერ გამარტივებულ წარმოებაზე ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით ბენეფიციარებისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გაიცა 57 იურიდიული კონსულტაცია;
- მომზადდა 12 სამართლებრივი დოკუმენტი - პროტესტი აპლიკანტის მოთხოვნის წინააღმდეგ;
- მომზადდა 2 სასარჩელო განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გაუქმების მოთხოვნით. (იხ. დანართი N2)

სტატისტიკა ასახავს რეგიონის დონეზე ბოლო ერთი წლის მონაცემებს, რომლებიც გვიჩვენებს, რომ 12 შემთხვევაში მოქალაქეებმა დროულად მიმართეს ორგანიზაციას და შეიტანეს პროტესტი აპლიკანტის მოთხოვნის წინააღმდეგ, რითაც თავიდან აირიდეს ბრძანების გამოცემა. თუმცა უფრო ხშირად, მოქალაქეთა მიმართვა დაგვიანებულია და, ძირითადად, კონსულტაციების არსიც იმაში მდგომარეობს, რომ მათ კანონით დადგენილი 10 დღიანი ვადა გაუშვეს.

ორგანიზაციის აჭარის ფილიალის სტატისტიკა ხაზს უსვამს პრობლემის აქტუალობას. სტატისტიკის მოწოდების მოთხოვნით მივმართე ბათუმის საქალაქო სასამართლოსაც იმ მიზნით, რომ გამეგო სულ რამდენი სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის ბ^2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, თუმცა პასუხად მივიღე, რომ აღნიშნულ საკითხზე სასამართლო სტატისტიკას არ აწარმოებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ თუ კანონიდან ბ^2 ქვეპუნქტი იქნება ამოღებული, მოვალეების მდგომარეობა

გაუმჯობესდება და ისინი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, კრედიტორის სასარგებლოდ გადაიხდიან გონივრულ და არა შეუსაბამოდ მაღალ მაღალ პირგასამტეხლოს.

თავი მესამე

შვედეთის სამართლებრივი სისტემა სააღსრულებო პროცესებთან დაკავშირებით

ვინაიდან სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონში XVI[1] თავის დამატებისას, გამოყენებულ იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების, მათ შორის - შვედეთის, პრაქტიკა, ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება პარალელი გავავლო საქართველოსა და შვედეთის სააღსრულებო პროცესებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას შორის.

იმ მიზნით, რომ შვედეთის სააღსრულებო პრაქტიკას გავცნობოდი, მივმართე შვედეთის სააღსრულებო სააგენტოს, რომელმაც გამიწია ონლაინ კონსულტაცია და მომაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სააგენტო და რა სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით ახორციელებს საქმისწარმოებას.

შვედეთში სააღსრულებო წარმოებას არეგულირებს შვედეთის აღსრულების კოდექსი და კანონი დავალიანების გადახდევინების შესახებ.

დავალიანების გადახდევინების შესახებ კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, თუ სააღსრულებო სააგენტო ვერ დარწმუნდება იმაში, რომ აპლიკანტის მოთხოვნა საფუძვლიანი და კანონიერია, სააგენტო არ გამოსცემს ბრძანებას. [13: Section 23] ამ მხრივ, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაც სამართლიანია, ვინაიდან აპლიკანტს უწევს დავალიანების დადასტურება დოკუმენტებით, რომელიც აუცილებელია, რომ დაერთოს განცხადებას.

ძირითადად, ნორმები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც, კერძოდ, ფულადი ვალდებულების გადახდევინების შესახებ შვედეთის სააღსრულებო სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში. ამისათვის მოვალეს 1 თვიანი, აპლიკანტის კი - 3 კვირიანი ვადა ეძლევა. საჩივარს ეწოდება განახლება. [12: Chapter 3 Section 11] ისინი საჩივრით მიმართავენ რაიონულ სასამართლოს. სასამართლოს აქვს კომპეტენცია განიხილოს ამ კატეგორიის დავები, რასაც განამტკიცებს შვედეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. [11: Chapter 17 Section 11] გასაჩივრების ინსტიტუტი კი დარეგულირებულია დავალიანების გადახდევინების შესახებ კანონის 55-ე-58-ე მუხლებით. [13: Section 55-58]

პრობლემას, რომელიც ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაში დავინახე და ავსახე ჩემს სამეცნიერო ნაშრომში, არ ვხვდებით შვედეთში, ვინაიდან შვედური კანონმდებლობა იცნობს გასაჩივრების ინსტიტუტს.

შვედეთში ფულადი ვალდებულების გადახდევინებასთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოება სარგებლობს წარმატებით, რაც, თავის დროზე, მხედველობიდან არ გამორჩენიათ ქართველ კანონმდებლებს და ნორმების დიდი ნაწილის იმპლემენტაცია მოახდინეს.

ვფიქრობ, გასაჩივრების ინსტიტუტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა სააღსრულებო წარმოების მექანიზმისათვის და აუცილებელია, რომ ცვლილება განხორციელდეს ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაში.

დასკვნა

სამეცნიერო ნაშრომში განვიხილე ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი, როგორიცაა გამარტივებული სააღსრულებო წარმოება. კვლევისას გამოვიყენე აღსრულების ეროვნული ბიუროსა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის სტატისტიკა, რომელთა ანალიზიც გვაძლევს საკმაო საფუძველს საკითხის აქტუალურად მიჩნევისათვის.

გამოვკვეთე ის პრობლემები, რომლებიც აღნიშნულ მექანიზმს ახლავს თან. მართალია გამარტივებული წარმოება კრედიტორებისთვის ხელსაყრელია, რადგან მისი საშუალებით ისინი მცირე დროში, მცირე დანახარჯებით, ახერხებენ სასურველი შედეგის მიღწევას, მაგრამ აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მოვალის მდგომარეობაზეც.

მთავარ პრობლემად მივიჩნევ იმას, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ ფულადი ვალდებულების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ, მოვალეები ვარდებიან ისეთ მძიმე მდგომარეობაში, რომ გამოსავალს ვერ პოულობენ.

კვლევის პროცესში სწორედ ამ შემთხვევამ მიიქცია ჩემი ყურადღება. მოვიძიე და მაგალითად მოვიყვანე სასამართლოს განჩინება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მე, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, ვეცადე გამოსავალი გზის ძიებას და საკანონმდებლო ხარვეზად მივიჩნიე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ[2] ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ არსებობს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება დავალიანების

გადახდევინების შესახებ ან მორიგების პირობების დამტკიცების თაობაზე იმავე საქმესთან დაკავშირებით. [2: მუხლი 186]

ვინაიდან აღნიშნული საფუძვლის გამო, მოვალეები ვერ ახერხებენ თავიანთი ინტერესების დაცვას და შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნას, იგი ამოღებულ უნდა იქნას კანონიდან.

კვლევის პროცესში, გავეცანი შვედეთის სააღსრულებო პრაქტიკას. შვედეთის პრაქტიკა სახელმძღვანელოდ ავიღე გამომდინარე იქედან, რომ 2012 წელს კანონის შემუშავებისას, ქართველმა კანონმდებლებმა სწორედ ამ ქვეყნის პრაქტიკა გამოიყენეს.

საქართველოსა და შვედეთის სააღსრულებო კანონმდებლობის შედარებისას, ვიპოვე მნიშვნელოვანი განსხვავებაც, რომელიც იმაში მდგომარეობს რომ შვედეთში გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ, აპლიკანტს და მოვალეს მაინც აქვთ გასაჩივრების უფლება სასამართლოსადმი მიმართვის გზით. აღმოჩენილი განსხვავება პირდაპირ ეხმიანება ჩემს რეკომენდაციას.

მიმაჩნია, რომ ამ საფუძვლის კანონიდან ამოღების შემდეგ, გამარტივებული წარმოების მექანიზმი ბევრად უფრო ეფექტურად ჩაითვლება, რადგან ის დანაკლისი, რაც წარმოების ამ სახეს გააჩნია, შევსებული იქნება სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე დავის განხილვითა და გადაწყვეტით.

გადახდევინების ბრძანების გამოცემის შემდეგ, რესპონდენტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათ დაეკისრათ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, მიმართავენ სასამართლოს სარჩელით. არ ვფიქრობ, რომ ამის გამო სასამართლო ზედმეტად გადაიტვირთება, მეტიც, სწორედ სასამართლოს კომპეტენციაა პირგასატეხლოს შემცირება და სხვა არც ერთი ორგანო არ არის და არც შეიძლება იყოს აღჭურვილი ამ ფუნქციით. სასამართლო ერთადერთი ორგანოა, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას და მანვე უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების ინტერესების მაქსიმალურად დაცვა.

თანაც, ამ შემთხვევაში უკვე დადგენილი იქნება ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დავალიანების არსებობას შეეხება. სასამართლოს მოუწევს მხოლოდ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება. ეს საქმე კი არ საჭიროებს ისეთ რთულ საკითხთა ანალიზს, რომ სასამართლოს მეტისმეტად დიდი დრო დასჭირდეს მის განსახილველად.

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მოქალაქეთა კერძო ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე საჯარო ინტერესი იმისა, რომ განიტვირთოს სასამართლო.

ჩემი საკანონმდებლო წინადადება მოვალეებს მისცემს შესაძლებლობას აღიდგინონ თავიანთი დარღვეული უფლებები და შეიმსუბუქონ მათი ისედაც მძიმე მდგომარეობა. გამარტივებული სააღსრულებო წარმოება სასამართლოს

განტვირთვის მიზნით კრედიტორების უსაფუძვლო გამდიდრების მექანიზმად არ უნდა იქცეს.

ბალანსი დაცული უნდა იყოს იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს როგორც კრედიტორის, ისე მოვალის ინტერესები. ვფიქრობ, რომ ჩემი რეკომენდაცია, სწორედ ამ ბალანსის დაცვის წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

[2] საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

[3] საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ;

[4] „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №144;

[5] საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“;

[6] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1999;

[7] საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიურო, (27 იანვარი 2017 წელი) „აღსრულების ეროვნული ბიუროს გამარტივებული საქმისწარმოების სერვისზე მოთხოვნა იზრდება“; მოძიებულია 26 აპრილი, 2019, http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=8190

[8] საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიურო, (17 იანვარი, 2018 წელი) „აღსრულების ეროვნული ბიურო 2017 წლის ანგარიშს აქვეყნებს“; მოძიებულია 26 აპრილი, 2019, http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=8303;

[9] საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიურო, (11 იანვარი, 2019 წელი) „მორიგებით დასრულებული 15 ათასამდე საქმე 2018 წლის განმავლობაში“; მოძიებულია 26 აპრილი, 2019,

http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=8415

[10] საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიურო, (25 აპრილი, 2019 წელი) „გამარტივებულ საქმისწარმოებაზე მოთხოვნა იზრდება“; მოძიებულია 26 აპრილი, 2019, http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=8449

[11] The Swedish Code of Judicial Procedure Ds 1998:000;

[12] The Swedish Enforcement Code (1981:774) (including amendments up to SFS 2001:377);

[13] The Swedish Law regarding payment debts (Lag (1990:746) om betalningsföreläggande och handräckning)

დანართი N1

საქმე N2/26251-18

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ

12.09.2018 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე მაკა ჭედია

მოსარჩელე [illegible]
მოპასუხე მპს "მონლაინ"
დავის საგანი პირგასამტეხლოს შემცირება

განხილვის ფორმა ზეპირი მოსმენის გარეშე

გ ა მ ო რ კ ვ ი ა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2018 წლის 07 სექტემბერს სარჩელით მიმართა [illegible] მოპასუხე მპს "მონლაინ"-ის მიმართ პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნით.

სასამართლომ განიხილა სარჩელის მიღების საკითხი და მიიჯნა დასაკვანმდე, რომ მას უარი უნდა ეთქვას სარჩელის განსახილველად მიღებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, **თუ: არსებობს საქართველოს ოფიციალის სამინისტროს მმართველობის სფეროში მემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ** ან მოიჯნების პირობების დამტკიცების თაობაზე [illegible] საქმესთან დაკავშირებით;

მოცემულ შეთხვევაში, სარჩელს ეროვნის აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 25 აპრილის №3180289703/410474 ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ, რა-იც ლეონიც ოფისშიდენტ [illegible] ანალიზის მპს "მონლაინის" სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების 6 162.11 ლარის ოდენობით გადახდა. **გამარტივებული წარმოების დაწყების საფუძველია 2016 წლის 06 ივლისის სესხის ელექტრონული/ონლაინ ხელშეკრულება.**

მოცემული სარჩელის საფუძველია [illegible] და მპს "მონლაინს" შორის 2016 წლის 6 ივლისს გაფორმებული სესხის ხელშეკრულება. მოსარჩელე სადავოდ ხდის სესხის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობას და ითხოვს მის შემცირებას, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან არსებობს აღსრულების ეროვნული ბიუროს ზრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ, რომლის გაეცემის საფუძველია იგივე სესხის ხელშეკრულება, რომლიდან გამომდინარეც დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობაა სადავო განსახილველი სარჩელით, სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული განსახილველად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, რაც ამავე კოდექსის 186.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 178-ე, 186-ე, 187-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **მოსარჩელე [illegible] უარი ეთქვას მოპასუხე მპს „მონლაინის" მიმართ პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ სარჩელის განსახილველად მიღებაზე.**

2. მოსარჩელეს უკან დაუბრუნდეს სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, მათ შორის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დოკუმენტის დედანი.

3. განმარტოს მოსარჩელეს, რომ საქართველოს სამოქალაქო [illegible] **186-ე** მუხლის პირველი ნაწილის „ე", „ზ" და „თ" ქვეპუნქტებით [illegible] საფუძვლებით მოსამართლის უარი განცხადების მიღებაზე [illegible],

განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აღილუტული იქნება დამშვებული დარღვევა.

4. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განჩინების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით 12 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით.

5. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, ვალდებულია მოსამართლისათვის სარჩელის გადაცემიდან არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 14 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, განჩინების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება ამ ვადის გასვლიდან მეორე დღეს.

მოსამართლე **მაკა ჭედია**

დანართი N2

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION
აჭარის ფილიალი
ADJARA BRANCH

გორგასლის ქ. #89, ქ. ბათუმი, საქართველო, 6000; ტელ: (0422) 27 66 68; ფაქსი: (0422) 22 29 50;
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge; www.gyla.ge

89, Gorgasali str. 6000, Batumi, Georgia; Tel: (0422) 27 66 68; Fax: (0422) 22 29 50;
E-mail: batumi@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-01/16 25 აპრილი 2019 წ.

ხსნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სამართალმცოდნეობის შესაბამ კურსის სტუდენტს:
მარიამ ბალაძეს

ქ-ნ მარიამ,

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალში, 2019 წლის 24 აპრილს დარეგისტრირებული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ შემდეგს, რომ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 25 აპრილს ჩათვლით, საიას აჭარის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრის იურისტების მიერ გამარტივებულ წარმოებაზე ფულადი თანხის დაკალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით (გამომდინარე „საძალდებულო წარმოებათა" შესახებ საქართველოს კანონის XVI[1] თავი) დაინტერესებული პირებისთვის/ბენეფიციარებისთვის:

- გაიცა 57 იურიდიული კონსულტაცია;
- მომზადდა 12 სამართლებრივი დოკუმენტი - პროტესტი აპელიანტის მოთხოვნის წინააღმდეგ;
- მომზადდა 3 სასარჩელო განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გაუქმების მოთხოვნით.

პატივისცემით,

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

აჭარის ფილიალის თავმჯდომარე

ანნა მდინარაძე

Abstract

Conference theme refers to summary proceedings realized by National Bureau of Enforcement, Ministry of Justice of Georgia.

Summary proceedings – is it workload decrease for the court or inappropriate payment of high penalty in favour of creditor. Paper's goal is to answer this question and to clear mechanism's positive and negative effects.

Paper's research issue is to assess summary proceedings not only from creditor but also from debtor side. Studying this theme, methods of analysis, causality and observe are used. Those methods helped me to identify the problem and to find a solution.

Basic finding that is demonstrated in this study is the impasse situation in which the debtor ends up after a head of enforcement publishes a payment debt command. There's established my views of solving this problem.

Since this topic is a problematic and current, its needs to be researched. Moreover, learning, interpretation and regulation of enactment should become daily life for every lawyer.

Key words: Court, Penalty, Proceedings, Enforcement.

ეკონომიკური სანქციები, როგორც შეკავების მექანიზმი

მარიამ ირემაძე
გსუ, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სპეციალობა: საერთაშორისო ურთიერთობები, მეორე კურსი.
ელ. ფოსტა: Mariam.iremadze98@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლაშა ბაჟუნაიშვილი
საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული
პროფესორი

შესავალი

თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში, მძლავრი კონკურენციის პირობებში სახელმწიფოები ცდილობენ, მაქსიმალურ წარმატებას მიაღწიონ. მაგრამ ზოგჯერ ერთი ქვეყნის ამბიციები ეწინააღმდგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, არღვევს სხვა სახელმწიფოების სუვერენულ უფლებებს, იჭრება მათ საშინაო საქმეებში და პირდაპირ თუ ირიბად ახდენს გავლენას მათ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე. ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება ბირთვული იარაღის რაოდენობის გაზრდის საფრთხე, რისი თავიდან აცილების შესაძლებლობასაც ეკონომიკური სანქციები იძლევა. ამიტომ, <u>ჩვენი მიზანია</u> კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვათ რამდენად განსაზღვრავს ეკონომიკური სანქციები ქვეყანათა პოლიტიკას, შეუძლია თუ არა სანქციებს მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება, ასევე კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წარმოაჩინოთ არის თუ არა ის ეფექტური. <u>თემის აქტუალურობაც</u> აქედან გამომდინარეობს: განვიხილოთ თუ რა როლი აკისრია სანქციებს სისტემურ ურთიერთობებში.

<u>კვლევის საგანს</u> წარმოადგენს ეკონომიკური სანქციების არსი და მნიშვნელობა.

<u>კვლევის ობიექტია</u> ეკომომიკური სანქციების, როგორც შეკავების მექანიზმის ეფექტურობა და როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი საკმაოდ ახალია, არსებობს უამრავი მაგალით რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს განვიხილოთ სანქციების მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებისათვის. ამ საკითხზე ყურადღება გამახვილებული აქვს არა ერთ მკვლევარსა თუ საერთაშორისო ინსტიტუტს, რომლებიც კვლევებში

ასახავენ სანქციებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. თემასთან დაკავშირებული საინტერესო მოსაზრებებია და კვლებეია წარმოდგენილი SECURITY COUNCIL REPORTY- ის, Georgetown University Law Center – ის და სხვა სტატიებში.

ეკონომიკური სანქციების არსი და ისტორიული რაკურსი

„სანქციები არის ზომების ერთობლიობა, რომელიც ემსახურება საზოგადოებაში სოციალური ნორმების დაცვასა და მხარდაჭერას“[1] ეკონომიკური სანქციები, კი სანქციათა ერთ–ერთ სახეს წარმოადგენს, რომლის მიზანია აიძულოს საერთაშორისო ურთიერთობების აქტორი ან აქტორთა ჯგუფი შეცვალოს თავისი ქცევა, რომელიც როგორც წესი დაკავშირებულია საერთაშორისო სამართლის ნორმათა დარღვევასთან, მასზე ისეთი ეკონომიკური ზემოქმედების შედეგად, რომლებიც როგორც წესი არის: ემბარგო, ბოიკოტი, ბლოკადა, კვოტები, ტარიფები, შავი სია სხვა[2]. ეს წარმოაგდენს ქვეყნის „დასჯის“ ერთგვარ საშუალებას. სანქციები სულ მცირე, ემსახურება იმას, რომ მან აჩვენოს ქვეყანათა დამოკიდებულება სხვა ქვეყნის პოლიტიკასთან დაკავშირებით. „სანქციათა დამწესებელ „გამგზავნი“, ხოლო მას ვის წინააღმდეგაცაა მიმართული სანქციები „სამიზნე“ ეწოდება“[3]. თუ მოვახდენთ სანქციათა კლასიფიკაციას იმის მიხედვით თუ ვინ უწესებს მას ამა თუ იმ სახელმწიფოს, გამოიყოფა ეკონომიკურ სანქციათა ორი სახე:

1. სანქციები, რომლებსაც სახელმწიფოები ინდივიდუალურად უწესებენ სხვა სახელმწიფოებს;
2. სანქციები, რომელთა დაწესებაც ხდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ;
3. სანქციები, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უწესებს ქვეყნებს;

არსებობს სამი ძირითადი მიზეზი, რის გამოც ხდება სანქციათა დაწესება კონკრეტული ქვეყნისათვის:

1. ცდილობს გავლენა მოახდინოს ქვეყანის მთავრობაზე, რომ მან შეცვალოს თავისი პოლიტიკა;
2. დასაჯოს ქვეყანა თავისი პოლიტიკის გამო;

---

[1] სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, მოძიებულია 20 აპრილი, 2019. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3976.

[2] (Barry E. Carter, International Economic Sanctions: Improving the Haphazard U.S. Legal Regime. 1999 წელი. გვ 1166).

[3] Hufbauer. G, Schott. J, Elliott. A. Economic Sanctions Reconsidered. 1990 წელი, გვ

3. „გამგზავნმა“ სახელმწიფომ სიმბოლურად აჩვენოს თავისი დამოკიდებულება სხვა ქვეყნებს „ საიზნე“ ქვეყნის ქცევასთან დაკავშირებით;

ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარის, Sascha Lohmann ის აზრით, სანქციების ისტორია იწყება ანტიკური პერიოდიდან. ძველი საბერძნეთისათვის ცნობილი იყო სანქციათა დაწესების ტექნიკა. “თუკიდიდეს თანახმად კი ეს ტრადიცია შეიმჩნევება პელოპონესის იმშიც“[4]. მაგრამ ითვლება, რომ სანქციების ისტორია იწყება მეოცე საუკუნიდან, კერძოდ 1919 წლიდან, როცა შეიქმნა პირველი სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია ერთა ლიგა, რომელსაც უნდა გაეტარებინა მრავალმხრივი ღონისძიებები და აღმოეფხვრა მომავალი ომის შესაძლებლობა ყოველგავრი სამხედრო ჩარევის გარეშე, წმინდა ეკონომიკური მნიშვნელობით. მას, როგორც ჯერემი გრინსტოკისი აღნიშნავდა უნდა ეპოვა „ოქროს შუალედი ფუჭ დეკლარაციებსა და ომის გამოცხადებას შორის“. შესაბამისად, ისტორიაში ცნობილი პირველი სანქციები დაწესებული იქნა ერთა ლიგის მიერ, რომელიც მიმართული იყი იტალიის წინააღმდეგ. სწორედ, აღნიშნული პერიოდიდან გამოიყენება საქციები, როგორც შეკავების მექანიზმი. რომლის მიზანია: წარმოქმნილი პრობლემის სამხედრო ჩარევის გარეშე მოგვარება, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ადამიანის უფლებების დაცვა.

ერთა ლიგის თვითლიკვიდაციის შემდეგ, მისი ადგილი დაიკავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომლიც უშიშროების საბჭოს დახმარებით აგრძელებს აღებულ კურსს. პირველი ქვეყნები, რომლებსაც გაერომ დაუწესა სანქციები იყო სამხრეთ აფრიკა 1963 წელს აპარტეიდის გამო და და როდეზიას 1965 წელს. ასევე გაეროს დაწესებული აქვს სანქციები ირანის წინააღმდეგ ქუვეითში შეჭრის გამო და სხვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქვს 5 ტიპის სანქცია: მგზავრობის აკრძალვა, დიპლომატიური, აქტივების გაყინვა, საქონლის ჩამორთმევა, აქტივების ემბარგო[5]. ეკონომიკური სანქციები, განსაკუთრებით ეფეტქურად მუშაობს ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც დიდ საექსპორტო რესურსებს ფლობენ, იქნება ეს ნედლეული თუ მზა პროდუქცია. გამომდინარე იქედან, რომ ეკონომიკა წარმოადგენს სახელმწიფოთა განვითარების ქვაკუთხედს, ბუნებრივია ზეწოლა ამ მხრივ განსაკუთრებულ ეფექტს იძელვა, მაგრამ მიუხედავად იმ უდაოდ დიდი მნიშვნელობისა, რომელიც სანქციებს ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობებში, ის ყოველთვის ვერ აღწევს დასახულ მიზანს. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ამერიკის, პეტერსონის საერთაშორისო

---

[4] Barry E. Carter, International Economic Sanctions: Improving the Haphazard U.S. Legal Regime. 1999 წელი. გვ 1170).

[5] Security Council Report, Special Research Report, November 2013, გვ 3).

ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტიური მონოგრაფიის მეორე გამოცემაში გაკეთებული დასკვნა, რომელიც აჩვენებს, რომ ეკონომიკური სანქციები ეფეტქურია და აღწევს დასახულ მიზანს მხოლოდ შემთხვევათა 34 % – ში. აღსანიშნავია, რომ „სანქციებს წარმატების უფრო მეტი შანსი აქვს ისეთ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება შედარებით „თანამედროვე“ მიზნებს. ისეთებს როგორიცაა: პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლება, მიგრანტებთან დაკავშირებული შემთხვევები და ა.შ.[6]“ ამავე მონოგრაფიაში ნათქვანია, რომ თუ ეკონომიკურა სანქციებს თან არ ახლავს სამხედრო–პოლიტიკური ფაქტორებით გამყარებული ქმედებები, ის კიდევ უფრო ნაკლებს შედეგს იძელვა. სამხედო-პოლიტიკური საშუალებების გამოყენება კი ქმნის კონფლიქტის გამწვავების შესაძლებლობას, რამას შიძლება მიგვიყვანოს საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდეც. აღნიშნული ფაქტი ხშირად იწვევს ნიჰილისტურ დამოკიდებულებას სანქციების მიმართ. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ მიუხედავად რომელიმე ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის მიერ დაწესებული სანქციებისა „დასჯილი“ სახელმწიფო ყოველთვის ახრეხებს გააგრძელოს ეკონომიკური ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, რადგან ეს სხვა ქვეყნები, რა თქმა უნდა, ზრუნავენ საკუთარ ეკონომიკურ სარგებელზე, ამიტომ ხშირად, როცა ქვეყანა არღვევს კანონებს განსაკუთრებული, მრავალმხრივი მოლაპარაკებების შედეგად ხდება მასზე სანქციათა დაკისრება. აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის 2017 წელს გახმოვანებული ფრაზა: „თუ ჩვენ გვინდა ეფექტური ეკონომიკური სანქციები, რომლების აიძულებს ჩრდილოეთ კორეას რომ შეიცვალოს, ჩვენ გვჭირდება მკაცრი სანქციები ორი ქვეყნის ჩინეთისა და რუსეთისთვისაც, რომლებიც თამაშობენ გასაღების როლს". როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოები ინდივიდუალურადაც უწესებენ ქვეყნებს სანქციებს. მიუხედავდ იმისა, რომ სხვა ქვეყნებიც იყენებენ ეკონომიკურ სანქციებს, როგორც შეკავების მექანიზმს, ამ მხრივ აღსანიშნავია სანქციები, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუწესა პანამას, სამხრეთ აფრიკას, ნიკარაგუას, ლიბიას, საბჭოთა კავშირს, პოლონეთს, ირანს. აღმოჩნდა, რომ „91 სანქციიდან 62 დაწესებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინდვიდუალურად ან სხვა ქვეყნებთან ერთად“[7]. სანქციათა გამოყენების სიხშირით შემდგომ ადგილებს იკავებენ: დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი და არაბული ლიგა.

---

[6] (CONOMIC SANCTIONS RECOGNISED, Peterson Institute for International Economics, გვ 163).

[7] (Barry E. Carter, International Economic Sanctions: Improving the Haphazard U.S. Legal Regime. 1999 წელი, გვ 1166)

არის სანქციები ეფექტური?

თანამედრო საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა სანქციათა ეფექტურობასთან დაკავშირებით. რადგან, როგორც უკვე აღვნშნეთ, მისი ეფექტურობა დაკავშირებული სხვა ქვეყანათა მზაობასთან სრულად შეწყვიტონ ეკონომიკური ურთიერთობა „ურჩ“ სახელმწიფოსთან, რაც რა თქმა უნდა, აისახება თავიანთ ეკონომიკაზეც.

ეკონომიკური სანქციების დაწესების ხანგრძლივი ისტორია აქვს ირანს, რომელიც ბოლო 40 წლის განმავლობაში მუდმივად იმყოფა სხვადასხვა სახის ეკონომიკური, და არა მხოლოდ, შეზღუდვების ქვეშ. პირველი სანქცია დაწესებული იქნა აშშ-ს პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის მიერ 1979 წელს, მას შემდეგ რაც თეირანში აშშ-ის საელჩოში 52 ამერიკელი იქნა მძევლად აყვანილი. აქედან იწყება სანქციათა ხანგრძლივი ისტორია, რომელთა დაწესებას გრძელდება ამერიკის შემდგომი პრეზიდენტების მხრიდანაც. აღნიშნულ სანქციათა მიზანია აიძულოს ირანი შეცვალოს თავისი პოლიტიკა: ტერორიზმთან, ადამიანის უფლებეთან დაკავშირებით. ასევე, მსოფლიოს გაუქარწყლოს ბირთვული იარაღის ფლობასთან დაკავშირებული შიში. როგორც ცნობილია, ირანი ფლობს საკმაოდ დიდი რაოდენობით ბუნებრივ რესურსებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია მის ეკონომიკასთან, ამის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური ანქციები, რომელიც შეუზღუდავს მას ამ რესურსების გამოყენებას მნიშვნელოვან შედეგს გამოიღებს, მაგრამ გავიხსენოთ 1996 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ირანისათვის დაწესებული სანქციები, რომლებიც მიმართული იყო იმისაკენ, რომ შეეზღუდა ევროპული ინვესტიციები ირანულ ნავთობსა და სანავთობო ტექნიკაში, მაგრამ მიუხედავად ამისა ირანს მაინც აქვს წვდომა დასავლურ კაპიტალსა და ნავთობის მოპოვებისათვის საჭირო ტექნოლოგიებზე. აღნიშნულის გარდა ისტორიამ არაერთი მაგალითი შემოგვინახა, რომლებიც ადასტურებს, რომ მიუხედავად სანქციათა ფაქტობრივად არსებობისა, ისინი ვერ აღწევენ დასახულ მიზანს და რეალური შედეგი მას არ აქვს. აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს ასევე პანამისათვის დაკისრებული სანქციები, რომლებიც მას 1988 წელს, ამერიკის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ადმინისტრაციამ დაუწესა პანამის დიქტატორს, მანუელ ნორიეგას რათა მას დაეკარგა ძალაუფლება. მიუხედავად იმისა, რომ სანქციებმა მართლაც დააზარალა პანამის ეკონომიკა, ეს არ აღმოცნდა საკმარისი ნორიეგას გადაყენებისათვის და საჭირო გახდა სამხედრო ძალის გამოყენება აღნიშნული მიზნის მისარწევად. ეს ორი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური სანქციები თავისი შინაარშით დადებითი მგრამ შესასრულებლად საკმაოდ რთული ფენომენია, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოთა ურთიერთთანადგომას მიზნის მისაღწევად. მაგრამ ის

ფაქტი, რომ სანქციათა უმრავლესობა ვერ აღწევს დასახულ მიზანს, არ ნიშნავს, რომსანქციები „არასდროს მუშაობს“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის აღწევს მიზანს შემთხვევათა დაახლოები 34 % - ის შემთხვევაში.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური სანქციების ეფექტურობა დაკავშირებულია სახელმწიფოთა მზაობასთან შეწყვიტონ ეკონომიკური ურთიერთობები, „სამიზნე“ ქვეყანასთან, რაც თავისთავად აზარალებს თავიანთ ეკონომიკასაც. სწორედ, ამიტომაა, მანამ სანამ გადაწყვეტენ კონკრეტული ქვეყნისათვის სანქციათა დაწესებას, „გამგზავნი“ ქვეყნები აფასებენ, იმას თუ რამდენად დაზარალდებიან თავად და მხოლოდ სიტუაციის ანალიზის შემდეგ იღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილება. გარდა ამისა კიდევ ერთ მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომელიც აფერხებს სანქციატა ეფექტურობას არის, როგორც მაკრონმა განაცხადა, „გასაღების“ როლის შემსრულებელი სახელმწიფოები, რომლებიც აგრძელებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს სანქცირებულ ქვეყნებთან. შედეგად, მიუხედავად ეკონომიკურ ურთიერთობათა ნაწილობრივი შეზღუდვისა, სანქციები კარგავს მის ეფექტურობას და ნაკლებად არის შესაძლებელი, თუ მთლად გამორიცხულიც არა, მათ მიაღწიონ მიზნებს. ყოველივე აღნიშნული გამომდინარეობს ქვეყანათა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Barry E. Carter, International Economic Sanctions: Improving the Haphazard U.S. Legal Regime. 1999
2. CONOMIC SANCTIONS RECOGNISED, Peterson Institute for International Economics
3. Hufbauer.G, Schott.J, Elliott.A. Economic Sanctions Reconsidered. 1990 year.
4. Security Council Report, Special Research Report, November 2013.
5. Special research report sanctions + History 2013 year
6. https://www.radiotavisupleba.ge/a/usa-iran/26916266.html
7. https://www.deutschlandfunk.de/instrument-der-aussenpolitik-wie-wirksam-sind-sanktionen.724.de.html?dram:article_id=410884
8. https://www.bbc.com/news/world-middle-east-10742109
9. https://imedinews.ge/ge/theme/271/saertashoriso-sanqtsiebi-sakhelmtsipoebis-dasjis-epeqtiani-metodia-garcheva

Abstract

In the modern world, which is the cornerstone of the development of the economy, the sanctions that restrict economic development, trade, export or import have a particular importance. Besides for modern society the economic sanctions have are public peace and to punish the aggressor country comparison with a painless method, which try to prevent the outbreak of hostilities and war threats. The purpose of this paper to highlight the extent to which economic sanctions determine the politics of countries, whether they are effective. The topic is also relevant: consider the role of sanctions in systemic relations.

The subject of the study is the essence and importance of economic sanctions.

The object of the study is the effectiveness and role of economic sanctions as a containment mechanism in international relations.

Keywords: Economic, sanctions, aggression, politic, containment

ეკონომიკის გავლენა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ფორმირებაზე

ლევან დუმბაძე
ბსუ, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობები, მეორე კურსი.
ელ.ფოსტა:levaniko.dumbo.99@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ინეზა ზოიძე,
საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული
პროფესორი

შესავალი

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად შეიცვალა ადამიანის ბიო-სოციალური არსება, ადამიანმა თანდათანობით გაიარა ფორმაციის პერიოდი და ვითარდებოდა პროგრესულად. თანდათანობით იცვლებოდა მათი აზრები, შეხედულებები და გარემოსადმი დამოკიდებულება. ადამიანებმა აითვისეს გარესამყარო. ამოიღეს და ამოქაჩეს ბუნებრივი რესურსები. პირველ ეტაპზე ისინი გახდნენ შემგროვებლები, შემდეგ დაიწყეს ვაჭრობა და შესაბამისად მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მატერიალურმა უზრუნველყოფამ, რომელიც განსაზღვრავდა მათ როლს, სტატუსს და ადგილს საზოგადოებაში.

თანამედროვე გლობალიზებადი სამყარო მეტად მრავალფეროვანია. შეიცვალა ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. მატერიალური დოვლათის წარმოება და მოხმარება საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა. თუკი ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული საზოგადოებაში ინდივიდის სტატიკურ მატერიალურ მდგომარეობას განსაზღვრავდა მისი წარმომავლობა, ოჯახი, გვარი, კლანი და აშ. თანამედროვე მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ სამყაროში წინა პლანზე გამოვიდა ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები, პროფესიული დონე, კულტურის დონე და სხვა. საზოგადოების სტრუქტურა, რომელიც საზოგადოების ხერხემალია მასზე მნიშნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების არსებობასა და ქმედუნარიანობას. <u>ჩვენი ნაშრომის მიზანს</u> კი წარმოადგენს წარმოვაჩინოთ ეკონომიკის ფაქტორის როლი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ფორმირებაში და შესაბამისი არგუმენტებით გავამყაროთ მოსაზრება, რომ ეკონომიკის როლი სოციალური სტრუქტურის სისტემურობის ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტია. <u>თემის აქტუალობაც</u> აქედან გამომდინარეობს,

განვიხილოთ სოციალური სტრუქტურა ეკონომიკურ ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოება უზრუნველყოფილია საარსებო მინიმუმით, დაცულია მოქალაქეთა თანასწორობა, შემოსავლებისა და განაწილბის სფეროში, ჯერ კიდევ, არსებობს უთანასწორობა, რასაც სტრატიფიკაციულ დაყოფამდე მივყავართ.

<u>კვლევის საგანს</u> წარმოადგენს სოციალური სტრუქტურის არსი და მნიშვნელობა.

<u>კვლევის ობიექტია</u> ეკონომიკის როლი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ფორმირებაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთ მკლევარსა და მეცნიერს აქვს ყურადღება გამახვილებული. თანამედროვე ეტაპზე აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საინტერესო გამოკვლევებია მოცემული ლია მეზვრიშვილის ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში „ეკონომიკური სოციოლოგია“. აქ განხილული თემები შეეხება ეკონომიკისა და კულტურის, ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმიმათების საკითხებს, გარდა ამისა, განხილულია სოციალური სტრუქტურა და ეკონომიკური ფაქტორები. რაულ ღიბრაძი სახელმძღვანელოში "სოციოლოგია" მნიშვენოვანი აქცენტებია დასმული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, არსი და მნიშვნელობა

საზოგადოების სოციალური სტრუქტურა სოციუმის მყარ და განმეორებად შემადგენლობას წარმოადგენს. იგი საზოგადოების ხერხემალია, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების არსებობასა და ქმედუნარიანობას. სტრუქტურა ნიშნავს საზოგადოების როგორც მთლიანის შემადგენელ ნაწილებს, ანუ მთლიანის ქვესისტემებს, რომლებიც საზოგადოების მთლიან სისტემაში სპეციფიკურ ფუნქციებს ასრულებენ (სტრუქტურა ბერძნულად მთლიანობას ნიშნავს).(ღიბრაძე, 2011:78)

სოციალური სტრუქტურის ცნება ორი მნიშვნელობით გამოიყენება-ვიწრო და ფართო.

ვიწრო გაგებით,სოციალური სტრუქტურა კლასობრივ და წოდებრივ დაყოფას უიგივდება. თანამედროვე სოციოლოგიაში უფრო მიღებულია სოციალური სტრუქტურის ფართო გაგება, რასაც ეყრდნობა თანამედროვე სოციალური სტრატიფიკაციის თეორია. საზოგადოების დაყოფის არსებით კრიტერიუმად შრომის ხასიათი იქნა აღიარებული.(ღიბრაძე, 2011:100)

საზოგადოების არსებობა, ცვალებადობა და განვითარება დამოკიდებულია მთელ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე ესენია: ბუნებრივი გარემო,

ანუ გეოგრაფიული ფაქტორი, ხალხთ-მოსახლეობის ანუ დემოგრაფიული ფაქ-ტორი, შრომის ანუ ეკონომიკური ფაქტორი და გონებრივი მოღვაწეობის ანუ სულიერი ფაქტორი.

დასაბამიდან ადამიანის განვითარებამ არაერთი ეტაპი გაიარა, ის ერგებოდა და ადაპტირდებოდა იმ გარემო პირობებში, რომელშიც ცხოვრობდა ამიტომ შეიძლება იმის თქმა, რომ "ადმიანი ბუნებაზე გაბატონებული ერთადერთი უნი-კალური არსებაა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს გარემომცველი სამყარო თავისი ინტერესების შესაბამისად".(ღიბრაძე,2011:52) ზოგადად ბუნებრივი პირობები ართულებენ ან ამსუბუქებენ სამეურნეო საქმიანობას, ის დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრებაზე, მის ცვალებადობა-განვითარებაზე. სწორედ, ბუნებ-რივ გარემოს ძალუძს დააჩქაროს ან შეცვალოს საზოგადოების განვითარების პროცესი. მოსახლეობის სიდიდესა და სიმჭიდროვეს ასევე, უდიდესი მნიშვნე-ლობა ენიჭება საზოგადოების ნორმალურად განვითარებაში. აქ აღსანიშნავია ერ-თი პრობლემა, როცა მოსახლეობის სიმჭიდროვე ზღვარს აჭარბებს შესაბამისად, რთულდება მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. შედეგად ვღებულობთ იმას, რომ საზოგადოების განვითარების ტემპები იკლებს.

საზოგადოების არსებობისა და ცვალებადობის მნიშვნელოვანი ფაქტორია შრომა და წარმოება. ისინი ერთი რიგის ცნებებია, მათ ხშირად იდენტური მნიშვ-ნელობით გამოიყენებენ. შრომა-მატერიალური დოვლათის მოპოვებისა და დამ-ზადების უნარია. შრომა არის ადამიანთა მიზანდასახული საქმიანობა, მათთვის აუცილებელი საარსებო ღირებულებების შესაქმნელად. როგორც ვიცით, პირ-ველყოფილ ადამიანებს შრომის საშუალებათა შექმნა არ შეეძლოთ. შრომის იარაღებად ისინი ბუნებისაგან ბოძებულ მზა საგნებს იყენებდნენ.

თანადათანობით საარსებო საშუალებების მოპოვების პროცესში, შრომის იარაღების კეთება ისწავლეს, რომლებსაც შემდომში სისტემატიურად კიდევ უფ-რო სრულყოფდნენ. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გადატრიალება მოახდინა საწარმოო ძალებისა და შრომის იარაღების განვითარებაში. "რაც უფრო მაღალორგანიზებულია შრომა, მით უფრო მტკიცე საფუძველზე დგას საზოგა-დოება". (ღიბრაძე, 2011:59)

საზოგადოების ფუნქიონირების ობიექტური ფაქტორების გარდა, აუცილე-ბელია სუბიექტური სულიერების ფაქტორი, ანუ ადამიანთა ნება, მიზნები, ინტერესები, მისწრაფებები, გამოცდილება და ცოდნა. "სულიერების ფაქტორის გარეშე საზოგადოებაც არ იარსებებდა, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება ადა-მიანთა შეგნებული საქმიანობით ყალიბდება, შეგნებულობის, მიზანდასახულო-ბის, ცნობიერი საქმიანობისა და სულიერი მოღვაწეობის გარეშე საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია". (ღიბრაძე,2011.84)

საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მოიაზრება ადამიანები და სხვადასახვა სოციალური ჯგუფები, რომელთა კავშირი უზრუნველყოფს საზოგადოების კანონზომიერ ფუნქციონირებას. ადამიანი, როგორც პიროვნება ჩართულია საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურაში. იგი მთელის ნაწილია, „სოციალური ატომია“. ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი, მიეკუთვნება სზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურას, იგი არის: ოჯახის, გვარის, გარკვეული ეთნიკური ჯგუფის- ტომის, ეროვნების, ერის, ქონებრივი უფლებრივი მდგომარეობის, წოდებრიობის, საქმიანობის და სხვა კლასობრივი სტრატიფიკაციული, ნიშნის მქონე სოციალური არსება.(ღიბრაძე, 2011,81)

აღსანიშნავია, რომ ცნობილი პოლიტიკური იდეოლოგიები, საზოგადოდ, კონკრეტულ სოციალურ კლასებთან ასოცირდება, მაგალითად ლიბერალიზმი- საშუალო ფენასთან, კონსერვატიზმი-მიწათმფლობელ დიდგვაროვნებთან, სოციალიზმი- მუშათა კლასთან და. ა.შ. უნდა ითქვას, რომ თითოეულ იდეოლოგიას სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ თანასწორობის კონტექსტში. ლიბერალები ამბობენ, რომ თანასწორობის მიღწევა არცთუ ისე მარტივია, რადგან ვიღაც განსაკუთრებული ნიჭით იბადება და თავისი ინტელექტუალური შრომით უფრო მეტს გამოიმუშავებს ზოგი კი ნაკლებს. ამიტომ მათი აზრით, არ შეიძლება ყველამ ერთნაირად მიიღოს მატერიალური დოვლათი. დამსახურების და გამომუშავების შესაბამისად ყველა მიიღებს მათ წილს. კონსერვატორებს სწამთ, რომ საზოგადოება ბუნებრივად იერარქიულია და ამიტომაც სოციალური თანასწორობის იდეას უკუაგდებენ, როგორც უბრალოდ აბსურდულს. მათთვის მნიშვნელოვანია საკუთრების ფლობა, ის ასოცირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. „გაურკვევლობითა და მოულოდნელობებით აღსავსე სამყაროში საკუთრების ფლობა ადამიანებს თავდაჯერებულობისა და დაზღვეულობის გრძნობას უვითარებს, რაღაც ისეთს, „გაჭირვების ჟამს“ რომ გამოადგებათ“(ჰეივუდი, იდეოლოგია, 2005:93) რაც შეეხება სოციალისტებს მათთვის ეკონოიკური და საკუთრებრივი დაყოფა უფრო ღრმა და ნამდვილია, ვიდრე რომელიმე უფრო ფართო სოციალური კავშირი. მარქსისტები ფიქრობენ რომ საზოგადოებას ახასიათებს კლასობრივი ბრძოლა და ამ პრობლემის გამოსავალს უბრალოდ უკლასო საზოგადოებაში ხედავენ, რომელიც იქნება სტაბილურობისა და კეთილდღეობის გარანტი.

თანამედროვე ინდრუსტიულ საზოგადოებაში მთავარი არა რომელიმე კონკრეტულ ფენაზე მიკუთვნებულობა, არამედ მთავარი პრიორიტეტი ადამიანის განათლება და პროფესია გახდა. ინდუსტრიულიზაციამ გზა გაუხსნა ინტელექტუალურ საზოგადოებას მათი გონებით მოეხვეჭათ მატერალური დოვლათი.

ამ ეპოქამ რეალურად შეცვალა სოციალურ კლასებს შორის რანგების გადანაწილება, უფრო მეტად მარტივი გახდა სოციალური მობილობა ერთი კლასიდან მეორეში. უნდა აღინიშნოს, ადამიანთა ცხოვრებაში გარკვეული პერიოდის შემდეგ მოხდა მატერიალური მდგომარეობის გადანაცვლება უკანა პლანზე და წინ წამოიწია სულიერების ფაქტორმა, ანუ ერთგვარად მოხდა გადახარისხება საზოგადოების გონებაში. რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის მატერიალური უზრუნველყოფა? არის კი ის მთავარი განმსაღვრელი ინდიკატორი მათი ბედნიერებისა და კეთილღეობისთვის? ზოგადად რას ნიშნავს ბედნიერება? ეს საკითხები თანამედროვე საზოგადოებისთვის ერთ-ერთი აქტუალური განხილვის საგანია. რეალურად არსებობს ისეთი საზოგადოება, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფილია, მაგარამ ის არ არის ბედნიერი. ვიღაცისთვის ოცნებაა იყოს მდიდარი, ვიღაცისთვის კი მომაბეზრებელი ხდება არსებული ბედნიერი რუტინული ცხოვრება. აღნიშნულთან მიმართებით ვეთანხმებით კონსერვატორების შეხედულებას ადამიანის არასრულყოფილების საკითხში. მიგვაჩნია, რომ ადამიანი არასრულყოფილი და ეგოისტური არსებაა. ჩვენ მუდმივად კონკურენტად აღვიქვამთ სხვებს, ვცდილობთ ხელთ ვიგდოთ ყველაზე მეტი ბუნებრივი რესურსი. გარდა ამისა, ვერ ვკმაყოფილდებით არსებულით და ყოველთვის ცვლილებებისკენ გვაქვს მიდრეკილება.სწორედ ასეთი ინდივიდებისაგან შემდგარ ერთობას წარმოადგენს საზოგადოება.

ეკონომიკური ფაქტორები საზოგადოების სოციალიზაციის პროცესში

მიუხედავად თანამედროვე ეგალიტარული და ანტისტრატიფიკაციული ღირებულებებისა, ყველა საზოგადოებას მეტნაკლებად ახასიათებს ინდივიდთა უთანასწორობა. (მეზვრიშვილი, 2003; 171) .სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ეს არის ის მოუგვარებელი და გადაუჭრელი პრობლემა, რასაც თანამედროვე გლობალიზებადი სამყაროც კი ვერ ცვლის. ეკონომიკური უთანასწორობა საზოგადოებაში იყო, არის და იქნება მომავალშიც. ჩემი სუბიექტური მოსაზრებით დღესდღეობით შეიცვალა ფულის შოვნის მეთოდიკა, თუკი მარქსის თქმით „ვის ხელშიც არის ინტელექტუალური შესაძლებლობა მის ხელშია მატერიალური დოვლათი. დღეს უკვე ჰიპოთეზის დონეზე შეიძლება იმის თქმა ვის ხელშიცაა ინფორმაცია, მის ხელშია სიმდიდრის გასაღები“. ტექნოლოგიურ სამყაროში მეტად მომგებიანი გახდა ინფორმაცია, რიგით ადამიანს შეიძლება დიდი ოდენობის ფული მხოლოდ იმიტომ გადაუხადონ, რომ მათთვის აღნიშნულ პიროვნებას საკმაოდ მომგებიანი და მათი საქმისთვის სარფიანი ინფორმაცია ჰქონდეს. კომპიუტერული სისტემის აბლაბუდაში, რომელზედაც აგებულია მსოფლიო ეკონომიკა, არც ისე უსაფრთხოა, რადგან გენიოსს ადამიანს ძალუძს არსებული მომუშავე რობოტისგან

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჩაიგდოს ხელში. ინდრუსტრიამდელ საზოგადოებაში მთავარი იყო ფიზიკური ძალა, ინდუსტრიულში ტექნიკისა და რაციონალიზაციის საზოგადოებაში წამყვანი იყო მანქანა. ამათგან განსხვავებით პოსტინდრუსტიულ საზოგადოებაში მთავარ როლს თამაშობს არა ძალა და ენერგია, არამედ ინფორმაცია.

მეოცე საუკუნის დასასრულს სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ჩვენ შევდივართ ინფორმაციულ ერაში. ეს უბრალოდ არ ნიშნავს კომუნიკაციის ადრე არსებული წესებისა თუ ხერხების განვითარებას, არამედ ცხოვრებაში იწვევს სოციალური და ტექნოლოგიური ორგანიზაციის ახალი პრინციპების გამოვლენას, რომლებიც შეიძლება შევადაროთ ბოლო ორი საუკუნის დიდ გარდაქმნას. ახალი ინფორმაციული ერა ემყარება არა მექნიკურ ტექნიკას, არამედ „ინტელექტუალურ ტექნოლოგიას“, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და სოციალური ცვლილებების ახალ პრინციპზე.(დენიელ ბელი (ფრენკ უებსტერის წიგნიდან) 1).

მართალია, თანამედროვე საზოგადოებაში კლაებად დაყოფის პრინციპი კვლავ რჩება ძალაში, მაგრამ არა იმ ნიშნით, თუ რა მდგომარეობა უკავია მას საზოგადოებაში. თანამედროვე რეალობაში პირველ საფეხურს იკავებს, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის სტატუსი, უფლება მოვალეობები, პროფესიული დონე, კულტურის დონე, ცხოვრების პირობები, განათლება და სხვა.

საქართველოს სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა

რაც შეეხება საქართველოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეიცვალა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. თავისი თავისებურებებიდან გამომდინარე, ქვეყანაში დაიწყო დიდმნიშვნელოვანი რეფორმები, ჩამოყალიბდა ახალი თვისუფალი ღია საზოგადოების შესაბამისი სტრუქტურა. საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლამ, მიწის კერძო საკუთრებაში მოქცევამ, თავისუფალ სამეწარმეო საქმიანობის დაშვებამ, დემოკრატიული სამართლებრივი ბაზის შექმნამ, საშუალება მისცა ახალი სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. საქართველოს დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მეტნაკლებად სტაბილურია. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის კეთების საქმეში საქართველო მე-6 ადგილს იკავებს, ევროპაში კი მე-2 ს. (up from #112 in 2005 NUMBEO)ჩვენი ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ლარის კურსის არასტაბილური მდგომარეობა. მართალია, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს არსებული სიტუაციის მოსაგვარებლად, მაგრამ აღნიშნული საკითხი მსოფლიოს მთავარ გამოწვევას წარმოადგენს და მისი მარტივად გადაჭრა არც ისე ადვილია. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში რეალურად არსებობს გაჭირვებული ხალხი,

რომლის რაოდენობა საკმაოდ ბევრია. საქართველოს მთავრობა აღნიშნული საზოგადოებისთვის გასცემს 2 მილიარდამდე დოლარს. ეს არის თანხა, რომელიც მათ საარსებო მინიმუმს განსაზღვრავს, ერთი სიტყვით ეს ხალხი ამ თანხით უბრალოდ არსებობისთვის იბრძვის. საქართველოში იკვეთება მოსახლეობის დაყოფის სამი დიდი საზოგადოებრივი ჯგუფი- მაღალი, საშუალო და დაბალი. ცნობილი ბერძნი ფილოსოფოსის და მეცნიერის არისტოტელეს აზრით, ის სახელმწიფოა კარგი, რომელშიც დიდი ადგილი უკავია საშუალო ფენას, მაგრამ ქართული რეალობა ამისგან შორს დგას. აღნიშნული პრობლემა მიმაჩნია, რომ არ არის მხოლოდ სახელმწიფოს ბრალი. ვთვლი, რომ ადამიანმა თავისი მაქსიმუმი უნდა გააკეთოს მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. არა აქვს მნიშვნელობა ფულს როგორ გამოიმუშავებ, გონებით თუ ფიზიკური შრომით, მთავარია, ეს იყოს კეთილსინდისიერად მიღებული ანაზრაურება. არ შეიძლება არ დაეთანხმო ლიბერალიზმს, ისინი ადამიანს განიხილავენ, როგორც ინდივიდს, რომელსაც აქვს შესაძლებლობა თავისი შრომით, ინტელექტუალური შესაძლებლობით მოიხვეჭოს სიმდიდრე. თანასწორობის კონტექსტში სრულიად შეუძლებელია საზოგადოების თანასწორობის სრულყოფა, რადგან საზოგადოებაში ყველა ერთნაირად არ შრომობს. ზოგი მეტს გამოიმუშავებს, ზოგი კი ნაკლებს. შესაბამისად ვხვდებით აქტუალურ საკითხს სტრატიფიკაციულ დაყოფას. ის ფენა, რომელიც ყველაზე მეტად გაჭირვებულია საჭიროებს დახმარებას სახელმწიფოსაგან და ერთგვარად დამოკიდებულია მასზე. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევრია (საქსტატის 2018 წლის მონაცემებით საქართველოში 245, 3 ათასი კაიცა უმუშევარი, რაც პროცენტულად 12,8%ს შეადგენს). უმუშევრობის მიზეზად უბრალოდ სამუშაო ადილების ნაკლებობას ასახელებენ. ერთდაგვარად შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა, რომ ქართული საზოგდოების ე.წ. მენტალური ტრადიციული გაგება სათავეს იღებს საბჭოური იმპერიალური სისტემიდან, რამაც განაპირობა ინდივიდუალიზმის ხარისხის ვარდნა საზოგადოებაში და მაღალი ხარისხის დამოკიდებულება ხელისუფლებაზე.

დასკვნა

როგორც ისტროიული ფაქტების ანალიზი, ასევე თანამედროვე რეალობა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკა ნამდვილად არის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. საზოგადოების არსებობა- ცვალებადობისთვის ეკონომიკის როლი ძალზედ მნიშვნელოვანია. ის ცვლილებები, რომელებიც გაიარა კაცობრიობამ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კვალდაკვალ მოხდა. ეკონომიკურ ფაქტორს არათუ მნიშვნელობა

დაეკარგა, არამედ უფრო მეტად აქტუალური გახდა საზოგადოებისთვის. დროის ცვლასთან ერთად იცვლება მატერიალური გაუმჯობესების შესაძლებლობა: ფიზიკური შრომა, გონება(ინტელექტი) და დღეს უკვე ინფორმაცია გახდა, როგორც მთავარი კრიტერიუმი ბედნიერი მომავლის შესაქმნელად. მართალია, მხოლოდ ეკონოიკური მდგომარეობით არ განისაზღვრება საზოგდოების სოციალური კეთილდღეობა, მაგარმ როგორც საზოგადოებრივი განვითარების ისტორიული გამოცდილება, ასევე თანამედროვეობა ცხადყოფს, რომ ეკონომიკა წარმოადგენს არაგადამწყვეტ, მაგრამ მნიშვნელოვან ფაქტორს.

გამოყენებული ლიტერატურა:

(1) დენიელ ბელი (ფრენ უებსტერის წიგნიდან) ინფორმაციული საზოგადოება როგორც პოსტინდუსტრიაიზმი;

(2) ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, ლოგოს პრესი, მე -3 გამოცემა. 2005;

(3) მეზვრიშვილი ლია, ეკონომიკური სოციოლოგია (ეკონომიკა და საზოგადოება) „მეცნიერება“ თბილისი, 2003;

(4) ღიბრაძე რაულ, „სოციოლოგია“, თბილისი. 2011.

Abstract

The social structure and stages of its formation are one of the important determinants and indicators of the socio-economic development of society in general. Many factors influence the formation of social structure, but one of the important factors is the economic factor.

To date, there is a difference of opinion in the scientific literature on the interplay between social and economic factors and ultimately the importance of these two approaches in the cultural development of society.

The paper examines the role of the economic factor in the formation of the social structure of society, and the relevant arguments support the view that the role of the economy is a key determinant of the social structure of the system. The social structure of the economy is discussed, focusing on the current problems in Georgia.

აუტისტური სპექტრის აშლილობა, “ Son-Rise თერაპია“

ხატია გორგაძე
ბსუ, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ფსიქოლოგია, მეორე კურსი.
ელ.ფოსტა: gorgadzexatia@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: *ქეთევან ბერიძე,*
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში, განხილულია ერთ-ერთი ძალიან საინტერესო და ისეთი მნიშვ-ნელოვანი საკითხი, როგორიცაა აუტისტური სპექტრი. ეს თემა აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ჩვეულებრივ, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვები ფიზიკურად არ განსხვავდებიან უმრავლესობისგან, თუმცა ისინი შეიძლება იქცეოდნენ, ურთიერთობდნენ, საუბრობდნენ მათგან განსხვავებულად. სამწუხაროდ, არ არსებობს ამ დიაგნოზის დადასტურებული მედიკამეტოზური მკუნალობა. ხოლო, ნაშრომში ნაჩვენებია ის გზა, რითაც შეიძლება აუტიზმის დიაგნოზის მქონე ადამიანების გამოყვანა ამ მდგომა-რეობიდან. მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება ადრეული შეფასება და ბავშვსა და ოჯახთან მუშაობის დაწყება. ნაშრომში წარმოდენილი და განხილულია უახლესი ეფექტური მეთოდი Son-Rise-თერაპია, რომლის ინტენსიური მუშაობის შედეგად შეინიშნება, მნიშვნელოვანი წინსვლა განვითარებაში .

საკვანძო სიტყვები: ნეიროგანვითარება, ქცევითი დარღვევა, ვერბალური კომუნიკაცია, მზერითი კონტაქტი, გაზიარებული ყურადღება, „იზმი“, Son-rise თერაპია

შესავალი

აუტისტური სპექტრის აშლილობა მულტიფაქტორული დარღვევაა ანუ ერთდროულად მრავალ ფაქტორს უკავშირდება, მათ შორის- დედის ორგანიზმის მდგომარეობას ორსულობის დროს, ბავშვის ბიოლოგიურ- სოციალურ და გარემო ფაქტორებს. არც ისე დიდი ხნის წინ აუტისტური სპექტრის აშლილობა იშვიათი იყო, ბოლო დროს კი საგრძნობლად გახშირდა.

აუტისტური სპექტრის აშლილობა პირველად 1943წელს აღწერა ავსტრიული წარმოშობის ამერიკელმა ბავშვთა ფსიქიატრმა ლეო კანერმა და აუტიზმი უწოდა, თუმცა ტერმინი „აუტისტური აზროვნება“ მანამდეც არსებობდა - შვეიცარიელმა ფსიქიატრმა პოლ ბლეიერმა ის ისეთი აზროვნების აღსაწერად გამოიყენა, რომელიც ობიექტური რეალობის შემეცნებისკენ კი არ არის მიმართული, არამედ ინდივიდის შინაგანი სამყაროსკენ, საკუთარი მოთხოვნილებებისა და ოცნებებისკენ. ლეო კანერი მათ უკიდურესად მარტოსულ ინდივიდებად ახასიათებდა. აუტისტური ფენომენის მქონე ბავშვებს შიზოფრენიის დიაგნოზსაც უსვამდნენ. დაავადება თანდათან უფრო და უფრო უკეთესად შეისწავლეს, გაჩნდა დიაგნოსტიკის ახალი კრიტერიუმები, ამაღლდა ცნობადობა. დღეს ამ აშლილობის შესახებ უფრო მეტმა მშობელმა და ექიმმა იცის. წინათ აუტისტური სპექტრის აშლილობით მხოლოდ თითო-ოროლა ბავშვი გვხვდებოდა და აქედანაც ყველა შემთხვევა-კლასიკური, ახლა კი, გარდა იმისა, რომ გახშირდა თავად დარღვევა, იმატა საეჭვო შემთვევების რაოდენობამაც, საიდანაც დიაგნოზის დასმა ძალიან ჭირს: ბავშვებს არ აქვთ კლასიკური სიმპტომები, ზოგჯერ სურათი შუალედურია: მეტყველების სპეციფიკურ დარღვევებსა და აუტისტური სპექტრის აშლილობას შორის. ნაშრომში განხილულია სპექტრისთვის დამახასიათებელი ნიშნები და აღწერილია უახლესი მეთოდი Son-rise თერაპია, თერაპიის უპირატესობები და თერაპიის შედეგები დაკვირვების შედეგად.

“Son Rise” - ჩვენ შევდივართ ბავშვის სამყაროში, ვდებთ ხიდს, ვრჩებით იქ იმდენ ხანს, რამდენიც ბავშვს სჭირდება და მერე ჩვენივე გადებული ხიდით, ბავშვი გადმოდის ჩვენს სამყაროში.

გადაწყვეტილების მიღება თერაპიის დროს / სათამაშო ოთახში

ბავშვი მუდმივად იმყოფება ორ მდგომარეობაში: ან არის <u>კონტაქტური</u> (შემოდის კონტაქტში ირგვლივმყოფებთან, ინტერესდება მიმდინარე მოვლენებით, გეთამაშება) ან არის <u>ჩაკეტილი თავის სამყაროში</u> და „გამოთიშულია“ რეალობისგან: არ გიყურებს, არ გპასუხობს, არ აქვს გამომეტყველება სახეზე და ჩართულია „იზმში“ (ბავშვისთვის დამახასიათებელი ექსკლუზიური ქცევა /მანერა, რომელიც ემსახურება თვითსტიმულაციას და დამშვიდებას და რომლის დროსაც ბავშვი რეალურად მოწყვეტილია ჩვენ სამყაროს და იძირება თავის სამყაროში ([1]_**Dr. Wendy Edwards**,”Autism Breakthrough”,2014). ამ ორი მდგომარეობის შეფასება და გარკვევა/დადგენა თუ რომელ მდგომარეობაში იმყოფება ბავშვი კონკრეტულ მომენტში, განსაზღვრავს თერაპევტის სწორ გადაწყვეტილებას თერაპიის დროს სათამაშო ოთახში.

„Son Rise” მიხედვით, ჩვენ არ მივიჩნევთ აუტიზმს ქცევით დარღვევად და შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა არ არის მიმართული ქცევის გაუმჯობესებისკენ (ჩავახშოთ არასასურველი ქცევა და წინ წამოვწიოთ სასურველი ქცევა). აღნიშნული პროგრამით, ჩვენ მიზნად ვისახავთ, რომ ბავშვში გამოვიწვიოთ კომუნიკაციის სურვილი და შევცვალოთ მათი დამოკიდებულება გარესამყაროსთან. ამ პროგრამის მიზანია შეიცვალოს ბავშვის აზროვნება და დამოკიდებულება ([1]_**Phillip C. DeMio**, M.D., Executive Director, American Medical Autism Board, & Chief Medical Officer, US Autism & Asperger Association). ჩვენ არ ვასწავლით მათ წესებს (მოსალმება, დამშვიდობება, გაღიმება და ასე შემდეგ). არამედ, ჩვენ მიზნად ვისახავთ შევცალოთ ბავშვის წარმოდგენა გარესამყაროზე, რომ ბავშმა მიიჩნიოს ადამიანები და გარესამყაროსთან ურთიერთობა სასურველად და თავად გადაწყვიტოს და გაიაზროს, რომ მისალმება, გაღიმება და კომუნიკაცია არის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და ეს მისგან ბუნებრივად უნდა მოდიოდეს. წინააღდეგ შემთხვევაში, თუკი ჩვენ მხოლოდ მოვაწესრიგებთ ქცევას და ვასწავლით ბავშვს რა არის მისაღები და რა მიუღებელი, მივიღებთ ადამიანს, რომელმაც იცის როგორ მოიქცეს თუმცა ეს არ იქნება მისი შინაგანი შეგრძნება, არამედ „რობოტული ქცევა“, რომელსაც ზოგჯერ გამოიყენებს და ზოგჯერ არა; ჩვენი მიზანი არ არის ვასწავლოთ ბავშვს თქვას „მიყვარხარ“ და მერე ვუკარნახოთ როდის და სად გამოიყენოს ეს სიტყვა; ჩვენი მიზანია ბავშვმა თავისი სურვილის და შეგრძნებების საფუძველზე გვითხრას „მიყვარხარ“; ჩვენი მიზანი არ არის ბავშვს ვასწავლოთ სიტყვების მნიშვნელობა ანეგდოტიდან, ჩვენი მიზანია, ბავშვმა შეიგრძნოს რომ ეს სასაცილოა და შესაბამისად გაიცინოს გააზრებით; ჩვენი მიზანი არ არის ბავშვს ვასწავლოთ: „გამარჯობა, მე მქვია ილია“, ჩვენი მიზანია, ბავშვს ქონდეს / გაუჩნდეს სურვილი მისალმების და მეგობრების შეძენის.

„Son Rise” - სამი ეტაპი:

1. შეამოწმე / დაადგინე მწვანე შუქი გაქვს თუ წითელი
2. შეუერთდი - <u>წითელი შუქის შემთხვევაში</u>
3. გაართე, ასწავლე, ეთამაშე, განავითარე - <u>მწვანე შუქის შემთხვევაში და ამისთვის გამოიყენე ბავშვის მოტივაცია (საყავრელი და სასურველი თემა: ცხოველები, პლანეტები, ნათესავების ასაკი, ციფრები, ანბანი, მანქანები, წიგნები და ა.შ)</u>

შეამოწმე / დაადგინე მწვანე შუქი გაქვს თუ წითელი: შემოწმებას და შუქის (მწვანეა თუ წითელი) დადგენას სჭირდება 5 წამიდან მაქსიმუმ 1 წუთამდე დრო.

თერაპიის განმავლობაში მუდმივად უნდა მოხდეს ბავშვის შეფასება და შუქის სწორი განსაზღვრა. ეს უკვე ხდება თერაპევტის გონებაში ავტომატურად.

წითელი შუქი

წითელი შუქია (თუკი ამ კითხვებზე ყველაზე ან ერთზე მაინც არის დადებითი პასუხი):

- აკეთებს თუ არა ჩემი ბავშვი „იზმს“
- ბავშვი არ მრთავს თავის მოქმედებაში, არ მაძლევს მონაწილეობის უფლებას თავის მოქმედებაში (თამაშში მაგალითად). კონცენტრირებულია მხოლოდ თავის მოქმედებეაზე, ნივთზე და მთლიანად გადართულია მასზე
- არის თუ არა ჩემი ბავშვი რიგიდული და კონტროლში
- პასუხობს თუ არა ბავშვი სხვის შეკითხვას (არ გცემს პასუხს, არ გამოგეხმაურება, არ იხედება სახელის დაძახებაზე, და ა.შ)

ოქროს წესი: თუკი ბავშვი იმყოფება მთლიანად ან ნაწილობრივ წითელ შუქში, თერაპევტი უერთდება მას უდიდესი მიმღებლობით, სიყვარულით, მონდომებით და სიხარულით და რაც მთავარია ბუნებრივად.

წითელ შუქში ვუერთდებით და ვიქცევით შემდეგი წესებით / არსებობს წითელ შუქში თერაპევტის მიდგომის შემდეგი ოქროს წესები:

<u>**შეერთება**</u> - შევდივართ და ვუერთდებით ბავშვს თავის სამყაროში და გვიყვარს / მოგვწონს ის რაც მას, ვინტერესდებით იმით, რითაც ინტერესდება ბავშვი და ჩვენც ვიძირებით იმ სამყაროში. (ხელებს აქანებს - ჩვენც ვაქანებთ, ბორიალობს - ჩვენც ვბორიალობთ, სათამაშოებს აწყობს მწკივში - ჩვენც ვაწყობთ, ლაპარაკობს შენობებზე, ჩვენც ვლაპარაკობთ შენობებზე ან/და ყურადღებით ვუსმენთ და ვინტერესდებით იმ თემით, რომელზეც ლაპარაკობს ბავშვი). როცა ბავშვს აქვს ვერბალური „იზმი“ და ლაპარაკობს გაუჩერებლად და არ აძლევს გვერდით მყოფს საშუალებას ჩაერთოს საუბარში, ამ დროს ჩვენი ვალდებულებაა „გაფაციცებით“ და დიდი ინტერესით მოვუსმინოთ ბავშვს და ჩუმი ხმით დავეთანხმოთ ან თავის დაქნევით, ხელებით გამოვხატოთ ემოცია რომ მოგვწონს და გვაინტერესებს მისი მონაყოლი.

<u>**კონტროლის მიცემა**</u> - როდესაც ბავშვი არის „კონტროლში“ (რიგიდული, ნაკლებად ტოლერანტული და ცდილობს წესების დამყარებას) მაშინ ჩვენ ნაცვლად იმისა, რომ გამოვიყვანოთ კონტროლიდან, პირიქით ვაძლევთ კონტროლს და მივყვებით მის წესს. მაგალითად: უნდა შენსგან სათამაშოს გამორთმევა, ვაძლევთ სათამაშოს; ითხოვს რომ დავდგეთ ცალ ფეზე?! - ვდგებით ცალ ფეხზე; უნდა მას იყოს მარტო კუთხეში, არ მივყვებით და ვაძლევთ საშუალებას რომ იყოს

მარტო კუთხეში. „მიეცით კონტროლი“. არსებობს აუტიზმის მართვის ბევრი თერაპია, რომლებიც ისედაც რიგიდულ და კონტროლში მყოფ ბავშვებს აიძულებს „ძალდატანებით“ შეასრულონ ესა თუ ის ქმედება. ანუ, მიდიან ბავშვის საწინნაღდეგოდ, ეს კი, სავალალო შედეგით მთავრდება და დღის ბოლოს ბავშვი კიდევ უფრო რიგიდული (უდრეკი და მკაცრი) ხდება და პირიქით იკეტება თავის სამყაროში და ხდება მიუწვდომელი. ზოგადად, აუტიზმის მქონე ბავშვისთვის სამყარო არასასურველი მოულოდნელობებით არის სავსე და სწორედ ამიტომ გრძნობენ ისინი საჭიროებას იყვნენ რიგიდულები და კონტროლში და ამით გარესამყარო გახადონ ნაკლებად „მოულოდნელი“(ბარი პარსონსონი, „ქცვის გამოყენებითი ანალიზი“,: 2000). “Son Rise”-ის პრინციპების მიხედვით, აუცილებელია რომ ბავშვს კი არ წავართვათ კონტროლი, არამედ პირიქით, მაქსიმალური კონტროლი მივცეთ და ამით თავი ვაგრძნობინოთ დაცულად. ბავშვის წინააღდეგ წასვლა ბავშვს კიდევ უფრო ჩაკეტილს და რიგიდულს ხდის. „თუ გინდა ბავშვი გახდეს სულ უფრო ნაკლებ რიგიდული, პირველი რასაც ვაკეთებთ არის: ვაძლევთ კონტროლს და თავს ვაგრძნობინებთ კონტროლში“ (Kate C.Wilde, “Autistic Logistics” :100) (არ ვცდილობთ მათ მოდრეკას და გადასხვაფერებას, პირიქით, ვაგრძნობინებთ რომ რასაც ისინი ფიქრობენ, ამბობენ და აკეთებენ არის მისაღები და სწორი თუ, რა თქმა უნდა, ბავშვის ქცევა / მოქმედება ჯდება მისაღებ ფარგლებში და არ არის საფრთხის შემცვლელი, როგორც თვითონ ბავშვისთვის ისე მასთან მყოფი ადამიანისთვის). რა უფრო მეტ კონტროლს მივცემთ, მით უფრო დამშვიდებულად იგრძნობენ თავს და შესაბამისად უფრო „დამყოლები“ და ნაკლებად რიგიდულები გახდებიან.

<u>იყავით სასურველი, მეგობრული და ადვილად გასაგები</u> - იყავით მარტივები ბავშთან ურთიერთობაში. როცა ბავშვი არის წითელ შუქში, მაშინ ერთ-ერთი წესი, რომელიც უნდა დავიცვათ არის „იყავი მარტივი, სასურველი, მეგობრული და გამგებიანი“ (Kate C.Wilde, “Autistic Logistics” :159). წითელ შუქში - „ვთამაშობთ ბავშვის წესებით“, ჩვენ არ გვაქვს უფლება დავადგინოთ წესები, წესებს ადგენს ბავშვი და ჩვენ სიხარულით და ენთუზიაზმით ვუერთდებით. ჩვენი მთავარი მიზანია ბავშვს ვაჩვენოთ რომ ადამიანებთან ურთიერთობა არის სასიამოვნო და ამას მივაღწევთ მაშინ, როდესაც პირველად გავიზიარებთ მათ სამყაროს და გავდებთ ხიდს.

<u>აღნიშნე / იზეიმე / აღფრთოვანდი -</u> თუ ჩვენ თერაპიის დროს დავაკლებთ ბავშვს ამ სამ კრიტერიუმს, მაშინ, ჩვენი თერაპია ვერ იქნება საკმარისად ეფექტური და შესაბამისად ბავშვშიც ვერ გამოვიწვევთ ხალისს და მოტივაციას რომ: ჰქონდეს კარგი მზერითი კონტაქტი, გაგვესაუბროს და უბრალოდ მოიქცეს ადეკვატურად და „კარგად“. მაგალითად: ხართ წითელ შუქში, უერთებით ბავშვს და

სწორედ წითელი შუქში უცებ ბავშვმა სპონტანურად შემოგხედათ, ან გაგიღიმათ, შეგეკითხათ რაღაც, გითხრათ რაღაც, ან ბავშვი წამოვიდა კონტაქტზე სხვა სახით, მაგალითად, მოგაწოდათ სათამაშო ან უბრალოდ უფლება მოგცათ რომ ჩაერთოთ მის თამაშში, და ა.შ, ამ დროს ჩვენ უნდა „გავგიჟდეთ სიხარულით“ და აღვფრთოვანდეთ ამ საქციელით: ავხტეთ, ტაში დავუკრათ, შევაქოთ (რა მაგრად შემომხედე, მადლობა ასე კარგად რომ მიყურებ, მელაპარაკები და ასე შემდეგ) რაც უფრო ემოციური იქნება ჩვენი შექება, მით უფრო ეფექტურია.

მწვანე შუქი

მწავენე შუქია, როდესაც:

- ბავშვი გვიყურებს
- გვასუხობს კითხვაზე და იყურება როცა მას ვეძახით
- არ არის კონტროლში და არ არის რიგიდული, პირიქით, არის უფრო ლმობიერი და დაინტერესებული იმაში რასაც ვთავაზობთ
- გამოხატავს ფიზიკურ სითბოს
- მოდის ჩემკენ
- მაძლევს თავის თამაშში მონაწილეობის უფლებას
- ასრულებს მითითებებს (მაგალითად: შემომხედე და შემოგხედავს, ან კითხვაზე გპასუხობს)
- ბავშვი მელაპარაკება (თუმცა, არის როცა ლაპარაკი მიუნიშნებს „წითელ შუქზე“ როდესაც ბავშვი მთავარ როლში საუბროს, საუბრობს ერთ და იგივე თემაზე, არ შემოდის დიალოგში და არ გაძლევს შენ საუბრის საშუალებას, ასეთ შემთხვევაში ეს უბრალოდ ვერბალური „იზმია“ და არა მწვანე შუქი, როდესაც ბავშვი შემოდის ინტერაქციაში და კომუნიკაციის მიზნით გესაუბრება.

ძალიან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს შემდეგი წესი: როცა ბავშვი „იზმობს“ და უცებ გაამწვანა შუქი, მაშინვე არ უნდა „გადავტვირთოთ“ ბავშვი ჩვენი შეთავაზებებით. საქმე იმაშია, რომ უნდა დაველოდოთ უფრო მყარ და ხანგრძლივ მწვანე შუქს და მერე დავიწყოთ ახალი თამაშის შეთავაზება, გართობა და ასე შემდეგ. როცა ბავშვი გვაძლევს მოკლე მწვანე შუქს (გამოგვხედა, გაგვიცინა, და მერე ისევ დაუბრუნდა თავის იზმს), ასეთ მწვანე შუქს უბრალოდ ვიყენებთ „შესაქებად“ / საზეიმოდ და მერე ვუბრუნდებით შეერთებას. როცა ვლაპარაკობთ მწვანე შუქზე, ვგულისხმობთ მყარ მწვანე შუქს, როცა ბავშვი აკმაყოფილებს მწვანე შუქის ბევრ ან თითქმის ყველა კრიტერიუმს.

როგორ მოვიქცეთ მწვანე შუქის დროს:

1. კითხე ბავშვს რამე / თხოვე ბავშვს რამე - მაგალითად: შეგიძლია შემომხედო თვალებში და ისე მითხრა რასაც მეუბნები? რამეზე მიუთითებს...შეგიძლია

მითხრა ზუსტად რა გინდა რომ მოგცე?, თხოვე ბავშვს გეთამაშოს თამაში, რომელიც გულისხმობს ორი ადამიანის ჩართვას და ასევე მოითხოვს წესების დაცვას, რიგითობის დაცვას, ან თხოვე რაიმე მოგიყვეს, ან ითამაშე კითხვა-პასუხის თამაში. ანუ, ძირითადი მექანიზმი არის შეთავაზების და თხოვნის.

2. ინიცირება გაუკეთე ახალ თამაშს - მაგალითად: ჯდები ხალიჩაზე და წარმოიდგენ თთქოს მფრინავი ხალიჩაა ან მფრინავი ობიექტი ხარ და გაფრინდით ერთად სხვა პლანეტაზე

3. თავის გაშტერება / თითქოს ვერ გაიგე რას ითხოვს ბავშვი - ეს განსაკუთრებით ისეთ დროს, როცა ბავშვი ჯერ არ არის ალაპარაკებული და მაგალითად წარმოთქვა ბგერა „ბბ“, ჩვენ ვიშტერებთ თავს, ვითომ ვერ ვხვდებით რისი აღება უნდა და ვთხოვთ რომ სწორად და ბოლომდე წარმოთქვას სიტყვა „ბურთი“ და მაშინვე უნდა მივაწოდოთ ბურთი როცა უკვე სწორად იტყვის / გვეტყვის სიტყვას. როცა თავს გავიშტერებთ თითქოს კარგად ვერ გავიგეთ რას ითხოვს ჩვენგან ბავშვი, ამით, ჩვენ ვაძლევთ საშუალებას ბავშვს რომ უფრო გაიხსნას და დახვეწოს კომუნიკაცია და სწორად და გამართულად გაგვაგებინოს რას ითხოვს. შესაბამისად, ამით გააუმჯობესებენ კომუნიკაციის უნარს და აზრის ჩამოყალიბებას. ჩვენი საბოლოო მიზანია რომ გავზარდოთ ბავშვის უნარი იყოს ჩვენთან ურთიერთობაში რაც შეიძლება დიდხანს. მწვანე შუქის დროს ჩვენი მიზანია დროსთან ერთად ბავშმა გაზარდოს გაზიარებული ყურადღების ხანგრძლოვობა და ჩვენთან კონტაქტი დაამყაროს კიდევ უფრო ხანგრძლივად.

მთავარია, ეს ყველაფერი ხდებოდეს მყარი მწვანე შუქის დროს, როცა რეალურად ბავშვი „გრთავს ამის უფლებას“. გვახსოვდეს, რომ ძალდატანების შემთხვევაში, მივიღებთ კიდევ უფრო რიგიდულ ბავშვს, რომელსაც დღის ბოლოს აღარ ენდომება ადამიანებთან ურთიერთობა და კიდევ უფრო ჩაუღრმავდება მის სამყაროს.

4.გამოიყენე ბავშვის მოტივაცია / ის რაც ბავშვს უყვარს და რითაც ბავშვი ინტერესდება - ბავშვს, რომელსაც უყვარს მანქანა, ააგე ყველა თამაში მანქანაზე და შეიტანე ცოტა მეტი ცვლილება. მაგალითად: ბავშვი გეთამაშებათ მუდმივად ან ხშირად მანქანებით, თუმცა თითქმის სულ ერთნაირი მარშრუტით დაყავს მანქანები და ა. შ. მწვანე შუქის დროს შეგვიძლია შევთავაზოთ ცვლილება: მაგალითად: იცი ახალი ბენზინ - გასამართი სადგური გაიხსნა და მოდი ჩვენ მანქანაში ჩავასხათ საწვავი, ან, მოდი ეხლა ეს მაქნანა ვითომ ავარიაში მოხდა და შეეჯახა მეორე მანქანას. შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა: როგორ დაეხმარება ბავშვს აღნიშნული ქმედება? საქმე იმაშია, რომ ჩვენ ვცდილობთ ბავშვი გახდეს სულ უფრო და უფრო ნაკლებ რიგიდული და მოგვცეს საშუალება რომ შევიტანოთ

ცვლილებები. ამ დროს, როცა ბავშვი ამის უფლებას მოგვცემს, ეს იმას ნიშნავს რომ ის ლმობიერი და ტოლერანტული ხდება და არის ძირითადი გარდატეხა მისთვის. თუმცა, თუკი ბავშვი მწვანე შუქში მყოფი უცებ გახდა რიგიდული, ჩვენ რა თქმა უნდა ვივიწყებთ ჩვენ შეთავაზებას და თამაშს ვაგრძელებთ იმ წესებით, რომელსაც თავად ბავშვი ადგენს, ანუ ვუერთდებით მას რიგიდულობაში და ვაძლევთ კონტროლს. მეორე მაგალითია: ბავშვი არის მწვანე შუქში და გთხოვთ რომ ფეხებზე მოკიდოთ ხელი და იატაკზე დაწვენილი აქანაოთ. მაგალითად, უკვე 10 წუთია აკეთებთ ამას და მერე შეჩერდით და ბავშვი გეუბნებათ „მაქანავე“ - ამ დროს, ჩვენ ვეუბნებით....კარგად ვერ გაგიგე, აბა თვალებში შემომხედე და ბოლომდე მითხარი რაც გინდა - ამით ჩვენ ბავშვს ვაძლევთ საშუალებას გააკეთოს რაღაც მისთვის უჩვეულო და თუნდა რთული (თვალებში შეხედვა, სხვა ადამიანის გააზრება და გარკვევით საუბარი).

5. ყურადღება გაამახვილეთ სოციალურ უნარებზე და არა აკადემიურ უნარებზე - აუტიზმი არ არის „მათემატიკური დარღვევა, ან კითხვის არ ცოდნა, და სხვა, აუტიზმი არის სოციალურ-კომუნიკაციური უნარის მოშლა და მდგო-მარეობა, როცა ადამიანი ვერ შედის კონტაქტში გარესამყაროსთან(American Psychological Association, World Health Organizations, 1994) . ჩვენ არ ვამბობთ, რომ ბავშვს არ ვასწავლოთ არაფერი, პირიქით, მივესალმებით ამ მიდგომას, თუმცა ვასწავლით მაშინ, როდესაც ის უკვე გამოდის აუტიზმის ტყვეობიდან და მეტწილად იზიარებს ჩვენ სამყაროს. სულ უფრო მეტი და მეტი თანამედროვე დასკვნები მოწმობენ იმას, რომ სწორედ აკადემიურობაზე გაკეთებული აქცენტი და ბავშვის „გაწვრთნა“ კონკრეტული მიმართულებით (ქცევის მოწესრიგება, საგნის სწავლა“ და ა.შ) კიდევ უფრო მეტად ამყარებს ბავშვებში აუტისტურ ქცევას და ზოგადად აუტიზმს. მაგალითად, შეიძლება ბავშვს ასწავლო მათემატიკა და მისალმება, თუმცა ამით, ბავშვს უფრო რიგიდულს და შესაბამისად უფრო მეტად აუტისტს ხდის. ჩვენი მიზანი არ არის ვასწავლოთ რაღაც ახალი, ჩვენი მიზანია ვასწავლოთ სხვანაირად აზროვნება და იმ უნარების გამოყენება, რომლებიც მათ რეალურად აქვთ. სოციალური მიზნები პირველად და მერე აკადემიური მიზ-ნები.

ჩვენი პროგრამის 4 ძირითადი ფუნდამენტია:

1. ვერბალური კომუნიკაცია
2. არავერბალური კომუნიკაცია (მზერითი კონტაქტი)
3. გაზიარებული ყურადღება
4. ლმობიერება (არარიგიდულობა)

ეს ყველაფერი მიზნად ისახავს, რომ ბავშვი გახდეს სპონტანური თავის ქცევაში (მიესალმოს მეგობარს, ითამაშოს მეგობართან, შევიდეს გააზრებულ

კონტაქტში ოჯახი წევრებთან) და ისაუბროს სპონტანურად და არა როგორც რობოტი, რომელმაც იცის ზუსტად როდის რა თქვას და რომელიც, ენას ვერ იყენებს პრაგმატულად და საკომუნიკაციოდ. მათემატიკის არცოდნა უფრო ნაკლებად დააზარალებს, ვიდრე „მეგობრობის არცოდნა“ American Psychological Association, 1994, World Health Organizations, 1994).

თერაპიის დროს შუქი როგორც წესი იცვლება ძალიან ხშირად, ამიტომაც მნიშვნელოვანია რომ სწორად შევაფასოთ და დავადგინოთ შუქი მწვანეა თუ წითელი.

7 შეცდომა, რომელსაც ვაკეთებთ შეერთების დროს

რა არ უნდა გავაკეთოთ როცა ვუერთდებით ბავშვს:

შეერთება (ჯოინინგ) არის პროგრამის ძირითადი ტექნიკა, რომელსაც ვიყენებთ ბავშვთან უერთიერთობის ჩამოსაყალიბებლად და მისი ნდობის მოსაპოვებლად. როდესაც ვუერთდებით ჩვენ ბავშვს, ჩვენ ვმონაწილეობთ მათ „იზმებში“ იგივე ინტერესით, იგივე მონდომებით და იგივე სიყვარულით, როგორითაც ამას თვითონ ბავშვი აკეთებს. ჩვენ „იზმებს“ ვუერთდებით უდიდესი მიმღებლობით და არავითარ შემთხვევაში არ ვცდილობთ რომ **შევცვალოთ ან შევაჩეროთ** მოქმედება, რომელსაც ბავშვი აკეთებს იზმის დროს. ყველა შემდგომი სწავლა და განვითარება ხდება სწორედ იმ უერთიერთობის საფუძველზე, რომელსაც ჩვენ ვაყალიბებთ ბავშვთან. ამიტომაც, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „ჯოინინგი“ გაკეთდეს სწორად. თუკი „ჯოინინგი“ ხდება არასწორად, მაშინ, შედეგიც არის არასრულყოფილი და ზოგადად ირღვევა აღნიშნული პროგრამის მთელი პრინციპი.

7 შეცდომა, რომელიც არ უნდა გავაკეთოთ შეერთების დროს:

1) **“მიშტერება“** - შეერთების დროს, ბევრი თერაპევტი განუწყვეტლივ უყურებს ბავშვს. ასეთ შემთხვევაში, ეს არ არის შეერთება, ეს უბრალოდ მეთვალყურეობაა და ამ ორ შორის, ბავშვი ნამდვილად ხდება განსხვავებას. მაგალითად, როდესაც შენ უყურებ ფილმს ვინმესთან ერთად და ის შენ მუდმივად გიყურებს, გამოდის, რომ თქვენ ერთად ფილმს არ უყურებთ. ამიტომაც, როდესაც უერთდებით ბავშვს თავის „იმზში“ მიაშტერდით იმ მოქმედებას თუ საგანს, რომელიც „იზმის“ დროს გაქვთ და მთლიანად ჩაიძირეთ მოქმედებაში და დაანებეთ ბავშვის ყურებას თავი ყოველ ორ წამში. რადგანაც, „შეერთების“ მიზანს არ წარმოადგენს ბავშვისთვის იმის ჩვენება, რომ შეგიძლიათ მისნაირი რაღაც გააკეთოთ, არამედ, თქვენი მიზანია აჩვენოთ ბავშვს რომ აჩვენოთ ბავშვს რომ გიყვართ

ის რაც მათ უყვართ, გსიამოვნებთ, ის, რაც მათ სიამოვნებს. „შეერთებით“ ჩვენ ვაყალიბებთ უერთიერთობას საერთო საგნის, მოვლენის და ინტერესის ირგვლივ.

2)ახლო მანძილი / გადატვირთვა - როდესაც ბავშვი „იზმობს“, მას უნდა მივცეთ საკმარისი სივრცე, რომ დაკავდეს თავისი საყვარელი მოქმედებით. როდესაც ძალიან ახლოს მივდივართ ბავშთან „ჯოინინგის“ დროს, ეს კიდევ უფრო გადატვირთავს ბავშვს სენსორულად. გახსოვდეთ, რომ ძირითადი მიზეზი, რის გამოც ბავშვი იწყებს „იზმს“ არის გაეწცეს სენსორულ გადატვირთვას

(ბევრი ხალხი, ხმაური, შუქი და ასე შემდეგ.) მიეცით ბავშვს საკმარისი სივრცე. მაგალითად: თუკი ბავშვი „იზმობს“ და ზის იატაკზე, ჩვენ უნდა დავჯდეთ, მაგრამ არა მხარი-მხარ, ცოტა მოშორებით. თუკი ბავშვი ბორიალობს, ჩვენც უნდა ვიბორიალოთ, ოღონდ არ შევეტაკოთ და არ შევზღუდოთ თვითონ სივრცეში.

3) მოპარვა - არ განოართვათ ბავშს სათამაშო, რომლითაც „იზმობს“. მაგალითად: თუკი ბავშვი იზმობს მწვანე მანქანების მწკირვში დაწყობით, არ გამოართვათ მას ეს მწვანბე მანქანები და არ დაიწყოთ მათი დაწყობა, უბრალოდ გამონახეთ მსგავსი საგანი და შეუერთდით იზმში.

4)მოყოლა-თხრობა - თქვენ არ უნდა იყოთ კომენტატორის როლში. მაგალითად, თქვენი ბავშვი „იზმობს“ კუბიკების აწყობით, თქვენ უერთებით და იწყებთ: ყოჩაღ, შენ ახლა დაადე მწვანე კუბიკი წითელს, ან რა მაღალი კოშკი გამგდის და ა.შ. ეს არსი შეცდომა. თუკი თქვენი ბავშვი იზმობს ჩუმად და არ ლაპარაკობს და მხოლოდ აწყობს კუბიკებს, ზუსტად ისევე ჩუმად უნდა შეუერთედ თქვენც.

5)მოტყუება - . როდესაც უერთდებით ბავშვს, არამც და არამც არ შეეცადოთ ბავშვის ქცევის შეცვლას ან მისი ყურადღების გადმოტანა (გამწვანებას). ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა, რაც შეიძლება თერაპევტმა გააკეთოს „შეერთების“ დროს და ზოგადად ამ პროგრამის დანერგვისას. ბავშვი არ არის უგუნური და სულელი, ასე რომ, ის მაშინვე შეამჩნევს, როცა თერაპევტი გადაწყევთს მის შეჩერებას „იზმიდან“. არ უნდა გადმოვიყვანოთ ბავშვი ხელოვნურად წიტელი შუკიდან მწვანეში, არ უნდა შევთავაზოთ რაღაც უფრო საინტერესო და მივიქციოთ მისი ყურადღება. არც მიმიკით არ უნდა შეატყოს რომ გვინდა მათი ყურადღების გადმოტანა. ამ პროგრამის მიზანია, რომ ბავშმა თავისი ინიციატივით დაიწყოს უერთიერთობა და გაამწვანოს წითელი შუქი. მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვი გაამწვანეს წითელ შუქს, უნდა მივიპყროთ მისი ყურადღება (ვიყოთ მხიარულები, საინტერესო და ვიმოქმედოთ ბავშვი ინტერესის ირგვლივ) ჩვენ გვინდა რომ ბავშვი ჩვენ მხარეს გადმოვიდეს მისი ინიციატივით და არა ჩვენი მოტყოების გზით. „შეერთება“ არ არის ხრიკი, რომლითაც ჩვენ ბავშვები გადმოგვყავს ჩვენ მხარეზე, „შეერთება“ არის მექანიზმი, რომლითაც ბავშვს ვაჩვენებთ, რომ ჩვენ ის გვიყვარს და გვიყვარს ყველაფერი რასაც ის აკეთებს და რომ ჩვენ გვაინერესებს

მათი სამყარო. „შეერთებით, ჩვენ ვდებთ უერთიერთობის ხიდს ჩვენ ბავშთან და მერე ის გადმოდის ამ ხიდზე და გვიერთდება ჩვენ სამყაროში.

6)განრიგი-დროის დარწყვა. - სულ უფრო ბევრი მეთოდი იყენებს „Son Rise" „შეერთბის პრინციპს, თუმცა, ისინი რწყავენ დროს და მაგალითად, გამოყოფენ 15-20 წუთს შეერთებისთვის და მერე ხელოვნურად გამოყავთ ბავშვი წითელი შუქიდან. ჩვენი უნიკალურობა სწორედ იმაშია, რომ ჩვენ არ ვრწყავთ დროს და „ვუერთდებით" ბავშვს „იზმში" იმდეხ ხანს, რამდენ ხანსაც თვითონ „იზმობს" და მანამ, ვიდრე თვითონ არ გადაწყვეტს უერთიერთობას ჩვენთან. „შეერთების" დროს და ხანგრძლოვობას ადგენს ბავშვი მისი „იზმიდან" გამომდინარე.

7)კოპირება / გადაწერა - ეს განსაკუთრებით ეხება იმ ტერაპევტებს, რომ-ლებიც მუშაობენ ვერბალურ (ალაპარაკებულ) ბავშვებთან. ჩვენ ასეთ ბავშვებს „მაღალ ფუნქციურ" ბავშვებს ვუქოდებთ. მათი „იზმები" განსხვავდება კლასიკუ-რი / ტრადიციული იზმებისგან (ხელის მოძრაობა, სათამაშოს მწკირვში დალაგე-ბა, ფურცლების დახევა, ხმების გამოცემა და ა.შ) . შეცდომაა, როდესაც თერაპევტი „მაღალ ფუნქციური და ვერბალური" ბავშვის ვერბალურ იზმებს იმეორებს ან ბავშვის საყვარეს საგანზე თვითონ ლაპარაკობენ და არ აცლიან ბავშვს ლაპარაკს. ჩვენ შეერთებისთ არ ვცდილობთ, რომ გავიმეოროთ ბავშვის ქმედება, ჩვენ შეერთების ვცდილობთ რომ დავამყაროთ საფუძვლიანი უერთიეთობა და კავ-შირი ბავშთან და მთლიანად ჩავიძიროთ მის სამყაროში. როცა ბავშვი ვერბა-ლურად იზმობს, ჩვენ მას კითხვებს არ ვუსვამთ და არც ვიმეორებთ მის ნათქვამს, ჩვენ უბრალოდ დიდი ინტერესით და ენთუზიაზმით ვუსმენთ ბავშვის ლაპარაკს და გამოვხატავთ დიდი ინტერესს. „შეერთებით" ჩვენ ბავშვს ვაჩვენებთ რომ გვიყვარს ის რაც მათ უყვართ.

ხშირად, ბავშვი თერაპევტს აჩერებს „შეერთების" დროს, ეს ხდება იმის გამო, რომ თერაპევტი სავარაუდოდ უშვებს რომელიმე ან რამდენიმე შეცდომას შეერთების დროს. თუკი ბავშვი გვაუბნება „გაჩერდი", პირველი რასაც ვაკეთებთ არის ვჩერდებით, ცოტა მოშორებით გავდივართ და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ვცილობთ „შევუერთდეთ'

დაკვირვების შედეგი/კვლევის ანალიზი

Son-Rise - მდე და Son -Rise ის შემდეგ:

Son-Rise -მდე, ბავშვს არ ქონდა აღქმა გარესამყაროს, ვერ შედიოდა კონ-ტაქტში ადამიანებთან (არ ქონდა აღქმა მშობლების და ოჯახის წევრების). მთელი დღე იყო „თავისი სამყაროს ტყვეობაში" და არ ინტერესდებოდა ისეთი ბუნებრივი ქმედებებით, როგორიცაა: თამაში, გასეირნება. 4 წლის ასაკში არ მეტყველებდა,

არ გამოხატავდა სურვილებს ან/და სხვა ემოციებს. სტერეოტიპულ ქცევად ჰქონდა „ერთ წერტილში მზერა“ და კომპიუტერთან ჯდომა. 4 წლის ასაკში ქცევითი დარღვევები არ ვლინდებოდა, რადგან უმეტესწილად ბავშვი იყო ჩუმად (არ მეტყველებდა) და „მშვიდად“ თავის სამყაროში. 4 წლის ასაკში დაუსვეს აუტიზმის დიაგნოზი და ბავშვი ჩაერთო ე.წ „ქცევითი თერაპიის“ პროგრამაში, ასევე დადიოდა კერძოდ მასწავლებელთან, რომელიც ამეცადინებდა ბავშვს ზოგად უნარებში (წვრილი მოტორიკა, სურათის აღწერა, ა.შ). მთავარ ამოცანად მაინც იდგა ბავშვის ამეტყველება. მეცადინეობებმა ნაწილობრივი შედეგი გამოიღო, ბავშვმა დაიწყო სიტყვების შესწავლა, გაიმდიდრა ლექსიკა, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, მეტყველებას ვერ და არ იყენებდა საკომუნიკაციოდ, ანუ, მეტყველება არ იყო მიმართული კომუნიკაციის დასამყარებლად, უბრალოდ იყო სახელდება. უმეტესწილად, ბავშვის მეტყველება იყო გაჯერებული „ექოლალიებით“ (გაგონილი ფრაზის ან სიტყვის უმიზნოდ გამეორება“) და ასევე ხშირად იყენებდა მესამე პირს, ანუ, თავის თავზე ლაპარაკობდა მესამე პირში, არ ქონდა თავისი პიროვნების აღქმა, ვერ პასუხობდა შეკითხვებს , ვერ სვამდა კითხვებს, ვერ შემოდიოდა დიალოგში, და ა.შ.

დაახლოებით 5 წლის ასაკში, ბავშთან დაიწყო Son-Rise პრინციპების დანერგვა. დღეში დაახლოებით 1 საათის განმავლობაში, ბავშვს უტარდებოდა თერაპია-Son-Rise, ოთახში (სახლში). სულ რაღაც 2 კვირიანი თერაპიის შემდეგ, ბავშვმა დაიწყო პროგრესი, რომელიც რეალურად მიმართული იყო აუტისტური სპექტრისთვის დამახასიათებელი ნიშნების შემცირებაზე. კერძოდ: ბავშვი ნელ-ნელა გამოდიოდა თავისი „სამყაროდან“, დაიწყო გააზრებული ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, დაიწყო კითხვების დასმა, სურვილების გამოხატვა, რეალურად დაინტერესდა ოჯახის წევრებთან უერთერთობით, ნაკლებად იძირებოდა თავის სამყაროში. მეტყველებაც გადავიდა საკომუნიკაციო ფაზაში, გახდა უფრო ტოლერანტული გარესამყაროს მიმართ და ნაკლებად რიგიდული, დაიწყო ემოციების გამოხატვა (წყენა, გაბრაზება, გახარება, დაინტერესება, ა შ), სიტყვები გადაიზარდა ფრაზებში და მერე წინადადებებში, შესაძლებელი გახდა კითხვა-პასუხის რეჟიმში ურთიერთობა, გამოუმუშავდა ყურადღება, რაც დაეხმარა კონცენტრაციის ამაღლებაში, გახდა დამოუკიდებელი და სრულად შეესაბამება თავისი ასაკის თვით-მოვლის საჭიროებებს (დაბანა, ტანისამოსის გამოცვლა, ჭამა, თავისი ნაჭამის ალაგება და სხვა). Son-Rise თერაპიის შედეგად, პროგრესი შეინიშნება ყოველდღიურად, მაგალითად, თავისით იმდიდრებს ლექსიკას, სვამს კითხვებს როდესაც რაიმე აინტერესებს, გაუფართოვდა ინტერესის სფერო, გახდა უფრო ლმობიერი და დამყოლი და უფრო ადვილად ეგუება ცვლილებებს.

აღნიშნული თერაპიის გაგრძელება ბავშთან იგეგმება მანამ, ვიდრე ბავშვს საბოლოოდ არ „გაუქრება“ სპექტრისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

ბიბლიოგრაფია

1. ალფრედ ადლერი, „ბავშვთა აღზრდა“, გამომცემლობა „გეო“ , 2014

2. ლევ ვიგოტსკი, „ბავშვის ფსიქოლოგია“, გამომცემლობა „გეო“, 2017

3. ბარი პარსონსონი , „ქცევის გამოყენებითი ანალიზი“,

4. [1] ნ. გოგიჩაძე და ჟ.კვაჭაძე, „ქცევის გამოყენებითი ანალიზი პროცედურების სახელმძღვანელო“ , თბილისი. 2004

5. [1] „აუტიზმის სპექტრის დარღვევა“, გამომცემლობა, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“. მოძიებულია 2აპრილი, 2019 . http://cdi.iliauni.edu.ge/geo/static/678

6. Raun K. Kaufman, “ Autism Breakthrough”, available on Amazon, 2014

7. Jessica Kingsley, “ Autistic logistics” , available on Amazon, 2014

8. Kim Teamer, “Briliant survival Guide for parents and caregivers”, 2014

9. Barry Nel Kaufman, “Son-Rise: The miracle Continues “ , Autism Treatment Center of America, 2014.https://www.autismtreatmentcenter.org/contents/programs_and_services/books_tapes_and_videos.php

10. Bear, D.M., W olf, M.M., & Risley, T.R. (1968). Som ecurrent dimensions of applied behavior analysis. Journal of Applied Behaviour Analysis, 1, 91-97

11. Parsonson, B.S., & Bear, D.M. (1978). The analysis and presentation of graphic data. In T.R. Kratochwill (Ed.), Single-subject research: Strategies for evaluating change, New York : Academic Press, 101-165

Abstract

The work, considered one of the most interesting and such an important issue, such as autism spectrum. This topic is relevant not only in Georgia but throughout the world. Usually, children with autism spectrum are not physically different from the majority, but they may behave, interact, talk differently. Unfortunately, there is no proven medical treatment of this diagnosis. Okay, this article shows the way people with autism can get out of this condition. It is important to evaluate as early as possible and start working with the child and family. The work presents and discusses the latest effective method "Son-Rise"-Therapy, which has seen significant progress in its development.

Keywords: neurodevelopment, behavioral disorders, verbal communication, mesenteric contact, shared attention, "Izm", "**Son-rise"** therapy.

ოჯახური გარემო და დეპრესია ხანდაზმულებში

თამარ ჭაღალიძე,
ბსუ-ს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ფსიქოლოგია, მეორე კურსი.
ელ. ფოსტა: tamarjagalidze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: *გურამ ჩაგანავა,*
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი პროფესორი.

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება ხანდაზმულებში[1] ისეთი ფსიქიკური დარღვევის გამოვლინების შესწავლას, როგორიცაა დეპრესია.

ნაშრომი კვლევათა მთელი სერიის საფუძველზე ფოკუსირებას ახდენს დეპრესიის აღმოცენების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორზე - ოჯახური გარემოს არარსებობაზე.

კვლევის მიზანია ხანდაზმულებში დადგინდეს დეპრესიის აღმოცენებასა და ოჯახური გარემოს არარსებობას შორის კორელაცია და მისი ხარისხი.

საკვლევი საკითხის შესწავლისთვის შეირჩა ხანდაზმულთა ორი ტიპი: I - ოჯახის წევრებთან თანამცხოვრები, II - მარტო, ოჯახის წევრთა გარეშე მცხოვრები. საკვლევ ობიექტთა რაოდენობა შეადგენდა ჯამში 60 ცდისპირს, ორივე შემთხვევაში თანაბარს - 30-30 (50% - მდედრ., 50% - მამრ.), პირველ შემთხვევაში საშუალო ასაკი იყო ≈ 74, მეორე შემთხვევაში - 73. კვლევის არეალი: აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო.

საკვლევი საკითხისთვის გამოვიყენე როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, სტრუქტურიზებული ინტერვიუს სახე, რომელიც მოიცავდა დახურულ კითხვარს და გამოკითხვის მეთოდი, კერძოდ კორესპონდენტული სახე. ზემოაღნიშნული ტარდებოდა ინდივიდუალურად, პირისპირ, შესაბამის გარემოში.

დავიხმარე კითხვარი, ბეკის[2] დეპრესიის სკალა (იხ. დანართი 1), რომელიც შედგება 21 პუნქტისგან, თითოეულს უკავშირდება 4 დებულება, რომელთაგან რესპონდენტი ირჩევს ერთ-ერთს, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი ასახავს ყველაზე უკეთ თავის განცდებს გასული კვირის მანძილზე.

---

[1] ერიკ ერიქსონის მიხედვით, ხანდაზმულობა (გვიანი მოზრდილობა), ადამიანის განვითარების ბოლო (მე-8) სტადიაა, რომელიც იწყება 65 წლიდან.

[2] აარონ თემქინ ბეკი (Aaron Temkin Beck) - ამერიკელი ფსიქიატრი, რომელიც პენსილვანიის უნივერსიტეტის ფსიქატრიის განყოფილების პროფესორი იყო 2009-2015 წლებში.

დამატებით გამოვიყენე ჩართული დაკვირვების მეთოდი, კერძოდ, ვაკვირდებოდი მათი ქცევის სხვადასხვა ასპექტს. ვახდენდი პირადი დღიურების, წერილების და სხვა წერითი დოკუმენტების თვისებრივ შესწავლასაც.

კვლევებს ვაწარმოებდი კვლევის ეთიკის კოდექსის[3] სრული გათვალისწინებით.

შედეგად, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა-დაკვირვებებით დადასტურდა ოჯახური გარემოს არარსებობის მაღალი კორელაცია დეპრესიის გამოვლენასთან.

შესავალი

ადამიანს ცხოვრების განმავლობაში უამრავი ემოციის გადატანა უხდება. თუ ეს ემოციები ზედმეტად მძიმე ხასიათისაა, მუდმივი ხდება, ეს უკვე პათოლოგიაა, რომელსაც დეპრესიის აღმოცენებამდე მივყავართ.

დეპრესია ლათინური სიტყვაა (depression) და ნიშნავს დათრგუნულს, დათრგუნული გუნება-განწყობილების, იდეატორული და მოტორული აქტივობის რეტარდაციის (ე.წ. დეპრესიული ტრიადა) შერწყმულა სომატო-ვეგეტატიურ აშლილობებთან.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური დარღვევაა, რომლისგანაც ყველა ასაკობრივი ჯგუფიდან 350მლნ. ადამიანი იტანჯება.

სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება ხანდაზმულებში დეპრესიის გამოვლენის კორელაციურ ხარისხს ოჯახური გარემოს არარსებობასთან.

ნაშრომი პასუხობს იმ კითხვებს, თუ რამდენად განსაზღვრავს ოჯახის წევრთა თანადგომისა და მხარდაჭერის არარსებობა დეპრესიის აღმოცენებას, რა დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ატარებს და რა შედეგის მომტანია ის.

საკვლევ ობიექტებად შეირჩა ხანდაზმულები, ვინაიდან ამ საფეხურზე ერიკ ერიქსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორიის მიხედვით, წარმოიქმნება კრიზისი ,,ეგოს მთლიანობა და სასოწარკვეთა'', სადაც ხდება ადამიანის მიერ საკუთარ ცხოვრებაზე გადახედვა, ცხოვრების შეჯამება, ცხოვრებით კმაყოფილების განსაზღვრა, განვლილი ეტაპების შეფასება და ამის მიხედვით, მას უჩნდება მთლიანობის, ბედნიერების და კმაყოფილების განცდა ან სინანული წარსულის გამო და სასოწარკვეთა. ამ პერიოდში კმაყოფილ, ,,მთლიან'' ადამიანს ცხოვრებისეული ცოდნა ანუ სიბრძნე ახასიათებს, მან უნდა შეაჯამოს თავისი ცხოვრება, როგორც მთლიანობა, რომელშიც მან განახორციელა თავისი თავი. ამ

[3] კვლევის ეთიკის კოდექსი გულისხმობს კვლევის პროცესში ეთიკური კანონების დაცვას, როგორიცაა ინფორმირებული თანხმობა, კონფიდენციალობა, ანონიმურობა და სხვ. კოდექსი შეგიძიათ იხილოთ ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის ვებ-გვერდზე: www.asanet.org.

შემთხვევაში მას არ აშინებს სიკვდილის გარდაუვლობა, რადგან ხედავს თავის გაგრძელებას შთამომავლობასა და შემოქმედებით წარმატებაში, იგი ხდება ინტეგრირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასოწარკვეთა იპყრობს. შესაბამისად, ამ კრიზისის დაძლევა დამოკიდებულია ოჯახის წევრთა არა მხოლოდ თანადგომაზე, არამედ ზოგადად მის არსებობაზე.

დეპრესიის ძირითადი მახასიათებლები

- ნეგატიური გუნება-განწყობა;
- ინტერესის, სიამოვნება/კმაყოფილების შეგრძნების დაკარგვა;
- დანაშაულის, უიმედობის, უუნარობის შეგრძნების გაძლიერება;
- დაქვეითებული ან პირიქით, მოჭარბებული ენერგია;
- ძილის დაქვეითება ან მომატებული ძილიანობა;
- მადის დაქვეითება (აღნიშნავენ, რომ საკვები უგემურია, ან არ შიათ);
- კონცენტრაციის უნარის გაუარესება ან მერყეობა (თვითრწმენის დაქვეითება);
- თვითშეფასების დაქვეითება ან შეუსაბამო, გაზვიადებული თვითბრალდების განცდა;
- წონაში მკვეთრი კლება;
- დაღლილობა, სისუსტე;
- სუიციდური აზრები ან ქმედებები (კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია, 2013, ,,დეპრესიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში" (გაიდლაინი), :10,

https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2017/06/02/6a8492bded76d1dfbfcaff6c9896fb68.pdf).

ნეგატიური ფიქრების (,,დეპრესიული შემეცნება") დროს ადამიანს ახასიათებს უღირსობის განცდა, რომლის დროსაც მიაჩნია, რომ, რასაც აკეთებს არაფერი გამოსდის და სხვებიც უვარგისად მიიჩნევენ მას. პესიმისტური ფიქრები ეხება სამომავლო გეგმებსაც, უარესს მოელის. ყველაფერში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებს. სუიციდის რისკი ხშირია დეპრესიულ მდგომარეობაში, მოტივაცია შეიძლება ხშირად დაუძლეველი სიძნელეების გადალახვაზე უარის თქმა ან უსასრულო, მოჩვენებითი, მტანჯველი სულიერი განცდებისთვის წერტილის დასმის სურვილი იყოს, რაც გამოიხატება აუტოდესტრუქციულ აზრებში, თვითმკვლელობის პირდაპირ და არაპირდაპირ მუქარაში, თვითმკვლელობის მცდელობაში და ა.შ. დეპრესიულ მდგომარეობაში ახალგაზრდებთან შედარებით სუიციდს რისკი ხანდაზმულებში 2-ჯერ მეტია. თვითმკვლელობათა რიცხვის 20% მოდის ხანდაზმულ ასაკში. დეპრესიისთვის დამახასიათებელია ინტერესთა

სფეროს შეზღუდვა და სიამოვნების განცდის უნარის დაქვეითება. მას არ აქვს ენთუზიაზმი გააკეთოს ის, რაც ადრე მოსწონდა. იგი კარგავს ცხოვრებისა და ყოველდღიური საქმიანობისადმი ინტერესს და ხალისს.

მნიშვნელოვანია სიმპტომთა ჯგუფი, რომელსაც ბიოლოგიურს, სომატურს, მელანქოლიურს და ვეგეტატიურს უწოდებენ: ძილის დარღვევები, მადის დაკარგვა, წონაში კლება, ლიბიდოს დაქვეითება და ქალებში ამენორეა (სქესობრივად მომწიფებულ ქალებში ციკლის არქონა). ხშირია სომატური ჩივილები: ენერგიის დაქვეითება, ადვილი დაღლა და ტკივილის შეგრძნება სხეულის სხვადსხვა ნაწილებში (კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია, 2013, ,,დეპრესიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში'' (გაიდლაინი), :11, https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2017/06/02/6a8492bded76d1dfbfcaff6c9896fb68.pdf).

კვლევის მიმდინარეობა და შედეგი

კვლევა ჩატარდა კვლევის ეთიკის კოდექსთა სრული გათვალისწინებით: ცდის პირის ქმედუუნარობის შემთხვევაში ინფორმირებული თანხმობის მიღება მოხდა მისი ნათესავის ან მეურვისგან და მხოლოდ მას შემდეგ ჩატარდა გამოკითხვა-დაკვირვება. ყოველი ცდის პირის პირადი და მიღებული ინფორმაცია შენარჩუნდა ანონიმურად და კონფიდენციალურად.

კვლევის მიმდინარეობისას დაბრკოლებას არ ჰქონია ადგილი.

კვლევისგან მიღებული შედეგები, რომ ყოფილიყო სანდო გათვალისწინებული იქნა ყველა ის ნიუანსი, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა შედეგის სანდოობას, კერძოდ, გამოკითხვა ტარდებოდა ცდის პირებთან პირისპირ, უცხო თუ ნაცნობი პირების დაუსწრებლად - ინდივიდუალურად. გათვალისწინებული იქნა ხმაურის არსებობა, განათების თუ ტემპერატურის ხარისხიც. ყურადღება მიექცა ცდისპირთა მდგომარეობასაც, გამოკითხვა ტარდებოდა დღის პირველ ნახევარში, ვინაიდან დაღლილობაც ასახვას ჰპოვებს მიღებული შედეგის სანდოობაზე.

ბეკის კითხვარში 21 პუნქტიდან მიღებული დებულებებიდან მაქსიმალური ქულაა 63, რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მაღალია დეპრესიის ხარისხი.

გამოკითხვის შედეგად იმ ხანდაზმულებთან, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახის წევრებთან, დაფიქსირდა საშუალო მაჩვენებლით ≈16ქულა (16,1), რაც მიუთითებს მსუბუქ შეწუხებულობაზე (იხილეთ დანართი 2), ხოლო იმ ხანდაზმულებთან, რომლებიც მარტო, ოჯახის წევრების გარეშე ცხოვრობენ, საშუალო მაჩვენებელია ≈31ქულა (30,7), რომელიც მიუთითებს მძიმე დეპრესიაზე (იხილეთ დანართი3).

შედეგად, იმ ხანდაზმულებთა დეპრესიის ხარისხი, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, ოჯახის წევრთა გარეშე, 47,5%-ით მეტია, თითქმის 48%-ით, იმ ხანდაზმულთა დეპრესიის ხარისხზე, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახის წევრებთან ერთად.

დაფიქსირდა სქესთა შორის მკვეთრი განსხვავება, კერძოდ, მდედრობით სქესში უფრო მაღალია დეპრესიის ხარისხი, ვიდრე - მამრობით სქესში. დეპ-რესიის ხარისხი ოჯახურ გარემოში მყოფი მდედრობითი სქესის ხანდაზმუ-ლებში გამოვლინდა 12,7%-ით მეტი, მამრობით სქესზე, ხოლო იმ მდედრობითი სქესის ხანდაზმულებში, რომლებიც მარტო, ოჯახის წევრთა გარეშე ცხოვრობენ დაფიქსირდა 9%-ით მეტი მამრობით სქესზე.

დასკვნა

კვლევა-დაკვირვებებმა ცხადყო მაღალი კორელაცია ოჯახური გარემოს არარსებობასა და დეპრესიის აღმოცენებას შორის. კერძოდ, იმ ხანდაზმულებთან, რომლებიც მოკლებულნი არიან ოჯახურ გარემოს, რაშიც მოიაზრება თბილი, პოზიტიური, შეთანხმებული ურთიერთობები, ვლინდება დეპრესიის უფრო მკვეთრი, მაღალი ხარისხი, ვიდრე იმ ხანდაზმულებთან, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახის წევრებთან, მიუხედავად მატერიალური სტატუსის დონისა.

80-იან წლებში, საქართველოს თერაპიის ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა, რომ ქართველი ხანდაზმულების დღეგრძე-ლობა პირდაპირ კავშირშია მის საცხოვრებელ ადგილთან. საკუთარ ოჯახში მყოფი ხანდაზმული უფრო დიდხანს ცხოვრობს, ვიდრე ის, ვინც ნაჩვევ გარემოს და ოჯახის წევრებს მოკლებულია (მეგრელიძე, 2012, :1 http://www.awa.org.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/m236?mid=236&page=4&tab=5).

დეპრესია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების ხარისხ-ზე. აღნიშნული მდგომარეობისას მათ ნეგატიური შეხედულება უვითარდებათ საკუთარ თავზე, სამყაროზე, მომავალზე. ფიქრობენ, რომ არაფრის კეთებას არ აქვს აზრი, შედეგად ახდენენ საკუთარი ღირსების მინიმალიზაციას.

დეპრესია ცვლის პიროვნების შრომის, სწავლის, მადის, ძილის, მე-ს აღქმის, სიამოვნების განცდის უნარს.

მნიშვნელოვანია დეპრესიის დროული დიაგნოსტირება და ადრეულ ეტაპზე შესაფერისი მკურნალობის დანიშნვა.

ბიბლიოგრაფია

- კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (ივლისი, 2013). ,,დეპრესიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში'' (გაიდლაინი). მოძიებულია 21 აპრილი, 2019, https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2017/06/02/6a8492bded76d1dfbfcaff6c9896fb68.pdf
- მეგრელიძე ჯემალი. (აპრილი, 2012). ,, სჭირდება თუ არა ქობულეთის მუნიციპალიტეტს მოხუცთა თავშესაფარი?!''. მოძიებულია 21 აპრილი, 2019, http://www.awa.org.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/m236?mid=236&page=4&tab=5

დანართი 1

ბეკის დეპრესიის სკალა - (Beck Depression Scale)

1.

0 - არ ვგრძნობ თავს სევდიანად.

1 - სევდიანად ვგრძნობ თავს.

2 - სულ დავდივარ სევდიანი და ვეღარ ვცვლი მდგომარეობას.

3 - ისეთი სევდიანი და არამხიარული ვარ, რომ ვერ ვდგები.

2.

0 - არ ვარ იმედგაცრუებული მომავალზე.

1 - იმედგაცრუებული ვარ მომავალზე.

2 - ვგრძნობ, რომ არაფერი მაქ წინ გასახედად.

3 - ვგრძნობ, რომ მომავალი უიმედოა და ვერაფერს ვაუმჯობესებ.

3.

0 - არ ვთვლი თავს დამარცხებულად.

1 - ვფიქრობ, რომ უფრო ხშირად ვმარცხდები, ვიდრე საშუალოდ ადამიანი უნდა მარცხდებოდეს.

2 - როცა ვუყურებ ჩემს ცხობრებას, ბევრი მარცხია.

3 - ვფიქრობ, რომ თავიდან ბოლომდე წარუმატებელი ვარ.

4.

0 - ვიღებ იმდენ კმაყოფილებას, რამდენიც საჭიროა.

1 - არ მომწონს ის, რაც მომწონდა ადრე.

2 - ვერაფრისგან ვიღებ კმაყოფილებას.

3 - ყოველთვის უკმაყოფილო და შეწუხებული ვარ.

5 .

0 - არ მაქვს დანაშაულის გრძნობა.

1 - დამნაშავედ ვგრძნობ თავს დღეში რამდენჯერმე.

2 - დღეში უმეტესად დამნაშავედ ვგრძნობ თავს.

3 - სულ დამნაშავედ ვგრძნობ თავს.

6 .

0 - არ ვთვლი, რომ მსჯიან.

1 - ვფიქრობ, რომ შეიძლება დამსაჯონ.

2 - ველოდები დასჯას.

3 - ვთვლი, რომ დასჯილი ვარ.

7.

0 - არ ვთვლი, რომ ჩემს თავში ვარ იმედგაცრუებული.

1 - იმედგაცრუებული ვარ ჩემს თავში.

2 - მეზიზღება ჩემი თავი.

3 - ვერ ვიტან ჩემს თავს.

8.

0 - არ ვფიქრობ, რომ ვიღაცაზე ნაკლები ვარ.
1 - კრიტიკული ვარ ჩემ თავთან ჩემი სისუსტების და შეცდომების გამო.
2 - სულ ვადანაშაულებ ჩემს თავს ჩემი შეცდომების გამო.
3 - ჩემს თავს ვადანაშაულებ ყოველი ცუდი მომხდარის გამო.

9.

0 - არ ვფიქრობ თვითმკვლელობაზე.
1 - ვფიქრობ თვითმკვლელობაზე, მაგრამ შემიძლია არ მივაქციო ამას ყურადღება.
2 - მინდა თავის მოკვლა.
3 - მოვიკლავ თავს თუ მექნება ამის საშუალება.

10.

0 - არ ვტირი საშუალოზე ხშირად.
1 - უფრო მეტად ვტირი, ვიდრე ადრე.
2 - ამ ეტაპზე სულ ვტირი.
3 - ადრე შემეძლო ტირილი, მაგრამ ახლა ვერ ვტირი, თუმცა მინდა.

11 .

0 - არ ვარ მეტად გაღიზიანებული, ვიდრე ადრე.
1 - ახლა ცოტათი უფრო გაღიზიანებული ვარ, ვიდრე საშუალოდ.
2 - გაღიზიანებული და გაბრაზებული ვარ თითქმის სულ.
3 - სულ გაღიზიანებული ვარ.

12.

0 - არ დამიკარგავს ინტერესი სხვა ადამიანების მიმართ.
1 - ნაკლებად მაქვს ინტერესი სხვების მიმართ, ვიდრე ადრე მქონდა.
2 - თითქმის ბოლომდე დამეკარგა ინტერესი სხვების მიმართ.
3 - არაფერი არ მაინტერესებს სხვების მიმართ.

13.

0 - ვიღებ გადაწყვეტილებებს ისე, როგორც ვიღებდი ადრე.
1 - ვიწყებ გადაწყეტილების მიღების გადადებას მეტად, ვიდრე ადრე.
2 - ძალიან მეძნელება გადაწყვეტილების მიღება.
3 - არ შემიძლია არაფრის გადაწყვეტა.

14.

0 - არ ვფიქრობ, რომ უფრო ცუდად გამოვიყურები.
1 - შეწუხებული ვარ იმით, რომ გამოვიყურები უფრო ასაკიანად ან არამიმზიდველად.
2 - ვფიქრობ, რომ მტკიცე ცვლილებები არის ჩემს გარეგნობაში, რომელიც მახდენს არამიმზიდველად.
3 - მჯერა რომ უგვანო ვარ.

15 .

0 - შემიძლია მუშაობა ისე, როგორც ადრე.
1 - მჭირდება მეტი ენერგია, რომ რამე საქმე დავიწყო.
2 - თავი უნდა ვაიძულო, რომ რაიმე გავაკეთო.
3 - არანაირი სამუშაოს გაკეთება არ შემიძლია.

16.

0 - შემიძლია ძილი ისე, როგორც ყოველთვის.
1 - არ მძინავს ისე, როგორც ადრე.
2 - ვდგები 1-2 საათით ადრე და არ შემიძლია ისევ დაძინება.
3 - რამოდენიმე საათით ადრე ვდგები და ვერ ვიძინებ.

17.

0 - არ ვიღლები საშუალოზე მეტად.
1 - ვიღლები უფრო ადვილად, ვიდრე მანამდე.
2 - ვიღლები ყველაფრისგან.

3 - ისეთი დაღლილი ვარ, რომ ვერაფერს ვაკეთებ.

18.

0 - მადა ისეთივე მაქვს, როგორც ადრე.

1 - მადა ცოტათი შეცვლილი მაქვს.

2 - მადა ბევრად ცუდი მაქვს .

3 - საერთოდ არა მაქვს მადა.

19.

0 - არ დამიკარგავს წონა.

1 - 2 კგ-ზე მეტი დავკარგე.

2 - 5 კგ-ზე მეტი დავკარგე.

3 - 7 კგ-ზე მეტი დავკარგე.

20.

0 - არ ვწუხდები ჩემს ჯანმრთელობაზე მეტად, ვიდრე ადრე.

1 - შეწუხებული ვარ ფიზიკური პრობლემებით, როგორცაა ტკივილები, აშლილი კუჭი ან კუჭში შეკრულობა.

2 - შეწუხებული ვარ ფიზიკური პრობლემებით და ძნელია ვიფიქრო რამე სხვაზე.

3 - ძალიან შეწუხებული ვარ ფიზიკური პრობლემებით და სხვა ვერაფერზე ვფიქრობ.

21.

0 - არ შემიჩნევია რამე ცვლილება ჩემი სექსის ინტერესებში.

1 - ნაკლებად მაინტერესებს სექსი .

2 - არა მაქვს ინტერესი სექსის მიმართ.

3 - ბოლომდე დამეკარგა ინტერესი სექსის მიმართ.

1-10_____ეს შედეგი მიიჩნევა ნორმალურად.

11-16_____მსუბუქი შეწუხებულობა.

17-20_____კლინიკურ დეპრესია.

21-30_____ზომიერი დეპრესია.

31-40_____მძიმე დეპრესია.

40_____უკიდურესი დეპრესია.

დანართი 2

იმ ხანდაზმულთა დეპრესიის ხარისხი, რომლებიც ოჯახის წევრებთან ცხოვრობენ.

სქესი	ფლის პირები (ასაკი)	კ ი თ ხ ვ ა რ ი (ქ უ ლ ე ბ ი)																					ჯამი
		1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*	*9*	*10*	*11*	*12*	*13*	*14*	*15*	*16*	*17*	*18*	*19*	*20*	*21*	
ქალები	ც.ბ. (66)	2	0	0	0	0	0	1	2	1	1	0	1	2	1	0	0	0	1	1	1	2	15
	ნ.გ. (68)	1	0	2	1	1	1	1	0	0	2	1	1	1	0	2	1	2	0	0	1	2	20
	თ.ბ. (68)	0	0	0	1	2	0	1	0	0	0	1	1	0	0	1	1	2	2	2	1	2	17
	ნ.დ. (87)	1	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	2	0	2	1	0	2	0	1	1	3	14
	ზ.ბ. (65)	0	0	1	0	1	0	1	1	1	2	1	2	0	0	0	1	0	0	1	0	2	14
	ნ.ჯ. (71)	1	0	1	2	0	1	0	1	1	1	0	0	1	1	2	2	0	1	0	1	2	18
	ნ.ქ. (78)	1	2	0	1	0	1	0	2	1	1	2	0	1	1	2	0	0	1	0	1	2	19
	თ.ჟ. (66)	0	1	1	1	2	1	1	0	0	1	0	1	1	2	1	3	1	0	0	0	2	19
	დ.ბ. (81)	1	1	0	0	2	0	0	1	0	2	1	0	1	2	0	1	1	0	1	0	2	16
	მ.ხ. (72)	0	0	1	0	2	1	0	1	0	0	1	2	0	1	0	1	2	1	0	1	2	16
	ს.ქ. (83)	2	2	1	1	2	1	1	1	0	0	0	1	1	0	1	1	1	1	1	0	2	20
	ბ.ჯ. (84)	0	0	0	1	0	0	1	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	2	5
	ც.მ. (76)	0	0	1	1	2	1	0	1	2	0	2	1	2	0	1	2	2	0	1	2	1	22
	ა.ც. (81)	0	1	0	0	1	1	2	0	2	0	1	1	1	1	0	1	1	1	1	2	2	19
	ფ.უ. (70)	1	2	1	0	1	1	1	1	1	1	1	2	0	2	2	0	1	1	2	1	2	24
კაცები	ნ.მ. (65)	0	0	0	0	1	2	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	1	0	0	0	1	6
	ი.შ. (68)	0	0	1	0	0	1	0	0	0	0	1	1	0	0	0	0	1	0	0	0	1	6
	ვ.მ. (87)	1	0	0	2	1	2	0	1	0	1	1	2	2	1	1	2	2	2	2	1	2	26
	ზ.ნ. (74)	1	2	0	1	1	2	0	1	2	0	1	0	0	2	1	0	1	0	2	2	3	22
	ა.ჭ (71)	0	1	0	0	2	1	0	1	2	2	1	2	2	1	0	0	0	0	0	0	2	17
	დ.ჯ. (76)	1	1	0	0	2	0	1	0	0	1	2	1	2	0	0	1	2	0	0	2	2	18
	რ.ჯ. (81)	0	2	2	0	0	0	0	0	0	1	2	0	1	0	0	0	2	1	0	2	3	16
	მ.ტ. (88)	1	2	1	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	3	9
	გ.ა. (66)	0	1	1	0	0	0	1	2	1	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	1	2	11

მ.მ. (73)	1	0	0	1	1	0	0	1	1	1	0	1	1	2	1	2	2	1	0	1	2	19
ვ.ქ. (68)	2	1	3	1	1	2	1	1	0	1	1	1	1	1	1	1	0	2	1	1	1	24
ს.ბ. (87)	0	0	0	1	0	0	1	1	0	-	1	0	1	0	0	0	1	0	0	3	2	11
ვ.კ. (70)	0	1	0	0	0	1	1	0	0	0	1	0	0	1	0	0	0	2	0	0	1	8
ბ.ა. (70)	2	2	0	1	1	0	1	1	0	1	1	0	1	0	0	1	0	1	2	2	2	19
გ.ბ. (69)	0	1	1	2	1	2	0	0	0	1	0	1	0	0	1	0	1	0	0	1	2	14
		ს	ა	შ	უ	ა	ლ	ო		ა	რ	ი	თ	მ	ე	ტ	ი	კ	უ	ლ	ი	≈16

დანართი 3

იმ ხანდაზმულთა დეპრესიის ხარისხი, რომლებიც მარტო ცხოვრობენ.

სქესი	ასაკის ჯგუფი (ასაკი)	კითხვარი (ქულები)																					ჯამი
		1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*	*9*	*10*	*11*	*12*	*13*	*14*	*15*	*16*	*17*	*18*	*19*	*20*	*21*	
ქალები	თ.ტ. (68)	3	2	3	2	3	3	2	2	2	3	2	2	3	2	2	2	1	2	2	2	3	48
	ს.ა. (71)	2	1	1	2	2	0	1	2	1	2	1	2	3	1	0	2	1	1	1	2	3	31
	გ.ა. (82)	1	1	0	1	1	0	2	1	2	2	1	1	0	2	0	1	0	1	1	0	2	20
	ა.ჭ. (72)	2	2	1	1	2	1	0	2	2	2	1	2	2	3	2	1	1	0	0	1	2	30
	რ.კ. (83)	2	1	2	3	3	2	3	2	1	2	3	1	3	3	1	2	3	1	2	2	3	45
	ფ.ს. (70)	1	0	1	0	0	2	1	2	0	0	2	1	0	0	0	1	2	1	1	2	3	20
	ნ.ხ. (65)	1	1	0	1	1	2	2	2	2	1	2	2	0	2	0	1	2	1	0	0	2	25
	ნ.კ. (66)	2	1	1	1	2	1	2	2	1	1	2	3	1	2	1	2	2	1	2	2	1	33
	გ.ტ. (67)	3	2	2	1	1	1	0	1	2	1	1	0	1	3	2	2	2	2	3	2	2	34
	შ.კ. (68)	1	0	1	1	2	2	3	1	3	3	1	1	3	1	3	0	1	0	0	1	2	30
	ქ.ტ. (71)	1	0	1	0	2	1	1	1	2	2	0	1	2	2	2	0	2	1	2	0	3	26
	მ.კ. (81)	2	3	2	2	2	1	1	2	2	1	1	1	2	1	2	1	1	1	2	2	3	35
	ა.ბ. (77)	1	2	3	1	2	3	3	1	2	1	1	2	1	3	0	2	2	2	2	1	2	37
	მ.ს. (79)	2	1	3	3	1	1	3	2	1	2	0	2	2	1	2	3	1	2	1	2	3	38
	ა.ფ. (83)	1	2	2	1	2	1	1	2	3	0	1	2	2	0	1	2	2	1	1	2	2	31
კაცები	გ.ნ. (66)	1	2	1	1	2	1	0	1	2	1	1	2	1	1	1	1	1	1	1	1	2	26
	დ.კ. (72)	2	1	2	3	2	1	2	1	1	2	1	1	1	1	0	2	1	1	0	2	3	30
	ჯ.კ. (72)	1	2	2	1	1	1	2	1	2	1	1	0	0	0	1	1	0	0	0	1	2	20
	ლ.კ. (71)	1	2	1	1	1	2	2	0	2	1	1	0	1	0	2	1	1	0	0	1	2	22
	დ.ე. (65)	2	1	3	2	1	0	2	1	1	2	2	2	3	1	2	1	1	1	0	1	2	31
	ს.გ. (65)	0	1	2	3	3	2	0	3	2	1	2	1	2	3	2	3	2	0	1	3	3	39
	ვ.ბ. (67)	1	2	1	1	2	0	0	2	1	2	0	3	1	2	1	0	0	2	0	2	2	25
	ზ.ხ. (81)	1	1	1	1	1	2	1	2	2	3	0	0	0	1	2	1	2	1	1	0	3	26

ბ ა ბ ო	რ.წ. (66)	1	2	1	2	1	1	2	2	2	3	2	1	2	2	2	1	2	1	1	2	3	36
	უ.ბ. (81)	2	3	1	1	1	0	3	1	1	2	1	2	1	2	2	3	1	3	2	1	2	35
	ე.ფ. (69)	2	2	1	0	3	1	3	3	2	1	2	3	1	1	2	3	2	0	2	1	3	38
	ი.გ. (88)	1	2	2	1	1	2	2	2	1	1	2	1	1	0	0	1	1	1	1	0	2	25
	ბ.ბ. (67)	1	2	1	0	2	0	2	1	2	0	0	1	1	1	3	1	0	0	1	1	2	22
	კ.ო. (87)	2	1	2	1	3	1	2	3	0	0	2	1	1	2	3	1	3	1	1	0	1	31
	ჯ.ფ. (70)	2	1	3	0	3	0	1	2	1	0	3	2	3	1	3	2	2	1	1	1	2	34
			ს	ა	შ	უ	ა	ლ	ო		ა	რ	ი	თ	მ	ე	ტ	ი	კ	უ	ლ	ი	≈31

კონფორმიზმის კვლევა სტუდენტებთან

მაგდა მგელაძე, ეფემია აბულაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიის სპეციალობის II კურსი.

ელ. ფოსტა: Mgeladze-2018@bk.ru, t.abuladze1999@gmail.com

მობ: 558 11 42 74

ხელმძღვანელი: რუსუდან კეჭაყმაძე, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

კონფორმულობაში იგულისხმება სოციალური მოლოდინების შესაბამისი ქცევა და

შეხედულებები, რასაც ინდივიდებისგან ან ჯგუფებისგან მიმდინარე ზეწოლა იწვევს.

კონფორმულობა შეიძლება განვიხილოთ:

1) საზოგადოების ნორმებთან მიმართებაში;

2) როგორც ინდივიდუალური ან ჯგუფური ზეწოლა.

ჩვენს შემთხვევაში, კვლევის მიზანია დადგინდეს, რამდენად ახდენს გავლენას რეფერენტული[1] ან ჩვეულებრივი, საზოგადოებრივი ჯგუფი სტუდენტებზე. ვფიქრობთ, კონფორმიზმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური სოციალური თემაა. ეს არის ძალა, რომელიც მოქმედებს საზოგადოებაზე ზოგჯერ დადებითად, ზოგჯერ უარყოფითად.

კვლევისთვის შეირჩა სტუდენტები ორი სპეციალობიდან, კერძოდ, სამართალმცოდნეობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობებიდან, 30-30 თითოეულიდან. ორივე სპეციალობიდან ცდისპირთა 50% იყო გოგონა, 50%-ვაჟი, ასაკი - 19 - დან 21 წლამდე.

კვლევისთვის მაგალითად ავიღეთ სოლომონ აშის[2] ცნობილი ექსპერიმენტის მსგავსი ტესტები (დანართი 3). ექსპერიმენტი ჩატარდა სპეციალურად ორგანიზებულ ხელოვნურად შექმნილ გარემოში (ლაბორატორიული ექსპერიმენტი),

---

[1] რეფერენტული ჯგუფი - ეს არის ჯგუფი, რომლის შეხედულებებსაც ადამიანი პატივს სცემს (პოლიტიკური ჯგუფი, პარტია), ჯგუფები, რომელთა წევრობას ესწრაფვის ადამიანი და ჯგუფები, რომლებთანაც აკავშირებს ერთგულება (ოჯახი).

[2] სოლომონ აში- სოლომონ აშის ექსპერიმენტის მიზანი იყო გამოერკვია, როგორ მოქმედებს ჯგუფის უმრავლესობის სოციალური გავლენა ადამიანის კონფორმისტულ ქცევაზე. აში კონფორმიზმის შესასწავლად იყენებდა ლაბორატორიულ ექსპერიმენტს ,,ხაზის ტესტს“.

რომელიც მიმდინარეობდა ფსიქოლოგიური კვლევის ეთიკის ნორმების გათვალისწინებით. ცდისპირებს დახურული კითხვები მიეწოდებოდათ ერთგვარი პრეზენტაციის (სლაიდის) დახმარებით.

შესავალი

რა არის კონფორმიზმი ?

კონფორმიზმი - ესაა სოციალური ქცევის ტიპი, რომელსაც ახასიათებს შემგუებლობა, მოვლენათა, ნორმატიული დანაწესებისა და შესაბამისი წესრიგის, მოსაზრებების, ღირებულებების, წარმოდგენების პასიური მიღება; საკუთარი პოზიციის უქონლობა; მეტ-ნაკლები წნეხის ძალის მქონე ნებისმიერი ნიმუშის თუ სტერეოტიპის უპრინციპო და უკრიტიკო მიღება (თინათინ ზუბიტაშვილის სტატია თემაზე(2017, 24 თებერვალი) – „ რა არის კონფორმიზმი“)

კონფორმულობა წარმოადგენს ინდივიდის მიერ საკუთარი რწმენებისა და ქცევის შეცვლის ტენდენციას სხვების ქცევის შესაბამისად. სოციალური ფსიქოლოგები განიხილავენ ორი ტიპის ძალას, რომელსაც კონფორმულობამდე მივყავართ: 1. ინფორმაციული გავლენა - ჯგუფის ეფექტი, რომელიც წარმოიშობა ინდივიდის სურვილის საფუძველზე, იყოს კორექტული, სწორი და იცოდეს, როგორ უნდა მოიქცეს მოცემულ სიტუაციაში. 2. ნორმატიული გავლენა - ჯგუფის ეფექტი, რომელიც წარმოიშობა ინდივიდის სურვილის საფუძველზე, იყოს ჯგუფის მიერ მოწონებული, მიღებული და აღიარებული.

კონფორმულობის გამომწვევი სოციალური გავლენის სახეები.

განასხვავებენ სოციალური გავლენის სამ სახეს: დაყოლა - დამთმობლობას, იდენტიფიკაციას და ინტერნალიზაციას. სოციალური გავლენის ეს სამი სახე გავლენას ახდენს სხვადასხვაგვარი მექანიზმებით. განსხვავებულია აგრეთვე, გავლენის ობიექტში მომხდარი ცვლილებების რაგვარობა და გავლენის სუბიექტის ძალაუფლების წყარო. ძალაუფლება ამ შემთხვევაში ნიშნავს იმას, თუ რამდენად არის გავლენის ობიექტის მიზნების მიღწევა დამოკიდებული გავლენის სუბიექტზე.

დამთმობლობა. დამთმობლობა სოციალური გავლენაა, რომელიც გამოწვეულია კონფორმული ქცევისთვის ჯილდოს მიღების ან სასჯელის არიდების მოლოდინით. კონფორმულობის ამ ტიპის შემთხვევაში, საჯაროდ გამოთქმულ განწყობას და ქცევის ცვლილებას თან არ სდევს პირადი განწყობის შეცვლა. ადამიანები გავლენას დაჰყვებიან გამომდინარე სოციალური მოსაზრებებიდან - დაიმსახურონ ჯგუფის წევრების დადებითი რეაქცია ან აიცილონ უარყოფითი.

იდენტიფიკაცია. სოციალური გავლენის მეორე სახეა იდენტიფიკაცია-სოციალური გავლენა, გამოწვეული მეორე ადამიანთან ან ჯგუფთან კარგი ურთიერთობის დამყარებისა და შენარჩუნების სურვილით. იდენტიფიკაციის დროს კონფორმულობის აქტი ადამიანს კმაყოფილებას ანიჭებს, რადგანაც მას სასურველი ურთიერთობა მოაქვს. თუ გავლენის სუბიექტის ძალაუფლება მის მიმზიდველობაშია, ამოქმედდება იდენტიფიკაცია. მაგალითად, თუ პოლიტიკურ პარტიას უერთდებით, რადგან გჯერათ, რომ ამ პარტიის ლიდერი დიდი ჰუმანისტია, აქაც მოქმედებს იდენტიფიკაციის მექანიზმი.

ინტერნალიზაცია (გაშინაგნება). ინტერნალიზაცია სოციალური გავლენაა, რომელიც წარმოიქმნება, როდესაც ჯგუფის იდეები ან მოქმედებები გავლენის ობიექტის თვალში თავისთავადი ღირებულების მქონეა. ამ შემთხვევაში, ადამიანს სჯერა იმის, რასაც აკეთებს; ის კონფორმულია საკუთარი ღირებულებების მიმართ. თუ გავლენის სუბიექტის ძალა ემყარება მისი შეხედულებების დამაჯერებლობას, საქმე გვაქვს ინტერნალიზაციასთან. მაგალითად, თუ თქვენ აქტიურად უჭერთ მხარს პოლიტიკურ ჯგუფს, რადგან გჯერათ, რომ ის შესძლებს დანერგოს ის ღირებულებები, რომელიც თქვენთვის ძვირფასია, ამას აკეთებთ ინტერნალიზაციის გამო.

ჯგუფის მახასიათებლები.

ჯგუფის რა მახასიათებლები უწყობს ხელს კონფორმულობას? პირველი - ეს არის შიდაჯგუფური თანხმობის დონე: ერთსულოვანი ჯგუფებისადმი კონფორმულობა ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფის წევრები განსხვავებულ ქცევასა და განწყობებს ავლენენ. ერთსულოვანი ჯგუფები ამას აღწევენ ჯერ ერთი იმით, რომ ხშირად, ერთსულოვანი აზრი ჭეშმარიტებად მიიჩნევა და მეორე, მათ რეალურად შეუძლიათ ზეწოლა თავის ერთ კონკრეტულ წევრზე. მეორე - მაღალი სტატუსის მქონე ჯგუფები აღწევენ მეტ კონფორმულობას, ვიდრე დაბალი სტატუსის ჯგუფები. ადამიანი უფრო ადვილად თმობს საკუთარ დამოკიდებულებას, თუკი ამით უერთდება უფრო მაღალი და არა დაბალი სტატუსის მქონე ჯგუფს. მესამე - ჯგუფი, რომელშიც საქმის მცოდნე, კომპეტენტური ხალხი ანუ ექსპერტები შედიან, ცხადია, მეტად მოახერხებს ზეწოლას კონკრეტულ წევრზე, ვიდრე არაექსპერტთა ჯგუფი. მეოთხე - კოჰესიური ანუ მჭიდრო ჯგუფები თავისადმი მეტ კონფორმულობას აღწევენ, ვიდრე ნაკლებად კოჰესიური. მჭიდრო ჯგუფებისადმი დამახასიათებელია ახლობლობის, მეგობრობისა და ძმობის განცდა (მ. ბალიაშვილი. სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბ., 2010)

კვლევის მიმდინარეობა და შედეგები

ექსპერიმენტი ჩატარდა ყველა წესის დაცვით. შერჩეული იყო ხუთი ცრუ ცდისპირისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლებთანაც წინასწარ შევათანხმეთ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. გავაცანით ტესტები და ისინი წინასწარ შეთანხმებულ არასწორ პასუხებს ამბობდნენ ექსპერიმენტის დროს. ცდისპირთა კონფიდენციალურობა დაცული იყო. ექსპერიმენტის წესებიდან გამომდინარე, თავდაპირველად ვეუბნებოდით, რომ კვლევა ტარდებოდა ვიზუალურ აღქმასთან დაკავშირებით, ხოლო ტესტების დასრულების შემდეგ ვეუბნებოდით რეალური კვლევის მიზანს და მათ შედეგს. არცერთ მათგანს არ გამოუთქვამს ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილება, პირიქით, ისინი თვლიდნენ, რომ ეს იყო სახალისო და აღიარებდნენ მათ მიერ მიღებულ შედეგს.

კვლევა პირველად ჩაუტარდათ სამართალმცოდნეობის სტუდენტებს, 15-გოგონა და 15- ვაჟი (დანართი1). აქ მკვეთრად გამოიხატა განსხვავება სქესს შორის, კერძოდ, მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ავლენდენ კონფორმულობას, ვიდრე მდედრობითი. საერთო ჯამში, 50% (15 სტუდენტი) ავლენდა სრულ კონფორმიზმს, ანუ ყველა ტესტზე იძლეოდა ისეთ პასუხს, როგორსაც ხელოვნურად შექმნილი ჯგუფი. 30% (9 სტუდენტი) არ ავლენდა სრულ კონფორმიზმს, ისინი კითხვების დაახლოებით ნახევარს სცემდნენ ისეთ პასუხს, როგორსაც სხვები. 20% (6 სტუდენტი) საერთოდ არ ავლენდა კონფორმიზმს, ისინი არ ექცეოდნენ ჯგუფის გავლენის ქვეშ.

განსხვავებული მდგომარეობა იყო საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებთან (დანართი 2). აქ თითქმის არ არსებობდა სქესთა შორის განსხვავება, ისინი თანაბარად ავლენდენ კონფორმულობას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აქ უფრო მეტად კონფორმულები არიან სტუდენდები, ვიდრე სამართალმცოდნეობაზე. გამოკითხულთა 70% - მა (21 სტუდენტი) გამოავლინა სრული კონფორმიზმი. 30% (9 სტუდენტი) არ ავლენდა სრულ კონფორმიზმს.

დასკვნა

კვლევამ გამოავლინა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა მნიშვნელოვნად ავლენს კონფორმიზმს. ისინი ირჩევდნენ ზემოთხსენებული სოციალური გავლენის ერთ-ერთ ფორმას - დამთმობლობას. კერძოდ, ცდილობდნენ თავიდან აერიდებინათ ჯგუფის უარყოფითი რეაქცია, ხშირად ამბობდნენ, რომ არ სურდათ განსხვავებული პასუხის გაცემა, რადგან ფიქრობდნენ, რომ ამით გახდებოდნენ დაცინვის ობიექტი. ზოგიერთ მათგანს აკვირვებდა ცრუ ცდისპირების

მიერ გაცემული არასწორი პასუხები, აპროტესტებდნენ ამას, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ექცეოდნენ გავლენის ქვეშ.

ბიბლიოგრაფია

1. მ. ბალიაშვილი. სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. გამომცემლობა „მწიგნობარი,“თბ., 2010

2. თ. ზუბიტაშვილი (2017, 24 თებერვალი) – „ რა არის კონფორმიზმი ?“

http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/82866-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/93/?fbclid=IwAR1JjBxOpsZ5NcyaSBIsEe_dguLv9N7WkIw0zAjfDMPs-53AoEgAJsAauLU

(დანართი1)

სამართალმცოდნეობა	გოგონები ცდისპირი 1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 კითხვა	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
მე-2	+	+	-	+	-	-	+	+	+	+	-	-	+	-	-
მე-3	+	+	-	+	+	-	+	-	+	+	-	-	+	-	-
მე-4	+	+	-	-	+	-	+	-	-	+	-	-	+	-	-
მე-5	+	+	+	-	+	+	-	-	-	+	-	-	+	-	-
მე-6	+	+	+	-	+	+	+	+	-	+	-	-	+	-	-

საერთაშორისო ურთიერთობები	გოგონები ცდისპირი 1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
კითხვა 1	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
მე-2	+	-	+	-	-	+	-	+	+	+	+	+	-	+	+
მე-3	+	+	+	-	-	+	-	+	+	+	+	+	-	+	+
მე-4	+	+	+	-	-	+	-	+	+	+	+	+	-	+	+
მე-5	+	+	+	-	-	+	-	+	+	+	+	+	-	+	+
მე-6	+	+	+	-	-	+	-	+	+	+	+	+	-	+	+

საერთაშორისო ურთიერთობები	ვაჟები ცდისპირი 1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
კითხვა 1	-	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
მე-2	+	+	+	-	-	+	-	-	+	-	+	+	+	-	+
მე-3	+	+	+	-	-	+	-	-	+	-	+	+	+	+	+
მე-4	+	+	+	-	-	+	-	-	+	-	+	+	+	+	+
მე-5	+	+	+	-	-	+		-	-	-	+	+	+	+	+
მე-6	+	+	+	-	-	+	-	-	+	-	+	+	+	+	+

„+“ _ მოექცა ჯგუფის ზეგავლენის ქვეშ

„-„ - არ მოექცა ჯგუფის ზეგავლენის ქვეშ

„+“ _ მოექცა ჯგუფის ზეგავლენის ქვეშ

„-„ - არ მოექცა ჯგუფის ზეგავლენის ქვეშ

(დანართი2)


რომელ ფორმას მივიღებთ
ქაღალდის მოკეცვის შემდეგ?
1
2
3
4

რამდენი ფერია
წარმოდგენილი?
ა. 4
ბ. 5
გ. 8
დ. 14


რომელი ავსებს
მართკუთხედს?
?
1
2
3
4


რომელი ხინკალი არის კარტოფილის?
1
2
3
ა. 1
ბ. 2
გ. 3
დ. ყველა ერთნაირია


რომელი ხაზია იდენტური ზომის?
1. 2. 3.


რას ხედავ წრეში?
ა. 8
ბ. პანდა
გ. სპამი
დ. არაფერი

Abstract

Conformity implies appropriate behavior of social expectations and Opinions that cause ongoing pressure from individuals or groups. Conformity can be considered: 1) in relation to the norms of society 2) as individual or group pressure. The purpose of our case study is to determine whether the referent (1) or ordinary, community group influences students. We think conformism is one of the important and urgent social issues. It is a force that acts on society sometimes positively, sometimes negatively. Students from two specialties, namely Law and International Relations, 30-30 each were selected for the study. Both faculties represented: 50% female, 50% male. Age: 19 to 21 years. For example, we took similar tests of the Solomon Ech Line experiment (Appendix 3). Experiments were conducted in a specially organized artificially created environment (laboratory experiment) which It was conducted in accordance with the research ethics norms. Frequently asked questions were provided with the help of a slide presentation. (1) Referent group - this is a group .Which people's views are respected (political group, party), groups that people aspire to join, and groups .With whom loyalty (family) is associated. (2) The purpose of the Solomon Esh-Solomon Esh experiment was to determine how the social influence of the majority of the group affects human conformist behavior. The laboratory experiment used the "line test" to study conformism.

Keywords: behavior, conformism, international relations, experiment,Influence.

MN ჯგუფური სისტემის გავრცელების თავისებურებანი დონორებში

ჯილდა გობაძე
ბსუ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ანდაცვის ფაკულტეტი,
ბიოლოგია, მეოთხე კურსი.
ელ. ფოსტა: jildagobadze1996@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა ნაგერვაძე - ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
ლეილა ახვლედიანი-ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ცნობილია, რომ სისხლის ჯგუფების დამემკვიდრება მტკიცე გენეტიკური საფუძვლებითაა განპირობებული. დღეისთვის სულ გამოყოფილია 25-მდე ერითროციტური ჯგუფური სისტემა, რომლებშიც 300-მდე ანტიგენია გავრცელებული. არსებული მონაცემები და სისხლის ერითროციტური ჯგუფური სისტემა კვლევის საინტერესო ობიექტს წარმოადგენს მისი მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე.

ჩვენს მიერ კვლევის ობიექტად აღებული იქნა 63 დონორთა სისხლი, სადაც შესწავლილი იქნა ერითრიციტური MN ჯგუფური სისტემა. MN ჯგუფური სისტემის გავრცელების თავისებურებების დასადგენად ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა იმუნოსეროლოგიაში აპრობირებული ექსპრეს მეთოდი ანტი-M და ანტი-N მონოკლონურ ანტისხეულების გამოყენებით.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს განისაზღვროს MN ჯგუფური სისტემის გავრცელების თავისებურება დონორებში. გარდა ამისა კვლევა მოიცავს MN და ABO ჯგუფური სისტემების კომბინაციების შესწავლა. გამოყოფილი იქნა სხვადასხვა ფენოტიპური კომბინაცია და დადგინდა დონორთა მაღალი პოლიმორფულობა აღნიშნული ნიშნის მიხედვით.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნიული მიმართულებით კვლევების გაგრძელება საინტერესო კლინიკურ მონაცემებამდე მიგვიყვანს, რითაც აუცილებლად დაინტერესდებიან დარგის სპეციალისტები.

საკვანძო სიტყვები: ერითროციტი, დონორი, MN ჯგუფი.

შესავალი

თემის აქტუალობა. სამეცნიერო თვალსაზრისით საინტერესო კვლევის ობიექტს წარმოადგენს სისხლის დონორთა ბიოლოგიური მასალა. მისი შემადგენლობა და ჯგუფური ანტიგენების გავრცელების თავისებურება დიდ ინტერესს იწვევდა და დღესაც იწვევს მეცნიერთა ფართო წრეში, თუმცა ამის მიუხედავად სრულყოფილად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, რაც განპირობებულია თვით საკვლევი ობიექტის სირთულით. პირველ რიგში რათქმა უნდა სისხლის ტრანსფუზიისთვის საჭიროა ერითროციტური ანტიგენების განსაზღვრა დონორ–რეციპიენტში. დღეისთვის ცნობილი 25 ერითროციტური ჯგუფური სისტემიდან, რომელშიც 300-მდე ანტიგენია გავრცელებული გვხვდება სისტემები, რომლებიც მეტნაკლებად შესწავლილია. მაგალითად ასეთ სისტემებად შეიძლება მივიჩნიოთ: ABO, Kell, Rh და სხვა. მიუხედავად ამის გვხვდება ერითროციტური ჯგუფური სისტემები, რომელთა სკრინინგი დონორებში ხშირ შემთხვევაში არ ხდება. მათი გავრცელების თავისებურებების შესწავლა საინტერესო კლინიკურ სურათს მოგვცემს. ერთ-ერთ ასეთ სისტემას სწორედ MN სისხლის ჯგუფი წარმოადგენს.

საკვლევ ობიექტად MN სისტემის არჩევის მიზეზი გახდა ის მწირი ინფორმაცია მის შესახებ, რაც დიდი ინტერესის მიზეზს წარმოადგენს ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის და უბიძგებს შეისწავლონ სრულყოფილად. კვლევის მიზნად კი დავისახეთ განვსაზღვროთ MN ჯგუფური სისტემის გავრცელების თავისებურებანი დონორებში. ამასთანავე მოვახდინოთ მისი შედარება ABO სისტემასთან, რაც მონაცემებს კიდევ უფრო საინტერესოს და მრავალმნიშვნელოვანს ხდის.

ჩემთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს განვახორციელო MN ჯგუფური სისტემის შესწავლა სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით, შევაგროვო მონაცემები და მივიღო სტატისტიკა მისი გავრცელების კანონზომიერების შესახებ.

თავი I. ლიტერატურული მიმოხილვა

I.1. ერითროციტების ჯგუფური ანტიგენების კლასიფიკაცია

ერითროციტების ჯგუფური ანტიგენების კლასიფიკაცია: 1980-1985 წწ. ტრანსფუზიოლოგების [International Society of Blood Transfision (ISBT)] საერთაშორისო საზოგადოების ნომენკლატურის კომისიით დამუშავებულია ჯგუფური ერითროციტების ანტიგენების უნივერსალური ნომენკლატურა, რომელიც უფრო მოსახერხებელია თანამედროვე კომპიუტერული აღრიცხვისთვის. ახალი

ნომენკლატურა არ უარყოფს არსებულ აღნიშვნებს და პარალელურად სარგებლობს მისით [3].

ერითროციტების ჯგუფური ანტიგენები გაყოფილია 3 დიდ კატეგორიად: 30 სისტემა, 2 კოლექცია და 2 სერია (ცხრ.1.)

			მაკონტროლებელი გენი			
დასახელება	სიმბოლო	ნომერი	აღნიშვნა	ლოკალიზაცია	ანტიგენების რიცხვი	დიფერენციაცია კლასტერი
			სისტემა			
ABO	ABO	001	ABO	9q34.2	4	
MNS	MNS	002	GYPA, -B,-E	4q31.21	46	CD235
P	P1	003		22q11.2-qter	7	
Rh	RH	004	RHD, RHCE	1p36.11	51	CD240
Lutheran	LU	005	LU	19q13.32	19	CD239
Kell	KEL	006	KEL	7q34	31	CD238
Lewis	LE	007	FUT3	19p13.3	6	
Duffy	FY	008	DARC	1q23.2	6	CD234
Kidd	JK	009	SLC14A1	18q12.3	3	
Diego	DI	010	SLC4A1	17q21.31	21	CD233
Yt	YT	011	ACHE	7q22.1	2	
Xg	XG	012	XG,M1C2	Xp22.33	2	CD99
Scianna	SC	013	ERMAP	1p34.2	7	
Dombrock	DO	014	ART4	12P12.3	6	CD297
Colton	CO	015	AQP1	7p14.3	3	
Landsteiner-Wiener	LW	016	1CAM4	19P13.2	3	CD242

ცხრილი 1. ერითროციტების ჯგუფური ანტიგენები

Chido/Rodgers	CH/RG	017	C4A, C4B	6p21.3	9	
H	H	018	FUT1	19q13.33	1	Cd173
Kx	XK	019	XK	Xp21.1	1	
Gerbich	GE	020	GYPC	2q14.3	8	CD236
Cromer	CROM	021	CD55	1q32.2	15	CD55
Knops	KN	022	CR1	1q32.2	9	CD35
Indian	IN	023	CD44	11p13	4	CD44
Ok	OK	024	BSG	19p13.3	1	CD147
Raph	RAPH	025	CD151	11p15.5	1	CD151
John Milton Hagen	JMH	026	SEMA7A	15q24.1	5	CD108
I	I	027	GCNT2	6p24.2	1	
Globoside	GLOB	028	B3GALT3	3q26.1	1	
Gill	GIL	029	AQP3	9p13.3	1	
RHAG(Rh-ac-ასოცირებული გლიკოპროტე-ინი)	RHAG	030	RHAG	6p21-qter	3	CD241
კოლექცია						
Cost	COST	205			2	
Ii	Ii	207			1	
Er	ER	208			3	
Globo	GLOB	209			2	
Hასოცირებული	Le^c, Le^d	210			2	
Vel		211			2	
სერიები						
სერია 700	701-დან				21	
სერია 900	901-დან				9	

I.2 ერითროციტური MN ჯგუფური სისტემა

MN ჯგუფური სისტემა აღმოჩენილი იქნა 1927 წელს ლანდშტაინერისა და ვინერის მიერ. ABO სისტემის სხვადასხვა ჯგუფის იმუნიზაციით ავტორებმა ბოცვრებში მიიღეს ჰეტეროიმუნური ანტისხეულები, რომლებიც იწვევდნენ ამა თუ იმ ინდივიდის სისხლის ერითროციტების აგლუტინაციას ABO სისტემის ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ეს ახალი ანტიგენები შემდგომში წოდებული იქნა M და N ანტიგენებად. ამ გენების მემკვიდრეობის თავისებურების შესახებ ავტორების მიერ გამოთქმული იქნა შემდეგი ჰიპოთეზა, რომ გენები ავტოსომურ-დომინანტური ტიპით მემკვიდრეობს. ცნობილია, რომ MN სისტემის ანტიგენების ლოკუსი მოთავსებულია მეოთხე ქრომოსომაში (4q28-q28). მეცნიერების მიერ დადგინდა, რომ MN სისხლის ჯგუფის ანტიგენები ქიმიური თვალსაზრისით მიეკუთვნებიან გლიკოფორინ-A-ს [5,6].

აღნიშნული სისტემის ანტიგენების გავრცელების თავისებურება ცხოველთა სამყაროში არასაკმარისადაა შესწავლილი. დღეისათვის მოგვეპოვება მონაცემები, სადაც M და N ანტიგენები აღმოჩენილია ზოგიერთ უხერხემლოებში. გარდა ამისა M და N ანტიგენების არსებობა შემჩნეულია ადამიანის ზოგიერთ ქსოვილზე. მსოფლიო პოპულაციაში საკმაოდ დაწვრილებითაა შესწავლილი M და N ანტიგენების გავრცელების სიხშირე. მათი გავრცელების საშუალო სიხშირე მერყეობს 0,4_დან 0,7_მდე. M ანტიგენი ძირითადად დაბალი სიხშირით (0,2) გვხვდება ახალი გვინეისა და ავსტრალიის ზოგიერთ რაიონში. ამ ანტიგენის ძალიან მაღალი სიხშირე აღინიშნება ჩრდილო აღმოსავლეთ ციმბირსა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, რაც შეეხება ევროპის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში ამ გენის სიხშირე 0,5_ის ტოლია. N გენის მაქსიმალური კონცენტრაცია მსოფლიოს მასშტაბით ერთს აღწევს, მინიმალური კი 0,006_ს [8,10].

აღნიშნული ანტიგენების გავრცელების სიხშირე საკმაოდ კარგადაა შესწავლილი აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის მაგალითზე [1,2,7].

ლიტერატურაში დაფიქსირებულია მწირი მონაცემები MN სისტემის ანტიგენების ასოციაციის შესახებ ზოგიერთი სახის დაავადებებთან, კერძოდ, MN ანტიგენების მომატებული სიხშირე აღინიშნება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში. მწვავე პნევმონიით ხშირად ავადდებიან MN ფენოტიპის მატარებელი ბავშვები. კოლოდჩენკომ თანამშრომლებთან ერთად შეამჩნია M ფენოტიპის მომატებული სიხშირე ათეროსკლეროზით დაავადებულებში. მისი აზრით, N ფენოტიპური ჯგუფი გაცილებით ხშირად გვხდება ოსტეოქონდროზით დაავადებულ პირებში, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში [4].

გარდა ამისა, ნაჩვენები იქნა ასოციაცია სისხლის სისტოლურ წნევასა და MNSs სისტემას შორის. კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ MN ფენოტიპის მატარებელ მამაკაცებში აღინიშნება მნიშვნელოვნად მაღალი სისტოლური და დიასტოლური წნევა, ვიდრე MM ან NN ჰომოზიგოტებში.

შენიშნულია აგრეთვე M ჯგუფის მატარებლების განსაკუთრებული მიდრეკილება ალკოჰოლის მიმართ. MN სისხლის ჯგუფის მატარებლობა აორტის ანევრიზმით დაავადებულებში მაღალი სიხშირითაა წარმოდგენილი.

მკვლევართა ერთი ჯგუფის მიერ MN სისტემის ანტიგენებზე გამოკვლეული იქნა 155 ალერგიული და არაალერგიული ასთმით დაავადებული ბავშვი. მათ მიერ შესწავლილი იქნა აგრეთვე იგივე ასაკის საკონტროლო ჯგუფი (ჯანმრთელი ბავშვები) კვლევისას დაფიქსირდა M ფენოტიპის დადებითი კორელაცია არაალერგიულ ასთმასთან, როცა N ანტიგენი უფრო ხშირად წარმოდგენილი იყო ალერგიული ასთმით დაავადებულ ბავშვთა ერითროციტების მემბრანის ზედაპირზე [9].

Kell სისტემის ანტიგენების მსგავსად MN სისტემის ანტიგენების კორელაციური კავშირები არაა დაფიქსირებული ფილტვის ტუბერკულოზთან და ვირუსულ ჰეპატიტებთან [1].

თავი II. კვლევის მასალა და მეთოდიკა

კვლევის მასალად აღებული იქნა 63 დონორის სისხლი. მასალა მოწოდებული იქნა ქ. ბათუმის შპს ჯამრთელობის ცენტრ მედინას დიაგნოსტიკური ლაბორატორიიდან, მასალის ლაბორატორიული ანალიზი განხორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმუნოგენეტიკის ლაბორატორიის ბაზაზე. მასალა მოწოდებული იქნა ბიოეთიკის ნორმების სრული დაცვით. ერითროციტური M და N ჯგუფსპეციფიკური ანტიგენების გამოვლენის მიზმნით გამოყენებული იქნა დონორთა ერითროციტული მასა (სურათი 1).

სურათი 1. დონორთა სისხლი.

კვლევისას გამოყენებული იქნა იმუნოსეროლოგიაში აპრობირებული ექსპერს მეთოდი, მუშაობისას გამოყენებული იქნა ანტი-M და ანტი-N მონოკ-ლონური ანტისხეული (სურათი 2).



სურათი 2. ანტი-M და ანტი-N მონოკლონური ანტისხეული.

აღნიშნულ მონოკლონების გამოყენებით ვახდენდით დონორთა ფენოტი-პირებას სამ ჯგუფში. მეთოდი დაფუძნებულია თანამოსახელე და ანტიგენ-ანტისხეულის აგლუტინაციის პრინციპზე.

- კერძოდ იმ შემთხვევაში თუკი დონორთა სისხლი აგლუტინირდებოდა მხოლოდ ანტი-M მონოკლონურ ანტისხეუთან ის მიკუთვნებული იქნა M ფენოტიპურ ჯგუფს MM გენოტიპით (სურათი 3).



სურათი 3. M ფენოტიპური ჯგუფი

- თუკი დონორთა სისხლი აგლუტინირდებოდა მხოლოდ ანტი N მონოკ-ლონურ ანტისხეულთან ის მიკუთვნებული იქნა N ფენოტიპურ ჯგუფს NN გენოტიპით (სურათი 4);



სურათი 4. N ფენოტიპური ჯგუფი.

- იმ შემთხვევაში კი როცა დონორთა სისხლი აგლუტინირდებოდა ორივე მონოკლონის შემთხვევაში ის მიკუთვნებული იქნა MN ფენოტიპურ ჯგუფს შესაბამისი კოდომინანტური MN გენოტიპით (სურათი 5);



სურათი 5. MN ფენოტიპური ჯგუფი

თავი III. მიღებული შედეგები და მათი განსჯა

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კვლევის მასალად აღებული იქნა 63 დონორის სისხლი. მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით ვახდენდით ერითროცი-ტური ჯგუფური ანტიგენების სკრინინგს (ცხრილი 2)

	სახელი გვარი	აღების თარიღი	ABO ჯგუფი	MN ჯგუფი
	ა.თ	13.11.2018	A	MN
	მ.შ	13.11.2018	O	N
	ვ.დ	13.11.2018	O	M
	შ. მ	13.11.2018	AB	MN
	ნ.ს	13.11.2018	A	M
	ა.დ	13.11.2018	O	MN
	ზ.ბ	14.11.2018	O	MN
	ი.მ	14.11.2018	O	MN
	ბ.ა	14.11.2018	O	M
	ი.ფ	14.11.2018	O	MN
	ი.ნ	14.11.2018	A	MN
	ი.ბ	14.11.2018	O	MN
	ლ.თ	14.11.2018	A	M
	ზ.ჭ	14.11.2018	O	M
	რ.მ	14.11.2018	A	MN
	შ.თ	14.11.2018	O	MN
	მ.ყ	14.11.2018	O	N
	ი.ბ	14.11.2018	O	MN
	ა.ჯ	14.11.2018	A	M
	მ.დ	14.11.2018	O	MN
	ზ.თ	22.11.2018	A	M
	ქ.ჭ	22.11.2018	AB	N
	მ.მ	22.11.2018	O	MN
	ზ.ბ	22.11.2018	O	M
	რ.ხ	22.11.2018	O	MN
	მ.ბ	22.11.2018	O	M
	ვ.ზ	22.11.2018	O	M
	ნ.მ	22.11.2018	O	M

	თ.კ	22.11.2018	A	MN
	ზ.ჩ	22.11.2018	B	M
	კ.უ	22.11.2018	O	M
	ჰ.დ. რ	22.11.2018	A	MN
	დ.ჭ	22.11.2018	A	M
	მ.ფ	22.11.2018	O	N
	გ.ზ	22.11.2018	B	M
	ა.ყ	22.11.2018	O	M
	ზ.ხ	22.11.2018	B	M
	ე.ჩ	22.11.2018	B	MN
	ფ.მ	22.11.2018	O	M
	გ.დ	27.11.2018	AB	M
	გ.ხ	27.11.2018	B	MN
	ჯ.დ	27.11.2018	B	M
	მ.მ	27.11.2018	A	M
	გ.ე	27.11.2018	B	M
	ლ.მ	27.11.2018	A	MN
	გ.დ	27.11.2018	B	MN
	ლ.ჩ	27.11.2018	O	N
	ზ.კ	27.11.2018	AB	N
	მ.მ	27.11.2018	O	MN
	დ.ვ	27.11.2018	O	MN
	რ.შ	27.11.2018	A	N
	პ.გ	27.11.2018	A	MN
	ტ.კ	27.11.2018	A	MN
	გ.ა	27.11.2018	O	MN
	ლ.ც	27.11.2018	O	MN
	ჯ.ხ	27.11.2018	A	MN
	მ.მ	27.11.2018	O	MN
	ნ.ლ	27.11.2018	O	M
	გ.ზ	19.03.2019	O	MN
	ვ.დ	19.03.2019	A	M
	გ.ტ	19.03.2019	A	N
	ნ.ც	19.03.2019	O	MN
	ე.ხ	19.03.2019	O	N

ცხრილი 2. ABO და MN ჯგუფური სისტემის ანტიგენების სკრინინგ მონაცემები

კვლევის შედეგად დადგენილი იქნა MN ჯგუფური სისტემის გავრცელების სიხშირე M, N და MN ფენოტიპის მიხედვით (დიაგრამა 1). მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დონორებში MN ჯგუფური სისტემის გავრცელების თავისებურებებიდან გამომდინარე დომინირებს MN ფენოტიპის სისხლის ჯგუფი, რომელიც დონორთა 48%-ს შეადგენს. რაოდენობრივი თვალსაზრისით MN ფენოტიპური ჯგუფის შემდგომ დონორებში უფრო მეტად გავრცელებულია M ფენოტიპური ჯგუფი. ეს უკანასკნელი დონორთა 38%-ში გვხვდება, ხოლო N ფენოტიპური ჯგუფი ყველაზე მცირე რაოდენობითაა გავრცელებული და დონორთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 14 %-ში აღინიშნება.



დიაგრამა 1. MN ჯგუფური სისტემის გავრცელების თავისებურება შესწავლილ დონორებში.

როგორც ცნობილია ABO სისტემის მიხედვით გამოყოფილია სისხლის ოთხი ძირითადი ჯგუფი. მისი დამემკვიდრების და გავრცელების სიხშირე დონორებში შემდეგი სახისაა: O-52%, A-29%, B-13% და AB-6% (დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. ABO სისტემის ფენოტიპების გავრცელების თავისებურებანი შესწავლილ დონორებში.

MN ჯგუფური სისტემის და ABO ჯგუფური სისტემის რაოდენობრივი განსაზღვრით და ურთიერთშედარებით დგინდება, რომ M ფენოტიპის მქონე დონორების 46% ABO სისტემის მიხედვით მიეკუთვნებიან სისხლის I ჯგუფს, დონორების 29% II ჯგუფს, 21% III ჯგუფს, ხოლო 4% IV ჯგუფს.

N ფენოტიპის მქონე დონორთა 56% ABO სისტემის მიხედვით ეკუთვინის I ჯგუფს, 22% II ჯგუფს, 22% IV ჯგუფს, ხოლოIII ჯგუფის მქონე დონორების რაოდენობა 0%-ს შეადგენს (დიაგრამა 3).



დიაგრამა 3. ABO და MN ჯგუფური სისტემების გვარცელების თავისებურებანი შესწავლილ დონორებში.

რაც შეეხება MN ფენოტიპის მქონე დონორებს ABO სისტემის მიხედვით გადანაწილება შემდეგი სახის აღმოჩნდა: 57% I ჯგუფი, 30% II ჯგუფი, 10% III ჯგუფი, ხოლო IV ჯგუფის სისხლი გვხვდება დონორთა 3%-ში.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილ დონორთა მცირე სამიზნე ჯგუფში შესწავლილი იქნა MN ფენოტიპების გავრცელების სიხშირე და ABO სისტემასთან მიმართებაში გამოყოფილი იქნა ფენოტიპური კომბინაციები. კვლევის შედეგად გამოვლინდა დონორთა საკმაოდ მაღალი პოლიმორფულობა აღნიშნული ნიშნის მიხედვით. გამოყოფილი თექვსმეტი კომბინაციიდან დონორებში გამოვლინდა 15 კომბინაცია. აღნიშნული მიმართულებით კვლევის გაგრძელება და მეტანალიზების ჩატარება დონორული პოპულაციის შესახებ მოგვცემდა უფრო მკაფიო და კლინიკურად მნიშვნელოვან სურათს.

გამოყენებული ლიტერატურა

1) მ. ნაგერვაძე. ერითროციტური (ABO, Rh-Hr, Kell, MN) ჯგუფური ანტიგენების გავრცელების სიხშირე აჭარის მოსახლეობაში და მათი კორელაცია ტუბერკულოზთან და ვირუსულ ჰეპატიტებთან. 2006. (სადოქტორო დისერტაცია);

2) МА Нагервадзе, МА Диасамидзе, ЛТ Ахвледиани, ГА Думбадзе, СИ Донсков. Группы крови ABO, Rh-Hr, Kell, MN среди населения Аджарии. Вестн. службы крови России. Issue 2007.

3) С.И.Донсков, В.А.Мороков-Москва 2011;

4) Колодченко 1979;

5) Тарасова Л.Н., Владимирова С.Г. Зависимость уровня антигена фактора Виллебранда от группы крови по системе ABO // Трансфузиология. – 2009. – № 1–2. – С. 62;

6) Порешина Л.П., Кузьмина Л.А., Любимова Л.С. Изменение экспрессии антигенов denovo эритроцитов реципиентов после аллогенной трансплантации костного мозга //Трансфузиология. – 2009. – № 1–2. – С. 53;

7) Marina Nagervadze, Rusudan Khukhunaishvili, Anzor Diasamidze, Marina Koridze, Guguli Dumbadze, Leila Akhvlediani. Characteristics of the Frequency Distribution of some Immunogenic Markers in the Population of the Mountain Region (Khulo) of Ajara. Bull. Georg. Natl. Acad. Sci. Volume 3, Issue 2. 2009;

8) Daniels G.L. Human Blood Groups. – 2-nd ed. – Oxford: Blackwell Science, 2002. – 560 p;

9) Bottini et al.,2005; Reid M.E., Lomas-Francis C. The Blood Group Antigen: FactsBook. – 2-nd ed. – London: Academic Press, 2004. – 561 p.

Abstract

It is acknowledged, that inheritance of blood groups is caused by firm genetic basis.Currently, 25 erythrocyte group systems are set out, in which, there are nearly 300 antigens spread out. Existing data and erythrocyte group systems represents an interesting matter of research based on its diverse nature.

For study material, there was taken 63 donor blood, in which was studied MN erythrocyte group systems. In order to determine the peculiarities of MN group systems distribution we used express method, accepted in immunoserology , by using anti-M and anti-N monoclonal antibodies.

The main aim of this study is to determine the peculiarities of MN blood group systems distribution in donors. In addition to this, study includes interaction of MN and AOB blood group systems and determines correlation connection between, based on peculiarities of distribution.

There was determined connection between MN and AOB group systems , was separated phenotype combinations and was settled high polymorphism of donors by us, according to mentioned mark.

In my opinion, study from mentioned angle lead us to absolutely interesting clinical data, thereby it will rise interest in people employed in medical field.

Key words: erythrocyte, donor, MN group.

დედის ასაკის გავლენა ახალშობილთა ზოგიერთ მორფოლოგიურ თავისებურებაზე

თამრიკო კაკალაძე, ნინო ბრეგვაძე

ბსუ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ბიოლოგიის ბაკალავრიის მეოთხე და მესამე კურსი.

ელ.ფოსტა: kakaladze.1997@mail.ru, Bregvadze9192@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა ნაგერვაძე,

ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მშობლების ასაკის კავშირის შესახებ არაერთი ლიტერატურული წყარო არსებობს. ეს განსაკუთრებით ეხება დედის ასაკს, რადგანაც როგორც ცნობილია 35 წელს ზემოთ ასაკის ქალებს ორსულობის გართულებებისა და ბავშვის სხვადასხვა პრობლემით დაბადების მეტი რისკი აქვთ. შედარებით მწირი ინფორმაცია არსებობს მამის ასაკსა და ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან კავშირის შესახებ. 2018 წელს სამაგისტრო ნაშრომი მიეძღვნა მამის ასაკის გავლენის შესწავლას ახალშობილთა მორფოლოგიურ მონაცემებზე (ლია აბულაძე) კვლევამ აჩვენა რომ ასაკის მატებასთან ერთად სპერმის ხარისხი უარესდება, იზდრება პათოლოგიების ჩამოყალიბების ალბათობა, ასევე იზრდება ახალშობილის სხვადასხვა პრობლემით დაბადების ალბათობაც. საკონფერენციო ნაშრომის მიზანი იყო შეგვესწავლა დედის ასაკის გავლენა ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხვადასხვა მორფოლოგიურ პარამეტრზე. შესაბამისად კვლევის ობიექტები გახდნენ ბათუმის იაშვილის სახელობის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტლის ახალშობილები. შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ბავშვთა 2016 წლის ანკეტური მონაცემები სულ 991 ანკეტა. საკონფერენციო ნაშრომის კვლევის სიახლე არის ის, რომ რეგიონის მასშტაბით პირველადაა შესწავლილი და გაანალიზებული დედის ასაკის გავლენა ახალშობილთა სხვადასხვა მორფილოგიური პარამეტრის ცვლილებაზე.

საკვანძო სიტყვები: ახალშობილი, დედის ასაკი, რეპროდუქცია.

შესავალი

თემის აქტუალობა. არსებობს ლიტერატურული წყაროები, რომელთა დაყრდნობითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშობლების ასაკის მატებასთან ერთად,

იცვლება სასქესო უჯრედების მომწიფების ხარისხი და მით უფრო მეტია პათოლოგიების მქონე ახალშობილების გაჩენის შანსი. მამაკაცის ასაკთან დაკავშირებულია ისეთი დაავადებების განვითარების რისკი როგორიცაა: აუტიზმი და შიზოფრენია, ხოლო დედის ასაკთან კი ისეთი დაავადებები როგორიცაა: მორისის სინდრომი, დუშენის კუნთოვანი დისტროფია, ფერთა სიბრმავე, დაუნის სინდრომი, ჰემოფილია. ამიტომ მნიშვნელოვანია მომავალ მშობლებს ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს გვიან ასაკში ბავშვის გაჩენას, და როდისაა ყველაზე ნაყოფიერი რეპროდუქციული ასაკი. აღნიშნულიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ დეტალურად შეგვესწავლა დედის ასაკის გავლენა ახალშობილთა სხვადასხვა მორფოლოგიური პარამეტრის ცვლილებაზე.

საკონფერენციო ნაშრომის კვლევის სიახლე. რეგიონის მასშტაბით პირველადაა გაანალიზებული დედის ასაკის გავლენა ახალშობილთა სხვადასხვა მორფოლოგიური პარამეტრის ცვლილებაზე (სხეულის მასა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, გესტაციის პერიოდი, ტყუპი ნაყოფების დაბადების ალბათობა და სქესის თანაფარდობა).

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია დედის ნორმალური რეპროდუქციის შესწავლა ასაკთან დამოკიდებულების მიხედვით. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი ამოცანები: ბათუმის იაშვილის სახელობის დედათა და ბავშვთა საავადმყოფოს ახალშობილთა ანკეტური მონაცემების ანალიზი და შესაძლო ასოციაციური კავშირების დადგენა დედის ასაკსა და ახალშობილთა სხვადასხვა მახასიათებლებთან, როგორიცაა სხეულის მასა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა.

კვლევის მეთოდები და მატერიალურ -ექნიკური ბაზა. კვლევისას გამოყენებული იქნა ახალშობილთა ანკეტური მონაცემების დამუშავების მეთოდი. კვლევისას გამოვიყენეთ ბათუმის იაშვილის სახელობის დედათა და ბავშვთა საავადმყოფოს საარქივო მასალა.

თავი I . ლიტერატურული მიმოხილვა

1 .1. ოოგენეზის თავისებურებები ნორმაში

ოოგენეზის თავისებურებები ნორმაში - ოოგენეზი ბერძნული სიტყვაა, ovum-კვერცხს, genesis-განვითარებას ნიშნავს. ოოგენეზში სამი პერიოდია: გამრავლების, ზრდის და მომწიფების. თითოეულ პერიოდს შეესაბამება უჯრედული ფორმები, რომელთაც აქვთ თავისი სახელწოდება, სახელდობრ 1. ოოგონიები, 2.პირველი რიგის ოოციტები, 3. მეორე რიგის ოოციტები. ოოგონიები საკვერცხის სასქესო ეპითელიუმის კამბიალური უჯრედებია, რომლებისგანაც 1-ლი და მე-2

რიგის ოოციტების სტადიების გავლით ოოგენეზის პროცესში წარმოიქმნება მომწიფებული სასქესო უჯრედები - კვერცხუჯრედები (მდედრობითი). ოოგონიები შეიცავს ქრომოსომათა დიპლოიდურ ნაკრებს. ისინი მიტოზით ინტენსიურად იყოფა. შემდგომში ოოგონიები მიტოზით გაყოფას წყვეტს და მომდევნო პერიოდში - ზრდის პერიოდში გადადის. 1-ლი რიგის ოოციტები ოოგონიებიდან განვითარებული მდედრობითი სასქესო უჯრედებია, რომლებიც ოოგენეზის ზრდის პერიოდში არიან. მათ ახასიათებთ ქრომოსომათა დიპლოიდური რიცხვი. ზრდის პერიოდში 1-ლი რიგის ოოციტების ბირთვებში გამოვლინდება ქრომოსომები, რაც ერთ-ერთი ნიშანია ოოციტების მომზადების მომწიფების გაყოფისადმი. მეიოზური, რედუქციული გაყოფისადმი, რომლის შედეგად 1-ლი რიგის დიპლოიდური ოოციტისგან წარმოიქმნება მე-2 რიგის ჰაპლოიდური ოოციტი და მიმართებითი სხეულაკი.

მე-2 რიგის ოოციტები მდედრობითი სასქესო უჯრედებია, რომლებიც მომწიფების პირველი გაყოფის შედეგად 1-ლი რიგის ოოციტებიდან წარმოიქმნებიან. 1-ლი რიგის ოოციტებისგან განსხვავებით, მათ აქვთ ჰაპლოიდური ნაკრები. მოკლე ინტერფაზის შემდეგ, მე-2 რიგის ოოციტები იყოფა მომწიფების მეორე გაყოფით და წარმოიქმნება მწიფე კვერცხუჯრედი და მიმართებითი სხეულაკი.



სურათი.1-ოოგენეზის სქემა.

ოოგონიების გამრავლების პერიოდი ხორციელდება ჩანასახოვან პერიოდში, როდესაც ჩანასახის საკვერცხეებში მიმდინარეობს ოოგონიების ინტენსიური მიტოზური გაყოფა და პირველადი ფოლიკულების ჩამოყალიბება ზრდის პერიოდი მიმდინარეობს მოფუნქციონირე საკვერცხეში და გამოიხატება გოგონას დაბადების შემდეგ პირველადი ფოლიკული ოოგონიის გარდა ქმნით პირველი რიგის ოოციტად, შემდეგ კი-გრააფის მწიფე ბუშტუკისებრ ფოლიკულში. მესამე პერიოდი- მომწიფების პერიოდი, როგორც წესი, მიმდინარეობს ოვულაციის შედეგად საკვერცხიდან გამოსული პირველი რიგის ოოციტში, მეოთხე პერიოდი ოოგენეზში სპერმატოგენეზისაგან განსხვავებით არ არის.

მომწიფების პერიოდში 1 რიგის ოოციტიდან პირველი გაყოფის შედეგად წარმოიქმნება ჰაპლოიდური უჯრედები: მეორე რიგის ოოციტი, პირველი მიმართებითი სხეულაკი და პირველადი პოლარული უჯრედი. მომწიფების მეორე გაყოფის შედეგად მეორე რიგის ოოციტიდან წარმოიქმნება კვერცხუჯრედი და მეორე რიგის მიმართებითი სხეულაკი. ამრიგად, პირველი რიგის ერთი ოოციტიდან ვითარდება ერთი კვერცხუჯრედი და მიმართველი სხეულაკი, რომელიც დეგენერირდება. რედუქციული გაყოფის შედეგად მიღებულ მე-2 რიგის ოოციტებს ჰაპლოიდური ქრომოსომების ნაკრები.

თუ სპერმატოგონიების გამრავლების პერიოდი იწყება სქესობრივი მომწიფების ასაკში და გრძლდება მამაკაცის მთელი სქესობრივი აქტივობის პერიოდში, ოოგენეზის გამრავლების პერიოდში მიმდინარეობს მხოლოდ ჩანასახში და ბოლოვდება დაბადების მომენტისთვის. საბოლოო მომწიფების პერიოდი მიმდინარეობს კვერცხუჯრედის საკვერცხიდან გამოსვლის შემდეგ. სასქესო უჯრედების საბოლოო მომწიფება მიმდინარეობს მეიოზის პერიოდში. ამ პროცესის აცილებელი პირობაა ოვულაცია (ი. გაჩეჩილაძე, 1994წ.).

1.2. ოოგენეზის თავისებურებები პათოლოგიაში

ოოგენეზი მიმდინარეობს საკვერცხეში. ოოგენეზის ნორმალური მიმდინარეობა დამოკიდებულია მდედრის სასქესო გზების ჯანმრთელობასა და სრულყოფილებაზე. ხშირად ოოგენეზის დარღვევის მიზეზი სასქესო ორგანოების განუვითარებლობა ან არასრულყოფილება, ჰორმონალური დარღვევები, გარემოს სხვადასხვა ბიოლოგიური და ქიმიური ფაქტორებია. ძილის რეჟიმმა, კლიმატურმა პირობებმა, კვებამ, ცხოვრების წესმა შესაძლებელია შეცვალოს ოოგენეზის პროცესი დადებითად ან უარყოფითად. ოოგენეზის დარღვევებს ხშირად იწვევს ავიტამინოზი, ხშირი და ხანგრძლივი დიეტა, ჰორმონალური დარღვევები, ფსიქიკური ტრამვა, შიში, სტრესი, ინფექციური დაავადება, გინეკოლოგიური ჩარევა, ღვიძლის დაავადებები, სიმსუქნე, გენეტიკური განწყობა, კონტრაცეპტი-

ვების ხშირი გამოყენება, ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი. ოოგენეზის მიმდინარეობა და საკვერცხის ნორმალური ციკლი დამოკიდებულია ოთხ ჰორმონზე: 1.ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონი FSH, 2.მალუთეინიზირებელი ჰორმონი LH, 3. ესტროგენი, 4. პროგესტერონი. ოოგენეზის პირდაპირ კავშირშია ჰორმონალურ ბალანსთან ორგანიზმში. 30 წლის შემდეგ ქვეითდება საკვერცხეების აქტივობა, რაც ამა თუ იმ ჰორმონების არასაკმარის გამომუშავებას იწვევს, ასაკთან ერთად აღარ ხდება ოოგენეზის და ოვულაციის პროცესი.

საკვერცხეების დისფუნქცია, ზოგჯერ საკვერცხეში ნორმალურ ფუნქციონირებასთან ერთად (სურ.2) გამოწვეულია ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზის სისტემაში ჰორმონების სინთეზის დარღვევა, მალუთეინიზირებელი და ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონები გამოიყოფა მცირე ან ძალიან დიდი რაოდენობით ან ირღვევა მათი თანაფარდობა, ამის გამო ირღვევა ფოლიკულის მომწიფება, კვერცხუჯრედი ან არ მწიფდება ან სიცოცხლის უუნაროა. ადრეული კლიმაქსი, ქალის კლიმაქსის საშუალო ასაკი 50-55 წელია, მაგრამ ზოგიერთ ქალს გარკვეული მიზეზების გამო კვერცხუჯრედების „მარაგი“ ეწურება ადრე და მენსტრუაციული ციკლი წყდება 40-45 წლის ასაკში.



სურ.2 ჰორმონების ნორმალურ მდგომარეობაში გამოყოფა

ოოგენეზის ყველაზე ხშირი და მძიმე გამოვლინებაა დარღვევები ქრომოსომულ აპარატში. ოოგენეზის დროს ქრომოსომული აპარატის დარღვევებით

გამოწვეული დაავადებებია: დაუნის სინდრომი (ოოგენეზის დროს 21-ე ქრომოსომაში ერთით მეტი ქრომოსომის გაჩენა), ედვარდსის სინდრომი (ოოგენეზის დროს მე-18 ქრომოსომაში ერთით მეტი ქრომოსომის გაჩენა), პატაუს სინდრომი (ოოგენეზის დროს მე-13 ქრომოსომაში ერთით მეტი ქრომოსომის გაჩენა), კატის კნავილი და კურდღლის ტუჩი (ოოგენეზის დროს მე-5 ქრომოსომაში კიდურა ნაწილის დაკარგვა-დელეცია) და ასე შემდეგ.

ამრიგად, ოოგენეზის პროცესი პათოლოგიაში განაპირობებს მრავალ დაავადებას, პათოლოგიური ორგანიზმების შობასა და ხშირ შემთხვევაში სახეობის უნაყოფობას. (ა.შათირიშვილი, 2015წ).

თავი II. კვლევის მასალა და მეთოდიკა

2.1. კვლევის მასალა და ობიექტი.

დედის ასაკის გავლენის შესასწავლად ახალშობილთა სხვადასხვა მორფოლოგიურ მახასიათებლებზე გამოკვლეული იქნა ქ. ბათუმის იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს ახალშობილთა ანკეტური მონაცემები. შესწავლილი და გაანალიზებული იქნა 2016 წლის მონაცემები. სულ გაანალიზებულია 991 ახალშობილის ანკეტური მონაცემი.

ახალშობილთა ანკეტური მონაცემების დამუშავება. 2016 წელს ბათუმის იაშვილის სახელობის დედათა და ბავშვთა ცენტრალურ ჰოსპიტალში დაიბადა 991 ბავშვი. ახალშობილთა დედები დაყოფოლი იქნა ორ სამიზნე ჯგუფად 40 წლამდე და 40 წლის შემდეგ. გაანალიზებული იქნა თითოეული ასაკობრივი ჯგუფის დედების ახალშობილები შემდეგი მორფოლოგიურ პარამეტრების მიხედვით: წონა, სიმაღლე, თავის გარშემოწერილობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტყუპი ნაყოფის რაოდენობა, სქესის თანაფარდობა, გესტაციის პერიოდი. ასევე გაანალიზებული იქნა დროული და ნაადრევი მშობიარობის კავშირი დედის ასაკთან. მოვახდინეთ პროცენტული გადაანგარიშება და ცდომილების გამოთვლა.

თავი III. მიღებული შედეგები და მათი ანალიზი

3.1. 2016 წლის ახალშობილთა ანკეტური მონაცემების დამუშავების შედეგი

2016 წელს სულ დაიბადა 991 ბავშვი. ახალშობილთა მამები დაყოფოლი იქნა ორ სამიზნე ჯგუფად 40 წლამდე და 40 წლის შემდეგ.

2016 წელს ახალშობილთა უმრავლესობა 54,79% (543) მდედრობითი სქესის მქონეა. ახალდაბადებულთა შედარებით მცირე ნაწილი 45,20% (448) მამრობითი სქესის. (ცხრილი1, დიაგრამა 1.).

ცხრილი 1.სქესის თანაფარდობა

სულ 991 ახალშობილი	
ბიჭი 448	გოგო 543
45,20%	54,79%
±1,57	



დიაგრამა 1. სქესის თანაფარდობა.

შევეცადეთ გაგვერკვია დედის ასაკის შესაძლო კორელაციური კავშირი ტყუპი ნაყოფის ჩამოყალიბებაზე. როგორც მე–2 ცხრილში ჩანს ჩვენს მიერ ანკეტირებული ახალშობილებიდან მხოლოდ 8 ტყუპია და რვავე 40 წლამდე დედას ეკუთვნის. ტყუპი ახალშობილების დედის ასაკი ასე გამოიყურება : 38, 25, 33, 28, 39, 29, 27, 37.

ცხრილი 2 . ასოციაციური კავშირი ტყუპ ნაყოფსა და დედის ასაკს შორის

სულ 991 ახალშობილი			
40 წელზე ნაკლები		40 წელზე მეტი	
974		17	
ერთი ნაყოფი	ტყუპი	ერთი ნაყოფი	ტყუპი
966	8	17	0
99,11%	0,88%	100%	0%
±0,3		±0.3	

ვფიქრობთ, რომ მსგავსი კავშირების პოვნა მოითხოვს მეტ ანალიზს. გარდა აღნიშნულისა სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ აღნიშნული ტუპი ნაყოფის წარმომავლობის გზა (ბუნებრივი თუ ხელოვნური).



დიაგრამა 2. კავშირი დედის ასაკსა და ტყუპ ნაყოფს შორის.

ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა. 2016 წელს 40 წელს გადაცილებული დედების ახალშობილთა 52.9% დაფიქსირდა სხვადასხვა პრობლემები, მაშინ როდესაც 40 წლამდე ასაკში ეს რიცხვი 11.2% -ია. (ცხრილი3, დიაგრამა3), როგორც ვხედავთ 40 წლის შემდეგ დედებში თითქმის 3 ჯერ მეტია პროცენტულად პრობლემების მქონე ბავშვის დაბადების ალბათობა.

ახალშობილთა დაბადების პეროიდი. 40 წლამდე დედების ახალშობილთა 2.98% არის ნაადრევად დაბადებული მაშინ როცა აღნიშნული მონაცემი 40 წელს გადაცილებული დედების შემთხვევაში 41.2%-ია. ამრიგად 40 წელზე მეტი ასაკის დედებში მეტია ნაადრევად მშობიარობის რისკი (ცხრილი4).

ცხრილი3. დედის ასაკის კავშირი ახალშობილთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან

დედის ასაკის კავშირი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან			
40 წლამდე		40 წელზე მეტი	
974		17	
ჯანმრთელი	სხვადასხვა პრობლემის მქონე	ჯანმრთელი	სხვადასხვა პრობლემის მქონე
865	109	8	9
88.8 %	11.2 %	47.1 %	52.9 %
±1.02	±1.02	±2.8	±2.6



დიაგრამა 3. დედის ასაკის კავშირი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან 2016 წელი.

ცხრილი 4 . დედის ასაკის კავშირი ბავშვის დაბადების პერიოდთან.

დედის ასაკის კავშირი ბავშვის დაბადების პერიოდთან			
40 წლამდე		40 წელზე მეტი	
974		17	
დროული	ნაადრევი	დროული	ნაადრევი
945	29	10	7
97.02%	2,98%	58.8%	41.2 %
±0.55	±0.54	±1.6	±1.4

წონა. 2016 წელს 991 ახალშობილიდან 862 ახალშობილის წონა ნორმის ფარგლებშია, 74 მცირე წონიანია და 55 დიდ წონიანია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი 5) ეს მონაცემი გაანალიზებულია დედის ასაკის სესაბამისად. დედის ასაკის ეფექტის გასარკვევად გამოვყავით შემდეგი კატეგორიები: 1) 40 წლამდე დედების ახალშობილები მცირე წონით ორსულობის გართულების გარეშე; 2) 40 წლამდე დედები მცირე წონით ორსულობის გართულებით; 3) 40 წლამდე დედები და დიდწონიანი ახალშობილები; 4) 40 წლმდე დედები და ახალშობილები რომელთა წონაც ნორმის ფარგლებშია; 5) 40 წელს გადაცილებული დედების მცირე წონიანი ახალშობილები ორსულობის გართულების გარეშე; 6) 40 წელს გადაცილებული დედების მცირე წონიანი ახალშობილები ორსულობის გართულებებით; 7) 40 წელს გადაცილებული დედები და დიდწონიანი ახალშობილები; 8) 40 წელს გადაცილებული დედები და ახალშობილები რომელთა წონაც ნორმის ფარგლებშია;

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს 40 წელს გადაცილებულ დედების მცირე წონიანი ბავშვების დაბადების ალბათობა 29.4%–ია, მაშინ როდესაც აღნიშნული რიცხვი ბევრად მაღალია (1.8%) 40 წლამდე დედების შემთხვევაში, ასევე მცირედი ცვლილება დაფიქსირდა დიდ წონასთან მიმართებაში, კერძოდ, 40 წლამდე ასაკის დედების ახალშობილთა 5,6% არის დიდწონიანი, მაშინ როცა 40 წელს გადაცილებული დედების ახალშობილთათვის აღნიშნული რიცხვი 11.7%–ია.

ცხრილი 5 . დედის ასაკის კავშირი ახალშობილთა წონაზე

დედის ასაკის კავშირი ახალშობილთა წონაზე							
40 წლამდე				40 წელზე მეტი			
974				17			
მცირე წონით ორსულობის გართულების გარეშე	მცირე წონით ორსულობის გართულებით	დიდი წონა	ნორმა	მცირე წონა ორსულობის გართულების გარეშე	მცირე წონა ორსულობის გართულებით	დიდი წონა	ნორმა
48	18	53	855	3	5	2	7
4.9%	1.8%	5.6%	87.7%	17.6%	29.4%	11.7%	41.3%
±0.56	±0.4	±0.76	±1.1	±2	±2.6	±1.8	±2.6



დიაგრამა 5. დედის ასაკის კავშირი ახალშობილთა წონაზე.

სხეულის სიგრძე. როგორც ცნობილია დროულად დაბადებული ახალშობილის სხეულის სიგრძე მერყეობს საშუალოდ 46 დან 52 სმ–მდე. 2016 წელს 40 წელს გადაცილებული დედების ახალშობილთა 17.8%–ია ნორმაზე მოკლე, მაშინ

როცა 40 წლამდე ასაკის დედების შემთხვევაში ეს რიცხვი 0.3%-ია. ნორმაზე გრძელი ახალშობილები თითქმის ორჯერ უფრო მეტი სიხშირით გვხდება 40 წელს გადაცილებულ დედებში 11.7% ვიდრე 40 წლამდე ასაკის დედებში 2% . (ცხრილი6, დიაგრამა 6).

ცხრილი 6 . სხეულის სიგრძე და დედის ასაკი.

დედის ასაკის კავშირი ახალშობილთა სხეულის სიგრძეზე					
40 წლამდე			+40 წელზე მეტი		
974			17		
ნორმა	ნორმაზე გრძელი	ნორმაზე მოკლე	ნორმა	ნორმაზე გრძელი	ნორმაზე მოკლე
952	20	2	12	2	3
97.7%	2%	0.3%	70.5%	11.7%	17.8%
±0.71	±0.58	±0.3	±2,47	±0,67	±0.74



დიაგრამა 6 . დედის ასაკის კავშირი ახალშობილის სხეულის სიგრძეზე.

თავის გარშემოწერილობა. სტანდარტული აპრობირებული მონაცემებიდან გამომდინარე ახალშობილთა თავის გარშემოწირულობის ნორმად მიჩნეულია 31,5 დან- 37 სმ–მდე). 2016 წელს 40 წელს გადაცილებულ დედების ახალშობილები 64.7%-ში თავის გარშემოწერილობა არის ნორმაში, ხოლო 40 წლამდე დედების ახალშობილებს 99.6%. აღნიშნული პარამეტრით მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიკვეთა, როგორც მე–7 ცხრილიდან ჩანს 40 წელს გადაცილებული დედების ახალშობილთა 35.3%-ს აქვს ნორმაზე ნაკლები თავის გარშემოწერილობა როცა ეს ციფრი 40 წლამდე დედების ახალშობილებში 0.4%-ია.

ცხრილი 7 . თავის გარშემოწერილობა და დედის ასაკი

დედის ასაკის კავშირი ახალშობილთა თავის გარშემოწერილობაზე					
40 წლამდე			40 წელზე მეტი		
974			17		
ნორმა	მეტი	ნაკლები	ნორმა	მეტი	ნაკლები
971	0	3	11	0	6
99.6%	0%	0.4%	64.7%	0%	35.3%
±1	±0	±1,2	±1,2	±0	±1,8



დიაგრამა 7. დედის ასაკის კავშირი ახალშობილის თავის გარშემოწერილობაზე.

დასკვნა

როგორც აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა დედის ასაკი გავლენას ახდენს ახალშობილთა ავადობაზე, ასევე დედის ასაკის გავლენით იცვლება ახალშობილთა ნორმალური განვითარების მარკერად მიჩნეულ ისეთი მორფოლოგიური მახასიათებლები, როგორიცაა სხეულის მასა, წონა, თავისა და გულმკერდის გარშემოწირულობა და ა.შ. ვფიქრობთ არნიშნულ პარამეტრებსა და დედის ასაკს შორის ასოციაციური კავშირების დადგენის მიზნით უნდა ჩატარდეს მეტი ანალიზები, სადაც შესწავლილი იქნება მინიმუმ 10 000 ანკეტური მონაცემები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე ლია, „სპერმატოგენეზის პროცესი ნორმასა და პათოლოგიაში და მისი გავლენა რეპროდუქციულ ციკლზე“, სამაგისტრო ნაშრომი, ბათუმი, 2018.
2. გაჩეჩილაძე გია, „ემბრიოლოგია“, გამომცემლობა „მაცნე“, თბილისი.1989.
3. დოლიძე ქეთევან, დიასამიძე ანზორ, „გენეტიკა“, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 1997.
4. შათირიშვილი აივენგო, „ბიოლოგია“, გამომცემლობა „აიმც“, თბილისი. 2013.
5. „ადამიანის სხეულის ილუსტრირებული ატლასი“, ტ.I, რედაქტორი თინათინ ჩიქოვანი, თბილისი, 2015.

კლიმატის ცვლილება აჭარის ზღვისპირეთში

ნათია ცინარიძე
ბსუ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი,
ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსებისა და გარემოს
მდგრადი განვითარება (მაგ.), მეორე კურსი
ელ-ფოსტა: natia.tsinaridze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა ჭიჭილეიშვილი,
გეოგრაფიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი

აბსტრაქტი

გლობალური დათბობის ფონზე კლიმატის ცვლილება და მისი შედეგები, რომელიც სხვადასხვა სახის კატაკლიზმებში ვლინდება, თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. დედამიწის და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის თანდათანობითი ზრდის პროცესი ბოლო პერიოდში არის როგორც ბუნებრივი მიზეზებით, ასევე ადამიანის მოღვაწეობის შედეგი. XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს კლიმატის დათბობის აღნიშნული ტენდენცია. ამავე დროს დადგინდა, რომ დედამიწის სხვადასხვა რეგიონში დათბობა სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს. უფრო მეტიც, ცალკეულ რაიონებში დათბობას აცივება ცვლის. რადგან აჭარა საქართველოს საკმაოდ აქტიურ ტურისტურ-რეკრეაციულ რეგიონს წარმოადგენს, ამიტომ ძალზედ საინტერესოა თუ როგორ ვლინდება კლიმატის ცვლილება აჭარის ზღვისპირეთში და რამდენად სწრაფად მიმდინარეობს ეს პროცესი, რა სახის პრობლემები შეიძლება წარმოშვას ყოველივე ამან და რა საშუალებებით შეგვიძლია შევამციროთ მათი ზემოქმედების ფონი.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, ატმოსფერული ნალექები, ტემპერატურა

შესავალი

კლიმატის ცვლილება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური და სოციალ-ეკონომიკური პრობლემაა. დედამიწის და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის თანდათანობით ზრდის პროცესი XX და XXI

საუკუნეებში არის ბუნებრივი მიზეზების და ადამიანების მოღვაწეობის შედეგი. მან განსაკუთრებული აქტუალობა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიძინა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დედამიწის ტემპერატურა 0,7°-ით გაიზარდა და მასში უდიდესი წვლილი უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ადამიანის მოღვაწეობას მიეკუთვნება. [1]

დღეისათვის უკვე მეცნიერულად დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება პლანეტის მაშტაბით ნამდვილად ხდება და გამოიხატება საშუალო წლიური ტემპერატურის მატებაში და ამასთანავე ნალექების ინტენსივობის ცვლილებაში. [4]

აჭარის ზღვისპირეთში კლიმატის ცვლილების შესწავლას საფუძვლად დაედო კვლევის შედარებითი, სტატისტიკური, ანალიზის და სხვა მეთოდები. კვლევის დროს გამოყენებული იქნა ლიტერატურული წყაროები და აჭარის გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მრავალწლიური რეჟიმული დაკვირვების მასალები და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში შესრულებული რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტში მიღებული ბადური მონაცემთა მასივები (პროექტის ხელმძღვანელი ე. ელიზბარაშვილი).

ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს მონაცემების დამუშავების და ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ, თუ რამდენად შეეხო მიმდინარე ცვლილებები აჭარის ზღვის სანაპიროს და მიმდებარე ტერიტორიების კლიმატს.

აჭარის ზღვისპირეთში კლიმატის ცვლილება

აჭარა მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მას ძირითადად უკავია საქართველოს შავი ზღვისპირეთის ყველაზე სამხრეთული სანაპირო და გააჩნია ძალზე ხელსაყრელი გეოგრაფიული და ეკონომიკურ-სტრატეგიული მდებარეობა. მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა მდგომარეობს იმაში, რომ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე სამხრეთითაა და მეტ სითბოს ღებულობს. ფაქტობრივად მდებარეობს ჩრდილოეთ სუბტროპიკების უკიდურეს ჩრდილოეთით. ამის გამო ზამთარში მაღალი ჰაერის დადებითი ტემპერატურა და ხასიათდება თბილი და ტენიანი სუბტროპიკული ჰავით. [2]

მიუხედავად არც თუ ისე დიდი ტერიტორიისა, აჭარის ბუნება გამოირჩევა განსაკუთრებული თავისებურებებითა და მრვალფეროვნებით. შავ ზღვასთან უშუალო მეზობლობამ, დაბლობების, ხეობებისა და მაღალი მთების მონაცვლეობამ რეგიონში წარმოშვა საკმაოდ განსხვავებული კლიმატური ზონები. აჭარის

ტერიტორიის მეტი წილი ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით. აჭარის სანაპირო ზოლში საშუალო წლიური ტემპერატურა 13°C-14,5°C-ს შეადგენს, ყველაზე თბილი ადგილი ბათუმია 14,5°C საშუალო ტემპერატურით. [3]

კლიმატის ცვლილების მიმდინარე გავლენის შეფასება შავი ზღვის სანაპირო ზონაში ძირითადად მოხდა ტემპერატურისა და ნალექების მრავალწლიური მონაცემების დაკვირვების საფუძველზე.

ბოლო პერიოდში კლიმატის ცვლილებამ გავლენა მოახდინა აჭარის ზღვისპირეთის კლიმატურ რეჟიმზეც. აჭარის ზღვისპირეთის თერმული რეჟიმის შესწავლის პროცესში ძირითადად განვიხილეთ ბათუმისა და ქობულეთის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მრავალწლიური რეჟიმული დაკვირვების მასალები და მათმა დამუშავებამ და ანალიზმა საინტერესო სურათი მოგვცა როგორც ნახაზიდან ჩანს, (ნახ. 1.) ბათუმის საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 13,3°C-სა და 16,5°C-ს შორის, ხოლო საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება შეინიშნება 2010 წლიდან, სადაც კარგადაა გამოხატული საშუალო წლიური ტემპერატურის მომატების ტენდენცია.



ნახ. 1. ბათუმის თერმული რეჟიმის მრავალწლიური მსვლელობა

ძალზედ საინტერესოა ამ მცირე ტერიტორიის ორ ლოკალურ უბანზე ტემპერატურისა და ნალექების მსვლელობის შედარება, შესაბამისად, ჩვენ დავამუშავეთ და შევადარეთ ბათუმისა და ქობულეთის თერმული რეჟიმის დაკვირვების მონაცემები, რომელმაც შემდეგი სურათი მოგვცა: როგორც ნახაზიდან ჩანს (ნახ.2), ჰაერის სითბური რეჟიმი ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდრო კავშირშია, XXI

საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. გრაფიკები უმეტესწილად ერთმანეთის თანმხვდრია, როგორც ტემპერატურის მატების, ასევე დაცემის პერიოდებში. 2010-დან 2012-მდე აღინიშნა ტემპერატურის დაცემა, ხოლო 2012-დან დღემდე სტაბილურად მიმდინარეობს საშუალო წლიური ტემპერატურის მატება.



ნახ. 2. ბათუმისა და ქობულეთის საშუალო მრავალწლიური თერმული რეჟიმის მსვლელობა

ასევე საკმაოდ საინტერესო და განსხვავებული სურათი მივიღეთ აჭარის ზღვისპირეთში ნალექების მონაცემებზე დაკვირვებითა და ანალიზით. უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად ავაგეთ მცოცავი გრაფიკები (ნახ.3).



ნახ. 3. ბათუმისა და ქობულეთის იანვრის თვის ნალექების მცოცავი გრაფიკი

იანვრის თვის ნალექებზე დაკვირვებამ ნათლად გვიჩვენებს, რომ 1971 წლიდან 2008 წლამდე პერიოდში, იანვარში ბათუმის ატმოსფერული ნალექების რაოდენობა ყოველთვის ჭარბობდა ქობულეთის ანალოგიურ მაჩვენებელს,

მაგრამ 2008 წლის შემდეგ საპირისპირო სურათი მივიღეთ, სადაც აღინიშნება ქობულეთის ნალექების სტაბილურად მატება, ხოლო ბათუმში იანვარში მოსული ნალექების რაოდენობა თანდათან მცირდება.

რაც შეეხება ივლისში ატმოსფერული ნალექების რაოდენობას, ზღვისპირა ქალაქებში იანვრისგან განსხვავებით საპირისპირო სიტუაციაა. კერძოდ, 1971 წლიდან აგებულ ნალექების მცოცავ გრაფიკზე (ნახ. 4.) ნათლად ვხედავთ, რომ ივლისში ბათუმის ნალექების რაოდენობა ყოველთვის მეტი იყო ქობულეთთან შედარებით, მაგრამ გარკვეულ წლებში შეინიშნება საპირისპირო ტენდენცია, რომელიც 2005 წლამდე გაგრძელდა, თუმცა 2010 წლის შემდეგ ბათუმისა და ქობულეთის ივლისის ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა საპირისპიროდ იცვლება - ქობულეთში ნალექების მატება შეიმჩნევა, ხოლო ბათუმში პირიქით კლება.



ნახ. 4. ბათუმისა და ქობულეთის იანვრის თვის ნალექების მცოცავი გრაფიკი

ნალექების მრავალწლიური რეჟიმის მცოცავმა გრაფიკმაც თითქმის იდენ-ტური სურათი მოგვცა, რაც წინა გრაფიკებმა, სადაც ზამთრისა და ზაფხულის თვეების მიხედვით განხილული გვაქვს ნალექების მსვლელობის მრავალწლიუ-რი რეჟიმი, სადაც მკაფიოდ ჩანს, რომ ბათუმში ნალექების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მეტი იყო, ვიდრე ქობულეთში, ხოლო ბოლო პერიოდში, კერძოდ 1993 წლიდან დღემდე შეინიშნება ნალექების მრავალწიური რეჟიმის მატების ტენდენცია ქობულეთში, ხოლო შემცირება ბათუმში.



ნახ. 5. ნალექების მსვლელობის მრავალწლიური მცოცავი გრაფიკი

ჩვენს მიერ განხილულ ლოკალურ უბნებზეც მკვეთრად გამოჩნდა, რომ კლიმატის ცვლილება ერთმანეთთან ახლოს მდებარე ტერიტორიებზე განსხვავებულად მიმდინარეობს. როგორც ტემპერატურისა და ნალექების მრავალწლიურ რეჟიმზე დაკვირვების შედეგად აგებულმა გრაფიკებმა გვიჩვენა, ბათუმში შეინიშნება ტემპერატურის მატება და ნალექების შემცირება, ხოლო ქობულეთში პირიქით - მცირდება ტემპერატურა და მატულობს ნალექიანობა.

დასკვნა

კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლას აქვს როგორც გლობალური, ასევე ლოკალური ხასიათი, გამომდინარე დათბობის პროცესის გლობალურობიდან.

მსოფლიოს კლიმატის ცვლილების ფონზე გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, მათ შორის ზღვისპირა აჭარა. ქობულეთისა და ბათუმის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ორ პატარა უბანზე მკვეთრად განსხვავდება ტემპერატურისა და ნალექების მრავალწლიური რეჟიმი. ცვალებადობას განიცდის როგორც ტემპერატურის მრავალწლიური მსვლელობა, ასევე ნალექების რეჟიმი. ორივე უბანზე ეს პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობს, რაც თავის მხრივ უარყოფით მოვლენებსაც გამოიწვევს, გააქტიურებს სტიქიურ მოვლენებს და ასევე ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ტურიზმის განვითარებისათვის.

ამ მცირე ლოკალურ უბანზეც ნათლად გამოჩნდა, რომ კლიმატის ცვლილება, მეზობლად მდებარე უბნებშიც კი შეიძლება განსხვავებულად მიმდინარეობდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელიზაბარაშვილი ელიზბარ, ელიზბარაშვილი მარიამ, ელიზბარაშვილი შალვა, მესხია რამაზ, ტატიშვილი მარიკა „საქართველოს კლიმატის ცვლილება გლობალური დათბობის პირობებში“, გამომცემლობა „წიგნის სახელოსნო“, თბილისი. 2013

2. ფალავანდიშვილი შაქრო, „აჭარის ბუნება და სოფლის მეურნეობა“, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი. 2005

3. სტატია წიგნიდან: „აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია“, თბილისი. 2013

4. არცივაძე კახა. (მაისი, 2016) „კლიმატის ცვლილების შესახებ“ ჩარჩო-კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელება. მოძიებულია 1 აპრილი, 2019

http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/05/CCC_GEO.pdf

Abstract

Against the background of global warming, climate change and its effects, manifested in various cataclysms, are one of the major problems of modernity. The process of gradual increase in the average annual temperature of the Earth and the World Ocean has lately been the result of both natural causes and human activity. Studies carried out by the World Meteorological Organization at the beginning of the 21st century confirmed this trend of climate warming. At the same time, it has been found that warming in different regions of the earth is taking place at different intensities. Moreover, warming in some areas changes the climate. As Adjara is a very active tourist and recreational region of Georgia, it is very interesting to see how climate change in Adjara is and how fast this process is going, what kind of problems can arise and how to mitigate their impact.

Keywords: climate change, atmospheric precipitation, temperature

ქარის ენერგეტიკული პოტენციალი აჭარის რეგიონში

დავით ბაკურაძე
გსუ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი,
გეოგრაფია, მესამე კურსი.
ელ. ფოსტა: davit.bakuradze98@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცირა ქამადაძე,
გეოგრაფიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ენერგიის მიღების რამდენიმე წყარო, რომელიც სახელმწიფოებს უზრუნველყოფს ელექტროენერგიით. ქარი, განახლებად ენერგიებს შორის, ელექტროენერგიის მისაღებად ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიული რესურსია. საქართველოსათვის აუცილებელია ენერგიის ალტერნატიული წყაროების ათვისება, რათა მან შეამციროს ელექტროენერგიის იმპორტი და ამით გახდეს ენერგოდამოუკიდებელი. ჩვენს ქვეყანას გააჩნია ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი, შესაბამისად, ამ ნაშრომის თემატიკაა ამ რესურსის პერსპექტივები და გამოყენების შესაძლებლობები აჭარის რეგიონში. საკვლევ საკითხს შეადგენდა აჭარაში მდებარე მეტეოსადგურების მონაცემების საფუძველზე ქარის ეფექტური ელექტროსადგურების პერსპექტიული მშენებლობის მოედნების გამოვლენა და დადგმული სიმძლავრეების მიახლოებითი განსაზღვრა. მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ მათემატიკური, სტატისტიკური, შედარების, ანალიზისა და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) მეთოდები. როგორც ნაშრომში აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რეგიონში არსებობს პერსპექტიული ადგილები, სადაც აღინიშნება ენერგიის გენერირებისათვის საჭირო ქარის სიჩქარეები. ასევე გამოვლინდა ისეთი ტერიტორიები, რომლებიც, ენერგეტიკის თვალისაზრისით, არ არის საინტერესო. არსებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ ქარის მაქსიმალური სიჩქარეები ფიქსირდება ზამთრის თვეებში, როდესაც ქვეყანა განიცდის ელექტროენერგიის დეფიციტს. ეს გარემოება ხაზს უსვამს ქარის ტურბინების მშენებლობის აუცილებლობას, რომლებიც ხელს შეუწყობს რეგიონის ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას და იქნება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტის მომტანი როგორც რეგიონისათვის, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის.

საკვანძო სიტყვები: ქარის ენერგია, ელექტროენერგეტიკა, აჭარა.

შესავალი

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ბევრმა ქვეყანამ აითვისა ენერგიის ალტერნატიული წყაროები და ეს პროცესი ახლაც აქტიურად მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა და ჩვენს ქვეყანაში უკვე ფუნქციონირებს პირველი ქარის ელექტროსადგური. ამ რესურსის უკეთ გაცნობის მიზნით, ნაშრომში განხილული იქნება ქარის ენერგიის გამოყენების ისტორია, ელექტროსადგურების მუშაობის პრინციპი, კავშირი ქარის მონაცემებსა და გამომუშავებულ ელექტროენერგიას შორის, ასევე თანამედროვე მსოფლიოში არსებული ტენდენციები და მიღწევები. თემაში ძირითადი აქცენტი კეთდება ქარის ენერგეტიკული პოტენციალის განაწილებაზე საქართველოში და ხაზგასმულია აჭარის რეგიონის შესაძლებლობები ამ კუთხით.

ჩატარებული კვლევის მთავარი ამოცანაა გამოვლინდეს ქარის საშუალო მაქსიმალური სიჩქარეების რაოდენობრივი მაჩვენებლები, მისი განაწილება წლებისა და თვეების მიხედვით. ასევე, ყველაზე პერსპექტიული ადგილისათვის დაანგარიშებულია იმ დღეების რაოდენობა, როდესაც ელექტროსადგური გამოიმუშავებდა მაქსიმალურ შესაძლებელ ენერგიას. ყურადღება გამახვილებულია ისეთ სიჩქარეებზეც, რომელებიც ქარის ტურბინის გათიშვას იწვევს.

ნაშრომის ძირითადი მიზანია განისაზღვროს რეგიონში ქარის ენერგეტიკისათვის ყველაზე პერსპექტიული ადგილის შესაძლებლობები და ნაჩვენები იქნას, თუ რა ეფექტი ექნება მას ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში. კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს ეროვნული შეტყობინების მონაცემების საფუძველზე განვსაზღვრეთ, თუ რა გავლენა ექნება ქარის საშუალო სიჩქარის წლიური მნიშვნელობის ცვლილებას რეგიონის ენერგეტიკულ პოტენციალზე.

ქარის ენერგია

ქარი, როგორც ელექტროენერგიის წყარო. ქარის ენერგიას ჯერ კიდევ უძველეს დროში იყენებდნენ ნაოსნობისათვის, შემდგომ კი წყლის ამოსატუმბავად და წისქვილების ამუშავებისათვის. დღეს ქარის ენერგიის გარდაქმნისათვის გამოიყენება ქარის ტურბინები, რომლებიც აბრუნებენ სინქრონულ ან ასინქრონულ გენერატორებს. ამ დროს ქარის მოძრაობის კინეტიკური ენერგია გარდაიქმნება მექანიკურ ენერგიად, შემდგომ კი ელექტრონულ ენერგიად. პირველი ქარის ტურბინა, ელექტროენერგიის მიღების მიზნით, 1887 წელს დაამონტაჟა ანდერსონის კოლეჯის პროფესორმა ჯეიმს ბლითმა. XXI საუკუნის დასაწყისამდე გამოიყენებოდა ჩქარბრუნიანი ქარის ტურბინები. მათი გავლენა გარემოზე უარყოფითი იყო, რადგან ისინი ანადგურებდა ფრინველებს და მოსახლეობას ხმაურითა და ვიბრაციით დისკომფორტს უქმნიდა [1].

ქეს-ების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია. ქარის ელექტროსადგურს, რომელშიც რამდენიმე ათეული აგრეგატია გაერთიანებული, „ქარის ფერმას“ უწოდებენ. მსოფლიოში უდიდესი ქარის ფერმა მდებარეობს ჩინეთში, განსუს პროვინციაში (5,16 გვტ). დღეისათვის მსოფლიოში ქარის ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე 486,8 გვტ-ია. ენერგეტიკის ეს დარგი უსწრაფესად ვითარდება. თუ დავაკვირდებით მის დინამიკას **(დანართი 1)**, ჩანს, რომ 1996 წელთან შედარებით ქეს-ების დადმული სიმძლავრე დაახლოებით 80-ჯერ გაიზარდა. ქარისგან მიღებული ელექტროენერგიის მოცულობით პირველ ადგილზეა ჩინეთი **(დანართი 2)**, რომელზეც მსოფლიო წარმოების 1/3-ზე მეტი მოდის. ენერგიის ამ წყაროს ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია დანიაში (39%). 2014 წლის მონაცემებით, ქარისგან მიღებული ელექტროენერგია მსოფლიოში წარმოებული ელექტროენერგიის 3,1%-ს შეადგენდა [**9**].

ქარის ენერგეტიკული პოტენციალი საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე. საქართველოს გააჩნია ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის საშუალო წლიური რაოდენობა 4 მლრდ კვტ.სთ-მდე არის შეფასებული. ქარის ენერგეტიკული ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით საქართველოს ტერიტორია დაყოფილია ოთხ ზონად. მაღალი სიჩქარეების ზონაში შედის სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, კახაბრის ვაკე და კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი. ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილია ქარის ეფექტური ელექტროსადგურების პერსპექტიული მშენებლობის რამდენიმე მოედანი **(იხ. დანართი 3)** [**7**]. მეტეოსადგურების არსებულ ქსელზე დაფიქსირებული ქარის საშუალო წლიური სიჩქარეები მერყეობს 0,4 მ/წმ-დან (შოვი) 9,2 მ/წმ-მდე (მთა საბუეთი). ქარის მიმართულებებისა და სიჩქარეების განაწილების საერთო წლიურ ჭრილში **(იხ. დანართი 4)** აჭარიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მდინარე ჭოროხის ხეობას, რომლის სიმძლავრე 50 მგვტ-ს შეადგენს [**4,7**]. საქართველოში პირველი და ერთადერთი ქართლის ქარის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 20,7 მგვტ-ია. თურქული ენერგეტიკული ჰოლდინგი „ჩალიკ ენერჯი“ შიდა ქართლში გეგმავს 50 მეგავატიანი ელექტროსადგურის მშენებლობას, [**6**].

ქარის ენერგეტიკული პოტენციალი აჭარაში

აჭარაში ქარის საშუალო წლიური სიჩქარე ლოკალური ხასიათისაა და ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე უდრის 4,6 მ/წმ-ს, ქობულეთში 2,6 მ/წმ-ს, ჩაქვში 1,7 მ/წმ-ს, ქედაში 1,2 მ/წმ-ს, ხულოში 2,6 მ/წმ-ს, ხოლო გოდერძის უღელტეხილზე 5,5 მ/წმ-ს [**5**].

იმისათვის, რომ უკეთ წარმოგვეჩინა ამ რესურსის პერსპექტივები რეგიონში, ქარის ენერგეტიკული ატლასის მონაცემების საფუძველზე შევქმენით რუკა **(იხ.**

დანართი 5), რომელიც გამოსახავს ქარის ენერგეტიკული პოტენციალის განაწილებას აჭარის ტერიტორიაზე, ზედაპირიდან 50 მეტრის სიმაღლეზე. რუკაზე თვალნათლივ ჩანს, რომ ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისათვის ხელსაყრელია მდინარე ჭოროხის ხეობა და გოდერძის უღ. მიმდებარე ტერიტორია. რეგიონის ცენტრალურ ადგილებში ქარის სიჩქარე ნაკლებია და, ამ მხრივ, ეს ტერიტორიები უპერსპექტივოა.

კვლევითი ნაწილი. აჭარის ტერიტორიაზე ქარის ენერგეტიკული პოტენციალის განაწილებისა და მსვლელობის გამოსაკვლევად, გამოვიყენეთ გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის 2004 – 2006 წლების მონაცემები [3]. აღნიშნულ წყაროში მოცემული იყო ქარის მაქსიმალური სიჩქარეები დღე-ღამის განმავლობაში. ამ სიდიდეების საშუალებით გამოვთვალეთ ქარის როგორც თვიური, ასევე წლიური საშუალო მაქსიმალური მნიშვნელობები 6 მეტეოსადგურისათვის (კახაბერი, ქობულეთი, ჩაქვი, შუახევი, ხულო და გოდერძი). ვინაიდან ქარს ახასიათებს სიჩქარეების როგორც გრძელპერიოდიანი ვარიაციები, ასევე 1-3 წლიანი ციკლები, მიღებული შედეგები იქნება მხოლოდ და მხოლოდ საორიენტაციო.

მიღებული შედეგებიდან დადგინდა, რომ ქარის საშუალო მაქსიმალური სიჩქარე ყველაზე მაღალია კახაბერში (11,8 მ/წმ), მას მოსდეს ქობულეთი (8,4 მ/წმ) და გოდერძის უღელტეხილი (7,9 მ/წმ). მაჩვენებლები დაბალია ჩაქვში, შუახევსა და ხულოში. სიდიდეები ძალიან ცვალებადობს კახაბრის შემთხვევაში (2,6 მ/წმ), მეტ-ნაკლებად სტაბილურია გოდერძის უღელტეხილზე (0,6 მ/წმ), ხოლო ყველაზე მეტი მდგრადობით გამოირჩევა ქობულეთის მეტეოსადგური (0,3 მ/წმ ცვლილებით).

ვინაიდან ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისათვის ყველაზე პერსპექტიულია ქალაქ ბათუმისა და გოდერძის უღელტეხილის მიდამოები, შესაბამისად, უფრო დეტალურად განვიხილეთ აღნიშნული მეტეოსადგურების მონაცემები. აღმოჩნდა, რომ ქარის საშუალო მაქსიმალური სიჩქარის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ორივე სადგურისათვის მოდის ზამთრის სეზონზე (კახაბერი - 13,8 მ/წმ, გოდერძი - 8,3 მ/წმ), ხოლო ყველაზე დაბალი - ზაფხულის სეზონზე (კახაბერი - 9,2 მ/წმ, გოდერძი - 7,3 მ/წმ). როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს, ელექტროენერგიის მხრივ, ყველაზე მეტად უჭირს ზამთარში, როდესაც მდინარეებში წყლის დონე დაბალია, ამიტომ წელიწადის ამ დროს ქვეყანაში იმპორტირდება ელექტროენერგია. რაც შეეხება ზაფხულს, აქ ელექტროენერგიის გენერაცია ჭარბია და ის გაგვაქვს ექსპორტზე სხვა ქვეყანაში. აჭარაში ქარის განაწილების აღნიშნული სურათი ძალიან ეფექტურია დღევანდელი ვითარებისათვის, რადგან ქარის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია

შეამცირებდა ზამთარში ელექტროენერგიის იმპორტს და ხელს შეუწყობდა რეგიონის ენერგოდამოუკიდებლობას.

ქარის ენერგიის გამოყენების ყველაზე პოტენციურ ადგილად ითვლება ბათუმის მიმდებარე ტერიტორია (კახაბრის მეტეოსადგური) **(იხ. დანართი 6)**, სადაც ქარის საშუალო სიჩქარე აღემატება 3 მ/წმ-ს და გრძელდება 5220 – 6240 საათი წელიწადში, რაც საერთო დროის 60-70%-ს შეადგენს **[2].** ქარის ელექტროტურბინა ელექტროენერგიის გამომუშავებას იწყებს, მაშინ როდესაც ქარის სიჩქარე 3/წმ-ს აღემატება. სიჩქარის ზრდასთან ერთად გენერაციაც იზრდება და მაქსიმუმს აღწევს 15 მ/წმ სიჩქარის შემთხვევაში **(იხ. დანართი 7) [12].**

კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო გამოგვევლინა იმ დღეთა რაოდენობა, როდესაც ქარის ელექტროტურბინა სრული დატვირთვით ვერ იმუშავებდა, ანუ ქარის სიჩქარე კონკრეტულ დღეს 15 მ/წმ-ზე ნაკლები იქნებოდა. ვინაიდან ტურბინების დამონტაჟება ხდება მაღალ სიმაღლეზე, შესაბამისად, მეტეოროლოგიური ობსერვატორიის მონაცემებში ასახული სიჩქარეები (გაზომვები ჩატარებული იყო 10 მეტრზე) გადავიყვანეთ იმ სიჩქარეებში, რომლებიც 100 მეტრ სიმაღლეზე იქნებოდა (ქარის ტურბინის კოშკურის საშუალო სიმაღლე). ამისათვის გამოვიყენეთ ფორმულა:

$V_1 = V_0 \times \left(\frac{H_1}{H_0}\right)^k$, სადაც V_1 - ქარის სიჩქარე საპოვნელ სიმაღლეზე, V_0 - ქარის სიჩქარე ჩვენთვის ცნობილ სიმაღლეზე (მეტეოსადგურზე), H_1- საპოვნელი სიმაღლე, H_0- ჩვენთვის ცნობილი სიმაღლე, k - ზედაპირის სიმქისის ემპირიული კოეფიციენტი **[10].** K-ს საპოვნელად გამოვიყენე ქარის ენერგეტიკული ატლასის მონაცემები, სადაც, კახაბრის შემთხვევაში, ქარის საშუალო სიჩქარეები იყო 4,6 მ/წმ (ფლუგერის სიმაღლე -10 მ) და 5,8 მ/წმ (ფლუგერის სიმაღლე - 40 მ). არსებული სიდიდეები ჩავსვი ფორმულაში: $5{,}8 = 4{,}6 \times \left(\frac{40}{10}\right)^k$, სადაც k≈0,1672. ეს მაჩვენებელი მიეკუთვნება 0,5 -1-ელ კლასს. 0,5 კლასი შეესაბამება ღია, გაშლილ ლანდშაფტს, რბილი ზედაპირით (მაგალითად, აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, დაბალი, სწორი ბალახოვანი საფარი), ხოლო 1-ლი კლასი - ღია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ერთეული შენობებით **[10].** აღნიშნული ფორმულის საშუალებით დავადგინეთ, რომ სტანდარტულ სიმაღლეზე (10მ) ქარის სიჩქარე 10,2 მ/წმ-ზე ნაკლები უნდა იყოს, რათა ქარის ელექტროტურბინის სიმაღლეზე (100მ) ქარის სიჩქარის მაქსიმალური მნიშვნელობა 15 მ/წმ-ზე ნაკლები აღმოჩნდეს. 2004 წელს იმ დღეთა რაოდენობამ, როდესაც ქარის მაქსიმალური სიჩქარე 10,2 მ/წმ-ზე ნაკლები იყო, შეადგინა 113, 2005 და 2006 წელს, შესაბამისად, 156 და 193. ასეთი დღეების რაოდენობა ყველაზე მეტი იყო ზაფ-

ხულში (საშუალოდ 21 დღე თვეში), ხოლო ყველაზე ნაკლები ზამთარში (საშუალოდ 10 დღე თვეში). მაგრამ აღსანიშნავია, რომ „მუშა სიჩქარე“ (>3 მ/წმ) შეადგენს საერთო დროის 60-70%-ს, რაც ამ ტერიტორიას მაღალი ენერგორესურსის მატარებელ ერთ-ერთ რაიონად აქცევს.

ქარის ელექტროტურბინა ითიშება იმ შემთხვევაში, თუ ქარის სიჩქარე გადააჭარბებს 25 მ/წმ-ს. ზემოთ აღნიშნული ფორმულის საშუალებით, გამოვთვალეთ, თუ რა სიჩქარეა საჭირო 10 მ-ის სიმაღლეზე (მეტეოსადგურის მონაცემები), რათა 100 მეტრზე (კოშკურის სიმაღლე) განვითარდეს ქარის 25 მ/წმ სიჩქარე. გამოსახულებამ მიიღო შემდეგი სახე - $25 მ/წმ = V_0 \times \left(\frac{100}{10}\right)^{0,1672}$, სადაც V_0=17,011 მ/წმ-ს. შესაბამისად, დავიანგარიშე იმ დღეების რაოდენობა, სადაც მაქსიმალური სიჩქარე აჭარბებდა 17,011 მ/წმ-ს. კახაბრის მეტეოსადგურზე ასეთი დღეების რაოდენობა 2004 წელს 63, ხოლო 2005 და 2006 წლებში, შესაბამისად, 46 და 9 იყო. ძლიერი ქარები ყველაზე მეტად ფიქსირდება ზამთარში (საშუალოდ 5 დღე თვეში), ყველაზე ნაკლებად ზაფხულში (საშუალოდ 1 დღე თვეში).

კლიმატის ცვლილების გავლენა ქარის მაჩვენებლებზე. ქარის საშუალო წლიურმა სიჩქარემ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად დაიკლო და, პროგნოზის თანახმად, 21-ე საუკუნის ბოლოსათვის ყველაზე ქარიანი სადგურები (5,1 მ/წმ) მოსალოდნელია იყოს ქუთაისი, ბათუმი და გოდერძი **(იხ. დანართი 8).** 1961-2010 წლებში ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე შემცირებულია ყველაზე სეზონზე, გარდა ზაფხულისა, მაგრამ ცვლილების სიჩქარე არ არის მაღალი (-0,014 მ/წმ წელიწადში), ამიტომ, მიუხედავად საშუალო წლიური სიჩქარის შემცირებისა, ქარის პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა ამ რეგიონში მაინც მაღალია და ბათუმის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიები კვლავაც რჩება ქარის მაღალი ენერგორესურსების მატარებელ ერთ-ერთი რაიონად. გოდერძის უღელტეხილზეც ქარის საშუალო სიჩქარე შემცირებულია ყველაზე სეზონზე, ორ პერიოდს შორის წლიურად -0,6 მ/წმ-ით. მსგავსი ტენდენციები აღინიშნება ქარის მაქსიმალური სიჩქარისთვისაც. 2071-2010 წლებში 1986-2010 წლებთან შედარებით ქარის საშუალო სიჩქარე გაიზრდება ბათუმში (0,5 მ/წმ-ით), ქობულეთში (0,4 მ/წმ-ით), ხოლო კლება დაფიქსირდება ჩაქვში (-0,1 მ/წმ-ით), ხულოში (-0,3 მ/წმ-ით), ქედაში (-0,5 მ/წმ-ით) და გოდერძის უღელტეხილზე (-0,4 მ/წმ-ით) **[2, 5].**

დასკვნა

ენერგიის წყაროებიდან, აჭარაში განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება ქარის განახლებად ენერგიასა და ჰიდროენერგიას. კვლევიდან დადასტურდა, რომ ბათუმისა და გოდერძის უღელტეხილის მიდამოები განიხილება ქარის

ენერგორესურსების შემცველ უმთავრეს რაიონებად, რომლებიც მინიმუმ 80 წლის განმავლობაში იქნება ხელსაყრელი ელექტროენერგიის მისაღებად. იმ ღონისძიებებიდან, რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებელი გახადოს როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის ელექტროქსელი, აუცილებელია ქარის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, რომელიც შეფასებულია, მაგრამ ჯერ არ არის ათვისებული. უნდა შეიქმნას ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის ხელშემწყობი პირობები, იქნება ეს ქარის ენერგეტიკის განვითარების გეგმის შემუშავება, ენერგიის სისტემაში ჩართვის ვარიანტები თუ ინვესტორების მოძიება და დაინტერესება. ქარის სიჩქარეზე დიდ გავლენას ახდენს ნიადაგი, მცენარეული საფარი, განაშენიანების ტიპი. ერთ-ერთ საფრთხედ შეგვიძლია მივიჩნიოთ კახაბრის ვაკის სამომავლოდ მთლიანად ათვისება რეკრეაციული მიზნებისათვის. განაშენიანება შეამცირებს ტერიტორიის ღიადობას, შესაბამისად, შემცირდება ქარის სიჩქარეც. ასევე, ქესების მშენებლობისთვის უნდა შევარჩიოთ ისეთი ტერიტორიები, რომ ტურბინებისგან გამოწვეულმა ხმაურმა დისკომფორტი არ შეუქმნას მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ქარის ელექტროენერგიის წარმოება სულ უფრო და უფრო იაფდება და ხელმისაწვდომი ხდება, შესაბამისად, აჭარაში ქარის ტურბინების დამონტაჟება ხელს შეუწყობს რეგიონის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და უზრუნველყოფს მისი ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] არჩილ კოხტაშვილი, ელექტრონული სადგურების და ქვესადგურების ძალოვანი დანადგარები, აპარატები, საკომუნიკაციო სქემები და რეჟიმები, საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემა;

[2] აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია, UNDP in Georgia, თბილისი, 2013;

[3] გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის 2004-2006 წლების მონაცემები;

[4] გელოვანი მ.ს., ერისთავი ვ.ვ., ზედგენიძე ა.დ., ქარის ენერგეტიკული ატლასი, რეგიონალური შეფასებები, Karenergo, თბილისი, 2004;

[5] კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს ეროვნული შეტყობინება (III);

[6] ქართლის ქარის ელექტროსადგური. მოძიებულია 18.04.2019. http://qwf.ge/

[7] ქარის ენერგია, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მოძიებულია 6 აპრილი, 2019. http://www.energy.gov.ge/investor.php?id_pages=20&lang=geo

[8] BWEA Briefing Sheet Wind Energy Association, Kent Art Printers, 2005;

[9] Wind Power by Country, მოძიებულია 24.04. 2019. https://en.wikipedia.org/wiki/Wind_power_by_country

[10] Зависимость скорости ветра от высоты и местности, მოძიებულია 15.04.2019. https://seiger.pp.ua/zavisimost-skorosti-vetra-ot-vysoty-i-mestnosti/



დანართი 1. ქარის ელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრე მსოფლიოში (GWEC-ის მონაცემებით), **[9];**



დანართი 2. ქარისგან მიღებული ელექტროენერგიის მოცულობა ქვეყნების მიხედვით (2015 წელი), **[9];**

N	ადგილმდებარეობა	სიმძლავრე (მგვტ)	წლიური გამომუშავება (მლნ. კვტ. სთ.)
1	ფოთი	50	110
2	ჭოროხი	50	120
3	ქუთაისი	100	200
4	მთა-საბუეთი I	150	450
5	მთა-საბუეთი II	600	2000
6	გორი-კასპი	200	500
7	ქარავანი	200	500
8	სამგორი	50	130
9	რუსთავი	50	150
	ჯამი	1450	4160

დანართი 3. ქარის ეფექტური ელექტროსადგურების პერსპექტიული მშენებლობის მოედნები, **[7];**



დანართი 4. ქარის მიმართულებებისა და სიჩქარეების განაწილების საერთო წლიური სურათი **[4];**



დანართი 5. ქარის ენერგეტიკული პოტენციალის განაწილება აჭარის ტერიტორიაზე, დედამიწის ზედაპირიდან 50 მეტრის სიმაღლეზე (ჩვენ მიერ შედგენილი რუკა, **[4]**-ის მონაცემების საფუძველზე);

დანართი 6. მდინარე ჭოროხის ხეობა. ფოტო გადაღებულია მახოს ხიდიდან, Scientific Windenergy Center "KARENERGO", https://www.lozton.com/downlds/wind.pdf



დანართი 7. ქარის ტურბინის სიმძლავრის ტიპური მრუდი [8];



დანართი 8. ქარის საშუალო სიჩქარის წლიური მნიშვნელობების ცვლილება 2071-2100 წწ. და 1986-2010 წწ., [5].

Abstract

In the modern era, there are several sources of energy that provide countries with electricity. Among renewable energies, wind is one of the most perspective sources. Georgia needs to get familiar with the alternative energy sources to reduce electricity import rate and thus become energy independent. Our country has a significant wind energy potential, therefore, the paper topic is the prospects of this source and the possibilities of having it implemented in the Adjara region. The objective of the research was to identify prospective construction sites of the efficient wind-power stations based on the data of the meteorological stations of Adjara and to determine its approximate capacities. We used mathematical, statistical, comparative, analytical and geographic information system (GIS) methods to achieve the objective. As the study shows, there are promising areas in the region with the enough wind speed rate for the energy generation. Some areas were not our field of interest in terms of energy. Based on the available data, it was ascertained that the maximum wind speed rates are proven to be during the winter periods, when the country undergoes the shortage of electricity. The aforementioned circumstances emphasize the need for the construction of the wind turbines which will boost the rational use of the region's natural resources and will have a significant environmental and economic impact on both - the region and the country as a whole.

Keywords: Wind energy, electroenergetics, Adjara.

ქალაქ ბათუმის ბულვარის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები და გამოყენების პერსპექტივები

ლანდა ფუტკარაძე
ბსუ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი
გეოგრაფია, მეოტხე კურსი
ელ-ფოსტა: landaputkradze1997@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ანანიძე,
გეოგრაფიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი

აბსტრაქტი

საქართველოს მეურნეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია ტურიზმი, რომლის განვითარების მასშტაბები თანდათანობით იზრდება. შესაბამისად ტურიზმის განვითარება ეფუძნება ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს. ამ კუთხით ბათუმის ბულვარის შეფასება ტურისტულ-რეკრეაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რადგან იგი წარმოადგენს მთელ საქართველოში გამორჩეულ ტურისტულ ობიექტს. გამომდინარე აქედან საკვლევი თემის აქტუალობა საკმაოდ მაღალია. შეფასებულია ბათუმის ბულვარის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი და მისი ადგილი ქალაქ ბათუმში ტურიზმის განვითარებაში. შესწავლილია ბულვარის ბუნებრივი პირობები, ღირსშესანიშნაობები და ტურისტული ინდუსტრია. გარკვეულია ბულვარის შემდგომი განვითარების წინაშე არსებული პრობლემები და დასახულია გამოყენების პერპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, რეკრეაცია, რესურსი,

შესავალი

საქართველოში, აჭარა წარმოადგენს ტურიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონს, რომელიც მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით გამოიჩევა. აჭარაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსს ბათუმის ბულვარი წარმოადგენს, რომელიც მთელს ევროპაში გამოირჩევა ბევრი ღირსშესანიშნაობებით. გამომდინარე აქედან, ბათუმის ბულვარის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის შეფასება და მისი გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

კვლევის ძირითადი მიზანია, შეფასდეს ბულვარის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, გამოიკვეთოს არსებული პრობლემები და დაისახოს მისი შემდგომი გამოყენების პერსპექტივები. დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- შეფასდეს ბუნებრივი პირობების როლი ბულვარის ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალში;
- გაირკვეს ბულვარში არსებული ანთროპოგენური ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების როლი ტურისტების მოზიდვაში;
- დადგინდეს ბათუმის ბულვარში ტურისტების რაოდენობრივი მაჩვენებლები და მათი განაწილება დღის განმავლობაში;
- დადგინდეს ბულვარში არსებული პრობლემები და დაისახოს მისი გაუმჯობესების გზები;
- დაისახოს ბათუმის ბულვარის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გამოყენების ოპტიმიზაციის და მისი შემდგომი გამოყენების პერსპექტივები.

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა ისტორიული მეთოდი, რის საფუძველზეც დადგინდა ბულვარის შექმნა და განვითარება. აგრეთვე, გარკვეულ იქნა ტურისტული მიზნებით მისი გამოყენების ისტორიული პროცესი. სტატისტიკური მეთოდის საშუალებით გარკვეულ იქნა ბულვარში ტურისტული პოტენციალის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები. ამასთან, გარკვეულ იქნა მისი ადგილი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რეკრეაციული მიზნებით გამოყენების თვალსაზრისით. სივრცე-დროითი ანალიზის მეთოდის საშუალებით დადგინდა მისი ცალკეული უბნის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის და მისი გამოყენების მახასიათებლები.

კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს შ. ფალავანდიშვილის, მ. უკლებას, ს. ხორავას და მ. ფუტკარაძის შრომები.

ძირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ ტურიზმის განვითარება მთლიანად დაკავშირებულია ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებთან. იმისათვის, რომ გავარკვიოთ ამა თუ იმ ტერიტორიას ტურისტების რა რაოდენობის მიღება შეუძლია საჭიროა გარკვეული იქნას ტურისტული პოტენციალი. ცნობილი სპეციალისტები მ. ბირჟაკოვი, მ. უკლება თვლიან, რომ ტურისტული პოტენციალი მოიცავს ყველა სტრუქტურულ ფუნქციონალურ რესურსს, რომელიც განსაზღვრავს გარკვეულ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებას [1, 2]. იმისათვის, რომ გავარკვიოთ კვლევის ობიექტის

ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი, ამისათვის საჭიროა მისი ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკური გეოსისტემების შესწავლა.

ქალაქი ბათუმი მდებარეობს კახაბრის დაბლობზე, რომელიც განლაგებულია ჩრდილოეთით მწვანე კონცხსა და სამხრეთით მდინარე ჭოროხის სანაპირომდე. ბათუმის ბულვარი ქალაქის დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით საკმაოდ ფართო ზოლის სახით (საშუალოდ 70-400 მ.) მიუყვება, რომლის სიგრძე 7კმ-ს აღწევს.

ბულვარის ჰავის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს შავი ზღვა, რაც ძირითადად გამოიხატება ჰაერის მასების გაცვლაში. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა ზამთარში 7.6°C -ია, გაზაფხულზე - 11.9°C, ზაფხულში - 22.0°C, შემოდგომაზე - 16.3°C. აჭარის ზღვისპირა მხარეში ზაფხული არ არის ცხელი, ხოლო შემოდგომა გაცილებით თბილია, ვიდრე გაზაფხული. ზღვის სანაპირო რაიონებში საშუალოდ წლიური შეფარდებითი სინოტივე 80%-ს აღემატება. სინოტივე მაქსიმუმს აღწევს ზაფხულსა და შემოდგომაზე. აგვისტოში იგი 87%-მდეც ადის. მინიმუმი ზამთრის თვეებზე მოდის [4].

ბათუმის ჰავის ზოგადი დახასიათების ფონზე ბულვარის კლიმატური რესურსები რეკრეაციული მიზნით გამოყენების თვალსაზრისით გამოირჩევა რიგი უპირატესობით. ზღვა სანაპიროსთან წარმოქმნის ბრიზებს ე.წ. დღე-ღამურ ქარებს. დღისით ქრის ზღვიდან ხმელეთისკენ, ხოლო ღამით ხმელეთიდან ზღვისკენ. ის წარმოადგენს ერთ-ერთ შესანიშნავ პირობას რეკრეაციის განვითარებისთვის. ამას ემატება ზაფხულში შექმნილი სათანადო თერმული პირობები. თუ ბათუმის ცენტრალურ უბნებში ზაფხულის პერიოდში მხუთვარეაა, ბულვარში იქმნება კომფორტული თერმული პირობები, შედეგად კი ტურისტები აქტიურად სტუმრობენ ბათუმის ბულვარს [4].

ბათუმის ბულვარის უკეთ გასაცნობად საჭიროა განვიხილოთ მისი ისტორია. რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა მთელი შავიზღვისპირეთის კეთილმოწყობა, გამშვენება-გამწვანება ევროპულ ყაიდაზე. ამ საქმის პირველმკვალავები გახდნენ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი - სმეკალოვი, ქალაქის პოლიცმეისტერი - თ. ვოზნესენსკი და პრუსიელი მებაღე-დეკორატორები: რესლერი და რეიერი. 1881 წელს ორი პრუსიელი მებაღე რესლერი და რეიერი, სმეკალოვისა და ვოზნესენსკის ინიციატივით გადმოიყვანეს ბათუმში ფოთიდან. ისინი ზღვისპირა ბულვარის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ. მათ შეადგინეს მომავალი ზღვისპირა ბულვარის განაშენიანების გეგმა-პროექტი. მაგრამ რამდენიმე წელიწადში ორივე გარდაიცვალა და მათი საქმე ზღვისპირა ბულვარში ფრანგმა დიდგვაროვანმა მებაღე-დეკორატორმა მიხეილ დალფონსმა განაგრძო. ის ქალაქის ხელმძღვანელებმა მოიწვიეს 9 წლის ვადით

1884 წელს და დანიშნეს ბულვარის პირველ მმართველად. მ. დალფონსის შემდეგ, კერძოდ კი 1889 წლის მაისიდან ქალაქის ბაღსა და ბულვარს განაგებდა რესლერის ყოფილი მოსწავლე, პრაქტიკოსი მებაღე - ნესტორ ტყებუჩავა. 1898 წლის თებერვლიდან 1902 წლის ჩათვლით მებაღედ მიწვეული იქნა ნიკიტინის სასწავლებლის კურსდამთავრებული აკაკი ხოშტარია, შემდეგ კი 1902 წლის 19 აპრილიდან ქალალქისა და ბულვარის მებაღე და ხელმძღვანელი იყო თბილისის ბემაღეობის სკოლის კურსდამთავრებული თავადი იოსებ ლიონიძე. მისი ხელმძღვანელობით პარკმა შეიძინა განათება, მუსიკალური მოედნები, სადაც მაღალი საზოგადოების პუბლიკა მეჯლისებს აწყობდა.

1929 წელს თბილისის საბაღოსნო სკოლის კურსდამთავრებული იასონ გორდეზიანი ინიშნება ბათუმის ბაღ-ბულვარის გამგედ. აღნიშნული დროისათვის ბულვარს ეკავა 62 589 კვ.მ ტერიტორია. ი. გორდეზიანის წარმატებული ხელმძღვანელობით გადახალისდა ბულვარისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკების მცენარეული საფარი, გაფართოვდა ძველი და შეიქმნა ახალი სანერგეები სათანადო სათბურებითა და ორანჟერიებით, სადაც გამოჰყავდათ დეკორატიული და სუბტროპიკულ მცენარეთა ნერგები. 1932-1933 წლებში ბულვარი გაფართოვდა 1 ჰექტარით და 1934 წელს ჩატარდა მისი მხატვრული გაფორმება. ამავე წლებში აშენდა ქალაქისა და ბულვარის მშვენება - სავიზიტო ბარათი - კოლონადები და შადრევნები.

1951 წელს მაშინდელ ზღვისპირა პარკს მიემატა კიდევ ერთ ხეივანი, რომლის სიგრძე 1200 მეტრს აღემატებოდა. ბულვარში იმ პერიოდში მრავლად დაირგო ძვირფასი ნარგავები. დამოუკიდებლობის წლებში 2004 წელს გაიხსნა საჭადრაკო კლუბი „ნონა“. 2005 წელს ბულვარის ტერიტორია გაგრძელდა ნინოშვილის ქუჩის ბოლომდე, უნივერსიტეტის გაყოლებაზე და მისი საერთო ფართი გახდა 70 ჰექტარი. 2008 წლის 11 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა საქართველოში პირველი, საკმაოდ დიდი მასშტაბის არდაგანის ტბის მუსიკალური შადრევნები. შეიქმნა „საოცრებათა მოედანი“ - ე.წ. მერიკალ პარკი, აშენდა უნიკალური „ანბანის კოშკი“. ძველი ბულვარის დაბოლოებაში საოცრებათა მოედანზე დამონტაჟდა პანორამული ბორბალი, ასევე დამონტაჟდა სიყვარულის ქანდაკება „ალი და ნინო“ 2010 წლის 2 ნოემბერს.

ბულვარის ტერიტორია საგრძნობლად გაიზარდა, როდესაც მას დაემატა ახალი ბულვარი, რომელიც დააპროექტა მოწვეულმა ესპანელმა არქიტექტორმა. ახალი ბულვარის ტერიტორია 28 ჰექტარია. ეს ბულვარი თავისი ინფრასტრუქტურით თანამედროვე სტილისაა და ძალიან განსხვავდება ძველი ბულვარისგან.

ბულვარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ე.წ. ,,საოცრებათა მოედანი“, სადაც მდიდარი არქიტექტურული ნაგებობანია განლაგებული. განსაკუთრებით

დიდი მნიშვნელობა აქვს ,,ანბანის კოშკს“ თავისი რესტორნით, რომელიც თავისი დიზაინით ხიბლავს ტურისტებს. ის 130 მ. სიმაღლის, დნმ-ის (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა) სტრუქტურული მოდელის ანალოგიური, ქართული ანბანის 33 ასოიანი კოშკია. მნახველებს, რომლებიც ობსერვატორიას და პანორამულ რესტორანს ესტუმრებიან, შესაძლებლობა ეძლევათ ანბანის კოშკიდან დაათვალიერონ ქალაქის, მთებისა და შავი ზღვის ხედები.

ბულვარში გაშენებულია ველობილიკი, ასევე გვხვდება გასაქირავებელი ველოსიპედების ქსელი „ბათუველო“, რომელთა სადგურები მთლიანი ბულვარის ტერიტორიაზეა განფენილი, რაც კიდევ უფრო ზრდის ბულვარის ტურიზმის განვითარებას.

2018 წელს ბათუმში ტურისტის რაოდენობა 380 ათას აღემატებოდა. ისინი აქტიურად იყენებენ ქალაქ ბათუმის ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს, ერთ-ერთ მათგანს კი წამოადგენს ბათუმის ბულვარი. ყველა ტურისტი, რომელიც ჩამოდის ბათუმში აუცილებლად სტუმრობს ბათუმის ბულვარს. ბულვარი წარმოადგენს გართობის ერთ-ერთ საშუალებას. აქ ტურისტების მაქსიმალური რაოდენობა განსაკუთრებით შეინიშნება საღამოს საათებში, დაახლოებით 7 სთ-დან 10 სთ-მდე. რადგან ამ დროისათვის უკვე შედარებით გრილა და ტურისტები აქტიურად გამოდიან და სეირნობენ ბულვარში. ფაქტობრივად ზღვის სანაპიროს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის გამოყენება თითქმის თანხვედრილია ბულვარის რესურსებთან. მკვლევართა ანალიზიდან ირკვევა, რომ ყველაზე მეტად გამოყენებულია ბულვარის ცენტრალური ნაწილის მიმდებარე პლაჟი, რომელიც თავისთავად ჩართულია ჩვენი საკვლევი ტერიტორიის, ე.წ. ძველი ბულვარის ნაწილი [5].

ბათუმის ბულვარს შექმნილი აქვს სხვადასხვა სახის პრობლემები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიის დატვირთვა მაღლივი შენობებით. ბოლო რამდენიმე წელია სულ უფრო და უფრო იზრდება მრავალსართულიანი შენობების მშენებლობა აღნიშნულ ტერიტორიაზე, რის შედეგად თითქმის მთლიანად ათვისებულია ეს ტერიტორია. მაღლივი შენობების განლაგება ხელს უშლის ჰაერის მასების თავისუფალ გადაადგილებას, ხდება მათი ჩაკეტვა და უმოძრაობა. ეს ნაგებობები გარკვეულწილად ხელს უწყობს მხუთვარებას. შენობების განლაგება სანაპიროს მახლობლად უარყოფითად მოქმედებს ბრიზების გადაადგილებაზე და შესაბამისად ადგილი აქვს მხუთვარების მოვლენას.

ბულვარს ასევე პრობლემას უქმნის ზღვის მიერ სანაპიროს წარეცხვა. ძლიერი შტორმების დროს ზღვა განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნის ბულვარს. ხდება სანაპიროს წარეცხვა. ზოგჯერ ტალღები სასეირნო ბილიკამდეც კი აღწევს,

ანგრევს და აზიანებს მას, ასევე მოაქვს ნაშალი მალასა, სხვადასხვა სახის ნარჩენი და ანაგვიანებს ბულვარის ტერიტორიას. რაც განაპირობებს მნიშვნელოვანი გაწმენდითი და აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ასევე ველოსიპედისტების და ფეხით მოსიარულეების მოუწესრიგებელი მოძრაობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბულვარში გაშენებულია სპეციალური ბილიკი ველოსიპედისტებისთვის. თუმცა ზოგი მათგანი ჩვეულებრივად გადაადგილდება ფეხით მოსიარულეთა ბილიკზე, რაც საფრთხეს უქმნის მოსეირნეთა ჯანმრთელობას. ანალოგიური პრობლემაა ველოსიპედებისტების ბილიკზეც, სადაც ასევე შევხვდებით ფეხით მოსიარულეებსაც. საჭიროა გატარდეს სხვადასხვა ზომები რათა აქ მოსეირნე ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე არ შეექმნას. ბულვარის ტერიტორიაზე გარკვეულ ადგილებში გვხვდება ე.წ. სავაჭრო ზონები. თუმცა ეს ადგილები ხშირ შემთხვევაში გადატვირთულია სავაჭრო ობიეტებით, რაც გარკვეულ ეკოლოგიურ პრობლემებს წარმოქმნის.

ბულვარის გამოყენების პერსპექტივები ძალიან დიდია, რადგან ის ფაქტობრივად წარმოადგენს ქალაქ ბათუმის „სავიზიტო ბარათს“. არ არსებობს რეგიონში შემოსული ტურისტი, რომელიც ბულვარში არ გაისეირნებს. შესაბამისად რეგიონში ტურიზმის გაზრდის შემთხვევაში მისი პერსპექტივები კიდევ უფრო ამაღლდება. ბულვარის პერსპექტივებს კიდევ უფრო ზრდის ის, რომ იგი მდებარეობს ზღვის სანაპიროს მიმდებარედ და ზღვაზე დამსვენებელ ტურისტებს აქვს შესაძლებლობა შუადღის საათებში ბულვარს ეწვიონ. მისი რეკრეაციული ფუნქციები ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში გამოიყენება, რადგან წარმოადგენს პარატურისტულ ობიექტს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს.

ბულვარში არსებობს თითქმის ყველა სახის გასართობი და კვების ობიექტი, სადაც ტურისტს შეუძლია მიიღოს ყველა სერვისი. უფრო მეტიც, იგეგმება ბულვარის ტერიტორიის გაფართოება, სხვადასხვა ტურისტული სერვისების და ატრაქციონების შექმნა, ველობილიკის გაფართოება გონიო-კვარიათის რეკრეაციულ ზონასთან დაკავშირების მიმართულებით.

დასკვნა

ბათუმის ბულვარის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების პერსპექტივების შესწავლის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

1. ქალაქ ბათუმის ბულვარი წარმოადგენს ძირითად ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსს, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და ტურისტულ-ანთროპოგენური ობიექტები;

2. ბათუმის ბულვარის ჰავა ზაფხულის პერიოდში საუკეთესო თერმული პირობებით ხასიათდება, სადაც შესაძლებელია დასვენება და გასეირნება;

3. ბულვარის ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს ზრდის ტურისტული ინდუსტრია, რომელიც აერთიანებს თანამედროვე და ორიგინალურ არქიტექტურულ ნაგებობებს;

4. ბულვარის ტურისტულ პოტენციალს გარკვეულწილად ზღუდავს მის მიმდებარედ მაღლივი შენობები, რომლებიც აფერხებენ ზღვის ჰაერის ნორმალურ ცირკულაციურ პროცესებს. ამასთან, გარკვეულ ტერიტორიებზე გადატვირთულია მომსახურების ობიექტები და მოუწესრიგებელია ველოსიპედების მოძრაობა;

5. ბულვარის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გაზრდისათვის საკმაოდ დიდი პერსპექტივები არსებობს, რისთვისაც საჭიროა სწორი მენეჯმენტის განხორციელება, რომელიც ორიენტირებული იქნება კომფორტის ამაღლებაზე, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებაზე და რაც მთავარია ტურისტების მოთხოვნილებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბირჟაკოვი მ. ტურიზმის თეორია. თბილისი, 2008;
2. მეტრეველი მ. ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურისმის საფუძვლები). თბილისი, 2008;
3. უკლება მ. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი. თბილისი, 2009;
4. ფალავანდიშვილი შ. აჭარის ბუნება და სოფლის მეურნეობა. ბათუმი, 2005;
5. ფუტკარაძე მ. აჭარა, ბათუმი, 2001;
6. Putkaradze M. Khorava. S. Tourism Industry's Influence on Recreational Zone's Ecological Condition in the Seaside of Adjaria. Journal of Tourism and Hospitality Management June 2018, Vol. 6, No. 1, pp. 25-32.

Abstract

One of the main priority field of Georgian industry is tourism, which development scale is growing gradually. Accordingly, tourism development is based on tourist-recreational resources. In this regard, the assessment of Batumi Boulevard in terms of tourism-recreation is important, because it is the distinctive tourism object in whole Georgia. Therefore, the subject matter of the research topic is quite high.

There is estimated the tourist-recreational potential of Batumi Boulevard and its role in development of Batumi tourism. There are studied the natural conditions of Batumi boulevard, its sightseeings and tourism industry. The problems facing the further development of the boulevard are clear and there is set the use of perspectives.

Key words: Tourism, resource, recreation.

რძე და რძე პროდუქტების ეკოლოგიური სისუფთავის დადგენა

მარიამ აბაშიძე, ჯაბა ჯაფარიძე
ბსუ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი,
ქიმია, მესამე კურსი.
ელ. ფოსტა: mariamabashidze03@mail.ru, j.a.p.a.r.i.d.z.e.032@gmail.com
***სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ირინა ბეჟანიძე,*
ქიმიის დეპარტამენტის პროფესორი

აბსტრაქტი

კვლევა სწარმოებდა ოთხი სახეობის რძეზე: საქართველოში წარმოებული „სოფლის ნობათი“, „Sante“, სახლის (ქობულეთი), თურქეთში წარმოებული „Aynes“ და სამი სახეობის არაჟანზე: „სოფლის ნობათი“, „Sante“ და უკრაინული წარმოების “President”. რძეში ისაზღვრებოდა ფიზიკური მაჩვენებლები: სიმკვრივე, ელექტროგამტარობა; ქიმიური შედგენილობა: წყლის, ცხიმის, ლაქტოზის, მშრალი ნივთიერებების რაოდენობა, მჟავიანობა და ალკოჰოლური სინჯი. არაჟანში: მჟავიანობა, ლაქტოზა და ფალსიფიკაციის დასადგენად სინჯი ხაჭოზე. რძის და არაჟნის პარამეტრები ისაზღვრებოდა მათ სახეობაზე, ქვეყანა მწარმოებელზე და განზავებაზე დამოკიდებულებით. დადგენილია: „Aynes“ და „Sante“ ფალსიფიცირებულია წყლით, მშრალი ნივთიერებებით და ლაქტოზით; ლაქტოზის შემცველობის გაზრდის ანუ ფალსიფიკაციის ხარისხის მიხედვით, რძე განლაგდება რიგში: *„სოფლის ნობათი“(5,4)- „სახლის“ (5,5)- „Aynes“ (5,7)-„ Sante“ (5,8);* მჟავიანობის (°T) ზრდის მიხედვით:*„Sante“ (10,5) - „Aynes“ (11)- „სახლის“ (12)- „სოფლის ნობათი“(13);* რძის ყველაზე მაღალი ელექტროგამტარობა ახასიათებს თურქული წარმოების რძე - „Aynes“ (4.93) და ყველაზე დაბალი“ Santes” (4,47). ელექტროგამტარობის ნორმაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებლები მოწმობენ რძის ფალსიფიკაციაძე: თურქული რძე ფალსიფიცირებულია მარილით, ქართული - წყლით; ალკოჰოლური სინჯით განისაზღვრა რძის კატეგორია: „სახლის“ რძე და „სოფლის ნობათი“- I, „Sante“-II „ Aynes“-IV კატეგორიის რძეა. დადგენილია: „Sante“ ფირმის არაჟანი ფალსიფიცირებულია მჟავიანობით, ლაქტოზის შემცველობა ყველა სახის არაჟანში აღემატება, ცხიმის კი ნაკლებია ეტიკეტზე

მითითებულ რაიდენობას, ყველა სახეობის არაჟანი ფალსიფიცირებულია ყაჭოთი: „Sante“ -16,5%, „სოფლის ნობათში“ - 8,7%, „President“-12,5%.

გამოტანილია დასკვნა: ყველაზე მეტად ფალსიფიცირებულია„Sante“-ს რზე და არაჟანი, თურქული რძე “Aynes“, ორივე სახის არაჟანი- „სოფლის ნობათი“ და „President“.

საკვანძო სიტყვები: რძე, ფალსიფიკაცია, არაჟანი

შესავალი

საქართველოს კანონმდებლობის განმარტებით რძე - „სასოფლო-სამეურნეო ცხოველის სარძევე ჯირკვლის ნორმალური ფიზიოლოგიური სეკრეციის პროდუქტია, რომელიც მიიღება ლაქტაციის პერიოდში ერთი ან მეტი ცხოველისაგან, ერთი ან მეტი წვეთის შედეგად, რაიმე ნივთიერების დამატების, ან მოცილების გარეშე, და გამიზნულია ადამიანის მოხმარებისათვის სასმელად ან შემდეგი გადამუშავებისათვის“. რძე შეიცავს ძირითადად ცხიმებს, ცილებს, ლაქტოზას, წყალს, ნაჯერ და უჯერ ცხიმოვან მჟავებს, ქოლესტერინსა და კალციუმს. რძე და რძე პროდუქტები ყველაზე მოთხოვნადია მოსახლეობაში, ადამინის - ყოველდღიური რაციონის ნაწილია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიღებულია დადგენილება N 301, რომელშიც მითითებულია რძე და რძე პროდუქტებში ნივთიერებები და მათი ზღვრული რაოდენობები, რომლის გადამეტების შემთხვევაში ირღვევა ადამიანის ჯანმრთელობა. რძე მთელ მსოფლიოში ყველაზე ფალსიფიცირებადი პროდუქტია. რძე ითვლება ფალსიფიცირებულად, თუ მასში დამატებულია უცხო ნივთიერებები (ან წყალი) ან მოშორებულია ცხიმი. რძის ფალსიფიკაციას აწარმოებენ ან მიღების ადგილზე ან წარმოებაში [1,2]. ანსხვავებენ ფალსიფიკაციის ხასიათსა [8] და ხარისხს. ხასიათში იგულისხმება უცხო ნივთიერებების დამატება ან ცხიმის მოცილება რძიდან, ფალსიფიკაციის ხარისხში - დამატებული უცხო ნივთიებების პროცენტი. ფალციფიცირებული რძის შედგენილობა და თვისებები მკვეთრად იცვლება, ირღვევა მისი ეკოლოგიური სისუფთავე [10]. რძის ფალსიფიკაციას ატარებენ წყლის, უცხიმო რძისა და წყლის (ორმაგი ფალსიფიკაცია), სოდის, სახამებლის დამატებით, აგრეთვე მას ურევენ ცარცს, საპონს, კირს, თაბაშირს, სალიცილ ან ბორმჟავას და სხვა ნივთიერებებს. აქედან გამომდინარე სამეცნიერო და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენდა რძე და რძე პროდუქტების ეკოლოგიური სისუფთავის და მათი ფალსიფიცირების დადგენა.

1.ექსპერიმენტული ნაწილი

1.1კვლევის ობიექტები და მეთოდები

კვლევა სწარმოებდა ოთხი სახეობის რძეზე: საქართველოში წარმოებული „სოფლის ნობათში“, „Sante“, სახლის (ქობულეთი), თურქეთში წარმოებული „Aynes“ და სამი სახეობის არაჟანზე: „სოფლის ნობათში“, „Sante“ და უკრაინული წარმოების “President”. *რძეში ისაზღვრებოდა* ფიზიკური მაჩვენებლები: სიმკვრივე, ელექტროგამტარობა; ქიმიური შედგენილობა: წყლის, ცხიმის, ლაქტოზის, მშრალი ნივთიერებების რაოდენობა, მჟავიანობა და ალკოჰოლური სინჯი. *არაჟანში ისაზღვრებოდა:* მჟავიანობა, ლაქტოზა და ფალსიფიკაციის დასადგენად სინჯი ხაჭოზე. რძის და არაჟნის პარამეტრები ისაზღვრებოდა მათ სახეობაზე, ქვეყანა მწარმოებელზე და განზავებაზე დამოკიდებულებით. ყველა ანალიზი ტარდებოდა სახელმწიფო სტანსარტების მიხედვით [3-7].

1.2 მიღებული მონაცემები და მათი განხილვა.

წარმოებული რძის 30%-ს, ანზავებენ წყლით. ცნობილია რომ, თუ რძე განუზავებელია წყლით, მაშინ სპირტის დამატებით (1:2) მასში 5-7წმ-ში წარმოიქმნება ფიფქები, თუ კი რძე განზავებულია - ფიფქების წარმოქმნას მეტი დრო სჭირდება: კერძოდ, რაც უფრო მეტი რაოდენობის წყალს შეიცავს რძე, მით უფრო გვიან წარმოიქმნება ფიფქები. *დადგენილია:* საცდელი რძის ნიმუშებიდან „სახლის“ რძეში და „სოფლის ნობათში“ ფიფქები წარმოიქმნა ნორმის ფარგლებში: „სახლის“ რძეში - 0.5წმ-ში და „სოფლის ნობათში“ - 6წმ-ში, ნორმას აღემატებოდა „Aynes“ - 25წმ. და „Sante“- 31წმ. აქედან გამომდინარე *დადგენილია:* „Aynes“ და „Sante“ ფალსიფიცირებულია წყლის დამატებით. *(ნახ.1).* წყლით დამატებით, ქვეითდება რძის სიმკვრივე. ის უნდა მერყეობდეს 1,027–1,032 г/см^3 ფარგლებში. თუ სიმკვრივე ნაკლებია 1,027 г/см^3 ზე 0,003 ერთეულით, ეს მოწმობს იმაზე, რომ რძეში დამატებულია მიახლოებით 10% წყალი (*ნახ.2). მიღებულია*: ყველა საცდელი რძის სიმკვრივე იმყოფება ნორმის ფარგლებში, გარდა თურქული რძისა, მასში დამატებულია 10% წყალი.



რძის წყლით ფალსიფიცირების დარწმუნების მიზნით, ჩატარდა *მშრალი ნივთიერების განსაზღვრა (ნახ.3)* რეფრაქტომეტრიული მეთოდით. რძეში მშრალი ნივთიერების რაოდენობის ნორმა შეადგენს 12-15%. *დადგენილია:* მშრალი ნივთიერებების რაოდენობით გამოირჩევა რძე „სოფლის ნობათი“, პრაქტიკულად თანაბარი რაოდენობა აქვს „Aynes“ და „Sante“, ნაკლები რაოდენობა - ქობულეთის „სახლის“ რძეს. აგრეთვე განისაზღვრა განზავების გავლენა მშრალი ნივთიერებების (მ.ნ.) რაოდენობაზე.





მიღებულია: განზავებით მშრალი ნივთიერებების რაოდენობა მცირდება, „სოფლის ნობათში“ და „Aynes“-ში თანაბარია, ნაკლებია 10%-ით „Sante“-ს და

15%-ით - „სახლის“ რძეში. *დადგენილია:* მშრალი ნივთიერებებით ფალსიფიცირებულია „Aynes“ და „Sante“- რძე, „სახლის“და „სოფლის ნობათი“-ს რძე შეესაბამება ნორმას. *რძის ერთერთი მთავარი მაჩვენებელია - მჟავიანობა.* განისაზღვრა რძის მჟავიანობა, ტერნერის გრადუსებში (°T), რძის სახეობაზე, ქვეყანა მწარმოებელზე და განზავებაზე დამოკიდებულებით*(ნახ.4).* მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, ყველაზე მაღალი მჟავიანობა ახასიათებს „სოფლის ნობათის“ და ყველაზე დაბალი - „Sante“-ს რძეს. მჟავიანობის (^{0}T) ზრდის მიხედვით ნიმუშები განლაგდება რიგში:

„Sante“(10,5) -„Aynes“ (11)-„სახლის“ (12)-„სოფლის ნობათი“(13).

რძის მჟავიანობა ნორმით იცვლება 16-18% ფარგლებში. ცნობილია, თუ მჟავიანობა აღემატება ნორმის ზედა ზღვარს ის შემჟავებულია და არ ექვემდებარება რეალიზაციას, თუ კი ნაკლებია 15^{0}T-ზე - განზავებულია წყლით ანუ ფალსიფიცირუბულია. *დადგენილია:* ყველა საცდელი რძის მჟავიანობა დაბალია ნორმაზე ანუ რძე წყლით ფალსიფიცერებულია. ისაზღვრებოდა რძის მჟავიანობის დამოკიდებულება განზავებაზე. *დადგენილია,* რომ მჟავიანობა ჯერ მცირდება მკვეთრად, შემდეგ 1:4 განზავებიდან უმნიშვნელოდ და 1:8 განზავების შემდეგ უცვლელი რჩება. ფალსიფიკატორები მაღალ მჟავიანობას ანუ რძის შემჟავებას ფარავენ ლაქტოზის ჭარბი რაოდენობის დამატებით. *ლაქტოზის* რაოდენობის განსაზღვრა მოყვანილია *ნახ.5-ზე.* ნორმის მიხედვით რძეში ლაქტოზის მაჩვენებელი მერყეობს 4,2-5,2%-ის ფარგლებში.





ჩვენი მონაცემებით ლაქტოზის რაოდენობა ყველა ნიმუშში აღემატება ნორმას, რაც მოწმობს იმაზე, რომ მწარმოებელმა რძის შემჟავება დაფარა ლაქტოზის ამაღლებული რაოდენობით. ყველაზე მაყალი ლაქტოზის რაოდენობა აღმოჩნდა „Aynes“ და „Sante“-ს რძეში, რაც ისევ მოწმობს მათ ფალსიფიკაციაზე, „სოფლის ნობათი“ ნორმის ზედა ზღვარს აღწევს - 0,3%-ით აღემატება ნორმას. ლაქტოზის შემცველობის (%) გაზრდის ანუ ფალსიფიკაციის ხარისხის მიხედვით რძე განლაგდება რიგში:

„სოფლის ნობათი“(5,4)- „სახლის“ (5,5)- „Aynes“ (5,7)- „ Sante“(5,8)

ელექტროგამტარობა - ფალსიფიკაციის ერთერთი მთავარი მაჩვენებელი ისაზღვრებოდა კონდუქტომეტრიული მეთოდით *(ნახ.6).* რძის ელექტროგამტარობა საშუალოდ უნდა შეადგენდეს 4.6ms/cm. *მიღებულია :* რძის ყველაზე მაღალი ელექტროგამტარობა ახასიათებს თურქული წარმოების რძე - „Aynes“ (4.93) და ყველაზე დაბალი“ Santes” (4,47). ელექტროგამტარობის ნორმაზე მარალი და დაბალი მაჩვენებლები მოწმობს რძის ფალსიფიკაციაძე: თურქულ რძეში დამატებულია მარილი, რომელიც ზრდის ელექტროგამტარობას, ქართული წარმოების რძე განზავებულია წყლით, რადგან განზავებით ელექტროგამტარობა მცირდება. შემდეგ ისაზღვრებოდა *რძის ცხიმიანობა (ნახ.7).* საქართველოში წარმოებული რძის ეტიკეტზე მითითებულია ცხიმის შემდეგი რაოდენობა: „სოფლის ნობათი“-3.2% და განსაზრვრულია 3,1%, „Sante“-3,2% და განსაზღვრულია 3%, „Aynes“-3,5% და განსაზღვრულია 2,9%. „სოფლის ნობათის“ რძეს ეტიკეტზე მითითებულ ნორმაზე 0.1%-ით, „Aynes“- 0,6%-ით ნაკლებია. ცნობილია, რომ ფალსიფიკატორები ცხიმის ამ სხვაობას იყენებენ მოგების მიზნით, ანუ ისინი ხსნიან ცხიმს და ყიდიან ნაღების სახით.





რძის წარმოება შეადგენს ათასობით ტონას, რაც დიდ მოგებას აძლევს ფალ-სიფიკატორებს. ყველაზე მაღალი ცხიმიანობით გამოირჩევა სახლის რძე. რძის კატეგორიას ადგენენ *ალკოჰოლური სინჯით,* კერძოდ, რძეს ემატება სხვადასხვა კონცენტრაციის ეთილის სპირტი. *დადგენილია:* „სახლის“ რძემ და „სოფლის ნობათმა“ გაიარა, „Sante“ და „Aynes“ კი - ვერ გაიარა ალკოჰოლური სინჯი. აქედან გამომდინარე დადგენილია რძის კატეგორია, კერძოდ, „სახლის“ რძე და „სოფლის ნობათი“-I, „Sante“-II „Aynes“-IVკატეგორიის რძეა.შემდეგ ეტაპზე ისაზღვრებოდა *რძე პროდუქტების ხარისხი,* ექსპერიმენტი წარმოებდა ქართული წარმოების „სოფლის ნობათი“ და „Sante“, უკრაინული - „President“ არაჟანზე ისაზღვერებოდა არაჟნის მჟავიანობა *(ნახ.8).* მჟავიანობის ნორმა შეადგენს 65-125 ^{0}T. მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, ნორმას შეესაბამება „სოფლის ნობათის“(108^{0}T) და „President“ (120^{0}T) მჟავიანობა, ნორმას აღემატება „Sante“-ს (130^{0}T) არაჟანში. *დად-გენილია:* „Sante“ ფირმის არაჟანი მჟავიანობით ფალსიფიცირებულია. ზოგჯერ არაჟანში, ფალსიფიკაციის მიზნით, ამატებენ სახამებელს, ცარცს, საპონს, კირს,

ბორის, სალიცილ მჟავას და თაბაშირს. შემჟავების დაფარვის მიზნით ამატებენ ლაქტოზას. *ლაქტოზის* შემცველობა არაჯანში მოყვანილია *ნახ.9-ზე.*





მიღებულია: ლაქტოზის შემცველობა ყველა სახის არაჟანში აღემატება ეტიკეტზე მითითებულ რაიდენობას: 10%-ით „სოფლის ნობათში“, 30%-ით „President“ და 5%-ით „Sante“, ანუ არაჟნის შემჟავებას, როგორც რძის, ფარავენ ლაქტოზის დამატებით. ერთ-ერთი ნივთიერება, რომლითაც ატარებენ პროდუქტის გასქელებას და შესაბამისად მის ფალსიფიკაციას, ეს არის სახამებელი. *დადგენილია:* სახამებელი არ არის დამატებული არცერთ არაჟანში. სახამებელზე უფრო ხშირად, ფალსიფიკაციის მიზნით, ამატებენ ხაჭოს. *მიღებულია (ნახ.10),* რომ სამივე ნიმუშში, აღმოჩნდა ხაჭო, ყველაზე მეტი რაოდენობით „Sante“-ს არაჟანში - 16,5%,

ნაკლები „სოფლის ნობათში“- 8,7% და „President“-ში -12,5%. მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე *დადგენილია:* არაჟანი „Sante“ ყველაზე მეტად ფალსიფიცირებულია ხაჭოთი.

დასკვნა

დადგენილია:

- ✓ „Aynes“ და „Sante“ ფალსიფიცირებულია წყლის დამატებით.ყველა საცდელი რზის სიმკვრივე იმყოფება ნორმის ფარგლებში, გარდა თურქული რძისა, მასში დამატებულია 10% წყალი.
- ✓ მშრალი ნივთიერებებით ფალსიფიცირებულია „Aynes“ და „Sante“, „სახლის“ რძე და „სოფლის ნობათი“ შეესაბამება ნორმას.
- ✓ ყველა საცდელი რძის მჟავიანობა დაბალია ნორმაზე - რძე ფალსიფიცირებულია წყლით.
- ✓ მჟავიანობის (^{0}T) ზრდის მიხედვით რძის ნიმუშები განლაგდება რიგში: *„Sante“(10,5) - „Aynes“ (11)- „სახლის“ (12)- „სოფლის ნობათი“(13).*
- ✓ ლაქტოზის ყველაზე მაყალი რაოდენობა აღმოჩნდა „Aynes“ და „Sante“- ში, რაც ისევ მოწმობს მათ ფალსიფიკაციაზე. ლაქტოზის შემცველობის (%) გაზრდის ანუ ფალსიფიკაციის ხარისხის მიხედვით რძე განლაგდება რიგში: *„სოფლის ნობათი“(5,4)- „სახლის“ (5,5)- „Aynes“ (5,7)- „ Sante“(5,8)*
- ✓ რძის ყველაზე მაღალი ელექტროგამტარობა ახასიათებს თურქული წარმოების რძე - „Aynes“ (4.93) და ყველაზე დაბალი“ Santes” (4,47). ელექტროგამტარობის ნორმაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებლები მოწმობენ რძის ფალსიფიკაციაძე: თურქული რძე ფალსიფიცირებულია მარილით, ქართული - წყლით.
- ✓ რძის კატეგორია განისაზღვრა ალკოჰოლური სინჯით. „ სახლის“ რძემ და „ სოფლის ნობათმა“ გაიარა, „Sante“ და „Aynes“ ვერ გაიარა ალკოჰოლური სინჯი. დადგენილია: „სახლის“ რძე და „სოფლის ნობათი“- I, „Sante“-II „ Aynes“- IV კატეგორიის რძეა.
- ✓ „Sante“ ფირმის არაჟანი მჟავიანობით ფალსიფიცირებულია;ლაქტოზის შემცველობა ყველა სახის არაჟანში აღემატება, ცხიმის კი ნაკლები ეტიკეტზე მითითებულ რაიდენობას.
- ✓ ყველა სახეობის არაჟანი ფალსიფიცირებულია ხაჭოთი: Sante“-ს არაჟანში - 16,5%, ნაკლები „სოფლის ნობათში“- 8,7% და „President“-ში -12,5%.
- ✓ ყველაზე მეტად ფალციფიცირებულია „Sante“-ს რზე და არაჟანი “Aynes“ და ორივე სახის არაჟანი- „სოფლის ნობათი“ და „President“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Асенова Б.К., Ребезов М.Б., Топурия Г.М., Топурия Л.Ю., Контроль качества молока и молочных продуктов. Алматы, 2013.
2. Астафьева Л.С., Экологическая химия – Москва «Академия», 2006. – 224с.
3. ГОСТ 3625 – 84 Молоко и молочные продукты. Методы определения плотности
4. ГОСТ 10-02-02 Стандарты на молоко и молочные продукты
5. ГОСТ 1349-85. Консервы молочные.
6. ГОСТ 3622-68. Молоко и молочные продукты.
7. ГОСТ 3624 – 92 Титриметрические методы определения кислотности
8. Иванов В.Л. Молоко и молочные продукты – Львов, НИЦ Леонорм, 2000. – 400с.

ABSTRACT

Four types of milk were studied: Soplis nobati, Sante (Georgia), Aynes (Turkey), homemade (Georgia, Kobuleti district) and three types of sour cream: Soplis nobati, Sante (Georgia) and President (Ukraine). The physical indicators of milk were determined: density, electrical conductivity; chemical composition: water content, lactose, dry substances, acidity and alcohol test. In sour cream: acidity, lactose and to determine the falsification, test for the content of cottage cheese.The dependence of the parameters of milk and sour cream on their type, country of origin and dilution was determined. It is found that: "Aines" and "Sante" are falsified by water, lactose and dry substance content "; with an increase in the lactose content, that is, according to the quality of falsification of milk, the following series was obtained: “Soplis nobati”-> “Homemade” -> “Aynes”->“Sante”; by increase in acidity (^{0}T): “Sante” -> “Aynes” -> “Homemade” -> “Soplis nobati”; The highest electrical conductivity has has milk “Aynes” and the lowest “Sante”. The conductivity indicator above and below the norm indicates falsification: “Aynes” is falsified with salt, and “Sante” with water; According to the alcohol test, the category of milk is determined: “Homemade” milk and “Soplis nobati” - I, “Sante” -II “Aynes” -IV category. It has been established that: Sour cream of "Sante" is falsified by acidity, the lactose content in all types of sour cream is higher, and the fat is less than the amount indicated on the label, all types of sour cream are falsified by cottage cheese. Based on the results of the work, the following conclusion was made: milk and sour cream of “Sante” , milk “Aynes”, sour cream of “Soplis nobati” and “President” were the most falsified.

Key words : milk, sour cream, falsification.

ბუნებრივი სორბენტი-ეკოლოგიურად სუფთა სასუქის მიღების წყაროა

ილონა ჯიჯავაძე, დარინა ბოლქვაძე
გსუ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი,
ქიმია, მეორე კურსი.
ელ. ფოსტა : ilonajijavadze01@gmail.com, daribolqvadze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა გეჟანიძე,
ქიმიის დეპარტამენტის პროფესორი

აბსტრაქტი

კვლევა წარმოებდა ნატურალურ, საქართველოში („ხეკორძულა“) მოპოვებულ წინასწარ დაქუცმაცებულ და ფრაქციებად დაყოფილ კლინოპტილოლიტზე. კვლევა ტარდებოდა დაუმუშავებელ და Na^+ ფორმაში გადაყვანილ კლინოპტილოლიტზე, მარცვლების ზომებით 1 და 2,5მმ. ისაზღვრებოდა სორბცია, მშრალი ნივთიერებების რაოდენობა და კუთრი ელექტროგამტარობა (æ) მარცვლების ზომებზე, ხსნარის სახეობაზე, კონცენტრაციაზე და კლინოპტილოლიტის დამუშავებაზე დამოკიდებულებით. *დადგენილია*: პროცესის მექანიზმი, ჯერ მიმდინარეობს კლინოპტილოლიტის იონების მაქსიმალური მიმოცვლა საკვლევი ხსნარის იონებზე, შემდეგ კი - სორბცია; სორბენტის მარცვლების ზომები დიდ გავლენას ახდენენ NH_4Cl-ის ხსნარის ელექტროგამტარობაზე: მარცვლების ზომების გაზრდით, ელექტროგამტარობა იზრდება და ისინი აქტიურად მონაწილეობენ NH_4^+ იონების მიმოცვლის პროცესებში; სორბცია დამოკიდებულია ხსნარის სახეობაზე; NH_4NO_3-ის ხსნარიდან იონური მიმოცვლა არ არის დამოკიდებული მარცვლების ზომებზე და დამოკიდებულია მხოლოდ ხსნარის კონცენტრაციაზე; დაუმუშავებელი სორბენტის სორბციული ტევადობა ამონიუმის იონის მიმართ მეტია NH_4NO_3 ხსნარებიდან და შეადგენს 1,1 გ/ლ., NH_4Cl ხსნარიდან -1,2 გ/ლ. დამუშავებული სორბენტის სორბციული ტევადობა NH_4NO_3 ხსნარებიდან შეადგენს 0,2 გ/ლ., NH_4Cl ხსნარიდან -0,3 გ/ლ. ადსორბცია უფრო მეტად მიდის NH_4Cl ხსნარიდან დაუმუშავებელ სორბენტზე; დამუშავებული სორბენტი Na^+ ფორმაში, ბუნებრივთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდის, წარმოებაში გამოყენების შემთხვევაში, სორბციული სვეტის მუშაობის რესურს. *დადგენილია:* კლონოპტილოლიტი -NH_4^+ ფორმაში შეიძლება გამოიყენოს როგორც ეფექტური მოქმედების სასუქი - აზოტის წყაროს სახით და აქტიური მელიორანტი.

საკვანძო სიტყვები : კლონოპტილოლიტი, სორბენტი, სორბცია.

შესავალი

დროთა განმავლობაში ნებისმიერი ნიადაგი იფიტება, მას პერიოდულად სჭირდება განოყიერება - სასუქის შეტანა, რომელიც აძლიერებს კულტურის ზრდას და შესაბამისად მის მოსავლიანობას, პროდუქტის მიღების სიჩქარეს, ხარისხსა და რაოდენობას. არსებობს ორი სახის სასუქი: ორგანული (სკინტი, ტორფი, ნაკელი) და არაორგანული (ნიტრიტები, ფოსფატები, გვარჯილა) [1,2].

ამჟამად, ყველაზე მოთხოვნადია ამონიუმის გვარჯილა, რომელიც მიეკუთვნება მინერალურ პროდუქტებს და მიიღება აზოტმჟავათი ამიაკის ნეიტრალიზაციის შედეგად, ის შეიცავს სხვადასხვა კლიმატური ზონისათვის საჭირო დანამატებს მიკროელემენტების სახით. არსებობს: *ამიაკური მარტივი გვარჯილა* ხშირად გამოიყენება შარდოვანას ნაცვლად,[4] უზრუნველყოფს კულტურას აზოტით; *„კალიუმის ანუ ინდური გვარჯილა“*: შეიცავს აზოტს და კალიუმს, გამოიყენება ხილის და ბოსტნეულის ყვავილობის პერიოდში და აძლიერებს მათ გემოვნურ თვისებებს; *კალიუმის გვარჯილა* : გამოიყენება მშრალი გრანულების ან ხსნარის სახით, ნიადაგში ზრდის კალციუმის შემცველობას, მცენარის მოსავლიანობას და პროდუქტების შენახვის ვადას; *მაგნიუმის გვარჯილა :* წარმოადგენს ბოსტნეულის და პარკოსნების მაგნიუმის დამატებით წყაროს; *ნატრიუმს ანუ „ჩილეს გვარჯილა“:* გამოიყენება ყველა ტიპის კულტურისათვის და კვების მრეწველობაში ხორცის დამუშავებისას[5,6].

სასუქი, შეტანისას, ძალიან ჩქარა შეიწოვება ნიადაგით ან გამოირეცხება წვიმის წყლით, რის გამოც მისი მოქმედება ნიადაგზე ხანმოკლეა და მცენარე ვერ ასწრებს კვებას.

აქედან გამომდინარე, პრაქტიკულ და სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენდა ბუნებრივი სორბენტის საფუძველზე ეფექტური მოქმედების სასუქის მიღება, კერძოდ, კლინოპტილოლიტის გაჯერება ამონიუმის იონით. ასეთი სახით სასუქის გამოყენება ხელსაყრელია, რადგან სასუქი ნიადაგში სორბენტიდან ჩამოირეცხება თანდათან და მცენარე სრულყოფილად გამოიყენებს მას.

1.ექსპერიმენტალური ნაწილი

1.1 კვლევის ობიექტები და მეთოდები

კვლევა წარმოებდა ნატურალურ, საქართველოში („ხეკორძულა“) მოპოვებულ კლინოპტილოლიტზე. წინასწარ კლინოპტილოლიტი დაქუცმაცდა,დაიყო ფრაქციებად, გამოყენებული იყო მხოლოდ ორი ფრაქცია, მარცვლების ზომებით 1 და 2,5მმ. კვლევა ტარდებოდა, როგორც დაუმუშავებელ, ასევე Na^{+} ფორმაში

გადაყვანილ კლინოპტილოლიტზე. Na^+ ფორმაში გადაყვანას ვაწარმოებდით 10%-იანი NaCl ხსნარით, წყლის აბაზანაზე (100°C), 2 საათის განმავლობაში გაცხელების პირობებში, შემდეგ კლინოპტილოლიტი ირეცხებოდა გამდინარე წყლით Cl^- იონებზე უარყოფითი რეაქციის მიღებამდე. ეს ციკლი ტარდებოდა ორჯერ. მიღებულ სორბენტს [3] ვაშრობდით საშრობ კარადაში 100-120°C-ზე. სორბციის კვლევისათვის სორბენტს ვათავსებდით მინის სვეტში 25 გრ. რაოდენობით და დინამიურ რეჟიმში ვამუშავებდით NH4NO3 (C=3,5გ/ლ) და NH4Cl (C= 3,5გ/ლ და 7გ/ლ) ხსნარებით. აგრეთვე ისაზღვრებოდა

სორბცია დაუმუშავებელ კლინოპტილოლიტზე NH4NO3 ხსნარიდან (C=3,5გ/ლ). NH4NO3 და NH4Cl-ის (ადსორბატი) ხსნარების კონცენტრაცია ისაზღვრებოდა კლინოპტილოლიტში (სორბენტი) ხსნარის გაშვებამდე და გაშვების შემდეგ ყოველ გასულ 100მლ. ხსნარში (დასაწყისში ყოველ 20მლ. ხსნარში), იგივე სიხშირით მშრალი ნივთიერებების რაოდენობა (მ.ნ.) და კუთრი ელექტროგამტარობა (æ) მარცვლების ზომებზე (r=1მმ., 2,5მმ), ხსნარის სახეობაზე, კონცენტრაციაზე და კლინოპტილოლიტის დამუშავებაზე დამოკიდებულებით (დამუშავებელი - გადაყვანილი Na^+ ფორმაში და დაუმუშავებელი, მხოლოდ გარეცხილი ნატურალური ქვა). ფილტრაციის სიჩქარე შეადგენდა 8მლ/წ. ადსორბციას ვატარებდით, სანამ ხსნარების საწყისი და საბოლოო კონცენტრაციები არ ედრებოდა ერთმანეთს. მშრალი ნივთიერებების რაოდენობა ისაზღვრებოდა რეფრაქტომეტრით (ATAGO), ელექტროგამტარობა კონდუქტომეტრით („LASANY“), NH4NO3 და NH4Cl კონცენტრაცია სპექტროფოტომეტრიული მეთოდით („LASANY“, λ=425ნმ., კიუვეტის ზომა 1სმ.).

1.2 მიღებული მონაცემები და მათი განხილვა

ხსნარის კუთრ ელექტროგამტარობას (æ) განაპირობებს იონების კონცენტრაცია: იონების კონცენტრაციის გაზრდით ელექტროგამტარობა იზრდება, რაც მიუთითებს აქტიურ იონურ მიმოცვლაზე კლინოპტილოლიტი - საკვლევი ხსნარი. კლინოპტილოლიტს აქვს რთული მაკროკრისტალური სტრუქტურა, რომელიც არაერთგვაროვანია, ის შეიცავს იონებისთვის ძნელად მისაღწევ სივრცეებს. ეს გარემოება ქმნის საკვლევი ხსნარის სორნებტთან მოქმედების ორ მექანიზმს: იონურ მიმოცვლას და ადსორბციას. ადსობენტში გავლილი ხსნარის - ფილტრატის ელექტროგამტარობა ისაზღვრებოდა ხსნარის საწყის კონცენტრაციაზე, კლინოპტილოლიტის მარცვლების ზომებზე და სორბენტის სახეობაზე დამოკიდებულებით *(ნახ.1-10).*

დადგენილია : იონების მაქსიმალური მიმოცვლა მიმდინარეობს 12 წთ.-ში, ხსნარის პირველი 100 მლ.-ის გავლისას, შემდეგი 12 წთ. განმავლობაში ელექტროგამტარობა მკვეთრად და დანარჩენ პერიოდში უმნიშვნელოდ იზრდება და

აღწევს საწყისი ხსნარის ელექტროგამტარობის მნიშვნელობას. ელექტროგამტარობის ასეთი ცვლილება მოწმობს მიმდინარე პროცესის მექანიზმზე: ჯერ მიმდინარეობს კლინოპტილოლიტის იონების მაქსიმალური მიმოცვლა საკვლევი ხსნარის იონებზე, შემდეგ კი - ადსორბცია. კლინოპტილოლიტის მარცვლების ზომებზე ელექტროგამტარობის დამოკიდებულების დასადგენად, აღებული იყო სორბენტი - Na^+ ფორმაში, მარცვლების ზომებით1 და 2,5მმ., საკვლევი ხსნარის კონცენტრაცია შეადგენდა $C(NH_4Cl)$=3,5გრ/ლ. *(ნახ.1.)*





მიღებულია: სორბენტის მარცვლების ზომები დიდ გავლენას ახდენენ NH_4Cl-ის ხსნარის ელექტროგამტარობაზე, კერძოდ, კლინოპტილოლიტის მცირე ზომის მარცვლები, (r=1მმ.) პრაქტიკულად არ მონაწილეობენ NH_4^+ იონების მიმოცვლის პროცესებში, ამაზე მოწმობს ხსნარის ელექტროგამტარობა, რომელიც რჩება პრაქტიკულად უცვლელი; უფრო მსხვილი ზომის მარცვლები (r=2,5მმ.), პირიკით, ძლიერ გავლენას ახდენენ ხსნარის ელექტროგამტარობაზე, ისინი აქტიურად მონაწილეობენ იონურ მიმოცვლაში. *დადგენილია:* სორბცია დამოკიდებულია ხსნარის სახეობაზე. NH_4NO_3-ის (C=3,5გრ/ლ.) ხსნარიდან ადსორბციისას მიღებულ დამოკიდებულებას აქვს განსხვავებული ხასიათი: ორივე ზომის მარცვლები (r=1მმ, r=2,5მმ.) ერთნაირ გავლენას ახდენენ ელექტროგამტარობაზე - ისინი აქტიურად მონაწილეობენ იონურ მიმოცვლაში სორბენტი-ხსნარი.გარდა ამისა *დადგენილია* ელექტროგამტარობის დამოკიდებულების ხასითი და მნიშვნელობა მცირედ განსხვავდება ერთმანეთისგან *(ნახ.2)*, რაც მოწმობს პროცესის მსვლელობის იდენტურობაზე. *დადგენილია* : NH_4NO_3-ის ხსნარიდან იონური მიმოცვლა არ არის დამოკიდებული მარცვლების ზომებზე და დამოკიდებულია მხოლოდ ხსნარის კონცენტრაციაზე *(ნახ.2). დადგენილია (ნახ.3) :* დაბალი კონცენტრაციის (C(NH_4Cl) = 3,5 გრ/ლ), ხსნარში ელექტროგამტარობა პირველ 75წთ-ში მცირდება და შემდეგ პრაქტიკულად უცვლელი რჩება, ანუ იონურ მიმოცვლას პრაქტიკულად არ აქვს ადგილი, განსხვავებული სურათია მაღალი კონცენტრაციის ხსნარში (C(NH_4Cl)=3,5გრ/ლ): ელექტროგამტარობა იზრდება უმნიშვნელოდ აღწევს საწყისი ხსნარის ელექტროგამტარობას. *დადგენილია*: კონცენტრაციის

გაზრდით უფრო მეტად მიმდინარეობს ადსორბცია ვიდრე იონურმიმოცვლა და შესაბამისად ელექტროგამტარობა უფრო ნაკლებია ვიდრე ორჯერ განზავებულ ხსნარში.



ნახ.3 ფილტრატის ელექტროგამტარობის დამოკიდებულება ადსორბატის (NH_4Cl) კონცენტრაციაზე



ნახ.4 ფილტრატის ელექტროგამტარობა სორბცია NH_4NO_3 ხსნარიდან

ნახ.4-ზე შედარებულია მონაცემები, მიღებული დაუმუშავებელ და დამუშავებულ სორბენტზე. *დადგენილია:* დაბალი ელექტროგამტარობა მიიღება დაუმუშავებული სორბენტისათვის, რაც აიხსნება იმით რომ სორბენტს ნაკლებად აქვს

იონური მიმოცვლის ცენტრები. პროცესი მიმდინარეობს ადსორბციული მექანიზმით, რადგანაც ხსნარის ელექტროგამტარობა 2,5-ჯერ ნაკლებია ვიდრე დამუშავებული სორბენტის შემთხვევაში, ანუ იონები იკავება სორბენტით, არ „გამოდიან“ ხსნარში და შესაბამისად ხსნარის ელექტროგამტარობა ნაკლებია. *დადგენილია:* ხსნარის ელექტროგამტარობა უფრო მაღალია დამუშავებული სორბენტისთვის, ანუ სორბენტი - ხსნარი მოქმედების მექანიზმში დამუშავებული სორბენტისთვის იონური მიმოცვლის წილი უფრო მეტია ვიდრე ადსორბციის. *ნახ.5-ზე* შედარებულია ელექტროგამტარობის მნიშვნელობები სორბენტის და ადსორბატის სახეობასა და მარცვლების ზომებზე დამოკიდებულებით. *დადგენილია*: სორბენტი უნდა იყოს Na^+ ფორმაში, ხსნარის კონცენტრაცია C = 3,5გრ/ლ.NH_4NO_3-ის, ანუ Na^+ იონების იონური მიმოცვლის პროცესი NH_4^+იონებზე, უფრო ეფექტურად მიმდინარეობს NH_4Cl-ის ხსნარში. აგრეთვე ისაზღვრებოდა მშრალი ნივთიერების რაოდენობები სორბენტის შემდეგ ფილტრატში *(ნახ.6,7). დადგენილია*: მშრალი ნივთიერების რაოდენობა დამოკიდებულია სორბენტის მარცვლების ზომებზე თუ NH4Cl-ში მშრალი ნივთიერების რაოდენობა ფილტრატში მეტია 1მმ ზომის ნაწილაკებისათვის.







მიღებული მონაცემები ეთანხმება ელექტროგამტარობის მონაცემებს. *ნახ.8*-ზე შედარებულია მიღებული მონაცემები.



დადგენილია: მშრალი ნივთიერებების ცვლილება სორბციულ პროცესში ყველაზე მეტად მიდის NH4Cl-ის ხსნარში C = 7 გრ/ლ., ნაწილაკების ზომები - 1მმ, ნაკლებად ეფექტურად მიდის იგივე ზომის ნაწილაკებისათვის, თუ კონცენტრაცია ნაკლებია და

შეადგენს C=3,5გრ/ლ, მშრალი ნივთიერების მიხედვით მიიღება რიგი: სორბენტი-Na^+(NH_4Cl,r=1მმ,C=7გ/ლ→სორბენტი-Na^+(NH4Cl,r=1მმ,C=3,5გ/ლ)→სორბენტი-Na^+ (NH_4NO_3,r=1მმ,C=3,5გ/ლ) →სორბენტი-Na^+(NH4NO3,r=2,5მმ,C= 3,5გ/ლ) → დაუმუშავებელი სორბენტი (NH4NO3, r=2,5მმ,C=3,5გ/ლ). ადსორბციის იზოთერმები მოყვანილია *ნახ.9,10.*





დადგენილია: დაუმუშავებელი სორბენტის სორბციული ტევადობა ამონიუმის იონის მიმართ მეტია NH_4NO_3 ხსნარებიდან და შეადგენს 1,1 გ/ლ, NH_4Cl ხსნარიდან -1,2 გ/ლ. დამუშავებული სორბენტის სორბციული ტევადობა NH_4NO_3 ხსნარებიდან შეადგენს 0,2 გ/ლ., NH_4Cl ხსნარიდან -0,3 გ/ლ.*დადგენილია :* ადსორბცია უფრო მეტად მიდის NH_4Cl ხსნარიდან დაუმუშავებელ სორბენტზე; დამუშავებული სორბენტი Na^+ ფორმაში, ბუნებრივთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდის, წარმოებაში გამოყენების შემთხვევაში, სორბციული სვეტის მუშაობის რესურს.

დასკვნა

დადგენილია:

- ✓ ჯერ მიმდინარეობს კლინოპტილოლიტის იონების მაქსიმალური მიმოცვლა საკვლევი ხსნარის იონებზე, შემდეგ კი - სორბცია;
- ✓ სორბენტის მარცვლების ზომები დიდ გავლენას ახდენენ NH_4Cl-ის ხსნარის ელექტროგამტარობაზე: მარცვლების ზომების გაზრდით, ელექტროგამტარობა იზრდება და ისინი აქტიურად მონაწილეობენ NH_4^+ იონების მიმოცვლის პროცესებში;
- ✓ სორბცია დამოკიდებულია ხსნარის სახეობაზე ;NH_4NO_3-ის ხსნარიდან იონური
- ✓ მიმოცვლა არ არის დამოკიდებული მარცვლების ზომებზე და დამოკიდებულია მხოლოდ ხსნარის კონცენტრაციაზე;
- ✓ მშრალი ნივთიერებების რაოდენობა დამოკიდებულია სორბენტის მარცვლების ზომებზე;

- ✓ მშრალი ნივთიერებების ცვლილება სორბციულ პროცესში ყველაზე მეტად მიდის NH4Cl-ის ხსნარში C = 7 გრ/ლ., ნაწილაკების ზომები - 1მმ, ნაკლებ ეფექტურად - იგივე ზომის ნაწილაკებისათვის, თუ ხსნარის კონცენტრაცია ნაკლებია და შეადგენს C = 3,5გრ/ლ.;
- ✓ დაუმუშავებელი სორბენტის სორბციული ტევადობა ამონიუმის იონის მიმართ მეტია NH_4NO_3 ხსნარებიდან და შეადგენს 1,1 გ/ლ., NH_4Cl ხსნარიდან -1,2 გ/ლ. დამუშავებული სორბენტის სორბციული ტევადობა NH_4NO_3 ხსნარებიდან შეადგენს 0,2 გ/ლ., NH_4Cl ხსნარიდან - 0,3 გ/ლ.
- ✓ ადსორბცია უფრო მეტად მიდის NH_4Cl ხსნარიდან დაუმუშავებელ სორბენტზე; დამუშავებული სორბენტი Na^+ ფორმაში, ბუნებრივთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდის, წარმოებაში გამოყენების შემთხვევაში, სორბციული სვეტის მუშაობის რესურს.

კლონოპტილოლიტი - NH_4^+ ფორმაში შეიძლება გამოიყენოს,როგორც ეფექტური მოქმედების სასუქი - აზოტის წყაოს სახით და აქტიური მელიორანტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ватин Н.И. Сорбционная очистка промышленных высококонцентрированных вод природными цеолитами от иона аммония. СПб: Изд-во СПб , 2007. 34 с.
2. Гетманцев С.В., Сычев А.В., Гандурина Л.В. Алгоритм выбора эффективного реагента для очистки природных вод.Водоснабжение и сан.техника. 2009,9.С.17-20.
3. Гетманцев С.В.Сравнение эффективности алюмосодержащих коагулянтов при очистке мутных речных вод //Водоснабжение и санитарная техника. 2012. 4. С. 44
4. 3. Климов, Е. С. Природные сорбенты и комплексоны в очистке сточных вод / Е. С. Климов, М. В. Бузаева. — Ульяновск : УлГТУ, 2011. — 201 с.
5. Глазкова, Е. А. Применение природных цеолитов / Е. А. Глазкова, В. Г. Иванов // Химия в интересах устойчивого развития. 2003. Т. 11. № 6. С. 101 — 107.
6. Шевченко, Т. В. Очистка сточных вод нетрадиционными сорбентами // Экология и промышленность России. — 2003. — № 1. — С. 35-37.

ABSTRACT

The studies were conducted on pre-crushed and fractionated clinoptilolite from the Hekordzula deposit in Georgia. A clinoptilolite with a grain size of fractions 1 and 2.5 mm was studied in natural and converted to Na^+form. Sorption, content of dry substances and electrical conductivity were determined depending on the size of the grains, the type of solution and its concentration, as well as the processing of clinoptilolite.

The mechanism of the process is established: first clinoptilolite exchanges its ions for solution ions as much as possible, then sorption takes place; It has been established that clinoptilolite grain sizes have a great influence on the electrical conductivity of an NH_4Cl solution: with an increase in grain size, electrical conductivity increases and they actively participate in the exchange of NH_4^+ ions; sorption depends on the type of solution; ion exchange from NH_4NO_3 solutions does not depend on grain sizes and depends only on the concentration of solutions; The sorption capacity of the unprocessed sorbent by ammonium ions from NH_4NO_3 solutions is 1.1, from NH_4Cl solution - 1.2 g/l. The sorption capacity of processed sorbent from NH_4NO_3 solutions is 0.2 , from a NH_4Cl solution- 0.3g/l. Adsorption on an unprocessed sorbent is better from a NH_4Cl solution; the processed sorbent in Na^+ form, in comparison with the natural one, will significantly increase, in case of its industrial application, the life of the sorption columns.

It is established that: clinoptilolite in NH_4^+ form can be effectively used as a fertilizer, as a source of nitrogen and an active ameliorant.

Key words: clinoptilolite, sorbent, sorption

საშხაპე გელი - ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია?

სტელა მარტიროსიანი
გსუ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი,
ქიმია, მესამე კურსი.
ელ.პოსტა : flora996@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა გეჟანიძე,
ქიმიის დეპარტამენტის პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული 9 სახის საშხაპე გელი: *"Senses" дивная сказка დამატენიანებელი (რუსეთი), "Senses" кир рояль ვიტამინების კომპლექსით (რუსეთი), " Botanica" (რუსეთი), „Farmaci" ზღვის თერაპია (თურქეთი), " DR. Jacobs Naturals " (საფრანგეთი), " Black Suede Night" (რუსეთი,) „ Ziaja"(პოლონეთი), „Jonson `s & Jonson `s"(აშშ),"Betres" (ესპანეთი).* საშხაპე გელებში ისაზღვრებოდა: ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების, ქლორიდების, მძიმე ლითონების რაოდენობა, ტიტრული მჟავიანობა, pH, ქაფიანობა და ქაფმდგრადობა, ხსნარის კონცენტრაციაზე, ტემპერატურაზე და ქვეყანა- მწარმოებლის დამოკიდებულებით. *დადგენილია:* ყველა საშხაპე გელის pH შეესაბამება დადგენილ ნორმებს, გამონაკლისს წარმოადგენს ფრანგული წარმოშვების *Dr. Jacobs Naturals* (pH=10,3); ქლორიდების ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა *Dr. Jacobs Naturals;* მხოლოდ *Botanica, Farmasi* და *Betres -*ში ლაურილსულფატის შემცველობა შეესაბამება დადგენილ ნორმას, დანარჩენ გელებში კი ის ბევრად აღემატება ; ლაურილსულფატის და NaCl რაოდენობა ყველაზე მეტია *Dr. Jacobs.Natural ;* ქაფიანობა დამოკიდებულია საშხაპე გელის კონცენტრაციაზე: კონცენტრაციის გაზრდით ქაფიანობა იზრდება; ყველაზე მაღალი ქაფიანობა ახასიათებს *"Ziaja"*-ს (10%, 5%, 1,25 და 0,5% ხსნარები)*;* ტემპერატურის გაზრდით საშხაპე გელების მაქსიმალური ქაფიანობა მცირდება. ყველაზე მაღალი ქაფიანობა აქვთ 1,25% საშხაპე გელების ხსნარებს 20˚C-ზე და 80˚C. ასევე *დადგენილია:* As და Cr, Ni და Co ყველაზე მეტ რაოდენობას შეიცავს *„Dr. Jacobs.Natural", ,* Pb - *„Jonson `s & Jonson".*

საკვანძო სიტყვები: საშხაპე გელები, ქაფიამობა, ქაფმდგრადობა, მძიმე ლითონები.

შესავალი

საქართველოში ძალიან პოპულარულია საშხაპე გელების გამოყენება. საშხაპე გელი, სხვა კოსმეტიკურ საშუალებებთან შედარებით, ახალი პროდუქტია, რომელიც გამოიყენება, საპონთან ერთად, როგორც სხეულის დასაბანი საშუალება. ამჟამად, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ტრადიციული საპნის ნაცვლად იყენებს საშხაპე გელებს. საშხაპე გელი, როგორც საპონიც, კარგად წმენდს კანსის ზედაპირს, მაგრამ საპნისაგან განსხვავებით, არ აშრობს მას, რადგან შეიცავენ ტუტის ნაკლებ რაოდენობას და დამარბილებლებს სპეციალური დანამატების სახით. აგრეთვე აქვს pH- ის ოპტიმალური დონე და არ არღვევს კანის pH- ის ბალანს, მზადდება წყლის საფუძველზე, კარგად საპნდება და შეიცავს პარფიუმერულ დანამატებს. საშხაპე გელების გამოყენება უფრო სასიამოვნოა ვიდრე საპნის [1,5].

ბოლო წლებში საშხაპე გელი - ადამიანის ყოველდღიური გამოყენების ატრიბუტი გახდა. ამჟამად იწარმოება უამრავი სახეობის და დანიშნულების საშხაპე გელი: სპეციალური კანის ასაქერცლი ნაწილაკებით, არომათერაპიული, ინტიმური, გელი-კრემები, გელები ზღვის მინერალებით, პარფიუმის სუნით და სხვა. ადამიანი საშხაპე გელის ამორჩევისას, სამწუხაროთ არ აქცევს ყურადღებას მის შედგენილობას, თავისებურებებსა და მოქმედებას კანზე და როგორც ღმოჩნდა უმეტესად საშხაპე გელების შედგენილობა ყოველთვის არ ემთხვევა ეტიკეტზე მითიითებულს.ასეთი გელის გამოყენებით ადამიანს უვითარდება კანის სერიოზული პრობლემები. [6,7].

აქედან გამომდინარე *პრაქტიკულ და სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენდა საშხაპე გელების შედგენილობის და ფიზიკო-ქიმიური თვისებების შესწავლა, კერძოთ: ქაფიანობის და ქაფმდგრადობის, მარილების, ზედაპირულად-აქტიური ნივთიერების და მძიმე ლითონების რაოდენობრივი განსაზღვრა, ტიტრული მჟავიანობისა და pH- ის დადგენა.*

1.ექსპერიმენტალური ნაწილი

1.1. კვლევის ობიექტები

კვლევა წარმოებდა სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული 9 სახის საშხაპე გელზე: *"Senses" დივნაა სკაზკა დამატენიანებელი (რუსეთი), "Senses" კირ როიალ ვიტამინების კომპლექსით(რუსეთი), "Botanica" (რუსეთი), „Farmaci" ზღვის თერაპია (თურქეთი), " DR. Jacobs Naturals " (საფრანგეთი) , "Black Suede Night" (რუსეთი), „Ziaja" (პოლონეთი), „Jonson `s & Jonson `s"(აშშ), "Betres" (ესპანეთი).* საშხაპე გელებში სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით [2-4], ისაზღვრებოდა ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების, ქლორიდების, მძიმე ლითონების რაოდენობა,

ტიტრული მჟავიანობა, pH, ქაფიანობა და ქაფმდგრადობა, ხსნარის კონცენტ-რაციაზე, ტემპერატურაზე და ქვეყანა- მწარმოებლის დამოკიდებულებით.

1.2.მიღებული მონაცემები და მათი განხილვა.

ადამიანის კანის pH მჟავე გარემოსია და კანი დაფარულია მჟავური ჰიდროლიპიდური შრით, რომელიც იცავს მას ნეგატიური მოქმედებისაგან. მაღალი pH-ის მქონე საშუალები არღვევს ამ ფენას, კანი ვერ ასწრებს აღდგენას და რჩება დაუცველი. საშხაპე გელების pH - მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ის არ უნდა აღემატებოდეს 8,5, დასაშვებია მერყეობდეს 5,0-8,5 ფარგლებში.

მიღებულია (ნახ.1): ყველა საშხაპე გელის pH შეესაბამება დადგენილ ნორ-მებს, გამონაკლისს წარმოადგენს ფრანგული წარმოშვების *Dr. Jacobs Naturals*, რომლის pH=10,36 ერთეულია.



ნახ.1 pH-ის დამოკიდებულება დუშგელების სახეობაზე



ნახ.2 ქლორიდების (ω,%) შემცველობა საშხაპე გელებში

ცნობილია, რომ სუფრის მარილის დამატებით საშხაპე გელი სქელდება. ამით იქმნება კონცენტრირებული გელის ილუზია და შესაბამისად მწარმოებელი ქმნის ფალსიფიცირებულ გელს და ზრდის მის ღირებულებას. ამიტომ საშხაპე გელებში ისაზღვრებოდა ქლორიდების რაოდენობა *(ნახ2)* ,რომელიც ნორმის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს 6%. *დადგენილია:* ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა *Dr. Jacobs Naturals* პრაქტიკულად ერთნაირ რაოდენობას შეიცავს *Botanica, Farmasi* *და Betres*. ქლორიდების შემცველობის(%) ზრდის მიხედბით საშხაპე გელები განლაგდება შემდეგ რიგში: *Ziaja(0.995)-> "Senses" кир рояль (1.016)-> "Senses" дивная сказка (1.14) -> " Black Suede Night" (1.4) -> „Jonson `s & Jonson `s" (1.55) -> Betres (2.29) -> Farmasi (2, 21)-> Botanica(2.365) -> Dr. Jacobs.Natural (3.86)*

საშხაპე გელების მრეცხავ უნარიანობას საზღრავს ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები (ზ.ა.ნ), კერძოდ, ანიონური ზ.ა.ნ . ერთის მხრივ ისინი უზრუნველყოფენ ქაფის წარმოქმნას, მეორეს მხვრივ კი - ყველაზე გამაღიზიანებლად მოქმედებენ კანზე. ასეთ ნივთიერებებს, რომელიც შეყვანილია პრაქტიკულად ყველა საშხაპე გელში, მიეკუთვნება ნატრიუმის ლაურილსულფატი. მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე *(ნახ.3) დადგენილია :* მხოლოდ სამ საშხაპე გელში ლაურილსულფატის შემცველობა შეესაბამება დადგენილ ნორმებს (2-5%) დანარჩენ გელებში ის ბევრად აღემატება ნორმას. ლაურილსულფატის შემცველობის (%) ზრდის მიხედვით გელები განლაგდება რიგში: *Botanica (2.403)->Farmasi (3.46)-> Betres (3.68)-> Ziaja (9.012)-> „Jonson `s & Jonson `s" (13.97) -> Senses" кир рояль (14.42) -> Black Suede Night (14.65) ->"Senses" дивная сказка (16.37)-> Dr. Jacobs.Natural (19.83).*



შემდეგ ისაზღვრებოდა საშხაპე გელების *ქაფიანობა და ქაფმდგრადობა:* ქაფიანობა საზღრავს საშხაპე გელების მრეცხავ უნარს, ხოლო ქაფმდგრადობა -

მრეცხავი უნარის ხარისხს. განისაზღვრა ქაფიანობის და ქაფმდგრადობის დამოკიდებულება გელის სახეობაზე, ქვეყანა წარმოებელზე, კონცენტრაციასა (10, 5, 2,5,1,25% სხნარებში) და ტემპერატურაზე(20,50 და 80˚C) *(ნახ.4-7)*. *დადგენილია:* ქაფიანობა დამოკიდებულია საშხაპე გელის კონცენტრაციაზე: კონცენტრაციის გაზრდით ქაფიანობა იზრდება *(ნახ, 4)* ყველაზე მაღალი ქაფიანობა ანუ მრეცხავი უნარი ახასიათებს პოლონეთის წარმოების *"Ziaja"* -ს (10%, 5%, 1,25 და 0,5% ხსნარები) და მხოლოდ 2,5% ხსნარში - რუსეთის წარმოების *„Senses дивная сказка"* საშხაპე გელი უნდა იყოს სუფთა პროდუქტი, არ უნდა გამოიწვიოს ალერგიულ რეაქციას, კანის და თვალების გაღიზიანებას და, რაც მთავარია, არ უნდა შეიცავდეს მძიმე ლითონებს. ეკოლოგიური სისუფთავის დადგენის მიზნით საშხაპე გელებში განისაზღვრა ლითონების, მათ შორის მძიმე ლითონების რაოდენობა პლაზმურ ემისიურ ატომურ სპექტომეტრზე ICPE- 9820 *(ნახ. 10-15).*



მიღებულია: კონცენტრაციის შემცირებით და ტემპერატურის გაზრდით *(ნახ.5-7)* საშხაპე გელების მაქსიმალური ქაფიანობა მცირდება. ყველაზე მაღალი ქაფიანობა აქვთ 1,25% საშხაპე გელების ხსნარებს 20˚C-ზე. აგრეთვე ისაზღვრებოდა საშხაპე *გელების ქაფმდგრადობის* ანუ მრეცხავი უნარის ხარისხის დამოკიდებულება ხსნარის კონცენტრაციასა და T^0(ნახ.8,9). დადგენილია: ქაფმდგრადობა, როგორც ქაფიანობა, დამოკიდებულია ხსნარის კონცენტრაციაზე და

ტემპერატურაზე. კონცენტრაციის და ტემპერატურის გაზრდით ქაფმდგრადობა მცირდება. (ნახ. 8-10)








ნახ. 8 ქამდგრადობის დამოკიდებულება გელის კონცენტრაციაზე (t =20 °C)
T,წმ.
400
350
300
250
200
150
100
50
0
10%
5%
2.50%
1.25%
0.50%
SENSES , Дивная сказка
SENSES, Кир Рояль
BOTANICA
BETRES
Dr.JACOBS NATURALS
ZIAIA
FARMASI
Johnson`s & Johnson`s
Black Suede Night


ნახ. 9 ქაფმდგრადობის დამოკიდებულება გელის კონცენტრაციაზე (t = 50 °C)
T, წმ
120
100
80
60
40
20
0
10%
5%
2.50%
1.25%
0.50%
SENSES , Дивная сказка
SENSES, Кир Рояль
BOTANICA
BETRES
Dr.JACOBS NATURALS
Ziaja
Farmasi
Johnson`s & Johnson`s
Black Suede Night


ნახ. 10 ქამდგრადობის დამოკიდებულება გელის კონცენტრაციაზე (t = 80°C)
T, წმ.
80
70
60
50
40
30
20
10
0
10%
5%
2.50 %
1.25 %
SENSES , Дивная сказка
SENSES, Кир Рояль
BOTANICA
BETRES
Dr.JACOBS NATURALS
ZIAIA
FARMASI
Johnson`s & Johnson`s
Black Suede Night


ნახ. 10 მძიმე ლითონების (As, Cr)შემცველობა (მგ/ლ)
Ziaja
Dr.Jacobs
Botanica
Black Suede Night
Betres
Farmasi
Senses "дивная сказка "
Senses "кир рояль"
Johnson`s & Johnson`s
0.301
2.44
2.35
9.12
0.22
0.262
0.509
2.29
0.0873
0.247
0.188
0.762
0.358
0.595
0.485
0.41
0.296
Cr მგ/ლ
As მგ/ლ
0
2
4
6
8
10


ნახ. 13 ტუტე ლითონების (Li) შემცველობა (მგ/ლ)
Ziaja
Botanica
Betres
Senses "дивная сказка "
Johnson`s & Johnson`s
109
209
7.08
10.7
7.2
26.8
18
29.5
11
0
50
100
150
200
250


ნახ. 11 მძიმე ლითონების (Ni, Co) შემცველობა (მგ/ლ)
Ziaja
Botanica
Betres
Senses "дивная сказка "
Johnson`s & Johnson`s
0.881
20.3
5.86
0.686
1.92
0.488
0.601
0.479
1.43
1.17
0.905
0.578
0.322
4.22
1.04
0.767
Ni მგ/ლ
Co მგ/ლ
0
5
10
15
20
25


ნახ.12 მძიმე ლითონის (Pb) შემცველობა მგ/ლ
Ziaja
Dr.Jacobs
Botanica
Black Suede Night
Betres
Farmasi
Senses "дивная сказка "
Senses "кир рояль"
Johnson`s & Johnson`s
21.9
11.6
11.6
16.8
28.9
20.1
27.2
58.8
268
0
50
100
150
200
250
300





დადგენილია: მძიმე ლითონების As ,Cr, Ni და Co ყველაზე მეტ რაოდენობას შეიცავს *„Dr. Jacobs.Natural“*, Pb - *„Jonson `s & Jonson“.*

დასკვნა

დადგენილია :

- ✓ ყველა საშხაპე გელის pH შეესაბამება დადგენილ ნორმებს, გამონაკლისს წარმოადგენს ფრანგული წარმოშობის *Dr. Jacobs Naturals* ,რომლის pH=10,36.
- ✓ ქლორიდების ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევნა *Dr. Jacobs Naturals* პრაქტიკულად ერთნაირ რაოდენობას შეიცავს *Botanica, Farmasi* და *Betres.* ქლორიდების შემცველობის(%) ზრდის მიხედბით საშხაპე გელები განლაგდება შემდეგ რიგში: *Ziaja(0.995)-> “Senses” кир рояль (1.016)-> “Senses” дивная сказка (1.14) -> “ Black Suede Night” (1.4) -> „Jonson `s & Jonson `s“ (1.55) -> Betres (2.29) -> Farmasi (2, 21)-> Botanica(2.365) -> Dr. Jacobs.Natural (3.86)*

- ✓ მხოლოდ სამ საშხაპე გელში ლაურილსულფატის შემცველობა შეესაბამება დადგენილ ნორმებს (2-5%), დანარჩენ გელებში ის ბევრად აღემატება ნორმას. ლაურილსულფატის შემცველობის (%) ზრდის მიხედვით გელები განლაგდება რიგში: *Botanica (2.403)->Farmasi (3.46)-> Betres (3.68)-> Ziaja (9.012)-> „Jonson `s & Jonson `s" (13.97) -> Senses" кир рояль (14.42) -> Black Suede Night (14.65) ->"Senses" дивная сказка (16.37)-> Dr. Jacobs.Natural (19.83).*
- ✓ ლაურილსულფატის და NaCl რაოდენობა ყველაზე მეტია *Dr. Jacobs. Natural -ში.*
- ✓ ქაფიანობა დამოკიდებულია საშხაპე გელის კონცენტრაციაზე: კონცენტრაციის გაზრდით ქაფიანობა მცირდება : ყველაზე მაღალი ქაფიანობა ანუ მრეცხავი უნარი ახასიათებს პოლონეთის წარმოების *"Ziaja"* -ს (10%, 5%, 1,25 და 0,5% ხსნარები) და მხოლოდ 2,5% ხსნარში - რუსეთის წარმოების *„Senses дивная сказка"* .
- ✓ ტემპერატურის გაზრდით საშხაპე გელების მაქსიმალური ქაფიანობა მცირდება. ყველაზე მაღალი ქაფიანობა აქვთ 1,25% საშხაპე გელების ხსნარებს 20˚C-ზე.
- ✓ 20 და 80˚C - ყველაზე მაღალი მრეცხავი უნარის ხარისხი ექნება *"Ziaja" - ს,* 60 ˚C – *„Dr. Jacobs.Natural".*
- ✓ მძიმე ლითონების As, Cr, Ni და Co ყველაზე მეტ რაოდენობას შეიცავს *„Dr. Jacobs.Natural",* Pb - *„Jonson `s & Jonson".*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Гели для душа. Состав гелей для душа: щелочь, пав, отдушки, красители и консерванты. **https://www.inmoment.ru/beauty/aroma/shower-gel.html**

2. ГОСТ 22567.1-77 Средства моющие синтетические. Метод определения пенообразующей способности.

3. ГОСТ 22567.5-77 Средства моющие синтетические. Метод определения концентрации водородных ионов

4. ГОСТ 22567.5-93 Средства моющие синтетические и вещества поверхностно-активные. Методы определения концентрации водородных ионов

5. Новые ПАВ для косметики **: Бессульфатные средства для очищения кожи и волос** http://www.ruhim.ru/article/novie-pav-dlya-kosmetiki.htm

6. Основные свойства геля для душа . https://skin.ru/article/geli-dlja-dusha-vidy-i-otlich

7. Состав гелей для душа. https://www.allwomens.ru/12014-sostav-geley-dlya-dusha.html

მიოკარდიუმის ინფარქტი და მისი გავრცელება აჭარის რეგიონში

დავით ქობულაძე, ზურაბ ხიმშიაშვილი
ბსუ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი,
მედიცინა, მესამე კურსი
ელ.ფოსტა: davitkobuladze333@gmail.com, zurabkhimshiashvili@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ***ჯიმშერ ლეჟავა,***
საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მტკიცებითი მედიცინის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

მიოკარდიუმის ინფარქტი (მი) მსოფლიოში სიკვდილიანობის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია. მიუხედავად XXI საუკუნის ტექნოლოგიური პროგრესისა სამედიცინო სფეროში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები სიკვდილიანობის მთავარ მიზეზად რჩება მთელს მსოფლიოში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ 40 წამში ფიქსირდება მი-ის 1 შემთხვევა.

ნაშრომში განხილულია მი-ის ეპიდემიოლოგია, ეტიო-პათოგენეზი, კლინიკა, გართულებები, რისკ-ფაქტორები, დიაგნოსტიკის მეთოდები და აჭარაში მისი გავრცელება. ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა 2011-2018 წლებში მი-ის შემთხვევები (პრევალენტობა) აჭარის რეგიონში და სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გამოგვეტანა შესაბამისი დასკვნები. ვეცადეთ გამოგვევლინა განსხვავების სავარაუდო მიზეზები და კანონზომიერებანი. ჩვენ შევისწავლეთ აჭარის რეგიონში არსებული 5 კლინიკის 2018 წლის მი-ს სტატისტიკური მონაცემები და გავაკეთეთ მისი ანალიზი. კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მოდელი,

გაირკვა, რომ 2011 წლიდან 2016-მდე მი-ის დაფიქსირებული შემთხვევები აჭარაში 57%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, ამ წლების განმავლობაში აჭარაში საშუალოდ მი-ს პრევალენტობა 22%-ით მეტი იყო, ვიდრე ზოგადად საქართველოში, 2016 წელს კი 31 %-ით. უფრო მეტიც, 2018 წლის მონაცემებით, აჭარის კლინიკებში მი-ის შემთხვევები 1577 შეადგენს, რაც აჭარის ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებულ 2017 წლის მონაცემს 1,8-ჯერ აღემატება და ეს ყოველივე ამტკიცებს ამ პათოლოგიის მზარდ ტენდენციას. სქესის მიხედვით აჭარაში მი-ის შემთხვევები მამაკაცებში საშუალოდ 1,8-ჯერ მეტად გვხვდება, ვიდრე ქალებში.

შესავალი

მიოკარდიუმის ინფარქტი (**მი**) ეწოდება მიოკარდიუმის ნეკროზს, რომელიც გამოწვეულია მწვავე იშემიით. მიუხედავად 21-ე საუკუნის ტექნოლოგიური პროგრესისა სამედიცინო სფეროში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები სიკვდილიანობის მთავარ მიზეზად რჩება მთელს მსოფლიოში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) შეფასებით ყოველწლიურად გულ-სისხლძარღვთა დაავა-დებები სიკვდილიანობის მიზეზი 31%-შია, რაც 17,9 მილიონს შეადგენს. მაგალითისთვის, 2016 წელს ბათუმის ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მონაცემებით 324 გარდაცვლილიდან 97 შემთხვევაში დაფიქსირდა მი, რაც დაახლოებით 30%-ს შეადგენს. ზემოაღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა ჩვენი ინტერესი ამ საკითხის მიმართ და გადავწყვიტეთ დეტალურად შეგვესწავლა მიოკარდიუმის ინფარქტის გავრცელება აჭარის რეგიონის მაგალითზე.

ამრიგად, ნაშრომის მიზანია დავადგინოთ აჭარის რეგიონში (საქართველოს და სხვა ქვეყნების მონაცემებთან შედარებით) მი-ის პრევალენტობა და ინციდენტი, მისი ტენდენცია ბოლო წლების განმავლობაში, ვეცადოთ გამოვავლინოთ განსხვავების (თუკი ასეთი არსებობს) სავარაუდო მიზეზები და კანონზომიერებანი, და გავარკვიოთ აქვს თუ არა კავშირი მას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ან სხვა ფაქტორებთან.

გიდ-ის კლასიფიკაცია (ჯანმო)

1. უეცარი კარდიული სიკვდილი;

2.სტენოკარდია :

A. სტაბილური;

B. ვარიანტული (პრინცმეტალის, X - სინდრომი);

C. არასტაბილური;

3. მიოკარდიუმის ინფარქტი:

A. Q -კბილის გარეშე; B. Q -კბილით;

4. გიდ-ის უმტკივნეულო ფორმები :

A. გულის უკმარისობა; B. არიტმიები

№1-ლი დიაგრამა გვიჩვენებს იმას, თუ რამდენმა ადამიანმა მიიღო სტაციონარული მომსახურება ბოლო წლების განმავლობაში მი-ს გამო და ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ გიდ საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, უმნიშვნელოვანესი პრობლემაა!

ეპიდემიოლოგია

დიდი ბრიტანეთის 2014 წელში ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით მი-ს სიხშირე შემდეგნაირი იყო: 640000 ათასი შეთხვევა მამაკაცებში, ხოლო 275000 – ქალბატონებში. ამრიგად აშკარაა, რომ მი გაცილებით ხშირია მამაკაცებში."(იხ. დანართში დიაგრამა 2). იგივე დადასტურდა ფრემინგემის კვლევაში, სადაც მონაწილეობდა 28-62 წლის ასაკობრივ კატეგორიის 5209 ადამიანი. აღსანიშნავია, რომ 45 წლის ასაკის ზემოთ მი-ის სიხშირე აშკარად მატულობდა. საინტერესოა, რომ სამხრეთ აზიის განვითარებადი ქვეყნების (ინდოეთი, პაკისტანი, შრი-ლანკა, ბანგლადეში და სხვა) სტატისტიკის მიხედვით სრულიად სხვა სურათია: 45 წლამდე ასაკში მი-ის გაცილებით მეტი შემთხვევაა დაფიქსირებული!

ეტიოლოგია, პათოგენეზი და კლინიკა

მი, უხშირესად, გვირგვინოვანი სისხლძარღვის ათეროსკლეროზთანაა დაკავშირებული, თუმცა, იშვიათ შემთხვევებში, იგი შეიძლება განვითარდეს კატექოლამინური ნეკროზის სახით – ფსიქოემოციური მძიმე სტრესის ან ფეოქრომოციტომის შედეგად. არასტაბილურ „ფოლაქებს" რბილი, ლიპიდებით დატვირთული შემცვლელობა აქვს, თხელი, ხშირად სკლეროტული, ფიბროზული საფარით. ფოლაქის საფარის დესტაბილიზაცია და ლიპიდებით მდიდარი ათეროგენული ბირთვის გამოთავისუფლება იწვევს თრომბოციტების აგრეგაციას, ადჰეზიას, და კოაგულაციის კასკადის ჩართვას. შედეგად ყალიბდება თრომბი, რაც ახშობს კორონარული არტერიის სანათურს და ვითარდება მიოკარდის ისეთი ხარისხის იშემია, რომელიც იწვევს Q კბილით მიმდინარე მიოკარდიუმის ინფარქტს.

ათეროსკლეროზული ფოლაქის დესტაბილიზაციის (დაწყლულება, რღვევა, ეროზია, თრომბირება) ტემპის და ხარისხის მიხედვით მწვავე კორონარული სინდრომი (მკს) შეიძლება გამოვლინდეს 3 კლინიკური სინდრომის სახით. იგი შეიძლება მიმდინარეობდეს ST სეგმენტის ელევაციის გარეშე ან ელევაციით. ასეთ ეკგ დაყოფას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ელევაციის გარეშე უხშირესად საქმე გვაქვს არასტაბილურ სტენოკარდიასთან ან არატრანსმურულ მი-თან. ST-ს ელევაციით მიმდინარე მკს, როგორც წესი, მთავრდება მი-ით Q კბილით ან Q-ს გარეშე.

მწვავე კორონარული სინდრომის გამოსავალი

(2006 წლის ეროვნული გაიდლაინის მიხედვით)



კატექოლამინებს აქვთ დადებითი ინოტროპული და ქრონოტროპული ეფექტი, რაც მკვეთრად ზრდის კორონარულ პერფუზიაზე მოთხოვნილებას, ამავე დროს, არაეკონომიურს ხდის ჟანგბადის მოხმარებას. ყოველივე ეს ამცირებს ატფ-ის აერობულ სინთეზს და ზრდის ანაერობულ პროცესებს, რომლის დროსაც მიოკარდში გროვდება რძისმჟავა და სხვა მჟავე პროდუქტები (ნახშირმჟავა, პიროყურძნისმჟავა, ფოსფორმჟავა), რაც არის ანგინოზური შეტევის ბიოქიმიური საფუძველი. გარდა ამისა, ირღვევა მემბრანების სტაბილურობა და ფერმენტული აქტივობა, ზიანდება ორგანელები და მათი ფუნქციები. შესაბამისად ირღვევა იონთა ცვლა: უჯრედებიდან გამოდის კალიუმი და შიგნით გროვდება ნატრიუმი, რომელსაც შეუძლია წყლის შეკავება. უჯრედული მეტაბოლიზმის დარღვევა, ჰიპოქსია და აციდოზი იწვევს ანგინოზური შეტევის იმ კლასიკურ სურათს, რომელიც ისე შესანიშნავად აღწერა კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა **უილიამ ჰებერდენმა** (1785 წ), რომ შემდგომში ამ განმარტებაში არაფერი შეც-ვლილა და დაავადებას ჰებერდენის სინდრომს უწოდებდნენ. მანვე შემოგვთავაზა 3 კრიტერიუმი დაძაბვის სტაბილური სტენოკარდიის დიაგნოზისთვის:

1. შეტევა დაკავშირებულია ფსიქოემოციურ ან ფიზიკურ დატვირთვასთან;
2. ტკივილი, ზეწოლა, მოჭერა დისკომფორტი, რომელსაც პაციენტი მუჭით ან ხელის გულით გვიჩვენებს მკერდის ძვლის არეში;
3. შეტევის მოხსნა დატვირთვის შეწყვეტის და ნიტროგლიცერინის მიღების შედეგად.

ორი კრიტერიუმის არსებობა საკმარისია, რათა ვივარაუდოთ სტენოკარდია.

რაც შეეხება მი-ს, დამახასიათებელია ინტენსიური ტკივილი მკერდის ძვლის არეში, რომელიც შეიძლება გავრცელდეს მარცხენა კიდურზე, მარცხენა ბეჭზე, კისერსა და ქვედა ყბაზე, ან ეპიგასტრიუმის არეში, რაც უკანა დიაფრაგმალურ ინფარქტს ახასიათებს.

დანეკროზებული უბნის ლოკალიზაცია და ინფარქტის სტადია შეგვიძლია განვსაზღვროთ ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემებით, ვინაიდან მი-ს ახასითებს დროითი კინეტიკა და შესაბამისი ცვლილებები: დასაწყისში დამა-ხასიათებელია ე.წ. მონოფაზური პარკუჭოვანი კომპლექსი (ე.წ. „დაზიანების დენი“, რაც ჯერ კიდევ ნეკროზს არ ნიშნავს). Q კბილი უხშირესად ჩნდება 8 - 12 საათის შემდეგ, რაც უკვე ნეკროზის ჩამოყალიბებას ნიშნავს. ნეკროზის უბანში შემაერთებელი ქსოვილის ჩალაგების გამო Q კბილი პრაქტიკულად მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფიქსირდება. (იხილეთ სურ. 1)

გაურთულებელი ტრანსმურული მიოკარდიუმის ინფარქტის მიმდინარეობაში გამოიყოფენ 5 პერიოდს:

1. პროდრომული;
2. უმწვავესი - მწვავე იშემიის გაჩენიდან ნეკროზამდე (2-3 სთ);
3. მწვავე - დანეკროზებიდან 7-10 დღის პერიოდში (Q კბილი უკვე ამ სტადიაში ჩნდება);
4. ქვემწვავე - ნაწიბურის ჩამოყალიბება და რემოდელირება;
5. დანაწიბურების - ჩნდება Q კბილი ან QS, ინვერსირებული T კბილით.

რისკ-ფაქტორები

გიდ-ის რისკ-ფაქტორები დაყოფილია ორ ჯგუფად: მოდიფიცირებადი და არამოდიფიცირებადი.

1. არამოდიფიცირებადი – რისკ-ფაქტორები, რომლებზეც ზემოქმედება შეუ-ძლებელია:

- ხანდაზმულობის ასაკი;
- მეტაბოლურრი სინდრომი და აბდომინური სიმსუქნე (ცხიმოვანი ქსოვილი გამოყოფს ადიპოკინებს, რომლებიც დაკავშირებულია ათეროსლეროზთან);
- მამრობითი სქესი;
- ინსულინ რეზისტენტობა და შაქრიანი დიაბეტი;
- ჰიპერჰომოცისტეინემია;

2. გენეტიკური მიდრეკილება – შედარებით ახალგაზრდა ასაკში გიდ-ის ან ცერებრული ინსულტის განვითარების ოჯახური ანამნეზი. მოდიფიცი-რებადი რისკ-ფაქტორებია, რომლებზეც პრევენციული ზემოქმედება შეგვიძლია. ასეთებია:

- სიმსუქნე;
- სისხლში დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების მაღალი დონე;
- სისხლში მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაბალი დონე;
- ლიპოპროტეინ a მაღალი დონე;

- არტერიული ჰიპერტენზია;
- თამბაქოს მოხმარება;
- დაბალი ფიზიკური აქტივობა-ჰიპოდინამია;
- ჰიპოთირეოზი;
- რაფინირებული ნახშირწყლების და ცხოველური ცხიმების ჭარბი მიღება;

გართულებები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მიოკარდიუმის ინფარქტს:

- არიტმიები – ბრადი- ან ტაქიარიტმია, წინაგულების ფიბრილაცია, ავ ბლოკადა, კარდიოგენული შოკი, უეცარი კარდიული სიკვდილი.
- პარკუჭთაშუა ძგიდის გასკდომა ან მარცხენა პარკუჭის ანევრიზმა.
- მარცხენა პარკუჭის რემოდელირება, რუპტურა.
- გულის მწვავე უკმარისობა, ფილტვების შეშუპება.
- მიტრალური რეგურგიტაცია (მწვავე) - დვრილისებრი კუნთის დაზიანება ან პარკუჭის დილატაცია
- დრესლერის სინდრომი (პოსტინფარქტული)-ინფარქტის შემდგომი პერიკარდიტი, სისხლში გადასულ ცილებზე აუტო ანტისხეულების გამომუშავება.
- თრომბოემბოლია

გამოკვლევები

1. ეკგ მიოკარდიუმის ინფარქტის დროს ინფორმაციულია. დასაწყისში ST სეგმენტის გუმბათისებური ცდომა ზევით ე.წ. მონოფაზური პარკუჭოვანი კომპლექსი და T კბილის ინვერსიაა დამახასიათებელი. 8-12 საათის (ზოგჯერ გაცილებით ადრე) შემდეგ კი ჩნდება პათოლოგიური Q კბილი.

2. ტროპონინის დონის მატება ინფარქტის პირველ საათებში კარდიომიოციტების ნეკროზზე და ტროპომიოზინური კომპლექსის დაშლაზე მიუთი-თებს. მატულობს აგრეთვე შედარებით არასპეციფიკური მარკერები, როგორიცაა ლაქტატდეჰიდროგენაზა, კრეტინფოსფოკინაზა, მიოგლობინი.

3. ასეპტიური ანთების და ქსოვილის ნეკროზის არასპეციფიკური მაჩვენებლების ცვლილება: სუბფებრილიტეტი, ანეოზინოფილია, ლეიკოციტოზი (პირველ დღეებში), ედს-ის მომატება (ლეიკოციტოზის შემცირების ფონზე)

4. რადიონუკლიდური კვლევა – მიოკარდიუმის სცინტიგრაფია. რადიო-აქტიური ნივთიერება შეჰყავთ ვენაში, რითაც შეგვიძლია ინფარქტის კერის დადგენა.

5. ექოკარდიოგრაფიით ვაკვირდებით სარქვლების და დვრილისებრი კუნთების მდგომარეობას, რეგურგიტაციას, იშემიის დროს კუმშვადობის ფუნქცია დარღვეულია. დოპლერ-ექოკარდიოგრაფიით – მარცხენა პარკუ-ჭის რემოდელირება.

6. კორონარული ანგიოგრაფია. კონტრასტული ნივთიერების შეყვანის შემდეგ ვიღებთ კორონარული არტერიების რენტგენოგრაფიულ გამოსახულებას. ამ კვლევით შეიძლება დავადგინოთ არტერიის სპაზმი და დახშობა.

7. ჰოლტერის მონიტორინგი აჩვენებს იშემიის ეპიზოდებს დღე-ღამის განმავლობაში, აგრეთვე ვარიანტულ სტენოკარდიას.

კვლევითი ნაწილი

შევისწავლეთ 2011-2018 წლებში აჭარის რეგიონში, მი-ის შემთხვევები (პრევალენტობა). მონაცემები შევადარეთ საქართველოსა და სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს და გამოვიტანეთ გარკვეული დასკვნები. საქართველოსა და აჭარაში 2011-2016 წლების მონაცემებით მიოკარდიუმის ინფარქტის სტაციონალური მომსახურების მაჩვენებელი პროგრესულად იზრდება (დიაგრამა 3).

№1-ლი ცხრილიდან ჩანს, აჭარაში საშუალოდ მი-ს პრევალენტობა 22%-ით უფრო მეტია, ვიდრე ზოგადად საქართველოში, 2016 წელს კი 31 %-ით.

მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს მი-ის სტაციონარულ მომსახურებას 2011 წლიდან 2016 წლამდე აჭარასა და საქართველოში.

აჭარაში დაფიქსირებული მაღალი პრევალენტობის სავარაუდო მიზეზებად მიგვაჩნია კვების რაციონი და თამბაქოს მოხმარება. ამ რეგიონის ტრადიციული კერძები უხვად შეიცავს ცხიმს, რაც ხელს უწყობს ათეროსკლეროზის ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში აჭარა თამბაქოს მოყვანის მხრივ მოწინავე პოზიციას იკავებს, სავარაუდოდ, მოხმარებაც მაღალია, რაც მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკ-ფაქტორებია.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს ამ ეტაპისთვის არ აქვს აღრიცხული 2018-2019 წლის მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევები საქართველოში. ამიტომ, 2018 წლის მიოკარდიუმის ინფარქტის სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისთვის გადავწყვიტეთ გამოგვეკვლია აჭარის რეგიონის იმ კლინიკებში დაფიქსი-რებული შემთხვევები, სადაც კარდიოლოგიური მომსახურება იყო. აღნიშნული კვლევის შედეგები ასეთია: BAU – ბათუმის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი – 284, ბათუმის რეფერალური საავადმყოფო – 770, ჯანმრთელობის ცენტრი მედინა – 161, შპს აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრი (მედცენტრი) – 282 და ქობულეთის სამედიცინო ცენტრი – 80 მიოკარდიუმის ინფარქტის შეთხვე-ვა. (იხ. დიაგრამა 4)

აღნიშნული მონაცემების დაჯამებით მივიღეთ 2018 წელს გამოვლენილი მიოკარდიუმის ინფარქტების სიხშირე აჭარაში, რაც შეადგენს 1577-ს. ეს მონაცემი 2017 წელთან შედარებით 1,8-ჯერ გაზრდილია და იმას ადასტურებს, რომ მიო-

კარდიუმის ინფარქტს მზარდი ტენდენცია აქვს, თუმცა ამის მიზეზი ჰოსპიტალიზაციის ხელმისაწვდომობა და მედმომსახურების გაუმჯობესებაც შეიძლება იყოს! შესაბამისად, მომავალ წელსაც უნდა ველოდოთ მი-ის ზრდას და საკმაოდ საინტერესო იქნება 2019 წლის სტატისტიკური მაჩვენებლები. აჭარაში ინფარქტის შემთხვევები მამაკაცებში 1,8 ჯერ მეტად გვხვდება, ვიდრე ქალებში, თუმცა ეს გაკვირვებას არ იწვევს, რადგან ზოგადად მსოფლიოში მსგავსი ტენდენცია შეინიშნება.

მიუხედავად მიმართვიანობის და პრევენციის გაზრდისა, 2018 წლის მიოკარდიუმის ინფარქტის სტატისტიკური მონაცემი, აჭარის საზოგადო-ებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2017 წლის მოწოდებულ მაჩვენებელთან შედარებით 1,8-ჯერაა მომატებულია.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგა-დოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ყურადღებას იქცევს მიოკარდიუმის ინფარქტის რეგისტრირებულ და ახალი შემთხვევების საეჭვო რაოდენობა, სადაც ახალი შემთხვევები უსწრებს რეგისტრირებულს.

სწორედ, ამიტომაც ჩვენ ამ საკითხს კრიტიკულად შევხედეთ და ვფიქრობთ, რომ აჭარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ასევე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის სტატისტიკური მონაცემები უზუსტობას შეიცავს.

ზოგადი წარმოდგენის შექმნისთვის საქართველოში მი-ს სიხშირის სტატისტიკური მონაცემები შევადარეთ სხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს. მი პოლიეტიოლოგიური მიზეზებითაა განპირობებული და სწორედ ეს ართულებს მის შედარებას სხვადასხვა რეგიონში. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ პარალელის გასავლებად ისეთი ქვეყანა შეგვერჩია, რომელიც განვითარების დონის მიხედვით განსხვავდება საქართველოსგან. ეს გაამყარებს იმ აზრს, რომ ინფარქტის გავრცელება დამოკიდებულია: შრომის პირობებზე, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ოჯახურ პირობებზე, ტრადიციულ კვების წესზე და სხვა.

მაგალითისთვის, განვიხილოთ ინგლისი. 2015 წელს ინგლისში მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის 83842 შემთხვევა დაფიქსირდა. მოსახლეობა კი შეადგენს 55 619 400 ადამიანს შესაბამისად, პრევალენტობამ (100 000 ადამიანზე გაანგარიშებით) 151 შემთხვევა შეადგინა. მიღებულ შედეგს თუ შევადარებთ ამავე წლის აჭარის (285) ან მთლიანად საქართველოს (245) მონაცემებს მივიღებთ კოლოსალურ სხვაობას (134), რაც აუცილებლად მოითხოვს ყურადღებას!

2016 წლის ამერიკის “New Mexico” შტატში დაფიქსირდა 3851 მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის შემთხვევა. მოსახლეობა კი შეადგენს 2 095 428-ს, შესაბამისად ამ მონაცემების მიხედვით პრევალენტობა (100 000 ადამიანზე გაანგარიშებით)

უდრის 183-ს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 2000-2015 წლის ჩათვლით აფრიკაში გულის იშემიურ დაავადებას მე-5 ადგილი უკავია სიკვდილიანობის მაჩვენებელში, რაც შეადგენს 4,8 %-ს. თვალშისაცემია დიდი განსხვავება საქართველოს მონაცემებისგან, , სადაც გულის იშემიური დაავადებას სიკვდილიანობის მხრივ პირველი ადგილი უკავია და მისი პროცენტული რაოდენობა არის 36, რასაც იუწყება CDC-ის მონაცემები.

დასკვნა

ამრიგად მოპოვებული და შესწავლილი მასალებით შეგვიძლია დავასკვნათ:

1) 2011 წლიდან 2016-მდე მიოკარდიუმის ინფარქტის სტაციონარში დაფიქსირებული შემთხვევები აჭარაში 57%-ით გაიზარდა.

2) აჭარაში საშუალოდ მი-ს პრევალენტობა 22%-ით უფრო მეტია, ვიდრე ზოგადად საქართველოში, 2016 წელს კი 31 %-ით.

3) ჩვენ მიერ შესწავლილი 2018 წლის აჭარის კლინიკების მი-ის შეადგენს 1577, რაც ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებულ ბოლო მონაცემს ბევრად აღემატება და ეს ყოველივე ამტკიცებს ამ პათოლოგიის მზარდ ტენდენციას.

4) აჭარაში მი-ის შემთხვევები მამაკაცებში 1,8-ჯერ მეტად გვხვდება, ვიდრე ქალებში.

5) 2016 წლის რეგისტრირებული მიოკარდიუმის ინფარქტის პრევალენტობა აჭარაში 2,1-ჯერ მეტია, ვიდრე ინგლისში.

სტატისტიკურმა მასალების მოძიებამ და შესწავლამ გვიჩვენა, რომ ინფორმაციის აღრიცხვაში ხარვეზებია და დროულად ვერ ხერხდება ინფორმაციის გადაცემა. ვიმედოვნებთ, რომ ელექტრნულ სისტემაზე გადასვლა ამ პრობლემას გადაჭრის.

საჭიროებს ჯანდაცვი მუშაკთა მხრივ სოეციალურ სესწავლას და პრევენციული ზომების შემუშავებას, მათ სორი სანიტარულ-განმანათლებელ მუსაობას მოსახლეობასთან, რაშის აუცილებლად უნდა აქტიურად იყოს გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი!

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ლეჟავა ჯიმშერ, „შინაგან დაავადებათა დიაგნოსტიკა“, გამომცემლობა „ბსუ“, ბათუმი- 2015. გვ 210-214.

2. ყიფიანი ვახტანგ, ორგანოებისა და სისტემების პათოფიზიოლოგია, თბილისი 2012, გვ 375-384.

სქოლიო [ ]

1. https://www.cdc.gov/dhdsp/data_statistics/fact_sheets/fs_heart_disease.htm

2. Bhatnagar P, Wickramasinghe K, Williams J, Rayner M, Townsend N. The epidemiology of cardiovascular disease in the UK 2014. Heart [Internet]. 2015 Aug 6 [cited 2017 Dec 17];101(15):1182-1189https://www.intechopen.com/books/myocardial-infarction/epidemiology-of-myocardial-infarction . მო ძიებუ ლია 28 აპრ ილ ს, 2019

3. ლეჟავა ჯიმშერ, „შინაგან დაავადებათა დიაგნოსტიკა“, გამომცემლობა „ბსუ“ ,ბათუმი- 2015. გვ 229

4. (https://ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=f7a28a1e-0489-49a0-b183-eb867424454, 2017 წ, სტატისტიკა გვ.72. ცხრ. 4.19 მო ძიებუ ლ ია 26.04.2019.

5. https://bjcardio.co.uk/2017/09/acute-coronary-syndrome-in-adults-scope-of-the-problem-in-the-uk/ მო ძიებუ ლ ია 28.04.2019.

6. https://ibis.health.state.nm.us/indicator/complete_profile/CardioAMIHosp.html

(New Mexico Hospitalizations from Hospital Inpatient Discharge Data, NMDOH and Texas Hospital Inpatient Discharge Data Public Use File, Department of State Health Services, Texas Health Care Information Collection, Austin, Texas), მოძიებუ ლ ი ა 28.04.2019

7. https://www.theatlas.com/charts/HkXJjrgOb?fbclid=IwAR1C2K4Jdtg_dAa6TqzN8Rrx2vycXCOYbZf0xk7K-uS3jH2dAnVSNuqSwKY მოძიებუ ლ ია 28.04.2019

8. https://www.theatlas.com/charts/HkXJjrgOb?fbclid=IwAR1C2K4Jdtg_dAa6TqzN8Rrx2vycXCOYbZf0xk7K-uS3jH2dAnVSNuqSwKY , მოძიებუ ლ ია 28.04.2019

დანართი

დიაგრამა 1



დიაგრამა 2



დიაგრამა 3



დიაგრამა 4



სურათი 1



ცხრილი 1

პრევალენტობა (100 000)	აჭარა	საქართველო
2011	207	176
2012	221	172
2013	234	198
2014	223	180
2015	285	245
2016	327	249

Abstract

Myocardial infarction (MI) is one of the frequent reason of mortality in the world. Despite the XXI century technological progress in medical sphere, cardiovascular diseases remain the main cause of mortality in the whole world. 1 case if fixed in each 40 second in the United States of America.

Epidemiology of MI, etio-pathogenesis, clinic, complications, rysk-facors, methods of diagnosis and its spread in Ajara are discussed in the work. Our goal was the study of the MI cases (prevalency) of 2011-2018 in Ajara region and to make conclusion by comparing the data of other analogues regions. We have tried to reveal the reasons of difference and regularities. We have studied MI statistic data of 2018 existed in 5 clinics in Ajara region and have analyzed it. The method of researches was used collection and analysis model by us.

It was discovered that from 2011 to 2016 the cases of MI was increased by 57% in Ajara. Besides, prevalence MI was 22% more than generally in Georgia, in 2016 31% more. Furthermore, by 2018 data, MI cases were 1577 in Ajara clinics, that exceeds 1,8 times the data submitted by health Care Centre of Ajara and all these confirms the increasable tendency of this pathology. According to gender, MI cases in men is 1,8 times more than in women.

"EVALUATION OF ANTIMICROBIAL POTENTIAL OF CRUDE PLANT EXTRACTS OF BEGONIA SEMPERFLORENS, MORUS ALBA, AND MYRISITICA FRAGRANS AGAINST MENTIONED BACTERIAL AND FUNGAL SPECIES"

Rajneesh Khurana
MD Third Course, Faculty of Natural and Health Sciences, BSU
E-mail: rajneesh.khurana@gmail.com
Supervisor: Dr. Esma Imerlishvili MD MPH, Invited Lecturer

Abstract

In the present study crude extracts of leaves of three plants, *Begonia semperflorens*, *Morus alba* and *Myristica fragrans* in distilled water, ethanol and methanol, respectively were subjected to preliminary phytochemical and antimicrobial studies on certain microorganisms. The phytochemical analysis done using the chemical methods showed the presence of various phytochemicals in all the plants. The results of antimicrobial studies showed that only ethanolic and methanolic extracts of *Morus alba* have good antimicrobial activity against the test organisms: *Pseudomonas aeruginosa, Proteus mirabilis, Staphylococcus aureus, Aspergillus niger, A. flavus.* No extract had any activity against *E. coli, Candida albicans and Cryptococcus neoformans.* Complete inhibition of sporulation was seen in *A. fumigatus* by methanolic extract of *Myristica fragrans* and ethanolic extract of *Morus alba.* This study supports the use of plants in traditional medicine and the potential of using them as food supplements. This opens future prospects of these plant constituents to be used as potential drugs for the treatment of infectious diseases, especially those caused by antibiotic resistant organisms.

Keywords: antimicrobial resistance, Phytotherapy, alternative medicine

INTRODUCTION

Bacteria and fungi cause a wide variety of diseases in humans and animals. With the advent of antibiotics, the control of these diseases became possible and easier. But, over the years, several cases of antibiotic resistance have been reported. In the latest report by WHO, it has warned the world against many type of pathogens which cannot be treated with the currently available antibiotics. Antibiotic resistance is a phenomenon where the microorganisms evolve so that the antibiotics have no effect on the microbes. E.g. include

Methicillin Resistant Staphylococcus Aureus, Vancomycin Resistant Enterococcus, Multi Drug Resistant Tuberculosis etc.

Causes of antimicrobial resistance can be Natural like absence of target of antibiotic, horizontal gene transfer by conjugation, transduction or transformation. But, the main cause is the misuse and overuse of the antibiotics. Availability of antibiotics over the counter, missing the antibiotic doses, use of antibiotics in livestock and agriculture increase the incidence of antimicrobial resistance. Pets also act as reservoir of resistant microorganisms. It has been reported that microorganisms and antibiotics have coevolved. Microorganisms resistant to penicillin were discovered within 2 years of discovery of penicillin (D'Costa *et al.*, 2011).

Medicinal plants are a part of most traditional medicines and a large number of civilizations were dependent on plant products for fighting against pathogens and other diseases. Plants produce a number of secondary metabolites, called as phytochemicals, many of which have antimicrobial activity. A combination of these phytochemicals such as phenols, flavanoids, tannins, saponins etc, results in the beneficial medical effects of these plant extracts (Cowan, 1999). Ayurveda is an example of Indians using and depending upon plants for their medicinal properties.

The rationale for the current study is based on the phenomenon of combating antimicrobial resistance. Due to growing resistance scientists are now looking for alternative therapies like Probiotics, Phage Therapy, Medicinal Plants, Developing new antibiotics etc. Plants are exposed to a number of microorganisms constantly. To check the growth of these pathogens, plants also possess innate mechanisms that employ a number of defense responses. Phytochemicals, both preformed and pathogen induced can be thus used as potential antimicrobials (Lamothe *et al.*, 2010).

The current study involves preparation of crude extracts of different plants and the objective are to test their antimicrobial potential. The chosen plants are *Begonia semperflorens*, *Morus alba* (Mulberry) and *Myristica fragrans* (Nutmeg). The leaves (Begonia and Mulberry) and seed (Nutmeg) have been chosen for preparation of the crude extracts in different organic solvents such as Ethanol, Methanol, Distilled Water etc.

Agar well diffusion and Minimal Inhibitory Concentration (MIC) have been used to test the susceptibility of the microorganism to the extract. Phytochemical analysis of the extracts was also done.

MATERIALS AND METHODS

Preparation of crude extract

i. The extracts were prepared using classic Solvent Extraction method.

ii. The powdered material was extracted with following solvents: Distilled water, Ethanol and Methanol.

iii. The powder was dissolved in the solvents in a ratio of 1:10 (10 grams in 100ml solvent) and kept in an incubator shaker at 37°C for 48 hours.

iv. Further, the extracts were filtered using Whatman Filter Paper no.1 and poured in petriplates.

v. Blank weight of petriplates was taken to calculate the yield.

vi. Petriplates were then kept in a hot air oven set at 45°C for evaporation of the solvent and concentration of the extract.

vii. The petriplates were again weighed after complete evaporation of the solvent.

viii. The remaining solid was scrapped off using blade and stored in an eppendorf at 4°C till further use.

Microbial Strains

Bacterial Strains:

- *Escherichia coli*
- *Pseudomonas aeruginosa*
- *Proteus mirabilis*
- *Staphylococcus* aureus

Agar Well Diffusion Assay- Bacteria (Rao et al., 2012)

i. The organisms were inoculated in Nutrient Broth tubes and incubated at 37°C for 18 hours.

ii. The tubes were matched with 0.5 McFarland Standards visually.

iii. Nutrient Agar (NA) was used for screening the antibacterial activities of the extracts.

iv. The NA plates were prepared by pouring 20mL autoclaved NA into sterile petriplates and allowed to solidify for 5 minutes under aseptic conditions.

v. A sterile swab was dipped in the NB tube containing the test organism and the inoculum was uniformly swabbed across the surface of the agar.

vi. Using 1mL pipette tip, wells were punched (0.5mm) in the agar.

vii. Serial dilutions of extracts were prepared in mother solvents (100mg/ml, 50mg/ml, 25mg/ml and 12.25mg/ml) and 0.0025ml of each was added in 4 different wells.

viii. Gentamycin and mother solvents were taken as positive and negative controls, respectively.

ix. The plates were incubated at 37°C for 18 hours and later checked for Zone of Inhibition. All the experiments were performed in duplicates.

Agar well diffusion- Fungal cultures

Similar methodology was used for fungal strains as mentioned above, except:

i. The organisms were inoculated in Czapek Dox Broth tubes and incubated at 25°C for 48 hours.

ii. Terbinafine and mother solvents were taken as positive and negative controls, respectively.

iii. The plates were incubated at 25°C for 48 hours and later checked for Zone of Inhibition. All the experiments were performed in duplicates.

RESULTS and DISCUSSION

Agar Well Diffusion

a) ***Agar well diffusion for Nutmeg methanolic extract (N_M) and Begonia aqueous extract (B_A) against bacterial and fungal cultures didn't show any activity against the chosen strains.***

- But, only complete inhibition of sporulation was observed in *A. fumigatus,* incubated for 12 days.

b) ***Agar well diffusion for Mulberry Ethanolic extract (M_E) against bacterial and fungal cultures.***

The tables below show the activity of M_E against the tested organisms. Maximum zones (27.5 mm) were observed against *Pseudomonas aeruginosa*, in a dose dependent manner and No activity was observed against *Escherichia coli.*

Table 1.1
Zone Diameters M_E (mm)

S. No.	**Organism ↓**	**Conc. → (mg/ml)**	**100**	**50**	**25**	**12.5**	**P**	**N**
a)	*Escherichia coli*		0	0	0	0	27	0
b)	*Pseudomonas aeruginosa*		27.5	15	15	0	27	0
c)	*Proteus mirabilis*		21	17.5	13	10	21	0
d)	*Staphylococcus aureus*		15	14	10	0	25	0

P: Positive control, Gentamycin; N: Negative control, Ethanol.

In the fungal assay, maximum zone was observed in *A. niger and A. flavus* of 16 mm at a concentration of 50 mg/ml and 12.5 mg/ml, respectively. Complete inhibition of sporulation was observed in *A. fumigatus,* incubated for 12 days.

Table 1.2 Zone Diameters M_E (mm)								
S. No.	**Organism** ↓	**Conc. → (mg/ml)**	**100**	**50**	**25**	**12.5**	**P**	**N**
a)	*A. niger*		13	16	0	13	25	0
b)	*A. flavus*		12	11	9	16	21	0
c)	*A. fumigatus*		0	0	0	0	23	0
d)	*Cryptococcus neoformans*		0	0	0	0	0	0
e)	*Candida albicans*		0	0	0	0	0	0

P: Positive control, Terbinafine; N: Negative control, Ethanol.

d) ***Agar well diffusion for Mulberry Methanolic extract (M_M) against bacterial and fungal cultures.***

The tables below show the activity of M_E against the tested organisms. Maximum zones (19 mm) were observed against *Staphylococcus aureus*, in a dose dependent manner and No activity was observed against *Escherichia coli.*

Table 1.3 Zone Diameters M_M (mm)								
S. No.	**Organism** ↓	**Conc. → (mg/ml)**	**100**	**50**	**25**	**12.5**	**P**	**N**
a)	*Escherichia coli*		0	0	0	0	17	0
b)	*Pseudomonas aeruginosa*		18	15	14	9	29	0
c)	*Proteus mirabilis*		17	11	0	0	19	0
d)	*Staphylococcus aureus*		19	15	14	12	14	0

P: Positive control, Gentamycin; N: Negative control, Ethanol.

DISCUSSION

The study was conducted on three crude plant extracts, namely Begonia, Mulberry and Nutmeg. The whole project comprised of two phases: 1.) Preparation of crude plant extracts, and 2.) Antibacterial and antifungal assay of the crude plant extracts.

In the present study on the aqueous extracts of *Begonia semperflorens*, no antimicrobial activity was observed against the tested organisms (*E. coli, Pseudomonas aeruginosa, Proteus mirabilis, Staphylococcus aureus, A. niger, A. flavus, A. fumigatus,*

Candida albicans and *Cryptococcus neoformans.* However, Suresh and Nagarjan used methanolic extracts of *Begonia malabracia* and reported antimicrobial activity against *E. coli, A. niger, A. fumigatus* and *A. flavus*. This shows that choice of solvent and the species of the plant have an effect on the antimicrobial activity of the extract. This can be linked to different phytochemical profiles of the plant species and polarities of the different solvents used for extraction.

Gupta et al have reported antimicrobial activity of Methanolic extracts of Nutmeg seeds against *A. flavus*, *A. fumigatus, Pseudomonas aeruginosa* and *S. aureus.* In the present study, no antimicrobial activity was observed in against any test organism. However, in this study, inhibition of sporulation was observed in *A. fumigatus.* To our best knowledge, no paper has reported the inhibition of sporulation in *A. fumigatus* by methanolic extracts of Nutmeg seeds.

Rao et al have reported antimicrobial activity of *Morus alba* methanolic extracts against Gram negative bacteria; in our study also it was observed that the extracts could inhibit the growth of *Pseudomonas* and *Proteus.*

This opens future prospects of these plant constituents to be used as potential drugs for the treatment of infectious diseases, especially those caused by antibiotic resistant organisms. These phytochemicals can also be screened for treatment of other diseases such as Cancer.

CONCLUSION

This pilot study demonstrated that Begonia, Mulberry and Nutmeg contain several phytochemicals. Mulberry has potent antibacterial activity against *Pseudomonas aeruginosa, Proteus mirabilis* and *Staphylococcus aureus* and antifungal activity against *A. niger* and *A. flavus.* This opens future prospects of these plant constituents to be used as potential drugs for the treatment of infectious diseases, especially those caused by antibiotic resistant organisms.

Bibliography

1. Bonev, Hooper, Parisot (2008), Principles of assessing bacterial susceptibility to antibiotics using the agar diffusion method. J Antimicrob Chemother 61, 1295–1301.

2. Chen, Chu, Chiou, Kuo, Chiang, Hsieh. (2006), Mulberry anthocyanins, cyaniding 3-rutinoside and cyanidin 3-glucoside, exhibited an inhibitory effect on the migration and invasion of a human lung cancer cell line. Cancer Letters 235, 248–259.

3. Cowan. (1999), Plant products as antimicrobial agents. Clin. Microbiol. Rev. 12, 564–582.

4. D'Costa, *et al.* (2009), Antibiotic resistance is ancient. Nature 477, 457–461.

5. Davies, Davies (2010), Origins and evolution of antibiotic resistance. Microbiol Mol Biol Rev 74, 417-33.

6. Devi, Ramasubramaniaraja, (2009), Dental Caries and Medicinal Plants – An Overview. J. of Pharmacy Research 2 (11), 1669–1675.

7. El-Beshbishy, Singab, Sinkkonen, Pihlaja, (2006), Hypolipidemic and antioxidant effects of Morus alba L. (Egyptian mulberry) root bark fractions supplementation in cholesterol-fed rats. Life Sci. 78, 2724–33.

8. Gupta, Garg, Uniyal, Kumari, (2008). Antimicrobial activity of some herbal oils against common food-borne pathogens. African J. of Microbiology 2, 258-261.

9. Jeeva, Johnson, (2012) Anti-bacterial and phytochemical studies on methanolic extracts of Begonia floccifera Bedd. flower. Asian Pac J Trop Biomed 1(S1), 151-154.

10. Lamothe, Mitchell, Gattuso, Diarra, Malouin, Bouarab, (2009). Plant antimicrobial agents and their effects on plant and human pathogens. International J. of Molecular Sciences 10, 3400-3419

11. Lokegaonkar, Nabar, (2010), Inhibition of Streptococcal biofilms using Morus alba leaf extract. J Microbial World, 12(2), 161-167.

12. Mayrhofer, Domig, Mair, Zitz, Huys, Kneifel1 W. (2008) Comparison of Broth Microdilution, Etest, and Agar Disk Diffusion Methods for Antimicrobial Susceptibility Testing of Lactobacillus acidophilus Group Members. Appl Environ Microbiol, 74(12), 3645-3748

13. Omoruyi, Emefo, (2012), In Vitro Evaluation of the Antibiogramic Activities of the Seeds of Myristica fragrans on Food Borne Pathogens Malaysian J. of Microbiology Vol 8(4), 253-258.

14. Rao, Ramesh, Riaz, Prabhakar, (2012), Anthelmintic and Antimicrobial Activities In Some Species Of Mulberry, Int J Pharm Pharm Sci, Vol 4, Suppl 5, 335-338.

15. Slama, Amin, Brunton *et al.* (2005) A clinician's guide to the appropriate and accurate use of antibiotics: the Council for Appropriate and Rational Antibiotic Therapy (CARAT) criteria. Am J Med 118(Suppl 7A), 1–6

16. Suresh, Nagarajan, (2009) Preliminary Phytochemical and Antimicrobial Activity Analysis Of Begonia Malabarica Lam. J. of Basic and Appl. Biology, 59-61.

17. Uniyal, Bhatt, Saxena, Talwar. (2012) Antifungal activity of essential oils and their volatile constituents against respiratory tract pathogens causing Aspergilloma and Aspergillosis by gaseous contact, J. Appl. & Nat. Sci. 4 (1), 65-70

LIVING DONOR LIVER TRANSPLANTATION IN GEORGIA

One liver, two lives

Surbhi Gupta, Altamash Ansari
MD Programme, Faculty of Natural Science and Healthcare
surbhi.gupta@bsu.ge
Supervisor: **Kakhaber Kashibadze**,
Head & Professor of general surgery, Referral Hospital

Background: Living Donor Liver Transplantation is the removal of a part of the liver from the donor and its transplantation into the recipient. It gives the recipient a wonderful new life. However, this is also a major surgery that carries potential risks to the donor such as surgical and biliary complications. Hence, this research was started to examine pre and post-transplant situation of donors, potential complications and recovery rates in Georgia.

Materials and Methods: A random sample of 10 Liver donors operated in Referral Hospital, Batumi was taken. Data were collected using questionnaires, medical and imaging records. Donors' pre and post-experience attitude were checked. Each case's individuality and risks were discussed with their doctors. All data was stored in MS Excel.

Result & Conclusion: Performed research showed that donors were highly motivated to help the recipients. Donors with familial bond cared more about the health of recipients than their own and vice-versa. Mostly right liver lobe grafts were taken. The mean volume of the donor's liver was 1300-1500 sm^3 which is bigger compared to the world. Full recovery with normal lab values, imaging, and no major complications during or post-transplantation shows a huge recovery rate in donors of Georgia, hence it should motivate more Georgians to come forward and become donors.

Keywords: Liver Transplant, Living Donor, Donor complications, Donor experience

INTRODUCTION: The organ transplantation is considered the miracles of twentieth-century medicine when Thomas Starzl from Denver, U.S.A. did first successful liver transplant. In December 2014, a remarkable step in Georgian medicine was taken – the first living-donor liver transplant - was successfully performed in Tbilisi.

Organ transplantation is the best for irreversible organ failure. The main indications for LT are cirrhosis (58%), cancers (14%), cholestatic disease (10%), acute hepatic failure (8%), metabolic diseases (6%), and other diseases (4%).

Types of organ donors are living, brain dead, or dead via circulatory death. However, in Georgia, though the laws allow DDLT, only living donors have come forward. About 60% of the donor's liver is removed and transplanted into the recipient. After about 12 weeks, the liver will return to its standard size in both donor and recipient. Living related donors donate to family members or friends in whom they have an emotional connections. (Saxena R. et al., 2016) [1] The risk of surgery is offset by the psychological benefit of not losing someone related to them, or not seeing them suffer the ill effects of waiting on a list. (Bobyrov V. M.,

2012) [2] Unfortunately, the need for organ donors is much higher than the number of people who donate. (Cleveland Clinic, 2019) [3] UNOS says every day in the United States, 21 people die waiting for an organ and more than 120,048 men, women, and children await life-saving organ transplants. On the other hand, there are huge geographical differences in transplant activity ranging from 18.5 per million population (p.m.p.) in developed countries like South Korea to 3.5 p.m.p in Georgia.

However, there is no data and not much awareness available among the Georgian population about donors, recipients and the whole process regarding the benefits and complications. Therefore, this preliminary study was started to explore and examine explore and examine pre and post-transplant situation of donors, potential risks, complications, best and worse situations throughout the process, to increase awareness among young medical students and people of Georgia. This shall increase motivation, and everyone can come forward and become a donor.

MATERIALS & METHODS: 10 random liver donors were interviewed, and their history was discussed with their doctors using a questionnaire. The tool was prepared and written in English and Georgian with the help of a translator. Pretesting was performed in a similar setting, to screen for potential problems in the questionnaire with the help of our supervisor. The questionnaire for the donor was divided into five sections:

1. The sociodemographic profile of the donors (age, sex, marital status, and educational level)
2. Awareness and general knowledge towards the whole process and possible complications and their sources of information.
3. Attitude toward organ donation in general and organ donation to a family member and to a stranger.
4. Psychological profile of the donors, how much physically and mentally healthy they suppose themselves before and after the operation and how motivated they are to do this.
5. Possible reason(s) for refusing to donate an organ for transplant (risk of medical error, risk of organ trafficking, unsupportive families, religious reasons, and violation of body integrity).

The questionnaire for the donor's doctor was divided into four sections:

1. Medical history, comorbidities and liver status of the donor before transplant.
2. Individual approach and technicalities during the operation with medical imaging.
3. Complications and risks during the transplant and after the transplant, if any.
4. Post-transplant liver care, regeneration, and follow-ups.



Fig1. Research Study Timeline

Statistical analysis: The data were collected and transposed on an Excel table. The descriptive and analytical results obtained were compared with the results of other similar surveys carried out in other countries.

RESULTS: From 10 donors who answered the questionnaire, the majority were males. The average age was 35 and all had a high level of education. More than 90% were aware of the whole organ transplantation and donation but only recently. From a religious point of view, the majority considered it legal to donate organs. Regarding financial incentive, some wondered about financial help from the government; the majority stated that organ donation is an act of love and kindness. Finally, there was a satisfactory willingness of donors to donate their and relatives' organs after brain death. Performed research showed that donors were highly motivated to help the recipients. Mostly right liver lobe grafts were considered over left ones. The mean volume of the donor's liver was 1300-1500 sm3 which is bigger as compared to the worldwide data. Full recovery with normal lab values, imaging, and no major complications during or post-transplantation shows a huge recovery rate in donors of Georgia, hence it should motivate more Georgians to come forward and become donors.

In our study, the attitude toward living donation to relatives was favorable in all cases. Donors with familial bond cared more about the health of recipients than their own which was opposite in case of non-relative cases. This fact could be explained by the strength of the family relationship that sometimes outweighs all reasons for refusal. LDLT should thus be encouraged and facilitated also with the donation of organs after death. After assessment of the knowledge of transplant and organ donation in Georgia, only some were aware of the

feasibility and the practice of organ transplantation in Georgia before becoming the donor. Sources of information were mostly friends and family, having very less influence from social media and television. Almost two-thirds of all respondents had a low to mid-level of knowledge about the legislation regulating organ donation and transplantation and the practical procedures of expressing during their lifetime and their willingness to donate organs. Furthermore, none of them knew at least These findings are essential since knowledge on this topic determines a person's attitude toward organ donation which, also, influences the practice of LDLT. Indeed, insufficient knowledge is a contributing factor responsible for the scarcity of organs. Consequently, the rate of organ transplantation in Georgia remains till today much lower compared to what it is needed, despite the fact that the resources are not scarce and the technical performance level is globally quite acceptable. Nonetheless, some studies indicate that positive attitudes toward organ donation do not reflect reliably the number of organ donor registrations. Possible reasons for refusing organ donation were mostly the risk of medical error during organ procurement, lack of awareness, lack of love out of families and the risk of trafficking of organs.



Fig2. Vital signs tracked in donors.

DISCUSSION: The living liver donation has a operational risk with donor mortality and global morbidity rates are 1-1.0% and 15-25%, respectively. A living donor is a normal individual who is mentally, physically and psychologically healthy. Subjecting a healthy individual to high-risk surgery was a matter of debate in the initial stage of LDLT. But keeping the benefit of the recipient and balanced selection of donor to avoid complications has evoked a revolution in the modern era of LDLT all over the world. Living organ donation is a complex decision for the donor and his or her family. There are a lot of psychological pressures in the donation process, including maladjustment, worry, and emotional demand. Investigations have usually focused on issues of health status and medical treatment, ignoring the problems of attitude, personal relationship, life-saving, and pressure from the family on living donors. We know the donor goes through a long series of tests and assessments to make sure he is a good match for the recipient. **Donor imaging and evaluation.**

Three dimensional CT Scan and reconstruction of vascular anatomy is done using MDCT. A detailed evaluation of intrahepatic anatomy pertaining to hepatic veins, portal vein, hepatic artery, and bile duct is vital for live donor evaluation as. Multiple arterial supplies in one graft—difficult for reconstruction intraoperatively due to their smaller size. So precaution should be taken accordingly during surgery to preserve vascular structures and

minimize complications. Body mass index >30 are not considered for donation as there is increased risk of macrovesicular steatosis in the liver and postoperative complication rate. The mean volume of the donor liver in Georgia is bigger as compared to the worldwide data. CT Volumetry is used to determine total liver volume, Percentage of volume reduction, & Residual liver volume in the donor. Complications of CT scan are usually 1%, mostly related to contrast injection, such as hypersensitivity reactions, anaphylaxis, nephropathy, and renal failure. MR Cholangiography for Biliary Tree delineates clear intra- and extrahepatic anatomy of the biliary tree. None of these are contraindications for donor selection; proper intraoperative planning should be done to modify the reconstruction.

Complications.

Even after careful screening and precautions, a wide range of complication rates are reported in the literature in donors after LDLT. Complications related to major abdominal surgery of donors, including wound infections, small bowel obstruction, pneumonia, and incisional hernia. The frequency of complications worldwide was significantly higher in donors of the right liver graft than in those of left-sided grafts. Worldwide data shows that Readmission rate is 5 to 13% Reoperation rate is 1 to 4.5%. Psychological problems in live donors are 10% to 20%. According to the total 33 donors in Batumi, only 2 cases were of bleeding, one 6 hours later and other two days later after the operation. One donor had perforation after five days. But our sample only had minor symptoms like fever and ascites with perfect mental health. Total of 28 deaths has been reported all over the world so far as per the data discussed in IHPBA 2008. (Editorial, 2008) [4] Most of the donor deaths were reported after right lobe donation.

Follow Up.

The donor is usually followed up by doctors in OPD. Total serum bilirubin, AST, ALT, PT, INR, serum albumin levels, routine liver function tests and CT scan is performed to evaluate the liver regeneration and remnant liver volume assessment.

Small for size syndrome.

The size of the graft is a major concern for both donor and recipient safety. Proper organ size is a key to a successful transplant. (Donor Alliance, 2019) [5] Small-for-size graft leads to graft dysfunction and other life-threatening complications. The residual liver volume in the donor must be sufficient for postoperative liver regeneration and metabolic needs.

Ethics.

Transplantation encounters many bioethical issues, including the definition of death, when and how consent should be given for an organ to be transplanted, etc. Other ethical issues include medical tourism and the socio-economic conditions. A particular worldwide problem is organ trafficking however Georgian laws protect the citizens. Regenerative medicine may one day allow for laboratory-grown organs, using a person's own cells via stem cells, or healthy cells extracted from the failing organs. Dead donor liver transplantation's awareness can really help in helping the cause. The awareness of the population should be constantly increased over time by organizing national awareness-raising campaigns and by soliciting regular media programs, television movies, and

networks. Indeed, several studies have clearly demonstrated the beneficial effects of such interventions aimed at improving the perception and attitudes toward organ donation.

CONCLUSION: The number of patients waiting for an organ transplant is rapidly increasing worldwide. Therefore, the gap between the demand for available organs and the supply is becoming wider every year. An improvement of perception and knowledge about the process will be useful for the improvement of transplantation in Georgia. Donors are very motivated and the relationship with the recipient plays a high role in their own recovery. Right liver lobes were most suitable in the majority of cases, but the worldwide data says right liver lobe resection has more complications. The mean volume of donors liver was 1300-1500 sm3, which is a bigger value compared to worldwide data. LDLT saves lives affected by terminal organ failures and improves quality of life. It has been growing in the last two decades and is essential for developed and mature health care systems. All of the sample donors recovered fully with normal lab values and liver imaging. No major complication pre and the post-transplantation process conclude high recovery rate in Georgians and hence we hope to have more Georgians motivated and aware of coming forward and also helping others by becoming donors as living or even after death.

Bibliography:

[1] Saxena, R., Khan, F., Masood, M., Qureshi, Z. and Rathore, M. (2016) "REVIEW ON ORGAN TRANSPLANTATION: A SOCIAL MEDICAL NEED", Journal of Critical reviews,3(2), pp.23-29. Available at: Https://innovareacademics.in/journals/index.php/jcr/ article/view/10694 [Accessed 24 April 2019].

[2] Bobyrov V. M., Bases of Bioethics and Biosafety: study guide for stud. of higher med. est., Нова Книга, ISBN 978-966-382-407-9, retrieved 24 April 2019

[3] Cleveland Clinic. (2019). Organ Donation Facts & Info | Organ Transplants | Cleveland Clinic. [online] Available at: https://my.clevelandclinic.org/health/articles/11750-organ-donation-and-transplantation [Accessed 24 April 2019].

[4] Editorial. (2008). HPB, [online] 10(5), pp.305-310. Available at: https://www.hpbonline.org/article/S1365-182X(15)30075-7/abstract [Accessed 23 Apr. 2019].

[5] Donor Alliance. (2019). How are patients selected to receive a transplant? - Donor Alliance. [online] Available at: https://www.donoralliance.org/newsroom/donation-essentials/patients-selected-receive-transplant/ [Accessed 24 April 2019].

სიგნალების დამუშავება - ყოველდღიურ ცხოვრებაში

ნინო შაინიძე, ნანა გორჯელაძე, ნიკა გუგესაშვილი
ბსუ, ტექნოლოგიური ფაკულტეტი, ტელეკომუნიკაცია, მეორე კურსი.
*ელ.ფოსტა: shainidze27@gmail.com, 61004072***@bsu.ge, 61001075***9@bsu.ge*
სამეცნიერო ხელმძღვანელები: მარინა ჩხარტიშვილი,
ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი
ნუგზარ ჭედია,
ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში „სიგნალების დამუშავება - ყოველდღიურ ცხოვრებაში“ შესრულებულია რეგრესიული ანალიზი ქ. ბათუმის, სოფ. ხალის და ურეხის დასახლების ადგილებში ექსპერიმენტული გაზომვების საფუძველზე.

სიგნალების დამუშავება განხორციელებულია კომპიუტერული უზრუნველყოფით MathCad 15.0.

- ✓ განსაზღვრულია რეგრესიის განტოლების კოეფიციენტები;
- ✓ აგებულია რეგრესიული დამოკიდებულების მრუდები დაკვირვების სამივე ადგილზე;
- ✓ შესრულებულია ტემპერატურის ტენიანობაზე დამოკიდებულების შესახებ ანალიზი დაკვირვების სამივე ადგილზე;
- ✓ წარმოდგენილია რადიოსიგნალების მილევის საკითხები დაკვირვების სამივე ადგილისათვის;

საკვანძო სიტყვები: რეგრესია, ტემპერატურა, ტენიანობა, რადიოსიგნალები.

თავი 1. შესავალი

1.1.ადამიანის ორგანიზმი და მასზე მოქმედი ფაქტორები

ადამიანის ორგანიზმი ბუნების საოცარი ქმნილებაა. იგი საკმაოდ რთულია და იმავდროულად გენიალურად მარტივად მოქმედებს. ორგანოთა სისტემებს შესაძლოა ერთმანეთისგან გარკვეული მანძილი აშორებდეს, მაგრამ დაკავშირებულნი იყვნენ ფუნქციურად. თითოეული მათგანი თავის სამუშაოს ასრულებს, რომლის ხარისხზეც გარე სამყარო უშუალო გავლენას ახდენს [3].

სუფთა ჰაერი და ანკარა წყალი, მზის სხივები და ყვავილების არომატიც, მსუბუქი სიო და დილის ნამი, ფრინველთა გალობა და მობიბინე ბალახი - ეს ის ძაფებია, რომლებიც ადამიანს ბუნებასთან, გარე სამყაროსთან აკავშირებს. ყოველივე ამის გარეშე შეუძლებელია ახალი ენერგიით ავსება. სამყარო ჩვენ გარშემო საოცრად შეიცვალა; ბაღებისა და სკვერების ნაცვლად ყველგან ავტოსადგომებია; ბუნების წიაღიდან ადამიანი მრავალსართულიანი შენობების ტყვეობაში აღმოჩნდა; ქიმიური წარმოების ნარჩენები პირდაპირ მდინარეებში ჩაედინება... ჩვენ კი რატომღაც გვიკვირს, რატომ აღარ არის ადამიანი დღეს ისეთი ჯანმრთელი, როგორიც თუნდაც გასულ საუკუნეში იყო [3].

თავი 2. ძირითადი ნაწილი

2.1. გლობალური დათბობა და მისი ფაქტორები

ბოლო ხანს მეცნიერები უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ გარემოზე, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამა თუ იმ დაავადების წარმოშობაში გარემო დიდ როლს ასრულებს.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2010 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოში სიკვდილიანობის 91% გამოწვეულია არაგადამდები დაავადებებით, რომელთა შორის მთავარი პოზიცია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს უკავია. ისინი მეტად მგრძნობიარეა გარემოს ფაქტორების მიმართ. მას მოსდევს ფსიქიკური დარღვევები, სიმსივნეები. კერძოდ, 102 ძირითადი დაავადებიდან 85 ნაწილობრივ მაინც გარემოს ზემოქმედებით არის განპირობებული. საქართველოში ავადობის მთლიანი ტვირთის 17% და სიკვდილიანობის 19% გარემოს საზიანო ზემოქმედების შედეგია, ხოლო იმ შემთხვევებიდან, რომლებიც გარემოს ზემოქმედებას არ უკავშირდება, მეხუთედი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წილად მოდის.

ექსპერტთა შეფასებით, ჰაერში შეწონილი მტვრის ნაწილაკების მუდმივი ზემოქმედება ზრდის გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებების, ასევე კიბოს განვითარების რისკს. წლების განმავლობაში საქართველოში ჰაერის მონიტორინგი ძალზე შეზღუდულად წარმოებდა. 2009 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც რამდენიმე ქალაქს მოიცავდა (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ზესტაფონი), გაირკვა, რომ ჰაერის შემადგენლობა დადგენილ ნორმებს არ შეესაბამება.

კლიმატის ცვლილებას ხშირად მხოლოდ სიცხესთან აიგივებენ, რაც არამც და არამც არ არის მართებული. კლიმატის ცვლილება სხვა უსიამოვნებებსაც გულისხმობს: ოზონის შრის გათხელებას, ჰაერის დაბინძურებას და ა. შ. კლიმატის ცვლილებასა და გლობალურ დათბობაზე მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან

ალაპარაკდნენ, სწორედ იმ დროიდან, როდესაც მთელი მსოფლიოს ინდუსტრიალიზაცია დაიწყო. საწარმოო-ტექნიკური რევოლუციის კვალდაკვალ გაუარესდა გარემო: დაბინძურდა ატმოსფერო, გათხელდა ოზონის შრე... ამ ცვლილებებმა კლიმატზეც მოახდინა გავლენა და საბოლოოდ გლობალური დათბობა მოგვიტანა. გლობალური – იმიტომ, რომ მთელი დედამიწა მოიცვა, დათბობა კი იმიტომ, რომ წლიურმა ტემპერატურამ მოიმატა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მთელი წლის ტემპერატურის მაჩვენებლებს გადავავლებთ თვალს, შევამჩნევთ, რომ ზოგიერთ დღეს განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურა აღირიცხებოდა და ასეთი დღეების რაოდენობა გასულ წლებთან შედარებით მეტი იყო.

3.2. რადიოსიგნალზე მოქმედი დამატებითი ფაქტორები

დამატებით მოქმედ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს გაზაფხულზე რადიოდაკარგვის ზონაში არსებული არეშე ხეების შემოსვლა მწვანე საფარით (ფოთლებით), რაც აგრეთვე გავლენას ახდენს სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხარისხზე. ეს პროცესი ცხადია ხდება გაზაფხულზე, როცა ტემპერატურა მკვეთრად იზრდება და მცირდება 2-4 კვირა, სანამ ფორმირდება ფოთოლი. პერიოდის ხანგძლივობა მოიცავს 20-40 დღეს. შემდგომში, როცა ხდება დედამიწის ზედაპირის გათბობა, სიტუაცია სტაბილიზდება. მაგრამ შემდგომი ტემპერატურული ცვლილება (ზაფხულისთვის 35^0 – 40^0) იწვევს ისევ სიხშირული განაწილების დესტაბილიზაციას, რაც გამოწვეულია თანამედროვე რადიოსისტემებში გარემოს გამტარებლობის ტემპერატურაზე დამოკიდებულების აღვრიცხვიანობის გაუთვალისწინებლობით [4].

რადიოკავშირის გავრცელების სიშორე იზრდება ზაფხულის პერიოდში. განსაკუთრებით ველის მილევის დონის შემცირების გამო, განსაკუთრებით 1800 გგჰც დიაპაზონში. საუბარია მოძრავი რადიოკავშირის სისტემებზე. რადიოკავ-

შირის შესუსტება ულტრამაღალი სიხშირის (300მგჰც-3გგჰც) დიაპაზონში დამოკიდებულია აგრეთვე სიგნალის მუშა სიხშირეზე, პირდაპირი ხედვის არსებობაზე, ჟანგბადის მოლეკულურ შემადგენლობაზე და წყლის ორთქლის არსებობაზე. რადიოტალღების შთანთქმის დამოკიდებულება ორთქლში და ჟანგბადში 100მგჰც -50გგჰც სიხშირეზე, გავლენას ახდენს წნევა (ატმოსფერული), ტემპერატურა და ტენიანობა.

რადიოსიგნალების ატმოსფეროში გავრცელებისას სუსტდებიან ელექტრომაგნიტური ენერგიის ნაწილის დაკარგვის გამო, რომელიც შთაინთქმება და განიბნევა ჟანგბადისა და წყლის ორთქლის მოლეკულების, ატმოსფეროში ნალექების, მტვრის ნაწილაკებისა და სხვა ატმოსფერული არაერთგვაროვნების გამო. ენერგიის შესუსტება გამოწვეულია როგორც ტენიანობის გამომწვევი ნაწილაკების შთანთქმით (განსაკუთრებით ნისლის დროს) ასევე მათი გაბნევის შედეგად (მსხვილი წვეთების დროს). ენრგიის შესუსტება დამოკიდებულია ტემპერატურაზე, ტალღის სიგრძეზე, ტენიანობაზე ატმოსფერულ წნევაზე და ელექტრომაგნიტური ენერგიის შთანთქმაზე და განბნევაზე.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ რადიოტალღების მილევა მცირდება≈3ჯერ, ტემპერატურის 0-დან 40^0 აწევისას. ხოლო თოვლი და სეტყვა ინტენსიურ წვიმასთან ერთად გავლენას არ ახდენს ენერგიის შემცირებაზე. შთანთქმა ჟანგბადში წნევის კვადრატის პროპორციულია და შესაბამისად მცირდება სიმაღლის ზრდის მიხედვით.

თავი 4. სამუშაოს მიზანი და ექსპერიმენტის მსვლელობა

4.1. ექსპერიმენტული მონაცემის დამუშავების რეგრესიული მეთოდი

რეგრესია ლათინური წარმოშობისაა (***regressio*** - **უკუსვლა**) და ნიშნავს უკუსვლას, დაბრუნებას [1]. იგი გამოიყენება ძირითადად მათემატიკურ სტატისტიკაში და წარმოადგენს მათემატიკურ გამოსახულებას, რომელიც ასახავს დამოუკიდებელი **x** ცვლადების დამოკიდებულ y ცვლადთან კავშირს, როცა ეს გამოსახულება

რეგრესიული ანალიზი



სტატისტიკური ხასიათისაა [7]. პირველად იგი გამოიყენა ინგლისელმა მკვლევარმა ფრანსის გალტონმა (1886) ადამიანის შთამომავლობით ფიზიკური მახასიათებლების კვლევის შესწავლისას. რეგრესიული არამარტო კავშირის არსებობას ხსნის, არამედ ამ კავშირის ხასიათსაც ადარებს. ე.ი. წინასწარმეტყველების საშუალება დამოკიდებული y ცვლადისა **x** -თან ახალ მიმართებაში, რომელიც არ მონაწილეობდეს ანალიზში.



ეს

სურ. 4.1 რეგრესიული ანალიზის მრუდები

რეგრესიული ანალიზი ფართოდ გამოიყენება ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავებისას, რომელთა ერთობლიობაც წარმოადგენს ნებისმიერ y(x) ფუნქციას [2]. ამ დროს რეგრესიის ამოცანა მდგომარეობს ამ ფუნქციის ისეთი პარამეტრების მიღებაში, რომელთა ერთობლიობა მიახლოვების ფუნქციის სახეს ქმნის უმცირესი კვადრატული ცდომილებით (სურ.4.1).

ექსპერიმენტის შედეგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად [5-6]

$y = a_0 + a_1 x + a_2 x^2 + \cdots, +$ (4.1)

სადაც x-დამოუკიდებელი ცვლადია (ჩვენს შემთხვევაში ტემპერატურა)

y-დამოკიდებული ცვლადია (ჩვენს შემთხვევაში ტენიანობა)

$\boldsymbol{a_0}, \boldsymbol{a_1}$ და $\boldsymbol{a_2}$ კოეფიციენტები შერჩეულია ისე, რომ მოცემული განტოლება ოპტიმალურად ახლოს არის ორიგინალთან. თითოეული y_i განისაზღვრება გარკვეული ცდომილებით, რომელსაც ახასიათებენ საშუალო კვადრატული გადახრით, ანუ

$$y_i \pm s_i$$

სადაც

$s_i = \sqrt{\frac{\sum_{i=1}^{n}(\bar{y}-y_i)^2}{n-1}}$ (4.2)

სადაც $\bar{y}$ -ექსპერიმენტის n მონაცემის საშუალო არითმეტიკულია

$\bar{y} = \frac{\sum_{i=1}^{n} y_i}{n}$ (4.3)

4.2. წრფივი რეგრესიული ანალიზი

წრფივი რეგრესიული ანალიზისას გამოიყენება შემდეგი ფუნქცია [2]:

$y_i = ax_i + b$ (4.4)

რეგრესიული ანალიზის ამოცანაა a და b კოეფიციენტების ამ კოეფიციენტების პოვნა. წრფივ რეგრესიას ხშირად უწოდებენ უმცირესი კვადრატების მეთოდს, რადგან a და b გამოითვლება $|b + ax_i - y_i|$ (შეცდომის კვადრატების ჯამის მინიმაზაციის) პირობიდან.

რეგრესიის კოეფიციენტისთვის გვაქვს:

$a = \frac{\sum(x_i - \bar{x})(y_i - \bar{y})}{\sum(x_i - \bar{x})}$ (4.5)

$b = \bar{y} - a\bar{x}$, (4.6)

$\bar{x} = \frac{\sum_{i=1}^{n} x_i}{n}$ (4.7)

4.3. ექსპერიმენტი და მიღებული შედეგები

ჩვენი თემის სახელწოდებაა: „სიგნალების დამუშავება - ყოველდღიურ ცხოვრებაში“. თემის სათაურიდან იკვეთება აქტუალობა, რომელიც ადამიანის უსაფრთხო და ნაყოფიერ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. სამუშაოს მიზანია:

- ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე რეგრესიული ანალიზის ჩატარება აჭარის სამ რეგიონში: ქ. ბათუმი, ურეხის დასახლება და სოფელი ხალა;
- რადიოსიგნალის მილევის ხასიათის კვლევის დაგეგმვა სამომავლოდ.

ჩავატარეთ დამოუკიდებელი ცდები სამ სხვადასხვა ადგილას (ქ. ბათუმი, სოფ. ხალა, ურეხის დასახლება. შევარჩიეთ ეს ადგილები კლიმატური პირობების სხვადასხვაობის გამო.

ტემპერატურული ანათვლების აღება ხდებოდა დილის, შუადღის და საღამოს საათებში (კერძოდ 8^{00} საათზე, 12^{00} საათზე და 20^{00} საათზე). ექსპერიმენტის ჩატარება დაწყებულ იქნა 13 მარტიდან და გაგრძელდა 22 მაისამდე. სამივე ადგილზე ტემპერატურაზე დაკვირვება წარმოებდა ერთიდაიგივე დროს. მიღებული დისკრეტული მნიშვნელობების (სიგნალების) დამუშავება განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფით - MathCad 15.0. მიღებული შედეგების საფუძველზე შესრულდა ანალიზი და გაკეთდა დასკვნები. ამასთან, დაიგეგმა დაკვირვების სამივე ადგილისათვის სამომავლოდ შესრულდეს რადიოსაგნალების მილევის ხარისხის განსაზღვრა, რაც სატელეკომუნიკაციო კომპანიების პროვაიდერებისთვის იქნება სასარგებლო შენაძენი გადაფარვის ზონების გაანგარიშებებისთვის. ასეთი სამუშაო ჯერჯერობით არ განხორციელებულა აჭარის რეგიონისთვის.[5-6]

სამუშაოს შესრულებამდე გავეცანით და შევისწავლეთ თეორიული მასალები სასწავლო კურსიდან ,,ტელეკომუნიკაციის თეორია I'', კერძოდ ,,ფუნქციის მსგავსების ხარისხების გაზომვა, რეგრესიული დამოკიდებულება სიგნალებს შორის'', მოვიძიეთ მასალები რადიოტალღების ატმოსფეროში გავრცელების, მათი მილევის, შთანთქმისა და გაბნევის შესახებ. დამატებითი მასალებისათვის ვიყენებდით ინტერნეტ რესურსებს.

სამუშაოს შესრულება განხორციელდა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ტემპერატურისა და ტენიანობის მონაცემების აღრიცხვა ბათუმის, ურეხის და ხალის დასახლებებში დილის-8:00 საათზე, შუადღის-12:00 საათზე და საღამოს-20:00 საათზე;

2. მიღებული მონაცემების მიხედვით ტენიანობის ტემპერატურაზე დამოკიდებულების ცხრილის შედგენა;

3. რეგრესიული დამოკიდებულების გრაფიკის აგება და რეგრესიული ანალიზის შესრულება კომპიუტერული უზრუნველყოფით - Mathcad 15.0;

4. ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთება და სამომავლო სამუშაოების დაგეგმვა.

განვიხილოთ თითოეული პუნქტი ცალ-ცალკე.

როგორც ზემოთ ითქვა, გაზომვები ტარდებოდა ყოველდღიურად. ექსპერიმენტული კვლევებისთვის გამოვიყენეთ აღნიშვნები, რომელიც ცხრილის სახითაა მოცემული (იხ.დანართი 1.1):

ა) შევქმენით მონაცემთა მასივი ამ აღნიშვნებით და შევიტანეთ ცხრილი1.2.-ში(იხ.დანართი1.2)

ბ) გამოვითვალეთ რეგრესიის ზემოთმოყვანილიკოეფიციენტები ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, გამოვიყენეთ ჩაშენებული ფუნქციის სახეობები: „intercept (vx,vy)“ და “slope(vx,vy)”. მონაცემები შევიტანეთ ცხრილი 3-ში(იხ.დანართი1.3).

ბ) რეგრესიული მრუდის ასაგებად მოცემული კოეფიციენტებით შევადგინეთ რეგრესიის განტოლება შესაბამისად ყველა დაკვირვების ობიექტისათვის. შედეგები შევიტანეთ ცხრილში (იხ. დანართი1.4)

გ) შესრულებული გამოთვლების საფუძველზე ავაგეთ დამოკიდებულების გრაფიკები ზემოთმოყვანილ კონკრეტულ შემთხვევებში, კერძოდ, სამივე ობიექტისათვის ავიღეთ დილის, შუადღის და საღამოს მონაცემები (წყვილ-წყვილად ორი ობიექტი). მაგ: ბათუმი (დილა) - ურეხი (დილა), ბათუმი (შუადღე) - ურეხი (შუადღე) და ა.შ. გრაფიკები ავაგეთ დღის სამი პერიოდისათვის: დილა - 8:00 საათი, შუადღე-12:00, საღამო-20:00 საათი (იხ.დანართი1.5).

დ) ავაგეთ რეგრესიული დამოკიდებულების გრაფიკები სხვადასხვა შემთხვევებში, ამისათვის თავდაპირველად განვსაზღვრეთ რეგრესიის კოეფიციენტები

(იხ.დანართი 1.3) განტოლებების საფუძველზე), ხოლო შემდეგ შევადგინეთ რეგრესიის განტოლებები სამივე შემთხვევისათვის (იხ.დანართი 1.4)

ბათუმი

$t := 3..47$

$a2 := slope(xb2, yb2)$

$b2 := intercept(xb2, yb2)$

$b2 = 96.853$

$a2 = -1.612$

$fb2(t) := a2 \cdot t + b2$

$t := 3..47$

$a1 := slope(xb1, yb1)$

$b1 := intercept(xb1, yb1)$

$a1 = -1.489$

$b1 = 95.824$

$fb1(t) := a1 \cdot t + b1$

$t := 3..47$

$a3 := slope(xb3, yb3)$

$b3 := intercept(xb3, yb3)$

$a3 = -1.248$

$b3 = 95.219$

$fb3(t) := a3 \cdot t + b3$

ურეხი

$b1'' := intercept(xu1, yu1)$

$a1'' := slope(xu1, yu1)$

$b1'' = 100.565$

$a1'' = -1.946$

$fb1''(t) := a1'' \cdot t + b1''$

$b2'' := intercept(xu2, yu2)$

$a2'' := slope(xu2, yu2)$

$b2'' = 103.296$

$a2'' = -2.34$

$fb2''(t) := a2'' \cdot t + b2''$

$b3'' := intercept(xu3, yu3)$

$a3'' := slope(xu3, yu3)$

$a3'' = -0.682$

$b3'' = 91.326$

$fb3''(t) := a3'' \cdot t + b3''$

ხალა

$b1' := intercept(xh1, yh1)$

$a1' := slope(xh1, yh1)$

$a1' = -1.528$

$b1' = 87.617$

$fb1'(t) := a1' \cdot t + b1'$

$b2' := intercept(xh2, yh2)$

$a2' := slope(xh2, yh2)$

$a2' = -1.361$

$b2' = 80.071$

$fb2'(t) := a2' \cdot t + b2'$

$b3' := intercept(xh3, yh3)$

$a3' := slope(xh3, yh3)$

$a3' = -0.17$

$b3' = 67.567$

$fb3'(t) := a3' \cdot t + b3'$

მიღებული მონაცემებით ავაგეთ რეგრესიის მრუდები დაკვირვების სამივე ობიექტისათვის ცალცალკე. კერძოდ, ბათუმი (დილა, შუადღე, საღამო - ერთ გრაფიკზე), ხალა და ურეხი ანალოგიურად (იხ.დანართი4.3)

ე) ავაგეთ რეგრესიული დამოკიდებულების გრაფიკები სამივე ობიექტისათვის დილის, შუადღის და საღამოს მონაცემებით შესაბამისად. მაგ: ბათუმი, ხალა, ურეხი (დილა); ბათუმი, ხალა, ურეხი (შუადღე); ბათუმი, ხალა, ურეხი (საღამო) (იხ.დანართი4.4)

5.1. ექსპერიმენტული შედეგების ანალიზი და დასკვნა

სამუშაოს შემდეგი ეტაპი ითვალისწინებდა რეგრესიული დამოკიდებულების საჭირო ანათვლებისა და ანალიზის ჩატარებას.

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავებისას აღმოჩნდა, რომ ტემპერატურის ტენიანობაზე დამოკიდებულების გრაფიკებიდან სწორი ანალიზის შესაძლებლობა მოკლებული იყო საღ აზრს (იხ.დანართი 4.1.) ჩანს, რომ ტემპერატურის ტენიანობაზე გრაფიკული დამოკიდებულებები დაკვირვების სხვადასხვა ადგილმდებარეობისათვის არ ასახავს მკაფიოდ მოვლენათა დინამიკას. ადგილი აქვს მონაცემების გრაფიკული ასახვისას გადაფარვებს (სვეტური დიაგრამები). მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ ანალიზისთვის ასეთი მიდგომა არ იქნებოდა გამართლებული (სვეტების გადაფარვების გამო დანართი 4.1-ზე), ამიტომ გადავწყვიტეთ გვესარგებლა სიგნალების დამუშავების რეგრესიული მეთოდით.

რეგრესიული მეთოდი, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა სიგნალების შესწავლისას. შედეგებმა გვიჩვენა, რომ გაზაფხულის პერიოდში (მარტი-აპრილი-მაისი) დაკვირვების სამივე ადგილას შეიმჩნევა ტენიანობის დაბალი დონე დილით და შუადღისას, მაშინ როცა საღამოობით მდგომარეობა უმჯობესდება, განსაკუთრებით ხალასა და ურეხში (დანართ.4.3).

დღის პერიოდების მიხედვით შედარებამ გვიჩვენა, რომ დილისა და შუადღის მონაცემები მსგავსია, ცოტათი განსხვავდება საღამოს მონაცემებისაგან, რაც არ შეიძლება ითქვას დაკვირვების ადგილების საღამოს ექსპერიმენტულ შედეგებზე. კერძოდ, ხალისა და ურეხის შემთხვევაში ადგილი აქვს საღამოს პერიოდში ფარდობითი ტენიანობის შედარებით სტაბილურობას. ეს გამომდინარეობს ამ ორი ობიექტის (ხალა, ურეხი) კლიმატური პირობების ერთგვაროვნებიდან. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოთვლების შედეგები აისახება სხვადასხვა ფაქტორებზე. კერძოდ, ჯანმრთელობის პრობლემებზე (ალერგია, სახსრები და ა.შ.), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმოებაზე (სასურველია მაისის ბოლოდან დაწყება), თევზჭერის პროგნოზის განსაზღვრაზე (მაისის შუარიცხვებიდან არის სასურველი) და ა. შ.

დაკვირვების არჩეული ადგილმდებარეობებისთვის სამომავლოდ დასახულ იქნა საკვლები სამუშაოების ჩატარება რადიოსიგნალის გავცელებისას მისი შესუსტების, მილევისა და შთანთქმის მიზეზებების შესწავლისათვის. ამ მხრივ თეორიული მასალა მოვიკვლიეთ და სურვილი გვაქვს აღნიშნულ ობიექტებზე მოვახდინოთ სიგნალების კვლევა და ანალიზი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ✓ შესწავლილ იქნა ტემპერატურის ტენიანობაზე დამოკიდებულების ხასიათი აჭარის რეგიონის სამ ადგილზე: ქ. ბათუმი, სოფ. ხალა და ურეხის დასახლება.
- ✓ განსაზღვრულ იქნა რეგრესიის კოეფიციენტები დაკვირვების ადგილებისათვის და დაიწერა რეგრესიის განტოლებები;
- ✓ დაკვირვების სამივე ადგილისათვის აიგო დამოკიდებულების გრაფიკები, რეგრესიის მრუდები სხვადასხვა შემთხვევებში;
- ✓ დაისახა სამომავლო ამოცანები სატელეკომუნიკაციო სივრცეში რადიოსიგნალების კვლევის თაობაზე აღნიშნულ ობიექტებზე.

დაბოლოს, რეგრესიული მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს სიგნალის აღმწერი ფუნქციების რაციონალურად გამოსახვაში და სიგნალების ურთერთქმედების შეფასებაში

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ჩხარტიშვილი, ნ. ჭედია. სასწავლო კურსის რიდერი „ტელეკომუნიკაციის თეორია I“, ბსუ, ბათუმი, 2018.

2. А. Н. Гайдадин, С. А. Ефремова, Н. Н. Бакумова. ПРИМЕНЕНИЕ РЕГРЕСИОННОГО АНАЛИЗА В ТЕХНОЛОГИЧЕСКИХ РАСЧЕТАХ. Волгоградский государственный технический университет, Волг. 2008წ, მოძიებულია (2019წ).

3. ,,სიკვდილის გამომწვევი ძირითადი დაავადებები საქართველოში მარიამ მენაბდიშვილი 03.10.2016. მოძიებულია 2019 წ.

https://www.allnews.ge/sazogadoeba/149946-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%95%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83% 92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90%E1%83% 95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.html

4. ნ.ლომთათიძე, ნ.ალასანია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ,,ანთროპოლოგია,, 2012წ. მოძიებულია 2019წ.

https://lib.bsu.edu.ge/e-books/book_277.pdf

5.http://studopedya.ru/1-38929.html

6.http://life-prog.ru/view_zam.php?id=54

7. https://neurohive.io/ru/osnovy-data-science/linejnaja-regressija/(10.10.2018) მოძიებულია 2019წ.

დანართი1.1 ექსპერიმენტული აღნიშვნები

	ბათუმი		სოფ. ხალა		ურეხის დასახლება	
დრო	ტემპერა-ტურა	ტენია-ნობა	ტემპერა-ტურა	ტენია-ნობა	ტემპერა-ტურა	ტენიანო-ბა
დილა 8^{00}	xb1	yb1	xh1	yh1	xu1	yu1
შუადღე 12^{00}	xb2	yb2	xh2	yh2	xu2	yu2
საღამო 20^{00}	xb3	yb3	xh3	yh3	xu3	yu3

დანართი1.2 ექსპერიმენტული მონაცემები

№	ბათუმი						ხალა						ურეხი						რიგითი	თვე
	ტემპერატურა (t^0c)			ფარდ. ტენიანობა (%)			ტემპერა-ტურა (t^0c)			ფარდ. ტენიანობა (%)			ტემპერა-ტურა (t^0c)			ფარდ. ტენიანობა (%)				
დრო	**9^{00}**	**12^{00}**	**20^{00}**	**9^{00}**	**12**	**20**	**9^{00}**	**12^{00}**	**20**	**9**	**12**	**20**	**9**	**12**	**20**	**9**	**12**	**20**		
1	6	10	9	80	75	81	-1	9	3	80	47	64	9	10	8	97	92	99	**13**	**03**
2	10	10	9	96	92	94	4	6	8	70	61	63	8	12	11	91	76	81	14	03
3	8	10	10	91	81	88	7	10	8	66	43	65	9	10	9	87	87	93	15	03
4	9	12	7	87	90	94	6	8	5	60	60	72	8	7	6	96	94	87	16	03
5	8	10	6	97	90	91	11	13	9	47	35	50	4	10	10	86	57	76	17	03
6	5	6	8	89	61	73	5	7	6	78	70	74	7	10	8	56	56	77	18	03
7	4	10	8	68	57	70	5	10	13	77	72	60	6	11	9	73	77	86	19	03
8	4	10	9	77	70	87	10	14	11	69	49	43	6	8	8	82	90	90	20	03
9	6	11	6	82	90	80	9	8	7	81	83	89	8	8	7	89	91	97	21	03
10	7	8	7	93	90	91	9	11	8	72	63	70	7	8	7	83	80	85	22	03
11	7	8	7	83	74	88	15	19	12	46	33	66	4	6	5	89	79	85	23	03
12	6	9	6	90	79	89	13	18	10	74	54	82	4	8	6	91	67	90	24	03
13	7	7	6	85	67	90	8	10	5	74	68	81	3	9	5	85	73	93	25	03
14	6	9	6	90	73	93	13	16	21	61	45	70	4	10	7	90	76	89	26	03
15	6	10	7	91	76	89	17	21	14	39	31	31	7	7	6	91	94	93	27	03
16	6	10	5	90	94	93	16	20	15	41	26	46	4	7	6	94	84	79	28	03
17	4	8	6	91	84	79	16	19	9	58	47	53	4	8	8	91	80	71	29	03
18	4	8	8	91	80	71	9	12	6	85	70	85	3	9	7	86	70	78	30	03
19	6	9	7	86	70	78	7	8	7	79	72	83	6	9	8	92	85	90	31	03
20	6	9	6	92	85	90	9	10	13	59	52	68	8	7	8	96	94	92	1	04
21	8	7	7	96	92	92	11	15	10	78	68	70	7	7	7	90	90	94	2	04
22	6	7	9	90	90	94	12	15	12	86	88	89	8	9	7	93	90	91	3	04
23	8	9	10	93	90	91	16	16	7	88	88	89	9	12	9	82	76	89	4	04
24	9	12	11	82	76	89	4	9	10	90	76	83	9	12	10	91	81	86	5	04
25	9	12	12	91	81	86	3	7	13	91	45	45	11	15	11	70	73	81	6	04
26	11	15	14	70	73	81	5	10	15	73	42	42	13	13	12	80	81	12	7	04

27	13	13	9	80	81	80	9	12	16	80	68	62	17	19	17	56	47	59	8	04
28	13	15	14	70	60	60	12	12	19	69	69	53	15	17	13	60	61	81	9	04
29	10	12	11	80	75	65	17	20	25	48	32	51	11	18	13	71	59	79	10	04
30	13	16	11	70	65	73	19	23	10	40	31	40	13	16	12	70	56	72	11	04
31	13	15	13	65	60	70	20	20	8	38	38	42	15	17	13	64	50	71	12	04
32	10	13	11	60	65	65	23	27	14	63	34	60	14	22	15	44	83	73	13	04
33	14	14	18	92	93	95	14	11	16	85	90	94	12	16	12	84	97	99	14	04
34	12	12	18	92	93	91	9	9	12	94	94	95	10	12	12	97	94	94	15	04
35	13	15	14	92	90	89	10	12	13	93	90	93	8	10	11	98	75	91	16	04
36	18	21	16	65	68	71	15	19	16	69	69	74	8	12	9	97	80	80	17	04
37	17	19	19	71	77	93	14	17	20	77	77	93	8	11	10	90	71	90	18	04
38	15	18	23	88	83	91	12	15	25	87	84	94	8	10	8	81	84	86	19	04
39	17	21	26	62	64	62	16	18	26	60	66	71	7	10	9	92	85	84	20	04
40	20	26	28	36	41	58	21	24	27	41	42	72	9	9	9	93	84	88	21	04
41	23	30	28	47	36	45	20	28	17	48	31	46	8	11	7	90	63	93	22	04
42	22	29	19	48	44	60	23	26	17	50	44	61	12	13	10	79	71	60	23	04
43	25	29	19	60	58	61	15	27	20	62	55	54	9	14	9	73	78	84	24	04
44	17	21	22	90	79	94	16	18	20	91	77	94	14	13	12	72	93	88	25	04
45	18	21	22	81	72	81	19	19	19	81	74	83	12	12	12	91	93	95	26	04
46	21	25	23	63	58	70	21	22	21	66	58	72	13	14	11	92	90	94	27	04
47	24	24	24	64	49	61	19	23	20	65	46	56	17	16	17	65	65	89	28	04

დანართი1.3 რეგრესიის კოეფიციენტები დაკვირვების ობიექტებზე

რეგრესიის განტოლებები			
დრო	**ბათუმი**	**ხალა**	**ურეხი**
დილა 8^{00}	$fb1 = a1t + b1$	$fb1' = a1't + b1'$	$fb1' = a1'' + b1''$
შუადღე 12^{00}	$fb2 = a2t + b2$	$fb2' = a2't + b2'$	$fb2' = a2'' + b2''$
საღამო 20^{00}	$fb3 = a3t + b2$	$fb3' = a3' + b3'$	$fb3'' = a3'' + b3''$

დანართი1.4 რეგრესიის განტოლებები

რეგრესიის კოეფიციენტები დაკვირვების ობიექტებზე						
დრო	**ბათუმი**		**ხალა**		**ურეხი**	
დილა 8^{00}	a1=-1,48	b1=95,82	a1'=-1,52	b1'=87,61	a1''=-1,94	b1''=100,56
შუადღე 12^{00}	a2=-1,61	b2=96,85	a2'=-1,36	b2'=80,07	a2''=-2,34	b2''=103,29
საღამო 20^{00}	a3=-1,25	b3=95,22	a3'=-0,17	b3'=67,56	a3''=-0,682	b3''=91,32

დანართი.1.5


ბათუმი ხალა დილა
yb1
yh1
xb1, xh1
ხალა ურეხი დილა
yh1
yu1
xh1, xu1
ურეხი ბათუმი დილა
yu1
yb1
xu1, xb1
ურეხი ბათუმი შუადღე
yu2
yb2
xu2, xb2
ბათუმი ხალა შუადღე
yb2
yh2
xb2, yh2
ხალა ურეხი შუადღე
yh2
yu2
xh2, yu2


ბათუმი ხალა საღამო
yb3
yh3
xb3 , xh3


ხალა ურეხი საღამო
yh3
yu3
xh3 , xh3


ურეხი ბათუმი საღამო
yu3
yb3
xu3 , xb3

დანართი.4.3


fb1(t)
fb2(t)
fb3(t)
t


fb1"(t)
fb2"(t)
fb3"(t)
t


fb1'(t)
fb2'(t)
fb3'(t)
t

დანართი.4.4


დილა
fb1(t)
fb1'(t)
fb1''(t)
t
შუადღე
fb2(t)
fb2'(t)
fb2''(t)
t
საღამო
fb3(t)
fb3'(t)
fb3''(t)
t

Abstract

The work "Signal Processing- Everyday Life" is carried out using a regression analysis based on experimental measurements in the villages of Khala anda Urekhi of the municipality of Kobuleti.

Signal processing was perforformed by computer providing Mathcad 15.0.

- ✓ The coefficients of the regression equation are determined.
- ✓ Regression curves are plotted for three observation sites.
- ✓ Temperature dependence analysis was performed at all three observation sites.
- ✓ The results of measurements of the attenuation of the radio signal in all three areas of observation are presented.

Key words: regression, temperature, humidity, radio signal.

რეზერვუარული ნავთობშლამის ორგანული ექსტრაქტის გამოყენება ანტიკოროზიულ დანაფარებში

სალომე საფარიძე
ბსუ, ტექნოლოგიური ფაკულტეტი,
ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირების და შენახვის
ტექნიკა და ტექნოლოგიები, მაგისტრატურა.
ელ. ფოსტა: 61008018---@bsu.ge
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ მეგრელიშვილი,
ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის დეპარტამენტის პროფესორი
დავით ჩხაიძე
ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს გარემოს ეკოლოგიური დაბინძურება, რაც სულ უფრო და უფრო კატასტროფულ მასშტაბებს იძენს. ეს მოვლენა განსაკუთრებით შეინიშნება მრეწველობის ისეთ დარგში, როგორიცაა ნავთობისა და გაზის ამოღება, ტრანსპორტირება და გადამუშავება. ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობისას

წარმოქმნილი ნარჩენები-ნავთობშლამები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან გარემოს ეკოლოგიურ სისუფთავეს.

ნაშრომში განხილულია ქ. ბათუმის ნავთობტერმინალზე ნედლი ნავთობის გადატვირთვისას წარმოქმნილი რეზერვუარული ნავთობშლამის გამოყენების შესაძლებლობა ანტიკოროზიულ ლაქსაღებავებში. ამ მიზნით მიმდი-ნარეობს ნავთობშლამის ორგანული ექსტრაქტი დამცავი ანუ ინჰიბიტორული თვისებების შესწავლა მათი საღებავებში გამოყენებისათვის.

მიღებული შედეგები ცხადყოფენ ნავთობური ექსტრაქტი გამოყენების შესაძლებლობას ანტიკოროზიულ ლაქსაღებავებში. ეს კი თავის მხრივ შესაძ-ლებლობას იძლევა ნავთობშლამების უტილიზაციით გავაუმჯობესოთ გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა და ამასთან ერთად გავაფართოვოდ ანტიკორო-ზიული ლაქსაღებავების ხარისხი და საწარმოო ბაზა.

საკვანძო სიტყვები: ნავთობშლამი, ექსტრაქტი, ლაქსაღებავები, გამოყენება

შესავალი

მეორადი სანედლეულო რესურსების თეორიული გამოყენება, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით, უნდა იყოს სასარგებლო, რადგან ის იძლევა სამეურნეო ბრუნვაში ჩართული ბუნებრივი რესურსების საერთო შემცველობის შემცირების საშუალებას, ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების პროცესებზე დახარჯული ენერგიის ეკონომიის საშუალებას, წარმოებული სამრეწველო ნარჩენების რაოდენობის შემცირების, ნარჩენებისგან გარემოზე მიყენებული ზარალის დაცვის საშუალებას. გარემოზე ნარჩენების ნეგატიური ზემოქმედების შემცირებაზე მიმართულ ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ნავთობშემცველი ნარჩენების უტილიზაცია სასაქონლო პროდუქტების მიღების მიზნით.

ძირითადი ნაწილი

ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოებში ნავთობური შლამი წარმოადგენს წარმოების მრავალტონიან ნარჩენს. ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირების და გადამუშავების შედეგად წარმოიქმნება სხვადასხვა ტიპისა და შემადგენლობის დიდი რაოდენობის ნავთობშემცველი ნარჩენები.

"გაზპრომის" მონაცემების მიხედვით წლის განმავლობაში ნარჩენები შეადგენს 10000 ტონას, აქედან თხევადი - 70%, პასტისებრი და მყარი - 30%. ცალკეულ წარმოებებში ნავთობური ნარჩენების რაოდენობა მერყეობს 578 ტონიდან - 2510 ტონამდე წელიწადში [1]. მიუხედავად არსებული ნავთობშლამების მრავალფეროვნებისა, ისინი,წარმოქმნის პირობების შესაბამისად,იყოფიან სამ ძირითად ჯგუფად:

- **გრუნტოვანი** (საწარმოო პროცესში ნავთობპროდუქტის დაღვრის ან ავარიული სიტუაციის შედეგად წარმოქმნილი);
- **ფსკერული** (წყალსაცავების დალექვის შედეგად წარმოქმნილი);ფსკერზე ნავთობის ჩაღვრისას,
- **რეზერვუარული ტიპის** (წარმოქმნილი სხვადასხვა კონსტრუქციის რეზერვუარების მოცულობაში ნავთობპროდუქტის გადაზიდვისა და შენახვისას);

ასეთი შლამების დამუშავება მათი უტილიზაციის მიზნით გულისხმობს ნავთობშლამიდან ნავთობური ფრაქციების გამოყოფას ან საგზაო მშენებლობისათვის შლამბეტონის წარმოებას. ყველა სახის ნავთობური ნარჩენი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებსაც გააჩნიათ ანტიკოროზიული ინჰიბიტორული თვისებები(2). შლამების გამოყენება ანტიკოროზიული ლაქსაღებავების წარმოებაში ან

მათი თვისებების გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს გავაფართოვოთ ლაქსაღებავების წარმოების მატერიალური ბაზა და თავის მხრივ წვლილი შევიტანოთ გარემოს დაცვის საქმეში.

შპს "Batumi Oil Terminal"-ი დღეისათვის ახორციელებს სამი სახის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვას Azeri light Crude Oil (აზერბაიჯანიდან), Kumkol Crude Oil და Tengiz Crude Oil (ყაზახეთიდან), რომელთა საერთო მოცულობამ ბოლო 2 წლის განმავლობაში შეადგინა 1 476 802 ტონა. ტერმინალის ტერიტორიაზე ნავთობშლამის შემკრებში რეზერვუარული ნავთობური შლამის მოცულობა შეადგენს 750...1200ტონას.

დაგროვებული ნავთობშლამი წარმოადგენს მუქ-ყავისფერ ბლანტ მასას, სიმკვრივით 933,1კგ/მ^3 80^{0}C ტემპერატურაზე, წყლის შემცველობით 13,3%, გამყარების ტემპერატურით +3^{0}C, მექანიკური მინარევებით 0,443% და გოგირდის შემცველობით 0,257%.

ზემოთ ხსენებული ნავთობშლამების ნარჩენის ანტიკოროზიულ ლაქსაღებავის წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრისათვის ჩავატარეთ მოცემული რეზერვუარული ნავთობური შლამის (რნშ) ინჰიბიტორული თვისებების გამოკვლევები. ამისათვის დავამზადეთ რეზერვუარული ნავთობშლამის ორგანული ექსტრაქტი. 100 გრ ნავთობშლამს დავუმატეთ 1 ლ ორგანული გამხსნელი (ქსილოლი და ტოლუოლი თანაფარდობით 80:20). 24 საათიანი დაყოვნების შემდეგ ექსტრაქტი გავფილტრეთ და გამოვიყენეთ ანტიკოროზიული ცდების ჩასატარებლად. შედარებისათვის გამოვიყენეთ კოროზიის ინჰიბიტორი «სინტანოლი» (ტექნიკური პირობები ТУ 2483-005-71150986-2012) და დისტილირებული წყალი. მიღებული ექსტრაქტის გამოსაკვლევად გამოყენებული იყო აირსითხოვანი ქრომატოგრაფია, მარკა(„TRACE 1310 (GazChromatograph), ფირმა „ThermoScientific)

ანალიზებმა გვიჩვენა (ნახ.1), რომ ექსტრაქციის დროს ორგანულ ექსტრაქტში გადადის მაღალი რიგის ნახშირწყალბადების ნაერთები C-23 და ზემოთ, რაოდენობით(0,113 - 0,15 %).

ინჰიბიტორული თვისებების დასადგენად დავამზადეთ 30 x 50 მმ ზომის ფოლადის ფირფიტები (ფოლადის მარკა Ст 08), რომლებიც შევღებეთ ემალით ХВ-16 ТУ 6-10-1301-83 [3]. თითოეულ კომპოზიციას ვამატებდით სახვადასხვა რაოდენობის ნავთობშლამის ორგანულ ექსტრაქტს. ნიმუშები გამოვცადეთ ატმოსფერულ პირობებში 2 წლის განმავლობაში[4]. ფირფიტების კოროზიას ვაფასებდით ვიზუალურად, ფირფიტის კოროდირებული ზედაპირის სიდიდის მიხედვით და ასევე წონითი მეთოდის მიხედვით[5]. როგორც მიღებული მონაცემები გვიჩვენებს რნშ-ს ორგანულ ექსტრაქტს აქვს ნათლად გამოვლენილი

კოროზიის საწინააღმდეგო ინჰიბიტორული თვისებები. ნახ. 2ა- ზე მოცემულია შეღებილი ნიმუშები ატმოსფერული გამოცდების დაწყების წინ და გამოცდების დასრულების შემდეგ (ნახ. 2ბ). I-ნიმუშში არ არის შეყვანილი ორგანული ექსტ-რაქტი. დანარჩენებში კი სხვადასხვა რაოდენობით.



ნახ.1. ნავთობშლამის ორგანული ექსტრაქტის ქრომატოგრამა



ნახ.2. დაფარული ფოლადის ნიმუშები: ა - გამოცდამდე; ბ - გამოცდის შემდეგ.

დასკვნა

ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილი იქნა რეზერვუარული ნავთობშლამის ორგანული ექსტრაქტის ინჰიბიტორული თვისებები, რაც განპირობებულია ექსტრაქტში დაფიქსირებული ორგანული მაღალი რიგის ნახშირწყალბადების ნაერთების შემცველობით C-23 და ზემოთ, რაოდენობით (0,113 - 0,15 %).

მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა რეზერვუარული ნავთობშლამის ორგანული ექსტრაქტის გამოყენებისა ანტიკოროზიული დანიშნულების ლაქსაღებავებში. ამასთან ერთად ადგილი ექნება გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] Что такое нефтешламы 26.09.2010.http/www.piligrim.selec.ru/nebws.php.

[2] Д.Чхаидзе, З. Мегрелишвили, М. Лория. Изучение ингибирующих свойств резервуарного нефтяного шлама для разработки антикоррозионных покрытий. Материалы 9-ой международной конференции «Сотрудничество для решения проблемы отходов" Украина, Харьков, 28-29 марта 2012г.

[3] Эмаль ХВ-16. ТУ 6-10-1301-83.

[4] Метод испытания на стойкость в атмосферных условиях. ГОСТ 6992-68. ЕСЗКС.

[5] Определение коррозионных повреждений по изменению массы образцов ГОСТ 17322-71.

Abstract

One of the main problem of modern material-technical progress development is ecological polution of the environment, that acquires catastrophic scales. This event is especially observed in the sphere of industry such as oil and gas extraction, transportation and refining. At the time of technological process, created remnants-oil slimes seriously endanger ecological safety of environment.

The work deals with the possibility of usage of tank oil slimes in anticorrosive paints and laquers created at the time of raw oil refining at Batumi oil terminal. For this aim, the study of protective that means inhibitory characters of oil slime organic extract for their usage in paints and laquers takes place.

Received results display the possibility of oil extract application in anticorrosive paints and laquers. By utilization of oil, this by its side gives the possibility to improve ecological condition and at the same time to broaden quality and productive base for anticorrosive paints and laquers.

Keywords: oil slimes, extract, paints and laquers, application.

ნავთობის მარილგაცლის პროცესის მოდელის შესახებ

მარიამ ბერიძე
გსუ, ტექნოლოგიური ფაკულტეტი,
ავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირების და შენახვის
ტექნიკა და ტექნოლოგიის მაგისტრანტი
E-mail: marriamberidze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ მეგრელიშვილი,
ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის დეპარტამენტის პროფესორი
ზურაბ კალანდარიშვილი, მოწვეული მასწავლებელი

აბსტრაქტი

მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირებისათვის მოსამზადებლად „შავი ყუთის“ მაგალითზე განხილულია ელექტრომარილგამცლელი პროცესის მათემატიკურ მოდელი, რომელიც ითვალისწინებს შესასვლელში და გამოსასვლელში მიღებულ მარილების კონცენტრაციის მნიშვნელობებს. მოყვანილია დანადგარის შესასვლელში მარილის კონცენტრაციების სტოქასტიკური, პიკური გრაფიკი. მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ ინტერვალში 0-80 მგრ/ლ წირის ფორმა დაუდგენელია და მოითხოვს დამატებით შესწავლას. 80 მგრ/ლ ზემოთ მოდელი შეიძლება აღვწეროთ წრფივი გრაფიკით.

საკვანძო სიტყვები. ნავთობი, მარილგაცლა, მათემატიკური მოდელირება

შესავალი

თანამედროვე სამყაროში ნავთობი და გაზი არის ენერგიის მირების ერთ-ერთი ძირითადი წყარო. ნავთობისაგან მიღებულ საწვავზე მუშაობენ საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტი, თბური ელექტროსადგურები და ასე შემდეგ. ნავთობისაგან და გაზისაგან ღებულობენ ქიმიურ ნედლეულს სხვადასხვა პლასტიკური მასების, სინთეტიკური კაუჩუკის, ხელოვნური ქსოვილის მისაღებად. დღეისათვის აღრიცხულია 100-მდე სხვადასხვა პროცესი ნავთობის პირველადი და მეორადი გადამუშავებისა, რომელიც რეალიზებულია მრეწველობაში. დაგეგმილია ახალი პერსპექტიული მიმართულებების დამუშავება და დანერგვა არსებული ტექნოლოგიების სრულყოფისათვის და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას წარმოადგენს ნავთობისაგან მარილების მოცილება სხვადასხვა ტიპის მარილების მოცილების ელექტრო დანადგარებზე (ЭЛОУ).

ძირითადი ნაწილი

XXI საუკუნემ კაცობრიობა დააყენა დილემის წინაშე. სწრაფად მზარდი სამრეწველო-სატრანსპორტო პოტენციალის პირობებში ინტენსიურად მოიხმაროს სასარგებლო წიაღისეული (ნავთობი) ან ეძებოს ალტერნატიული წყაროები. მსოფლიოში მსოფლიოში იქმნება პარადოქსალური ვითარება. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მეტად ინერგება არა ენერგო ტევადი ტექნოლოგიები, ხოლო განვითარებადში ხდება ნავთობის ინტენსიური მოხმარება, რაც ნავთობმომპოვებლებს უბიძგებს მოპოვების გაზრდისკენ. ეს კი დაკავშირებულია ძალიან დიდ ხარჯებთან.

ცნობილია რომ ნავთობი ჭაბურღილიდან ზედაპირზე ამოდის წყლის საკმაო დოზასთან ერთად, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო შეიძლება იყოს ძლიერად მინერალიზებული. გამოდის რომ ნავთობპროდუქტებთან ერთად, ეზიდებიან მინერალიზებულ წყალს. აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად დამუშავებულია, ნავთობიდან წყლის გამოცალკავების სხვადასხვა მეთოდები როგორიცაა: მექანიკური, თერმული, ქიმიური, თბოქიმიური, ფილტრული, ელექტრული [1].

თითოეული მათგანისათვის მუშაობს თეზისი: რაც უფრო ნაკლებია მარილების კონცენტრაცია შესასვლელში, მით ნაკლები იქნება გამოსასვლელში. (H_0 ჰიპოთეზა). საღი აზრის გათვალისწინებით ეს საკმაოდ მართლზომიერად ჟღერს და ნავთობმომპოვებლებს აფიქრებინებს, რომ საჭიროა ჭაბურღილებზე მოახდინონ პირველადი ეფექტური მარილგაცლა.

ჩვენს მიერ მოპოვებული იქნა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სარეჟიმო ფურცლები - დოკუმენტები შევსებული ოპერატორების მიერ, რომლებშიც შეტანილია ელექტრომარილგამომცლელი დანადგარის შესასვლელში და გამოსასვლელში მარილების კონცენტრაციის რაოდენობა და ტექნოლოგიური პარამეტრები. (ნახ 1.)



ნახ. 1. ელექტრომარილგამცლელი დანადგარის შესავლელში და გამოსასვლელში მარილების კონცენტრაციის შეშფოთებათა გრაფიკი

სარეჟიმო ფურცლების მარილშემცველობის კონცენტრაციის მონაცემების შეჯერებით გამოდის რომ, ქვედა წირის „პიკური“ ხასიათი დანადგარის შესასვლელში, არის ნავთობის სხვადასხვა ჭაბურღილებიდან, სხვადასხვა პლასტებიდან ამოღებისა და სხვადასხვა შემთხვევითი მიზეზების შედეგი. გრაფიკი რომელიც გამოსახავს გამოსასვლელში მარილის კონცენტრაციას დროის შესაბამისი მომენტისათვის, ძნელად თუ გვაფიქრებინებს, რომ მათ შორის არსებობს ფუნქციონალური დამოკიდებულება. მეტიც დანადგარში მიმდინარე საკმაოდ რთული ფიზიკა-ქიმიური პროცესი ელექტრული, ჰიდროდინამიკური, ტექნოლოგიური ხასიათისაა და ის წარმოვადგინეთ როგორც ეგრეთწოდებული „შავი ყუთი“, რომელიც ითვალისწინებს შესასვლელში და გამოსასვლელში მიღებულ მნიშვნელობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მივიღეთ ასეთი სქემატური დამოკიდებულება (ნახ. 2) რომელიც უნდა აწარმოებდეს $x(t)$ ფუნქციის გარდაქმნას $Y(t)$-ში ხელთარსებულ, რეალურ, ზემოთაღნიშნულ ექსპერიმენტალურ მონაცემებზე დაყრდნობით, მიღებულს დანადგარის რეალური ექსპლუატაციისას.



ნახ.2. შავი ყუთის სქემატური გამოსახულება

ცნობილია, რომ მოდელს მოეთხოვება მართლზომიერად აღწერის ორეულში მიმდინარე პროცესი, თუმცა ვერავითარი მოდელი ვერ შეძლებს აბსოლუტური სიზუსტით გაიმეოროს დანადგარში მიმდინარე პროცესი. გამოდის რომ მოცემული სიდიდის გაზომვისას მიღებული ცდომილებანი შესაძლოა სამ ტიპად დავანაწილოთ: სისტემატური, უხეში და შემთხვევითი [2].

სისტემატური - ყოველი ცალკეული გაზომვისას მეორდება, ისინი უკუგდებული იქნენ.

უხეში - ყალბ შედეგებს გამოსახავენ. მისი სიდიდე დანარჩენ მნიშვნელობათა მათემატიკურ ლოდინისაგან გასამკეცებულ საშუალო კვადრატულ გადახრაზე მეტი სიდიდით განსხვავდება [3].

$P\{|x - M(x)| < 3\sigma_x\} = \Phi(3) = 0.997$

სადაც $\Phi(a)$ ნორმალური ინტეგრალია, აქედან:

$$P\{|x - M(x)| < 3\sigma_x\} = 1 - \Phi(3) = 0.003$$

რაც სავსებით საკმარისი სიზუსტეა.

სიდიდეები რომელთა გადახრის აბსოლუტური მნიშვნელობა საშუალო კვადრატულ გადახრას აღემატება (ყოველ1000-ში საშუალოდ არაუმეტეს 3-ჯერ შეგხვდება) ესაა 3σ კანონი.

შემთხვევითი - მის წინასწარ მხედველობაში მიღება შეუძლებელია და $M\{|x - M(x)|\} = 0$

თუ a - გასაზომი სიდიდის ჭეშმარიტი მნიშვნელობაა, მაშინ:

$M(x_1) \cong M(x_2) \approx \cdots M(x_n) = a, a \cong \bar{x}$

$D(x) = M(x_1 - a)^2 = M(x_2 - a)^2 = \cdots = M(x_n - a)^2 = 0.$

ტოლობების შესაფასებლად ვისარგებლოთ გამოსახულებით:

$P = (\bar{x} - \mathcal{E} < a < \bar{x} + \mathcal{E}) = \propto$

სადაც $(\bar{x} - \mathcal{E} < a < \bar{x} + \mathcal{E})$ ნდობის ინტერვალია, $\propto$ ნდობის ალბათობა. ზემოთ მოტანილი დებულებათა საფუძველზე, ხელთარსებული მონაცემებით გამოვიდა, რომ მონაცემთა სხვადახვაობა მოითხოვდა მის გასაშუალოებას ე.ი. ემპირიული საშუალოს გამოყენებას. რომელიც თავის მხრივ მოთხოვს, რომ ცნობილი უნდა იყოს შესასწავლი სიდიდის განაწილების კანონი, რომელიც როგორც ვნახეთ ჩვენთვის უცნობი იყო.

ნავთობმომპოვებლების ჰიპოთეზის H_0 -ს უარყოფის ან დადასტურების მიზნით, დავაფიქსირეთ შესასვლელში კონცენტრაციის მნიშვნელობები და ამოვკრიფეთ ყველა მონაცემები გამოსასვლელში. (ნახ. 3).



ნახ. 3. კორელაციური კავშირის მონაცემები

500 მგრ/ლ შესასვლელზე უნდა იძლეოდეს გამოსასვლელის ტოლ სიდიდეებს. ნახაზიდან კი ჩანს, რომ ვარირებს (10 ÷ 30) მგრ/ლ ფარგლებში. მივიღეთ, რომ მონაცემთა აღნიშნული დიაპაზონი მოითხოვდა გასაშუალოებას, ე.ი. ემპირიული საშუალოს პოვნას. რომელიც გრაფიკზე შეესაბამება მუქი წერტილი (ნახ. 3). ანალოგიურად ვიპოვეთ სიბრტყეზე $(x_i;\ y_i)$ $i = 1 \dots n$ კოორდინატებიან წერტილთა ერთობლიობა. შემდეგ ყოველ $x_i -$ ს შესაბამის $y_i -$ს ვუთანადებთ ემპირიულ საშუალოს $\bar{x} \cong M(y_i) -$ს და ვღებულობთ მუქ წერტილთა ერთობლიობას (ნახ. 4), რომელიც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ $x -$ სა და $\bar{x} -$ს შორის არსებობს კორელაციური კავშირი. ჩვენს შემთხვევაში ჩანს, რომ წერტილები მდებარეობენ წრფეზე ან რაგინდ ახლოს არიან განლაგებული. სწორედ ეს წრფე უნდა ავიღოთ „შავი ყუთის“ შესასვლელსა და გამოსასვლელს შორის კავშირის მათემატიკურ მოდელად, რომელიც თითქმის პარალელურია აბსცისათა ღერძის. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ დანადგარი ნაკლებმგრძნობიარეა შესასვლელში მარილშემცველობის კონცენტრაციაზე.



ნახ. 4. მარილის კონცენტრაციების დამოკიდებულება შესასვლელსა და გამოსასვლელს შორის

კერძოდ შესასვლელში (100 მგრ/ლ ÷ 1000 მგრ/ლ) – 10-ჯერ სხვაობას იძლევა, ხოლო (16 მგრ/ლ ÷ 24 მგრ/ლ) გამოსასვლელში 1.5-ჯერ ძლივს შესამჩნევ სხვაობას. (1 მგრ/ლ ცდომილებით დასაშვებ გაზომვათა სიზუსტის ფარგლებში)/

დასკვნა

დებულება, რომ ელექტრომარილგამცლელის შემოსასვლელში კონცენტრაციის საგრძნობი შემცირებისთვის, საჭიროა წინასწარ საგრძნობად შემცირდეს კონცენტრაცია შესასვლელში, მცდარი აღმოჩნდა. (H_0 ჰიპოთეზა უარყოფილი იქნა). აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გამოვლენილი ფაქტი: (ნახ. 4)-ზე (0 ÷80 მგრ/ლ)

დიაპაზონში გრაფიკი გამოდის არაწრფივი (მსგავსია ექსპონენციალური გრაფიკისა). ის შესწავლილ არ არის და ეს დიაპაზონი მოითხოვ დამატებით კვლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] გ. ვარშალომიძე, ი. გოგუაძე. მაგისტრალური ნავთობსადენები, გაზსადენები და მიწისქვეშა გაზსაცავები. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009, 651 გვ.

[2] ი. გოგუაძე. ექსპერიმენტის დაგეგმვა და მათემატიკური მოდელირება ნავთობისა და გაზის მრეწველობაში. თბილისი, სტუ, 2003, 332 გვ.

[3] ზ. კალანდარიშვილი. ალბათობის თეორიის ელემენტები. თბილისი, სტუ, 1988, 95 გვ.

Abstract

For preparing extracted oil to transport is discussed mathematical model of electric removing the salt on the example of “Black Box”, which provides the concentration values of salts obtained at the entrance and exit. It includes the salt’s concentration stochastic, peak schedule at the entrance of the machine. The obtained results show that in the interval 0-80 mgr/l the shape of the circle is undefined and requires additional studies. 0-80 mgr/l above model can be described by linear schedule.

Keywords. Oil, removing the salt, mathematical modeling.

ემულგატორთა როლი და საფრთხე საკვებში

მარი ბურძგლა
ბსუ, ტექნოლოგიიური ფაკულტეტი,
სასურსათო ტექნოლოგიები, პირველი კურსი.
ელ. ფოსტა: Mariburdzgla21@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელო: ალეკო კალანდია,
ქიმიის დეპარტამენტი პროფესორი

აბსტრაქტი

კვლევითი პროექტი ეხება საკვები დანამატების, კერძოდ, ემულგატორების, საფრთხეს და მის როლს სურსათში. გამოყოფილია მისი უპირატესობები და ნაკლოვანებები. მოსახლეობა არის ნაკლებად ინფორმირებული თუ რა როლს თამაშობს ემულგატორი ამა თუ იმ საკვებში და რისი გამომწვევი შეიძლება გახდეს მისი არსებობა.

სურსათის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს, უნდა იყოს ზუსტი, მკაფიოდ გამოსახული, ადვილად გასაგები და მას შეცდომაში არ უნდა შეჰყავდეს მომხმარებელი, განსაკუთრებით ისეთ მახასიათებლებთან დაკავშირებით, როგორებიცაა სურსათის დასახელება, თვისებები, შემადგენლობა, რაოდენობა, წარმოების ან დამზადების მეთოდი, ვარგისიანობის ვადა, წარმოშობის ქვეყანა. თუმცა, ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ შემადგენლობაზე, რომელიც დეტალურად უნდა იყოს აღბეჭდილი ეტიკეტზე.

საკვანძო სიტყვები: ემულგატორი, ეტიკეტი.

შესავალი:

თემის აქტუალურობა. სურსათი არის ადამიანთა ყოველდღიური მოხმარების საგანი. მისი შემადგენლობა განსაზღვრავს, თუ რისი გამომწვევი შეიძლება გახდეს ესა თუ ის საკვები დანამატი. სურსათის ეტიკეტირება მნიშვნელოვანი პროცესია, რადგან მომხმარებელი არ შევიდეს შეცდომაში და არ შეიძინოს ისეთი პროდუქცია, რომლის შესახებ არასრული ინფორმაცია ექნება. ასევე შემადგენელი

ინგრედიენტი ზუსტად უნდა იყოს დასახებული და არ წარმოადგენდეს მის შემცვლელს. მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული განსაკუთრებით ისეთი ინგრედიენტები, რომლებიც საშიშია ჯანმრთელობისთვის,კერძოდ, ემულგატორები.

თუმცა, ემულგატორები არსებობს როგორც უვნებელი, ასევე, ოდნავ საშიში, საზიანო და აკრძალულიც. თუ სურსათში ინგრედიენტებად გამოყენებულია საკვებდანამატები და საკვები ფერმენტები, მათი აღნიშვნა უნდა მოხდეს კატეგორიის, შემდეგ სპეციალური დასახელების, და თუ შესაძლებელია E ნომრის გამოყენებით. ალერგიის გამომწვევი ან მომეტებული მგრძნობელობის მქონე ნივთიერებების ან პროდუქტების მითითება ინგრედიენტების ჩამონათვალში აუცილებელი და სავალდებულოა.

ღირებულება ეს არის სურსათის თვისებათა ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფს ორგანიზმს ენერგიითა და ძირითადი საკვები ნივთიერებებით. ამიტომ მომხმარებლისათვის ეს მონაცემი მნიშვნელოვანია და ეხმარება კვების რაციონში განსაზღვრონ ენერგეტიკული ღირებულებისა და საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) რაოდენობა გარკვეულ სურსათთან დაკავშირებით. მწარმოებელი კომპანია ვალდებულია დეტალურად აღწეროს საკვების შემადგენელი კომპონენტები, რათა მომხმარებელი არ შევიდეს შეცდომაში და არ გახდეს სავალალო შედეგის მომტანი ადამიანის ჯანმრთელობის მხრივ.

კვლევის მიზანი. კვლევის ძირითადი მიზანია საზოგადოების ინფორმირება საკვებში შემავალი დანამატების შესახებ. რისი გამოწვევა შეუძლია ემულგატორს და რა როლს ასრულებს ის საკვებში.

კვლევის ამოცანა. ძირითადი მიზნიდან გამომდინარე დასმულია შემდეგი ამოცანები:

- ემულგატორთა როლი საკვებში
- ემულგატორთა უსაფრთხოება
- ემულგატორთა საფრთხე

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საკვები დანამატები, კერძოდ, ემულგატორები.

კვლევის საგანი. კვლევის საგანია ემულგატორთა გავლენის შეფასება საკვებ პროდუქტებში.

კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება ქრომატოგრაფიული მეთოდი. საკვლევ ობიექტად ავიღეთ ისეთი პროდუქტები როგორიცაა: არაჟანი, მაიონეზი და ნაყინი, რათა განგვესაზღვრა მათში ემულგატორთა არსებობა და არსებობის შემთხვევაში მათი რაოდენობა საკვებში.

თავი I. ემულგატორი, როგორც საკვები დანამატი

განსაზღვრება, ფუნქციები, სახელწოდებები და მარკირება

ემულგატორი (ფართო მოხმარების საგნებზე აღნიშნავენ **E** სიმბოლოთი) — ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს ემულსიის წარმოქმნას და აგრეთვე ადიდებს მის მდგომარეობას. ემულგატორებია:საპონი, ჟელატინი და მრავალი სხვა სინთეზური ნაერთები.

საკვები ემულგატორი, რომელსაც აგრეთვე ემულგენტი ეწოდება, წარმოადგენს ზედაპირის აგენტს და მოქმედებს, როგორც საზღვარი ორ შეურევად სითხეს შორის, ისეთი როგორიცაა წყალი და ზეთი, ის აძლევს ამ ორ სითხეს საშუალებას შეერიონ სტაბილურ ემულსიაში. ემულგატორები აგრეთვე ამცირებენ წებვადობას, აკონტროლებენ დაკრისტალებას და ხელს უშლიან დანაწევრებას.

ემულგატორებიდან საკვებში უმეტესად შეხვდებით ლეციტინს (სწორედ მისი ჭარბი შემცველობა სძენს კვერცხის გულს მაემულსირებელ თვისებას). ლეციტინი (Lecithine) აგრეთვე მოიპოვება სოიასა და შირბახტში (სეზამის მარცვლებში). სწორედ სოიოს ლეციტინის დამსახურებაა, რომ შოკოლადი ერთგვაროვან მყარ მასად იქცევა და შემადგენელ ნაწილებად არ იშლება.

ემულგატორებს, რომლებიც დამზადებულია მცენარეული, ცხოველური ან სინთეტიკური მასალებიდან, ჩვეულებრივ უმატებენ გადამუშავებელ საკვებ პროდუქტებს, ისეთი როგორიცაა მაიონეზი, ნაყინი და პურ–ფუნთუშეული, რათა მიიღონ სწორზედაპირიანი პროდუქტი, თავიდან აი ცილონ მათი განცალკევება და გაახანგრძლივონ შენახვის ვადა. მიუხედავად ამისა, ამ ''სუფთა ეტიკეტები'' ეპოქაში, მომხმარებლები ეჭვობენ დანამატების გამოყენების აუცილებლობას საკვებ პროდუქტებში.

ფუნქციები, სახელწოდებები და მარკირება

ემულგატორები ქმნიან ორი სახის ემულსიას: ზეთის წვეთები გახსნილი წყალში და წყლის წვეთები ზეთში. თვითონ ემულსიაში არსებობს უწყვეტი და გახსნილი(შერეულობის) ფაზა. ზეთის წყალში ემულსიის უწყვეტი ფაზაა წყალი, ხოლო შერეულობი ფაზაა ზეთი, ხოლო წყალი ზეთში ემულსიის შემთხვევაში ზეთი არის უწყვეტობის ფაზა.

ემულსიის მიღება აგრეთვე შესაძლებელია მექანიკური საშუალებით ბლენდერისაგან და ჰომოგენიზატორისაგან, რომელიც აქუცმაცებს შერეულ ფაზას უმცირეს ნაწილაკებად, უწყვეტ ფაზაში ნაწილაკები მოძრავნი ხდებიან.

ნაკლებ ცხიმიანი სპრედები, ნაყინი, მარგარინი, სალათის დამხმარე საშუალებები და სხვა ნაღების სოუსები ინახება სტაბილურ ემულსიაში დანამატი ემულგატორებით. ეს დანამატები ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ისეთ საკვებ პროდუქტებში როგორიცაა არახისი, ქარაქი და შოკოლადი.

ემულგატორები აუმჯობესებენ პურ–ფუნთუშეულის სტრუქტურას, აუმჯობესებენ ცომს და ეხმარებიან მაკარონის მსგავს პროდუქტებს, იყვნენ უფრო მდგრადი გადახურების შემთხვევაში'' – თქვა კვების სპეციალისტმა კანტა შანკემ.

ფართოდ გავრცელებული ემულგატორები კვებით წარმოებაში მოიცავს მდოგვის, სოიოსა და კვერცხის ლეციტინებს, მონო და დიგლიცერადებს, პოლისორბათებს, კარაგინანს, გუმფისს და კანოლის ზეთს.

კვერცხის გულის ლეციტინი არის ყველაზე ადრინდელი და ძლიერი ცხოველური წარმოშობის ემულგატორი გამოყენებული ზეთის წყალში ემულსიის სტაბილურობისათვის. მაგალითად: მაიონეზში და ჰოლანდიურ სოუსში.

თავი II. ინდექსი, მეთვალყურეობა, წარმოება

განსაკუთრებული ყურადღება დანამატების გამოყენებას მე-20 საუკუნეში მიექცა, როცა კვების მრეწველობამ დიდი ტემპებით დაიწყო განვითარება და ჩვენთვის ნაცნობი პროდუქტების მრავალფეროვანი ასორტიმენტი გამოჩნდა მაღაზიის დახლებზე. მწარმობლების წინაშე დადგა საკითხი, ისე შეენახათ პროდუქტი, რომ სხვადასხვა ქვეყნებში და შორ მანძილებზე ექსპორტის დროს პროდუქტს არც გემო, არც ხარისხი და არც მიმზიდველი ფორმა არ დაეკარგა. ეს ფუნქცია საკვების ხელოვნურ დანამატებს დაეკისრა, რომელთა ნაწილი სამწუხაროდ, არც ისე უსაფრთხოა ჩვენი ჯანმრთელობისათვის.

1953 წელს მოხერხებულობის თვალსაზრისით ევროპაში შემოიღეს საკვები დანამატების კლასიფიკაცია ფუნქციონალური ჯგუფების მიხედვით – საღებავები, კონსერვანტები, ემულგატორები და სხვა. თითოეულს მიანიჭეს თავისი უნიკალური ნომერი, რომელიც **E** ინდექსით იწყება, რაც ევროპას **(Europe)** აღნიშნავს.

მეთვალყურეობა

ემულგატორების უსაფრთხოება რეგულირდება და მოწმდება შტატების მიერ, საკვები პროდუქტების ხარისხისა და წამლების დეპარტამენტის მიერ. ემულგატორების მოძიება შეიძლება საქვეყნოდ აღიარებულ უსაფრთხოების ჩამონათვალში , მათი გამოყენება დაშვებულია ზოგიერთ კვების პროდუქტსა და სასმელებში გარკვეული დოზით. მიუხედავად ამისა, ეს პროცესები არ ითვალისწინებს იმ ადამიანების ინდივიდუალურ კვების რაციონს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან შეფუთულ საკვებზე.

ტექნიკური თვალსაზრისით აღიარებული ნივთიერებები უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების იმ სტანდარტებს, როგორიცაა დაშვებული კვებითი დანამატები, თუმცა ზოგიერთი უსაფრთხოდ აღიარებული დანამატი ჯერ კიდევ არ არის ტესტირებული (შემოწმებული).

კონგრესი განსაღვრავს დანამატის ზომიერებას, იმისათვის რომ არ გამოიწვიოს ზიანი. დანამატები არ ღებულობენ მუდმივ მოწონებას. მოწონებული დანამატების შემოწმება მუდმივად ხდება, რათა გადაწყდეს შეიცვალოს თუ სრულად ამოიღონ ესა თუ ის დანამატი.

ჯორჯიის შტატის პროფესორის კვლევა კიბოსთან დაკავშირებით, გვიჩვენა, რომ ნაწლავებში ბაქტერიების ცვლილებამ გამოწვეული ემულგატორებისაგან, შესაძლოა გამოიწვიოს ნაწლავების კიბო. პასუხად ზოგიერთი ემულგატორის უსაფრთხოების შესახებ, მეცნიერებმა ჩაატარეს 7 ემულგატორის კვლევა, რომლებიც ფართოდ გამოიყენება საკვებ პროდუქტებში, რათა განესაზღვრათ რამდენად საშიში იყო მათი შემცველობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. შედეგებმა გვიჩვენა, რომ მათგან საფრთხე არ მოდიოდა.

ემულგატორებს, რომლებიც დამზადებულია მცენარეული, ცხოველური ან სინთეტიკური მასალებიდან, ჩვეულებრივ უმატებენ გადამუშავებელ საკვებ პროდუქტებს, ისეთი როგორიცაა მაიონეზი, ნაყინი და პურ–ფუნთუშეული, რათა მიიღონ სწორზედაპირიანი პროდუქტი, თავიდან აი ცილონ მათი განცალკევება და გაახანგრძლივონ შენახვის ვადა. მიუხედავად ამისა, ამ „სუფთა ეტიკეტები'' ეპოქაში, მომხმარებლები ეჭვობენ დანამატების გამოყენების აუცილებლობას საკვებ პროდუქტებში.

გარდა ემულსიის წარმოქმნის უნარისა, ემულგატორებს შეუძლიათ ინტეგრირება სხვა კვებით ინგრედიენტებთან. ამგვარად, შეგვიძლია მივიღოთ სხვადასხვა ფუნქციონალური შესაძლებლობები, მაგალითად: ურთიერთქმედება ცილებთან და ნახშირწყლებთან. ემულგატორი შეიძლება იყოს აერატორი, კრახმალური კომპლექსის აგენტი ან კრისტალიზაციის ინჰიბიტორი.

როგორ აწარმოებენ მათ?

გლიცეროლი ან ცხიმები არის ნედლი მასალა მონოგლიცერიდის საწარმოებლად. ყველაზე ფართოდ გამოყენებადი საკვები ემულგატორები, ცხიმები გამოყებული ემულგატორის წარმოებაში არის გავრცელებული მთლიანად კვებით ინდუსტრიაში, აგრეთვე პალმა, მზესუმზირა, სოიო. ტრიგლიცერიდის ჩანაცვლება შეიძლება შესაბამისი ცხიმოვანი მჟავებით.

შესაძლებელია მონოგლიცერიდების შემდგომი ეთერიფიცირება საკვებ მჟავებთან, ანუ რძემჟავასთან, ლიმონმჟავასთან და ანჰიდრიდულ ძმარმჟავასთან, რათა აწარმოოს სხვა ემულგატორები სხვადასხვა ფუნქციონალური მახასიათებლებით – რძემჟავას ეთერები, მონო და დიგლისერიდები ცხიმმჟავების, ლიმონმჟავას ეთერები დიგლისერიდები ცხიმმჟავას და ძმარმჟავას ეთერები.

თავი III. ემულგატორები საცხობ გამოყენებაში

<u>პური:</u> ემულგატორები პურისთვის იყოფა ორად: ცომის გამამკვრივებელი და დამარბილებელი. გამამკვრივებელი ამაგრებს ცომს, რაც მნიშვნელოვანია სამრეწველო პურის წარმოებისთვის. ის ეხმარება ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში დანამცეცებულ სტრუქტურას, რის შედეგად პური ხდება სასურველი მოცულობის და ტექსტურის. დამარბილებელი ცომში დამატებულია,რათა მივიღოთ რბილი დანამცეცებული სტრუქტურა და გააუმჯობესოს პურის სისუფთავე. როგორც წესი, E არის ცხიმოვანის მჟავების მონო და დიგლიცერიდები (E471), მონო-დიაცეტილ ღვინის მჟავას ეთერები ცხიმოვანი მჟავის (E472e) და ნატრიუმის და კალიუმის სტერიოლ-2 ლაქტილატები.

<u>ბისკვიტი:</u> ემულგატორები გამოიყენება ბისკვიტში, რათა ხელი შეუწყოს წარმოებას და გააუმჯობესოს კვების თვისებები. ისეთ პროდუქტებში, როგორიცაა უცხიმო ბისკვიტი, E საჭიროა, რათა მიიღოს კარგი სტრუქტურა და კვების თვისებები. E ფუნქციონირებს, როგორც ცხიმის შემცვლელი და ხელს უწყობს ცხიმის ემულსიფიკაციას. აქ გამოყენებულია ცხიმოვანი მჟავის საქაროზას ეთერები (E473) და მონო-დიაცეტილ ღვინის მჟავას ეთერები ცხიმოვანი მჟავის (E472e).

<u>ნამცხვრები:</u> ნამცხვრის თხევადი ცომი არის ემულსია, რომელიც შეიცავს ჰაერის ბუშტებს. E გამოყენებულია, რათა გავლენა იქონიოს ბუშტების მოცულობასა და ზომებზე და გააუმჯობესოს აერაცია. გამოიყენება: ცხიმოვანი მჟავის მონო და დიგლიცერიდები(E471), რძის მჟავა ეთერები მონო-დიგლიცერიდების (E472b) და პოლიგლიცერინის ეთერები (E475).

თავი IV. ემულგატორების უსაფრთხოება

სანამ საკვებში გამოყენებითვის მოიპოვება უფლება, E და ყველა საკვები დანამატი კონტროლდება მკაცრი შემოწმებით ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ექსპერტ კომიტეტების მიერ. ეს დამოუკიდებელი ორგანოები FAO/WHO-ს ჩათვლით, ექსპერტ-კომიტეტი საკვებ დანამატებში(JECFA- The Joint FAO/WHO Expert Committee on Food Additives) საერთაშორისო დონეზე. ევროპული საკვების უსაფრთხოების უფლებამოსილება(EFSA-European Food Safety Authority) ევროპულ დონეზე, ისევე როგორც ეროვნული სააგენტოები.

ევროპაში სურსათის უვნებლობა „EFSA“-ს პასუხისმგებლობაა, ფორმალურად, სამეცნიერო კომიტეტის, რათა წარადგინოს სურსათის უსაფრთხოების შეფასებები საკვებ დანამატებზე. EFSA-ს სამეცნიერო კომიტეტი უზრუნველყოფს დამოუკიდებელი რისკის შეფასებებს ყველა საკითხზე, დაკავშირებული საკვებთან და მის უსაფრთხოებასთან.

სრულფასოვანი შეფასება ხორციელდება ტოქსიკოლოგიური ტესტირების ჩათვლით. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ EFSA-მ დაამტკიცა, რომ დანამატი უსაფრთხოა ადამიანებისთვის, ის გადაეცემა კომისიას დამტკიცებისთვის. სრულიად ახალი დანამატის დამტკიცების პროცესმა შეიძლება დაიკავოს 5-10 წელი. თანხმობა დადგენილ დანამატზე, დამოკიდებულია რაოდენობაზე, დოკუმენტურად დამტკიცებული ტექნოლოგიურ აუცილებლობაზე და მომხმარებლის სარგებელზე. საკვები დანამატები ასევე ფასდება სისუფთავით.

ერთხელ, EFSA-მ მისცა დადებითი შეფასება საკვები დანამატების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ეს ევროკომისიის პასუხისმგებლობაა, რომ მოამზადოს აუცილებელი ეურო კანონმდებლობა საკვებში დანამატის საკვებში გამოყენების.

მხოლოდ დამტკიცებული დანამატები შეიძლება გამოყენებულ იქნას თითოეულ გამოყენებაზე განსაზღვრული დოზებით, თუნდაც მაშინ თუ ეს გამოყენება შეზღუდული არ არის. მწარმოებლებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ იმდენი, რამდენიც აუცილებელია სასურველი შედეგის მისაღწევად. საკვებში დანამატები ნებადართულია, თუ:

- არსებობს ტექნოლოგიური საჭიროება მათი გამოყენებისათვის
- ისინი შეცდომაში არ შეიყვანენ მომხმარებელს
- ისინი არ ემუქრებიან მომხმარებელთა ჯანმრთელობას

ემულგატორები დარეგულირდა ევროპული წესით 95/2 1995 წლის დირექტივით, საკვები დანამატების შესახებ, სხვა ვიდრე საღებავები და სიტკბოს მიმცემი.

ევროპის პარლამენტმა და საკრებულომ მიიღეს საკანონმდებლო რეგულირება, რეგულირება 1333/2008, რათა გააუმჯობესოს ყველა არსებული ავტორიზაცია ემულსიფიკატორებისა და სხვა საკვები დანამატებისათვის ერთ სამართლებრივ ტექსტში. ამ კანონის მე -2 დანართი, რომელიც დადგენილია კომისიის რეგლამენტით 1129/2011, უზრუნველყოფს ემულგატორთა სიას, რომლებიც დამტკიცებულია მათი გამოყენებისთვის საკვებსა და სასმელებში. საჭიროების შემთხვევაში, მითითებულია მაქსიმალური გამოყენების დონე.

ემულგატორები, რომლებიც გამოიყენება კომერციულად მოდის როგორც ბუნებრივი და სინთეზური წყაროებიდან. მათ შორისაა: ლეციტინი (E322) არის ფოსფოლიპიდების ნარევები, როგორიცაა ფოსფატიდილის ქოლინი და ფოსფატიდილეთანოლამინი და ჩვეულებრივ მოპოვებული წყაროებიდან, როგორიცაა კვერცხის გული და სოიო. ისინი ზუსტად განსაზღვრავენ ფოსფოლიპიდების კომპოზიციას წყაროზე. გამოიყენებენ შოკოლადში, ცომეულში.

ცხიმოვანი მჟავების მონოგლიცერიდების (E472a-f) ეთერზეთები დამზადებულია ბუნებრივი ცხიმოვანი მჟავებისაგან, გლიცეროლით და ორგანული მჟავებით, როგორიცაა ძმრის, რძის და ღვინის. ცხიმოვანი მჟავები, როგორც წესი, ბოსტნეულის წყაროს წარმოადგენენ, თუმცა ცხოველური ცხიმების გამოყენება შესაძლებელია. პროდუქტები, რომლებიც იყენებენ მათ: ნაყინი, ნამცხვრები და ჩიფსები.

ცხიმოვანი მჟავების მონო და დიგლიცერიდები (E471) არის ნახევრად სინთეტური ემულსიები, რომლებიც დამზადებულია გლიცეროლიდან და ბუნებრივი ცხიმოვანი მჟავებიდან, რომლებიც შეიძლება იყოს მცენარეული ან ცხოველური წყაროების. ისინი გამოიყენება ისეთ პროდუქტებში, როგორიცაა: პური, მარგარინი.

თავი V. საშიში საკვები დანამატები

ნატრიუმის გლუტამატი

ნატრიუმის გლუტამატი გემოს გამაძლიერებელია. პროდუქტთა შეფუთვაზე აღნიშნულია, როგორც "E 621" ან "MSG". ორგანიზმში დაგროვებისას შესაძლოა საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოთა ეროზიული დაზიანება გამოიწვიოს. თუმცა მთავარი საფრთხე, რომელიც ნატრიუმის გლუტამატის გამოყენებას უკავშირდება, ის არის, რომ ამ დანამატის შემცველი პროდუქტები მიჩვევას იწვევს. ადამიანებს, რომლებიც ხშირად მიირთმევენ ნატრიუმის გლუტამატის შემცველ პროდუქტებს, სხვა საკვები უმარილო და უგემური ეჩვენებათ. ფაქტობრივად, ისინი ეჩვევიან ჯანმრთელობისთვის საზიანო საკვებს. "E 621" დანამატს აქტიურად რთავენ სწრაფი კვების პროდუქტებში (ე.წ. "ფასტ-ფუდში"), ჩიფსების, ორცხობილების, კონსერვების, შებოლილი თევზეულისა და ხორცეულის შემადგენლობაში.

ნატრიუმის ნიტრიტი

ერთ-ერთი კონსერვანტია (E 250), რომელსაც ამატებენ საკვებ პროდუქტებს (ძეხვეულს, ხორცეულისა და თევზეულის გასტრონომიას) საღებავების ფიქსაციისათვის და ამჟავებისაგან (გაფუჭებისაგან) დასაცავად. ნატრიუმის ნიტრიტი მეტად ტოქსიკურია. მისი 2-6 გრამი იწვევს სიცოცხლისათვის საშიშ მოწამვლას. ორგანიზმში მოხვედრისას ერთვება ქიმიურ რეაქციებში, რომელთა შედეგადაც ძლიერი კანცეროგენები მიიღება. თავად ნატრიუმის ნიტრიტი იწვევს ალერგიულ რეაქციებს, ღვიძლისა და ნაწლავის პათოლოგიებს

კალიუმის ბრომატი

ფქვილისა და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმის ერთ-ერთი ცნობილი გამაფხვიერებელია. მას პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად იყენებენ. ექსპე-

რიმენტულად დადასტურებულია, რომ ეს დანამატი (E 924a) ავთვისებიანი სიმსივნის პროვოცირებას იწვევს. გარდა ამისა, კალიუმის ბრომატი ტოქსიკურია, მისი ორგანიზმში მოხვედრა თირკმელების მწყობრიდან გამოყვანას ახდენს.

გოგირდის დიოქსიდი

აირისმაგვარი კონსერვანტია (E 220). გამოიყენება ხილისა და ბოსტნეულის ე.წ. შებოლვა-შემოგარსვისათვის (რათა მათი შენახვის ვადა გაიზარდოს), წვენების, ჩირის და ღვინის წარმოებაში. გოგირდის დიოქსიდი ძლიერ ტოქსიკურია. ამ ნივთიერებით მოწამვლისას ვლინდება ხმის ჩახლეჩა, ხველა, ყლაპვის გაძნელება, ღებინება და სულხუთვა. შესაძლოა განვითარდეს ფილტვების შეშუპება. გოგირდის დიოქსიდით დამუშავებული ღვინის დალევის შემდეგ ზოგიერთებს ძლიერი თავის ტკივილი, ფაღარათი, გულისრევა ეწყებათ ამ კონსერვანტით შებოლვა-შემოგარსვის შემდეგ ხილი კარგავს B ჯგუფის ვიტამინებს.

თავი VI- საკვები დანამატის ტექნოლოგიური ფუნქცია

- საღებავი – გამოიყენება საკვები პროდუქტებისთვის ფერის მისაცემად
- კონსერვანტი – ზრდის პროდუქტის ვარგისიანობის ვადას
- ანტიოქსიდანტი – არეგულირებს მჟავიანობას, იცავს პროდუქტს გაფუჭებისგან
- სტაბილიზატორი – ინარჩუნებს პროდუქტის არსებულ შემადგენლობას
- ემულგატორი – ინარჩუნებს პროდუქტის განსაზღვრულ სტრუქტურას
- არომატიზატორი – აძლიერებს პროდუქტის გემოს და არომატს

საკვები დანამატის მოქმედება:

მწვანე - უსაფრთხო დანამატი - დანამატი არ მოქმედებს უარყოფითად ადამიანის ორგანიზმზე

ნარინჯისფერი საეჭვო დანამატი – დანამატის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე ბოლომდე არ არის გარკვეული, უარყოფითად

წითელი - მოქმედებს ადამიანების გარკვეულ ჯგუფზე ან დიდი რაოდენობით მიღება უარყოფითად აისახება ორგანიზმზე აკრძალული დანამატი – დანამატის გამოყენება აკრძალულია მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში. მაგალითად:

ინდექსი	დასახელება	ტექნოლოგიური ფუნქცია	დანამატის მოქმედება
E100	კურკუმინი	ყვითელი საღებავი	უსაფრთხო დანამატი
E101	რიბოფლავინი	ყვითელი საღებავი	უსაფრთხო დანამატი

E102	ტარტრაზინი	ყვითელი საღებავი	საეჭვო დანამატი (შეიძლება გამოიწვიოს ალერგია, სიმსივნე)
E103	ალკანეტი	ყვითელი საღებავი	აკრძალული დანამატი

***

ცდების ჩასატარებლად გამოყენებულია მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფია მასის დეტექტორით, რამაც საშუალება მოგვცა არაჟანში

(სურ.1) ნატრიუმის გლუკონატის (E-621) და ლაქტოზის ინდეტიფიცირების. ლაქტოზა აუცილებელი რძის შაქარია, მაგრამ ნატრიუმის გლუკონატი არის ნივთიერება, რომელიც გემოს აძლიერებს და იწვევს დამოკიდებულებას საკვებისადმი.

მაიონეზის კვლევისას (სურ.2) აღმოვაჩინეთ გლუკოზა, ფრუქტოზა და მალტოდექსტრინი. თუკი მაიონეზი კვერცხისგან უნდა დამზადდეს, აქ გამოყენებულ იქნა მისი შემცვლელი დექსტრინი.(სახამებლის პროდუქტი)

(სურ.3) ნაყინისგან მიღებული ცხიმოვანი მასის ქრომატოგრამაა გამოსახული. მწვანე ფერით ცხიმი და ცხიმოვანი მჟავებია,რაც უნდა იყოს ნაყინში. ცხიმის ნაცვლად გლიცერინის აცეტატია.(სურ.4) ასეთი ნაყინიანი ჭურჭლის რეცხვა უფრო იოლია, რადგან ის არ შეიცავს ცხიმს.



სურ.1



სურ.2





სურ.3 სურ.4

ცხიმის შემცვლელი- გლიცერინის აცეტატი

აღნიშნული პროდუქტების ეტიკეტებზე მითითებული იყო, რომ ეს გახლ-დათ ნატურალური პროდუქტი.

* * *

თუ თქვენ სუპერმარკეტში პროდუქტებს მხოლოდ ლამაზი შეფუთვით და ბრენდის ცნობადობით არჩევთ, დროა შეიცვალოთ ეს ჩვევა და ცოტა უფრო დაკვირვებული იყოთ, რადგან თქვენი ჯანმრთელობის 70% დამოკიდებულია იმ საკვებზე რომელიც თქვენს ორგანიზმში ხვდება. საკვები მარტო ფიზიკურ სხეულზე არ მოქმედებს, თქვენ გონებაზეც მოქმედებს. თუ არასდროს არ დაგი-ხედავთ პროდუქტის შემადგენლობისთვის გაკვირვებული დარჩებით ალბათ რომ გაიგებთ რამდენი არაჯანსაღი კონსისტენციისგან შედგება ის რაც ძალიან გიყვართ, და ძალიან შეიძლება იმიტომაც გიყვართ რო იქ გვხვდება ისეთი სუბსტანციები რომელიც იწვევს დამოკიდებულებას, ანუ აჩენს მოთხოვნილებას ორგანიზმში, რაც ბუნებრივად შეიძლება არ გქონდეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1) Kathleen Zelman / Food Additives: Emulsifiers/ November 1, 2017/ searched on May 10, 2019 https://foodandnutrition.org/november-december-2017/food-additives-emulsifiers/

2) EFEMA/European Food Emulsifiers Manufactures Association/ What is an Emulsifier?/ searched on May 10, 2019 http://www.emulsifiers.org/ViewDocument.asp?ItemId=11&Title=What+is+an+emulsifier%3F

3) EFEMA/European Food Emulsifiers Manufactures Association/ How are they produced?/ searched on May 10, 2019 http://www.emulsifiers.org/ViewDocument.asp?ItemId=12&Title=How+are+they+produced%3F

4) EFEMA/European Food Emulsifiers Manufactures Association/Safety and Regulation/ Safety of Emulsifiers/ searched on May 10, 2019/ http://www.emulsifiers.org/ViewDocument.asp?ItemId=22&Title=Relevant+legislation

5) Faia/Food Additives and Ingredients Association/ September 4, 2012/ Searched on May 10,2019/ https://www.faia.org.uk/emulsifiers-in-food/

6) „ემულგატორები (Emulsifiers)"/ 2018/ მოძიებულია 10 მაისს, 2019/ https://www.aversi.ge/ka/cnobari/562/damatkboblebi,-emulgatorebi,-konservantebi

7) „შპს ნიუსრუმი"/ საშიში საკვები დანამატები/ 1 მარტი,2018/ მოძიებულია 5 მაისს,2019წ/

https://mkurnali.ge/dietologia/9830-sashishi-sakvebi-danamatebi-nakheth-sruli-chamonathvali.html

8) Syddhara/"ემულგატორები- დააკვირდით შეფუთვას!"/ 26 თებერვალი, 2014/ მოძიებულია 5 მაისს,2019წ/ http://ecobostani.com/2014/02/emulgators/?fbclid=IwAR3QL8hekWLZh8m2LZyMtvaq8LHDqCH2VSLymok46vi6qMxKZUHvS7P-oVc

9) „რა საფრთხეს შეიცავს E საკვები დანამატები?"/ 8 თებერვალი, 2017/ მოძიებულია 5 მაისს,2019/ http://www.fitni.ge/2017/08/02/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C-e-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99/?fbclid=IwAR0I208-vC3wYoWDRRANF7EQ_8kXKtU5Y2WH-ErxrnbNME3Fv8wjMulZiYc

Abstract

The research project deals with food additives, particularly, the threat of emulsifiers and its role in food. Its advantages and disadvantages are separated. The population is less informed about the role of emulsion in some of the foods an what its existence can cause.

Information about food, which is ultimately supplied to customers, must be accurate, clearly displayed and easy to understand. User should not be deceived, especially with respect to features such as food name, properties, composition, quantity, production or manufacturing method, successful storage time and country of origin. However, in this case we focus on the composition, that should be printed in detail on the label.

Key words: Emulsifiers, label.

ხელოვნური განაყოფიერების როლი მეცხოველეობაში „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი“

დავით წილოსანი

ბსუ, ტექნოლოგიური ფაკულტეტი,
აგრარული ტექნოლოგიები, მესამე კურსი.
ელ ფოსტა: tsilosani-dato@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯუმბერ შაინიძე,
აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი

ანოტაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მეტად საყურადღებოა მეცხოველეობის, კერძოდ, მსხვილფეხა პირუტყვის (ძროხა)ჯიშების გამრავლება.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მესაქონლეობის დარგის განვითარება. ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შესწავლილ იქნას ხელოვნური განაყოფიერების, როლი მესაქონლეობაში. ხელოვნური განაყოფიერება თანამედროვე მედიცინის უდიდესი მიღწევაა, რომელიც წარმატებით გამოიყენება მეცხოველეობაში. ემსახურება პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდას და გენთა გამრავალფეროვნებას.

ჩვენ ხელოვნური განაყოფიერება გავუკეთეთ ორი ჯიშის ძროხას, ეს ჯიშებია: ჯერსი, შვიცი. რომელიც ემსახურება მათი პროდუქტიულობის გაზრდას, გენთა ცვლას და ახალი უმჯობესი ფორმის მიღებას. თითოეული ეს ჯიში გამოცდილია და ადაპტირებულია ჩვენი ქვეყნის გარემო პირობებზე. ბოლო წლების განმავლობაში ხელოვნური განაყოფიერებით და ამ დარგით დაიწყო ფერმერთა დაინტერესება, რაც მეცხოველეობის დარგის განვითარებას ემსახურება. ყოველივე ეს კი იმის წინაპირობა, რომ დღესდღეობით ხორცისა და რძის პროდუქტებზე მოთხოვნილება ეტაპობრივად იზრდება სამომხმარებლო ბაზარზე.

შესავალი

ხელოვნური განაყოფიერება თანამედროვე მედიცინის უდიდესი მიღწევაა, რომელიც წარმატებით გამოიყენება მეცხოველეობაში. ემსახურება პირუტყვის პროდუტიულობის გაზრდას და გენთა გამრავალფეროვნებას. იმისათვის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში განვითარდეს მეცხოველეობის დარგი

აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების, კერძოდ კი ხელოვნური განაყოფიერების დანერგვა, როგოც ეს არის, მაგალითად გერმანიაში ან ჰოლანდიაში. ხელოვნურ განაყოფიერებას გააჩნია რიგი ნაკლოვანებები და უპირატესობები, აქედან გამომდინარე მიზნად დავისახე დაწვრილებით შეგესწავლა თითოეული მათგანი, ჩემს ხელმძღვანელთან ჯუმბერ შაინიძესთან ერთად და ვეტერინარ უჩა უმეთაძესთან გავიარე კონსულტაცია, მონაწილეობა მივიღე ხელოვნური განაყოფიერების პროცესში და შევისწავლე ხელოვნური განაყოფიერების ტექნოლოია და რიგი თავისებურებები. ხელოვნურ განაყოფიერების პროცენტული მაჩვენებელი 75-80%-ს შეადგენს, თუ ის ჩატარებულია სხვადსხვა წესების დაცვით.

თემის აქტუალობა

მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ხელოვნურ განაყოფიერებისათვის ვიყენებთ ადგილობრივი პირუტყვის შესაბამის უცხოური, ჯიშიანი პირუტყვის ბიომასალას (სპერმას), ისეთებს როგორიცაა შვიცის მერძეული, ჯერსის მერძეულ-მეხორცეული და აბერდინ-ანგუსური მეხორცული ჯიშის პირუტყვი. ხელოვნური განაყოფიერება ხელს უწყობს პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდას. გარდა ამისა, ის ხელს უწყობს ცხოველთა დაცვას დაავადებებისგან, რადგან ხელოვნური განაყოფიერების შედეგად მიღებულ საქონელს გააჩნია ძლიერი იმუნიტეტი სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ და ადვილად უმკლავდება მათ.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ხელოვნური განაყოფიერების როლი მეცხოველეობის დარგში, ამჟამინდელი მდგომარეობა და გავითარების პერსფექტივების დადგენა, მეხორცეული და მერძეული ჯიშის პირუტყვის (ძროხა) საწარმოო პოტენციალის განსაზღვრა, საწარმოო ფუნქციის გზით.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ამოცანად დავისახეთ გამოგვეკვლია:

- საქართველოში ხელოვნური განაყოფიერების განვითარების ძირითადი პარამეტრები.
- ხელოვნური განაყოფიერების როლი მეცხოველეობაში და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კვლევის ობიექტი და საგანი

კვლევა ჩავატარე ქობულეთის ათ სხვადასხვა სოფელში ესენი იყო: ლეღვა, ალამბარი, ცეცხლაური, სამება, გვარა, კონდითი, მუხაისტატე, წყავროკა, აჭკვისთავი, სადაც გავანაყოფიერეთ ფური ხელოვნური განაყოფიერების გზით. სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა ვიზუალის მქონე პირუტყვი იყო. 10-დან 8 წარმატებით შესრულდა მხოლოდ ორმა ვერ შეინარჩუნა ნაყოფი. ორიდან ერთის ვი-

ზუალური მდგომარეობა იყო შესუსტებული ხოლო მეორესი დამაკმაყოფილებელი.

ხელოვნური განაყოფიერეის როლი მეცხოველეობაში

იმისთვის, რომ დავადგინოთ ფურის ახურება, უნდა ვიცოდეთ ახურების ტიპები და სხვადასხვა ნიშნები.

პირველი ეტაპი _ ევოლუციამდე ახურების ტიპები და სხვადასხვა ნიშნები არის ის, რომ ფური ახტება სხვა ფურებს, ლორწოს გამოყოფს საშვილოსნოდან, მოუსვენარი ქცევა აქვს, ბღავის, საკვების მიღების თვითნებური შემცირება ხდება, ასევე, რძის ნაწველიც მცირდება.

მეორე ეტაპი _ აქტიური სქესობრივი ახირება 4-12 საათით. საშოდან გამონადენი ლორწოვანი გარსი არის გამჭვირვალე, ხდება ბლანტი ლორწოს გამოყოფა. სხვა ფურებს აძლევს საშუალებას, რომ შეახტნენ. უმოძრაოა, როცა ფურები ახტებიან. მოხრილია ზურგზე შეხების დროს. მცირე სასქესო ბაგეების შეშუპება ახასიათებს. მოუსვენარი ქცევა აქვს, როცა სხვა ფურები წვანან და იცოხნიან. ახასიათებს რძის შეკავება.

მესამე ეტაპი - ახურების შემდგომი პერიოდი 2-3 დღეა. ნორმალური ქცევა აქვთ. ფურებს შეენიშნებათ სისხლიანი გამონადენი (გადახურება). იმ შემთხვევაში, თუ ახურების ნიშნების დადგენა გაძნელებულია, შეგვიძლია, გამოვიყენოთ ხურაობის დეტექტორი, რომელიც ფურს კუდთან ემაგრება. როცა მას სხვა ცხოველი ახტება, იცვლება ხელსაწყოს ფერი, რომელიც ფურის ახურების მანიშნებელია და ცხოველი უნდა დაითესლოს. ზოგიერთ შემთხვევაში თუ ფურის ახურება არ ხდება, ამისთვის საჭიროა, ჰორმონოთერაპიის ჩატარება, რათა გამოვიწვიოთ ფურების ახურება განსაზღვრულ დღეს. ახურების სინქრონიზაციის მიზნით, ვეტერინარი ექიმი ფურებს (დეკეულებს) უკეთებს პრეპარატ "GNღF" ჰორმონის ინექციას (ლუცენოზი). მისი მოქმედებით ყვითელი სხეული იზრდება და იწყება ახალი ციკლი. პირველი ინექციიდან შვიდი დღის შემდეგ, ტარდება განმეორებითი ინექცია პროსტაგლინგის ჰორმონით. მეორადი მკურნალობიდან ორი დღის შემდეგ, ცხოველი მიდის ახურებაში და მისი ხელოვნურად განაყოფიერება და პრეპარატ "GNBN" მეორე ინექცია ერთდროულად ხდება. ახურების სინქრონიზაციის ჩატარება შეიძლება სისტემატურად, მაგრამ სასურველია, ცხოველი იმყოფებოდეს ბუნებრივ ახურებაში. ჩვენი სასიკეთო რჩევაა, მოსახლეობა, ფერმერები თანდათან და მიზანმიმართულად მიეჩვიონ მსხვილფეხა პირუტყვის ხელოვნურად განაყოფიერების პროცესს. უახლოეს მომავალში ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს.[1]

2012 წლის აპრილიდან დაინერგა ეს ტექნოლოგია საქართველოში, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო მოთხოვნადი ხდება. განაყოფიერება ხდება ჯერსის , ჰოლშტეინის და შვიცის კუროს ბიომასით „სპერმა“.

ჯერსის და შვიცის ჯიშების მოკლე აღწერა.

„ჯერსი- (ჯერსის, ჯერსული) ჯიში გამოყვანილია ინგლისში, ჯერსის კუნძულზე.ამ ჯიშის ცხოველთა ფერი ღია თაფლადან მუქ წაბლამდე ცვალებადობს, დამახასიათებელია სხეულის წინა ნაწილის მუქი შეფერილობა, ხოლო კუროებს ფეხები, თავი და კისერი ხშირად უფრო მუქი აქვთ, ვიდრე ფურებს. გვხვდება თეთრი ნიშნები ფეხებსა და მუცლის არეში, ზურგის ხაზს კი ჩვეულებრივ, მუქი ზოლი გადასდევს. ცხვირის სარკე მუქია, ხოლო მის ირგვლივ ბალანს ღია შეფერვა ახასიათებს. ტანად ამ ჯიშის ცხოველი პატარაა, ფურის სიმაღლე მინდაოში 120-122 სმ-ს უდრის. დამახასიათებელია მსუბუქი თავი ჩაზნექილი პროფილით და რქამოკლე ტიპის მიმანიშნებელი ამობურცული თვალბუდეებით, თხელი კისერი, კანის ხშირი ნაოჭებით, წაგრძელებული ტანი, დიდმოცულობიანი მუცელი, თხელი კანი სუსტად განვითარებული კუნთებით, მსუბუქი ტიპის ძვლოვანი აღნაგობა და ნაზი კონსტიტუციის სხვა ნიშნები. ცური დიდი, განიერი და ჯამისებური ფორმისაა. სარძეო ვენები კარგად განვითარებული. სრულფასოვანი ფურის ცოცხალი მასა 360-400 კგ-ს უდრის (უმაღლესი 520 კგ-ს), ხბოს მასა დაბადებისას 18-22 კგ-ს, რაც დედის მასის 5,0-5,5 %-ს არ აღემატება. ასეთი წვრილნაყოფიანობა ჯიშის განმასხვავებელი თვისებაა, რომელიც აადვილებს ხბოს მოგებას სხვა ჯიშების მცირე ასაკის დეკეულებთან და ისეთ პატარა ფურებთან შეჯვარებისას, როგორიც ქართული მთის პირუტყვია. ჯერსიული ჯიშის ძვირფასი თვისებაა ადრეულობა. ხბო სწრაფად იზრდება და ვითარდება, დეკეული ადრე მაკდება და უკვე 23-24 თვის ასაკში იგებს, ე.ი. ჩვეულებრივზე 4-6 თვით ადრე. საშუალო წლიური წველადობა 4200 კგ. რძეში ცხიმი 6,2 %, ცილა 4,4 %. შედეგები ადასტურებენ, რომ მაღალი ცხიმიანობის შთამომავლობისათვის მყარად გადაცემის უნარი საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ის სხვა ცხოველებთან შესაჯვარებლად. ჯერსის ჯიშის შეჯვარებამ ქართული მთის საქონელთან საუკეთესო შედეგი მოგვცა. აქედან გამომდინარე ჯერსული ჯიშის და მეგრული წითელი ჯიშის საქონლის შეჯვარება მეტად პერსპექტიული ჩანს. საერთაშორისო კავკასიაში „ეკოლოგიურად უსაფრთხო მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ტექნოლოგიები“ [2]

ხელოვნური განაყოფიერების პროცესის დეტალური აღწერა

1.მოწმდება საქონელი ვიზუალურად , არის თუ

არა მზად ხელოვნური განაყოფიერებისათვის. ამისატვის სპეციალური აპარატის დახმარებითაა შესაძლებელი.

2. ვიღებთ თერმოს, რომელშიც ასხია ცხელი წყალი. ცხელ წყალში თავსდება თერმომეტრი, ხოლო წყლის ტემპერატურა უნდა მერყეობდეს 95-80 ფარენგეიტი

3.სპეციალური დიუარიდან ვიღებთ სპერმის ჩხირს , რომელიც იმყოფება გაყინულ მდგომარეობაში და ვათავსებთ ოპტიმალურ ტემპერატურაზე მყოფ თერმოსიან წყალში

4 ბიომასა თავსდება ფისტოლეტში თავი ეჭრება.

5.მარცხენა ხელით სწორი ნალავიდან გამოავს და ასუფთავებს მონელებული ექსკრემენტებისაგან , ხოლო საშოსთან ჩამონაღვარი იწმინდება სალფეთის საშუალებით.

6.მარჯვენა ხელის ნელი მოძრაობით ქვემოდან ზემოთ შეგვყავს ფისტოლეტი საშვილოსნოში და ხდება სპერმის შესხურება.



7.განაყოფიერების დასურების შემდეგ ვეტერინარი თავისი მომსახურების აქტს ადგენს, სადაც დატანილია ყველა სახის ინფორმაცია [4]



ხელოვნური განაყოფიერების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

1. დადებითია

✓ ინფექციური დაავადების თავიდან აცილება (ბრუცელიოზი, ტუბერკულოზი)

- ✓ ვენერული დაავადებების გავრცელების საშიშროება არ არსებობს.
- ✓ მაკეობის მაღალი მაჩვენებელი.
- ✓ მდიდარი გენეტიკა.
- ✓ შორეული ჰიბრიდიზაცია.
- ✓ უმჯობესდება პირუტყვის წველადობა

2. უარყოფითი

- ✓ გარკვეული ხარჯის გაწევა გიწევს
- ✓ ფურს შესაძლოა გაუჭირდეს მშობიარობა

კვლევა

კვლევა ჩავატარე ქობულეთის ათ სხვადასხვა სოფელში ესენი იყო: ლეღვა, ალამბარი, ცეცხლაური, სამება, გვარა, კონდითი, მუხაისტატე, წყავროკა, აჭკვისთავი, სადაც გავანაყოფიერეთ ფური ხელოვნური განაყოფიერების გზით. სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა ვიზუალის მქონე პირუტყვი იყო. კვლევა იხილეთ ცხრილში

ცხრილი (1)

N	ფური	ბიომასა	ფიზ.მდ	ვიზ.მდ	შეინარჩუნა
1	ადგილობრივი	ჯერსი	კარგი	ახურებული	კი
2	ადგილობრივი	ჯერსი	კარგი	ახურებული	კი
3	ადგილობრივი	ჯერსი	კარგი	ახურებული	კი
4	ადგილობრივი	ჯერსი	კარგი	ახურებული	კი
5	ადგილობრივი	შვრიცი	კარგი	ახურებული	კი
6	ადგილობრივი	შვრიცი	კარგი	ახურებული	კი
7	ადგილობრივი	შვრიცი	კარგი	ახურებული	კი
8	ადგილობრივი	შვრიცი	კარგი	ახურებული	კი
9	ადგილობრივი	შვრიცი	კარგი	ახურებული	არა
10	ადგილობრივი	ჯერსი	შესუსტებული	ახურებული	არა

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ ხელონური განაყოფიერების გზით დაბადებული ხბოები ყოველდღიურად იზდება. მოსახლეობა კმაყოფილია ხბოს ფიზიკურად დიდი იზრდება და ადგილობრივ ხბოებს ბევრად აღემატება ტანად. 10 ხელოვ-ნური განაყოფიერებიდან 8 წარმატებით შესრულდა მხოლოდ 2-მა ვერ შეინარ-ჩუნა ნაყოფი. ორიდან ერთის ვიზუალური მდგომარეობა იყო შესუსტებული ხოლო მეორესი დამაკმაყოფილებელი. მოსახლეობაში არსებობს ვარაუდები , რომ ფურს საშვილოსნოს უზიანებს, იმ შეთხვევაში თუ განაყოფიერებას კვალიფი-ციური პირი ასრულკებს ეს ვარაუდი უსაფუძლოა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ავტორები: ნ. ბერენიკაშვილი; ქ. კანდელაკი

ელექტრონული წიგნი: *ზ. რევიშვილი; თ. ყურაშვილი; დ. ცომაია (06.04.2019)*

http://agrokavkaz.ge/dargebi/mecxoveleoba/dzrokhis-jersuli-jishi- dzirithadi-makhasiatheblebi.html

თამაზ კილაძე, ა.ი.პ. ოზურგეთის სოფლის მეურნეობის

საგაზეთო სტატია: განვითარების ცენტრის სპეციალისტი მეცხოველეობის ანვითარების დარგში, ვეტექიმი (08.04.2019)

http://www.gurianews.com/article/karmidamo-chemi/10600

ფოტო მასალა: დავით წილოსანი მობ:568565504 (07.04.2019)

ვეტერინარი: უჩა უმეთაძე მობ: 599 29 35 82 (07.04.2019)

Annotation

Animal hubandry, particularly, stock-raising is very important in the development of agriculture of Georgia. In this case, the development of the livestock industry is particularly perturbed. The purpose of our work is to study artificial insemination, the role of cattle. Arificial insemination is the greatest achievement of modern medicine, which is successfullyused in breeding. Serves to increase the productivityof cattleand the gene diversity.

We have artificial division of the two breeds of cattle, these varieties are: Jersey, Schwyz. Whichserves to increase their productivity, gene mtabolismand a new better form, Each of these varieties hs been tested and adapted to the conditions of our country. In recent years, farmers have become interested in artificial insemination and in this field, which serves the development of the livestock sector. All this is a prerequisite that demand of meat and dairy products is gradually rising in the consumer market.

ორგანული ნარჩენების კომპოსტირება და თანამედროვე ტექნოლოგიები

გიორგი ბოლქვაძე
ბსუ, ტექნოლოგიური ფაკულტეტი,
აგროეკოლოგია, მეოთხე კურსი
ელ. ფოსტა : giorgibolkvadze05@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნარგულ ასანიძე,
აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

დღესდღეობით ნარჩენებისგან გარემოს დაცვა და მათი რაციონალური მართვა მსოფლიოს არაერთი ქვეყნის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სამომავლოდ გეგმავს, რომ მნიშვნელოვანი მატერიალური რესურსი ნარჩენების მართვის თაობაზე სხვა მიმართულებებთან ერთად, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენაც მიმართოს, რადგან დანაგვიანების პრობლემის წარმოშობაზე პასუხისმგებლები უპირველესად თავად ადამიანები არიან. დღესდღეობით საქართველოში არ ხდება ნარჩენების განცალკევება და შესაბამისი დახარისხება, რის გამოც მაღალია რისკი, რომ მომწამვლელი ნივთიერები ნაგავსაყრელებზე აღმოჩნდება, ალბათ ხშირად გსმენიათ კომპოსტის შესახებ, რომ საუკეთესო სასუქად მიიჩნევა, რაც მთავარია, ეკოლოგიურად სუფთაა და იაფი - კეთდება იმით, რაც შინ გაქვთ, ნარჩენებით, რომლებსაც გადაყრის ნაცვლად, სასარგებლოდ გამოიყენებთ და ბუნებასაც გაუფრთხილდებით.

შესავალი

ინტენსიურ მეურნეობაში უკანასკნელი 25-30 წლის მანძილზე არსებითად გაუარესდა ეკოლოგიური სიტუაცია. ფერმერებს მთელს მსოფლიოში ექმნებათ პრობლემა ნიადაგის დაბალნაყოფიერებისა და ხარისხიანობაში. ნიადაგების დეგრადაციას კი მოსდევს მოსავლიანობის შემცირება. მცენარეები დაუცველნი ხდებიანდაავადებებისა და მავნებლების მიმართ. ნიადაგის დაბალნაყოფიერება გარკვეულწილად გამოწვეულია ქიმიური მინერალური სასუქების და პესტიციდების ინტენსიური გამოყენებით. ნიადაგზე მათი ზემოქმედების შედეგად

დარღვეულია მისი სტრუქტურა, დაქვემდებარებულია ჰუმუსისა და საკვებ ნივთიერებათა შემცველობა, უარესდება ნიადაგის ფიზიკური თვისებები , წყალგამტარობა, ტენიანობა, აერაცია და სხვა.

ნიადაგების ნაყოფიერების გაზრდის მიზნით საჭიროა მას დავამატოთორგანული და მინერალური ნივთიერებები. ხშირად ნაყოფიერების გაზრდის მიზნით ნიადაგს ამატებენ ქიმიურ მინერალურ სასუქებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ სრულად მოამარაგონ ნიადაგები საჭირო ნივთიერებებით. გარდა ამისა, მინერალური სასუქები აბინძურებენ გარემოს, საკვებ პროდუქტებში იწვევენ მავნე ნიტრატების დაგროვებას და ნიადაგების სრულ გამოფიტვას.

ნარჩენების მართვის საკითხი გლობალურ გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს მსოფლიოში. ნარჩენებმა შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ როგორც გარემოზე, ისე ადამიანის ჯანმრთელობაზე ატმოსფერულ ჰაერში, ნიადაგში, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებში ემისიების გზით. ნაგავსაყრელები იკავებენ მიწის დიდ ფართობებს, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მცირემიწიანი ქვეყნებისათვის. ნარჩენები შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე, როგორც პოტენციური ნედლეულისა და ენერგიის კარგვა. ნარჩენების გადამუშავებას მოაქვს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური სარგებელი, როგორიცაა საჭირო რესურსების მიღება და პირველადი ნედლეულის დაზოგვა, ინოვაციის წახალისება და ახალი სამუშაო

1. ბიოჰუმუსი - საუკეთესო ორგანული სასუქი.

ნიადაგწარმოქმნაში განსაკუთრებით დიდი როლი მიუძღვით ჭიაყელებს. ისინი ნიადაგში დიდი რაოდენობით აკეთებენ სასვლელებს. ჭიაყელების საჭმლის მომნელებელ არხში ყოველწლიურად გადის დაახლოებით 25ტ/ჰა ნიადაგის მასა. ორგანული ნივთიერებების რაოდენობა, რომლითაც ჭიაყელები იკვებებიან და ამუშავებენ - წელიწადში 1ტ/ჰა აღწევს.

ჭიაყელების საშუალებით ხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ზრდა. მათი ვერტიკალური სასვლელების წყალობით უმჯობესდება ნიადაგის წყალგამტარობა, აერაცია, იქმნება კარგი პირობები მცენარეთა ფესვთა სისტემის ზრდისათვის. გავლენას ახდენს ნიადაგის სტრუქტურაზე, ჭიაყელების საჭმლის მომნელებელ ტრაქტში საკვების მოუნელებელი ნაწილები ირევა მინერალურ ნაწილაკებთან, ნაწილაკების კედლებიდან გამოყოფილი ლორწოვანი ნივთიერებებით ეწებებიან და ნაწლავის კუნთების პერისტალტიკური მუშაობის შედეგად იპრესებიან და გამოიყოფა ე.წ. კოპროლიტების („ქვის ექსკრემენტები“) სახით.გარდა ამისა, ჭიაყელების ნაწლავებში მინერალური ნივთიერებები გროვდება მცენარეებისათ-

ვის ხელმისაწვდომი ფორმით. კოპროლიტებში არის უფრო მეტი ხსნადი ფოსფორი, კალიუმი და მაგნიუმი, ვიდრე მის გარშემო ნიადაგში. ამასთან ერთად ჭიაყელების ექსკრემენტები მდიდრდებიან ამიაკით, რომელიც წარმოიქმნება ნაწლავში; ხოლო ჭიაყელების მიერ გაკეთებული სავალები იმ ამიაკით, რომელიც ჭიაყელას ტანიდან გამოყოფილ ლორწოსთან ერთად გამოიყოფა.

ჰუმუსი ბუნებაში წარმოიქმნება მცენარეული და ცხოველური ნაშთების და მათი ცხოველმოქმედების პროდუქტების ხრწნის შედეგად. ჰუმუსი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნიადაგის თვისებებზე და მცენარის კვების წყაროს წარმოადგენს. ჰუმუსის რაოდენობა ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებელია.



სურათი 1.

ადამიანს შეუძლია დააჩქაროს ნიადაგის პროდუქტიულობის აღდგენა, შექმნას „ცოცხალიმიწა'' ბიოჰუმუსის შეტანით ნიადაგში. ბიოჰუმუსი არის უნიკალური მიკრობიოლოგიური სასუქი, რომელიც მიიღება ჭიაყელების მიერ შინაური ცხოველების ნაკელისა და მცენარეული ნარჩენების გადამუშავებით. ბიოჰუმუსი არის კონცენტრირებული ორგანული სასუქი, მასში დაბალანსებულია მთელი რიგი კომპლექსური საკვები ნივთიერებები. მასში შედის მცენარისათვის აუცილებელი პრაქტიკულად ყველა მაკრო და მიკროელემენტი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, მათ შორის ფერმენტები, ვიტამინები,

ჰორმონები, აუქსინები, ჰეტეროაუქსინები და სხვა. ნაყოფიერი ნიადაგის ზედაფენასთან შედარებით ბიოჰუმუსი შეიცავს კალციუმის მნიშვნელოვან რაოდენობას, ხუთჯერ მეტ აზოტს, შვიდჯერ მეტ ფოსფორსა და ათჯერ მეტ კალიუმს. ბიოჰუმუსში არსებული ბიოლოგიურ ადაქტიური ნივთიერებები ამცირებს მცენარის სტრესს, აჩქარებს თესლის აღმოცენებას, ზრდის მცენარეების მდგრადობას დაავადებებისადმი.

ბიოჰუმუსი და მისგან მიღებული ბიოპრეპარატების გამოყენება სწრაფად აღადგენს დაუძლურებულ ნიადაგის აგრო-ტექნიკურ მაჩვენებლებს, ამცირებს ნიადაგში ნიტრატებისა და ქიმიური ნარჩენების დონეს, ასუფთავებს მძიმე

მეტალებისაგან, აფერხებს პათოლოგიური მიკრო ფლორის განვითარებას. ასუფთავებს სავარგულებს სარეველებისგან.

ბიოჰუმუსის გავლენით მარცვლოვნების მოსავლიანობა მატულობს 30-40%-ით, კარტოფილის 30-70%-ით, ბოსტნეული კულტურების 35-70%-ით. ბიოჰუმუსის გავლენით უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, იზრდება ნაყოფებსა და ბოსტნეულში C ვიტამინისშემცველობა. ბიოჰუმუსზე „მგრძნობიარობის“ მიხედვით მცენარეები იყოფა: მაღალ მგრძნობიარე, კარგად მგრძნობიარე, საშუალოდ მგრძნობიარე, სუსტად მგრძნობიარე. მაღალ მგრძნობიარე მცენარეებს მიეკუთვნება ნახშირწყლებით მდიდარი მცენარეები მაგ: კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი, ხილი. კარგად მგრძნობიარე მცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება მარცვლოვანი კულტურები: საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი, ჭვავი, ქერი, შვრია, ბრინჯი, ფეტვი, წიწიბურა, სიმინდი, სორგო. საშუალო მგრძნობიარე მცენარეებია პარკოსანი კულტურები: ბარდა, სოიო, ოსპი, იონჯა, ძიძო, ესპარცეტი და სხვა. სუსტად მგრძნობიარე მცენარეებს მიეკუთვნება ზეთოვანი და ეთერზეთოვანი კულტურები: მზესუმზირა, რაფსი, მდოგვი, ქინძი და სხვა. ბიოჰუმუსი აბსოლუტურად უვნებელია ნებისმიერი სახის ნიადაგისათვის.

ბიოჰუმუსისშესატანინორმები:

- ბიოჰუმუსი შეიძლება შეტანილი იქნეს საგაზაფულო გადახვნის დროს, ჩითილების ბუდნაში დარგვისას და კვალში თესვის წინ;
- ზოგადად ჩითილების დარგვისას ბუდნაში გრუნტს ემატება 1-2 პეშვი ბიოჰუმუსი;
- პამიდვრის ჩითილების დარგვისას ბუდნაში - 0,5 - 1 ლიტრი ბიოჰუმუსის ნაყენი;
- კარტოფილს ყოველ ბუდნაში - 0,5-1 ლიტრი ბიოჰუმუსი;
- ბოსტნეულ კულტურებში - 2 კგ.-მდე $მ^2$-ზე ან 150 გრ/გრძივ მეტრზე;
- კენკროვნები - 0,5-1კგ. ბუჩქზე;
- ხეხილოვანი კულტურები -2 კგ. ყოველი მცენარისძირში.

სურათი.2. ბიოჰუმუსის ნაყარი.

ბიოჰუმუსის ნაყენით შეიძლება მოირწყას და გამოიკვებოს ყველა მცენარე. ბიოჰუმუსის ნაყენი გამოიყენება თესლების დასალბობად, ჩითილების, ოთახის მცენარეების და ბოსტნეული კულტურების მოსარწყავად. 200 გრ. მშრალი ბიოჰუმუსი იხსნება 10 ლ. წყალში. 24 საათის შემდეგ წყალი იღებს ჩალისფერს. მიღებული ნაყენში ალბობენ ბოსტნეულის თესლებს 12 საათის განმავლობაში. დარჩენილი ნალექი უნდა დავუსხათ მცენარეებს ძირებში. ბიოჰუმუსის ნაყენის შესხურება ეფექტიანია მცენარეებზე, ნაყოფების დამსხვილების ფაზაში. {1}

2. ბიოჰუმუსის უპირატესობა სხვა ორგანულ სასუქებთან შედარებით:

- არშეიცავსსარეველაბალახისთესლებს;
- არშეიცავსპათოგენურმიკროფლორას;
- არშეიცავსმძიმემეტალებს;
- არგააჩნიაადაპტაციისპერიოდი;
- არგამოირეცხებანიადაგიდან;
- ასუფთავებსნიადაგსნიტრატებისაგან;
- ამდიდრებსნიადაგსყველასაჭირომიკროელემენტებით;
- მცენარებიოჰუმუსსპრაქტიკულად 100% ითითვისებს;
- იზრდება მცენარისსავეგეტაციოპერიოდი.

სინთეზური სასუქების წვენი ნიადაგის დაბინძურებას ნიტრატებითა და მძიმე მეტალებით, აუარესებენ პროდუქტის ხარისხს და ხშირ შემთხვევაში მათ ხდიან ჯანმრთელობისათვის სახიფათოს. ბიოჰუმუსი, ნაკელისა და სხვასა სუ-ქებისგან განსხვავებით, ნიადაგში მუშაობას განაგრძობს 5-6 წელი. ასევე სხვა

სასუქების გამოყენებისას ხდება, როგორც კულტურული, ასევე სარეველა მცენარეების სწრაფი ზრდა-განვითარება. ბიოჰუმუსის ხშირი შეტანა კი ასუფთავებს ნიადაგს სარეველებისაგან (ნაკელისაგან განსხვავებით მასში არარის სარეველების თესლები). 1 ჰაფართობზე 40-60 ტ. ნაკელის შეტანაზე მეტი ეფექტიანობა აქვს 1 ჰა-ზე 3-4ტ. ბიოჰუმუსის შეტანას.

3. თესლბრუნვა არის კულტურათა მონაცვლეობა დროსა (წლიდან-წლამდე) და სივრცეში (მინდვრიდან-მინდორზე).

თესლბრუნვის ძირითადი პრინციპია: სხვადასხვა ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი კულტურების შენაცვლება და პარკოსანი კულტურების მაღალი

წილი თესლბრუნვის სქემაში (პარკოსნები ახდენენ ნიადაგში აზოტისა და ჰუმუსის დაგროვებას, აუმჯობესებენ მის სტრუქტურას და სხვ).

მონოკულტურის მოყვანისას ნიადაგი ღარიბდება საკვები ელემენტებით და ხდება მათი დეფიციტური ბალანსის შექმნა. მაგალითად: მარცვლოვანთა მონოკულტურაში ნიადაგი ღარიბდება აზოტით და ფოსფორით; შაქრის ჭარხლისა და მზესუმზირის შემთხვევაში –კალიუმით, პარკოსნების მოყვანისას – ფოსფორითა და კალიუმით, (აზოტით მდიდრდება). თესლბრუნვის პრაქტიკის დანერგვით, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად ხდება მავნებლების, დაავადებებისა და სარეველა მცენარეების რაოდენობის შემცირება ფართობში (მცენარეული ნარჩენების დაწვა - დაუშვებელია).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა თესლბრუნვის უპირატესობა მონოკულტურასთან შედარებით. თესლბრუნვაში პარკოსნების ჩართვით ნიადაგი მდიდრდება აზოტით, რითაც უმჯობესდება მისი ბალანსი. პარკოსანი ხანჭკოლა და იონჯა ნიადაგს აზოტით ამდიდრებენ. თესლბრუნვის შემოღებით ფართობზე მცირდება სარეველების რაოდენობა, რომლებიც საშუალოდ NPK 10%-ს ითვისებენ, რითაც კონკურენციას უწევენ კულტურულ მცენარეებს კვებაში და ქმნიან საკვები ელემენტების დეფიციტს.

თესლბრუნვა ხელს უწყობს:

- სას. სამ. კულტურების მოსავლიანობის ზრდას;
- ბიომრავალფეროვნების ზრდას;
- ნიადაგის ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებას;
- ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებას და ამაღლებას;
- მავნებლების, დაავადებებისა და სარეველა მცენარეების რაოდენობის შემცირებას.

თესლბრუნვის სქემის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. ბოსტნეული კულტურა არ უნდა დაბრუნდეს ნაკვეთზე 4 წლის განმავლობაში;

2. თესლბრუნვის სქემაში პარკოსანი კულტურების წილი უნდა იყოს არანაკლებ -25 - 30%;

3. საკვები ნივთიერებების მიმართ მაღალი მოთხოვნილების მქონე კულტურები უნდა ვაწარმოოთ პარკოსანი კულტურების შემდეგ.

4. მულჩირება -არის ნიადაგის ზედაპირის დაფარვა ორგანული (თივა, ბზა, ნახერხი, ნაფოტი, ბალახი და სხვ.) საფარით, რომელიც იცავს ნიადაგს წვიმისა და ქარის უარყოფითი ზემოქმედებისგან. მულჩის მასალა შეიძლება იყოს თივა, ფოთლები, ჩალა, ნახერხი და სხვა მცენარეული ნარჩენი. ორგანული მულჩი

ნიადაგის ორგანიზმებისა და მიკროორგანიზმების საცხოვრებელი ადგილი ხდება, მულჩირებით ხდება ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება, ნიადაგში ტენის შენარჩუნება, ნიადაგის ტემპერატურის რეგულირება (ზამთარში თბილი, ზაფხულში გრილი), სარეველების დათრგუნვა, იქმნება კარგი პირობები მცენარეთა სწრაფი ზრდა-განვითარებისთვის, იზრდება სას. სამ. კულტურათა მოსავლიანობა,ვიღებთ საადრეო მოსავალს და სხვ. კონსერვაციული სოფლის მეურნეობა ფერმერისგან ცოდნას, მართვის კარგ უნარებს მოითხოვს. კონსერვაციული სოფლის მეურნეობა მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, დანერგილია 100 მილონ ჰა ფართობზე. ყველაზე მეტი ფართობი, ნულოვანი დამუშავების მხრივ, აშშ-ში, ბრაზილიაში, არგენტინაში, კანადაში, ავსტრალიასა და პარაგვაიშია. (არგენტინაში, ბრაზილიასა და პარაგვაიში ს/ს მიწების 60 % უჭირავს). საქართველოში ამჟამად დანერგილი პრაქტიკის მიხედვით ან მხოლოდ თესვის წინ ხდება ნიადაგის მოხვნა ან ძირითადი ხვნა ტარდება (მოსავლის აღების შემდეგ) ზამთრის პირას, ხოლო გაზაფხულზე (თესვის წინ) ხდება მისი გაფხვიერება. ბოლო დროს საქართველოში ზოგიერთი ფერმერი (უმეტესად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში), ახდენს ნიადაგის მხოლოდ მინიმალურ დამუშავებას, რაც გულისხმობს ნიადაგის მხოლოდ თესვის წინა გაფხვიერებას და გამორიცხავს მის მოხვნას. დაუმუშავებელი ნიადაგის ზედაპირზე წლების განმავლობაში გროვდება მცენარეების ნარჩენები, რომელიც მულჩის ფენას წარმოქმნის. კონსერვაციულ სოფლის მეურნეობაში მცენარეული ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა უნდა დარჩეს მინდორში მულჩის სახით.

ძირითადი ბოსტნეული კულტურები ფესვთა სისტემის განთავსების სიღრმის მიხედვით: [8]

ღრმა ფესვთა სისტემა (1 მ და მეტი).	*ზედაპირული ფესვთა სისტემა (1 მ-მდე).*
გადრიჯანი, თავიანი კომბოსტო, სტაფილო, წიწაკა, ჭარხალი, ნიახური, სატაცური, პამიდორი, გოგრა, ლობიო, პირშუშხა.	*გარდა, კარტოფილი, კოლრაბი, წიწმატი, სიმინდი, ხახვი, კიტრი, ოხრახუში, ბოლოკი, თავიანი სალათები.*

ძირითადი ბოსტნეული კულტურები ფართობის მოთხოვნის მიხედვით:

მცენარეები რომლებსაც სჭირდებათ მეტი ფართობი.	*კომპაქტური მცენარეები.*
გადრიჯანი, ყველა სახეობის პარკოსნები (გარდა გარდისა), ყველა სახეობის კომბოსტო (გარდა კოლრაბისა), ნესვი, სიმინდი, კიტრი, წიწაკა, ნიახური, პამიდორი, გოგრა.	*გარდა, კოლრაბი, ყველა სახეობის ხახვი, სტაფილო, ოხრა ში, ბოლოკი, ყველა სახეობის სალათი, ჭარხალი, ისპანახი.*

5. მცენარეთა თანამეზობლობა.

ბიოფერმერი ყურადღებას აქცევს რომელი მცენარეული კულტურა რომლის მეზობლად იზრდება და ვითარდება უკეთესად. მცენარეები ან ნეიტრალურები არიან ერთმანეთისადმი ან მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე ან ანტაგონისტურს, რაც გამოწვეულია მათ მიერ გამოყოფილი სპეციფიკური ქიმიური ნივთიერებებით. მცენარეთა ურთიერზეთმოქმედებას ალელოპატია ეწოდება. (მაგ: კარტოფილისთვის კარგია იონჯის, ნივრის, ოხრახუშის მეზობლობა. კარტოფილის „მტრებია“ - პამიდორი, მზესუმზირა, კიტრი, გოგრა). ზოგიერთ კულტურას აქვს საკუთარი „ჰერბიციდი“, ანუფიტოტოქსინები, რომლის მეშვეობითაცისინი აფერხებენ ან თრგუნავენ კონკურენტიმცენარეებისზრდა განვითარებას (ფიტოტოქსინი შეიძლება იყოს აქროლადი ან ვრცელდებოდეს წყლით). ერთმანეთის მეზობლად თესვის შემთხვევაში ერთმანეთს იცავენ (სხვადასხვა დაავადებებისა და მავნებლებისაგან) სალათა და წითელი ჭარხალი; სტაფილო და ხახვი; კიტრი და ნიახური; სტაფილო და პრასი; ნიახური და ყვავილოვანი კომბოსტო; თეთრთავიანი კომბოსტო და პამიდორი.

ბოსტნეული კულტურების თანამეზობლობის ცხრილი:

6. მცენარეთა დაცვა (მავნებლებისა და დაავადებების კონტროლი) ბიომეურნეობაში.

კულტურის დასახელება	ლობიო	კარტოფილი	სიმინდი	ხახვი	ნიორი	ოხრახუში	კამა	ისპანახი	ნიახური	პამიდორი	ჭარხალი	სტაფილო	ბოლოკი	კომბოსტო	ბადრიჯანი	კიტრი	გოგრა	სალათა
ლობიო		√	√	x	x	0	x	0	●	●	●	0	●	●	●	√	√	●
კარტოფილი	√		●	0	0	0	0	√	x	x	x	0	0	0	x	0	0	●
სიმინდი	√	●		0	0	0	0	0	x	√	x	0	0	x	0	0	●	√
ხახვი	x	0	0		0	0	0	●	0	0	●	√	0	x	0	●	0	●
ნიორი	x	0	0	0		●	0	0	0	●	●	●	0	x	0	●	0	0
ოხრახუში	0	0	0	0	●		0	●	●	√	0	0	●	0	0	0	0	x
კამა	x	0	0	0	0	0		0	0	x	0	x	0	●	0	√	0	●
ისპანახი	√	√	0	●	0	●	0		0	√	√	0	●	●	0	0	0	0
ნიახური	●	x	x	0	0	●	0	0		●	●	0	0	√	0	●	0	●
პამიდორი	√	x	√	0	●	√	x	√	●		0	●	●	●	x	0	0	●
ჭარხალი	●	x	x	●	●	0	0	√	●	0		0	0	●	0	●	0	●
სტაფილო	0	0	0	√	●	0	x	0	0	●	0		●	x	0	0	0	●
ბოლოკი	●	0	0	0	0	●	0	●	0	●	0	●		●	0	x	0	√
კომბოსტო	●	0	x	x	x	0	●	●	√	●	●	x	●		0	●	0	√
ბადრიჯანი	●	x	0	0	0	0	0	0	0	x	0	0	0	0		0	x	√
კიტრი	√	0	0	●	●	0	√	0	●	0	●	0	x	0	●		0	●
გოგრა	√	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	x	0		0
სალათა	●	●	√	●	0	x	●	0	●	●	●	●	√	√	0	●	0	

მცენარეთა დაცვის სტრატეგია ბიომეურნეობაში უნდა ეფუძნებოდეს არა მავნებლების, დაავადებების ან სარეველების განადგურებას, არამედ მათ კონტროლს და რეგულირებას.

ბუნებაში, ჩვეულებრივ არ ხდება მავნებლების ძლიერი გამრავლება, მათი რაოდენობა რეგულირდება ბუნებრივი მტრების მეშვეობით. პრობლემა იქმნება მაშინ, როდესაც ადამიანი (ბუნების კანონზომიერებების გაუთვალისწინებლად), ერევა ამ პროცესში. ხოლო როდესაც პრობლემა თავს იჩენს, ფერმერი ცდილობს ქიმიური პრეპარატების მრავალჯერადი გამოყენებით გადაჭრას ის. უნდა ითქვას რომ ამ მიდგომამ ვერ გადაწყვიტა პრობლემა, (მავნე ორგანიზმები რეზიზსტენტულები ხდებიან პრეპარატისადმი ან ჩნდება მათი ახალი ფორმები) მავნებლები და დაავადებების რაოდენობა კი არ მცირდება, არამედ პირიქით - მატულობს.

ბიომეურნეობაში მცენარეთა დაცვაში იგულისხმება არა მხოლოდ ქიმიური პრეპარატის შეცვლა ბიოლოგიურით, არამედ მეურნეობის ბიომეთოდებით

მართვა (გამძლე ჯიშების შერჩევა, თესლბრუნვის სწორი სქემის დანერგვა, მულ-ჩირებისა და ოსმ-ში დაშვებული სხვა ბიომეთოდების გამოყენება) რაც მნიშვნე-ლოვნად ამცირებს მავნებელ - დაავადებების გავრცელებას. (მცირე რაოდენობით მავნებლების არსებობა პრობლემას არ წარმოადგენს).

მავნებლების რაოდენობის შემცირებაში ბიომეურნეს მნიშვნელოვან დახ-მარებას უწევს ე. წ. სასარგებლო პარაზიტი და მტაცებელი მწერები. მტაცებელ მწერებს მიეკუთვნებიან ობობები, ჭიამაია, მტაცებელი ტკიპები და ბაღლინჯოე-ბი, კრაზანები.

სასარგებლო პარაზიტების უმრავლესობა მავნებელი მწერების სხეულის პარაზიტებია, მაგ, ბუგრის პარაზიტი მხედრები კვერცხს დებენ ფოთლის ბუგრე-ბის სხეულში, საიდანაც მცირე ხნის შემდეგ იჩეკება ლავრა, ხოლო ბუგრი იღუ-პება. (ერთი ბუგრის პარაზიტი 200 დან 1000 მდე მავნებელს ანადგურებს). [1,5,8]

ხემცენარეების, ქარსაფარი ზოლების, მოყვავილე მცენარეების არსებობა ნაკვეთზე ხელს უწყობს სასარგებლო პარაზიტების გამრავლებას.

მინდორში ასევე ბინადრობენ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, რომლებიც ძირითადად მავნებლებით იკვებებიან (ზღარბი, გომბეშო, ხვლიკი). ბიოფერმერმა ხელი უნდა შეუწყოს სასარგებლო მწერების, სასარგებლო ცხოვე-ლებისა და ფრინველების გამრავლებას (მათი გამოზამთრებისა და გამრავლების ადგილების არსებობა, ბუჩქებისა და ხეების დარგვა, ქარსაფარი ზოლების გა-შენება, მოყვავილე, ნექტარის მომცემი მცენარეების თესვა და სხვ).

ნიადაგის დროული გაფხვიერება ასევე ხელს უწყობს მცენარეული კულ-ტურების ბუზების კვერცხებისა და მატლების, ჩრჩილების, ბუგრების, თრიფ-სებისა და სხვა მავნებლების რაოდენობის შემცირებას, მცირდება ავადმყოფობის გამომწვევთა რაოდენობაც.

ბიოპრეპარატების გამოყენება ოსმ-ში ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ამის აუცილებლობაა და მხოლოდ იმ პრეპარატებით რომლებიც დაშვებულია ბიო-წარმოებაში კანონით - მაკონტროლებელი ორგანოსთან შეთანხმებით.

სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ ოსმ-ში დაშვებულია სპილენძის შემც-ველი ზოგიერთი კონტაქტური ფუნგიციდის გამოყენება. გარდა ამისა, ბუნებაში არსებობს ე. წ. პესტიციდური აქტივობის მქონე მცენარეები, რომელთა გამოყე-ნებით დამზადებული ნახარშის, ნაყენის, ექსტრაქტის, ფხვნილის გამოყენება (შესხურება) ამცირებს მავნე ორგანიზმების რაოდენობას, არ აზიანებს სასარგებ-ლო ორგანიზმებს და ადამიანს, არ ანაგვიანებს გარემოს. მათი გამოყენება განსაკუთრებთ ეფექტიანია მცირე ფართობებზე ბოსტნეულის წარმოების დროს.

დიდ ფართობებზე ბოსტნეული კულტურების წარმოების შემთხვევაში ბიოფერმერების უმრავლესობა იყენებს მზა ბიოპრეპარატებს, რომლებიც გარანტირებულ ეფექტს იძლევა და სრულიად უსაფრთხოა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის. საქართველოში უკვე იწარმოება ბიოინსექტიციდები, ბიოფუნგიციდები, ბიოსასუქები, ბიოსტიმულატორები, ემ პრეპარატები და ბიოფერმერისათვის საჭირო სხვა საშუალებები.

7. ემ. ტექნოლოგია - ეფექტური მიკროორგანიზმების გამოყენება

ემ (ეფექტური მიკროორგანიზმები) პრეპარატი წარმოადგენს ბაქტერიულ სასუქს, ეს არის ხსნარი, რომელშიც გამოზრდილია სასარგებლო მიკროორგანიზმების შტამები. ისინინიადაგში შეტანისას ააქტიურებენ მის მიკროფლორას და ახშობენ პათოგენურ მიკროფლორას, რაც იწვევს ნიადაგის გაჯანსაღებას. „ემ პრეპარატის“ შეტანა აჩქარებს ნიადაგში ჰუმუსის წარმოქმნის პროცესს, ზრდის ნიადაგის ტემპერატურას 2 – 5 ^{0}C-ით, მაღლდება მცენარის იმუნიტეტი, იზრდება მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი. განსაკუთრებით ეფექტიანია „ემ პრეპარატების“ გამოყენება სათბურებში, სადაც არ ხდება

კულტურების მონაცვლეობა. „ემ“ (ეფექტური მიკროორგანიზმები) - ცოცხალი ორგანიზმებია, რომლებიც ვითარდებიან მხოლოდ გარკვეული პირობების შემთხვევაში: უყვართ ორგანიკა, სინესტე, სითბო (20 – 30 ^{0}C), ვერ იტანენ კაშკაშა სინათლეს, კვარცული ნათურის სხივებს, გვალვას, ქიმიურ სასუქებს და ქიმიკატებს.

კვლევა

რამდენად იყენებდენ ფერმერები ორგანულ ნარჩენებს მათი ნიადაგების გასამდიდრებლად?

ამისათვის ჩავატარე გამოკითხვა საქართველოს რამდენიმე რეგიონში წალკაში, გორში და მაღალმთიანი აჭარაში.

კითხვარის კითხვები:

1) გაქვთ თუ არა სასოფლო მეურნეობა?

2) იცით თუ არა კომპოსტირების შესახებ?

3) ჭია მავნებელია თუ სასარგებლო მცენარეებისთვის?



გამოყენებული ლიტერატურა:

1) ელკანას ბიო სასუქები. http://www.farmersschool.ge

2) ეკოლოგიის საფუძვლები. ავტორები რ. რიკლეფსი გ.მილერი. თბილისი, 0162, საქართველო

3) ეკოლოგია და გარემოს დაცვა. ნ. ლომთათიძე ნ. ალასანია ბათუმი - 2012

4) ორგანული სოფლის მეურნეობა file:///C:/Users/user/Downloads/ Conservation Agriculture_CENN_Brochure.pdf

5) ზოგადი ეკოლოგია შ. ანდღულაძე, ნ. ანდღულაძე, ლ. ანდღულაძე თბილისი 2019 წელი.

6) CENN-ის ნარცენების მართვის საინფორმაციო მასალა. თბილისი 2010 წელი

7) ასოცირების ხელშეკრულება. თბილისი 2014-2016 წელი

8) https://www.google.ge/search?q=%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%9D+%E1%83%9D%E1.

Abstract

Environmental protection and their rational management are now a serious problem in many countries around the world,The Ministry of Environment Protection and the Ministry of Agriculture plans to make significant material resources on the management of waste along with other directions to raise public awareness, because the responsibility for the origin of the problem is primarily human beings. Nowadays, about 60 official and much smaller natural disasters are registered in Georgia. There is no separation of waste and proper sorting, which is the risk that the poisonous substances are on landfills, Recently, it has become especially urgent to use ecologically clean, non-chemical means for soil erosion, fertilization, and harvesting. You probably have often heard about compost that is considered the best fertilizer, most importantly, ecologically clean and inexpensive - is made of what you have at home, which you can use instead of waste, will benefit you and take care of nature.

თანხმოვანთა ფონეტიკური გარდაქმნის რამდენიმე შემთხვევა ტაოურში

ნაირა ვარდმანიძე
ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია, მეორე კურსი.
ელ.ფოსტა naira.vardmanidze@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მამია ფაღავა,
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

შესავალი

ტაოურს ვუწოდებთ ისტორიული ტაოს მკვიდრთა მეტყველებას. ტაო ვრცელი ქართული ქვეყანაა ჭოროხის ხეობაში. ისტორიულ წყაროებში („ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაჲ სამეფოჲსა საქართველოჲსა“) ტაო ორ ნაწილად იხსენება: ამიერტაო და იმიერტაო, გვხდება მრავლობითის ფორმაც - ტაონი. დღეს ჭირს ზუსტი საზღვრის დადგენა ამიერ და იმიერ ტაოს შორის. ბარემ ვიტყვით, რომ პირობითია მიჯნის დადება ერთის მხრივ ტაოსა და სპერს შორის, მეორე მხრივ, ტაოსა და კლარჯეთს შორისაც, თუმცა, პირობით საზღვარს მაინც ავლებენ.

ტაოური დიალექტი ერთ-ერთი სამხრული კილოთაგანია, რომელიც საენათმეცნიერო ლიტერატურაში ორი ტერმინით იხსენება: ტაოს ქართული (პროფ. შ.ფუტკარაძე), ტაოური კილო/დიალექტი (პროფ.მ.ფაღავა). აღვნიშნავთ, რომ ტაოური კილოს კველვას სულ სამი ათეული წლის ისტორია აქვს. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებამდე ქართული მეცნიერებისათვის ცნობილი არ იყო აღნიშული დიალექტის შესახებ და ჭოროხის ხეობის მკვიდრთა მეტყველებას იმერხეულის (ზოგჯერ-კლარჯულის) სახელით იცნობდნენ. იმერხეული უწოდა ნ. მარმა შავშეთისა და კლარჯეთის იმ სექტორის მკვიდრთა მეტყველებას, რომელიც თავად მოიარა და მცირე ჩანაწერებიც გააკეთა. ჩვენს დროში გახდა შესაძლებელი ჭოროხის ქვეყნებში სამეცნიერო მიზნით მოგზაურობა და შავშელთა, ტაოელთა და კლარჯთა მეტყველებაზე დაკვირვება, მეტყველების ნიმუშების ჩაწერა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. შეგროვებული მასალის ანალიზითა და ისტორიული ვითარების გათვალსიწნებით ჭოროხის ხეობაში გამოყოფენ ტაოურს, კლარჯულს, შავშურსა და აჭარულს (დაწვრილებით იხილეთ

ფაღავა, 2015: 123-156). აღვნიშნავთ, რომ დღეს სამხრული კილოების შესწავლა წარმატებით მიმდინარეობს, მონოგრაფიულადაა შესწავლილი აჭარული (იხ. ნიჟარაძე, 1995; ნიჟარაძე, 1971; ნოღაიდელი, 1960; ნოღაიდელი, 2015; ფაღავა, ცეცხლაძე, 2017 და სხვა.) შავშური (იხ. ფუტკარაძე, 2015; ფაღავა 2011; შავშეთი, 2012; ფაღავა, ნ.ცეცხლაძე 2017), კლარჯული (იხ. ფუტკარაძე, 2015; ფაღავა 2017; კლარჯეთი, 2016; ფაღავა, ცეცხლაძე 2017), მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ტაოური კილოს შესასწავლად, თუმცა დღემდე არსებობს მნიშვნელოვანი კვლევები დასახელებული დიალექტის შესახებაც (იხ. ფუტკარაძე 2015; ფაღავა, ცეცხლაძე 2017). აღსანიშნავია ისიც, რომ მ.ფაღავასა და ნ.ცეცხლაძის შავშურის, კლარჯულისა და ტაოურის ძირითადი პარადიგმები შეტანილია ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II", დიალექტები (2016: 784-862), აღარაფერს ვამბობთ ცალკეულ გამოკვლევებზე, რომლებიც სამხრულ კილოებს მიეძღვნა და რომელიც აღნუსხულია მ.ფაღავას შრომაში (იხ. ფაღავა, 2015).

მოკლე შესავლის შემდეგ დავუბრუნდეთ ტაოურ დიალექტს.

ერთ დროს ვრცელ ტეროტორიაზე გავრცელებული ტაოური დიალექტიდან „ნამსხვრევებიღა'' (ტერმინი აკად. შოთა ძიძიგურისაა) შემოგვრჩა: ქართულის ისმის ტაოს ერთ - ელისხევის ხეობაში გაშენებულ რამდნიმე მცირე სოფელში, რომლებიც სამ სამუხტროში (სამამასახლისოში) არის გაერთიანებული და კლარჯეთისა და ტაოს მოსაზღვრე სოფელ ბინათში, ტაოს დანარჩენი ნაწილი მეთურქულეა (მეთურქულე ტაო, მექართულე ტაო-ტერმინი მამია ფაღავასია). ჩანს, საუკუნის წინ ქართულად მოლაპარაკე სოფლების რიცხვი ტაოში გაცილებით მეტი იყო. ქართული ისმოდა ჭიმ-ჭიმში, იშხანში, პარხალში, ოთხთა ეკლესიაში, იქნებ სხვაგანაც (იხ. თაყაიშვილი, 2016).

ტაოს მექართულე სოფლებში გადარჩენილი ქართული საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ტაოურ დიალექტებზე, მის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, ლექსიკურ, სინტაქსურ თავისებურებებზე, სხვაგვარდ, აღვადგინოთ ტაოს ლინგვისტური პორტრეტი.

ჩვენი მოხსენების თემაა თანხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევები ტაოურში. საანალიზო მასალები ამოკრებილია ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგის ცენტრის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიცის მიერ შეგროვებული ტაოური ტექსტებიდან.

…

1.ძ:ზ: **ზროხა** - ძროხა: **ზროხები** არ მყავან (ობლეკარი);

ამოზრომა - ამოძრომა:

მაქინაძე - მაქინაზე: მაქინაძე დუბმია [მისაბმელი] (ელიაჯევი)...

მოყვანილი მასალებიდან ჩანს, რომ **ძ:ზ** მონაცვლეობა პოზიციით არაა შეპირობებული, არც სისტემურ ხასიათს ატარებს. ბუნებრივია, რომ დაისვას კითხვა: **ძ:ზ** მონაცვლეობა ქართლი მოვლენაა, თუ სხვა ენის გავლენით უნდა აიხსნას? აღღნიშნავთ, რომ ძველმა და საშუალმა ქართულმა იცის **ზრობა**: ყოველი გამოასხა ტაძრით: **ზრობაჲ** და ცხოვარი; შენ მანდა ზი და **ზრობისებრ** ჰყვირი (ვისრ. 164).

შეიძლება ითქვას, რომ **ძრობა:ზრობა** მონაცვლეობა სამწერლობო ქართულის კუთნილებაა და არა დიალექტური, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არც თურქულის გავლენაზე შეიძლება საუბარი (იხ. ცინცაძე, ფაღავა 1998:158-159), რაც შეეხება **ამოზრომა, მაქინაძე**...შეიძლება ტაოურის კუთნილებად ჩაითვალოს.

2. ტაოურში ხელშესახებია **ჰ:ხ** S_2 O_3 პირის პრეფიქსის მონაცვლეობა. ცნობილია, რომ **ჰ:ხ** მონაცვლეობა სამწერლობო ქართულში მიჩნეულია სხვადასხვა დიალექტურ კუთნილებად, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში რეალიზდა სამწერლობო ქართულში.

ჩვენს შემთხვეაში მონაცვლეობა ერთი დიალექტის ფარგლებში ხდება. რა ახსნა უნდა მიეცეს ამ მოვლენას? მოვიყვანოთ მაგალითები:

ფქვილი **ჩახყრი** (ჯევეკი). შდრ. ჩაჰყრი.

ქეშიში იქ **ხყოფილა** (ჭედლიანკარი) შდრ. ჰყოფილა.

ერთი დიდი ძმაჲ **ხყავსა** სტამბოლში...(ხევეკი). შდრ. ჰყავსა.

მთიდამ ჩამოვტანეთ, დავხიზრეთ, **ჰაზირია** (ქუაბაგი). შდრ.ჰაზირი.

მაგალითების მოხმობა კიდევ შეიძლება. ვფიქრობთ **ჰ:ხ** მონაცვლეობა ტაოურში (ზოგადად სამხრულ კილოებში) ფონეტიკური კანონზომიერებით არის შეპირობებული. აქვე გავიხსენებთ აკად. თ.გამყრელიძის მოსაზრებას, რომ ქართლში **ჰ' ხ'** ს ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია...(იხ. თ.გამყრელიძე 1989: 127).

3. მონაცვლეობს **ქ:ხ** თანხმოვნები:

საქუნდარი თეფეს სახელია (ქუაბაგი) შდრ. სახუნდარი.

გეოგრაფიულ სახელს საფუძვლად უდევს ხუნდ'||ჯუნდ ფუძე, რომელსაც საბა ასე განმარტავს: **ზაღვანა** და **მახეთან** გვაგზავნის, ამ უკანასკნელის შესახებ კი იტყვის: „ზოგადი სახელი არს ყოველთა შესაპყრობელთა''(იხ. ორბელიანი, 1949).

ქ:ხ მონაცვლეობა დასტურდება ნასესხებ **ჲოხ:ჲოქ** (არა) სიტყვაშიც:

ჲოხ, ჲოხ მე არ ვიცი (ქუბაგი). შდრ.**ჲ**ოქ.

აღვნიშნავთ, რომ **ჲოქ** თურქული ფორმა და გამოთქმა არის, **ჲ**ოხ - ქართული.

4. საყურადღებოდ გვეჩვენება **დ:ნ** მონაცვლეობა ტაოურში. ეს მონაცვლეობა სისტემურ ხასიათს ატარებს. მაგალითები:

ჩვენ ქი **გავთავნეთ**, აქ აღარც ქართველი დარჩება (ქუაბაგი);

ჰაიდე **წევნეთ** რუს უკან (ქუაბაგი);

ჯამეში **წევნეს** (ხევიკი);

არიან,ჰამა **წევნეს** ,აღარ **მოვნეს;**

გენჯები **წევნეს** აქედან (წილთლევკარი)...

აღვნიშნავთ, **დ:ნ** რომ მონაცვლეობა უმეტეს შემთხვევაში ზმნურ ფუძეებში დასტურდება. აქ შესაძლებელია მონაცვლეობის მორფოლოგიურ საფუძველზეც ვისაუბროთ, თუმცა დაბეჯითებით რაიმეს თქმა ჯერ ჭირს.

დ:ნ მონაცვლეობით, ტაოური განცალკევებით დგას სხვა სამხრული კილოებისაგან.

5.ტაოურში დასტურდება **ც:ს** მონაცვლეობა,რომლის საფუძველიც ასმილაცია არის:

ც-ს>ს-ს.

ესას Ქჩიჩევი (ელიასხევი). შდრ. **ესას**<ესაც<ესეც.

მე **ესეს** არ მიქნია (ხევიკი)...

გვაქვს შემთხვევა, როდესაც მონაცვლეობა შეუპირობებელია: **მამაც** (<მამას) უთქვია ქი, წამოდი, წამოდი...(ქუაბიგი).

აქ მონაცვლეობენ საერთო წარმოების ადგილის მქონე თანხმოვნები.

გვაქვს **ს-ს>ს-ც**'დ ქცევის შემთხვევაც, რომლის საფუძველიც არის დისიმილაცია:

სირცვილის (<სირსვილის) გურჯიჯა არ ვიცი (სავრიეთი).

6. ტაოურში, იშვიათად მაგრამ მაინც, დასტურდება თანდებული **-ში -ჩი** ფორმით.

ანალოგიური მონაცვლეობა დამახასიათებელი არის აღმოსავლეთის მთის დიალექტისთვის. მონაცვლეობის საფუძველი ფონეტიკური კანონზომიერებაა:

იმ **ბეღელჩიც** რაცხა შეᲥნახავ არ დაზარალდება ისა...(ობელკარი);

ძველ **ადგილებჩი** არდუჯი არი (ელიასხევი)...

თანხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევები სხვაც ბევრია ტაოურში; დავასახელებთ ზოგიერთს:

ს:შ :თქვენ **შაჭმელი**(<საჭმელი)ამეთ და...(ხევიკი);

ღორს არ **შჭამენ** (შდრ.სჭამენ||ჰჭამენ);

ნ:ლ: **კაკანა** (<კაკალა, აქ: კაკალი) ბოვრია ელიასხევ (ელიასხევი);

კ:ქ: **კვირიქეთი**-ადგილი ებოლკარში. შდრ.კვირიკეთი;

წ:ს აქ ზომოში ჩანს **სალიკვანი** (ობელკარი). შდრ.წალიკვანი<წალიკოვანი;

წალიკა კიდევ ბალახია, რომელსაც იყენებენ ხალხურ მდედიცინაში;

მ:ნ: ლულუკი იმნაური, **ნაწვნით** (<*მაწვნით) იჯევნება (ხევეკი);

ჯიმჭარი (<ჯინჭარი<ჭინჭარი) სუსხვაᲥ ეტყვიან, წვავსაესა (ელიასხევი).

ყურადღებას მივაქცევ <u>მ:ნ</u> მონაცვლეობის ერთ შემთხვევასაც: <u>თიხიდამ</u> კეთდება (ხევეკი) შდრ.<u>თიხიდან</u> კეთდება.

ჩვენთვის ცნობილია, რომ -**დამ** და -**დან** ორი სხვადასხვა თანდებულია ქართულში (ჩიქობავა, 1937). -**დამ** დასტურდება ტაოურშიც, თუმცა დასახელებულ მაგალითში იგი -**დან**'ის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი ჩანს.

თანხმოვანთმონაცვლეობა ტაოურში იმავე კანონზომიერებებს იმეორებს, რაც სამხრული კილოებისთვის (ზოგადად ქართული დიალექტებისთვის) არის დამახასიათებელი, თუმცა ზოგჯერ საკუთრივ ტაოურის თავისებურებებიც იკვეთება.

გამოყენებული ლიტერატურა:

გამყრელიძე,1989 - თამაზ გამყრელიძე, „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა", თბილისი.

დიალექტები, 2016- „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია", II, „დიალექტები", გ. გოგოლიშვილის საერთო რედაქციით, თბილისი.

თაყაიშვილი, 2016- ექვთიმე თაყაიშვილი, „შრომები", ტ.I, თბილისი.

კლარჯეთი, 2016 - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, ნუგზარ მგელაძე, მაია ბარამიძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალძე, მალხაზ ჩოხარაძე, რამაზ ხალვაში, „კლარჯეთი", თბილისი.

მარი, 2012 - ნიკო მარი, „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები", ბათუმი.

ნიჟარაძე,1975 - შოთა ნიჟარაძე, „აჭარული დიალექტი" ბათუმი.

ნიჟარაძე,1971- შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი,ლექსიკა, ბათუმი.

ნოღაიდელი, 1960 - ჯემალ ნოღაიდელი „აჭარული დიალექტი"ბათუმი.

ნოღაიდელი, 2015- ჯემალ ნოღაიდელი, აჭარული კოლოს სალექსიკონო მასალები, ბათუმი.

ორბელიანი, 1949 - სულხან საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა", თბილისი.

ფაღავა, 2015 - მამია ფაღავა „სამხრული კილოები, შესწავლის მდგომარეობა და კვლევის პერსპექტივები,ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები III"თბილისი.

ფაღავა, ცეცხლაძე, 2017- მამია ფაღავა, ნანა ცეცხლაძე, „სამხრული კილოები, ბრუნების და უღლების ძირითადი პარადიგმები", თბილისი.

ფაღავა, 2011 - მამია ფაღავა, „შავშური ჩანაწერები", თბილისი.

ფაღავა, 2017- მამია ფაღავა, „კლარჯული ჩანაწერები", თბილისი.

ფუტკარაძე, 2015 - შუშანა ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული II", თბილისი.

შავშეთი, 2011- მამია ფაღავა,მერი ცინცაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, თამაზ გუტკარაძე, მაია ბარამიძე, ნუგზარ ცეცხლაძე, ვარდო ჩოხარაძე, „შავშეთი“,თბილისი.

ცინცაძე, ფაღავა, 1998 - „სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა“, V-XVIII სს, ბათუმი.

abstract

The report dedicated Georgian languages less studied dialec,in particular Tao.In topic main attention is about ponetic transformation of the consonants in Tao.To analyze matctial used BSU faculty of Humanites Centrs in achive existing from the texts of dialectical,they haven't in scientific circulation yet.

სომატური ფრაზეოლოგიზმები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში

შორენა ცეცხლაძე
ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია, მეოთხე კურსი.
ელ.ფოსტა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ცეცხლაძე,
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სამყაროს კონცეპტები აგებულია მეტაფორებზე. მეტაფორულობა ყველაზე კარგად ჩანს ფრაზეოლოგიზმებში, ერთეულებში, რომლებშიც უკუფენილია ხალხის ისტორია, რწმენა, ტრადიციები, კულტურა. ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ჩვენ ვიკვლევთ სომატურ ფრაზეოლოგიზმებს, ისეთ ერთეულებს, რომელთა წამყვანი კომპონენტიც ადამიანის სხეულის ნაწილია.

სომატური ფრაზეოლოგიზმები უმთავრესად განცდებს გადმოგვცემს. ემოციებით ადამიანი სამყაროს აღიქვამს და შეიმეცნებს. მეცნიერების სხვადასხვა დარგი კი მათ შეისწავლის, როგორც ადამიანის მოტივაციის, კომუნიკაციის და საქმიანობის საფუძველს.

ნაშრომში განვიხილავთ, ქართველი რომანტიკოსები როგორ და რა მიზნით იყენებენ სომატიზმებს, როგორია მათი წარმომავლობა, რომელი მათგანია ინდივიდუალურ-საავტორო და რომელი – კლასიკური; ისინი ბიბლიურია, ხალხური, თუ უცხო ენების კალკი. მოპოვებული მასალა დაჯგუფებული გვაქვს კომპონენტების მიხედვით და სემანტიკურ ბუდეებად. ჩვენ გვაინტერესებს ისიც, კონკრეტულად რა შემატეს ემოციის გამოხატვის ზოგადქართულ სურათს ქართველმა რომანტიკოსებმა.

§ 1. სტრუქტურული ანალიზი

ა) თავდაპირველად განვიხილოთ ერთ-ერთი სიტყვა-კონცეპტი **გული**. ქართული ენა მდიდარია ასეთი ფრაზეოლოგიზმებით. თ. სახოკიას ,,ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში“ დადასტურებული აქვს 150-ზე მეტი ასეთი იდიომი. მეგრულში დაახლოებით 225 ერთეულია, ლაზურში –170. მეგრულში გვაქვს ქართულისგან განსხვავებული ერთეულებიც. მაგ.: მობეზრება **გულის**

ყელში ამოსვლაა; აღტაცება– **გულის ფრენა;** ტკივილი–**გულამდე მისვლა ტკივილისა.** ქართულში გვაქვს **გულზე ქონის მოკვრა, გულის მოწურვა** (შიმშილი) (ფონიავა, 2011: 36-38).

ლაზურში ო. მემიშიშმა აღნუსხა შემდეგი იდიომები: **გული ეჭრელება-** მოუნდება; **გულს ულპობს**– თავს მოაბეზრებს; **გულის გარეთ ჰყავს–** სძულს (მემიშიში, 2015:14).

მიაჩნიათ, რომ **გული** ემოციების ქართულენოვანი სურათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სხვა ენებში ასეთი სურათი არ გვაქვს (ბერიშვილი, 2002:108); (ქაცარავა, აბზიანიძე, 2013:440); (ცეცხლაძე, 2017:38).

არნ. ჩიქობავა წერს: „გული წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად ...მას ეკისრება ფუნქცია, ტვინის, გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს – სიცოცხლის მატარებელი გულია“ (ჩიქობავა, 1938: 66).

გულ’კომპონენტიან ფრაზეოლოგიზმებს ყველაზე ხშირად ვხვდებით ნ. ბარათაშვილ-თან. ესენია: **გულის ჭირი, გულის საიდუმლო, დაბინდული გული, გულის დასერვა, გულში ციური ცეცხლის გზნება და ტრიალი, გულის დანაცრება, გულზე სევდის დასევა//დაფარება//სიცოცხლის ნამის დაცემა//შვების სხივის დაფენა, გულის და სულის საკურთხად დადება, ბნელი გულის გამოდარება, გულის სიცხის გაგრილება და სხვ.**

,,ყელი ყელობს, აღმგზნებელი **გულთა ჭირისა** (ბარათაშვილი,1945: 28);

„და სიყვარული **გულის ჭირთაც** გისიამოვნებთ (იქვე, 2).

გრ. ორბელიანთან დასტურდება **მშვიდი გული, ბნელი გული, გულის ნაცნობი, გულის ნება, ანდამატის გული, გულის მონობა//დაწვა//დამწარება// წუხილი//სიმშვიდე//გამაგრება, //უხვება//დაღრეჯა// შეწუხება//მიზიდვა, გულის სახმილი.**

„სულითა წრფელი, **მშვიდი გულით,** ფიქრით განწმენდილ,

ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად“(ორბელიანი, 1953:83);

შენ შვების შუქით უნათებ ბნელ ჯურღმულს და მის **ბნელ გულსა**“ (ორბელიანი,1953:85).

ბევრი მათგანი **გავრცობილია: გულის სურვილით დათრობა, გულზე გესლით სავსე ისრის ცემა, გულზე ცეცხლის უთოს გასმა** და ა.შ.

ალ. ჭავჭავაძესთან გამოვლინდა შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: **ზღვა გული, მოწყლული გული, შებრყვილული გული, გულის ცეცხლი, გულის მიზიდვა// დაბმა//დაკოდვა, დაწყლულებული გულის განკურნება, გულის ხევა// მონე-**

ბა//დაწყლულება //დატყვევება// დაკოდვა//დადაგვა// ლმობა //შეალვა //შეხორ-ცება, //შეცვლა //მიტაცება//მიძღვნა, გულის ეშხის ლახვარზე წაგება, გულის სანთლად მსხვერპლშეწირვა, გულის სურვილის ალით განლევა და სხვ.

თ. სახოკია აღნიშნავს: „გული ჩვენს ხალხს მიაჩნია ჩვენი ნერვების შესაკ-რებელ ორგანოდ, რომელზეც უშუალოდ მოქმედებს ყველა ფსიქიკური განცდა: **სიყვარული, სიხარული, სიმამაცე, სიძულვილი, მწუხარება, დარდ-ნაღველი“** (სახოკია, 1979:119). ქართველის წარმოდგენით, დადებითი თუ უარყოფითი ემო-ციები ადამიანის გულ-მკერდში გროვდება“ (იქვე, 110).

გული’ ქართულში გამოხატავს უარყოფით-დადებით ემოციათა ასიმეტრიუ-ლობას ენაში. ის ცალსახად არ გამოხატავს დადებით ან უარყოფით განცდებს. ქართულში ,,გულთანაა დაკავშირებული ადამიანის ემოციური და ინტელექ-ტუალური შესაძლობები, ფიზიოლოგი-ური პროცესები“ (ცეცხლაძე, 2018:45).

ბ) სულ’ კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმი უხვადაა ნ. ბარათაშვილის შემოქ-მედებაში: **სული ობოლი, სულის ტვირთი, სულის დაფიქრება//მოლხენა//შეშ-ფოთება// გახარე-ბა//დაკოდვა//დატყვევება; სულზე ცის ნიჭის მობერვა, სულით მშვენიერი, გვამში სულის ვერმოთავსება, სულის მშვიდობის დაკარგვა და სხვ.**

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში გამოვლინდა **სულის განახლება//სულის ფრენა...**

გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში გვხვდება **სულში ჯდომა, სულის აღმაფ-რენა, სულის სიმაღლე//სინათლე/ სულით აღდგენა//დაცემა//განახლება//მაღ-ლობა// განათება, გამაგრება; სულის სხივის დაბნელება.**

გ) თვალ’კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმი მრავლადაა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში: **თვალის სხვაზე დარჩენა, თვალის შესწრება//მოკვრა// მოტყუე-ბა//გახარება, თვალების შურით აღგზნება...**

თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა“(ბარათაშვილი,1945:11); და მას აქეთ **თვალი ვეღარ მოჰვკარ**“(ბარათაშვილი,1945:11);მაშინ **ჩემს თვალებს აღაგზნებს შური**“(იქვე, 31); „ცხენს მოაძოვებს, **თვალს მოატყუებს** (იქვე,57); „რად **დაგრჩომია სხვაზედა თვალი**“(იქვე, 63).

ეს ფრაზეოლოგიზმები ხშირადგვხვდება ქართულ კლასიკურ ძეგლებშიც: ,,რუსუდანი-ანში“ (რუს. 467: 25), სულხან-საბა ორბელიანის ნაწერებში (საბა,11: 1; 421: 4).

მკვლევარი შ. ღლონტი წერს, ,,ნ. ბარათაშვილის პოეტური ძარღვი ძველი ქართული ლიტერატურის სისხლჭარბ არტერიაშია ჩანასკვული. ბევრი ფრაზეო-ლოგიური ერთეული ძველ ქართულ მწერლობაში პოულობს პარალელს. ესენია: **ავი თვალი, ბადრი მთოვარე, ბედის ვარსკვლავი, თვალის დარჩომა, მუხთალი სოფელი, ცრუ სოფელი, მწყემსი კეთილი, საწყაულის აღვსება...**,,უნდა ვიფიქროთ,

რომ ამ ფრაზეოლოგიიდან ბევრი ხალხური წარმოშობისაა და ბევრიც ლიტერატურული გზით ხალხის მეტყველებაშია დაცული“ (ღლონტი, 1970:13).

მეტად ექსპრესიულია პოეტისეული ფრაზეოლოგიზმები:

„მისთ **თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი** მისი ღიმია შვების მომცემი“ (ბარათაშვილი,1945:41)

„და **თვალთა ჩემთა ადავრიშებენ** ხან ნუგეშისთვის, ხან დასაწველად“(იქვე, 31).

დავრიში მოხეტიალე მუსლიმი ბერია;**თვალთა დავრიშება** თვალთა ცეცება, თვალიერებაა.

გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში გვხვდება **თვალებში მობლანდება, თვალთა ეოცნების, თვალს მიმართვა, თვალების სიამით გამოცქერა; თვალთ მიგვეფარება** (ორბელიანი, 1953: 106); **მებლანდების თვალებში** (ორბელიანი, იქვე, 39); **მივმარ-თოთ თვალნი** (იქვე, 90).

საყოველთაოდ გავრცელებულია **თვალის დაბნედა//დაბნელება** (ჭავჭავაძე, 1949:67; 40)**.**

დ) იშვიათად გვხვდება ფრაზეოლოგიზმის კომპონენტად **<u>კისერი:</u>** „ჯაჭვი დამსდვა მონებისა **კისრად ვიღე** და დავდუმდი“(ჭავჭავაძე,1949:95); „მაგ სიმსივ-ნის მორჩენა მე **კისრად ამიღია**“(იქვე, 78).უკანასკნელ მაგალითში გადმოცემულია **თავზე აღების** სემანტიკა.

<u>ვ) ყური</u>-იშვიათია ასევე ფრაზეოლოგიზმები კომპონენტით **ყური**: „ისმინეთ, მსმენნო, ჭირთა მდევნნო **მომიპყართ ყურნი**“(ჭავჭავაძე,1949:73); „ხმითა შენისა სმენითა **ყურნი ატკბობდეს,** ალხი-ნეს“(იქვე, 83).

ზ) ენა შედარებით იშვიათად გვხვდება მოპოვებულ მასალაში. განსაკუთ-რებით საინტერესოა გრიგოლ ორბელიანისეული **გრილი ენა:**

„რა ვჰყო, ენა აშიკისა არ ჰგავს სხვათა **გრილთა ენას**“(ორბელიანი,1953:104).

გვხვდება **ენა არ მომდევს:** მინდა გეჩხუბო, **ენა არ მომდევს** (იქვე).

თ) გონება//ცნობა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ამ კომპონენტს უკავშირ-დება შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: **გონების აღშფოთება, გონების მიპყრობა...**

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში დასტურდება **გონების ტრფობის ალით აღხოცვა, გონების გართვა//მიზიდვა//გამოცვლა// მუხთლობა.**

სამივე რომანტიკოსთან გვხვდება **გონების//ცნობის გამოცვლა/ დაკარგვა,** რომლებიც კლასიკურ ძეგლებში ხშირად გვხვდება: **ეშხისგან გონების გამოცვლა** (ორბელიანი, 1953) **ცნობა გვეკარგა** (იქვე,22)**; ცნობათ დაფანტვა** (ორბელიანი, 1951:9); **განსრჭომია გონება** გიშრის ტევრში მონახეთ“ (ჭავჭავაძე,1949:88); **„ცნობა მელევის** “ (იქვე, 25); **ცნობა გვეკარგა** (ორბელიანი,1951:22).

ი) ხელი ვაი, თუ მასაც უდროდ აჭკნობს **უწყალო ხელი** (ბარათაშვილი, 1945:13); ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი (იქვე, 31).

ამრიგად, სომატურ ფრაზეოლოგიზმთა კომპონენტების მიხედვით შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ყველაზე პროდუქტიულია **გული,** შემდეგ **–სული**, **გონება/ცნობა**; **თვალი, ყური, ენა.**

§ 2. სემანტიკური ანალიზი

მოპოვებული მასალა დავაჯგუფეთ გადმოსაცემი შინაარსის მიხედვით. ყველაზე მსხვილი სემანტიკური ჯგუფი არის **სიყვარული.**

ა) <u>**სიყვარული**</u> ამ უჭკნობ გრძნობას სამივე რომანტიკოსი ძირითადად **გულ'**კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმებით გადმოგვცემს. გრ. ორბელიანისთვის სიყვარული არის **გულის ხელმწიფება ან გულის მონობა, სულის და გულის ეშხის მახით დაბმა, გულში სახმილის აგზნება, გულზე ცეცხლის უთოს მოსმა, ეშხის ცეცხლით გულისა კვდომა, გულის სურვილით თრობა.** პოემა ,,სადღეგრძელოში" ვკითხულობთ:

„განგვშორდნენ **გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ** (ორბელიანი, 1953:15)

„გული ხელმწიფებს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის,

და **გული მონად შექმნილი** გონებაც შენდა მოფჰფრინვის"(ორბელიანი, 1951: 10)

მუნ **სული ჩემი და გული ეშხის მახითა დაებნენ**" (იქვე, 22)

,,როს გხედავ **გულსა სახმილსა** მდუმარედ მყოფსა **ამიგზნებ**"(იქვე, 10)

და ცის ალით-ეშხით არ ჰყოფს გულ-დამწვარად" (იქვე, 49)

ინდივიდუალურ-საავტოროა ასევე

,,მარამ რაყიფი ვმზერ შენთან, როს მწვენ, **გულის მისმენ ცეცხლის უთოს**" (იქვე, 43)

„ტრფობისა ცეცხლი გულის არ განმიქრო **გული სურვილით მარად დამითრო"** (იქვე, 33).

ალ. ჭავჭავაძისთვის სიყვარული არის **გულის მიზიდვა, გულის დაბმა, გულის დაკოდვა, გულის სურვილის ალით განლევა, გულის ნების ხელთ ქონება, გულის ეშხის ლახვარზე აგება, სატრფოსთვის გულის სანთლად მსხვერპლება**.

„მიმტაცა ცნება სრული, მით **მიიზიდა გული"** (ჭავჭავაძე,1949:103)„აქ აღარა ვარ, მან **მიმტაცა გული**"(იქვე, 29); „ვაჰ, შენგან წყლულსა **დაკოდილს გულსა**" (იქვე, 1949:47)**;** „ვაქებ თავსა თმა მდიდარსა,რომელსა,გლახ,**უბამს გული**" (იქვე, 40); „აჰა, **გული იძღვენ** მონად სხვათა თვისცა დასაღონად"(იქვე:83)**;„ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,** იგემეთ სიტკბო სიყვარულისა"(იქვე, 8)**;** „მარა, ჰე, **გული, განლეული სურვილის ალით!**"(იქვე, 72); **„გული ეშხზე წარეგო, მის ლახვარზედ**

წარეგო“(იქვე, 17) „ჰსწყურს გულს მის მზისა ხლება **ვისგანც გონება ბნდება“** (იქვე, 29); **„გული შენ სანთლად გიმსხვერპლე,** მაშინ ჰქრეს, როცა დადნება“ (იქვე, 1949:101).

ნ. ბარათაშვილი სიყვარულს უყურებს, როგორც **გულის მოკვლას, გულში ტრფიალე-ბის ციური ცეცხლის გზნებას, სატრფოს გულისთვის სხივად მოფენას**

დაიტანჯების მარად მიჯნური თუ მას ნამდვილად **ეგზნების გულსა, ტრია-ლებსა ცეცხლი ციური“** (ბარათაშვილი,1945:44).

ინდივიდუალურ-საავტორო ფრაზეოლოგიზმია **გულს ესხივმფენარე:** „პირ-მცინარითა სინარნარითა მგოსნის ყარიბს **გულს ესხივმფენარე**“(იქვე:17).

იგივე სემანტიკა გადმოიცემა **სულ** კომპონენტითაც:

„რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა და აღგვამაღლებს ამ სოფლით **სულისა აღმაფრენითა“** (ორბელიანი, 1953:58)

„გინდ მეძინოს, მაინც **სულში მიზიხარ**“(იქვე:65)

„სულისა ჩემის სადგურად არის თვალნი შენნი ცეცხლებრნი“(იქვე:33)

„მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება,

რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით **სული გვინათლდება!**“(იქვე:102)

,,მუნ **სული ჩემი და გული ეშხის მახითა დაებნენ“**(იქვე:22)

„შორის მჭვრეტელ მოსწრაფე **სული შენკენ მფრინვალებს**“ (ჭავჭავაძე, 1949:104)

„მუნ უკვდავების შარბათი ვინ სვის? **ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს**“ (ბარათაშვილი, 1945:18)

სიყვარულის გრძნობა კალსიკური ძეგლების მიხედვით გაიგება, როგორც სატრფოსთვის გულის მიცემა, გულის დაჭრა, გულზე ცეცხლის მოდება, გულის დაბმა// დატყვევება//შეპყრობა (ცეცხლაძე,2017: 228-229).

<u>**ბ) ლხენა, სიხარულის**</u> განცდა რომანტიკოსებთან კვლავაც **გულ** კომპონენ-ტიანი ფრაზეოლოგიზმებით გადმოიცემა:

„განცხრომა გულის, შეშლა ჟამის, ღალატი ბედის“(ჭავჭავაძე,1949:84)

„ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა, **მალხინებელ დაბინდულის გულისა“** (ბარათაშვილი, 1945:15).

შენგან **ბნელი გული გამომიდარე**“(იქვე, 15);

ნუ თუ შენ **ჰფინო შვების სხივი ჩემს გულსა კვალად**“ (იქვე, 23)

ნ. ბარათაშვილისთვის ტკბილი სიმღერით მიღებული სიამოვნება **სულის ლხენაა:**

„მით მშვენიერით, ტკბილის სიმღერით ჰაეროვანო, **სულს ელხინები“** (ბარა-თაშვილი,1945:17)

„ხმა საკრავისა, ნელ ნარნარისა **სულს განახარებს“** (იქვე:27).

„გულისა სურვილთ დაცხრომას რომ არ სრულებით გვაცლიან? (ორბელიანი, 1951:23)

სიხარული სომატური ფრაზეოლოგიზმებით ყველაზე ხშირად გადმოიცემა გრ. ორბელიანთან: **გულის განათება, შექცევით გულის აგზნება, გულის ჭირთა განდევნა, გულში ლხინის წვევა**

როს **გულს მინათდი** მშვენების სხივით“(ორბელიანი, 1953:61)

ლხინით, შექცევით **გულნი აღვიგზნე გულის ჭირთ მდევნო** ნიჭო ციერო“(იქვე89)

კვალად **ლხინი გულს მეწვევის**“(ორბელიანი, 1951:13)

შვება, მოსვენება **გულისა სიცხის გაგრილებაა**

„შენის შერხევით, სიო-მობერვით **გულისა სიცხეს განიგრილებდეს**“ (ბარათაშვილი, 1945:18)

გ) მოთმენა, თავის შეკავება გულის გაძლებაა:

ქართველსა **გულმან როგორ გაუძლოს,** ოდეს შვენება თქვენი იხილოს“ (ბარათაშვილი, 51,22)

„მერე კულა ვეღარ **გაუძლო გულმან** (ვისრ.247: 16); **„გული ვერ გასძლებს** ნიადაგ შავთა წამწამთა სობასა (რუსთ. 1075: 3); „ყაისსა **გულმან არ გაუძლო“**(რუს. 394: 115);**გულმან ვითმცა გაუძლესა** (შვ.მთ. 463: 3); **„გული ვერ გასძლებს** ქვაქმნილი შენის გაყრასა ლევასა“ (თ.1.13,87,2)

დ) სიკვდილის სემანტიკა გადმოიცემა საყოველთაოდ გავრცელებული ფრაზეოლოგიზმებით:

„და მაშინ, ოდეს **საუკუნოდ მივლულო თვალნი**

მშობლიურ **მიწა** ხელთა შენთა **გულს დამაყარონ“** (ორბელიანი,1951:48)

„მიდიხარ სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურხევა

ცად მიმართ შენთვის მექნება ვიდრემდის **სული მელევა**“(იქვე, 58)

„როგორ არაფერია, ლამის **სული ამომძვრეს“** (ჭავჭავაძე,1949:78)

სიცოცხლის სემანტიკას ასახავს:დარღა მეცემის დილით **გულს სიცოცხლის ნამი**“(ბარათაშვილი,1945:29)

„აქაც გეაჯ, **მიბრუნო სული,** ვის ტრფიალებით ფერი მკრთომია“ (ჭავჭავაძე, 1949:70)

ე) ნუგეში, გამხნევება **გულის განკურნებაა და გულის გამაგრებაა:**

,,შენ, მხოლოდ ნუგეშო, შენ **ჰკურნე გული** წყლული“(იქვე:93).

„ვიგონებთ შენს დროს, **გული გვიმაგროს**“(იქვე 76).

ამავე მნიშვნელობით გრ. ორბელიანთან გვაქვს **სულის გამაგრებაც:**

„სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშცემისა “(იქვე:81).

ვ) პატრიოტიზმიც გულს უკავშირდება:

და სიყვარულის მისდამი ვხარობდეთ **გულსა აღგზნებით**“(იქვე: 100)

„შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის **გული ანდამატისა** (იქვე:100)

„დავნატრი დროთა, როს აქვნდათ **ტრფობა** მამულისადმი **გულს აღბეჭდილად“** (იქვე:15)

ზ) ზნეობრივი სიწმინდე. თუ ზნედაცემულობა_სულით დაცემაა, **სპეტაკი,** ზნეობრივად წმინდა **სულით ნათელია, ან სულით მაღალია; გასპეტაკება** არის **სულით აღდგენა, სულით განახლება, სულის ამაღლება**

„მეფისა დროშით სად მიხვალ, ჰე ლევან, **სულით ნათელო?** (ორბელიანი, 1953):

სულის სიმაღლეს გვიმტკიცებს ზეცად დიდებით აღმსვლელი“(იქვე:93)

„ვჰსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა **სულის მაღლობას**“(იქვე:101)

„მოყვასს-შეწევნა, ბოროტსა-დევნა, საზოგადობის **სულით აღდგენა**“ (იქვე: 71)

„რომ განვიღვიძნეთ,**სულით განვახლდეთ** და განქრეს ბნელი უმეცრებისა“ (იქვე:77)

„სულს მიახლებდა სახე შენი ტრფობის მაჩვენე“(ჭავჭავაძე, 1949:39).

თ) წუხილი//დარდი მდიდარი სემანტიკური ჯგუფია. ქართველ რომანტიკოსებ-თან კვლავაც დომინირებს **გულ’** კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები. ნ. ბარათაშვილთან გვაქვს: **გულში დარდების აშლა, გულის მოკვდომა, გულის მოკვლა, გულის დაწვა...**

„გულს აუშალეს დარდები ბატონს“(ბარათაშვილი,1949: 60)**;** ნახა ვარდი ფურცვნილი და მყის **მოუკვდა გული**“(იქვე,3); **„გულსა მოკლულსა** კაცთ სიავით და **გულსა დავიწვავ** ბედის ბრუნვით“ (იქვე, 26); **დასანაცრებელს**“(იქვე, 41); **გესლით სავსე** აწ **გულს ისარი მეცა**“ (ორბელიანი, 1951:40).

ამავე სემანტიკის **სულ’ კომპონენტიანი** ფრაზეოლოგიზმებია: **სული ბოროტი, სულის მშვიდობის დაკარგვა:**

„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად (ბარათაშვილი, 1945:40)

,,მას აქეთ არის **დავუკარგე მშვიდობა სულსა**“(იქვე:40)

„მარქვი, რა უყავ სად **წარმიღე სულის მშვიდობა?** (იქვე:40)

და მიჯნურსაცა **სულს შეუშფოთებს“** (იქვე:54)

„მეფის აზრთაგან **სულით ღელვილი**ზრახვიდა გულში მამულის შვილი“ (იქვე:61)

ყველაზე საინტერესოა **სულის გვამში ვერმოთავსება**

„მაგრამ მე **გვამში სული ვერღა მომთავსებია**“(ბარათაშვილი,1945:16).

სიდუხჭირე გრიგოლ ორბელიანისთვის სულის სხივის დაბნელებაა:

„როგორ ახდენს სიღარიბე კაცის გულს და **აბნელებს სულის სხივსა,** გონებას?“ (ორბ, 1953:82).

ალ. ჭავჭავაძესთან გვხვდება **გულთა ხევა, გულის ცეცხლის განცდა, გულის შებრყვილება, გულის მოწყვლა**

მაშ, მოდი, **გულთა ხევით** მარიხო, მაგდე სენად“(ჭავჭავაძე,1949:13)

„გახსოვს ოდეს მე **გულის ცეცხლის** განმცდელი ახლად“(იქვე, 84),

„შებრყვილულს გულს ცრემლით ვბანთ წყლულსა“(იქვე,27)

„მისმინეთ, ვის მაქვს ჭმუნვა და თმობა,**ურვისგან გულ-შეპყრობილს**“ (იქვე:37).

„უწყალო სენმან, ყოვლთ-მაწყენმან **გვიკოდა გულნი“**(იქვე:18)“

„მიმტაცნა ჭირნი გულის მლევნი ძნელ საგონენი (იქვე, 40)

„ეჰა, მნათობთა, ტფილისს მყოფთა **გულნი ლმებიან**“(იქვე, 19)

,,რომელთ მსმენელთ **გულნი არ შემეალა**“(იქვე, 63)

„გული მიწყლეს, გრძნობანიც სრულიად მათკენ ჰრბიან“(იქვე, 21)

„გლახ, **მოწყლულ** მაქვს **გული** წყვდიადსა ბმითა“(იქვე, 44).

გულის მოწყლვა, დაწყლულება ნ. ბარათაშვილთანაც გვხვდება და სხვა ქართულ კლასიკურ ძეგლებშიცაა:,,თვალს არონინებ, **გულს დააწყლულებ** და ღიმილითა ესალბუნები! (ბარათაშვილი, 14: 5) **„ჩემი გული დაგიწყლულებია** ეგზომითა მუდარითა (ვისრ. 80,13-14); „მოყვარემან ვარდის კონა **გულსა მკრა და დამიწყლულა** (რუსთ. 852:1); **„გული ჩემი დამიწყლულე** (არჩ. 1,195; 500: 4).

გრ. ორბელიანთან დასტურდება **გულის ჭირი, გულის მკვეთრი ისრით გაპობა; გულის დამწარება, გულის დაღრეჯა, გულის წუხილი, გულის ურვიგან შეპყრობა, გულის დაწყლულება, გულზე სევდის გადაფარება:**

„მხოლოდ ჩემს **გულს დამწარებულს** ხმა ბულბულის აღარ ატკბობს“ (ორ-ბელიანი,1953:18)

„ჩემს უყვარს **გულს დაღრეჯილს,** ცა მოღრუბლული რისხვითა“ (იქვე, 18)**;**

„გულს ეწუხების, რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა“(იქვე,17);

„გულს მიკლავს უიმედობა საფლავს ჩავდივარ სიმწარით“(ორბელიანი, 1951:86).

წარსულზე გლოვა და დარდი **სულ** კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმით გადმოიცემა:

წარსულთა დროთა მოგონებითა **სულს აფიქრებენ!“** (ბარათაშვილი, 1945:14).

ფიქრი სულის თვისება არაა, მაგრამ ნ. ბარათაშვილთან გვხვდება და თანაც წარსულ დროთა მოგონებებს უკავშირდება.

ი) სევდა, განპირობებული როგორც ზოგადსაკაცობრიო, ისე ქართული მოვლენებით, რომანტიკოსებთან ძირითადად გადმოიცემა **გულ’** კომპონენტიანი

ფრაზეოლოგიზმებით: ეს სევდა მეტისმეტად მტკივნეულია და **ისრის ცემას, ისრით გულის დასერვას** უკავშირდება: **გულზე ისრის ცემა, გულის სევდის ისრით დასერვა, გულის მიყრუებული ჭირის ატეხა, გულის საიდუმლოს მხოლოდ ვარსკვლავთათვის ცნობება, უიმედობით გულის მოკვლა.**

„**სევდის ისარი მაწვია,** მან **გული ჩემი ასერა**“ (ბარათაშვილი, 1945:108); „ვსთვლი მოწყინებით ჟამთ მჭმუნვარების და **სევდა,** გლახ, **გულს დამეფარება**“ (იქვე, 48); **ჩემს გულს სევდა ესია**“ (იქვე, 107); „კვლავ **აღმიტეხო გულის ჭირნი მიყრუებულნი** (იქვე, 23); „და მშვენიერის ენა **ამიშლის გულისა ჭირებს**“(იქვე, 27)

მარტოობა სულით ობლობაა, სიყვარული და ერთგულება - **გულის და სულის სხვისთვის საკურთხად დადება** (ბარათაშვილი,1945:26).

კ) სხვა სემანტიკური ჯგუფები

შეთვისება//შეჩვევა ასე გადმოიცემა:

„არ **მითვისებდა ქართველთა გული**“(ბარათაშვილი, 1945:57)

„შეეთვისა სული შენსა მოღრუბლვას“(იქვე:15)

თანაგრძნობა; საიდუმლოს გაგება

„.. ჰსჯობს ჩემ **გულში ჩახედო**, წაიკითხო სიმწარისა ამბები“ (ორბელიანი, 1953:79)

„ვაჰ, ავეტიქ, ნეტავი ჩემს **გულში ჩაგახედა**“(ჭავჭავაძე, 1949:78)

„აწც ჩემს **სულის ტვირთს**, ჩემს გულის წადილს

შენ გაგიმჟღავნებ, ვით საყვარელს შვილს“(ბარათაშვილი,1945:57).

კარგად დახსომება **გულზე მტკიცედ დაჩნევაა**

„ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ **გულზედ მაქვს დაჩნეული**“(იქვე:6)

მტკიცე ერთგულებაც **სულიანი და გულიანი** ფრაზეოლოგიზმებით გადმოიცემა

„პყრობილს ერთგულება **გულს შემეხორცა**“(ჭავჭავაძე,1949:64)

„სულსა გაძლევ სუნის წილ ოღონდ გული კინამო“(იქვე:88).

სომატური ფრაზეოლოგიზმებით ყველაზე ხშირად უარყოფითი განცდები და ემოციები გამოიხატება.

წარმოდგენის შეცვლა, შეძულება მრწამსის გამოცვლა ასე გადმოიცემა:

იქნება ამან **აჰყარა გული** ბატონს ქართლზედა შეორგული? (ბარათაშვილი, 1949:61)

„მსაჯულს ეგონა, რომე იგი **გულს, დედაკაცთაგან ჰპოვებს ცვალებულს**“ (იქვე, 63)

„ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ **გარდაუცვალა მათ გული ცხოველ**“ (იქვე, 63)

„აწ არც კი მიცნობ, **გულით იცვალე**“ (იქვემ 62);

„ნუთუ **გული შეგეცვალა როგორმე**?“ (ჭავჭავაძე, 1949:29).

საინტერესოა გრ. ორბელიანისეული **ენა// გული არ მომდევს**

„მინდა დაგწყევლო- ენა არ მომდევს, ვფიქრობ, გეჩხუბო- **გული არ მომდევს** (ორბ. 1953:84).

შური, მტრობაც გულ-იანი ფრაზეოლოგიზმით გადმოიცემა: „აქაც უღრღ-ნიათ **შურსა, მტრობას გულები ხარბად**“ (ჭავჭავაძე,1949:98).

ამრიგად, სომატურ ფრაზეოლოგიზმთა ანალიზმა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში გვიჩვენა რომ ყველაზე პროდუქტიული კომპონენტია **გული**’, შემდეგ მოდის **სული, თვალი** და ა.შ.

დადებით ემოციათაგან **გულს** უკავშირდება: **სიყვარული, სიხარული, მოწო-ნება, ნუგეში...** უარყოფით ემოციათაგან - **მწუხარება,დარდი, ძლიერი განცდა, იმედგაცრუება, სიძულვილი.** მასვე უკავშირდება ინტელექტუალური პროცესე-ბიც: **მრწამსი, შთაგონება, დამახსოვრება, მონდომება** ასევე მორალური საკითხები.

ქართველი რომანტიკოსები ქმნიან საინტერესო სომატურ ფრაზეოლოგიზ-მებს: **გულსა ესხიმვფინარე, თვალთა ადავრიშებენ, გვამში სული ვარ თავსდება, სულის ტვირთი,სულით ობოლი** (ნ. ბარათაშვილი); **სულის გამაგრება, გრილი ენა, სულში ჯდომა, დაღრეჯილი გული; გულზე ცეცხლის უთოს გასმა** (გრ. ორბე-ლიანი).

სიყვარულის გაგება ქართველმა რომანტიკოსებმა ერთობ გაამრავალფეროვ-ნეს: გულის **მიზიდვის, ბმის, დატყვევების, დაჭრის, დაწვის** სემანტიკას დაემატა **თრობაც.** განსაკუთრებით თავისებურია სევდის გამოხატვა: ის ჭრას, დასერვას არ უნდა უკავშირდებოდეს, ქართველ რომანტიკოსებთან კი ეს ნიშანდობლივია.

ნ. ბარათაშვილისა და ალ. ჭავჭავაძისთვის სიყვარულის ცნების გაგებაში წინა პლანზეა წამოწეული შეწირვის სემანტიკა: **სულის და გულის საკურთხად დადება** (ნ. ბარათაშვილი); **გულის სანთლად მსხვერპლშეწირვა** (ალ.ჭავჭავაძე). გრ. ორბელიანისთვის სიყვარული **სადგური ან სამოთხეა.**

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიშვილი ე., ფრაზეოლოგიზმთა ერთი ნაწილისათვის ქართული სახარების ორი ძველი რედაქციის მიხედვით, ენათმეცნიერების საკითხები, 2 (14). თბილისი. 2002;

მემიშიში ო., ლაზური ანდაზები და იდიომები. 2015;

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, გამომცემლობა ,,მერანი,“ თბი-ლისი.1991;

სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. გამომცემლობა ,,მერანი,“ თბილისი. 1979;

ფონიავა ნ., გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები მეგრულ-ლაზურში XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი. 2011;

ქაცარავა მ., აბზიანიძე ლ., ფრაზეოლოგიზმები სიტყვით **გული** ქართულსა და რუსულ ენებში. ჟურნალი,, ენა და კულტურა" II. 2013;

ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი. 1938;

ცეცხლაძე ნ., გულ' კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შრომები II. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა. თბილისი.2017;

ცეცხლაძე ნ., ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, გამომცემლობა ,,ივერიონი" . თბილისი. 2018;

ღლონტი შ. ენისა და პოეტიკის საკითხები. თბილისი. 1970

abstract

The work deals with phraseology in the works of Georgian romanticists.Our aim is to identify Poets: Alexadre Tchavchavadze, Nikoloz Baratashvili, Grigol Orbeliani how and where are the words used, what is their origin, which is individual-copyright and which is classical. They are biblical, folk or foreign languages.

The extracted material is grouped according to components and semantic nests. We are also interested in what Georgian Metaphysics have shown in the general picture of the metaphorical thinking and the expression of individual concepts. The above mentioned work will be useful in systematic study of phraseology in Georgian.

Structural analysis shows which word-article or concept is the most common and which is rare. Which creator gives preference to what the component is and what it should be due to is the peculiarity of the general-Georgian phraseology or any other creator. The semantics are grouping the material gained by the group, how the individual concept of the Georgian Romanticists is expressed, what semantic nuances are revealed and how it is enriched in classical monuments of love, joy, sadness, etc.

The work consists of the introduction, the main part and the conclusions that accompany the list of used literature.

ოკაზიონალიზმების ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში

რომანაძე თებრონე

ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგია, კურსი.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ცეცხლაძე,

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომი ეხება ოკაზიონალიზმების შესწავლას ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. ოკაზიონალიზმები ენის ლექსიკური ფონდის ყველაზე დინამიკური ნაწილია, წარმოიქმნება სპონტანურად, მას გამიზნულად ქმნიან მწერლები და პოეტები, ხატოვნების ამაღლებისა და ექსპრესიულობის გაზრდისათვის. მხატვრული დისკურსის შემსწავლელისთვის ოკაზიონალიზმები ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა, დაინახოს ავტორის შემოქმედებითი პოტენციალი. შესაძლებელია ეს სიტყვები ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების საშუალებადაც იქცეს. ოკაზიონალიზმთა შესწავლა განსაკუთრებით დღესდღეობით მეტად აქტუალურია.

ჩვენი კვლევის საგანია ოკაზიონალიზმთა შესწავლა ქართველ რომანტიკოსთა (ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი). ისინი, მართალია, წარსულს აიდეალებდნენ, მაგრამ ინოვაციებსაც ფართოდ უღებდნენ კარს.

ნაშრომში გაანალიზებულია ოკაზიონალიზმების ტიპები, სიხშირე რომელ ცალკეულ პოეტთან მათი განმაპირობებელი ფაქტორები (რითმა, მარცვალთ რაოდენობა, ორივე ფაქტორი ერთდროულად). შიდა კლასიფიკაცია ემყარება მეტყველების ნაწილებს. ყურადღება ექცევა იმასაც, ოკაზიური ფორმები რამდენად არის ხელოვნური და ამძიმებს თუ არა ისინი ამა თუ იმ პოეტის სტილს. აქვე გამოიკვეთება ცალკეული პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალურობა.

ნაშრომში განხილულია სოციოლინგვისტური კვლევის საფუძველზე და შესწავლილია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედება ამ კუთხით.

საბაკალავრო ნაშრომის ემპირიული მასალა საყურადღებო და მნიშვნელოვანია, ის გამოდგება თანამედროვე ქართულში სოციალურ ქსელებსა და ზეპირ მეტყველებაში თავჩენილ ოკაზიურ ფორმებთან შესადარებლადაც.

ოკაზიონალიზმები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში

ენის ლექსიკური ფონდი მუდამ იცვლება: გადის ძველი სიტყვები და შემოდის ნეოლოგიზმები. ,,თუ ნეოლოგიზმი ენაში დამკვიდრდა, ზოგადსახალხოა, თუ იგი შეიქმნა რაიმე შემთხვევის გამო, კონკრეტული კონტექსტისთვის, მას **ოკაზიონალური** ეწოდება (ლათ. casus- შემთხვევა). სიტყვა ოკაზიონალიზმი შემთხვევითს ნიშნავს. ,,ზოგჯერ ოკაზიონალიზმებს ბავშვები ქმნიან: ამოყლაპე, ამომიყიდე (მიყიდე და ამომიტანე). ამ უკანასკნელთ საყოფაცხოვრებო ოკაზიონალიზმები ეწოდება. ისინი არსად ფიქსირდება, პოეტურ-ინდივიდუალური კი მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებაა" (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014: 117).

,,ოკაზიონალიზმები ენის ლექსიკური ფონდის ყველაზე დინამიკური ნაწილია. ისინი წარმოიქმნება სპონტანურად, ხარვეზის შესავსებად. მას გამიზნულად ქმნიან მწერლები და პოეტები ხატოვნების ამაღლების, ემოციურობის გაზრდის, მაქსიმალური სიზუსტის მიღწევის და სუბიექტური აზრის გამოხატვის მიზნით" (ნიკოლაძე, 2014:3).

ოკაზიონალიზმის წარმოშობის საფუძველი ლიცენციაა (ლათ. licentia - ნებართვა) პოეტური, მხატვრული ხერხი, როდესაც მკაფიო პოეტური გამომსახველობის მიზნით ირღვევა ლოგიკურ-აზრობრივი, გრამატიკული ან სტილისტიკური ნორმა.

ოკაზიონალიზმთა მოხმარების არე დღითიდღე ფართოვდება. ,,წერილობითი ფორმით ისინი ადრე მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურაში გამოიყენებოდა, დღესდღეობით ენობრივი ინოვაცია თანამედროვე ცხოვრების მრავალ სფეროში გვხვდება. ისინი დღეს შეისწავლიან ოკაზიონალიზმთა გამოვლენას არა მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ სხვა სფეროებშიც" (დუმბაძე, 2017: 4).

მხატვრული დისკურსის შემსწავლელისთვის ოკაზიონალიზმები ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა, დაინახოს ავტორის შემოქმედებითი პოტენციალი. მათი შესწავლა განსაკუთრებით ამ ბოლო დროს გახდა აქტუალური.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ,,ქართველ რომანტიკოსებთან ახალი ქართული ენის მორფოლოგიისთვის შეუფერებელი არაერთი ფორმა მოდური იყო. გარდა ამისა, არქაისტებისთვის მისაბაძი იყო იოანე პეტრიწის სტილი, რამაც დაამძიმა ენა და ის ვეღარ ასახავდა ბუნებრივ განვითარებას. საჭირო გახდა **დიდი შემობრუნება,** რათა სალიტერატურო ენა დემოკრატიზაციის გზას დასდგომოდა" (ძიძიგური, 1974:75).

ჩვენი მიზანია ოკაზიონალიზმთა შესწავლა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. კერძოდ, გამოვკვეთოთ, რა ტიპის ოკაზიონალიზმებს ვხვდებით,

რით არის განპირობებული ასეთ ფორმათა გაჩენა, რითმით, მარცვალთრაოდენობით, თუ ორივე ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს. ვიკვლევთ ასევე, ოკაზიური ფორმები რამდენად არის ხელოვნური და ამძიმებს თუ არა ისინი ამა თუ იმ პოეტის სტილს. აქვე გამოიკვეთება ცალკეული პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალურობა.

§. 1. რითმის გამო შექმნილი ოკაზიონალიზმები

ქართველ რომანტიკოსებთან ოკაზიონალიზმების წარმოქმნა ძირითადად რითმითაა განპირობებული. აქედან კი ყველაზე ხშირია გარეგანი რითმა.

1.1. გარეგანი რითმა არის ლექსის სტრიქონების ერთნაირი დაბოლოება.

ა) **მიმღეობები.** როგორც განხილული მასალიდან ჩანს, ოკაზიურად ქართველ რომანტიკოსებთან ხშირად გამოიყენება მიმღეობები. მიმღეობა **მტკინავი** ქართულში არ გვხვდება, გვაქვს **მტკივნეული.** ეს ფორმა განპირობებულია რითმით: <u>მსტვი**ნავი**, მღინავი, მკო**ნავი**!"</u>

,,ბულბული, ვარდზედ მჯდარი, ეტყოდა მას <u>მსტვი**ნავი**</u>

ვარდო, ვარო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით **მტკინავი,**

მაღირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი <u>მღინავი,</u>

მწუხრსა აქეთ აქ ვზივარ, ფურცელზედა <u>მკო**ნავი**!"</u> (ბარათაშვილი,1945:3).

ნავარდ' ფუძისგან ქართულში იწარმოება **მონავარდე** და **მონავარდებულ** მიმღეობები. **მოსანავარდო** იშვიათი ფორმაა, მისი განმაპირობებელი აქაც რითმაა: **მოსანავარდო- ვარდო**

,,სულის ყვავილო, გულისა <u>ვარდო,</u>

შვების წალკოტო **მოსანავარდო"** (ჭავჭავაძე,1940:103).

რითმითაა გამოწვეული ფორმა **განმათენიც.** ის ერითმება მიმღეობებს: **<u>მაჩვენი/ აღმონაცენი. თენ</u>** ძირისგან მიმღეობა ქართულში მხოლოდ **მა-ელ** პრეფიქს-სუფიქსით იწარმოება.

,,ლულვილთა თვალთა განახვემდა დანახვა შენი

მის გამო მაქვნდა სიყვარული <u>აღმონაცენი,</u>

გულსა მომთენდა სხივ მრავალსა დღის **განმათენი,**

სულს მიახლებდა სახე შენი ტრფობის <u>**მაჩვენი**</u> (ჭავჭავაძე,1940:36).

მომდევნო სტროფში გვაქვს ეს ფორმა საწყისებს ერითმება: **განმათენით' და ბრწყენით/მოფენით/ ჩენით**:

,,როს ცისკარით გამოსული, მზე პირითა **განმათენით,**

ხელოვნებით შენამკობსა განგაშვენებს სხივთ <u>მოფენით,</u>

სარკმელთაგან ცეცხლთ ისარნი გამოგკრთიან ალთა <u>ჩენით,</u>

ხვდებიან წყალსა განუქრობლად,

უფსკრულამდე შთავლენ ბრწყენით“ (ჭავჭავაძე,1940: 16).
,,ჰე, პალატო! ვინ მონარხმან, დიდებისა მოყვარემან,
საუნჯეთა დაუზოგმან, სიძნელეთა ვერცხლით მრემან,
დიდ შემძლეთა განსაკვიროდ ქმნად საქმისა **მომწადემან,**
ქვეყნით გამო აღმოგზარდა, ველათ მდელო ვითა მზემან?“
(ჭავჭავაძე,1940: 16).
მომწადე (შრ. წადიერი ძვ. მოწადინებული) გაერითმა **მოყვარესა’ და მრეს.’**
ან კიდევ: **ასაჩემით/** გრემით, საგვემით, ცემით
,,გიორგის ყმა გაბრიელ ვარ, გულგულისკენ მივალ გრემით,
გორგოშისა მშვილდი მშვენის, გრკლის ისრით მტერთ საგვემით
გუგული ჰსტირის ყურთსაწყენად ხმითა თვისით **ასაჩემით.**
გულს განუხვრეტ და განვჰსდევნი, მუნით მისთა ჭირთა ცემით“
(ჭავჭავაძე,1949:56).
რითმის გამოა შექმნილი **სავამოდ-სალმოდ**
,,ვარდთა სატრფოთა, სატრფოთა!
უმანკოთა ჩემთა მყოფთა **სავამოდ,**
ეჰა, მკვნესარეს **სალმოდ** (ჭავჭავაძე,1940:121).

ფრინვად ვიტყვი, მაგრამ მასთან კლვანი მძაფრნი **მოსასრვია,**
უხილავად განვლის სივრცეთ და სიცოცხლე მოსძარცვია!“ (ჭავჭავაძე, 1940:58).
,,ბედნიერნო ჭაბუკნო, თუ გწადსთ მრთლად დაცვა გულითა,
ეკრძალენით ვარდთ ზამბახთ, საროზედ **აღზარდულთა!**
თვარა თვალთავა თქვენთა, მათ მიერ მიზიდულთა,
ძალუძსთ მონად ქმნა თქვენი ვითა ტყვედ მოსყიდულთა (ჭავჭავაძე, 1940:19).
დამქროლა ქარმან სასტიკმან,
თან წარმიტანა ყვავილი,
მაცხოვლებელი სიცოცხლის,
სუნნელებითა აღვსილი.
იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო **ნამილი**
(ნ. ბარათაშვილი)
ნამილი- აღვსილი, ყვავილი
აღზარდულთა (შდრ.: აღზრდილთა) გაერითმა სიტყვებს: გულითა, მიზიდულთა, მოსყიდულთა...
,,ეჰა, ვითარმან **დაუხვალამან** დამქროლა ქარმან,
შემგესლა ჩქარმან შეუწყალმან სახე საზარმან,

ვაჰ, სუსტსა და სხვა“ (ჭავჭავაძე,1940:47)

დაუხვალამან- ქარმან, საზარმან

ბ) ზმნები

ქართველ რომანტიკოსებთან ბევრია ოკაზიური ზმნური ფორმა. მათგან ზოგი ნასახელარია, ზოგი მიმღეობისგანაა წარმოქმნილი, ზოგი კიდევ გვარის უჩვეულო ფორმაა.

გამომედარე- <u>გამომიდარე,</u> **გარმოისარე-** <u>მომაყარე</u>- **რითმა.**

,,მოციმციმდი, მოდი, **გამომედარე**

შენგან ბნელი გული <u>გამომიდარე,</u>

კვლავ ციური ცეცხლი **გარმოისარე,**

ნაბერწკალნი ეშხისა <u>მომაყარე</u>“ (ბარათაშვილი,1945:15)

ვარდსა და ბულბულსcუ **მოელხინარე**,

პირმცინარითა. სინარნარითა. მგოსნის ყარიბს გულს **ესხივმფენარე!**

(ბარათაშვილი,1945:15)

აქ ორი ოკაზიური ზმნა ერითმება ერთმანეთს.

,,ხმით მშვენიერით, ტკბილის სიმღერით,

ჰაეროვანო, სულს **ელხინები,**

თვალთ არონინებ, გულს დააწყლულებ

და ღიმილითა **ესალბუნები“** (ბარათაშვილი,1945:17)

ელხინები- ესალბუნები

,,ვერა გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა.

რა გინდ ძლიერად,მეცნიერად, ვინ ხელმწიფებდეს,

მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ **ჩემოდნობდეს,**

თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს (ბარათაშვილი,1945:16)

ჩემოდნობდეს- ხელმწიფებდეს, მყვანდეს.

,,ხილვა შენი თვალთა ჩემთა **ედასტაქროს, ეწამლოდეს,**

ტკბილი სიტყვა სასმენელთა ვით კოდილსა **ემალმოდეს.**

ოხრვად გუნდთა ამაღლება ჩაგრულ გულსა **ეალმოდეს,**

მართლ მერწმუნე სიწრფოებით და უთნოდ არს ზემოთქმული“

(ჭავჭავაძე,1940:37)

ედასტაქროს, ემალმოდეს-ეალმოდეს, ეწამლოდეს ნასახელარი ზმნებია.

ნასახელარი ზმნა **ესამარე** ერითმება სიტყვებს: <u>**გარე, ცადმდებარე, მომდინარე**</u>

,,თლილთა ქვათა ზღუდეთ შორის

წყალი წმინდა <u>მომდინარე,</u>

ვითა კრძალვით მონამდოვრი,

ოთხით კერძო განვლო გარე;
გნგაბრწყინვა მორჭმულებით,
აღგამაღლა ცადმდებარე,
განგიზრახდა ქვეყნის საყდრად
და შენ მას გლახ **ესამარე**“ (ჭავჭავაძე,1940:16).
„ნოე თავს ვჰსწირ ნაზარეველს, ვიტყვი ცხადად, არ **თავვმალობ**
ნებროთისა განსაშორად ნაზარეთად **ვმიმავლობ,**
ნუშის-მშვილდით, ნაძვის ისრით მოხუც მკლავით **ვიმესრვმალობ,**
ნუშიათსა ნეკნს განუგვემ, ხმასა მისსა აღარ **ვბრალობ**“ (ჭავჭავაძე,1940:52)
თავვმალობ/ ვმიმავლობ/ვიმესრვმალობ/ ვბრალობ.
,,აჰა თქვენ სატვირთოდ ქაღალდი **ველობს**
და ველსა მას ხუთი ერთითურთ **მრწყველობს**
განიფინენით მასზედა მდელოებრ,
მან გცესთ სხივნი, რომელი **მნათობელობს**“ (ჭავჭავაძე,1949:53)
მხოლოდ ეს ლექსი: გეტრფი!
ნეტა რას ძალსა **მქონობს?**
ცუდ არს: გეტრფი და გეტრფი,
თუ გულიც არ **მიმყოლობს (**ალ.ჭავჭავაძე, 1986:11).
,,შორს მჭვრეტელთ მოსწრაფლე
სული შენკენ მფრინვალებს.
ოდეს თვალი შენ გნახავს,
ყოვლად **გაგვაბრწყინვალებს**“ (ჭავჭავაძე,1940:102)
გაგვაბრწყინვალებს- ფრინვალებს
,,ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი.
წინაპართ სისხლი აწ ჩვენ შორის არღა **მდინარებს,**
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!“ (გრ. ორბელიანი, 1959:29).
მდინარებს’- გვახარებს’
ზვირთები მოდუდუნებენ,
ჭალები **ბუჩქნარეობენ** (ნ. ბარათაშვილი)
შენგან მომეცა თვალთა ჩენანი,
გავამუსიკე შენთვის ენანი“ (ჭავჭავაძე,1940:103).
,,შენგან კოდილი მწარედ, გლახგული,
კვალად საშველით შენვე გენე**ბდეს**
თავისუფლებას შორს განაგდე**ბდეს**
და ტყვეობასა თვისსა ხარო**ბდეს**“ (გრ. გრ. ორბელიანი, 1959:34).
გახარებული შენის მშვენებით

ნიავიც ფრთეთა ამოდ განშლიდა;

ხან შენსა კავებს ნაზად შეხებით,

ხან შენსა ლეჩაქს **ეთამაშიდა!** (გრ. გრ. გრ. გრ. გრ. ორბელიანი, 1959: 33).

გენებდეს ფორმაში **დონი** ზედმეტია, მაგრამ სარითმო ერთეულად გამოიყენება.

რამდენიმე ოკაზიური ზმნური ფორმა **მაჯამური** რითმითაა განპირობებული

,,აჯას ვამრავლებ მე შენდა,

გულს შენი ტფობა **მეშენდა** (ჭავჭავაძე,1940:40)

მეშენდა მე შენდა მაჯამური რითმაა

,,წიგნი შენი მეცა რა,

ლექსი ძაფებრ **მეცარა,**

რადგან იჩენს სიქადულს,

არა, გიკრთი მეც არა!“ (ჭავჭავაძე,1940:120).

გ) საწყისები

ოკაზიური საწყისი შედარებით ნაკლებია:

,,თუცაღა უსარგებლოდ აქვს ოდესმე ცეცხლის დებანი,

რომელსა ძალ-უჩნს მისისა სიკვდილის **მომალებანი,**-

გარნა მას მისგან ლხინად ჰსჩანს უდროდ დღეთაცა კლებანი,

იტყვის, ვინ ჩემნი არა ჰქმნა, სრულ-ვჰყო მე მისნი ნებანი“ (ჭავჭავაძე,1940:35)

მომალებანი (მოახლოება, დაჩქარება) ერითმება **სახელებს:** დებანი, კლებანი,

დ) წარმოქმნილი სახელები

ოკაზიონალიზმებში არც წარმოქმნილი სახელია ბევრი:

,,მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ,გმირო მხცოვანო,

და ცრემლთ დავათხევ შენს სახელზედ, მეფევ **ხმოვანო!**

ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,

რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს შვილსა

(ბარათაშვილი,1945:36)

ხმოვანი- მხცოვანი

,,აუბამს ჩემნი თვალნი სიბნელ-**ღამობის**

კიდე ვერარას ვჰხედავ **მბრმობი!“** (ჭავჭავაძე,1940:45).

ქართულში მამისთვის დამახასიათებელ მზრუნველობას **მამობრიული** ჰქვია.

ნ. ბარათაშვილთან გვხდება **მამობრიული.** ეს სიტყვა ერითმება **სიყვარულს:**

,,ნეტარ მეფისა გულს **მამობრიულს,**

ოდეს მოყმენი, ვით მამას შვილნი,

განუცხადებენ თავისს **სიყვარულს**!“ (ბარათაშვილი,1945:52)

1.2. შინაგანი და შინაგან-გარეგანი რითმა

შინაგან-გარეგანია რითმა, რომელიც შინაგანი ტერფების ან მუხლების დაბოლოებასაც ათანხმებს და იმავდროულად ტაეპების დაბოლოებასაც**.** მაგ: განხილულ მაგალითებშიც ჭარბობს მიმღეობები. შინაგანი რითმით უნდა იყოს განპირობებული მიმღეობური ფორმა **დასამცირე**

ჯერეთ ნორჩ ხანში, უცხოს ხალხში ოდეს ვრბოდი,

არა ვარ **მცირე დასამცირე,** ამას ვამბობდი;

შვენებით სრული, გაბადრული მსწრაფლ ვამაყობდი,

ამით ვიცოცხლე, არც სიცოცხლე არ მომწყენია“ (ჭავჭავაძე,1940:103).

მცირ’ ძირისგან ქართულში მხოლოდ შეიძლება იწარმოებოდეს **დამამცირებელ, დამცირებულ, შესამცირებელ, შემცირებულ, შეუმცირებელ** ფორმები (გოგოლაშვილი, კვანტალიანი, შენგელია, 1991:154).

აქვე უნდა განვიხილოთ ფორმები: **სამღერალო**, **მოსალხინო**

ლოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერი ვარ მე, თასი:

სამღერალო ვარ ტურფა ხელთ და **მოსალხინო** მართასი!

მოვედით, სევდით მაშვრალნო, გასვლათ სასმელი ღმერთასი,

და მყის გიქარვოთ გულისა, ვით ერთი, ჭირი ათასი“ (ბარათაშვილი,1945:49).

ამავე ტიპისაა მომდევნო მაგალითებიც:

ვაჰ, შენგან წყლულსა დაკოდილს გულსა

ოჰ, ვარდისა <u>მქონევ,</u> ბულბულთ **შემაღონევ,**

თემრო, თემრო, თემრო, ვაჰ, მე შენგან თემრო!“ (ჭავჭავაძე,1940,42)

შემაღონე გაერითმა <u>მქონეს’</u>.

,,ცუდ არს ბრმა <u>ბედი</u> უჩხრეკად **მხედი,**

რომ შენებრ უხამსსა აძლევს მზისა მსგავსსა!

თემრო და სხვა“ (ჭავჭავაძე,1940:42).

მხედი- ბედი

,,მათ ტრფიალებით მოჰმართავ ვისცა,

განიხსნას მისთვის სიხარულის ცა,

შენთა **სიტურფეთ**, როს გუნდნი **მოტრფეთ**“ (გრ. ორბელიანი, 1959:51)

მოტრფეთ- სიტურფეთ

,,ერთმან <u>მცირემან</u> გველმან **მფრინემან,**

ვის მეგუთნენი უხმობენ ფუტკრად“(ჭავჭავაძე,1940:132)

მფრინემან- მცირემან

,,ყელი **ყელყელობს,** აღმგზნებელი გულთა ჭირისა!

თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა.

ყელყელობს- ყელყელაობს- ასონანსური რითმა (ბარათაშვილი, 1945:11).

განმაზარდი ერითმება შემდეგ სიტყვებს: **ვვარდი, ნამარდი, შეუზარდი...**

,,მუნით განვმწარდი-მეშვა **ვარდი,** გულს **განმაზარდი,**

მას **შეუზარდი,** ვით **ნამარდი,** სარეცლად ვვარდი!

ვაჰ, სუსტსა და სხვა''(ჭავჭავაძე,1940:47).

აქვე უნდა განვიხილოთ ისეთი ოკაზიური ზედსართაული ან მიმღეობური ფორმები, რომლებშიც შეცვლილია თითო ასო

,,ვით ღამე ბნელი,

ველებრ საზარი,

ბუტბუტებს ჩუმათ,

თვალი **მელვარი**“ (ბარათაშვილი,1945:71).

მელვარი ერითმება **საზარს.** ეს მიმღეობა ქართულში გვხვდება **მ-არე კონ-ფიქსით.** მასში ერთი ასო, სუფიქსისეული ხმოვანია შეცვლილი.

ბნელის ღამის გენათლა არა-მარე,

ხილვით ვჰპოვე კეთილდღეობა **მყარე,**

აღარ ვიყავ მწარის ჭმუნვით და თმენით,

განვაგდეცა ყოველი ფიქრი მწარე.

მოდით მსწრაფლად და სხვა“ (ჭავჭავაძე,1940:38).

მყარე არის იგივე **მყარი.** აქაც ერთი ასოა შეცვლილი, რადგან სარითმო ერთეულებად გვაქვს **მყარე, არა-მარე- მწარე.**

როგორც ცნობილია, ოკაზიური ფორმებით მდიდარია ,,ვეფხისტყაოსანი.“ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ,,რუსთაველს ახასიათებს გაბედული, თვითდაჯერებული ნოვატორობა, ნეოლოგიზმები ენაში, პოეტიკაში. ახლის ძიება ენასა და პოეზიაში მისი ნამდვილი სტიქიაა. პოეტს არ ეშინია ენისა და ლექსის ახალ ფორმათა გზაზე სიარულისა. მისი პოეზია იწვევს მკითხველში უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას და სრულიად ბუნებრივად ავიწყებს ზოგიერთი ფორმის ხელოვნურობას და გვგონია, რომ **,,მოუბარენი, საომარენი, მცირსა, ჭირენი, ანატირენი"** და სხვა მათი მსგავსი ფორმები თითქოს ყოველდღიურ ცხოვრებაში სახმარი სიტყვები იყოს. ასე იცის გენიამ“ (იმნაიშვილი,1966:120).

შეიძლება ითქვას, ქართველი რომანტიკოსები განაგრძობენ ამ ტრადიციას. მათ შემოქმედებაში ამაღლებს ექსპრესიულობას, ისინი არ ამძიმებს ენას.

§2. მარცვალთრაოდენობის გამო შექმნილი ოკაზიონალიზმები

მარცვალთრაოდენობითაა განპირობებული ასოთა კლება: ზოგჯერ არის შემთხვევა, როცა სიტყვების გრამატიკული ფორმა ტაეპის ზომის აღემატება, მაშინ ავტორი ასეთ სიტყვებს ასოებს აკლებს. ბევრ ზმნურ და მიმღეობურ ფორმას აკლია ზმნისწინი:

გესმის ვით ჰყეფს!...ვჰგონებ ქვასაც ალმობდეს...

ნეტა არ **ჰსწყდეს** ეს ხმა არც დღე, არც ღამე!“ (ჭავჭავაძე,1940:27)

სწყდეს-შეწყდეს

,,სახე ღრუბელ შემოსილსა,

ცრემლთ მაწვიმრად გარდაქმნილსა,

მელნის ტბასა ვჰხედავ **ვსილსა,**

მესმის ოხვრათ ქუხვა წბილსა.

ოჰ, ბულბულთა და სხვა“ (ჭავჭავაძე,1940,41)

ვსილი’ უზმნისწინოდ ქართულში არ გვხვდება, მაგრამ აქ მარცვალთრაოდენობის გამოა ასე გამოყენებული. ქვემომოყვანილ მაგალითებშიც ოკაზიონალიზმების განმაპირობებელი მარცვალთრაოდენობაა

,,მჭვირვალეს ყელსა რიდე ვლებულსა,

ვაქებ ბროლის ველს განათლებულსა,

მართველსა ორსა მუნ **ბუდებულსა,**

უგავნ ნისკარტნი ლალის ბრწყენასა.

მკვლენ და სხვა“ (ჭავჭავაძე,1940:43).

ან კიდევ:

,,საროვ ნაზო, შტოთა მათ შენთა რხევა,

მტაცებს გულსა **ხელებულსა,**

ამად მაქვს მე გრძნობათა რყევა!“ (ჭავჭავაძე,1940:50).

ნ. ბარათაშვილი ხშირად ამოკლებს სიტყვებს, აკლებს მარცვლებს. ხშირად აკლებს თემის ნიშანს:

ცილობა- ცილი

,,გულის-სწორო, ერთის **ცილით**

აგრე როგორ შეიცვალე,

რომე ტრფობა ჩვენი ამ ხნით,

მას აგრე მსწრაფლ ანაცვალე?“ (ბარათაშვილი,1945:4).

,,აღმოხდა **მნათი** აღმოსავლეთს, მზეებრ ცხოველი,

მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,

დიდ სამქუხარო, საავდარო და მეც გლახ გული

მსწრაფლ განმითენა, შავ-ბედისგან დაღამებული!“(ბარათაშვილი,1945:23)

მნათი- (მნათობი, მანათობელი)

გრ. ორბელიანთან ზოგჯერ აკლია მაწარმოებლისეული ხმოვანი, მაგ. უქონლობის სუფიქსი **ო**

სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მის წყეულთა ფრთეთ**,**

და დამცა უფსკრულს ვაებისას უმწედ, **უნუგეშ...**

სად დღე უნათლო იყო ღამედ, ღამე — **უვარსკვლავ,**
და სად სიკვდილსა ვინატრიდი ვით ცის ნუგეშსა,
თუმცა სამარეს შეედრების სადაცა ვიყავ“ (გრ. ორბელიანი, 1959: 46).

მტანჯ ჩემო (მტანჯავო ჩემო); უნუგეშ (უნუგეშო)

ზოგჯერ აკლია ფუძისეული მარცვალი: **სადღეგრძო- სადღეგრძელო; ხანგრძ-ლად- ხანგრძლივად, მვები-მვებთა -მვაებთა**

,,სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის
ეს ფიალა იყოს **სადღეგრძო** ხალხის,
ვისაც არ უყვარს, რა ნახოს კეთილ სოფელს?''(გრ. გრ. ორბელიანი, 1959:50).
,,იტყვი, ამად მქმნია ურვა,
რომ ვერ გნახე, ვით მესურვა
ვაჰ, აწ გვმართებს **ხანგრძლად** ყმუნვა,
ვიდრე ჟამმან მოგვცეს თბუნვა“ (ჭავჭავაძე,1940:41).
,,ჰკითხავს თვალებთა, თვალებთა,
გვიწყებთა თქვენთვის **მვებთა** საბრალოდ.
ეჰა, მკვნესარებს სალმოდ“ (ჭავჭავაძე,1940:121).
ამან **გამამხნო** და გულს ძგერით წარვსდექი წინა
და ასე ვუთხარ: ,,ნეტარ მე, რომ მეღირსა კვალად სანატრი
ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მხიარულად“ (ბარათაშვილი, 1945:11).

გამამხნო- გამამხნევა

ი. იმნაიშვილი წერს: ,,რუსთაველის რითმას საფუძვლად უძევს მკაცრი კა-ნონი: სიტყვის (სიტყვების) სარითმო ნაწილი, მთელი კლაუზულა თავიდან ბო-ლომდე უნდა იყოს სავსებით ერთნაირი; არავითარი გადახვევა, არავითარი შეცვლა; არც ერთი მეტი ბგერა, არც ნაკლები“.

წყვდიადი იქცა აბსტრაქტული სახელად **-სიწყვდიადე**

,,ზოგჯერ ღამის **სიწყვდიადე** მომაჩვენებს გიშრის თმასა,
ზოგჯერ ცისა გაელვება ბროლის ფიცრით შუქთა ფენას''(ჭავჭავაძე,1940:20).

§3. რითმა და მარცვალთრაოდენობა

შედარებით იშვიათია შემთხვევა, როცა რამდენიმე ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს:

„შენცა მიმუხთლე, გონებაო და მას ემონე,
ვინც მტაცა გული, მოსვენება და **სიამოვნე,**
ვისიცა სახე მარადჟამს თვალთ ეოცების“(გრ. ორბელიანი, 1959:83)
„ზეფირო-მქროლე, განმაგრილე, მღელვარე?“
მსუბუქად ქროდა, ყვავილთ **ამაელვარე;**
იაც სოსნადა, ნარნარადა, მდგომარე

ვარდის ახლოსა, უკლებლობსა მარადი“(ბარათაშვილი,1945:68).

ამაელვარე/მღელვარი და სიამოვნე/ემონე ფორმათა სიმოკლე განპირობებულია რითმითა და მარცვალთრაოდენობით.

ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
როს ვსცნა მე შენი **საიდუმლობა**,
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი **წილობა ..** (ბარათაშვილი,1945:68).

§4. სხვა ფაქტორები

საწყისის სრულიად ახალი ფორმაა **ბაგება:**

,,ჯერ თვალთ ძლივ ნახეს და მე კი მასა დაუწყე **ბაგება...**
ჩვენ ორთა ჰაზრნი, თვით სულნი ერთად შეერთდნენ, შედუღდენ
და სიტკბოების ზღვასა შინა გრძნობით დამთვრალნი შთაეფლენ!
გულთ ძგერა არღა გვესმოდა, ვერცაღას თვალნი ხედვიდენ''(გრ. გრ. ორბელიანი, 1959:22).

მან **ინეტაროს,** ვის მოეფინოს
გულს შუქი შენი ტრფობისა ნიშნად! (გრ. ორბელიანი, 1959)
ნეტარ მას ვისაც მოეხვევიან!
შორითგნ ჭვრეტით ხედვა გვლევიან,
ნუ მივეც სევდას **განუსვენასა.**
მკვლენ და სხვა“ (ჭავჭავაძე,1940:44)
მაგრამ მშვენიერება მაქვს, **ცისიერო,** უხრწნელი,
და ჩემთა გრძნობათა შენდამი ვერ დასდვან კაცთ სახელი?“
(ბარათაშვილი, 1945:25).

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ოკაზიურ ფორმათა უმეტესობა რითმით**, შედარებით** ნაკლები კი მარცვალთრაოდენობით ან ორივე ფაქტორითაა განპირობებული. რამდენიმე ფორმის წარმოქმნაში ლექსთწყობა არ მონაწილეობს.

ოკაზიონალიზმთა უმეტესობა **მიმღეობაა** (მტკინავი, დაუხვალამან, მოსანავარდო, განმათენი, განმაზარდი, მომწადე, აღზარდულთა, ასაჩემით, ვსილი, მჭვირვალე, ბუდებული, ხელებული).

შემდეგ მოდის ზმნები (ჩემოდნობდეს, ემალმოდეს, მნათობელობს, მრწყველობს, ველობს, გარმოისარე, ენებდეს)**, საწყისები** (მომალებანი, ღამობა) **და ა.შ.**

ოკაზიონალიზმთა ერთი ნაწილი მიღებულია **ასოს ან მარცვლის დაკლებით: უნუგეშ, უვარსკვლავ; ცილი, მვები... სადღეგრძო, გამამხნო.** იშვიათია მარცვლის დამატება:

ყველაზე მეტი ოკაზიონალიზმი ალ. ჭავჭავაძესთან გვხვდება. მის ოკა-ზიონალიზმებში ჭარბობს მიმღეობა, ასევე მიმღეობური ზმნები, ასევე ვნებითი გვარის უჩვეულო ფორმები, მათგან რამდენიმე მაჯამურ რითმას ქმნის. ნ. ბარათაშვილის ოკაზიონალიზმთაგან თვალში საცემია წარმოქმნილი სახელები, ზმნები. გრ. ორბელიანთან გვხვდება ვნებითი გვარის ზმნები. მარცვალთრაო-დენობის გამო შექმნილ ოკაზიონალიზმებში ჭარბობს მარცვლის ან ასოს კლება, მატება იშვიათია. ეს ხერხი სამივე რომანტიკოსთან გვხვდება. ამგვარი ფორმები ექსპრესიულობას ზრდის.

გამოყენებული ლიტერატურა

დუმბაძე ს., ,,ლინგვისტური ნეოლოგია და ოკაზიონალიზმების ფუნქციონირება ინგლისურ და ქართულ ენებში— ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია ბათუმი, ბსუ, 2017 ttps://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_8319_1.pdf

იმნაიშვილი ი., ქართული პოეტური ენის საკითხები. თბ.1966;

ნიკოლაძე ქ., ოკაზიონალიზმები ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით და მათი თარგმნის პრობლემა. ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია თბილისი, თსუ, თბილისი, 2014 http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/qetevan_nikoladze.pdf

ძიძიგური შ., ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები. თბ.1974;

ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ., სტილისტიკა. გამომცემლობა ,,ივერიონი" თბილისი. 2014;

http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/mgeo/cqobsitq/cqobs.htm?cqobs039.htm

რითმის გამო შექმნილი ოკაზიონალიზმები

,,ბაგე ვარდო, ნამით სველო,
სუნნელთაგან **მომსუნთქველო,**
შუქმან შენმან განმანათლოს,
ოჰ, სპეტაკო ზამბახთ ველო!" (ჭავჭავაძე,1940:21)

მომსუნთქველო -სველო, ველო- **რითმა**

,, ვისგან და ვისთვის განიხაროს აწ გულმან ჩემმან?

ღრუბელი ჭმუნვის განმიბნიოს აწ ვისმან **ღიმმან?''**(ორბელიანი,1959:47)

ღიმმან- ღიმილმან მარცვალთრაოდენობა

„აღა-მაჰმად- ხან-, კვლავ თავმომწონე,
შემოეპარა ციხისა კართა,
და მოევლინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა

,,ძლეულს გულსა სიყვარულით ეშყის ალში ჰქმნია მურვა,
უბედობით სვე წყეულსა აწ მეახლვის სოფლის მდურვა.
ვჰსწერ ოხრვათა გულის კვალად შრომისგამო მაქვს ოფლთ წურვა,
ესეც მცირ არს,თუ რომ ჯილდოდ მეცეს ვარდი ფერ რაზმული.
აჰა მეცა და სხვა“ (ჭავჭავაძე,1940:37).

,,ნარგიზმან შლილმან, ყვითლად მოსმან,
ფოთლებ გარდიშალა, განაყვითლა მან ველი,
ჰრქვა ყაყაჩოსა ალისფერსა: ,,ხარ ჭრელი, მითაც არ მშვენი,
ხარ მოხრილი ავადა“ (ბარათაშვილი,1945:69)

მეცა ხელი ვჰყო დაჟანგებულს ჩემსა სანთურსა
და შევაერთო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ციურსა!“ (ბარათაშვილი,1945.23)

http://titus.unifrankfurt.de/texte/etcg/cauc/mgeo/cqobsitq/cqobs.htm?cqobs039.htm

Annotation

The bachelor's work deals with Ocomonalism in the works of Georgian romanticists.

Occasionalisms are the most dynamic part of the language lexical foundation spontaneously arises and they are intended to create writers and poets, for images and expression.

Occasionalisms for artistic debate students are one of the main ways to see the author's creative potential. These words can also be used to enrich the lexical foundation of the language. Occasionnal lens is now more relevant.

The study analyzes the types of occasionalisms frequency and condition factors for their use with a particular poet (rhyme, bone marrow, both factors at the same time). Internal classification is based on speech parts. Attention is also about how the Occaceous forms are artificial and aggravated by the style of a poet. Here is the creative individuality of the individual poet.

The empirical material of the undergraduate work is significant and important for comparison

with modern social networks and oxygen forms in oral speech.

მედეა -,,კოლხეთის მეფის ბრძენი ასული'' (მ.ჩიტიშვილი)

თათია დავითაძე
ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებატა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია, მეოთხე კურსი.
ელ. ფოსტა: davitadzetatia@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე გიორგაძე,
ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი

აბსტრაქტი

მედეა მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების მასშტაბური სახეა. ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანი არის მედეა თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ნიშანდობლივია, რომ XXI საუკუნეშიც მედეა შემოქმედებითი იმპულსების სათავეა.

სტატიაში განხილულია, თანამედროვე ქართველი პოეტი ქალის, მანანა ჩიტიშვილის ლექსი ,,მედეა''.

მანანა ჩიტიშვილი თავის ლექსში მედეას მოიხსენიებს, როგორც ,,კოლხეთის მეფის ბრძენ ასულს'' და ამით ხაზს უსვამს, რომ მისთვის კარგად არის ცნობილი მედეას მითოსური სახის შტრიხები მედეა-ქალღმერთი, მედეა-ჰელიოსის შთამომავალი, მედეა-ჯადოქარი, მედეა- გრძნეული, მედეა- მკურნალი ქალი.

მანანა ჩიტიშვილმა, სხვა პოეტებისგან განსხვავებით მედეას სახეში განაზოგადა სამშობლოს მოღალატის სახე და მას მკაცრი განაჩენი გამოუტანა.

მედეა-,,კოლხეთის მეფის ბრძენი ასული'' (მ.ჩიტიშვილი)

(გაფართოებული აბსტრაქტი)

მედეა მსოფლიო ლიტერატურისა (ძველი ბერძნული, ევროპული) და ხელოვნების მასშტაბური სახეა, მას მიუძღვნეს ლირიკული, ეპიკური და დრამატული ნაწარმოებები, ისეთმა დიდმა მწერლებმა, როგორებიც იყვნენ: მიმნერმე, პინდარე, ევრიპიდე, აპოლონიოს როდოსელი, სენეკა, ოვიდიუსი და სხვ. მით უფრო პარადოქსულია, რომ ქართულ ლიტერატურაში მედეას სახე არ არის სათანადოდ დამუშავებული

მიუხედავად იმისა, რომ მედეას მიუძღვნა პოემა აკაკი წერეთელმა და ქართულ პოეზიაშიც არაერთი პოეტის შემოქმედებაში გაცოცხლდა მედეას მხატვრული სახე, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაწარმოები ბოლო დრომდე არის ოთარ ჭილაძის რომანი ,, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა'' .

ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანი არის მედეა თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ნიშანდობლივია, რომ XXI საუკუნეშიც მედეა აფორიაქებს თანამედროვე პოეტების ფანტაზიას და შემოქმედებით იმპულსებს აღძრავს მათში.

თითქმის ყველა პოეტთან იგრძნობა მედეას მიმართ თანაგრძნობა, მისი სიბრალული და ცდა იმისა, რომ როგორმე გაამართლონ მისი საქციელი სამშობლოს და ოჯახის ღალატი, დიდი სიყვარულის გამო ჩადენილი, მაგრამ ეს პოეტებიც გვერდს უვლიან მედეას მიერ შვილების მკვლელობის თემას.

ერთ-ერთი ბოლო ნაწარმოები, რომელიც მედეას თემაზე შექმნა პოეტმა, არის ჩვენი თანამედროვე ქართველი პოეტი ქალის მანანა ჩიტიშვილის ლექსი ,,მედეა''.

მანანა ჩიტიშვილი თავის ლექსში მედეას მოიხსენიებს, როგორც ,,კოლხეთის მეფის ბრძენ ასულს'' და ამით ხაზს უსვამს, რომ მისთვის კარგად არის ცნობილი მედეას მითოსური სახის შტრიხები მედეა-ქალღმერთი, მედეა-ჰელიოსის შთამომავალი, მედეა-ჯადოქარი, მედეა- გრძნეული, მედეა-მკურნალი ქალი.

განსხვავებით სხვა პოეტებისგან რომლებიც ცდილობდნენ მედეას ღალატი-არგონავტებისათვის ოქროს საწმისის მოპოვებაში დახმარებით, როგორმე გაემართლებინათ და ,,გადაებრალებინათ'' სიყვარულის ყოვლისშემძლე, ყოვლისშემმუსვრელი და ყოვლისმპყრობელი ძალისათვის პოეტი ლექსს პირდაპირ საყვედურით იწყებს:

აკვნიდან ქართულ ნანას ისმენდი,
ამ ხმებმა თითქოს სხვისთვის იდინა,
რა სიყვარული შეგხვდა ისეთი,
თვით სამშობლო რომ გაგაყიდინა.

პოეტს ვერ გაუგია და ვერ უპატიებია მედეასთვის, თუ ,,როგორ შეხსნა ღალატის გველმა მისი გულის კარები'' და როგორ გახდა თანამოაზრე მომხდურთა, ანუ ელინთა არგონავტებისა და იაზონის მიმართ, რითაც ,, მიუგდო უცხოთ საჯიჯგნად ერის ღირსება და უკვდავება''

პოეტისათვის ტრადიციულად ოქროს საწმისი, არის სიმბოლო კოლხეთის უძლეველობის, ზღაპრული სიმდიდრისა და უკვდავების, რასაც შედეგად მოჰყვა კოლხეთის დამხობა.

ვაი, დამხობილ ტაძრებს, პალატებს,
ვაი, დაქცეულ ბჭეს და კერიას.

ლექსის მთავრი მოტივი, არის მედეას მიერ სამშობლოს, კოლხეთის მამისეული ოჯახის ღალატით გამოწვეული ტკივილი და ტანჯვა:

ღალატზე მეტი ღალატი ჰქვია,
შენივ სისხლ-ხორცით თუ გაიწირე.

პოეტი ხშირად მიგვანიშნებს საკუთარ განცდებზე: ,, მე ვტირი..,'' ,,გული ჯავრისგან გახლეჩას ლამობს..,'' ,,ჯერ ისევ მეწვის იარა..,''.

ლექსში აშკარად ძლიერია პოეტის პატრიოტული გრძნობების გადმოცემა რომელიც შელახა მედეას ღალატმა:

სამშობლოს ორგულს და მოღალატეს
შენდობა არსად არ უწერია.

პოეტი კიცხავს მედეას, რომ იმის ნაცვლად თვითონ გამხდარიყო კოლხეთის მცველი (,,შენ თვითონ უნდა აფარებოდი კოლხეთისაკენ მომართულ ისარს,,) თავისი ღალატით ,,მამულს უმზეო დღე გაუთენა''.

პოეტის მიერ გამოტანილი განაჩენი შეუვალია:

იცის უფალმა, თუმცა მებრალვი,
შენდობა მაინც არ შემიძლია.

უფრო მეტიც პოეტი მიგვანიშნებს მედეას ტრაგიკულ ბედზე საბერძნეთში თუმცა ამაზე დეტალურად არ საუბრობს და მედეას ტრაგედიას სწორედ ამ ღალატით ცვლის

თოვლს წვიმა ცვლიდა, ავდარს-მზედარი,
დრო-ჟამმა თავის წესზე იბრუნა
და მთელი შენი ნამოქმედარი
მისხლობრივ შენვე შემოგიბრუნა.

რჩება შთაბეჭდილება, რომ მედეას ღალატი პოეტისთვის განზოგადდა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდ ღალატად (,, და ყველაფერი, რაც მოხდა შემდეგ ამ ღალატს როგორ მიეტოლება,,) ამით აიხსნება პოეტის სასტიკი განაჩენი მედეას მიმართ.

წყევად შემორჩი აქაც და იქაც,
ახლაც არ ვიცი, დრო რას გიპირებს,
მე ვერც შენდობით წაგიქცევ ჭიქას
და ვერც ქართულად ვერ დაგიტირებ.

საგულისხმოა, რომ ლექსის სტრიქონებში მხოლოდ ერთხელ, მაგრამ მაინც გაიჟღერა სიბრალულმა მედეას მიმართ (,,თუმცა მებრალვი''), თუმცა იმპულსურად ამ გრძნობას ერთგვარად აძლიერებს და არბილებს ლექსის ფინალი სადაც პოეტს მედეას კულული წამოუტივტივდება.

,,და თრთის ზღვის ტალღა, როგორც კულული,

სახსოვრად დედას რომ დაუტოვე.

რაც ერთგვარად აჩენს ეჭვს რომ პოეტის სისასტიკე მედეას მიმართ არის გარეგნული და გულში მას უთუოდ აქვს სიბრალული და თანაგრძნობა პერსონაჟის მიმართ, რომლის დამალვასაც ასე საგულდაგულოდ ცდილობს. რაც ლექსის ფინალს ერთგვარად მოულოდნელს ხდის. ლექსის ბოლოსიტყვაობაში ავტორი წერს, რომ ,,ლექსი ,,მედეა'' მისთვის განსაკუთრებულია ბევრი რამით პოეტმა გარკვეული ხანი მისი მკითხველის სამსჯავროზე გამოტანა ვერც გაბედა, თუ ვერ გაიმეტა ეს გასაგებიცაა, რადგან ქართველი პოეტები ყოველთვის ცდილობდნენ მედეას რეაბილიტაციას და გამოხატავდნენ მის მიმართ თანაგრძნობას და სიბრალულს. მანანა ჩიტიშვილის ლექსში კი როგორც აღვნიშნეთ სხვაგვარი აქცენტებია დასმული და პოეტმა მედეას სახეში განაზოგადა სამშობლოს მოღალატის სახე. რომელსაც, ,,შენდობა არსად არ უწერია'', ამიტომაც წერს პოეტი ლექსის ბოლოსიტყვაობაში, რომ მან მედეა გამოიყვანა ,,როგორც გლადიატორი კოლიზეუმის არენაზე'' და დატოვა უფლის სამსჯავროზე-,,უფალი შეეწიოს''

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მანანა ჩიტიშვილის პოეზია: http://armuri.georgianforum.com/t38-topic
2. საერთაშორისო კონფერენციის - მედეას თემა მსოფლიოს მხატვრულ კულტურაში - მასალები. თბილისი 2017 წელი.

Abstract

Medea appears to be the face of the world literature and art in its wide-scale. This time what interests us is the phenomenon of Medea in the modern Georgian poetry. It must be underlined that Medea is the source of impulses even of the XXI century creative work.

The presented article provides the analysis of the poem "Medea" by the modern Georgian female poet Manana Chitishvili.

In her poem Manana Chitishvili addresses Medea as the "wise daughter of the King of Colchis" through

what she underlines that mythical features of Medea –Medea-Goodness, Medea-Descendant of Helios, Medea- Witch, Medea-Wizard, and Medea-a Women Healer –are perfectly known to her.

Manana Chitishvili, unlikely from other poets, generalized the face of the traitor of the country in Medea and sentenced her to a strict verdict.

პატარძლის კერასთან გამოთხოვების ტრადიციები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

მარიზა ბახტაძე

ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია, მეორე კურსი,
*ელ.ფოსტა: 61001085***@bsu.ge*
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინა შიოშვილი,
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი

შესავალი

ოჯახი საზოგადოების ცხოვრების მრავალმხრივ და რთულ ერთეულს წარმოადგენს. იგი სტრუქტურულად განსაზღვრული ორგანიზაციის მქონე სოციალური უჯრედია, რომელიც აერთიანებს ნათესაურ თუ ქორწინებით ურთიერთობაში მყოფ პიროვნებებს და რომლის სოციალური აუცილებლობას განაპირობებს საზოგადოების მოთხოვნილება მოსახლეობის სულიერი და ფიზიკური განახლება-კვლავწარმოებისთვის.

მოგეხსენებათ, ქორწინებისა და ოჯახის, როგორც სოციალური ერთეულის არსი საყოველთაოდ ცნობილია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ აქტუალური ხდება მისი განმარტების აუცილებლობა. დღეს ბევრს კამათობენ თუ რანაირად უნდა იქნეს გაგებული ქორწინების, როგორც ტერმინის სოციალური შინაარსი. მაგრამ ეს სულ სხვა პრობლემაა და, რახან მასზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა, ვუბრონდებით უშუალოდ ჩვენს საკვლევ თემას.

უხსოვარი დროიდან, კაცობრიობა ოჯახის შექმნას ქორწინებას უკავშირებს. ამ მხრივ არც ქართველი ერია გამონაკლისი. ქორწილი - თითქმის ყველა კულტურაში წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის კავშირს ოჯახის შექმნის მიზნით. აჭარაში ქორწინება მიიჩნეოდა არა ერთპიროვნულ, არამედ მთელი ოჯახის, სოციუმის თუ მოძმეების საქმედ. ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარების გარკვეული სოციალურ-ეკონომიური საფეხურებისთვის ეს ზოგადი კატეგორიის მოვლენაა, მაგრამ აჭარაში მშობლებისა და საერთოდ ოჯახის როლი ქორწინებაში უფრო რელიეფურად შემოინახა, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, წარმოვაჩინოთ უძველესი ქართული საქორწილო ტრადიციის ერთი ასპექტი - მშობლიურ კერასთან პატარძლის გამოსათხოვარი რიტუალი და მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემორჩენილ წეს-ჩვეულებათა მაგალითზე.

აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზიის სახეებს შორის სიუხვითა და მრავლფეროვნებით გამოირჩევა საქორწილო ლექს-სიმღერები, რომლებიც თავიანთი შინაარსით ქორწილის სხვადასხვა ეტაპს უკავშირდება, რომელთაგან უნდა გამოვყოთ: 1.საპატარძლოს (სასიძოს) შერჩევა, 2. ნიშნობა, 3. მშობლიურ კერასთან გამოთხოვება, 4.მაყრული, 5.სუფრული, 6. სამყოფ ოთახში პატარძლის შეყვანა, 7.ქალის მაყრის გამომშვიდობება პატარძალთან.

ქორწილის დღეს ვაჟისას ქალის წაყვანის წინ საპატარძლოს ახლო ნათესავი ქალების მიერ სრულდება დედოფლის საქორწილოდ მომზადება-მორთვა, რასაც ანდობდნენ მხოლოდ ბედნიერ, ჯანმრთელ და ქმარშვილიან ნათესავ ქალებს. მათი დახმარებით დედოფალი წინა დღით ინით იღებავდა ხელებს და ფრჩხილებს, სახეს ისუფთავებდა თმისაგან. ეხმარებოდნენ მას გამოწყობაში.

საქორწილო ტანსაცმელი ჩვეულებრივისაგან დიდად არ განსხვავდებოდა; ამ მხრივ გამოირჩეოდა მხოლოდ კაბის ქვეშ ჩასაცმელი შარვლის ფერი, რომელიც აუცილებლად წითელი უნდა ყოფილიყო. იგი ქალს თითქმის კოჭებამდე სწვდებოდა. წელზე შემოჭერილი ჰქონდა აჭარული ქალის აღკაზმულობის აუცილებელი ელემენტი, სამკუთხა შალი ,,სარტყელი“. კაბის ზემოდან აცმევდნენ ხავერდის მოკლე, წელში გამოყვანილ, მოხდენილად ამოქარგულ ან მონეტებით მორთულ ჩასაცმელს -,,ჩათაკას“. ჩათაკა ზემოდან იჭერდნენ ვერცხლის განიერ ქამარს - ,,ქემერს“.

დადეებთან დედოფლის შეყვანის დროს მისი თავსამკაულიც არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი თავსსაბურავისაგან. ჯერ ლეჩაქი,ზემოდან ,,კრონი“, შემდეგ თავზე თასმით ,,თორით“ ,,იაზმას“ (მანდილს) ამაგრებდნენ, რომელიც სახეს უფარავდა დედოფალს. თითებს შუა დედოფალს ეჭირა მოგრძო, ცხვირსახოცის ზომის, თეთრი ქსოვილი. სახლიდან გაყვანის დროს დედოფლის თავსაბურავს ემატებოდა სპეციალური საქორწილო ელემენტი ,,ტვაღი“, ,,დუაღი“.

დადეებს (ხელის მომკიდე) დედოფალი აღმოსავლური წესით ესალმებოდა, ,,თემენას იჯებოდა“. ბაშდადე მას ფეხებთან მეტრი, მეტრ-ნახევარი სიდიდის ქსოვილის დაუფენდა, თავზე შაქარს გადააყრიდა, მოეხვევოდა, გადაჰკოცნიდა და ასაჩუქრებდა. ბაშდადესაგან ყველაზე ძვირფასი საჩუქარი ეკუთვნოდა დედოფალს. ასევე ეცნობოდნენ და ასაჩუქრებდნენ მას სხვა დადეებიც. გაცნობის შემდეგ დედოფალი ოთახიდან უკუსვლით გაჰყავდათ ისე, რომ დადეებისათვის ზურგი არ შეექცია.

დედოფლის ნახვის შემდეგ ქალების ნახევარში იმართებოდა ლხინი, ეგრეთწოდებული ,,სეირი“ - ოხუნჯობა, სიმღერა, ცეკვა-თამაში. ამ ფაქტს ხაზს ვუსვამთ იმ აზრის საწინააღმდეგოდ, რომელიც ხშრად თავს იჩენდა ხოლმე მეცხრამეტე საუკუნის, თუ საბჭოთა წყობილების პირველი წლების ქართულ პრესაში,

თითქოს აჭარელი ქალი საერთოდ მოკლებული ყოფილიყო ყოველგვარ მხიარულებას. პირიქით, აჭარელი ქალები ქორწილში თავმოყრილნი და გამოყოფილნი უცხო მამაკაცების საზოგადოებისაგან, სრულად ეძლეოდნენ მხიარულებას და დროსტარებას.

დედოფლის მოთხოვნის უფლება დადეებს, განსაკუთრებით ბაშდადეს, (თავი დადე - მთავარი ხელის მომკიდე). შემდეგაც ჰქონდათ. განმეორებით შემოსვლაზე დედოფალს კუთხეში აყენებდნენ და ისიც ,,დედოფლობდა“ - იდგა დარცხვენილი და თავდახრილი. ამ ხნის განმავლობაში მამაკაცები ცალკე ქეიფობდნენ. ვაჟის მაყრები ქალის ოჯახში თავშეკავებულად იქცეოდნენ; მათ ჰქონდათ ახალ-ახალი კერძების მოთხოვნის უფლება, მაგრამ არ სარგებლობდნენ ამ უფლებით, რათა შემდეგ ქალის მაყრებს სიძის ოჯახში ერთი ათად არ გადაეხადათ სამაგიერო. შემდეგ მექორწილენი გამოდიოდნენ ეზოში და ჭიბონისა თუ დავლის და ზურნის ჰანგებზე მხიარულობდნენ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ.

საერთო მხიარულებისა და დროსტარებისას ხდებოდა ქორწინების ოფიციალური გაფორმება - ,,აღდის გაჭრა“, ,,აღდის გაკვეთა“, თუ იგი უკვე ნიშნობაზე არ იყო გაჭრილი. (ბექაია,1974:61) („აღდის გაჭრა“ მაჰმადიანურ სამყაროში იგივე რიტუალია, რაც ქრისტიანულ სარწმუნოებაში - ჯვრისწერა)

ქალის ოჯახში ქორწილი მხოლოდ რამდენიმე საათს გრძელდებოდა. უშუალოდ წაყვანის წინ დედოფალს უშლიდნენ თმებს, უხსნიდნენ ღილებს ყოველნაირ ნასკვს ჩასაცმელზე, ხსნიდნენ გულსაბნევებს, რომ ,,დაკოჭილი არაფერი ჰქონდეს და თვითონაც არ დაიკოჭოს“ (ე. ი. შავი მაგიის მსხვეპლი რომ არ გამხდარიყო). ერთადერთი შეკრული მთელ აღკაზმულობაში სარტყელი იყო, რომელსაც, წესის მიხედვით ძმა, შემოაკრავდა დედოფალს, ასევე, ძმა ან მამა ფეხსაცმელში ფულს უდებდა და ლოცავდა. ბოლოს დედოფალს მამა ან ძმა თავზე ახურავდა საქორწილო თავსახურავს - ,,დვაღს“, (,,ტვაღს“); ეს იყო კონუსის ფორმის მუყაოს მაღალი ქუდი. მას ჯერ რაიმე ქსოვილს გადააკრავდნენ, დააადგამდნენ დედოფალს მის სრულ თავსაბურავზე და ზემოდან გადააფარებდნენ წითელ ჩადრს, რომელიც დედოფალს თითქმის კოჭებამდე ფარავდა. ზემო აჭარაში დედოფლის ტვაღით მოყვანა უკანასკნელ დრომდე აუცილებელ წესად ითვლებოდა. კინტრიშის ხეობაში და ქვემო აჭარაში, როგორც ჩანს, ტვაღი ადრევე შეუცვლია გამჭვირვალე ,, ფატას“, რომელიც მხოლოდ სახეს ფარავდა. ბოლოს დედოფალს ბუხრის წინ დადგმულ სკივრზე სვამდნენ და შემოჰყავდათ მამათილი ან ,,სამამამთილოდ“ მოსული პირი. მამამთილი დედოფალს მოჰკიდებდა მკლავში ხელს და კრძალვით გაჰყავდა. ამ დროს დედოფალს თავზე ხელს დაადებდა მისი ნათესავი ქალი ან ბავში, რომელიც მამათილს უნდა დაესაჩუქრებინა. ზოგან დედოფალს თავზე ხელს დედა ადებდა, ასეთ შემთხვევაში მამათილის

მიერ გაცემულ ფულად საჩუქარს ,,ძუძუს ფარა“ ან ,,რძის ფარა“ ეწოდებოდა. (ზოგან რძის ფულის გადახდა ცალკე იყო შემორჩენილი). ბოლოს დედოფალს წაიყვანდნენ კარისკენ. აქ აუცილბელად სრულდებოდა რიტუალური ტირილი - ტიროდა დედაც და დედოფალიც. ამ დროს დედოფლის ძმა ან ბიძაშვილი კარს კეტავდა გარედან და იქიდან ევაჭრებოდა მამთილს კარის გაღებისათვის მისაცემი გამოსაღების რაოდენობაზე.

კარის გაღებისთვის გადასახდელი ,,კარდასამყრელო“(იმისათვის რომ გაეღოთ კარი იმ ოთახისა, რომელშიც დედოფალი იმყოფებოდა, დედოფლის ძმა ითხოვდა გარკვეულ გასამრჯელოს. ცნობილია, რომ აჭარულ დიალექტში კარის დაყრა ნიშნავდა კარის დაკეტვას. ალბათ იმიტომ, რომ „ურდული გაუყარა“ ხომ ნიშნავს - კარი დაკეტა.....)

კარგასამყრელო (იგივე კარიდასმყრელო) მხოლოდ გროშებს შეადგენდა, და მხოლოდ სამხიარულოდ შემორჩენილ გადმონაშთს წარმოადგენდა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, საპატარძლოსთან გამომშვიდობების ჩვეულება მასთან დაკავშირებული ხალხური სიტყვიერებით ზოგადქართული მოვლენა იყო. აღნიშნულის დასადასტურებლად მოვიტანოთ ერთი ადგილი ალ. ყაზბეგის მოთხრობიდან ,,ხევისბერი გოჩა“: ძიძიასა და გუგუას ქორწილისას, როცა პატარძლის წაყვანის დრო დადგა, ,,ოთახში შემოვიდნენ ხაზუა, ვიღაცა მოხუცებული კაცი, ონისე და ყმაწვილი ქალები, რომელნიც შემოეხვივნენ ძიძიას. დაიწყეს გამოსასალმებელი სიმღერა, სადაც საგრძნობელი სიტყვებით ყმაწვილი ქალს თავის წარსულთან და მეგობრებთან ასალმებდნენ და ტირილით და კოცნით თვითნაც ესალმებოდნენ“. პროფესორი ქსენია სიხარულიძე მიანიშნებს: ,,ალ.ყაზბეგს ამ შემთხვევაში აღწერილი აქვს თვით ქორწინების დღე, მაგრამ ამას არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რადგანაც საქორწილო ცერემონიალში შერწყმულია არა მხოლოდ მისი სხვადასხვა მომენტი, არამედ - სხვადასხვა ეპოქის დამახასიათებელი წესებიც. ამას გარდა, პატარძლის ოჯახთან გამოსთხოვარი სიმღერა-გოდება სრულდება ქალის ვაჟისას წაყვანის მომენტშიც. გამოსათხოვარ ტექსტს ან თვით პატარძალი ასრულებდა, ან კიდევ, როგორც ალ.ყაზბეგს აქვს აღწერილი, მისი ტოლი ქალიშვილები.”(სიხარულიძე,1960:262) აქვე მკვლევარი პარალელს ავლებს და ამ რიტუალს უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნეში მესხეთში ჩაწერილ ლექსს:

პატარძეულს ციხესა,
გამოუთხრიან ძირსაო,
გამოყვანენ ლამაზსა,
ცრემლით დაჰბანენ პირსაო...
(უმიკაშვილი,1964:109)

მშობლიურ კერასთან საპატარძლოს გამოსათხოვარი შეკრების ტრადიციული ხასიათის დაკარგვას ქსენია სიხარულიძე უკავშირებს ნატურალური მეურნეობის რღვევას, რაც ,,ერთგვარად მაინც ამსუბუქებდა ქალის ხვედრს; დაქორწინებისას მას აღარ ჰქონდა საფუძველი მოთქმა-გოდებისა"(სიხარულიძე 1960:262).

საბედნიეროდ, ძირძველ ისტორიულ კუთხეებში - შავშეთსა და კლარჯეთში - დაფიქსირდა საქორწილო ცერემონიალის ეს არქაული შემადგენელი ნაწილი. იმერხევში პატარძლის გამოსათხოვარ ლექს-სიმღერას დედოფლისთვის ხელის გულზე და თითებზე ინის დადების რიტუალის დროს მღერიან, რასაც ,,ინა გეჯეს" (ინის ღამეს) უწოდებდნენ: როგორც ზევით აღვნიშნეთ ინით ხელების შეღებვა უშუალოდ ქორწილს უსწრებდა ერთი დღით.

მაღალ-მაღალ მთებიდან
სახლი არ დადგან.
იაბანჯ მემლექეთში
გოგო არ მიცე!
ინა მეიტანე,ანე,
თითი დააწე, ანე!
ამეღამ მუსაფირი ვარ,
ჩემ უკან დაწე, ანე!
(ფუტკარაძე,2009:15)

მსგავსი ვარიანტი გავრცელებულია, აგრეთვე, კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაშიც. სოფელ ავანაში (ავჯილარი) ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წელს ჩაწერილი გამოსათხოვარი ლექს-სიმღერის თანახმადაც, საპატარძლო წუხს იმის გამო, რომ მშობლიური სახლიდან შორს ყოფნა მოუწევს და იხვეწება, ამის შემდეგ უცხო მხარეში აღარ გაათხოვონ ქალიშვილი. ერთი ღამის სტუმარი, დედას სთხოვს, მასთან დაწვეს:

მაღალ-მაღალ მთებიდან
იქ სახლი არ დადგანო!
იაბანჯი მემელექეთში
გოგო არ მიცე!
ყინა მეიტანე ანე,
თითი დააწე ანე!
ამეღამ მოსაფირი ვარ,
ჩემ უკან დაწექ, ანე!
(შიოშვილი,2017:92)

მშობლიური კერის დატოვების წინ პატარძლის ,,მოთქმა-გოდებას" წარმოადგენს, აგრეთვე, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის დაფიქსირებული

გამოსათხოვარი ლექს-სიმღერა (მთქმელი ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელს მურკვეთში მცხოვრები 69 წლის მთქმელი. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2013 წლის 9 ივლისს), რომელშიც გამოთქმულია ქალიშვილის სევდა-წუხილი დედასთან განშორების გამო:

ნენე, ნენე, გეყრები,
ნენე, შენ ვერ გეყრებიო!
როგორი მოზობელი,
გზაზე გედეგრებიო.
ოჯახის კარში კატა
,,მიავ, მიავ“ -იძახის;
ჩვენი გელინის ნენეი
,,ე რა მექნა! - იძახის“
(შიოშვილი,2017:94)

ამრიგად, ისტორიული საქართველოს ძირძველი კუთხის - კლარჯეთისა და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონში მიგრირებული კლარჯი მუჰაჯირების შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია საპატარძლოს კერასთან გამოთხოვების ტრადიციული ლექს-გოდება, ანუ რიტუალური ტირილი, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა.

საპატარძლოსთან გამოსამშვიდობებელი სიმღერები ასახავენ, ერთი მხრივ, ქალის მშობლებისა და თანატოლების, ხოლო მეორე მხრივ, თვით პატარძლის მწუხარე განწყობილებას ოჯახიდან წასვლის და უცხო ოჯახში შესვლის გამო.

მამისეულ ოჯახთან საპატარძლოს გამოსამშვიდობებელი სიმღერა-ფერხულები, რომლებიც აჭარაშია გავრცელებული, სრულდება ქალების ოთახში და მას მხოლოდ შინაურები ესწრებოდნენ. ქედის რაიონის სოფ. ბზუბზუს მცხოვრები ფადიმე შოთაძე გადმოგვცემს, რომ ბათუმის რაიონის სოფ. კირნათში, სადაც იგი მდადედ იყო რძლის წამოსაყვანად, პატარძლის სამყოფ ოთახში შეიპარა და სიმღერა-ფერხული ისე მოისმინა.

ფერხულის დროს ახალგაზრდა ქალებს პირბადეჩამოფარებული, აცრემლებული საპატრძლო წრის შუაში ჰყავთ ჩაყენებული, ნელ-ნელა წრეს უვლიან და ლექსებს უმღერიან. ქალთა შორის ერთი ლექსებს ამბობს, დანარჩენები კი უნისონში ჰყვებიან მას; სიმღერა ერთხმიანია, საპატარძლო რომ მღეროდეს, ასეთი ფაქტები ვერ დავადგინეთ, მაგრამ ერთი გამოსათხოვარი ფერხულის პოეტური ნიმუში გვაფიქრებინებს, რომ ადრე სიმღერაში საპატარძლოც მონაწილეობდა. ეს საინტერესო ნიმუში საპატარძლოსა და გუნდის დიალოგზეა აგებული:

,,მაი აბრეშუმის საკაბე ვინ მოგიტანა?

_ ჩემმა აღამ, საყვარელმა მან მომიტანა.
_ ყურზე საყურე გკიდია, ვინ მოგიტანა?
_ ჩემმა ჯანამ, საყვარელმა მან მომიტანა.
_ ხელზე საათი გაბია, ვინ მოგიტანა?
_ ჩემმა აღამ, საყვარელმა მან მომიტანა.
_ თითზე ბეჭედი რომ გაქვა, ვინ მოგიტანა?
_ ჩემმა ჯანამ, საყვარელმა, მან მომიტანა".
(მსხალაძე,1969:61)

როგორც ჩანს, გამოსამშვიდობებელი სიმღერები ერთ დროს თანაბრად იყო გავრცელებული მთელ აჭარაში და განსაკუთრებით კი - ზემო აჭარაში. ამის უტყუარი საბუთია რამდენიმე ვარიანტად ჩაწერილი ,,პატარძლის გამოთხოვება მშობლებთან", რომელიც უძველესი ხალხური საკრავის - ჭიბონის რეპერტუარში შედის. მეჭიბონეები საკრავზე მხოლოდ მელოდიას ასრულებენ. მაგრამ საგულისხმებელია, რომ ადრე მღეროდნენ კიდეც ან, ყოველ შემთხვევაში, სიმღერას აყოლებდნენ. ჭიბონზე შესრულებული გამოთხოვება მინორული ხასიათისაა და ტირილის ინტონაციებს შეიცავს, რაც იმის საბუთია, რომ ძველად აჭარაშიც არსებობდა საპატარძლოსთან გამოსამშვიდობებელი ლექს-სიმღერები, რომლებიც ფერხულის ფორმით სრულდებოდა. (მსხალაძე, 1969:61)

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საქორწილო ცერემონიალში ბოლო დრომდე შემორჩა მშობლიურ კერასთან პატარძლის გამოსათხოვარი რიტუალი და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში დიდი ხანია, მივიწყებულია.

ჩვენი აზრით, რასაკვირველია, უძველესი მშობლიური ტრადიციების დაკონსერვება და მათი დღემდე მოტანა, თვითგადარჩენის ინსტინქტით არის განპირობებული. თავდაპირველად, როცა სამხრეთ-დასვლეთი საქართველო ოსმალეთის მიერ იქნა მიტაცებული, ცხადია აქაურნი მკვიდრნი აგრძელებდნენ წინაპრების დანატოვარი ადათ-წესების შესრულებას, ეს იყო მათთვის არამარტო მოწოდება, არამედ ერთ-ერთი სარისკო მცდელობა ქართველობის შენარჩუნებისთვის. „სარისკო" იმიტომ რომ ოსმალური მმართველობა სასტიკად ებრძოდა ნებისმიერ ეროვნულ გამოვლინებას ნებისმიერი მეთოდით. ასე რომ სხვა შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ზეწოლების პარალელურად ისინი უმძიმესი სიღარიბისაკენაც მიექანებოდნენ, მაგრამ ყველაფერს იტანდნენ, რათა თავიანთი იდენტობა არ დაეკარგათ. მართალია, დღევანდელ იმერხევსა თუ თანამედროვე თურქეთის სხვა რეგიონში ნამღერ პატარძლის მშობლიურ კერასთან გამოსამშვიდობებელ სიმღერებს აღარა აქვს ის დატვირთვა რაც ჰქონდა მაშინ, მაგრამ, როგორც მოხსენებაში აღინიშნა დღეს იგი მრავალმხრივ საინტერესო ფაქტად

გვევლინება და ჩვენი მიზანია ამ კუთხით გავაგრძელოთ საინტერესო მასალის შეგროვება და შესწავლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბექაია, 1974 - მზია ბექაია ,,ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში“ ბათუმი.
2. მსხალაძე, 1969 - ალექსანდრე მსხალაძე ,,აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია“ ბათუმი.
3. ხიხარულიძე, 1960 - ქსენია სიხარულიძე, ,,საწესჩვეულებო პოეზია“ - კრებულში ,,ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, ტ. I, თბ.
4. ფუტკარაძე, 1993 - თამაზ ფუტკარაძე, ,,ქორწილი იმერხევში“, ბათ.
5. შიოშვილი, 2017 - თინა შიოშვილი, ,,კლარჯული ფოლკლორი“ თბ.

Abstract

The article discusses south western Georgian traditions of Bride's farewell to her home. For Georgian people our traditions are so important that's why I have decided to write about old southwestern tradition. In the article I have presented how the Bride goes out from her family to her wedding day. Until the son-in-low comes women are dressing up the Bride in this process they are singing, dancing and making a jokes. When son-in-low comes Bride goes in front of his, then son-in-low gives money to her parents and the wedding starts. As we know wedding consists of two parts first part is in Bride's family and the second in Boy's family.

In conclusion we can say that so unusual traditions we have but they were existing and I think it was interesting. I want to learn more about our traditions and I hope I can do it better and better.

ლიტერატურის ისტორია და ისტორია ლიტერატურაში (ლევან გოთუას „ხანძთის ზარი“)

მაგდა გოგიბერიძე, ნათია გიორბელიძე
ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია, მეორე კურსი,
ელ. ფოსტა: magda-gogiberidze@mail.ru, giorbelidze.natia@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ ჩოხარაძე,
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია ლევან გოთუას „ხანძთის ზარის“ ანალიზი. მოთხრობა დაიწერა 1945 წელს. მასში გაცოცხლებულია საქართველოს ისტორიის ურთულესი ეპოქა - მე-16 საუკუნის შუა ხანები, მოქმედება ვითარდება ხანძთასა და ოპიზაში. მოთხრობაში აღწერილია სავანეებში შეჭრილ ოსმალო დამპყრობელთა სიხარბე, სისასტიკე და დაუნდობლობა ერთი მხრივ და მეორე მხრივ - ქართველთა თავგანწირვა. თხზულება ასახავს მწერლის თანამედროვე ეპოქის კვალსაც. შესაბამისად, აღნიშნული თხზულების ისტორიასთან მიმართების ანალიზისას ინტერესის საგანია არა მხოლოდ თხზულებაში ასახული დრო, არამედ, ასევე, მწერლის თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ის გლობალური მოვლენები, რომლებიც საქართველოს უკავშირდება.

აშკარაა, „ხანძთის ზარის“ ავტორი, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს კონკრეტული ისტორიული ეპოქის დახატვას, საქართველოს წარსულის ტრაგიკული სურათების გაცოცხლებას, და, მეორე მხრივ, ეხმიანება თანადროულ ეპოქას, საკმაოდ მკაფიოდ მიანიშნებს იმედზე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოიტანა მსოფლიო პოლიტიკურმა მოვლენებმა. პირველ შემთხვევაში მწერლის მხატვრული ოსტატობა აშკარაა და იგი ახერხებს, ჩააფიქროს მკითხველი ძველი საქართველოს ტრაგიკულ ბედზე. რაც შეეხება „მეორე მხარეს“ იგი გულისხმობს მსოფლიო ომისშემდგომ იმედს ისტორიული სამხრეთ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა.

ნაშრომში ტექსტის ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა და შესაბამისი მეთოდოლოგია.

ნაშრომში მასალა, ძირითადად, დალაგებულია თემატურად, კერძოდ, წარმოდგენილია შემდეგი თემები: „ხანძთის ზარი“ და ქართულ სავანეთა ბედისწერა; „ხანძთის ზარის“ დაწერის დრო და საქართველოს საკითხი მეორე მსოფლიო ომის

შემდგომ მსოფლიო პოლიტიკაში; „ხანძთის ზარი“ და სავანის ადგილმდებარეობა; პერსონაჟები და პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა, ისტორია, რელიგია, ხანძთა.

შესავალი

ისტორიულ მასალაზე მუშაობისას, მწერალი შეიძლება ბეჯითად მიჰყვებოდეს კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს და პერსონაჟებად გამოჰყავდეს მემატიანეთა ჩანაწერებიდან ცნობილი პიროვნებანი, ან კიდევ სრული თავისუფლება მისცეს შემოქმედებით ფანტაზიას ანუ თხზულების საფუძველიშეიძლება იყოს არა რომელიმე კონკრეტული ისტორიული მოვლენა, არამედ საკუთარი წარმოსახვით შექმნილი კოლიზიები, რომელნიცასევე, წარმოსახვითს წარსულში ვითარდება. მწერლის შემოქმედებითი თავისუფლება და მისწრაფება შეუზღუდავია, აქ შეუძლებელია არსებობდეს რაიმე წესი და კანონი. მწერალი თავად ირჩევს ისტორიულ სინამდვილესთან მიმართების ფორმას და შესაბამისად წარმოაჩენსამათუიმისტორიულიეპოქისსურათს.

ამდენად, ისტორია ლიტერატურაში შეიძლება გამოხატული იყოს ნებისმიერი ინტერპრეტაციით და იგივე შეიძლება ითქვას ისტორიის რეპრეზენტაციის იდეურ პრინციპებთან დაკავშირებით. თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ ისტორიული თემატიკის ასახვის და ხორცშესხმის ქართული ლიტერატურული კონცეფცია, საკმაოდ ხშირად, მიჰყვება მე-19 საუკუნის ტრადიციებს ისტორიის გასულიერებაში ანუ ისტორიიდან მოხმობილი მასალაგამოყენებულია როგორც ზნეობრივი მაგალითი თანადროული ცხოვრებისთვის.

როცა ვსაუბრობთ ლიტერატურის ისტორიაზე და მეტადრე, საისტორიო თემებზე, ანუ ისტორიაზე ლიტერატურაში, შეიძლება შევეხოთ საზოგადოდ ლიტერატურის ისტორიის მიმართ დამოკიდებულების არაერთგვაროვნებასაც. რა თქმა უნდა, მხატვრული ლიტერატურა უპირველესად, ხელოვნებაა, მაგრამ იგი ამავე დროს „ნაციონალური ბიოგრაფიაა“, როგორც აღნიშნავდა ჰენრი მორლი, ტომას უორტონის სიტყვებით კი ლიტერატურის ისტორია სავსებით „სწორად გადმოსცემს დროთა თავისებურებებს“(უელეკი, უორენი, 2010: 367)

ლევან გოთუას „ხანძთის ზარის“ კითხვისას გარდაუვალია უპირველესად, სწორედ „დროთა თავისებურებებზე“ შეხება და, ამასთან, ბუნებრივი იქნება თუ ვიტყვით, რომ აღნიშნული თხზულების ისტორიასთან მიმართებაზე საუბრისას ჩვენი ინტერესის საგანია არა მხოლოდ ეპოქა, რომელიც თხზულებაშია ასახული, არამედ ისიც, რომ მოთხრობის შექმნის თარიღად მითითებულია 1945 წელი. ცხადია, აქ მხედველობაში გვაქვს ის, რომ ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორია

და, უფრო მეტად კი იდეური შინაარსი, პირდაპირ უკავშირდება მწერლის თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის გლობალურ მოვლენებს, ამდენად, თხზულების ანალიზისას მათი აღნიშნვა აუცილებელია და აღვნიშნავთ კიდეც ქვემოთ.

1. „ხანძთის ზარი და ქართულ სავანეთა ბედისწერა

„ხანძთის ზარში“ გაცოცხლებულია საქართველოს ისტორიის ურთულესი ეპოქა - მე-16 საუკუნის შუა ხანები, „ჟამითურქთამოძალებისადასამცხე-საათაბაგოსრბევისა“. მოქმედება ვითარდება ხანძთასა და ოპიზაში. აღწერილია სავანეებში შეჭრილ ოსმალო დამპყრობელთა სიხარბე, სისასტიკე და დაუნდობლობა ერთი მხრივ და მეორე მხრივ - ქართველთა თავგანწირვა.

მოთხრობის სიუჟეტი ვითარდება კლარჯეთში: ხანძთის მონასტერში განმარტოებულ გრიგოლ მცირეს, „უკანასკნელ ხანძთელს“, ერთადერთი მიზანი და საზრუნავი დარჩენია: „სულის მყუდროება და ორიოდ დარჩენილი დღის" ღირსეულად გასრულება ლოცვასა და საღვთო წიგნების თარგმნა-გადაწერაში“. მაგრამ ჟამთა სიავე სულის მყუდროებისთვის ადგილს აღარ ტოვებს, „გამდგარ ბერამდეც მოაღწია ხანძთისქვედა ქვეყნის ურვამდადრტვინვამ“, გრიგოლიც იძულებულია, მიჰყვეს ამქვეყნიური ყოფის ჯაჭვს და თვალი გაუსწოროს რეალობას: თურქები ოპიზას შესევიან და დიდი რბევისთვის ემზადებიან. ბერი საიდუმლო გასასვლელით გაემართა ოპიზასკენ და სენაკში მისულს აბჯარში გამოწყობილი ეფრემ მცირე დახვდა, რომელსაც მონასტრის მთელი საუნჯე ერთად მოეგროვებინა. სამონასტრო ქონების სამშვიდობოს გატანა და გადარჩენა, „შოშიტა-მორჩილთან“ ერთად, გრიგოლს დაეკისრა. მათ საიდუმლო გვირაბით გამოაღწიეს ოპიზიდან,ხანძთაში აიღესიქაური სიწმინდეები, მათ შორის - ხანძთის ზარიც... მალევე გაირკვა, რომ მდევრისგან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. ამიტომ გრიგოლმა შოშიტა გაისტუმრა ტვირთითურთ, თავად კი შეეცადა ხანძთის სიმდიდრეს დახარბებული მტრის შეყოვნებას, რასაც შეეწირა კიდეც. შოშიტამ კი სამშვიდობოს გააღწია და გრიგოლის სმენას სიკვდილის წინ მაინც მისწვდა იმედად ხანძთის ზარის ხმა „დაურბეველი საქართველოდან“.

2. „ხანძთის ზარის“ დაწერის დრო და საქართველოს საკითხი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო პოლიტიკაში

რით უკავშირდება მწერლის თანამედროვე ეპოქას თხზულებაში წარმოჩენილი ისტორია? რატომ მივუთითებთ მოთხრობის დაწერის თარიღზე?

საქმე ისაა, რომ მე-20 საუკუნის პოლიტიკური პროცესები მეტად მწვავედ შეეხო საქართველოს რეალობას. აქ მხოლოდ ორი ფაქტის შესახებ აღვნიშნავთ:

1. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ეს იყო ახალი რუსული ოკუპაციის დასაწყისი. ბოლშევიკურ რუსეთსა და თურქეთს შორის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმების, თურქეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის 13 მარტის ყარსის ხელშეკრულების შედეგად ორი დიდი იმპერიის ხელისუფალთა ნებით და ძალით ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების უმეტესი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში მოექცა.

2. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სამხრეთ საქართველოსთან დაკავშირებით ვითარება შეიცვალა, როცა ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის თურქეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპი დადგა,საქართველოში გაჩნდა იმედი სამშობლოსგან მოგლეჯილი მიწების დაბრუნებისა,ისტორიულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა.მითუმეტეს,რომ საბჭოთაკავშირი პირდაპირ მოითხოვდა არტაანის,ართვინისა(საქართველოსთვის) და ყარსის (სომხეთისათვის)ოლქების დათმობას და საკითხები საგანგებოდ განიხილეს „დიდი სამეულის“ (საბჭოთა კავშირი,აშშ,ინგლისი) პოსტდამის კონფერენციაზე (სამუშია, 2003:6).

1945 წლის 14 დეკემბერსგაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ქართველი ისტორიკოსების – სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის – წერილი „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. წერილის ავტორები ასაბუთებდნენ საქართველოს უფლებას თურქეთის საზღვრებში მოქცეულ სამხრეთი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე და დაასკვნიდნენ: „ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვიან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმიშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით. ე.ი. საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი“ (ჯანაშია, ბერძენიშვილი 1945).

ფაქტობრივად, ამით დაიწყო ფართომასშტაბიანი იდეოლოგიური კამპანია თურქეთის წინააღმდეგ. ს.ჯანაშიას და ნ.ბერძენიშვილის წერილს იმავე ან მომდევნო წლებში მოჰყვა არაერთი ცნობილი მეცნიერის,სასულიერო თუ საზოგადო მოღვაწის წერილები.აშკარა იყო,რომ მზადდებოდა საფუძველი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილების აღსრულებისათვის. ბუნებრივია, რომ ქვეყნისთვის საჭირბოროტო ამ პროცესში აქტიურად ჩაება ჩვენი მწერლობა. ომის შემდგომი ქართული ლიტერატურის ერთი ძლიერი ნაკადი სწორედ ამ თემამ შექმნა. ძველი თუ ახალი თაობის, პროლეტარული თუ აკადემიური წარსუ-

ლის, დედაქალაქელის თუ პროვინციელის,ლამის ყველა მწერლის შემოქმედებაში გაიჟღერა სამხრეთ საქართველოს მოტივმა.ზოგან უფრო მგზნებარედ, ომახიანად, ზოგანაც მოკრძალებით, ფრთხილად ბოლშევიკური იდეოლოგიის მომეტებული დოზით, მაგრამ მთავარ საკითხში გულწრფელი ერთსულოვნება სუფევდა-ყველა უსამართლობად მიიჩნევდა, რომ ეს მიწები საქართველოს აღარ ეკუთვნოდა (ჩოხარაძე, 2015: 180).

გასაგებია,რომ მთელი ეს კამპანია საბჭოთა ხელისუფლების ნებით და მითითებებითმიმდინარეობდა,მაგრამ არც ისაა საეჭვო,რომ ამ შემთხვევაში მიმთითებელთა ნება და ერის სულისკვეთება ერთმანეთს დაემთხვა.ვინც ასე თუ ისე იცნობს საბჭოთა ეპოქის ხასიათსა და მხატვრული ლიტერატურის იმჟამინდელ თავისებურებებს, ადვილად შეამჩნევს,რომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც და საზოგადოდაც, მწერლობამ მოხერხებულად ისარგებლა ნებადართული პატრიოტიზმით, სადინარი მისცა წლობით თუ საუკუნეობით სულში ნაგროვებ ტკივილს და ერთბაშად გაამჟღავნა გულისნადები(ჩოხარაძე, 2015: 180).

ხოლო იმ მწერალთა შორის, რომელთა ნაწარმოებების კონცეფცია და იდეური სულისკვეთება ბუნებრივად ემყარებოდა ტრადიციულ ეროვნულ და რელიგიურ ღირებულებებს და არა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურულ დოქტრინას, ერთ ერთი უპირველესი იყო სწორედ ლევან გოთუა - მწერალი, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი გადასახლებებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გაატარა მკვეთრად გამოხატული ეროვნული პოზიციის გამო.

3. „ხანძთის ზარი“ და სავანის ადგილმდებარეობა

ვიდრე მოთხრობაში განვითარებულ მოვლენებს უფრო დეტალურად გავადევნებდეთ თვალს, კიდევ ერთ საინტერესო გარემოებაზე უნდა მივუთითოთ: ხანძთის ადგილმდებარეობის შესახებ მეცნიერთა შორის დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს,რომ ხანძთა იგივე ნუკა-საყდარი და მისი მიმდებარე ტერიტორიაა, მეორე ნაწილის აზრით, ხანძთა ქვემო ფორთის უსახელო სამონასტრო კომპლექსია. ორივე სავანე კლარჯეთში, სოფელ ფორთას სხვადასხვა უბანში მდებარეობს და ერთმანეთისაგან 3-4 კილომეტრითაა დაშორებული.

ხანძთის ნუკა-საყდართან გაიგივების ვერსიას სათავე დაუდო ნიკო მარმა XX საუკუნის დასაწყისში,მოგვიანებით კი, XX საუკუნისვე 50-იან წლებში, პავლე ინგოროყვამ ქვემო ფორთის უსახელო სავანე მიიჩნია ხანძთად. მას შემდეგ ხანძთის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით მოსაზრებები ამ ორ სავანეს უკავშირდება (ჩოხარაძე, 2015: 258).

როცა „ხანძთის ზარი“ იწერებოდა, პ. ინგოროყვას მოსაზრებები ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. შესაბამისად ბუნებრივია, რომ ლ. გოთუა ნ. მარის ჩანაწერებს ეყრდნობა (მარი, 2015: 311) და სავანის თუ ადგილმდებარეობის აღწერისას და, ასევე, ახსენებს მდინარე კარჩხალას: „ტაძრის მთავარი ტანი ზედ უფსკრულის პირზე იყო აშენებული, ხოლო ორმხრივ ფრიალოდ ჩამოსული კლდე ზღვარავ-და“, „ღრმა ხეობიდან ძლივს აღწევდა კარჩხალულას და ჩანჩქერებული ტალღე-ბის შხუილი“...

4. პერსონაჟები და პრობლემები

„ხანძთის ზარის“ მთავარი პერსონაჟია გრიგოლ მცირე,მოვლენებიც სწორედ მის ირგვლივ ვითარდება.

გრიგოლი, იგივე გრიგოლ მცირე, იყო ბერი ხანძთის მონასტერში. ნაწარ-მოებში მკაფიოდ იკვეთება მისიუდრეკი ხასიათი, რწმენის სიმტკიცე. ხანძთის ზარი, როგორც სიმბოლო, მოთხრობაში თავიდანვე გამოიკვეთება. ზარი თურმე ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის-ალექსანდრეს მიერ იყო ნაბოძები „ღვთის სადიდებლად და საქართველოს სამეფოს წარსამართებლად“. ერთიანი ქვეყნის ხაზგასმაა ისიც, რომ გრიგოლს არასდროს ავიწყდება ამ ზარის დარეკვა...

კვამლის სუნი და მტრედების დაფრთხობა თხზულებაში მოსალოდნელ საფრთხეზე, მტრის გამოჩენაზე მინიშნებაა. მტრედი ხომ სისპეტაკისა და მშვი-დობის სიმბოლოა... თანდათან ცხადი ხდება, რომ საქართველოს მძიმე წუთები უდგას, და ბერიც ხვდება, რომ სულისთვის ზრუნვა აღარაა საკმარისი: მას ეკისრება რთული და მძიმედ შესასრულებელი მისია-უნდა გადაარჩინოს არა მხოლოდ მიმდებარე ტაძრების ხატ-საჭურჭლე,ხელნაწერები და წიგნები,არამედ ხანძთის ერთადერთი გადარჩენილი ზარი,რომელიც არცთუ ისე დიდია,მაგრამ საოცარი ხმა აქვს.ეს იმედის ხმაა,რომელიც „მოწოდებად და ბრძოლის ხმად უნდა გაჟღერებულიყო „დაურბეველ საქართველოში“ (გულუა, 2012: 44)... აქ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ზარი ერთიანი საქართველოს მეფის ნაბოძებია!

ოსმალებმა სასტიკად აწამეს ქართველი ბერი: “ჯერ ყველა თითი დაუთუთ-ქეს, მერმე მკლავებზე შემოაწვეს ძარღვები. გულისპირიც ცეცხლით ჩაუსერეს, მაგრამ ბერისდუმდა. ხანდახან გმინვას ლოცვასაც ამოაყოლებდა... ბოლოს გალო-ბა გააბა გმინვით...“ დაუნდობელი მომხვდურის ძალადობამ ვერ გატეხა ბერის სულიერი სიმტკიცე და ფიზიკური წამების მიუხედავად, მას არ წამოსცდენია სიტყვა „აკლდამა“, რომელშიც ქართველთა საუნჯე და სიწმინდეები იყო დაცუ-ლი. სამაგიეროდწამებულსყოველგვარი ტკივილი დაავიწყა ისევ და ისევ ხანძთის ზარის ხმამ, რომელიც მისთვის იყო ნუგეშისა და იმედის ერთადერთი ხმა.

„ხანძთის ზარის“ საინტერესო პერსონაჟია ოპიზის წინამძღვარი ეფრემ მცირე.ეფრემი არის სასულიერო პირი,რომელიც ხალხის და ქვეყნის ხსნისთვის ხელში იღებს ხმალს. სადაც ხმალი და ომია, იქ სისხლი და მკვლელობაცაა. როგორ უნდა მოიქცეს ბერი ასეთ ვითარებაში? - ეფრემის არჩევანი ბრძოლაში ჩაბმაა.

ამგვარად, ეფრემ მცირეც იძულებული გახდა, ხელში ჯვრის ნაცვლად ხმალი დაეჭირა და ოპიზაში შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ებრძოლა. რა თქმა უნდა, კაცის მოკვლა საშინელი დანაშაულია, „არა კაც კლაო“, - გვასწავლის მეექვსე მცნება. როგორც ვხედავთ, საანალიზო ტექსტი არ გამორიცხავს განსხვავებული ვითარების შესაძლებლობას სასულიერო პირისთვისაც კი. ეს რთული საკითხია და ფართო განსჯას იმსახურებს, თუმცა ამჯერად, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, მოკლედ მოვჭრით და იმასღა ვიტყვით, რომ ისტორია იცნობს მსგავს შემთხვევებს. მხატვრული ლიტერატურაც. აქ უნდა გავიხსენოთ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“. ნიშანდობლივია, რომ აკაკი აღწერს, როგორ მოუწოდებს თორნიკეს თვით არსენ კათალიკოსი, გაიხადოს ბერის სამოსი და ბრძოლაში ჩაებას. კათალიკოსის აზრით, მხოლოდ სიტყვა საკმარისი არაა ღვთის სადიდებლად, საჭიროების შემთხვევაში, თუ ეს ერისთვის აუცილებლობას წარმოადგენს, ბერმა ხმალიც უნდა დაიჭიროს და ქრისტიანობის დასაცავად იბრძოლოს: „გასავრცელებლადქრისტიანობის / საკმაოარის, დიახაც, ჯვარი, / მაგრამ მის მტრების მოსაგერებლად / ხშირადგვჭირდებახმალიდაფარი!…“ - აცხადებს იგი.

თუმცა, აქვე უნდა მივუთითოთ რომ ბერები შექმნილ ვითარებას განსაკუთრებული ტრაგიკულობით აღიქვამენ: ეფრემი თავს უფლებას ვერ აძლევს, ადამიანის სისხლში გასვრილი ხელით შეეხოს ხახულის ხატს. „ხელი ვეღარ შევბედეთ მოსალოცად“, - ამბობს იგი და იქვე აზუსტებს: „ბრძოლაში... ადამიანის სისხლი ამყვა ხელზე. ვერც ვინ ვაზიარე... ნასისხლი ხელებით სხვების დალოცვაც ვერ მიყო გულმა“.

ქართულ სავანეთა სიწმინდეების გადარჩენა გრიგოლთან ერთად შოშიტას ტვირთია: მისი ღვაწლია,ქართველებსსაუკუნეების განმავლობაში რომ ესმოდათ იმედის ზარის ხმა... შოშიტასიკეთით სავსეა,ერთგულია, ამტანი და ზოგჯერ ფიცხიც...ამასთან მწიგნობრობის მოყვარე სახელოვანი ვაჟკაცი,შემდგომში - ბერი.საპალნეაკიდულ ცხენებთან და ჯორებთან ერთად მან ზურგით ზიდა იმედი,სინათლე და ძალა,რასაც წარმოადგენდა ხანძთის ზარი... ანუ, აშკარაა, რომ ხანძთის ზარის ხმა მოთხრობის სიმბოლური რკალის ძირითადი ნაწილია, მისი საყრდენია. სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს იმასაც, რომ თხზულებაში მოქმედების ადგილად ხანძთა და ოპიზაა შერჩეული და ხანძთელ ბერსაც გრიგოლი ჰქვია. გავიხსენოთ, რომ კლარჯეთში ჩასული დიდი გრიგოლ ხანძთელი თავდაპირველად ოპიზას დაემკვიდრა („ხანძთის ზარის“ გრიგოლი

ხანძთაში გადმოსვლამდე ოპიზის წინამძღვარი იყო), ეძება სამონასტრე ადგილი, ამავე ეპოქაში აიგო ხანძთა და სხვა მონასტრები, ჩაუყარა საფუძველი საქართველოს აღორძინებას. ხანძთის ზარის ხმაც ლ. გოთუას მოთხრობაში აღორძინების იმედია, დაურბეველი საქართველოდან რომ ისმის დაპყრობილ მიწაზე და არც მომავალ საუკუნეთა ხსენებაა რთულად ასახსნელი მინიშნება „კარჩხალის ქედის თავიდან მკაფიოდ მოისმოდა ზარის ფიცხელი რეკვა! ნუგეშად და ბრძოლის ხმად ვრცელ გარემოს ეფინებოდა... ნაჭარბ ილეკრო-ვერცხლისაგან ჩამოსხმული ხანძთის ზარი,მომავალ საუკუნეებში წასულ იმედივით, არხევდა თავის ხალასსა და საამო ხმას."

დასკვნა

„ხანძთის ზარის" ავტორი, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს კონკრეტული ისტორიული ეპოქის დახატვას, საქართველოს წარსულის ტრაგიკული სურათების გაცოცხლებას, და, მეორე მხრივ, ეხმიანება თანადროულ ეპოქას და საკმაოდ მკაფიოდ მიანიშნებს იმედზე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოიტანა მსოფლიო პოლიტიკურმა მოვლენებმა. პირველ შემთხვევაში მწერლის მხატვრული ოსტატობა აშკარაა და იგი ახერხებს, ჩააფიქროს მკითხველი ძველი საქართველოს ტრაგიკულ ბედზე. რაც შეეხება „მეორე მხარეს" ანუ ომისშემდგომ იმედს - საბჭოთა ხელისუფლება მოქმედებდა სსრკ-ს ინტერესებიდან გამომდინარე და არაფრად უღირდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი თუ ქართველი მწერლების პატრიოტული მისწრაფება. შესაბამისად, ზემოხსენებულ იდეოლოგიური კამპანიას შედეგი არ მოჰყოლია. როგორც აღნიშნულია საისტორიო ლიტერატურაში, „1953 წლის მაისში საბჭოთა კავშირის მთავრობამ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ სომხეთის და საქართველოს მთავრობებმა უარი განაცხადეს თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ (საქართველოს ისტორია, 2012: 435).

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლევან გოთუასეულ „მომავალ საუკუნეებში წასულ" იმედს ასრულება არ ეწერა და აღარც სამხრეთ საქართველოს მისწვდებოდა ხანძთის ზარის ხმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **გულუა, 2012: გულუა ნ.,** ლევან გოთუას ქრისტიანული მრწამსი პროზის მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XVI, ქუთაისი;
2. **მარი,2015:** მარი ნ.,შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, რუსულიდან თარგმნა რ. დიასამიძემ, ბათუმი;
3. **სამუშია, 2003:** „ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან“ (მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ჯაბა სამუშიამ) თბილისი;
4. **საქართველოს ისტორია, 2012:** საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტომი IV, ავტორები: ალ. ბენდიანაშვილი, ალ. დაუშვილი, მ. ნათმელაძე, თბილისი;
5. **უელეკი, უორენი, 2010:** ციტირებულია წიგნიდან: უელეკი რ., უორენის ო., „ლიტერატურის თეორია“, თბილისი;
6. **ჩოხარაძე, 2015:** ჩოხარაძე მ., ხანძთა და ათორმეტ სავანეთა მხარის ძველი სალოცავები, ბათუმი;
7. **ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1945:** ჯანაშია ს. ბერძენიშვილი ნ. თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, 14 დეკემბერი, 1945 წ. (ციტირებულია კრებულიდან „ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან“ - სამუშია, 2003).

abstract

The purpose of this work is to analyze Levan Gotua's "khandztis Zari".The story was written in 1945.It revives the most difficult era of Georgian history in the middle of the 16th century, with action evolving in Khandzta and Opiza. On the one hand story captured the greed, cruelty and ruthlessness of the Ottoman Conquerors and the sacrifice of the Georgians on the other hand.The narration also reflects the modern era of the writer.Consequently, in analyzing the history of the above mentioned work, the subject of interest is not only the time reflected in the narrative but also the global events of the contemporary world politics of the writer that are connected with Georgia.Clearly, the author of "khandztis Zari"on the one hand, aims to paint a specific historical era, revive tragic images of Georgia's past, and on the other hand, echoes the contemporary era, quite clearly indicating the hope that post-World War II political events brought.In the first case the writer's artistic mastery is obvious and it manages to cut the reader to the tragic fate of old Georgia.As for the "other side", it implies the post-World War II hope of reclaiming the lost territories of historic South Georgia.The complex literary-scientific approach and appropriate methodology are provided during interpretation of the text.The material is mainly thematically sorted, with the following topic "khandztis Zari" and the location of the Tabernacle; Characters and Problems.

Keywords: Literature, History, Religion, Khandzta.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა

გიორგი ბაციკაძე
ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ისტორია, მესამე კურსი.
ელ. ფოსტა: Giorgibatsikadze21@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოთარ გოგოლიშვილი,
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

აბსტრაქტი

1918 წლის 26 მაისს, საქართველომ აღიდგინა ერთი საუკუნის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა. უმძიმესი მემკვიდრეობის და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის პირობებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეძლო გაეტარებინა მნიშვნელოვანი რეფორმები, რაც განადგურებული ეკონომიკის გამოცოცხლებისა და აღორძინების, დასუსტებული სახელმწიფოს სოციალური პრობლემების აღმოფხვრისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისკენ იყო მიმართული. რეფორმები გატარდა ეკონომიკის, საგანმანათლებლო, თავდაცვის, სასამართლო და აგრარული მიმართულებით. მიუხედავად მიზანმიმართული ნაბიჯებისა, ქვეყანაში მდგომარეობა მეტად რთული რჩებოდა. რეფორმების დამაგვირგვინებელ ეტაპს კონსტიტუციის მიღება წარმოადგენდა. მასში განსაზღვრული და ნათლად წარმოჩენილი იყო საქართველოს პოლიტიკური კურსი და ის ძირითადი ღირებულებები, რაც სამწლიანი დამოუკიდებლობის და სახელმწიფოს ჩამოყალიბების ღერძს წარმოადგენდა.

შესავალი

საქართველოს ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორიის განმავლობაში 1918-1921 წლები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო პერიოდია. ქართველმა ერმა შეძლო აღედგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა რუსეთის საუკუნოვანი ბატონობის შემდგომ და ეწარმოებინა მიზანმიმართული და საფუძვლიანი პოლიტიკა ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური

სტაბილურობისთვის. მიუხედავად დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდის, უდიდესი პრობლემების და როგორც საშინაო,ისე საგარეო შეიარაღებულ კონფ-ლიქტებში გახლართულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავ-რობამ შეძლო გაეტარებინა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, პოლი-ტიკური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, თავდაცვის, საფინანსო და რიგ სფერებში, რაც სამომავლო განვითარებისთვის ხელსაყრელ წინაპირობებს ქმნი-და. თუმცა, ქვეყანაში ისევ მძიმე მდგომარეობა სუფევდა, დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა ბევრი ღონისიძიების ბოლომდე მიყვანა. ამ მოვლენების, გატა-რებული ღონისძიებების და თითოეული ნაბიჯის სიღრმისეულად შესწავლა და ანალიზი საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ ძირითადი პრობლემები და საშინაო პოლიტიკის სუსტი მხარე, ვინაიდან და რადგანაც, საქართველოს დე-მოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკიდან მნიშვნელოვანი პარალე-ლების გავლება შეიძლება იმ პრობლემების და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტე-ბის ფუნქციონირების ძირეული ხარვეზების საკითხთან დაკავშირებით რის წინაშეც საქართველო თანამედროვე პერიოდშიც დგას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა

1918 წლის 26 მაისს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკი-დებლობა. ჩამოყალიდბა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრო-ბა შემდეგი შემადგენლობით: **ნოე რამიშვილი**-მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, **გრიგოლ გიორგაძე**-სამხედრო მინისტრი, **აკაკი ჩხენკელი**-საგარეო საქმეთა მინისტრი, **გიორგი ლასხიშვილი**-განათლების მინისტრი, **გიორგი ჟურული**-ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, **ნოე ხომერიკი**-მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი, **შალვა მესხიშვილი**-იუსტიციის მინისტრი, **ივანე ლორთქიფანიძე**-გზათა მინისტრი. ივნისში მოხდა ცვლილება და მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა **ნოე ჟორდანია**, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა **ევგენი გეგეჭკორმა**. 1919 წელს მოხდა ცვლილება, 21 მარტს დამტკიცდა ერთპარტიული მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. მთავრობის შემადგენლობა შემდეგი იყო: **ნოე რამიშვილი** - შინაგან საქმეთა,სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრი, **ევგენი გე-გეჭკორი** - საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი, **ნოე ხომერიკი** - მიწათ-მოქმედებისა და შრომის მინისტრი, **კონსტანტინე კანდელაკი** - ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.**(ჯანელიძე, 1990 : 12)**

ბრძოლა სახელმწიფოს ერთიანობისთვის

რუსეთის იმპერიის დაშლისთანავე იჩინა თავი სეპარატიზმმა. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტებს აქეზებდა და მხარს უჭერდა რუსეთი,

აჭარაში კი თურქეთი. სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებას საინგილოში თურქეთი და ირანი ცდილობდნენ.

სეპარატისტული მოძრაობები აღნიშნულ რეგიონებში გაგრძელდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც. საქართველოს მთავრობა ცდილობდა ზედმეტი გართულებების გარეშე მოეგვარებინა ეს საკითხები. 1918 წლის ივნისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აფხაზეთს შიდა საქმეებში ენიჭებოდა ავტონომია, ხელშეკრულება ითვალისწინებდა ქართული გვარდიის ნაწილების აფხაზეთში განლაგებას. თუმცა, აფხაზი სეპარატისტები სრული დამოუკიდებლობისთვის ისწრაფვოდნენ, რამაც გამორიცხა ამ საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარება. სეპარატისტებს მხარს უჭერდნენ კაზაკთა რაზმები. ქართულმა გვარდიამ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით 1918 წლის ივნისში დაიკავა სოხუმი, შემდეგ გაგრა, ადლერი, სოჭი და ტუაფსე. ამას მტრულად შეხვდა ახლად ჩამოყალიბებული ყუბანის რესპუბლიკა, რომელთანაც დაიწყო მოლაპარაკება საზღვრების დადგენის მიზნით. მოლაპარაკება პრაქტიკულად უშედეგოდა დასრულდა. აღნიშნულ სიტუაციაში ინგლისმა საქართველოს არ დაუჭირა მხარი, რამაც გამოიწვია მოხალისეთა არმიის გააქტიურება და საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა. 1919 წელს პარიზის საზავო კონფერენციაზე კარლო ჩხეიძემ მიმართა კონფერენციის თავმჯდომარეს და დიდ სახელწიფოებს, რათა მიეღოთ საჭირო ზომები იმისათვის, რომ მოხალისეთა არმიას პატივი ეცა საქართველოს საზღვრებისთვის.

1919 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება, აფხაზეთმა მიიღო ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში. აღნიშნული გადაწყვეტილება დამტკიცდა საქართველოს 1921 წელს მიღებულ კონსტიტუციაშიც.

მწვავე მდგომარეობა იყო სამაჩაბლოშიც. ოსი სეპარატისტები ცხინვალის რეგიონის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას რუსეთის დახმარებით გეგმავდნენ. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა 1920 წელს, როდესაც კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო დადგენილება ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და ამ რეგიონის რუსეთთან შეერთების შესახებ. 1920 წლის ზაფხულში ქართული არმიის ნაწილებმა, ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, დაამარცხა ოსი სეპარატისტები. საქართველოს იურისდიქცია აღსდგა ცხინვალის რეგიონზე.

კიდევ უფრო რთული მდგომარეობა სუფევდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომელიც თურქებს ეჭირათ. საქართველოს თურქეთთან საომარი მოქმედებების წარმოება არ შეეძლო. 1918 წლის 4 ივნისს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები თურქეთის კონტროლქვეშ რჩებოდა. თურქები ცდილობდნენ საინგილოს ჩამოშორებას საქართველოსგან.

თუმცა, თურქეთის მარცხმა პირველ მსოფლიო ომში მისი მოქმედება შეაფერხა. მუდროსის ზავით თურქეთმა დატოვა ოკუპირებული ტერიტორიები. ბათუმის ოლქში თურქები ინგლისელებმა ჩაანაცვლეს. ისინი რეგიონს აკონტროლებდნენ 1918 წლის დეკემბრიდან 1920 წლის ივლისამდე. 1920 წლის ივლისში აღსდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია.

I. ადმინისტრაციული მოწყობა

გამართული და ჩამოყალიბებული სახელმწიფოსთვის უდიდესი და არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გამართულ ადმინისტრაციულ მოწყობას. ეს კი ახალბედა მთავრობისთვის, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ მიღებული მძიმე სურათის ფონზე, რთული საქმე იყო და მის დაძლევას მყარი და გონივრული გეგმა სჭირდებოდა.

1918 წლის აგვისტოში მიღებული კანონის მიხედვით საქართველო დაყოფილ იქნა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად: თბილისის გუბერნია შვიდი მაზრით, ქუთაისის გუბერნია შვიდი მაზრით, სოხუმის ოლქი, ზაქათალის ოლქი. მოცემულ სიას 1920 წლის ივნისში ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოეყო ბათუმის ოლქი. აღნიშნულ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს გააჩნდათ თავიანთი ბიუროკრატიული აპარატი. გუბერნიის ადმინისტრაციის უმაღლესი საფეხურის წარმომადგენელი იყო-გუბერნიის კომისარი, ხოლო ოლქში და მაზრაში ოლქისა და მაზრის კომისარი შესაბამისად. თუმცა, 1918 წელსვე გაუქმდა გუბერნიებად დაყოფა და ყველა მაზრაში ჩატარდა საერობო კრების არჩევნები. მომდევნო წელს მაზრებში ჩამოყალიბდა მრავალპარტიული საერობო კრებები, რომლის აღმასრულებელი ორგანოც გამგეობების სახით იყო წარმოდგენილი. ამის შემდეგ განხორციელდა საქალაქო თვითმმართველობების რეფორმა. არჩეულ იქნა მრავალპარტიული საქალაქო სათათბიროები მისი გამგეობებითურთ. ამგვარად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოყალიდბა ადგილობრივი მმართველობის მყარი სისტემა, რომელიც დაფუძნებული იყო დემოკრატიულ პრინციპებზე. **(გურული, 2003 :63)**

II. სამხედრო რეფორმა

ახლად ჩამოყალიბებული ქვეყნისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავდაცვის უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომ, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გააფორმა ხელშეკრულება გერმანიასთან სამხედრო-პოლიტიკური დახმარების თაობაზე, რაც საქართველოში გერმანიის შეიარაღებული ძალების შეზღუდული რაოდენობით შემოყვანას ითვალისწინებდა. თავდაცვის საკითხში მთავარი და არსებითი მნიშვნელობა რეგულარულ არმიას

ჰქონდა. 1918 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა სახალხო გვარდია, იმავე წლის 20 აგვისტოს მიღებულ იქნა კანონი საქართველოს რეგულარული არმიის ორგანიზების შესახებ. იმთავითვე დაწესდა და განისაზღვრა სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადები: ნამდვილ სამსახურში-2 წელი, სათადარიგოში-15 წელი და ლაშქარში-8 წელი. მრავალრიცხოვანი არმიის შესანახად საქართველოს მთავრობას საკმარისი მატერიალური სახსრები არ გააჩნდა, ამიტომ მუდმივი არმიის შემადგენლობა 40000 ჯარისკაცამდე იყო. გარდაა არმიისა, მთავრობამ დიდი ყურადღება დაუთმო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას,რაც სახალხო გვარდიას და მილიციას უნდა უზრუნველეყო. შეიქმნა საგანგებო რაზმები, რომელთაც „მფრინავი რაზმები ეწოდათ“,მათი ფუნქცია ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების ლიკვიდაცია იყო. **(ჯანელიძე, 1990 :14)**

III. სასამართლო

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში უაღრესად დიდი როლი გააჩნია გამართულ და მყარ მართმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. სრულფასოვანი სასამართლო სისტემა საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში. სწორედ ამიტომ დიდი ყურადღება დაეთმო სასამართლო რეფორმას.

1918 წლის სექტემბერში ძველი სასამართლოს ნაცვლად შეიქმნა დროებითი საგანგებო სასამართლო. თავდაპირველად ფუნქციონირებდა თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის საგანგებო სასამართლო, ქუთაისში-ქუთაისის გუბერნიის და სოხუმში-სოხუმის საგანგებო სასამართლოები. იმავე წელს სასამართლო რეფორმის შედეგად შეიქმნა სამომრიგებლო სასამართლოები და საქართველო დაიყო სამომრიგებლო ოლქებად. რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო აპარატის ფუნქციას თავდაპირველად თბილისის სასამართლო პალატა ასრულებდა. მომრიგებელი სასამართლოს მოსამართლეების თანამდებობა არჩევითი იყო. 1919 წელს შეიქმნა უმაღლესი სასამართლო დაწესებულება-სენატი. **(გურული, 2003 : 62-63)**

IV. ეკონომიკა

ქვეყნის ეკონომიკა იყო მთავარი საკითხი,რომელსაც ეფუძნებოდა ყველა სახელმწიფო სტრუქტურა და სოციალური სფერო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიღებული რთული ეკონომიკური სიტუაციისა და გაჩანაგებული მეურნეობის გამოსწორება ძირითადი ორიენტირი უნდა ყოფილიყო, რაც განსაზღვრავდა ქვეყნის სწორხაზოვან და მყარ სამომავლო განვითარებას. თუმცა, რიგი

ღონისძიებებისდა მიუხედავად, პრობლემებში ყელამდე ჩაძირული ხელისუფ-ლებისთვის ეს მეტად რთული საქმე აღმოჩნდა. 1918 წელს დაიწყო მიწის რეფორ-მა, რომელიც 1 წელი გაგრძელდა. მიწა გლეხებზე უნდა განაწილებულიყო. განისაზღვრა მიწის ფართობები, რომლებიც მოსახლეობას უნდა მიეღო. მიწების განაწილების პროცესი სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვაგვარად წარიმართა, სხვადასხვა იყო მიწის ფართობიც(7 დესეტინიდან 14 დესეტინამდე). სახელ-მწიფო ტერიტორიის ნაწილი, ტყის მასივი,საძოვრები,ბუნებრივი წიაღისეული, მდინარეები არ ექვემდებარებოდა განაწილებას. რეფორმით გათვალისწინებული იყო ბატონყმობის გადმონაშთების აღმოფხვრა. აგრარული რეფორმის მთავარ მიზანს გლეხების მდგომარეობის გაუნმჯობესება, სოფლის მეურნეობისა და საერთო ეკონომიკური ვითარების გაუნმჯობესება წარმოადგენდა.

საფინანსო სფეროში უდიდესი ნაბიჯი იყო 1919 წელს საქართველოს ეროვ-ნული ბანკის დაარსება. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაარსდა შემდეგი ბანკები: „ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი (ძირითადი თანხით 30 მლნ მან, 1920 წელი); საქართველოს კოპერატიული ბანკი (ძირითადი თანხით 14.600 ათასი მან, 1920 წელი); ევროპა-კავკასიის ბანკი (ძირითადი თანხით 6 მლნ მან, 1918 წელი) ფოთის ქართული ბანკი (ძირითადი თანხით 30 მლნ მან, 1920 წელი) და ჭიათურის ბანკი (ძირითადი თანხით 360 ათ. მან, 1920 წელი). გარდა ამისა, 1919 წლიდან მოქმედებდა იტალო-კავკასიის ბანკი (ძირითადი თანხა 40 მლნ იტალიური ლირა), რომელიც ხელს უწყობდა დემოკრატიული საქართ-ველოს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარებას“. **(ათანელიშვილი, 2006 :132)**

1919 წლის დეკრეტით საქარველოს რესპუბლიკის ბონის გამოშვება დაიწყო, რომელიც გათანაბრებული იყო რუსეთის მანეთთან და ამიერკავკასიის ბონთან. ბონებს უნდა ემოქმედა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის გამოშვებამდე. სახელმწიფომ დაიწყო ბონის ემისია, რომლის დიდი ნაწილიც ხმარდებოდა სამთავრობო ხარჯებს. ემისიებს ბუნებრივი შედეგი - ინფლაცია მოჰყვებოდა, რაც ცუდი იყო საინვესტიციო გარემოსთვის და ვაჭრობისთვის. ამას ემატებოდა არაპირდაპირი გადასახადებიც, რომელიც კიდევ უფრო აჩქარებდა ინფლაციის ტემპს. ურთულესი პრობლემა იყო ბიუჯეტის დეფიციტი, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო ბიუჯეტის გაუწერლობით. მხოლოდ 1920 წელს მოხერხდა 1919-1920 წლების შემოსავალ- გასავალის აღრიცხვა და ამავდროუ-ლად შემოიღეს სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობა, რომელსაც ფინანსე-ბის მიზნობრივი ხარჯვის კონტროლი დაევალა და რომელიც ანგარიშვალდე-ბული იყო დამფუძნებელი კრების წინაშე. ათანელიშვილი ქართულ ბონს საკ-მაოდ მყარი კურსი ჰქონდა, იგი მიმოქცევაში 1923 წლამდე დარჩა.

მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, ქვეყანაში ისევ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა სუფევდა, მოსახლეობა ისევ დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდა. ამ სიტუაციის გამოყენებას ცდილობდა პოლიტიკური ოპოზიცია.

V. სოციალური პოლიტიკა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა საზოგადოების სოციალური მდგომარეობის გაუნმჯობესებისათვის. 1920 წელს დაარსდა ჯანმრთელობის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციაც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის წარმართვა, საზოგადოებრივი ღონისძიებების ორგანიზება, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების შექმნა იყო. იმავე წელს მიღებულ იქნა კანონი შრომითი ხელშეკრულების შესახებ, რომელმაც განსაზღვრა დამსაქმებლის და დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებები, დაქირავებისა პირობები, ანაზღაურების წესები და ა.შ. კანონი საქართველოში შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებას ითვალისწინებდა და მიზანმიმართული ნაბიჯი იყო მოცემული სფეროს განვითარების საკითხში.

VI. საგანმანათლებლო პოლიტიკა

სახელმწიფოს ღერძი განათლებაა, იმდენად, რამდენადაც განათლებას და გამართულ საგანმანათლებლო სისტემას ეფუძნება ქვეყნის მომავალი. მიუხედავად მატერიალური სახსრების სიმცირისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეძლო დიდი ყურადღება მიექცია და შედეგობრივი ღონისძიებები გაეტარებინა საგანმანათლებლო სისტემის აღმავლობისათვის. 1918 წელს 3 სექტემბერს, მთავრობის გადაწყვეტილებით, თბილისის უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდა. იმავე წელს თბილისის სემინარიები გარდაიქმნა სახელმწიფო სკოლებად. დიდი ყურადღება მიექცა კულტურის განვითარებას. 1919 წელს დაარსდა საქართველოს მუზეუმი და დაექვემდებარა განათლების მინისტრს, მუზეუმს ხელმძღვანელობდა ნოე ყიფიანი. 1920 წელს დაიწყო საქართველოს მუზეუმის პერიოდული გამოცემები. 1920 წლის 28 მაისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ისტორიული და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლების საქართველოდან გატანის აკრძალვის თაობაზე. 1920 წელს დაარსდა სამხატვრო გალერეა, რომელიც ასევე განთლების მინისტრს დაექვემდებარა. საქართველოს მთავრობამ 1920 წლის 23 აპრილს გამოსცა დადგენილება საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ, დირექტო-

რად დაინიშნა პეტრე გელეიშვილი. არქივმა უდიდესი როლი შეასრულა გაფანტული ეროვნული ფასეულობის მქონე დოკუმენტების მზის სინათლეზე გამოტანისა და დაცვის საქმეში.

VII. დროშა და გერბი

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა სახელმწიფოს სიმბოლიკების: დროშის,გერბის და ჰიმნის შემუშავება. საქართველოს დროშა და გერბი შეიმუშავეს იაკობ ნიკოლაძემ და იოსებ შარლემანმა, ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით. 1918 წელს დამტკიცდა გერბი, რომელზეც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. დროშად დაგინდა სამფეროვანი დროშა, წითელ ფერზე მარცხენა ზედა მეოთხედი წარმოდგენილი იყო ზედა შავი და ქვედა თეთრი ჰორიზონტალური ხაზებით. სახელმწიფო ჰიმნად გამოცხადდა კონსტანტინე ფოცხვერაშვილის „დიდება“.

VIII. კონსტიტუცია

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის რთული გზის დამაგვირგვინებელ ეტაპს და უდიდეს მიღწევას წარმოადგენდა საქართველოს ისტორიაში პირველი კონსტიტუციის შექმნა. სამი წლის მუშაობის, 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს მთავრობამ მიიღო და დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუცია მოიცავს 17 თავსა და 149 მუხლს. კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ საქართველო სუვერენული უფლებების მატარებელი და სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომლის პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა, იგი მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა საერთაშორისო ომიანობის დროს. კონსტიტუციაში მკაფიოდ იყო წარმოჩენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სურვილი კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან. ყველა მოქალაქე თანასწორია განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია: 1.წარმოშობით 2.ქორწინებით და 3. ნატურალიზაციით. სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული ენა. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა პარლამენტი, რომელიც საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების გზით უნდა არჩეულიყო. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა მთავრობას, ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი იყო მთავრობის თავმჯდომარე. გამოცხადდა სასამართლოს სრული დამოუკიდებლობა. კონსტიტუციით გაუქმდა სიკვდილით დასჯა. ყველა მოქალაქე თანასწორი იყო კანონის წინაშე. საქართველოს განუყოფელ ნაწილებს-აფხაზეთს,აჭარასა და საინგილოს მიენიჭათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომია.

დაკანონდა უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლება. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მიღებიდან 4 დღეში საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და კონსტიტუციას პრაქტიკულად არ უმოქმედია, ეს უდიდესი მოვლენა იყო არა მხოლოდ ახალი პერიოდის, არამედ საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში. ის ნათლად წარმოაჩენდა იმას,რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მკაფიოდ ჰქონდა განსაზღვრული ქვეყნის განვითარების ძირითადი მიმართულება. კონსტიტუცია სახელმწიფოებრიობის და სამომავლო განვითარების მყარი საფუძვლის ფუნდამენტური გამოხატულება იყო.

დასკვნა

1918-1921 წლები ქართველი ხალხის საუკუნოვანი მისწრაფებისა და დაუცხრომელი ბრძოლის შედეგად მოპოვებული დამოუკიდებლობის წლებია. ეს პერიოდი აღსავსეა უაღრესად საინტერესო და უმნიშვნელოვანესი ფაქტებით. 1918 წლის 26 მაისს მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ, საქარველოს ახალბედა მთავრობა შეუდგა მემკვიდრეობით მიღებული უმძიმესი პრობლემების აღმოფხვრას და ქვეყნის ფეხზე დაყენებას. განხორციელდა ახალი ადმინისტრაციული მოწყობა, ჩამოყალიბდა საქართველოს არმია და განისაზღვრა სამხედრო სამსახური, გატარდა რეფორმები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუნმჯობესებლად, მიზანმიმართული ნაბიჯები გადაიდგა ფინანსურ სფეროში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მნიშვნელოვანი პოლიტიკა აწარმოა საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესებისათვისა და მისი საფუძვლიანად ჩამოყალიბებისათვის, დემოკრატიულ ყაიდაზე გარდაიქმნა მართლმსაჯულება, განხორციელდა ბევრი სოციალური ღონისძიება. ქართული საქმის მესვეურებმა დიდი ყურადღება დაუთმეს კულტურას. ყოველივე ეს მიმდინარეობდა გაცხარებული კონფლიქტების ფონზე. გარე ძალები აქტიურად ცდილობდნენ ვითარება გაემწვავებინათ საქართველოში და როგორმე ხელი შეეშალათ სახელმწიფოს ჩამოყალიბების დაწყებული პროცესისთვის. ღვივდებოდა სეპარატისტული მოძრაობები. დამოუკიდბლობის ხანმოკლე მანძილზე საქართველო ჩაფლული იყო, როგორც საშინაო, ისე საგარეო შეიარაღებულ კონფლიქტებში. ერთგულ მამულიშვილთა დაუცხრომელი სულისკვეთების წყალობით საქართველომ შეძლო აუცილებელი საფუძველი მოემზადებინა სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ურთულეს გზაზე. რეფორმების დამაგვირგვინებელ ეპატს წარმოადგენდა საქართველოს ისტორიაში პირველი კონსტიტუციის მიღება 1921 წლის 21 თებერვალს. კონსტიტუცია ქართული პოლიტიკური კულტურის ნათელი მაგალითი იყო, რომელიც განსაზღვრავდა და წარმოაჩენდა

საქართველოს სამომავლო მიზნებს. თუმცა, დაწყებული საქმის დასრულება ვერ მოხერხდა, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველო დაპყრობილ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული, „საქართველოს ისტორია „, XX საუკუნე, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი. 2003

2. ოთარ ჯანელიძე, „26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ“, თბილისი. 1990

3. ალექსანდრე ბენდიანიშვილი, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“, გამომცემლობა „მემატიანე“, თბილისი. 2000

4. თამარ ათანელიშვილი, რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), თბილისი. 2006

5. აკაკი რამიშვილი, ჩვენი შეცდომები 1918-1921, თბილისი, 2006

6. ერმილე მესხია, „მუზეოლოგია“, გამომცემლობა „უნივერსალი“, ბათუმი. 2014

7. საქართველოს ისტორია 4 ტომად, ტომი 4, თბილისი. 2012

8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები 8 ტომად, ტომი 6, თბილისი. 1972

9. ნიკოლეიშვილი ამირან, „კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“, ქუთაისი. 1998

10. არჩილ ჩაჩხიანი, „რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები)“, თბილისი. 2014

11. საქართველოს ნოკსტიტუცია, ბათუმი, 1921

12. Henry Wilson, "The military correspondence of Field Marshall Sir Henry Wilson", 1918-1920, London. 1985

13. Donald Rayfield, "Edge of Empires: A history of Georgia", London. 2012

14. Firuz Kazemzadeh, "The Struggle for Transcaucasia (1917-1921)", New York. 1951

Abstract

On 26 may 1918, Georgia reestablished sovereignty lost a century ago. In the conditions of fighting for territorial integrity and the heaviest heritage the government of Democratic Republic of Georgia could manage to carry out an important reforms which were aimed at restoring and reviving of the destroyed economy, eradicating of social problems of weakened country and enhancing of defensive capacity. Reforms were implemented in the direction of economics, education, defense, judiciary and agriculture. In spite of deliberate steps the situation in the country was very hard. The decisive stage of reforms and the main achievement was the constitution. The constitution determined a political course and essential values of Democratic Republic of Georgia.

ნიკოლო მაკიაველი

თებრონე ფაღავა
ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ისტორია, მესამე კურსი
*ელფოსტა: 61006076***@ bsu.ge*
სამეცნიერო ხელმძღვანელი: *იზოლდა ბელთაძე,*
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში „ნიკოლო მაკიაველი“ მოცემულია XV საუკუნის იტალიის დიდი მოაზროვნის, ბრწყინვალე პოლიტიკოსის და დიპლომატის, მგზნებარე პატრიოტის ნიკოლო მაკიაველის პოლიტიკური შეხედულებანი იტალიის წარსულსა და მომავალზე.

ნიკოლო მაკიაველის იდეების გაცნობა და სამზეოზე გამოტანა ფრიად აქტუალურია, ვინაიდან მათში ბევრი რამ არის საგულისხმო და გასაზიარებელი. დღეს თანამედროვე საზოგადოებაში, კაპიტალიზმის განვითარების გზაზე ,ნიკოლო მაკიაველის პიროვნების შეფასება უნდა განიხილებოდეს სხვა ჭრილში, ვიდრე ის იყო საბჭოთა პერიოდში.

ჩვენი მიზანია, გავეცნოთ არა მარტო მის პოლიტიკურ შეხედულებებს, არამედ გავაანალიზოთ მაკიაველი, როგორც რენესანსის ეპოქის მოაზროვნე და ჰუმანისტი, მისი მოსაზრებანი სოციალური ინტერესების, აუცილებლობისა და თავისუფალი ნების, კონფლიქტის სოციოლოგიის საწყისების, საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობის, მთავარისა (ხელისუფალის-თ.ფაღავა) და ხალხის

დამოკიდებულების, ღირებულებითი ორიენტაციის ცვლის რაობის, პოლიტიკის და ზნეობის, პოლიტიკაში მიზნისა და საშუალებების თანაფარდობის შესახებ.

ნაშრომში ძირითად წყაროდ გამოვიყენეთ მისი წიგნი „მთავარი“. ასევე გავეცანით ისტორიოგრაფიულ მასალას ქართულ და უცხოურ ენებზე.

ამრიგად,მაკიაველის იდეები თავისუფლების, ადამიანისა და ადამიანური ურთიერთობების, მთავარის (ხელისუფალის-თ.ფაღავა) მოვალეობების, საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობის, ღირებულებათა შეფასების, მიზნისა და საშუალებების, ბედისწერის შესახებ დღესაც ფრიად აქტუალურია. სწორედ ამაში მდგომარეობს ნიკოლო მაკიაველის იდეების მნიშვნელობა, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო.

შესავალი

ნიკოლო მაკიაველის იდეების გაცნობა და სამზეოზე გამოტანა ფრიად აქტუალურია, ვინაიდან მათში ბევრი რამ არის საგულისხმო და გასაზიარებელი. დღეს თანამედროვე საზოგადოებაში, კაპიტალიზმის განვითარების გზაზე ბევრი რამ, მათ შორის ნიკოლო მაკიაველის პიროვნების შეფასება უნდა განიხილებოდეს სხვა ჭრილში , ვიდრე ის იყო საბჭოთა პერიოდში.

მაკიაველს არასდროს არ ნიშნავდნენ „ორატორად", არამედ მხოლოდ და მხოლოდ მეორე ელჩად ან უბრალოდ საელჩოს წევრად, თუმცა ფაქტობრივად მხოლოდ მას უხდებოდა მოლაპარაკების წარმართვა. მაკიაველი მონაწილეობდა ოცზე მეტ საელჩოში. მას ანდობდნენ ყველაზე რთულ მოლაპარაკებებს. 15 წელი ემსახურა მაკიაველი რესპუბლიკას კანცლერის პოსტზე. ამ ხნის განმავლობაში დაწერა 4 ათასზე მეტი წერილი და მოხსენებითი ბარათი და სამხედრო ბრძანება.

ის როგორც დიდი მოაზროვნე, ბრწყინვალე პოლიტიკოსი და დიპლომატი, მგზნებარე პატრიოტი თავის თხზულებებში სწორად გამოხატავდა თავის პოლიტიკურ შეხედულებებს იტალიის წარსულსა და მომავალზე.

ჩვენი მიზანია, გავეცნოთ არა მარტო მის პოლიტიკურ შეხედულებებს, არამედ გავაანალიზოთ მაკიაველი, როგორც რენესანსის ეპოქის მოაზროვნე და ჰუმანისტი, მისი მოსაზრებანი სოციალური ინტერესების, აუცილებლობისა და თავისუფალი ნების, კონფლიქტის სოციოლოგიის საწყისების, საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობის, მთავარისა (ხელისუფალის-თ.ფაღავა) და ხალხის

დამოკიდებულების, ღირებულებითი ორიენტაციის ცვლის რაობის, პოლიტიკის და ზნეობის, პოლიტიკაში მიზნისა და საშუალებების თანაფარდობის შესახებ. ნაშრომში ძირითად წყაროდ გამოვიყენეთ მისი წიგნი „მთავარი". ასევე გავეცანით ისტორიოგრაფიულ მასალას ქართულ და უცხოურ ენაზე.

ამდენად, ნიკოლო მაკიაველის შეხედულებანი ზემოთ მოტანილ საკითხებზე მეტად აქტუალურია.

1. **ნიკოლო მაკიაველი და მისი ეპოქა**

ნიკოლო მაკიაველი დაიბადა 1469 წლის 3 მაისს, ფლორენციაში, ბერნანდო მაკიაველისა და ბართლომეა დი სტეფანო დეი ნელის ოჯახში. 12 წლის ასაკში უკვე ლათინურად წერს თხზულებებს. სიჭაბუკეში წარმატებით ეუფლება იურიდიული და ეკონომიკური მეცნიერებების საფუძველს, იმავე დროს სწავლობს ძველ ბერძნულ, რომაულ და იტალიურ მწერლობას. (მაკიაველი, მთავარი. გვ.12) 1489 წლის 19 ივნისს მაკიაველი იტალიის რესპუბლიკის კანცლერი გახდა, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი თანამდებობა იყო. 15 წელი ემსახურა მაკიაველი რესპუბლიკას კანცლერის პოსტზე. ამ ხნის განმავლობაში დაწერა 4 ათასზე მეტი წერილი და მოხსენებითი ბარათი, სამხედრო ბრძანება. მაკიაველი ყურადღებით

აკვირდებოდა, სწავლობდა სოციალურ - პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმას, თანმხლებ ნიშან - თვისებას, სახელმწიფოების ეკონომიკურ საფუძვლებს, კანონმდებლობას, ხელისუფლების ორგანოებს, მთავრების, პაპებისა და მონარქების სასახლის კარის ცხოვრებას, პოლიტიკური პარტიებისა და ჯგუფების ბრძოლებს (მაკიაველი, მთავარი. გვ. 14).

ფართო კავშირის გარეშე განსაზღვრული სახსრებით მან სახელმწიფო აპარატში მდივნის თანამდებობა დაიკავა, სადაც იგი დამოუკიდებელი იყო ფლორენციის რესპუბლიკის გავლენის მმართველობაზე. 1512 წელს, როდესაც ესპანურმა ჯარმა გაანადგურა ფლორენციის 1512 რესპუბლიკა, მაკიაველი ისევ მდივნის თანამდებობაზე იმყოფებოდა. მხოლოდ შეუპოვრობამ, შრომის მოყვარეობამ, დაუცხრომელმა ენერგიამ და დიპლომატიის ტალანტმა გახადა მისი როლი სახელმწიფო მმართველობაში მეტად აქტიური და შესამჩნევი, რაც განისაზღვრა კიდეც მის მიერ დაკავებული თანამდებობით. ათეულის კოლეგიის ფუნქციები მრავალფეროვანი იყო. მშვიდობიანობის დროს („dieci di liberta e pace") და ომიანობის დროს („dieci di liberta e querra") განაგებდა სამხედრო თავდაცვის საკითხებს და საგარეო დაჯგუფებებს. ის აწარმოებდა მოლაპარაკებებს რომის პაპთან.იგი ერთდროულად ღებულობდა მონაწილეობას რესპუბლიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში და მას ხშირად რამდენიმე მოვალეობის შესრულება უხდებოდა. არ ყოფილა არც ერთი სერიოზული საკითხი რომლის გადაწყვეტაშიც მას არ მიეღოს მონაწილეობა. არსებობს მაკიაველის მიერ დაწერილი ასობით წერილი, რომლებიც სამწუხაროდ, ჯერ ნაწილობრივ არის ცნობილი და გამოქვეყნებული. მაკიაველის მრავალრიცხოვანი სამსახურეობრივი მოხსენებები უხვად გვაწვდის ცნობებს რესპუბლიკის მდგომარეობის, ეჭვქვეშ აყენებს მიმდინარე სამხედრო ოპერაციების სისწორეს, ამტკიცებს აუცილებლობას უმძიმეს შემთხვევაში ამა თუ იმ ღონისძიებების მიღების შესახებ, ხოლო თვით ავტორს ახასიათებს, როგორც საზრიან დამკვირვებელს, რომელსაც შეუძლია გააკეთოს პრაქტიკული დასკვნები. მას გააჩნია დიპლომატიისათვის აუცილებელი თვისებები.

მაკიაველს არასდროს არ ნიშნავდნენ ეგრეთ წოდებულ „ორატორად", არამედ მხოლოდ და მხოლოდ მეორე ელჩად ან უბრალოდ საელჩოს წევრად, თუმცა ფაქტობრივად მხოლოდ მას უხდებოდა მოლაპარაკების წარმართვა. ამაზე მეტყველებს მაკიაველის მონაწილეობა ოცზე მეტ საელჩოში. მას ანდობდნენ ყველაზე რთულ მოლაპარაკებებს, აგზავნიდნენ მმართველებთან, რომლებთანაც დიპლომატიური ურთიერთობები რთულდებოდა, ან საერთოდ წყდებოდა. მაკიაველის ყოველი თხზულება პასუხობს დროის მოთხოვნას, ზოგიერთი კი უსწრებენ ეპოქას.

2. მაკიაველი,როგორც რენესანსის ეპოქის მოაზროვნე და ჰუმანისტი

„მაკიაველისათვის მთავარია საერო პრობლემები და მათი გადაწყვეტა ერისკაცთა მეშვეიბით. ადამიანთა ადამიანური პრობლემების გადასაწყვეტად მას არ სჭირდება ზეადამიანური ძალები, მიაჩნია, რომ ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი პრობლემები. ეს ორიენტაცია ღმერთის ნაცვლად ადამიანებზე მისი მსოფლმხედველობრივი ძიების ერთ-ერთი სიახლეა, რაც მას სწორედ რენესანსის მოაზროვნედ ხდის“. (მთავარი, გვ.11)

„ჰუმანიზმი მარტო კაცთმოყვარეობის გაგებით არ უნდა გვესმოდეს. ჰუმანიზმია მოძღვრების დამახასიათებელი, თუ ის სოციალური პრობლემების გადაწყვეტას ადამიანებს აკისრებს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, მაკიაველის მიხედვით, ადამიანური პრობლემები ადამიანების გზით უნდა გვესმოდეს. ჰუმანიზმია მოძღვრების დამახასიათებელი, თუ ის სოციალური პრობლემების გადაწყვეტას ადამიანებს აკისრებს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, მაკიაველის მიხედვით, ადამიანური პრობლემები ადამიანების გზით უნდა წყდებოდეს, რაც შეეხება კეთილი თუ ბოროტი საშუალებებით, ეს უკვე ეხება საშუალებებს და არა მიზნებს“.

3.აუცილებლობა და თავისუფალი ნება სოციალურ ყოფიერებაში

ადამიანები, რომლებმაც თავიანთი სამფლობელოები დაკარგეს, ბედისწერას კი არ უნდა ადანაშაულებდნენ, არამედ თავიანთსავე უნიათობას, უუნარობას - მოვლენები წარემართათ იმგვარად, რომ განეჭვრიტათ, რა დასჭირდებოდათ უახლოეს მომავალში, როცა ვითარება შეიცვლებოდა. მათთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა უზრუნველობა მომავლის მიმართ - „ვის ახსოვს ქარიშხალი მყუდრო ამინდში“. - ადამიანურ მოქმედებებში „მე მზად ვარ, ჭეშმარიტებად ვაღიარო იმის შესაძლებლობა, რომ ბედისწერა განაპირობებს ჩვენი მოქმედებების ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარს, მთლიანად თუ არა, ოდნავ ნაკლებს მაინც, ჩვენვე გვანდობს“.

ბედისწერას იგი ამსგავსებს ბობოქარ მდინარეს, რომელიც კალაპოტიდან გადასული ყველაფერს წალეკავს. ამ ძალის მოთოკვა შეიძლება წინასწარ ზომების მიღებით, ჯებირების გაშენებით, არხების გაჭრით, ე.ი ადამიანს შეუძლია მოთოკოს აუცილებლობა და დაუქვემდებაროს თავის ინტერესებს ამ აუცილებლობის განმსაზღვრელი კანონების ცოდნის საფუძველზე.

მაკიაველის მტკიცებით, „უმჯობესია თამამი იყო, ვიდრე ფრთხილი და წინდახედული, რადგანაც ბედისწერა ქალია, და მის მოსათვინიერებლად არ უნდა იშურებდე მუჯლუგუნებსა და წიხლებს: ვინც არ იშურებს, უფრო ადვილად იურვებს მას, ვიდრე ფრთხილი და მოკრძალებული კაცი. ამიტომ ბედისწერა,

ქალისა არ იყოს, ყოველთვის სიჭაბუკეს ამჯობინებს, რადგანაც სიჭაბუკე უფრო თამამია, და ურიდალი. და უფრო თავდაჯერებულად მბრძანებლობს.“

4.მაკიაველი საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობის შესახებ.

მთავარი და ხალხი

„გარწმუნებთ, რომ ხალხი უფრო მყარია და გაცილებით მეტად განმსჯადი ყოველგვარ მთავარზე“.. აქაა გამოთქმული საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა. იმათთვის, ვინც ხალხს ბრბოსთან აიგივებდა, საზოგადოებრივი აზრი ღირებულებას მოკლებული იყო, რადგან საერთოდ უარყოფდნენ ბრბოს აზროვნების უნარს, ან კიდევ მისგან სერიოზულ რამეს არ მოელოდნენ. ამიტომ საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა გაიგივებული იყო ბრბოს მნიშვნელობასთან, ე.ი ნულის ტოლი იყო. მაკიაველი კი ერთმანეთისგან განასხვავებს ხალხს და ბრბოს და გაბედულად ამტკიცებს, რომ საკმაო საფუძველი არსებობს გავრცელებული შეხედულებისათვის, რომლის მიხედვითაც „ხალხის ხმას უდარებენ ღვთის ხმას“ - „ვოხ პოპული, ვოხ დეი ესტ“. - საზოგადოებრივი აზრი განჭვრეტს მოვლენათ მომავალ მსვლელობას და შეუძლია დარწმუნებით იმსჯელოს ცდომილებათა თანამედროვე ვითარებაზე.

ხალხის, საზოგადოების აზრი უფრო მაღლა დგას მთავრის აზრზე და მასთან შედარებით სწორიცაა.

მოვლენათა მსვლელობის „წინასწარ ხედვაში საზოგადოებრივი აზრი აღწევს ისეთ გასაოცარ შედეგებს, რომ გეჩვენება, თითქოს რაღაც საიდუმლო უნარით ხალხი ცხადად წინასწარ გრძნობს, რა აღმოჩნდება მისთვის სიკეთე თუ ბოროტება“.

ხალხი თუ იშვიათად უშვებს შეცდომას მაშინ მთავარი უფრო დიდ შეცდომას უშვებს.

ხალხი მთავარზე უფრო კარგ არჩევანს აკეთებს, იმდენად, რომ ხალხს ვერაფრით დაიყოლიებ, საზოგადოებრივი დიდება მიაგოს უღირსს და გახრწნილი ქცევის ადამიანს.

ხალხი უფრო პრინციპულია ვიდრე მთავარი.

ხალხი, მართალია, ზოგჯერ უწესრიგობების მთავარი წყაროა, მაგრამ თუ შევადარებთ ხალხის მიერ ჩადენილ უწესრიგობებს მთავრებიდან მომდინარესთან, ასევე ხალხის დიად საქმეებს, მთავართა დიად საქმეებთან, აღმოჩნდება, რომ, „ხალხი დიდი უპირატესობის მქონეა მთავართან შედარებით სიქველესა და დიდებაშიც“.

მართალია, მთავრებს გარკვეული უპირატესობანი აქვთ ახალი წყაროების დადგენასა და კანონების დაწერაში, მაგრამ სამაგიეროდ ხალხს უპირატესობა აქვთ ახალი წყობის არსებობის შენარჩუნებაში.

მთავართან შედარებით, ხალხი კეთილ საქმეებშიც უპირატესობის მქონეა. ამავე დროს, ხალხი უფრო ნაკლებად სერიოზულ შეცდომას უშვებს, ვიდრე მთავარი.

ხალხის შეცდომა სიტყვით, დარწმუნებითაც კი გასწორებადია, მაშინ, როდესაც მთავრის შეცდომის გასწორებას „ქირურგიული ჩარევა“ სჭირდება. აქედან გამომდინარე, ხალხის დაავადება გაცილებით უფრო განკურნებადია, ვიდრე მთავრისა.

ხალხის სისასტიკე მიმართულია იმათ წინააღმდეგ,ვინც საერთო სიკეთეზე აღმართავს მახვილს. მთავრის სისასტიკე კი მიმართულია მისი პირადი სიკეთის დამრღვეველთა წინააღმდეგ.

მაკიაველი გმობს ბრბოს, რომელსას გონიერი მოქმედების უნარი არა აქვს და რომლის ძალა სიმრავლეშია. როგორც კი სიმრავლე დაიშლება, ბრბო კარგავს უნარს და არ მოიმოქმედებს იმას, რასაც ბრბოდ ყოფნის მომენტში ჩაიდენდა.

5.მაკიაველი ღირებულებითი ორიენტაციების ცვლისრაობის შესახებ

პლატონის შემდეგ მხოლოდ მაკიაველმა მიაქცია ყურადღება იმ ვითარებას, რომ ღირებულებითი ორიენტაციების კონფლიქტს და ცვლას იწვევს, არა მხოლოდ სოციალურ - პოლიტიკური, არამედ ასაკობრივი ფაქტორებიც. იგი კარგად ხედავს, რომ წარსული თუ თანამედროვე მოვლენების ობიექტური აღწერისას, ასევე აუცილებელია სუბიექტის განწყობა, მისი მზაობა, სინამდვილე აღიქვას ისე, როგორც ის არის, ან კიდევ სინამდვილის აღქმაში შექონდეს ადამიანური მომენტები, იქნება ეს მისი ასაკი, თუ მდგომარეობა.

ადამიანები ერთსა და იმავე სინამდვილეს სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ მათი ღირებულებითი ორიენტაციები ასაკთან ერთად იცვლებიან. ის, რაც ერთ ასაკში მის აღტაცებას და მოწონებას იმსახურებს, სხვა ასაკში საერთოდ არაა მისთვის მნიშვნელობის მქონე. რატომ ხდება, რომ ადამიანის სიცოცხლის სხვადასხვა ასაკის შეფასებაში განსხვავებული თვალსაზრისების - „თითქოს მოხუცები არ უნდა ცდებოდნენ თავიანთი სიყმაწვილისა და ხანდაზმულობის დროის შეფასებაში, რადგან ერთიც და მეორეც მათთვის ერთნაირად კარგადაა ცნობილი, ისინი ხომ ამ დროს საკუთარი თვალით აღიქვამენ. ეს სამართლიანი იქნებოდა მაშინ, თუ ადამიანებს ცხოვრების ყველა ასაკში ექნებოდათ ისეთივე მსჯელობანი და სურვილები, მიდრეკილებები და აზრები, როგორც ჰქონდათ ყმაწვილკაცობაში. როცა ადამიანები

ბერდებიან ძალა აკლდებათ, მაგრამ ემატებათ ჭკუა და გონიერება, ამიტომ აუცილებლად ყველაფერს, რაც მათ ყმაწვილკაცობაში ეჩვენებოდათ ასატანადაც და კარგადაც კი, მოხუცებულობაში აღიქვამენ ცუდად და აღმაშფოთებლად. იმის ნაცვლას, რომ მას აბრალებდნენ საკუთარ განსჯას, ისინი ადანაშაულებენ ეპოქას“.

6.პოლიტიკა და მორალი.მაკიაველიზმის არსი

მთავარი სხვას უნდა ამბობდეს და სხვას უნდა აკეთებდეს. „ყოველი მთავარი უნდა ცდილობდეს, გულმოწყალე და არა სასტიკი კაცის სახელი მოიხვეჭოს, მაგრამ უთავოდ არ უნდა იყენებდეს გულმოწყალებას. ჩეზარე ბორჯიას სასტიკ კაცად თვლიდნენ, მაგრამ სწორედ ამ თავისი სისასტიკის წყალობით დაამყარა წესრიგი. ამიტომ მთავარი არაფრად უნდა აგდებდეს გმობას სისასტიკის გამო, თუკი ამის წყალობით ახერხებს იმას, რომ განხეთქილებისა და განდგომის საშუალება მოუსპოს თავის ქვეშევრდომებს“.

მთავარის მიმართ ქვეშევრდომებს შეიძლება ორი გრძნობა ჰქონდეთ - სიყვარული და შიში. პირველი სიქველეზე იქნება აგებული, მეორე - სისასტიკეზე. მაკიაველი რეკომენდაციას აძლევს შიშს, ე.ი სისასტიკეს: „რა ჯობს, უყვარდე თუ ეშინოდეთ შენი? რაზედაც უპასუხებენ, რომ სასურველია ერთიც და მეორეც, მაგრამ რადგან ორივეს შეთავსება ძნელია, ამიტომ, თუკი იძულებული იქნები ერთერთზე უარი თქვა, გაცილებით გიჯობს, შიშს უნერგავდე ხალხს და არა სიყვარულს“.

რა იწვევს შიშს ადამიანებში და როგორ შეიძლება მისი დანერგვა? შიშის წყარო არ არის მოვალეობა, მას მხოლოდ სიყვარული ემყარება, შიშის წყარო სასჯელია, ამიტომ მაკიაველი ამართლებს ქვეშევრდომთა მიმართ სისასტიკეს.. ოღონდ სისასტიკე უნდა იყოს ერთჯერადი და წუთიერი და არა დასაწყისში ნაწილობრივი და შემდეგ კი მზარდი“. - სისასტიკე წამიერი და ერთჯერადი უდნა იყოს, რათა ხალხს გონს მოსვლის საშუალება არ მიეცეს და ამრიგად, ნაკლებ მტკივნეულად განიცადოს იგი. ქველმოქმედება კი ნელ-ნელა, წვეთ- წვეთობით უნდა გამოავლინო, რათა ხალხმა უკეთ შეძლოს მისი შეცნობა“.

მაკიაველიზმის არსი ვლინდება იმაშიც, რომ მისთვის პოლიტიკაში განმსაზღვრელია არა პატიოსნება, არამედ ცბიერება. მოღვაწეობაში კანონის ნაცვლად ძალაზე დამყარება, უზნეობა, გაუტანლობა, დაუნდობლობა, სისასტიკე და ძალის გამოყენება. მთავარი უნდა იყოს ლომივით ძლიერი და მელასავით ცბიერი. სწორედ ამ თვისებათა ერთობლიობა არის მთავრის სიბრძნისა და დღეგრძელობის წყაროც და მაჩვენებელიც. ამრიგად, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ბრძოლის ორი სახე: ერთია ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე - ძალის მეშვეობით. პირველი ნიშნულია ადამიანებისათვის, მეორე კი ცხოვრებისათვის.

მაგრამ რაკი პირველი ხშირად არასაკმარისია, ძალაუნებურად მივმართოთ უნდა ხოლმე მეორეს. ამიტომ მთავრისთვის აუცილებელია თანაბარი წარმატებით იბრძოდეს როგორც მხეცი და როგორც კაცი.

ამრიგად, თუ მთავარი იძულებული იქნება,იბრძოდეს როგორც მხეცი, ცხოველთა მთელი სიმრავლიდან ლომსა და მელას უნდა ირჩევდეს, ვინაიდან ლომს არ შეუძლია თავი დაიცვას გველისაგან, მელას - მგლებისაგან. მაშასადამე, მელა უნდა იყო, რომ შენიშნო გველი, და ლომი, რომ დაიფრინო მგლები. იმას, ვინც მხოლოდ ლომად ყოფნა სწადია, ბევრი რამ არ ესმის.(მთავარი.145-146).

7.მაკიაველი მიზნისა და საშუალებების თანაფარდობის შესახებ პოლიტიკაში

მაკიაველის აზრით, მიზანი უნდა იყოს კეთილშობილი, რათა პოლიტიკოსის ქმედება ჩაითვალოს მოსაწონად. პოლიტიკოსის კეთილშობილება შეიძლება დავინახოთ იმაში, რომ ის ცდილობს, თავის სახელმწიფოს, თუ ერს მოუპოვოს დამოუკიდებლობა, ეს უპირველეს ყოვლესი მიზანია. შემდეგ უზრუნველყოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს უშიშროება, ანუ შეეძლოს შინაურ და გარეულს მტრებთან ანგარიშის გასწორება. და ბოლოს მთავარმა უნდა შეზღუდოს საკუთარი ხელისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადაიზრდება ტირანიაში. მან უნდა დაამყაროს კონსტიტუციური მმართველობა, შეაზღუდვინოს თავისი უფლებები, ეს განმსაზღვრელია პოლიტიკოსის კეთილშობის მიზანთა შორის.

როგორი უნდა იყოს ამ მიზანთა განხორციელების საშუალებები? ისეთი, როგორიც უზრუნველყოფს წარმატებას მიზანთა განხორციელების გზაზე. ეს კი გამორიცხულია ქველმოქმედებით, ჰუმანიზმით, სიკეთის ქადაგებით.

მაკიაველი ყოველგვარ საშუალებას მიიჩნევს დასაშვებად, თუ ეს საშუალებები კეთილ მიზანს ემსახურება და თვითონ არ იქცევიან მიზნებად. ბოროტება, როგორც საშუალება დასაშვებია, მაგრამ ბოროტება, როგორც მიზანი გამორიცხულია.

დასაგმობია ის, ვინც მკაცრია იმისათვის, რომ გააფუჭოს და არა ის, ვინც ასეთია გამოსწორების მიზნით. სწორედ აქედან მომდინარეობს ის ლაპიდარული ფრაზა, რომლის შინაარსიც გამოთქვა მაკიაველმა და რომლის ფორმა შემდგომ ჩამოაყალიბა მაკიაველის პრინციპის სახელით - „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ადამიანს „ადანაშაულებს ჩადენილი საქმე, ამართლებს შედეგი“.ეს არის ლოგიკური გაგრძელება დებულებისა: მიზანი ამართლებს საშუალებას.

დასკვნა

ამრიგად, ნიკოლო მაკიაველი იყო დიდი მოაზროვნე, ბრწყინვალე პოლიტიკოსი და დიპლომატი, მგზნებარე პატრიოტი. იგი 14 წლის განმავლობაში ასრულებდა ფლორენციის რესპუბლიკის მდივნის მოვალეობას და მთელი სიცოცხლის მანძილზე თავის თხზულებებში გამოხატა პოლიტიკური შეხედულებანი იტალიის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

მან თავისი იდეები გადმოგვცა ნაშრომში „მთავარი“,რომელსაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა დღევანდელ სინამდვილეშიც. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი შეიძლება გავიზიაროთ.

მაკიაველიზმის არსი ვლინდება იმაშიც, რომ მისთვის პოლიტიკაში განმსაზღვრელია არა პატიოსნება, არამედ არსებობს ბრძოლის ორი სახე: ერთია ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე - ძალის მეშვეობით. პირველი ნიშნულია ადამიანებისათვის, მეორე კი ცხოველებისათვის. მაგრამ რაკი პირველი ხშირად არასაკმარისია, ძალაუნებურად მივმართოთ უნდა ხოლმე მეორეს. ამიტომ მთავრისთვის (ხელისუფალისათვის-თ. ფაღავა) აუცილებელია თანაბარი წარმატებით იბრძოდეს როგორც მხეცი და როგორც კაცი.

მაკიაველი ყოველგვარ საშუალებას მიიჩნევს დასაშვებად, თუ ეს საშუალებები კეთილ მიზანს ემსახურება და თვითონ არ იქცევიან მიზნებად. ბოროტება, როგორც საშუალება დასაშვებია, მაგრამ ბოროტება, როგორც მიზანი გამორიცხულია. სწორედ აქედან მომდინარეობს მაკიაველის ლაპიდარული ფრაზა: “მიზანი ამართლებს საშუალებას“.

მთავარმა თავი უნდა შეიკავოს „სხვისი ქონების ხელყოფისგან, ვინაიდან ადამიანები უფრო ადვილად ურიგდებიან მამის სიკვდილს, ვიდრე სამკვიდროს მოშლას“.

ადამიანები, რომლებმაც თავიანთი სამფლობელოები დაკარგეს, ბედისწერას კი არ უნდა ადანაშაულებდნენ, არამედ თავიანთსავე უნიათობას, უუნარობას - მოვლენები წარემართათ იმგვარად, რომ განეჭვრიტათ, რა დასჭირდებოდათ უახლოეს მომავალში, როცა ვითარება შეიცვლებოდა.ბედისწერა განაპირობებს ჩვენი მოქმედებების ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარს, მთლიანად თუ არა, ოდნავ ნაკლებს მაინც, ჩვენვე გვანდობს“.

ამრიგად, მაკიაველის იდეები თავისუფლების, ადამიანისა და ადამიანური ურთიერთობების, მთავარის (ხელისუფალის-თ.ფაღავა) მოვალეობების, საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობის, ღირებულებათა შეფასების, მიზნისა და საშუალებების, ბედისწერის შესახებ დღესაც ფრიად აქტუალურია. სწორედ ამაში მდგომარეობს ნიკოლო მაკიაველის იდეების მნიშვნელობა, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო.

გამოყენებული ლიტერტურა

1.ნიკოლო მაკიაველი, მთავარი, თარგმანი. ბ.ბრეგვაძისა, თბილისი, 1994

2.გ. ტივაძე, შუა საუკუნეების ისტორია ტ. II, თბილისი, 1970

3.გ. კუტალია, ე. მამისთვალიშვილი, ნ. კალანდია. დასავლეთ ევროპის შუა საუკუ-ნეების ისტორია. თბილისი, 2015

4.ი. ბელთაძე. შუა საუკუნეების ისტორია. თბილისი, 2004

5.ზ. ჩიმაკაძე. ნიკოლო მაკიაველი-ფლორენციის რესპუბლიკის ათეულის კოლეგიის მდივანი. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები. III, თბილისი, 2001

6.ე. ჯაჭვაძე. რენესანსი.თბილისი, 2012

7.Историография средних вековю Москва,1940

8.Всемирная история в лицах. Раннее средневековье. Москва.1999

9. История средних веков. Москва,1991

10. История Италии. Москва,1970

11. Макиавелли Н. История Флоренции.Ленинград,1973

Annotation

The bachelor's work deals with Ocomonalism in the works of Georgian romanticists. Occasionalisms are the most dynamic part of the language lexical foundation spontaneously arises and they are intended to create writers and poets, for images and expression.

Occasionalisms for artistic debate students are one of the main ways to see the author's creative potential. These words can also be used to enrich the lexical foundation of the language. Occasionnal lens is now more relevant.

The study analyzes the types of occasionalisms frequency and condition factors for their use with a particular poet (rhyme, bone marrow, both factors at the same time). Internal classification is based on speech parts. Attention is also about how the Occaceous forms are artificial and aggravated by the style of a poet. Here is the creative individuality of the individual poet.

The empirical material of the undergraduate work is significant and important for comparison with modern social networks and oxygen forms in oral speech.

პერლ ჰარბორი

საბა ჯინჭარაძე
ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ისტორია, მეოთხე კურსი
ელ.ფოსტა:
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა დიასამიძე,
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

ანოტაცია

აღნიშნული ნაშრომი ეხება მსოფლიოს უახლესი ისტორიის ერთ–ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელმაც განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვა, უკვე მიმდინარე, მეორე მსოფლიო ომში. მოცემული საკითხი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რადგანაც მომხდარმა ტრაგედიამ, ერთის მხვრივ, ეჭვის ქვეშ დააყენა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერების შესახებ გაბატონებული მოსაზრება და, მეორეს მხვრივ, განსაზღვრა აშშ-ის ხელისუფლების მხრიდან საგარეო პოლიტიკაში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ფესვგადგმულ და უფრო მეტიც, ტრადიციულ იზოლაციონისტურ პოლიტიკაზე უარის თქმა.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მომხდარი მოვლენის იმ დეტალებზე, რომელთა მიხედვითაც ამერიკის ხელისუფლებამ წინასწარ განზრახვით თუ დაუდევრობით ხელი შეუწყო იაპონელებს ამ ნაბიჯის გადადგმაში; იაპონელთა მხრიდან გამოვლენილი აგრესია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გამოიწვევდა თავზარდაცემული დაშეურაცხყოფილი ამერიკელების გაერთიანებას ერთი მიზნის ირგვლივ, რასაც შურისძიება და შელახული ავტორიტეტის აღდგენა ჰქვია, ამაზე არავინ კამათობს. არანაკლებ მნივნელოვანი იყო მეორე ფაქტორიც – ჰიტლერული კოალიციის მხრიდან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების საჭიროება, რის წინაშეც რეალურად უკვე მსოფლიო იდგა. ყოველივე ეს კი ხაზს უსვამს XX საუკუნის ამ ერთ–ერთი ტრაგიკული მოვლენის სიღრმისეულად გააზრების და მისი შედეგების ობიექტურად შეფასების აუცილებლობას.

თავი I

ურთიერთობის გართულება იაპონიასა და ამერიკას შორის მეორე მსოფლიო ომის წინ

1941 წლის 7 დეკემბერს იაპონელთა თავდასხმა პერლ ჰარბორში ბაზირებულ აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტზე ამერიკელი ხალხისთვის მოულოდნელი აღ-

მოჩნდა. მომხდარი ფაქტით თავზარდაცემული ამერიკელები უყოყმანოდ დაირაზმნენ პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის მოწოდებაზე შური ეძიათ"ამერიკის სირცხვილის დღის" გამო.[1]

XX საუკუნის 30-იან წლებში ამერიკასა და იაპონიას შორის ურთიერთობა მკვეთრად დაიძაბა. 1931 წელს იაპონიამ დაიპყრო ჩინეთის პროვინცია მანჯურია, 1937 წელს კი ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია წამოიწყო. მართალია, აშშ-ისაღშფოთება გამოიწვია იმ განსაკუთრებულმა სისასტიკემ, რომელსაც იაპონელები ჩინეთში იჩენდნენ, თუმცა არსებული სიტუაციით მისი მხრიდან უკმაყოფილებას სხვა გამოხატულება იმ ეტაპზე არ მოჰყოლია.

1940 წლის ზაფხულში, მას შემდეგ რაც, ერთი შეხედვით, ჰიტლერის დაუმარცხებელი შეიარაღებული ძალები მთელ კონტინენტურ ევროპაში გაბატონდნენ, 1940 წლის 27 სექტემბერს, იაპონია გაერთიანდა ნაცისტურ გერმანიასთან და ფაშისტურ იტალიასთან სამხედრო ალიანსში, რომელიც ისტორიაში ბერლინ–რომ–ტოკიოს ღერძის სახელით არის ცნობილი.

ამრიგად, ფაშისტური სახელმწიფოების სრულყოფილი ბლოკი რეალურად სახეზე იყო; ხოლო ზუსტად ერთი წლის თავზე, 1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, რის შედეგადაც 1939 წლის 1 სექტემბერს დაწყებულმა მეორე მსოფლიო ომმა, მანამ ისტორიაში არნახული ომის მასშტაბები შეიძინა. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემოებაც, რომ იმ დროისათვის, ევროპაში არანაკლები ძლიერებით გამორჩეულმა დიდმა ბრიტანეთმა თავისი შეიარაღებული ძალები საბერძნეთიდან და კუნძულ კრეტადან გამოიყვანა, ისევე როგორც, რამდენიმე მარცხი იწვნია ჩრდილოეთ აფრიკაშიც.

გარდა ამისა, აშკარა იყო გერმანელთა უპირატესობა ატლანტის ოკეანეშიც. გერმანელებმა წყალქვეშა ნავებით ძლიერი იერიში მიიტანეს ინგლისის უძლეველ ფლოტზე და ამით აიძულეს ბრიტანეთი, უარი ეთქვა შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო ხომალდებით, შეიარაღებული ძალებითა და ავიაციით მისი პოზიციების გაძლიერებაზე.

თავი II

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები.

თავისთავად, მსოფლიოში მიმდინარე ზემოთქმული პროცესები დიდ გავლენას ახდენდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში არსე-

[1] Senaka Weeraratna. Japan's Attack on Pearl Harbor Ignited the Liberation of Asia from Western Domination. გვ.2

ბულ ტენდენციებზე და რეალურად, ნაბიჯ–ნაბიჯ ამზადებდა საფუძველს რადიკალური ცვლილებისათვის.

რეალობა კი იყო ის, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-ში ძალზე სკეპტიკურად უყურებდნენ ევროპაში მიმდინარე ომში ჩართვის შესაძლებლობას. პოლიტიკური მოძრაობა "ამერიკა უპირველეს ყოვლისა" საჯაროდ აკეთებდა მწვავე განცხადებებს იზოლაციონიზმის მხარდასაჭერად. პრეზიდენტი რუზველტი ანგარიშს უწევდა ქვეყანაში გამეფებულ ანტისაომარ განწყობას და პირობას დებდა, რომ ქვეყანა ომში არ ჩაერთვებოდა. თუმცა, პრეზიდენტი დარწმუნებული იყო, რომ დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერას, საუბარი აღარ იყო ამ დიდი სახელმწიფოს გადარჩენაზე, და შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის შეჩერებას, საკუთრივ ამერიკისათვის ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. მომავალი და არცთუ ისე შორეული, შეიძლება ნამდვილ კოშმარად გადაქცეულიყო.

აშკარა იყო, რომ საბჭოთა კავშირის განადგურების შემდეგ, გერმანია მთელს თავის სამხედრო რესურს დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ მიმართავდა - ან კაპიტულაციას აიძულებდა, ან მიწასთან გაასწორებდა. ეს კი ჰიტლერს არა მხოლოდ მთელი ევროპის ბატონ-პატრონად აქცევდა, მის ხელში აღმოჩნდებოდა აფრიკაც, ახლო აღმოსავლეთიც და აზიაც ინდოეთის საზღვრამდე. თავისმხრივ კიდევ უფრო შეგულიანებული იაპონია წალეკავდა სამხრეთს, რათა ხელთ ეგდო შორეულ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის ინდოეთი. საბოლოოდ, მსოფლიოს დაინაწილებდნენ გერმანია, იტალია და იაპონია, აშშ-ს, მზარდ დიდ სახელმწიფოს, რომელიც პირველი მსოფლიო ომიდან, ფაქტიურად, მოტყუებული გამოვიდა, გაურკვეველი მომავლის გარდა აღარაფერი შერჩებოდა ხელთ.

თავი III

ლენდ-ლიზი და მისი მნიშვნელობა

ამ ფრიად არასასიამოვნო პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად რუზველტმა, ფაქტობრივად, გერმანიასთან კონფლიქტის პროვოცირება მოახდინა, უზრუნველყო რა დიდი ბრიტანეთი ყოველგვარი დახმარებით, იმ ეტაპზე ომში მის მხარეზე უშუალოდ ჩართვის გარდა. საუბარია, ლენდ-ლიზის სახელმწიფო პროგრამის ამუშავებაზე, რომლის თანახმადაც აშშ დიდ ბრიტანეთს მოამარაგებდა საბრძოლო მასალით, იარაღითა და სტრატეგიული ნედლეულით. მოგვიანებით ლენდ–ლიზით გათვალისწინებული დახმარება საბჭოთა კავშირზეც გავრცელდა.

რაც შეეხება იაპონიას, აშშ-მა მას შეუმცირა ნავთობისა და სხვა ნედლეულის მიწოდება, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო იაპონიის ეკონომიკისათვის და განსაკუთრებით სამხედრო მრეწველობისათვის. ამ გადაწყვეტილებამ ორივე

ქვეყანა აშკარა დაპირისპირებამდე მიიყვანა, დიპლომატიური მოლაპარაკებები კი ომის თავიდან ასაცილებლად მარცხით დამთავრდა. 1941 წლის 26 ნოემბერს სახელმწიფო მდივანმა კონდელ ჰალმა იაპონელებს ჩინეთისა და ინდოჩინეთის დატოვება მოსთხოვა. იაპონიას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ამერიკისთვის ომი გამოეცხადებინა. მართლაც, იაპონელებს უკვე მიღებული ჰქონდათ ეს გადაწყვეტილება. აშშ-ს ორი ფლოტი ჰყავდა: წყნარი უკეანის - ჰავაის კუნძულ უაჰუზე, პერლ-ჰარბორთან ახლოსდა აზიური - ფილიპინებზე.

თავი IV

1941 წლის 7 დეკემბერი – თავდასხმა პერლ ჰარბორზე.

1941 წლის ოქტომბერში იაპონიის გენერალურმა შტაბმა მიიღო იაპონიის ფლოტის მთავარსარდლის, ადმირალ ისორუკუ იამამოტოს მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა პერლ-ჰარბორში აშშ-ს წყნარი ოკეანის ფლოტ-ზე მოულოდნელ თავდასხმას (სინამდვილეში იაპონელ ადმირალ იამამატოს ეკუთვნის პერლ ჰარბორის თავდასხმის იდეა, ხოლო თავდასხმის გეგმა კაპი-ტანმა მინორუ გენდმა შეიმუშავა)[2]. სტრატეგიულ ჩანაფიქრს, რომელიც გულისხ-მობდა ფილიპინებსა და პერლ- ჰარბორზე ერთდროულად თავდასხმას, უნდა გადაეწყვიტა ის მწვავე სამხედრო-საზღვაო პრობლემა, რომელიც რეგიონში იაპო-ნელთა გამარჯვებას ხელს უშლიდა. ნოემბრის ბოლოს იაპონელთა უზარმაზარმა ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა 6 ავიამზიდი, 24 სამხედრო ხომალ-დი და წყალქვეშა ნავები, საბრძოლო პოზიციები დაიკავა. 7 დეკემბერს გამთე-ნიისას, ოპერატიული ჯგუფი კუნძულ ოაჰუს ჩრდილოეთით 320 კილომეტრზე იდგა. დილის 8 საათზე პერლ-ჰარბორის კვირადღის სიმშვიდე 180 იაპონური ბომბდამშენის გამაყრუებელმა გუგუნმა დაარღვია.

იმ დროს, როცა პერლ-ჰარბორის ნავსადგურში 90 გემი იდგა იაპონელთა ბომბდამშენებისა და ტორპედომზიდების მთავარი სამიზნე იყო 8 ამერიკული საბრძოლო ხომალდი, აქედან 7 მათგანი ბეთელშიპ-როუს ნავმისადგომში ერთ-რიგად ჩამწკვრივებული იდგა და მტრისათვის კარგ სამიზნეს წარმოადგენდა. ყველა დაბომბეს, სამი კი ჩაძირეს. მარტო აშშ-ს გემ "არიზონაზე" ჩაძირვის მომენტში 1100 კაცი იმყოფებოდა.

იერიშის მეორე ტალღა ნახევარ საათში განმეორდა და 10 საათისთვის იაპონელთა თვითმფრინავები, რომლებმაც წყნარი ოკეანის ფლოტს გამანადგუ-რებელი დარტყმა მიაყენეს, უკან გაბრუნდნენ. 21 სამხედრო ხომალდის განად-გურების გარდა, იაპონელებმა ამერიკელთა 188 თვითმფრინავი დაბომბეს, ისე

[2] Remembering Pearl Harbor. A Pearl Harbor Sheet. გვ. 1

რომ დიდმა ნაწილმა აფრენაც კი ვერ მოასწრო. შეიძლებოდა უარესიც მომხდარიყო, რადგან იაპონელებს იმედი ჰქონდათ რომ მათი თვალთახედვის არეში ამერიკელთა კიდევ სამი ავიამზიდი მოხდებოდა, მაგრამ მოტყუვდნენ, რადგან ორი მათგანი ზღვაზე წვრთნებს გადიოდა, ხოლო მესამე შესაკეთებლად იყო წაყვანილი. ამერიკელთა დანაკარგები 3435 სამხედრო მოსამსახურეს შეადგენდა, ამ რაოდენობის ნახევარი კი დაჭრილი იყო.[3]

თავი V

პერლ ჰარბორზე თავდასხმის შედეგები

იაპონელებმა კოორდინირებული თავდასხმებით თითქმის მიწასთან გაასწორეს ფილიპინებზე აშშ-ის საჰაერო ძალები, მაგრამ ყველაზე მეტად პერლ-ჰარბორზე შეტევამ განარისხა ამერიკელები. პრეზიდენტ რუზველტს კონგრესმა მაშინვე მიანიჭა უფლებამოსილება, ომი გამოეცხადებინა იაპონიისათვის, რამდენიმე დღის შემდეგ კი გერმანიამ მოკავშირეთა წინაშე თავი მოვალედ მიიჩნია, აშშ-ისთვის ომი გამოეცხადებინა. პერლ-ჰარბორზე თავდასხმიდან ოთხი დღის შემდეგ აშშ უკვე ორ ფრონტზე იყო ჩართული ომში - გერმანიასა და იტალიასთან, ევროპულ და ჩრდილოეთ აფრიკულ საომარ მოქმედებათა არეალში და იაპონიასთან - წყნარ ოკეანეში.

პერლ-ჰარბორზე თავდასხმა იაპონელთა უდიდესი შეცდომა იყო, ამით იმპერია განადგურებისთვის გაწირეს. გამარჯვებით აღტაცებულ იაპონელთა თვითკმაყოფილებამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ამერიკელები, ვისთვისაც გადატანილი უბედურება შეურაცხყოფის ტოლფასი აღმოჩნდა. ომის დროს და მის შემდგომაც ოფიციალურ გამოკვლევებში რამდენჯერმე სცადეს, ამოეცნოთ ის საიდუმლო, რომელიც ამ თავდასხმის უკან იმალებოდა და თანაბრად გადაენაწილებინათ პასუხისმგებლობა ორთავე მხარეზე, რომლებმაც გასაოცარი წინდაუხედაობა გამოიჩინეს.

პირველი გამოძიება, რომელიც თავდასხმიდან ზუსტად ექვს კვირაში დამთავრდა, მომხდარში კონტრადმირალ ჰაზბანდ ე. კიმელსა და გერმანელ-ლეიტენანტ ვალტერ ქ. შორტს ადანაშაულებდა, რომელებიც ჰავაიზე საზღვაო და სამხედრო მეთაურების მოვალეობას ასრულებდნენ, მათ სამსახურეობრივ გულგრილობაში დასდეს ბრალი. კიმელმა და შორტმა თხოვნით მიმართეს სამხედრო ტრიბუნალს, მათთვის თავის მართლების უფლება მიეცა, მაგრამ უარი ეთქვათ. ისინი ჩამოაქვეითეს და სამსახურიდან დაითხოვეს. შემდგომში გამო-

[3] George Morgenstern. Harbor. The Story the Secret War. New York. 1947. გვ. 37

ძიებამ ცხადყო, რომ კიმელისა და შორტის განტევების ვაცად გამოყვანა უსამართლობა იყო, რადგან მათ არ აწვდიდნენ იმ საიდუმლო ინფორმაციას, რომელსაც ვაშინგტონი ფლობდა. ოჯახების ცდა, მათთვის რეპუტაცია აღედგინათ, მხოლოდ 2001 წელს დასრულდა წარმატებით, როდესაც კონგრესის კომისიამ კიმელსა და შორტს სამხედრო წოდებები სიკვდილის შემდგომ აღუდგინა.

ეჭვგარეშეა, რომ 7 დეკემბრამდე ვაშინგტონს ჰქონდა საიდუმლო ინფორმაცია, სადაც მინიშნებული იყო, რომ ახლოვდებოდა იაპონელთა თავდასხმა და პერლ-ჰარბორი მათი მთავარი სამიზნე გახლდათ. ამერიკელ და ბრიტანელ დამშიფრავებს ადვილად შეეძლოთ გაეშიფრთ იაპონურ რადიოეთერში გადაცემული ცნობები, სადაც სავსებით ნათელი იყო მათი განზრახვა. განსაკუთრებით ნოემბრის ბოლოს გახშირდა იაპონელთა სიგნალები, რომლებიც მიანიშნებდნენ, რომ თავდასხმის შესახებ ცნობა დაშიფრული იქნებოდა ტოკიოს ამინდის პროგნოზში, რომელშიც სიტყვა "წვიმა" ნიშნავდა ომს, ხოლო "აღმოსავლეთი" - აშშ-ს. მართლაც, ამერიკელებმა 4 დეკემბერს დაიჭირეს ამინდის რადიოპროგნოზი "აღმოსავლეთის ქარი, წვიმა".

ის, რომ კიმელი და შორტი არ გაუფრთხილებიათ მოახლოებული საფრთხის შესახებ, შეიძლება რამდენიმე ფაქტით აიხსნას:

სხვადასხვა სამთავრობო და სამხედრო უწყებამ მიიღო საიდუმლო შეტყობინება, რომ ვაშინგტონში დეპარტამენტთა შიდასაკომუნიკაციო ქსელი მოიკოჭლებდა. არმიასა და საზღვაო ფლოტს შორის ურთიერთშეჯიბრი იმის მაუწყებელი იყო, რომ მათ შორის ინფორმაცია არ იცვლებოდა. ოფიციალურ წრეებში უფრო სარწმუნოდ მიაჩნაით ის ვერსია, რომ აშშ-ში გამეფებული იყო ბიუროკრატიული დაუდევრობა და ამიტომაც ვერ ხერხდებოდა საიდუმლო ინფორმაციის სათანადო და დროული დამუშავება.

ეს ვერსია კიდევ უფრო ამყარებს იმ ვარაუდს, რომ წარმოუდგენელ უნიათობას საბედისწერო კატასტროფა მოჰყვა. მაგალითად, გენერალ-ლეიტენენტ შორტის თვითმფრინავები ასაფრენ ბილიკზე ისე იყვნენ გვერდიგვერდ ჩამწკვრივებული, რომ იაპონელებისთვის იოლ სამიზნეს წარმოადგენდნენ.

დაბნეულობა გამოიწვია ინფორმაციამ, რომელმაც იაპონელთა ზრახვები გამოავლინა. 6 დეკემბერს გვიან ღამით ამერიკელ დამშიფრავებს ხელში ჩაუვარდათ ვაშინგტონში იაპონიის საელჩოსთვის გაგზავნილი 14-ნაწილიანი შეტყობინება, რომლის პირველი 13 ნაწილი გაშიფრეს და პრეზიდენტ რუზველტსა და სახელმწიფო მდივან ჰალს გადაუგზავნეს. შეტყობინებაში გარკვევით იყო ნათქვამი, რომ თავდასხმა მოკლე ხანში მოხდებოდა, მაგრამ სამიზნე მითითებული არ ყოფილა. მეორე დილით, დაახლოებით დილის 9 საათზე (ჰავაის დროით 4 საათზე) შეტყობინების ბოლო, დაშიფრული ნაწილი თეთრ სახლში

გაიგზავნა, რომელშიც მითითებული იყო, რომ იაპონია აშშ-თან დიპლომატიურ კავშირს წყვეტდა. ერთი საათის შემდეგ გაიშიფრა კიდევ ერთი, მორიგი შეტყობენება, რომელშიც იაპონიის საელჩოს სთხოვდნენ, მთავარი შეტყობენება ღამის პირველ საათზე (ჰავაის დროით დილის 8 საათზე) გადაეგზავნათ აშშ-ის მთავრობისთვის.

ამრიგად, ამერიკელებს ხელთ ჰქონდათ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც პერლ-ჰარბორს შეეხებოდა. მასში მინიშნებული იყო, რომ თავდასხმა დილით ადრე დაიწყებოდა. თავდაცვის დეპარტამენტმა სცადა ეს შორტისათვის ეცნობებინა, მაგრამ რადგან რადიოკავშირი დროებით შეჩერებული იყო, ინფორმაცია დეპეშით გაგზავნეს. დეპეშა შეტევის დაწყებამდე 20 წუთით ადრე მივიდა, თუმცა გაგზავნამდე ჯერ კიდევ 7 საათით ადრე ოყო გაშიფრული. მეორე დიდი შეცდომა დაუშვეს კუნძულ ოაჰუზე დილის 7:02 საათზე, როცა ჩრდილოეთ სანაპიროს სარადარო სადგურის ორმა ოპერატორმა იაპონელთა თვითმფრინავები შენიშნა და ამის შესახებ უფროს ოფიცერს შეატყობინა. ეს უკანასკნელი ინფორმაციას უყურადღებოდ მოეკიდა, რადგან ეგონა, ეს იყო ამერიკული B-17 ტიპის თვითმფრინავები, რომლებიც ამერიკის დასავლეთ სანაპიროდან მოფრინავდნენ (პირველი რადიო შეტყობინება პერლ ჰარბორზე თავდასხმის შესახებ ვაშინგტონში 7.58 წუთზე გაიგზავნა, თავდასხმიდან რამდენიმე წუთში)[4].

საბედისწერო მოვლენათა ჯაჭვმა და პასუხისმგებელ პირთა შეცდომებმა კატასტროფა გამოიწვია. მოვლენათა ოფიციალურ ვერსიას ეწინააღმდეგება სხვა ალტერნატიული ვერსია: პრეზიდენტმა რუზველტმა და მისმა გარემოცვამ კარგად იცოდნენ, რომ პერლ-ჰარბორზე თავდასხმა ახლოვდებოდა. თუ ამ მოვლენებს თვალს გადავავლებთ, უამრავ სამხილს აღმოვაჩენთ, რომ პრეზიდენტ რუზველტს სურდა, აშშ ნაცისტურ გერმანიასთან ომში რაც შეიძლება მალე ჩართულიყო. თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ ამას ვერ გააკეთებდა მანამდე, სანამ ამერიკელი ხალხი ერთსულოვნად არ აღიარებდა, რომ ომი გარდაუვალი იყო.

მხოლოდ ამერიკისადმი აგრესიას შეეძლო ამერიკელი ხალხის გაერთიანება. რუზველტის მცდელობამ, ინგლისისთვის მხარდაჭერის გამოცხადებით პროვოკაციაზე წამოეგო ჰიტლერი, რათა მას აშშ-ისთვის ომი გამოეცხადებინა, შედეგი ვერ მოიტანა. სამაგიეროდ, ამ მიზნის მისაღწევად ჰიტლერისა და იაპონიის ალიანსის გამოყენება სცადეს.

[4] Pearl Harbor Documents. გვ. 1

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება კარგად გათვლილი ნაბიჯებით თუ კონკრეტული პასუხისმგებელი ადამიანების მხრიდან გამოვლენილი დაუდევრობის წყალობით 1941 წლის დეკემბერში ჩართული აღმოჩნდა ომში, რომელმაც მონაწილე სახელმწიფოთა მხრიდან 60 მლნ ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მართალია, აშშ–ს ადამიანური დანაკარგები მეორე მსოფლიო ომში, მსგავსად პირველი მსოფლიო ომისა, ვერ იყო ისეთი დიდი, როგორც სხვა სახელმწიფოებისა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო შედეგები აშშ–თვის აღმოჩნდა ისეთი, რაზედაც გათვლას მომავალი სუპერ–სახელმწიფო ომში ჩართვის წინ აკეთებდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Remembering Pearl Harbor. A Pearl Harbor Sheet.
https://www.census.gov/history/pdf/pearl-harbor-fact-sheet-1.pdf

2. Senaka Weeraratna. Japan's Attack on Pearl Harbor Ignited the Liberation of Asia from Western Domination.
http://www.sdh-fact.com/CL/Japans-attack-on-Pearl-Harbour-.pdf

3. Pearl Harbor Documents.
https://fdrlibrary.org/documents/356632/390886/Pearl+Harbor+Documents.pdf/405ef5ca-fb07-4a76-b651-2c756814eda4

4.George Morgenstern. Harbor. The Story the Secret War. New York. 1947.
http://austrian-library.s3-website-us-east-1.amazonaws.com/books/George%20Morgenstern/Pearl%20Harbor%20The%20Story%20of%20the%20Secret%20War.pdf

Annotation

This essay deals with one of the most important events in the recent history of the World, that led to the involvement of the United States in the already ongoing World War. The point is interesting, because the tragedy on the prevailing notion of US authorities have been rooted in foreign policy for the last ten years, and even more so in their rejection of traditional isolationist policies.

The paper focuses on the details of what happened, when the American authorities deliberately or negligently assisted the Japanese in taking this step Japanese aggression, that in any case would United offended Americans around one goals, what is called revenge and the restoration of abusive authority no one argues about. No less important was the second factory-the need to avoid the ongoing threat from the Hitler coalition, which the world was already facing.

All of the emphasizes the in-depth understanding of one of the tragic events of the 20th century land the need to objectively evaluate its consequences.

მუჰაჯირობა აჭარაში

ქეთევან დეკანაძე
ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ისტორია, მესამე კურსი
ელ.ფოსტა: qeta.dekanadze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოთარ გოგოლიშვილი,
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

შენიშვნა: ტექნიკური მიზეზების გამო, სტატია 2018 წლის ნაცვლად, გამოქვეყნდა 2019 წლის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების კრებულში

აბსტრაქტი

მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ისტორიული წარსული აქვს ქართველ ერს. მისი შემოქმედებითი ცხოვრება და სამშობლოს დაცვისათვის წარმოებული გმირული ბრძოლები ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ჩვენი ქვეყნის მატეანეში. ამავე დროს არის ისეთი ფაქტებიდ ამოვლენები, რომლებიც შავ ლაქად აწევს ჩვენ სისტორიულ წარსულს. ასეთებიდან უპირველესად აღსანიშნავია ტყვეთასყიდვა და მუჰაჯირობა.

მუჰაჯირობა — კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის იძულებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX საუკუნეში. მუჰაჯირობა დაიწყო ოსმალეთის ბატონობის დამყარებიდან კავკასიაში და დროგამოშვებით I მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. რა აიძულებდა ამ ადამიანებს საკუთარი სახლი დაეტოვებინათ? ერთის მხრივ ოსმალები, რომლებიც ხალხს არწმუნებდნენ, რომ რუსეთის იმპერიაში ძალად გააქრისტიანებენ, სახლ-კარს წაართმევდნენ, ციმბირში გადაასახლებდნენ და მეორეს მხრივ მთავრობის გულგრილობა, სიღარიბე და შიმშილი, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო იმხანად აჭარაში.

მუჰაჯირობის შედეგად თითქმის მთლიანად დაიცალა აჭარის სოფლები.. ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილმა დაიწყო ბრძოლა მუჰაჯირობის შესაწყვეტად. გადასახლებულთა სამშობლოში დასაბრუნებლად დიდი მუშაობა ჩაატარეს გ. წერეთლმა, ს. მესხმა, გ. გურიელნა გ. კაიკაციშვილმა, ს. ხიმშიაშვილმა, ქარტულმა ინტელიგენციამ და სხვებმა. ქართულმა პრესამ ფართო კამპანია გააჩაღა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. ამის შედეგად გადასახლების პროცესი შენელდა და მუჰაჯირთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა.

ჩვენ მიზნად დავისახეთ, განვიხილოთ არა მუჰაჯირობა საქართველოში მისი დასაწყისიდან ბოლომდე, არამედ ამპერიოდის აჭარის მოსახლეობის ყოფა და

სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. აღნიშნული თემის გაცნობა მნიშვნელოვანია და აქტუალურია დღესაც, ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესასწავლად და მოძმე ძმების ბედის გასაცნობად.

საკვანძო სიტყვები: გადასახლება, სოციალური ვითარება, დაბრუნების გზები, ქართული ინტელიგენცია, გადარჩენის გზები, შემონახული ტრადიციები.

შესავალი

მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ისტორიული წარსული აქვს ქართველ ერს. მისი შემოქმედებითი ცხოვრება და სამშობლოს დაცვისათვის წარმოებული გმირული ბრძოლები ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ჩვენი ქვეყნის მატეანეში. ამავე დროს არის ისეთი ფაქტები, მომენტები და მოვლენები, რომლებიც შავ ლაქად აწევს ჩვენს ისტორიულ წარსულს. ასეთებიდან უპირველესად აღსანიშნავია ტყვეთა სყიდვა და მუჰაჯირობა.

რა შეუძლია ერთობას, ამის მაგალითი ჩვენ მეოცე საუკუნის ოციან წლებში აჭარის მცხოვრებლებმა მოგვცეს, რომლებიც ერთ მუშტად შეიკრნენ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მემედ აბაშიძის ძლიერი, ქართული მრწამსით გაჟღენთილი გუნდი. ამის ნათელი მაგალითიადღევანდელობაც. აჭარა მუდამ საქართველოს ერთობას, მის აღორძინებას, ქართველი ერის ტრადიციების განმტკიცებას, საკუთარი თავისა და ოჯახის სიწმინდის შენარჩუნებას თავს სწირავდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ არც ერთი აჭარელის ოჯახში სხვა ერის წარმომადგენლის სისხლი არ არეულა, რითაც აჭარლებმა საქართველოს შეუნარჩუნეს წმინდა ქართული გენეტიკური შთამომავლობა.

ძალა ერთობაშიაო, ნათქვამია, სწორედ ამ ჭეშმარიტების უკმარისობას განიცდის დღეს საქართველო და შედეგიც სახეზეა. საქართველოს ისტორიაში ასეთ მომენტებზე ხშირად ამოიკითხავ, რაც დიდ გულისტკივილს იწვევს. არავის ეგონა, თუ მეოცე საუკუნის დასასრულისათვის გათიშულობის სინდრომი საქართველოში კიდევ დაისადგურებდა და გაუტანლობა იქცეოდა ცხოვრებისეულ კრედოდ, რასაც ბრწყინვალედ იყენებს საქართველოს გარეშე თუ შინაური მტერი.

აჭარის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, მუჰაჯირობის მიზეზები

მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და ნიშნავს სამშობლოდან წავლას,გასახლებას სხვა მხარეში. ამიტომ მასე მიგრაციასთან აიგივებენ. მუჰაჯირობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ოსმალეთი. გამოდიოდა რა მუსლიმანური რელიგიის მორწმუნე ხალხების „მფარველად“. იგი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი

ხალხი გაესახლებინა ოსმალეთში რუსეთის მიერ დაკავებულმა მაჰდიანებით დასახლებულ კავკასიის ტერიტორიიდან. ეს ხალხი მას სჭირდებოდა ჯარის გასაძლიერებლად, დაპყრობილ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასაქრობად.

მუჰაჯირობის ოფიციალური ვადა იყო 1879-წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლება თურქებმა დაიწყეს ჯერ კიდევ რუსეთის ჯარის აჭარაში შემოსვლამდე. ამიტომ მუჰაჯირობი სქრონოლოგიურ ჩარჩოებად 1878-1882 წლებიუნდა მივიჩნიოთ.

აჭარაზე ყურადღებას გავამახვილებთ ჩვენ, ორი მდგომარეობის გამო:

1). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრი თემებიდან ჩვენ ქვეყანას სამუდამოდ დაუბრუნდა მხოლოდა ჭარა.

2). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებმა, ოსმალეთის ბატონობის პერიოდში შედარებით მეტად განიცადა ასიმილაცია თუ სხვა სახის ცვლილებანი, ვიდრე აჭარამ. აქ მოსახლეობამ ურყევად შეინარჩუნა ეროვნული სახე, ენა, ზნე-ჩვეულებანი, ამიტომაც საინტერესოა მუჰაჯირობის განხილვა სწორედ ამ მხრიდან, რათა გაირკვეს საკითხი: რამ აიძულა ოსმალეთის წინააღმდეგ თავდადებით მებრძოლი და სამშობლოსთან შეერთების მოსურნე ხალხის ნაწილი სწორედ სამშობლოსთან შეერთების შემდეგ სამუდამოდ გადაკარგულიყო უცხოობაში.ეს კი მაშინ გახდება ნათელი, როდესაც გაირკვევა აჭარაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და ეკონომიკური მდგომარეობა.

XIX-საუკუნის II-ნახევარში გაძლიერდა ოსმალთა ბატონობა აჭარაში, მოსახლეობიდან ამოწურეს ყოველგვარი შესაძლებლობანი.1876 წელს ხალხს ძალად წაართვეს ორი წლის გადასახადი ერთად. ჟანდარმები და ჯარის ნაწილები ჩააყენეს სოფლებში, დაუმორჩილებლების შემთხვევაში უნადგურებდნენ სახლკარს.

1877 წლის 24 აპრილს დაწყებული რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. 1877 წლის 19 თებერვლის სან-სტეფანოს ზავით აჭარა რუსეთს გადაეცა. 25 აგვისტოს კი ბერლინის კონგრესის დადგენილებით რუსეთის ჯარი აჭარაში შემოვიდა. განხორციელდა აჭარის შეერთება დედა-სამშობლო საქართველოსთან. აჭარის მოსახლეობის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას გულისტკივილით აგვიღწერდა ილიაჭავჭავაძე: „წარსულმა ომებმა ყველას მოუტანა უბედურება, მაგრამ აჭარა, ქობულეთი ყველაზე მომეტებულად დაისაჯა. ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად ვუყუროთ ჩვენი ძმების უბედურებას.“ (შ.მეგრელიძე „აჭარის წარსულიდან“,თბ.1964. გვ 56.)

მართალია, მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობაა, მაგრამ არის სხვა პირობები და ფაქტორები, რომლებმაც გარკვეული გავლენა იქონიეს ხალხზე და ხელი შეუწყეს გასახლებას. ასეთებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ოსმალეთის აგენტების აგიტაცია. ოსმალომო ხელეებმა ბათუმის ოლქის მოსახლეობას დაურიგეს ბროშურები, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ყველა მაჰმადიანი, რომელიც რუსეთის მმართველობის ქვეშ დარჩებოდა სულითა და ხორცით წარწყმედილ იქნებოდა“ და მაინც გადასახლებისაკენ მოუწოდებდნენ. გასახლების ორგანიზატორები მხოლოდ აგიტაციით როდი კმაყოფილდებოდნენ, ისინი პროვოკაციულხერხებსაც მიმართავდნენ, ცხადია აგიტაციამ და პროვოკაციამ გარკვეული გავლენა იქონია მოსახლეობაზე. ხალხის ნაწილმა, დარწმუნებულმა ოსმალეთში კარგ ცხოვრებას ვეწევიო, სამშობლო მიატოვა და უცხოეთში გადაიხვეწა. რუსი მოხელეების ცუდი უტაქტო მოქმედება, ხალხთან არაკეთილი დამოკიდებულება და უხეშობა მომავლის რწმენას უკარგავდა მოსახლეობას. ასეთ ვითარებაში ხალხი ბუნებრივი აირჩევდა კვლავ ოსმალთა ბატონობის ქვეშ დარჩენილიყო და გასახლებულიყო.

გრიგოლ ორბელიანის აღნიშვნით აჭარაში მოხელეებად იგზავნებოდნენ: „უცოდინარი და უპრაქტიკო მოხელეები, რომლებიც მხოლოდ გამდიდრებაზე ფიქრობდნენ, რის გამოც თანამდებობებსაც ბოროტად იყენებდნენ.“ ბათუმში იშვიათი იყო ისეთი მოხელის ნახვა, რომელიც თავის სამსახურეობრივ მოვალეობის გარდა სხვა „ხელსაყრელ“ საქმიანობას არ ეწეოდა. ყიდულობდნენ მიწის ნაკვეთებს, აშენებდნენ სახლებსდა ა.შ.

მუჰაჯირობის მაშტაბებსა და ხასიათზე სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა თუ როგორ დამოკიდებულებას დაიკავებდა და რა როლს შეასრულებდა ამ საკითხში აჭარის გაბატონებული კლასი და სასულიერო პირები. გაბატონებული კლასის წარმომადგენლები იყვნენ აჭარელი ბეგები, ბეგების ძირითადი ნაწილი სათავეში ედგა ემიგრაციას და მიილტვოდა ოსმალეთში, ისინი ცდილობდნენ თან წაეყვანათ გლეხებისის ნაწილი, რომელზედაც მათ გავლენა ჰქონდათ. ბეგების ეს ნაწილი, სამშობლოში დაეტოვებინათ და ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ აიძულა რთულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ. ოსმალთა ბატონობის პერიოდში ბეგები იყვნენ, სულთნის სამსახურში. გადასახადს უხდიდნენ მას დავალდებული იყვნენ ომის პერიოდში საბრძოლველად გამოეყვანათ თავიანთი მოსახლეობა. სხვა მხრივ ისინი თითქმის დამოუკიდებლად მართავდნენ მხარეს და მისი სრული ბატონ-პატრონი იყვნენ, ეს გარემოება, ცხადია, დიდ გავლენას ახდენდა ხალხზე. როდესაც აჭარა რუსეთს შეუერთდა, ბეგები აცხადებდნენ: „ჩვენ, რომლებსაც შეგვეძლო ჩვენი ქვეყნის დაცვა და ჩვენი ერთგულების უკა-

ნასკვნელ წუთამდე შენარჩუნება, შევსძლებთ ვიყოთ ისეთივე ერთგული ქვეშევრდომები ახალი მთავრობისა, როგორც ძველად ვიყავით, ჩვენ თუ მოგვეცემა სამართლიანობა და ჩვენ შეურაცყოფას არ მოგვაყენებენ ვიქნებით საუკეთესო ქვეშევრდომები. არადა ჩვენ დაგვრჩენია ერთი რამ- გასახლება". თურქების ბატონობის დროს ბეგების სამსახურში იყვნენ, ღებულობდნენ ხელფასს, რითაც საარსებო წყარო გააჩნდათ. ცარიზმის მმართველობის დროს კი ისინი იზორილებული იყვნენ ყოველგვარი საქმისგან, ამას მოჰყვა მათი თავმოყვარეობის შელახვა და ახალი წყობის წინააღმდეგ ამხედრება. ისინი სათავეში ჩაუდგნენ ხალხის ოსმალეთში გასახლებას. იქ წასვლაში ხედავდნენ ისინი გამოსავალს. მიდიოდნენ არა მარტო თავიანთი ოჯახებით, ცდილობდნენ თან წაეყვანათ მთელი თავისი სოფლის მოსახლეობაც, რომ იქ შერჩენოდათ უფლებები მათზე. რაც მეტ ხალხს წაიყვანდა ბეგი მით მეტ ავტორიტეტს იძენდა იგი სულთნის თვალში. ერთი, სიტყვით, ბეგების პოლიტიკური უფლებებისა და ეკონომიური დაკარგვა იყო საფუძველი, რამაც აამოძრავა მათი ძირითადი ნაწილი ოსმალეთში გასახლებულიყო.

ამრიგად, აჭრის მოსახლეობის ეს ძლიერი და გავლენიანი კლასი კვლავ ოსმალეთის სამსახურში აღმოჩნდა.

მაგრამ მათში იყვნენ ისეთებიც , რომლებიც წმინდად ინახავდნენ წინაპრების ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს. ასეთები იყვნენ: შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, გულო კაიკაციშვილი, ხასან გვერდაძე, ახმედ ხალვაში, ჰასან ციციშვილი, იუსუფ შერვაშიძე, დედი ნიჟარაძე და სხვები. ისინი იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ ვინც გადასახლებას ქადაგებდნენ და არწმუნებდნენ ხალხს, რომ მშობლიური მიწა-წყალი არ მიეტოვებინათ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ აჭარის მოსახლეობის ნაწილი გადასახლებას გადაურჩა.

აჭარის მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლების ინიციატორები იყვნენ სასულიერო პირებიც. შეიძლება ითქვას, რომ, ესენი მეტი უპირატესობით სარგებლობდნენ ხალხში და ხალხის გასახლებაზე ყველაზე ძლიერი გავლენა მათ მოახდინეს. სასულიერო პირები იყვნენ ოსმალთა დასაყრდენი აჭარაში. მათი ასეთი ქმედება გამოწვეული იყო რთული ეკონომიკური მდგომარეობით. სასულიერო პირები ხალხის გასახლებას ცდილობდნენ ოსმალეთში არა იმიტომ, რომ რელიგიას საშიშროება მოელოდა რუსეთის მხვრივ, არა. მათ ამოძრავებდათ პირადი ეკონომიური, მატერიალური ინტერესები. როდესაც აჭარა რუსეთს შეუერთდა და დროებით რთული ეკონომიკური ვითრარება შეიქმნა, ხალხი დამშეული იყო და არ შეეძლო გადასახადი გაეღო სასულიერო პირთა შესანახად,. სასულიერო პირები ხედავდნენ, რომ რუსეთი მათ ეკონომიურ საფუძველს არ იცავდა, მაშინ როდესაც თურქეთის ბატონობის დროს სრულ თანაგრძნობას და დახმარებას

ღებულობდნენ. ამიტომ, მათ აშინებდათ ძალაუფლებისა და გავლენის დაკარგვა. მათი დამოკიდებულება მას შემდეგ შეიცვალა როცა დაინახეს და იგრძნეს მუჰაჯირობის უბედურება..

ასეთი იყო აჭარის სოციალ-ეკონიმიკური ვითარება, ის პირობები და ხელშემწყობი ფაქტორები, რამაც განაპირობა აჭარის მოსახლეობის გადასახლება ოსმალეთში.

გასახლების ეტაპები და გასახლებულთა რაოდენობა

სან-სტეფანოს ხელშეკრულება ითვალისწინებდა რუსეთის მიერ შეერთებული ტერიტორიიდან, ნებასურვილით, ხალხის ოსმალეთში გადასახლებას სამი წლის მანძილზე. ეს მუხლი ძალაში დატოვა ბერლინის კონგრესმაც.

რა მდგომარეობა შეიქმნა ბათუმის ოლქში? ბათუმის ოლქიდან მუჰაჯირობა უნდა გავყოთ ორ პერიოდად. პირველი-ვიდრე რუსეთის ჯარი აჭარაში შევიდოდა, ე.ი. როდესაც თურქები ძალად მიერეკებოდნენ მოსახლეობას ოსმალეთში, აქ გადამწყვეტი იყო თურქი მოხელეებისა და თურქეთის ჯარის შეიარაღებული მოქმედება. გასახლების სხვა მიზეზები ამ პერიოდში არ მოქმედებდნენ.

მეორე მუჰაჯირობის პერიოდი , 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე, როდესაც გასახლების ძირითადი მიზეზი ხდება და წინა პლანზე დგება ეკონომიური საფუძველი, აგრეთვე გამოიყენება თურქეთის აგენტების სხვადასხვა საშუალებები, როგორებიცაა: ქრთამი, პროვოკაცია, მოტყუება, აგიტაციით რელიგიურ გრძნობებზე ზემოქმედება და ა.შ.

ბათუმის ოლქიდან ყველაზე ფართო მასშტაბით გასახლება მოხდა ქობულეთიდან. პირველ რიგში მიჰყავდათ ქალები, ბავშვები, რომლებსაც თავისთავად მიჰყვებოდნენ ძმები და ქმრები. XIX საუკუნის 80-იანი წლების ქობულეთის მდგომარეობას ასე აგვიღწერდნენ: „ქობულეთი ნახევრად დაცარიელდა, ამაზე მოწმობენ ცარიელი და ნახევრად გაპარტახებული სახლები.“(ჯ. ვარდმანიძე, „მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“, გვ 87).1879 წელს გასახლების შემდეგ ქობულეთში 2000 მცხოვრებიდან 500 დარჩენილიყო, ხოლო მახლობელი სოფლები სრულიად დაცარიელებული და გაპარტახებული იყო.

1879 წლის გაზაფხულზე დაიწყო გასახლება, რომლის პირველი ნაკადი გრძელდებოდა იმავე წლის შემოდგომამდე. ამ პერიოდში მუჰაჯირად წავიდა აჭარის მოსახლეობის საერთო გასახლებულთა მეტი ნაწილი. მაჭახელიდან 80 ოჯახი, ქვემო აჭარიდან 800 ოჯახი, ზემო აჭარიდან 60 ოჯახი. ყველაზე ნაკლები გასახლებულა ფოცხოვის ხეობიდან, 43 კომლი.ცნობილია, რომ ბათუმის ოლქში ცხოვრობდნენ ლაზები, რომელთა ნაწილი აჭარაშიც იყო (ვ. ლისოვსკის ცნობით 2 ათასი სულ). ცხადია მათი ნაწილიც გადასახლდა ამ პერიოდში ოსმალეთში.

დაცლილ მიწებზე კი რუსი გენერლები და უცხო ეროვნების ვაჭრები სახლობდ-ნენ.

1879 წლის ზაფხულის დასასრულს გასახლება შეწყდა, თუმცა 1880 წელს გასახლება კვლავ განმეორდა, ისევ გაზაფხულსა და ზაფხულში. მხარეში კვლავ დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია რჩებოდა და მძიმე ეკონომიკური მდგომა-რეობა. ხალხისთვის გაუგებარი იყო ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები. „ ორ კაცს ერთად ვერ ნახავთ, -წერდა „დროება“- რომ ერთი აზრისა იყვნენ გასახლე-ბაზე. აღარც თავიანთ გავლენიან მოლებზე აქვთ ნდობა, ზოგი გადასახლებისაკენ მოუწოდებდა, ზოგიც კიდევ პირიქით. ამ უკანასკვნელ მოლებს კი რუსეთის აგენ-ტებად თვლიდნენ.“ (თ. კომახიძე „აჭარის წარსულიდან, გვ 87).

ამრიგად, აჭარიდან გასახლებულთა ძირითადი ნაწილი მოდის ქვემო აჭარაზე, კერძოდ, ქობულეთის მხარეზე.შედარებით ნაკლები ჩაქვის მახლობ-ლად მდებარე სოფლებიდან და გონიოდან. ასევე მაჭახელიდან და ზემო აჭარი-დან. 1879 წელს, საერთო ჯამში, აჭარიდან გასახლებულთა რიცხვი 10 000 კომლი უნდა ვიანგარიშოთ, რაც 28-30 ათას სულს უდრიდა. მართალია, ჩვენ არ ვამტკი-ცებთ, რომ ეს რიცხვი ზუსტია, მაგრამ ვიდრე დამატებით ცნობებს მივიკვ-ლევდეთ, დაახლოებით იმ პეროიდის ვითარება ასეთი უნდა ყოფილიყო.

გასახლებულთა მდგომარეობა ოსმალეთში და უკან დაბრუნების გზები

მუჰაჯირად გამზადებული ხალხი ბათუმში იკრიბებოდა. გამგზავრების დროს გულისტკივილითა და ტირილით ეთხოვებოდნენ მუჰაჯირები თავიანთ მშობლიურ მიწა-წყალს, თუმცა მათ ამშვიდებდნენ იქ მყოფი პირები, რომლებიც ეუბნებოდნენ : “ოსმალეთში ოქროს ცხოვრება გექნებათ, ნუ გეშინიათ წადით. იქ კაი ადგილებს მოგცემენ, მდიდრად იცხოვრებთ, აქ კი ყოველთვის ღატაკად იქნებით“ (ჯ.ვარდმანიძე: „მოჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“, გვ 54).

გადასახლებული ხალხის ნაწილი გზაში იხოცებოდა, ნაწილი კი თურქეთში ჩასვლის შემდეგ. ადგილზე არანაირი ზომები არ იყო მიღებული მათი ბინითა და საკვებით უზრუნველსაყოფად. ოსმალეთში ჩასული მუჰაჯირები არსებითად ყოველგვარი დახმარების გარეშე აღმოჩნდნენ. ნაწილი ისეთ ადგილებში დაა-სახლეს, საიდანაც მოსახლეობა ცუდი კლიმატური პირობებისა და მოუსავლია-ნობის გამო სხვაგან გასახლებულა. ხალხი აუტანელ პირობებში ჩავარდა. კიდევ უფრო გავრცელდა დაავადებანი და სიკვდილიანობა. საქმე ისეთ უბედურებამდე მივიდა, რომ მუჰაჯირები შვილებს ხელზე მოსამსახურეებად ყიდნენ და აგი-რავებდნენ. ჩვეულებრივი მოვლენა იყო რომ 8-10 წლის ბავშვები ფიზიკურად შრომობდნენ თავის გამოკვების მიზნით.

ზ. ჭიჭინაძის სიტყვით ბევრი საუკეთესო ოჯახი დაეცა, მოისპო და განადგურდა, ბევრ ქართველ ახალგაზრდა მაჰმადიან ქალს აეხადა ნამუსი, მოხუცი და მრავალი ახალგაზრდა დაიხოცა შიმშილით. „აღარც აქაური სუფთა ტანსაცმელი, არც მაჭახელას იარაღი, არც ფული და არც ქართული ფაქიზი გული და მედიდურობა. ყველაფერს იტანდა უცხოეთში მიმკვიდრებული“.(თ. კომახიძე „აჭარის წარსულიდან“, გვ. 63). მუჰაჯირთა უბედურებას დაემატა შუღლი და მტრობა მათსა და ადგილობრივ ხალხს შორის.

ოსმალეთში გასახლებული მუჰაჯირები ცუდი მატერიალური პირობების გარდა მორალურ ტანჯვასაც განიცდიდნენ. მათ მდგომარეობაზე ნათლად მეტყველებს მუჰაჯირთა გამოგზავნილი ბარათები თავიანთ ნათესავებთან სამშობლოში: “ღმერთის ნება იყოს, რომ შინ დავბრუნდე. ქალ-ბაღანას პური არა აქვს, ტანთ არაფერი აცვიათ, ფარაც არ გვაქვს, გვიშველეთ რაიმეთი, ჩვენ სულ ვკვდებით შიმშილით და სიცივით. ჩვენი ქვეყანა კარგი არის, აქეთ ნუ წამოხვალთ, ჩვენი თხოვნა ეს არის. (“სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ნარკვევები“ ტომი III, გვ 142).

ოსმალეთში ჩასული მუჰაჯირების მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ადრევე დაიწყეს ფიქრი უკან დაბრუნებაზე. მუჰაჯირებმა იგრძნეს შეცდომა , დანაშაული და რუსეთის მთვარობას სთხოვეს უკან დაბრუნების და მშობლიურ მიწა-წყალზე დასახლების ნება. იმის გამო, რომ უკან დაბრუნება აკრძალული იყო, ბევრ მსურველს ეს მდგომარეობა აშინებდა. დაბრუნების აკრძალვას გამოეხმაურა ქართული ინტელიგენცია და 1879 წლის ბოლოს გამოიცა ბრძანება მუჰაჯირთა უკან დაბრუნების შესახებ. ჩვენ არ ვიცით ვისი ზეგავლენით მოხდა ეს საუკეთესო ღონისძიება, მაგრამ ცხადია ერთი რამ, რომ ეს იყო ქართველი საზოგადოების ბრძოლის შედეგი.

დაბრუნებულთა საერთო რიცხვის შესახებ ჩვენ მხოლოდ ერთი მითითება გაგვაჩნია. შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ისიც არაზუსტია. მაშასადამე, უკან დაბრუნება დიდხანს არ შეწყვეტილა და სამშობლოს მიტოვებით გულდამწვარი მოსახლეობაც თანდათან უბრუნდებოდა მშობლიურ კერას.

მუჰაჯირობისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულება

ქართველი ხალხი უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა აჭარის დედა-სამშობლოსთან შემოერთებას. ქართული პრესა და მოწინავე საზოგადოება მოუწოდებდა ერს მჭიდრო კავშირი დაემყარებინა, დაახლოებოდა და ძმობა აღედგინა აჭარის მოსახლეობასთან. ამიტომ, ბუნებრივია, იგი ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა აჭარის მოსახლეობა მშობლიურ მიწა-წყალზე დარჩენილიყო.

მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ აჭარის მოსახლეობას დახმარების ხელიგაუწოდა, თავისი ლუკმა-პური გაუყო საქართველოს მოსახლეობამ. მათ დასახმარებლად საქართველოს სხვადასხვა მხარეში შეიკრიბა ფული. თუმცა ეს ზომები არ აღმოჩნდა საკმარისი აჭარის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

აჭარა დიდად დაზარალდა ომის შედეგად. განსაკუთრებით აოხრება და აწიოკება განიცადა კინტრიშის მხარემ, რადგანაც აქ საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. ომის დამთავრებას თან მოჰყვა მოუსავლიანობა და შიმშილი. მოძმე აჭარელთა დასახმარებლად დიდი ილია მიმართავდა ხალხს: „ქართველობავ.... ხელი გაუწოდე შენს ძმებს და დებსა, რომელნიც დღემდე შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ. შეეწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმელით, საცმელით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობით მოვალეობაც ძმისა და დის წინაშე.“ (ჯ. ვარდმანიძე, „მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“, გვ 73).

პირველი ვინც გამოთქვა შიში მუჰაჯირობის შესახებ , იყო გრიგოლ ორბელიანი: „დიდად მეშინია, რომ აჭარაში არ დააფუძნონ ჩვენი მიროვოისედები და ხალხი არ აღმოჩნდეს ახალს შეუჩვეველს ხელში“.(ჯ.ვარდმანიძე, „მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“, გვ 81).

განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა მუჰაჯირობის საკითხს გიორგი წერეთელი. ის მთელი არსებით დაინტერესდა ამ ტრაგედიით და არა ერთი პუბლიცისტური ნაშრომი მიუძღვნა.

თავის „მოგზაურობანში“ თედო სახოკია ფართოდ ეხება ჩვენთვის საინტერესო პრობლემას. იგი განსაკუთრებით გამოყოფს თურქი მოლა-ხოჯების ნეგატიურ გავლენას ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ვრცელი პუბლიკაცია აქვს დაწერილი ლევან მჭედლიშვილს აღნიშნულ საკითხზე „წერილები აჭარიდან“, ავტორი წუხს იმის გამო, რომ მშვენიერი სახე საქართველოსი იცვლება მკვიდრი მოსახლეობისაგან. ამის მიზეზად კი იმ გულგრილობას მიიჩნევს, რომელსაც ამჟღავნებდა ქართველი ხალხი მოძმე აჭარლების მიმართ.

ამრიგად, ქართველი საზოგადოება გულისწყრომით და მწუხარებით შეხვდა აჭარის მოსახლეობის ოსმალეთში გასახლებას. იგი ცდილობდაყოველმხრივ ხელი შეეწყო და დახმარებოდა მათ, რომ ხალხი მშობლიურ მიწა-წყლიდან არ წასულიყო.. გასახლების წინააღმდეგები იყვნენ, აჭარის მოსახლეობას მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ: ი. ჭავჭავაძე, გრ. გურიელი, ილია ალხაზიშვილი,

დურმიშხან ჟურული, სოლომონ ასლანიკაშვილი, ლევან მჭედლიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, თედო სახოკია, გ, წერეთელი, ნიკო ანდღულაძე და სხვები.

მუჰაჯირობის შედეგები

ოსმალთა ბატონობით შექმნილმა სოციალ-ეკონომიკურმა პირობებმა აჭარა მოსწყვიტა დედა-საქართველოს და წინსვლა შეაფერხა, მოსახლეობა შეამცირა, სოფლები დააცარიელა, უამრავი ოჯახი გააუბედურა და სიღატაკემ მოიცვა ქვეყანა, მაგრამ მან საბოლოოდ ვერ დათრგუნა ქართველური ბუნება და ჩვევები: სტუმართმოყვარეობა, უფროსისადმი პატივისცემა, შრომისადმი სიყვარული, თავისუფლებისადმი ლტოლვა და ა.შ. აჭარის მოსახლეობა ებრძოდა ოსმალო ასიმილატორებს და ხსნას საქართველოსთან შეერთებაში ხედავდა. მან კარგად შეინარჩუნა ქართული ზნე-ჩვეულებანი და რაც მთავარია, მშობლიური ქართული ენა.

დ. ბაქრაძემ, აჭარაში ყოფნის დროს, ყურადღება მიაქცია ქართული ენის მდგომარეობას. მისი თქმით ქობულეთური ქართული კილო არ განსხვავდებოდა გურული კილოსაგან. „როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცის ხელნაწერი აჭარაში ჰგავს ქალის ხელნაწერს საქართველოში. 15 წლის წინათ აქ ძლიერ მცირენი ლაპარაკობდნენ თურქულ ენაზე, უკანასკნელ წლებში ეს ენა იმდენად გავრცელდა, რომ უკვე დედა ენა ქართულს ავიწროვებდა“. ბაქრაძე ქართული ენის შენარჩუნებას აჭარაში იმით ხსნიდა, რომ „აჭარლები არ სწყვეტდნენ კავშირს გურიასთან“. (შ. მეგრელიძე „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან“, გვ111)

თურქული ენა აჭარაში ვრცელდებოდა საუკუნეების მანძილზე, მაგრამ თანზიმათის გატარების წლებიდან გაძლიერდა იგი. ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში აკრძალული იყო მშობლიურ ენაზე ლაპარაკი, ქართული ტრადიციების შენახვა და ჩვევათა შესრულება. მათ არ ჰქონდათ არც ერთი სასწავლო დაწესებულება, გარდა მეჩეთთან არსებული სკოლებისა, სადაც ყურანს ასწავლიდნენ. ხოჯები, მოლები და ეფენდები, მომზადებულნი იყვნენ ოსმალების მიერ, სდევნიდნენ აჭარის მოსახლეობას და მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ, იგი რათა სიმტკიცით დაეცვათ ყურანი.

მეტად საინტერესოა თურქული ენისა დატრადიციების გავრცელება აჭარაში. ცხადია, ქართველებში დამკვიდრდა უცხო ქვეყნის მახასიათებლები. თუმცა აჭარლები მუდმივად ცდილობდნენ ამ პროცესს შეწინააღმდეგებოდნენ. მოსახლეობაცდილობდა თავიანთი ენისა და ტრადიციების დაცვას. ამისათვის სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. რელიგიური სიმბოლოებს გამოსახავდნენ მჭადზე. როცა ცომს მოზელდნენ მასზე ჯვარს გამოხატავდნენ და გამოაცხობდნენ, ამით

ისინი თავიანთი რელიგიის დაცვას ცდილობდნენ. საიდუმლო ინფორმაციის გადაცემის მიზნით მათ შექმნეს საიდუმლო სასაუბრო ენა და ასე ახერხებდნენ კომუნიკაციას. იმდენად დიდი იყო გავლენა ოსმალების მხრიდან, რომ ზემო აჭარაში დღესაც შეიძლება ყური მოვკრათ უფროს ასაკიან ადამინებში მეტყველების დროს სხვადასხვა თურქულ სიტყვებს. მაგალითად:

- ბახჩა-ბაღი ;
- გერჩექ-მართლა;
- იშტა-ისე;
- თერეფი-მხარე;
- ბაბაი-მამა;
- დედეი-ბაბუა;
- ნენეი-ბებია;
- ჰამა-მაგრამ;
- თავანი-ჭერი;
- ხებერი-ამბავი;
- აბლა-მამიდა;
- ხალა-დეიდა, ბიცოლა
- გენილი-რძალი;
- ბელქი -ნეტა;
- სელამი-გამარჯობა;
- ჰაიდე-წამოდი;
- ანა(ანე)-ბებია;
- ინშალა-ღვთის წყალობით;
- ილლაქი-აუცილებლად;

ასევე გავრცელდა და დამკვიდრდა თურქული სახელები, რომლებსაც დღესაც ვხდებით: მუჰამედი, ომარი, ოსმანი, აიშე, ფატიმა, ემინე, ხატიჯე და ა.შ.

დასკვნა

მუჰაჯირობა კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის იძულებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX საუკუნეში. მუჰაჯირობა დაიწყო ოსმალეთის ბატონობის დამყარებიდან კავკასიაში და დროგამოშვებით I მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. დაკავშირებული იყო კავკასიის ომებთან, საგლეხო რეფორმების დაწყებასთან და რუსეთ-ოსმალეთის 1877—1878 ომთან. მუჰაჯირობამ მოიცვა აბაზები, ჩერქეზები, უბიხები, ჩეჩნები, ყარაჩაელები, ყაბარდოელები, ოსები, აფხაზები და სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველები. ოსმალეთი ცდილობდა მუჰაჯირების დასახლებას იმპერიის დაუსახლებელ

ადგილებში, აგრეთვე რუსეთ-ოსმალეთის საზღვარზე. რუსეთს სურდა მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლებით მიეღწია პოლიტიკური სიმშვიდისათვის ამ მხარეში, განთავისუფლებული მიწები გამოეყენებინა ფართო კოლონიზაციისათვის, ესარგებლა მხარის ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობით.

მუჰაჯირობა მეტად მტკივნეული პერიოდია ქართველი ერის ცხოვრებაში, მისი ცოდნა და შესწავლა აუცილებელია ვინაიდან „**წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავალისა.**“ „ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი და ინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანსა მწუთისოფელში“.

გამოყენებულილიტერატურა

1. ახვლედიანი ხ., სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956;

2. ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975;

3. მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წწ.), თბ., 1964;

4. ძიძარია გ., თოგოშვილი გ., ჩხარტიშვილიქ., ქსე, ტ. 7, თბ., 1984

5. ბურჭულაძე ე., ყირიმის ომიდასაქართველო, თბ., 1960.

6. ვარდმანიძე ჯ., მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ., 2012

7. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათ., 2008

Abstract

The Georgian nationhas a centuries-old and rich historical past. Its creative life and heroic battles for protection of the homeland are written with golden letters in the history of our country. At the same time, there are smuts in our historic past. Selling of captives and the “era of muhajirs” are such smuts to mention first of all.

“Era of muhajirs” is the era of the compelled emigration of the indigenous population of the Caucasus to the Ottoman Empire in the XIX century. The “era of muhajirs” began from the start of the Ottoman dictatorship in the Caucasus and occasionally took place during the period until the World War I. What made these people to leave their homes? On the onehand, the Ottomans who persuaded people that they would be turned into Christians forcedly in the Russian Empire, be deprived of their homes, exiled to Siberia, and on the other hand, the government' sin difference, poverty and hunger, that were the usual thing sin Adjara.

The “era of muhajirs” left the villages of Adjara almost completely deserted. The leading part of the Georgian society started strugglestoend the “era of muhajirs”. Great work was done by G. Tsereteli, S. Meskhi, G. Gurieli G. Kaikatsishvili, S. Khimshiashvili, the Georgian intelligentsia and other store turn the emigrated people to the motherland. The Georgian press started a broad campaign against emigration. As a result, the process of emigrations lowed down and part of the muhajirs returned to their homeland.

We aim to discuss not the existence of the “era of muhajirs” in Georgia from its beginning to the end, but the life and social and economic situation of the population of Adjara during this period. This topic is important and it is still actual today to study the history of our country and to get acquainted with the fate of our ancestors.

Keywords: emigration, social situation, ways of return, Georgian intelligentsia, ways of survival, preserved traditions.

თანამედროვე პრეს მედიის სიმულაციური ბუნების ზოგიერთი თავისებურებანი

გიორგი გორჯელაძე
ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ისტორია, მეოთხე კურსი.
ელ. ფოსტა: gorjeladze.giorgi@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მასალკინი,
ფილოსოფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომში „თანამედროვე პრეს მედიის სიმულაციური ბუნების ზოგიერთი თავისებურებანი“ განხილულია თანამედროვე პრეს მედიისათვის აქტუალური პრობლემები, საუბარია იმ შედეგებზე როდესაც მედიას ფლობს პოლიტიუკური თუ სხვა ელიტა. ამისათვის მოყვანილია არგუმენტები მედიის თეორეტიკოსების ნაშრომებიდან და წარმოდგენილია მაგალითები თანამედროვე მედიაზე დაკვირვების საფუძველზე. ნაშრომს თან ერთვის კვლევა, რომელიც ჩავატარე იმის დასადგენად თუ რამდენად აღიქვამს დღეს საზოგადოება მედიის გავლენას მის ცნობიერებაზე. ნაშრომში საუბარია იმაზე თუ როგორ იქმნება მედიის გამოყენებით ვიზუალური სიმულაციური რეალობა, რომელიც არაფრით ჰგავს სინამდვილეს.

შესავალი

თანამედროვე პრეს მედია სულ უფრო დიდ როლს ასრულებს დღევანდელ საზოგადოებაში, სულ უფრო მეტად იჭრება ცხოვრების ყველა სფეროში და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის ხასიათს. ციფრული ტექნიკის განვითარებასთან ერთად იზრდება და კიდევ უფრო ხელმისაწვდომი ხდება მასმედიის შესაძლებლობები. წარმოიშვება ახალი ცივილიზაცია ახალი ელექტრონული ურთიერთკავშირი წარმოქმნის სამყაროს “მსოფლიო სოფლის სახით“. ვიდეოარტის განვითარებამ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მოითხოვა. თანამედროვე ვიზუალური კულტურის საკომუნიკაციო ენის ფორმირების პროცესი ამ ახალ

ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული, რომელიც გამოსახულების შექმნის, აღდგენის და გავრცელებისათვის გამოიყენება. ამის მიზეზი გახდა თვით ტექნოლოგიური ევოლუციის პრინციპი და რეალობის იმპერატივი. "გადამეტებულმა რეალობამ" განაპირობა ჰიპერტროფირებული სიმულირებული რეალობა, რომელიც გამოსახულებისა და ხმის ხარისხით აღემატებოდა თვით რეალობას და სრულიად კარგავდა მასთან კავშირს, გადააქცევდა მას მითოლოგიურ სურგატად. ამ ჰიპერტროფირებული რეალობის მოდელის ფენომენი ჟან ბოდიარმა ასე განსაზღვრა: ,,ეს არც იმიტაციაა, არც რედუბლიკაცია, არც პაროდია. ესაა რეალობის ნიშნების ჩასმა თვით რეალობის სანაცვლოდ". (ბოდრიარი 1998, :15) რეალობაზე ძალადობა დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მოვლენაა. ნაშრომში გაეცნობით თანამედროვე პრეს მედიისა და სიმულაციური პროცესების სისტემის ურთიერთობას და ზოგიერთ თეორიას ამ ორი ფენომენის სხვადასხვა პირობებში მიმართებების შესახებ. სტატისტიკისთვის ჩავატარე მცირე კვლევა, რომელსაც იხილავთ ნაშრომში.

1. სიმულაციის დახასიათება

სიმულაცია, ანუ სიმულაციური პროცესი, სიმულირების საშუალებით მიიღება. სიმულაცია ისევე მოქმედებს, როგორც თავად ის, რისი სიმულირებაც ხდება. ოღონდ საფუძველი და დასაყრდენი, რომელიც გააჩნია იმას, რისი სიმულირებაც ხდება, სიმულაციას არა აქვს. სიმულაციური პროცესი მთელი ძალებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ სიმულაციის უკან შესაბამისი საფუძვლი და დასაყრდენი იმალება. ასე რომ, სიმულაცია არაფერს არ ფარავს, პირიქით, ის ცდილობს აჩვენოს იმის არსებობა, რაც არ არის. ცალკეული შედეგების მიხედვით შეუძლებელია განასხვავო სიმულაცია და ის, რისი სიმულირებაც ხდება. მათ შორის განსხვავება მხოლოდ პროცესების, ხდომილებების და მათი შედეგების კავშირში ჩანს. იმ ეპოქაში, სადაც მასმედია არის ყველგან, არსებითად, ყალიბდება ახალი რეალობა - ჰიპერრეალობა, რომელიც იქმნება ადამიანების ქცევისა და მედიის გამოსახულებების ურთიერთშერწყმის შედეგად. ჰიპერრეალობის სამყარო აგებულია სიმულაკრის საფუძველზე - იმიჯებისა, რომლებსაც მნიშვნელობას მხოლოდ სხვა იმიჯები ანიჭებენ და ამიტომ მათ არ გააჩნიათ საფუძველი გარეგან რეალობაში.

თანამედროვე სამყაროში შეიქმნა მსოფლიო ინფორმაციული წესრიგი - ინფორმაციული საქონლის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების საერთაშორისო სისტემა. ბევრს საუბრობენ იმპერიალიზმის ახალ ფორმაზე - მედია იმპერიალიზმზე, რადგანაც მედია ბაზარზე დომინირებენ დასავლეთის წამყავნი

ქვეყნები და კომპანიები. ბევრი ექსპერტი შეშფოთებულია იმით, რომ მედიის ძალაუფლება კონცენტრირებულია ისეთი ძლიერი პიროვნებების ხელში, რომლებიც, მათი თქმით, არ არიან ანგარიშვალდებულნი დემოკრატიული პროცედურების წინაშე.

2. პრეს მედია და სიმულაციური (ვირტუალური) რეალობა

პრეს მედია საქართველოში დღემდე ვერ ჩამოყალიბდა მყარ ბიზნესად. ამის ერთ–ერთი მიზეზი, ალბათ ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობაც არის. სარეკლამო ბაზარი საკმაოდ მწირია. მედიის სუბსიდირება ძირითადად სხვადასხვა ბიზნეს და პოლიტიკურ ჯგუფების მიერ ხდება. საქართველოში დამოუკიდებელი პრესის ისტორია პარტიულ პრესას უკავშირდება, რომელიც ტრადიციულად ხელისუფლების ერთგვარი ოპოზიციის როლს ასრულებდა. კავშირი პოლიტიკასთან შემდგომში პოლიტიკოსებთან კავშირში გადაიზარდა. ჟურნალისტები მკითხველებზე მეტად პოლიტიკოსებზე იყვნენ ორიენტირებულნი და მათთვის წერდნენ. ილია ჭავჭავაძის თქმის არ იყოს, საქართველოს ისტორია მხოლოდ მეფეთა ისტორიაა და ხალხი არ ჩანს. საზოგადოება არც დღევანდელ გაზეთებსა და საინფორმაციო გამოშვებებში ჩანს და ძირითადი აქცენტი კვლავ პოლიტიკოსებზე კეთდება. თანამედროვე მედიის სისუსტის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მათი სამიზნე აუდიტორია საზოგადოება კი არ არის, არამედ ცალკეული პოლიტიკური ჯგუფები. ჟურნალისტების ერთმა ნაწილმა მოირგო მედიის ,,მეოთხე ხელისუფლებიანობა.“ სახელმწიფო მოხელეების მსგავსად, მათაც არ მოსწონთ საკუთარი მისამართით გამოთქმული კრიტიკა, გაწყვეტილი აქვთ კავშირი საზოგადოებასთან და ა.შ.

ნიკლას ლუმანი წიგნში: „მასმედიის რეალობა“ წერს: "ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით ჩვენს საზოგადოებაზე ან თუნდაც იმ სამყაროზე, რომელშიც ვცხოვრობთ, ვიცით მას-მედიის საშუალებით“ (2;გვ.3). მას-მედიის სისტემა რეალობის კონსტრუქციას აგებს ახალი ამბების, კომენტარების, რეკლამისა და გართობის საშუალებით. კონსტრუირებული რეალობა სუბიექტურია, ინფორმაციის სელექციის სუბიექტებზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე.

როგორც, უკვე ვახსენე მედია საშუალებები სხვადსხვა ბიზნესმენთა თუ პოლიტიკოსთა მფლობელობაშია, შესაბამისად მათი უმრავლესობის სარედაქციო პოლიტიკა მთლიანად აწყობილია მათივე მფლობელების მოთხოვნილებათა შესაბამისად. თანამედროვე მედია საშუალებები, რომლებიც ხელისუფლებასთან კავშირში არიან, ცდილობენ ადამიანებს სინამდვილე აჩვენონ ხელისუფლების ინტერპრეტაციით, შესაბამისად პოლიტიკური ელიტა წარმოადგენს გენერალურ ინტერპრეტატორს ქვეყანაში. პოლიტიკური ელიტების მიერ ინფორმაციული

საშუალებების, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მიზანი რეალობის მოდელირებაში გამოიხატება.

საზოგადოება, აუდიტორია არ არის სიმულაციური აქტიობის უმანკო მსხვერპლი. როგორც ბოდრიარი წერს, საკითხავია, ვინ მოიგო, - იმ სიმულაციამ, რომლითაც ელიტები უტევს მასას თუ საპასუხო სიმულაციამ. [7, გვ. 204]. რაციონალური კომუნიკაციის და მასების არათავსებადობაზე მიუთითებს პოსტმოდერნის თითქმის ყველა მკვლევარი. მასას „აწყობს“ ის რეალობა, რომელსაც მას პოლიტიკური ელიტა ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით სთავაზობს. სიმულაციური აქტიობა მასების დუმილის ფონზე - ეს არის თანამედროვეობის ერთერთი მთავარი პრობლემა. სიმულაციური აქტივობა, ძირითადად ტელევიზიის მეშვეობით, ქმნის რეალობას, რომელსაც აქვს თავისი წესები და კანონები, თავისი „მატერიალურობა“ და, რომელსაც, ისეთივე, თუ უფრო მეტი არა, ზემოქმედება აქვს ჩვენზე, როგორც ფიზიკურ და სოციალურ გარემოს. მოდელი შთანთქავს რეალობას. ბოდრიარის აზრით ეს ახალი მოდელი - რეალობა იძლევა გასაგებ და საყოველთაო ცოდნას სამყაროზე, ორიენტირებს ცხოვრებაში, განსხვავებით სპეციალური ცოდნისაგან, რომელიც არ არის ყველასათვის. ამიტომ მის მიერ შექმნილი რეალობა განწირულია დომინირებაზე. [7, გვ. 204]. საუბარია არა ორი რეალობის არსებობაზე - ვირტუალურზე და ნამდვილზე. ჩვენს დროში თვითონ სამყარო ღებულობს სურათის, მოდელის სახეს. ეს არის არა სამყაროს გამოსახულება, არამედ სამყარო, გაგებული, როგორც სურათი. არსებობს მხოლოდ ის, რაც აღიქვება ადამიანის მიერ (5, გვ. 175-178). არსებობს ის რაც აღიქვება ჩემს მიერ ეკრანზე. ქრება განსხვავება სიმულირებულ - მოდელირებულ რეალობასა და „ნამდვილ“ რეალობას შორის. ვირტუალური რეალობა არ წარმოადგენს რეალობის დამატებით ფენას, რომელმაც შეიძლება „დაატყვევოს“ ადამიანი და „ძირითად“ რეალობასთან კავშირი დააკარგვინოს. ის არის ერთადერთი რეალობა, რომლეშიც ვცხოვრობთ. ეს რეალობა ხდება განმსაზღვრელი და დამდგენი - როგორც ჩვენი სურვილების, ასევე, ჩვენი გაგებებისა და წარმოდგენების.

სამყაროში, სადაც ყველაფერი ვირტუალურია, სადაც მოდელირებული რეალობა ერთადერთ რეალობათ აღიქვება, საზოგადოება, ბოდრიარის აზრით, მაყურებლად, პუბლიკად გადაიქცევა. სიმულაციური აქტივობა საზოგადოების მაგივრად პუბლიკას წარმოშობს. შესაძლოა კი კარგი პუბლიკის მიღება კარგი სიმულაციური აქტივობის მეშვეობით?! ეს საკითხი სერიოზულ იდეოლოგიურ დილემას წარმოქმნის. არის კატეგორია პოლიტიკოსებისა და მოაზროვნეების, რომლებსაც მიაჩნია, რომ სიმულაციურ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია

პოზიტიური კუთხით, სასიკეთოდ. და არიან ისინი, ვინც თვლის, რომ სიმულაციური აქტივობის პროდუქტი მხოლოდ „გონების ძილია“ და ის ყოველთვის „ურჩხულებს წარმოშობს“.

გი დებორი წერს, რომ "სპექტაკლის საზოგადოება" ქმნის სინამდვილის, რეალური ცხოვრებისა თუ მოვლენების სიმულაციას და მასში მონაწილე ადამიანებს ასეთ ყალბ და შეთხზულ სამყაროში ამწყვდევს. ეს ადამიანები თანდათანობით რეალობასთან ყოველგვარ კავშირს წყვეტენ და საკუთარ ცხოვრებას სპექტაკლის წესებს უმორჩილებენ. გი დებორის აზრით "სპექტაკლის საზოგადოებაში" ჭეშმარიტების, რეალობის მაგივრად არსებობს შოუ - პოლიტიკა. როგორც კი სპექტაკლი წყვეტს რაიმე მოვლენაზე ან პიროვნებაზე ლაპარაკს, ის ვითომცდა არ არსებულა.

ქართულ სინამდვილეში სიმულაციურ პროცესში მასმედია თავს აჩვენებს, თითქოს გამოხატავს და წარმოქმნის საზოგადოებრივ აზრს, პოლიტიკური ძალები მოქმედებენ ისე, თითქოს ის, რაც საინფორმაციო საშუალებებში ხვდება, მთლიანად საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა და თითქოს ეშინიათ მასმედიის. საზოგადოება, ანუ საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლები, ისე იქცევა, თითქოს საზოგადოება არსებობს და თითქოს აზრიც გააჩნია. პოლიტიკური შემთხვევის მონაწილეები მოქმედებენ ისე, თითქოს პოლიტიკური შემთხვევის შექმნაში მასმედია და შესაბამისად საზოგადოებრივი აზრიც მონაწილეობდეს.

პრეს მედიის სიმულაციური ბუნების კიდევ ერთი გამოვლინებაა სტერეოტიპები. სტერეოტიპი ობიექტურ სინამდვილესთან ადამიანის დამოკიდებულების მყარი ფუნდამენტია. სტერეოტიპები ორი ფაქტორის ზემოქმედებით ყალიბდება: გაუცნობიერებელი კულტურული რაკურსის და ინდივიდუალური სოციოკულტურული გარემოს მეშვეობით. თავის მხრივ, ინდივიდუალური კულტურული გარემოს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი წარმომქნელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია. იმდენად, რამდენადაც სტერეოტიპი მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივ საქმიანობასთან ზოგადადად და ცალკეული ადამიანების საქმიანობასთან კერძოდ, სტერეოტიპების დახმარებით ძალზე ადვილია ადამიანის ცნობიერებით მანიპულირება. მასმედია ოსტატურად მანიპულირებს ინტერესთა თანხვედრით, მოვლენათა გარეგნული მსგავსებით, ძველი სტერეოტიპების ახლით ჩანაცვლებით, ყურადღების ფოკუსის აღრევით, ცალკეულ ჯგუფთა გრძნობებით, და ხშირად კონფლიქტების მასტიმულირებელ ფაქტორადაც გვევლინება. მასმედია ინფორმაციის სტანდარტიზებას ახდენს, რათა იგი სტერეოტიპს, საყოველთაოდ მიღებულ აზრს მიუახლოვოს. ამ შემთხვევაში, ადამიანმა ინფორმაცია უსიტყვოდ, შინაგანი ბრძოლისა და კრიტიკული ანალიზის გარეშე უნდა მიიღოს.

ამის შედეგად, ინფორმაციის მომხმარებლის ინტელექტუალური დონე იმდენად ეცემა, რომ ცნობიერებაში სტერეოტიპების გამყარების ერთ-ერთ აუცილებელ ინსტრუმენტად გამეორება იქცევა.

მასმედიის მუშაობის კიდევ ერთი მეთოდია ინფორმაციის მითოლოგიზაცია. ადამიანთა ცნობიერებაში მითების განმტკიცების ტექნიკა მასმედიაში დიდ როლს თამაშობს. მითები მკვიდრდებიან ცნობიერებაში და ადამიანების გრძნობებსა და ქცევაზე ახდენენ გავლენას. მითები ძალზე სიცოცხლისუნარიანნი არიან, რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ რეალური ფაქტებისა და მოვლენების გვერდის ავლით მათ უკვე გარანტირებული აქვთ ჭეშმარიტებისა და დოგმატის სტატუსი. საბოლოო ჯამში, მოვლენები, რომელთა სინამდვილის შემოწმების სურვილი ან შესაძლებლობა ინფორმაციის მიმღებს არ ჰქონია, მას სრულ ჭეშმარიტებად ესახება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სრულიად შეესაბამება მის წარმოდგენაში არსებული სამყაროს სურათს. ამის შედეგად ხშირად ვიღებთ სიტუაციას, როდესაც ადამიანები ნამდვილ ფაქტებს სისულელედ და მონაჩმახად აღიქვამენ.

3. კვლევა

საქართველოში მედიის სიმულაციური ბუნების დასადგენად ჩავატარე კვლევა და გამოვკითხე 190 ადამიანი. კითხვები იყო შემდეგი: 1. რამდენად ენდობით მედიით გავრცელებულ ინფორმაციებს?; 2. რამდენად შეესაბამება მედიით გავრცელებული რეალობა სინამდვილეს?; 3. თქვენი აზრით - არსებობს დღეს დამოუკიდებელი მედია საშუალებები?; 4. რამდენად ხშირად შეგხვედრიათ დეზინფორმაცია (ცრუ ინფორმაცია) ტელევიზიით?; 5. რამდენად ხშირად შეგხვედრიათ დეზინფორმაცია (ცრუ ინფორმაცია) ინტერნეტ გამოცემებში? კვლევის შედეგები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ. გამოკითხულთანაგან 62% სტუდენტი იყო; 5.8% მოსწავლე, ხოლო 32.1% სხვა.

რამდენად შეესაბამება მედიით გავრცელებული რეალობა სინამდვილეს?

143 პასუხი



თქვენი აზრით არსებობს დღეს დამოუკიდებელი მედია საშუალებები?

143 პასუხი



რამდენად ხშირად შეგხვედრიათ დეზინფორმაცია (ცრუ ინფორმაცია) ტელევიზიით?

143 პასუხი





4. შეჯამება

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მასმედია ფლობს მონოპოლიას რეალობის სურათზე, რომელიც გაიზომება და ფასდება არა კატეგორიებით - ჭეშმარიტება - სიყალბე, არამედ სულ სხვა კატეგორიების წვილებით: კომფორტის შექმნელი - დისკომფორტის შემქმნელი; მიზნამდე მისვლაში ხელშემწყობი და პირიქით, გამრთობი და პირიქით და ასე შემდეგ. დღეს მასმედია ფლობს მონოპოლიას ჭეშმარიტებაზე, რა ფუნქციას ადრე მითოლოგიას, შემდგომში კი რელიგიებს ჰქონდა. ფუკოს შემდეგ ჭეშმარიტება გამოცხადდა სიმულაციად, რომელსაც ეწევა „გამონოპოლიზებული“ ინტერპრეტატორი. ჭეშმარიტების ბედი ამ მხვრივ უფრო დრამატულია იმ საზოგადოებებში, სადაც არსებობს პრაგმატულ - პოზიტივისტური ფილოსოფიის ტრადიციები. რომ არაფერი ვთქვათ ტოტალი-ტარულ სახელმწიფოებზე. როგორც ბოდრიარი იტყოდა: „სიმულაციის პროცესმა წაშალა განსხვავება ფანტაზიასა და რეალობას შორის. სამყარო გადაიქცა აუდიოვიზუალურ დისკურსად.“ (ბოდრიარი 1998, :15) თანამედროვე სამყაროში არის ერთი გაბატონებული ენა, რეალობა, კოორდინატების სისტემა - დასავლუ-რი ცივილიზაციის, იმიტომ რომ ის ფლობს ყველაზე ძლიერ იარაღს თანამედ-როვე სამყაროში - ინფორმაციას და ეს აძლევს მას საშუალებას თავს მოახვიოს თავისი რეალობა დანარჩენ სამყაროს. რაც შეეხება ქართულ სინამდვილეს, ჩვენ ადვილად ვხვდებით სიმულაციური აქტივობით შექმნილ ჰიპერრეალობის ხაფანგში, ”სპექტაკლის საზოგადოება” მოითხოვს კიდევაც ”სცენურ რეალობას”.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანა ნემსაძე - მულტიმედია, როგორც სიმბოლური გარემო
2. გიორგი მასალკინი - კოლექტიური ფსიქოლოგიური რეალობა
3. გიორგი მასალკინი - პოსტმოდერნის სიმულაციური აქტიობა. საქართველოს მაგალითი.
4. ენდრიუ ჰეივუდი - პრესა და პოლიტიკა
5. ენტონი გიდენსი - მასმედია და პოპულარული კულტურა
6. იურგენ ჰაბერმასი - საზოგადოებრივი სფერო
7. ჟან ბოდრიარი - ჰიპერრეალობის სამყარო
8. ჯონ ტომპსონი - მედია და თანამედროვე საზოგადოება

Abstact

In this scientific article "Some particularities of modern Press media's simulation nature" is described popular problems of modern media, for example, political influences on media. I have summed with quotations from books of scientists who have observed modern media and its affections. My article as appendix has my own findings about how society reacts on modern media and how media influences on society. By this article I have tried to show that Visual simulation of media has nothing common to reality.

თანამედროვე ევროპის ფასეულობათა იერარქია

დაჩი მეჯიდოვი
გსუ-ს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია, მეოთხე კურსი
ელ. ფოსტა: dachi.mejidi@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მასალკინი,
ფილოსოფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

მოცემულ საკონფერენციო ნაშრომში განხილულია თანამედროვე ევროპის კრიზისის გამომწვევი მიზეზები.

ევროპის ერთიანობას ყოველთვის ჰყავდა და ალბათ ეყოლება კრიტიკოსები, რომელთა აზრითაც მსგავსი ერთიანობა არაბუნებრივია. არაბუნებრიობის მთავარ მიზეზად ევროპულ საზოგადოებებში საერთო ღირებულებების არქონა სახელდება. ერთიანი ღირებულებების სადემონსტრაციო დოკუმენტებს განეკუთვნება „ევროკავშირის ქარტია ადამიანის უფლებათა შესახებ“, თუმცა რამდენად მნიშვნელობს ის თანამედროვე ევროპის ადამიანებისთვის?

პრობლემატურად რჩება მულტიკულტურალიზმის საკითხიც. შეუძლია თუ არა თანამედროვე მიგრანტს თავი სეკულარული სახელმწიფოს სრულფასოვან წევრად იგრძნოს? სურს თუ არა მიგრანტთა უმრავლესობას ინტეგრაცია თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში?

მოცემული თემა აქტუალურია საქართველოსთვისაც, სადაც ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფები მრავლადაა წარმოდგენილი. ამასთანავე ჩვენ ევროპისკენ მივისწრაფვით და ბუნებრივია, მასში მიმდინარე პროცესები და ცვლილებები პირდაპირ თუ ირიბად ჩვენზეც აისახება.

1. საკითხის დასმა

ევროკავშირი თავდაპირველად დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულების დადების შემდეგ კი მას პოლიტიკური დატვირთვა მიენიჭა. წევრი ქვეყნების ზრდასთან ერთად საჭირო გახდა მათი უფრო მეტად შეკავშირებისთვის საერთო ღირებულებების დადგენა და არტიკულირება. საბოლოოდ ეს პროცესი ლისაბონის 2007 წლის შეთანხმებაში აისახა.

დღესდღეობით, ევროკავშირის მოსახლეობა ნახევარ მილიარდს აჭარბებს. ევროკავშირის სტრუქტურაში გაერთიანდა აღმოსავლური ევროპის ტოტალიტარული წარსულის ქვეყნები. ე.წ. „მეცამეტე ნაციამ“, ანუ მიგრანტთა რაოდენობამ უკვე ათობით მილიონს მიაღწია. ამ ვითარებამ მწვავედ დააყენა სხვადასხვა ეთნოსებისა და კულტურების საერთო ნიშნით გაერთიანების საკითხი. ევროკავშირში შემავალი ქვეყნების საერთო ღირებულებათა სისტემის არსებობა გაცილებით პრობლემატური ხდება ვიდრე უწინ, როცა ის მხოლოდ ეკონომიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა.

პროფესორი მაიკლ ემერსონი აყალიბებს ფასეულობათა საკუთარ სიას, რომელიც „ათი ევროპული მცნების“[1] სახელითაა ცნობილი:

1. დემოკრატია და ადამიანის უფლებები
2. საერთო ეკონომიკური ბაზარი, სივრცე თავისუფალი გადაადგილებისთვის, საცხოვრისისა და დაკავებულობის არსებობა
3. საზოგადოების სოციალური მოდელი
4. საზოგადოების მრავალნაციონალური ხასიათი, ნაციონალიზმის უარყოფა
5. საერო მულტიკულტურული მიდგომა
6. ანტიტოტალიტარიზმი და ანტიმილიტარიზმი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ პაციფიზმის გარეშე
7. მრავალმხრივი მიდგომა საერთაშორისო პოლიტიკაში
8. მრავალიარუსიანი მმართველობა
9. ღიაობა
10. მუდმივად ცვალებადი, ევროკავშირის გაფართოებადი საზღვრები

ამ „ათ ევროპულ მცნებაზე“ დაფუძნებით მინდა გავაანალიზო თანამედროვე ევროპის მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის კრახი და ზოგადად ევროპის კრიზისულობა.

2. ევროპის კრიზისის გამომწვევი მიზეზები. მულტიკულტურალიზმის კრახი

2010 წელს, პოტსდამში, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული კონფერენციის მსვლელობისას გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა: „1960-იან წლებში ჩვენმა ქვეყანამ უცხოელი მუშები მოიწვია გერმანიაში და ახლა ისინი აქ ცხოვრობენ. გარკვეული დროის განმავლობაში ჩვენ თავს ვატყუებდით და გვეგონა, რომ: „ისინი ჩვენთან არ დარჩებიან და ოდესმე

წავლენ“, მაგრამ ასე არ მოხდა. და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი მიდგომა მულტიკულტურალიზმში იყო, იმაში, რომ გვერდიგვერდ ვიცხოვრებდით და დავაფასებდით ერთმანეთს. ეს მიდგომა ჩავარდა, სრულიად ჩავარდა.“[2]

ანალოგიური პრობლემა დგას საფრანგეთშიც. დღესდღეობით საფრანგეთში რვა მილიონამდე ისლამის მიმდევარი ცხოვრობს. მიგრანტებს ხშირად „მეცამეტე ერადაც“ მოიხსენიებენ. „მეცამეტე ერი“ ძირითადად სამი სხვადასხვა ნაკადის თაობებისგან შედგება; 50-იანი წლებში აფრიკული ქვეყნების დეკოლონიზაციის შედეგად ჩასულებისგან, 60-იანებში, ევროპის ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში მოწვეული მუშებისგან და 90-იანების დასაწყისში პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩასულებისგან. მათი სრული ინტეგრაცია რომ ვერ მოხდა ამაზე მეტყველებს თუნდაც დიდ ქალაქებში წარმოქმნილი „მეცამეტე რაიონები“, სადაც მხოლოდ ერთი ეთნოსის ან რელიგიური კუთვნილების ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც მშობლიური ტრადიციების დაცვას განაგრძობენ.

2011 წლის 12 თებერვალს ნიკოლა სარკოზის სიტყვით გამოსვლიდან: „საფრანგეთში ჩვენ არ გვსურს, რომ ხალხი საჩვენებლად ლოცულობდეს ქუჩაში. ცხადია, ლოცვა არავის უქმნის უხერხულობას, მაგრამ ჩვენ აგრესიული რელიგიური პროზელიტიზმის წინააღმდეგი ვართ.“[3] ამ განცხადების გაკეთებიდან რვა წლის შემდეგ დაძაბულობამ მოიმატა. ევროპის კრიზისულობას მიზეზთა ერთობლიობა წარმოშობს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ის, და ეს ჩემი მოხსენების ძირითად თეზისს წარმოადგენს, რომ სხვადასხვა საზოგადოებისთვის ღირებულებათა სხვადასხვა იერარქია არსებობს. ზემოთ ჩამოთვლილი „ევროპული ათი მცნება“ ყველასათვის თანაბრად არ მნიშვნელობს. ერთმანეთს უპირისპირდება ერთი მხრივ, სეკულარული ღირებულებები, როგორიცაა მაგალითად, სიტყვის თავისუფლება, - „წმინდა ძროხა“ ევროპელებისათვის და მეორე მხრივ, რელიგიური ღირსება.

პოსტკოლონიალური სინდრომის და პოლოტკორექტულობის პოლიტიკიდან გამომდინარე, რაც მიგრანტების მიმართ განსაკუთრებულ ლოიალურობას იწვევს, თანამედროვე ევროპაში ვღებულობთ სისტემას, რომელშიც საკუთარი ღირებულებათა სისტემის სამართლებრივ დონეზე დაცვა მოდის წინააღმდეგობაში მიგრანტთა ძირითად რელიგიურ და ტრადიციულ წეს-ჩვეულებებთან.

ამ წინააღმდეგობის გამო სისტემა ვერ ახერხებს საკუთარი კანონების დაცვას და თვითგანადგურების გზაზე დგება. ხშირად ევროპულ ტოლერანტიზმს რადიკალურ ტოლერანტიზმადაც კი მოიხსენიებენ.

ავიღოთ ისეთი ფუძემდებლური დასავლური ფასეულობები, როგორიცაა გენდერული თანასწორობა, სიტყვის თავისუფლება, სეკულარული განათლება და ა.შ. ამის საპირისპიროდ მუსულმან მიგრანტებს ჩამოაქვთ შარიათის კანონები,

სადაც ეს ფასეულობები სხვანაირადაა ინტერპრეტირებული. ერთმანეთს უპირისპირდება ორი განსხვავებული კულტურა, რომელთაგან არცერთს არ სურს დათმობაზე წასვლა.

ევროპის სეკულარულ ქვეყნებში, როგორც საქართველოში, არსებობს ერთგვარი საკანონმდებლო იერარქია: საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონსტიტუცია უმაღლესი ტიპის დოკუმენტებია, რომელთა შესაბამისობაში უნდა იყო სხვა რანგით უფრო დაბლა მყოფი დოკუმენტები. უკიდურესად შემწყნარებლური პოლიტიკის გატარება „მულტიკულურალიზმის“ სახელით სინამდვილეში საკუთარი კანონების მიმართ უპატივცემულობაა. შეუძლებელია, ერთდროულად საერთაშორისო კონვენციისა და შარიათის კანონების დაცვა. ხშირია შემთხვევები, როცა მუსლიმური თემები სუპერმარკეტებიდან და სკოლის სასადილოებიდან ღორის ხორცის ამოღებას ითხოვენ, მაშინ როდესაც ადგილობრივებისთვის მსგავსი საკვები ნორმაა. პრობლემატურია ბურქების თემაც, რაც ართულებს იდენტიფიკაციას და უსაფრთხოების ნორმების დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს.

ავიღოთ ერთი კონკრეტული მაგალითი. 2002 წელს ისლამოფობიის ბრალდებით სასმართლო პროცესი აღიძრა ცნობილი მწერლის მიშელ უელბეკის წინააღმდეგ, თუმცა სასამართლომ ის გაამართლა. მწერალმა კი განაცხადა: „მე არასოდეს არ გამომიხატავს არანაირი ზიზღი მუსულმანების მიმართ, მაგრამ ზუსტად იმგვარ ზიზღს განვიცდი ისლამის მიმართ, როგორსაც განვიცდიდი.“[6] საერთოდ, აქვს თუ არა ფრანგ ინტელექტუალს უფლება თქვას, რომ არ მოსწონს ისლამი? საფრანგეთში, სადაც სიტყვის თავისუფლება „წმინდა ძროხაა“ - კი.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია 2006 წელს “Charlie Hebdo”-ს **კარიკატურებმა წინასწარმეტყველი მუჰამედის გამოსახულებით. ამ ფაქტმა მუსლიმანთა აღშფოთება გამოიწვია. 2007 წელს საფრანგეთის ისლამური ორგანიზაციების კავშირმა რედაქციას სასამართლოში უჩივლა კიდეც „ისლამურ ღირებულებებზე შეგნებული თავდასხმისთვის“, მაგრამ საქმე წააგო. ეს კი ნიშნავს, რომ სეკულარულ სახელმწიფოში სიტყვისა და თვითგამოხატვის თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რელიგიურ გრძნობათა შეურაცხყოფა. 2015 წლის 7 იანვარს რედაქციაზე შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ დაიღუპა 12 ადამიანი და დაიჭრა 11. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტრაგედიამ, ისევე როგორც 11 სექტემბრის ტერაქტმა**

შეცვალა კაცობრიობის თანამედროვე ისტორია.

არსებული კრიზის გადაჭრის ორ გზას ვხედავ: პირველ შემთხვევაში, თუ კი ევროპას სურს შექმნას სრულყოფილი მულტიკულტურული მოდელი, მაშინ მან უნდა შეძლოს თავისივე კულტურული ღირებულებების მკაცრი დაცვა და თუ

საჭიროა მათი ახალი ფორმულირება. სეკულარულ ქვეყნებში ეს შეიძლება ცენზურად აღიქვან და ამას შესაძლოა პროტესტებიც მოჰყვეს. მეორე ვარიანტი გულისხმობს მულტიკულტურალიზმზე საბოლოოდ უარის თქმას. მიგრანტებს დარჩენისა და მოქალაქეობის უფლება მხოლოდ სრული ასიმილაციისა და ადგილობრივ ადათებთან გათავისების შემთხვევაში უნდა მიეცეთ.

ფრენსის ფუკუიამა მდგრადი პოლიტიკის გასატარებლად ყურადღებას მიგრანტების ასიმილაციაზე ამახვილებს: „საჭიროა ლიბერალური დემოკრატიის ფუნდამენტურ იდეებზე დაფუძნებული ეროვნული იდენტობის მოდელის ხელშეწყობა და საჯარო პოლიტიკური ძალისხმევის ახალჩამოსულთა ამ მოდელში ასიმილაციაზე მიმართვა. ლიბერალურ დემოკრატიას საკუთარი კულტურა გააჩნია, რომლის პატივისცემითა და დაფასებით ხაზი უნდა გაესვას მის უპირატესობას იმ კულტურებთან შედარებით, რომლებიც დემოკრატიულ ღირებულებებს არ იზიარებენ.“[4] როგორც ჩანს ფუკუიამას პოზიციას „აღმოსავლეთი ახალ ბლოკში“ შემავალი ქვეყნებიც იზიარებენ, რაზეც მეტყველებს მათი განსხვავებული ხედვები ევროპის საიმიგრაციო პოლიტიკაზე. საუბარია უნგრეთსა და პოლონეთზე. ხოლო ისეთი ქვეყნები, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ჩეხეთი, ესპანეთი და იტალია „ევროპროტესტანტებად“ შეიძლება ჩაითვალოს.

3. დასკვნა

საქართველოსთვის, რომელიც ეთნიკურ უმცირესობათა მრავალფეროვანი ჯგუფებითაა გამორჩეული, მულტიკულტურალიზმი უცხო არ არის. მეზობელი თურქეთის ეკონომიკური და რელიგიური ინტერესების გათვალისწინებით, და ასევე, რუსეთთან ჰიბრიდული ომის ერთერთ ძირითად ობიექტად ყოფნის გამო მოცემული საკითხები ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ჩვენ ვართ გლობალური სამყაროს ნაწილი და მივისწრაფვით ევროპისკენ. ეს გარემოება აუცილებელს ხდის მულტიკულტურალიზმის პრობლემატიკის, მათ შორის აკადემიურ დონეზე შესწავლას.

ბიბლიოგრაფია:

[4] ფრენსის ფუკუიამა (2018) - "იდენტობა", შესავალი, გვ. 7, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი;

[1] მაიკლ ემერსონი (2005) – „ევროპის ექსისტენციალური დილემა“. მოძიებულია 1 მარტი, 2019. http://magazines.russ.ru/vestnik/2005/15/eme6.html

[5] კიოლნის ღამე (2015-16) - მოძიებულია 22 აპრილი, 2019. https://en.wikipedia.org/wiki/2015%E2%80%9316_New_Year%27s_Eve_sexual_assaults_in_Germany

[2] BBC (ოქტომბერი, 2010) – „მერკელმა განაცხადა მულტიკულტურალიზმის ჩავარდნაზე“. მოძიებულია 1 მარტი, 2019.

https://www.bbc.com/russian/international/2010/10/101016_merkel_multiculturalism_failed

[6] BBC (დეკემბერი, 2006) – “French author denies racial hatred“ - მოძიებულია 22 აპრილი, 2019.

https://web.archive.org/web/20061223083326/http://news.bbc.co.uk/1/hi/world/europe/2260922.stm

[3] THE IRISH TIMES (თებერვალი, 2011) – Sarkozy denounces multiculturalism as “a failure.”

მოძიებულია 16 აპრილი, 2019.

https://www.irishtimes.com/news/sarkozy-denounces-multiculturalism-as-a-failure-1.570051

Abstract

In this conference theme is described reasons of modern Europe’s crisis.

European unity always has and may have antagonist who think that unity like that is not normal. Main reason for that way of thinking is that European societies have no common values.

Multiculturalism also remains problematic. Can modern immigrant be full member of secular society? Do most of immigrants want to be part of western society?

This theme is also popular in Georgia, where is diversity of different ethnicities. Besides that, we are orientated on Europe and every process in it effects on us.

ბიოლოგიის ფილოსოფიური პრობლემა: „გენეტიკური რღვევა - კონრად ლორენცის ტექსტის მიხედვით“

მარიკა ბროლაძე

ბსუ-ს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი,
ბიოლოგია, პირველი კურსი
ელ. ფოსტა: marikabroladze2000@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვარდო ბერიძე,
ფილოსოფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ტექსტში ასახულია ბიოლოგიის ფილოსოფიური პრობლემა, რომელიც გამოიხატება „ლორენცის ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი“ ცოდვიდან ერთ-ერთში „გენეტიკური რღვევა“. „გენეტიკურ რღვევაში“ ლორენცი გულისხმობს საზოგადოებაში მიმდინარე უარყოფით პროცესებს, რასაც განიხილავს ბიოლოგიურ ჭრილში. ამ პროცესებით გამოწვეული პრობლემები XXI საუკუნის მსოფლიოში მეტად აქტუალურია, რისი გამომწვევი მიზეზიც მრავალია, მაგრამ დღეს მეტად გამოკვეთილია ის პრობლემები, რომელიც ინტერნეტ ქსელების განვითარებამ გამოიწვია. ვინაიდან ევოლუცია ადამიანის ბიოლოგიურ და სოციალურ არსებად ჩამოყალიბების შორეულ წარსულში დაიწყო და დღემდე გრძელდება, ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი უარყოფითი გავლენა ინახება და ილექება საზოგადოების აზროვნებაში, რაც გამოიხატება მათ ქცევებში და გადაეცემა თაობიდან თაობას. ნაშრომის მიზანია ლორენცის შეხედულებების, რომლებიც ჩამოყალიბებულია ბიოლოგიური განხილვის საფუძველზე, განვიხილოთ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რათა ნათლად გამოჩნდეს „გენეტიკური რღვევის“ ნამდვილი საფუძველი. თავად ლორენცი მიიჩნევს, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული და გაანალიზებული თვალსაზრისები საყურადღებო და გასათვალისწინებელია ადამიანის როგორც ბიოლოგიური, ისე საზოგადოებრივი არსების ნორმალური განვითარებისა და ფუნქციონირებისთვის ყველა დროში.

შესავალი

კონრად ლორენცი, XX საუკუნის ინტელექტუალთა ბრწყინვალე წარმომადგენელი, პროფესიით ზოოლოგი, ზოოფსიქოლოგი და ორნითოლოგი იყო. ლო-

რენცმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ცხოველთა ქცევის შესწავლას მიუძღვნა და მისი ნაშრომები ეთოლოგიის საწყის ეტაპად იქცა.

1974 წელს, ლორენცმა გამოსცა წიგნი „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“. ის ვარაუდობდა, რომ წიგნი ვერ დაიმსახურებდა ხალხის ინტერესს, მაგრამ „კაცს რომელსაც ეგონა, რომ უდაბნოსა შინა მღაღადებლის მსგავსად, არავინ მოუსმენდა, თურმე უშქარი და, თანაც, გამგები მსმენლის წინაშე უქადაგია.“ (ლორენცი, 2014 :503) წიგნში ლორენცი სხვადასხვა პრობლემასთან ერთად ეხება საკითხს თუ როგორ მიმდინარეობს საზოგადოებაში „გენეტიკური რღვევა“ და როგორ შეიძლება მისი შეჩერება. ლორენცი გადმოგვცემს როგორც ამ პროცესების გამომწვევ მიზეზებს, ისე ამ პროცესებით მიღებულ შედეგებს და სამომავლო გასათვალისწინებელ პირობებს. ლორენცის შეხედულებებს საფუძვლად დაედო ებრაული თქმულება, რომლის მიხედვითაც „კარგი გარეგნობის, მდიდარ, ახალგაზრდა კაცს, რომელმაც ცოლის შერთვა გადაწყვიტა, მაჭანკალმა რამდენიმე ლამაზი, მდიდარი და წარჩინებული საცოლე შესთავაზა, მაგრამ ყმაწვილმა უთხრა, რომ ამ ყველაფერს მისთვის სახარბიელო მნიშვნელობა არ ჰქონდა. ერთადერთი იშვიათი ფასეულობა არა მარტო მის ოჯახში, არამედ მთელ ქვეყანაზე, რომელსაც ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, იყო წრფელი და კეთილი გული“(ლორენცი, 2014 :502). ამით ლორენცი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ საზოგადოებაში ფასობდა არა კეთილი და წრფელი გული, არამედ სიმდიდრე და სილამაზე.

ლორენცის მომაკვდინებელი ცოდვებიდან ერთ-ერთი აქტუალურია „გენეტიკური რღვევა“. ამ უკანასკნელში იგულისხმება არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ საზოგადოებაში სოციალური ურთიერთობების გაუფერულება და გაქრობა. პრობლემა რომელიც ლორენცმა XX საუკუნეში წამოწია წინა რიგებში, XXI საუკუნეშიც არ კარგავს აქტუალობას. პირიქით გაცილებით მაშტაბური და მწვავე ხდება. ინტერნეტ ქსელების განვითარებამ, რომელმაც მაშტაბური სახე ბოლო საუკუნეში მიიღო „გენეტიკური რღვევა“ უფრო დააჩქარა და შედეგებმაც არ დააყოვნა. ეს უპირველეს ყოვლისა აისახა იმაში, რომ საზოგადოება იმაზე მეტად დაშორდა ერთმანეთს, ვიდრე გასულ საუკუნეებში. სოციუმმა განსაკუთრებული ყურადღება გადაიტანა პირადი ინტერესების დაცვაზე, „თვითგადარჩენის“ ინსტიქტმა უკანა რიგებში გადაიტანა გუნდურობის და პრობლემის ერთობლივად გადაჭრის პრინციპი. სწორედ ეს საკითხებია ლორენცის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი. იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ კავშირი ბიოლოგიურსა და სოციუმში მიმდინარე პროცესებს შორის, აუცილებელია ვიცოდეთ უშუალოდ რა პროცესებზეა საუბარი და რაში მდგომარეობს ამ პროცესთა არსი

და მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით მივმართავთ უპირველესად ბიოლოგიურ თვალსაზრისებს. აკიმუშკინი[1], წიგნში „სახალისო ბიოლოგია“ წერს: „მილიონი წლების განმავლობაში გრძელდებოდა ურთულესი ევოლუცია ადამიანის შესაქმნელად, შეგნებული ცხოვრებისთვის კი სულ რაღაც სამოციოთხმოცი წელია გამოყოფილი“ (აკიმუშკინი, 1976 :114) და მართლაც, ევოლუცია რომელიც მიმდინარეობდა ადამიანის ბიოლოგიურ თუ სოციალურ არსებად ჩამოყალიბებისთვის ჯერ კიდევ შორეულ წარსულში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ამ პერიოდში მოხდა ადამიანში სოციალური თვისებების, მისი ქცევების, გადარჩევა და ახალი კომბინაციური ქცევების ჩამოყალიბება. მეორე მხრივ, ადამიანისა და მისი ქცევების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ბიოლოგიის ლიტერატურაში ვკითხულობთ: „გვარი HOMO-ს ჩამოყალიბებაში და ევოლუციის პირველ ნაბიჯებში მნიშვნელობანი როლი კულტურულმა ევოლუციამ შეასრულა... ამდენად თანამედროვე ადამიანი განხილულ იქნა როგორც ბიოლოგიური და კულტურული ევოლუციის სინთეზური პროდუქტი.“ (დიასამიძე, 2000 :498) ჩამოყალიბების ამ გზამ, ადამიანის ბევრ დადებით თვისებას დაასვა დაღი და მის ყველაზე ბნელ კუთხეში დამალა, რათა მას ხელი არა შეეშალა თვითგადარჩენის პროცესში, ანგარებიანი მიზნების ბოლომდე განხორციელებაში.

„დაბადება-ბავშვობა-სიჭაბუკე-სიმწიფე-სიბერე და ვაგლახ... სიკვდილი. ეს ყოველივე ცოცხალი არსების, ყოველი ადამიანის აუცილებელი გზაა პლანეტაზე. არ კვდება მხოლოდ ის, ვინც არ ცოცხლობს რადგან სიკვდილი შეიძლება მოისპოს მხოლოდ სიკვდილის მოსპობით. ასეთია ბუნების დიალექტიკა.“ (აკიმუშკინი, 1976 :112) მაგრამ, იმისათვის რომ იცოცხლო უნდა იქცე საზოგადოების ნაწილად, რადგან გაუძლო ბუნების მკაცრ პირობებს მარტო და გადარჩე, ძალიან რთულია. როცა ინდივიდი ხდება სოციუმის ნაწილი, მას ეკისრება პასუხისმგებლობები და ეზღუდება გარკვეული უფლებები, ვინაიდან არ მიაყენოს ზიანი საზოგადოების სხვა წევრს მის ცხოვრებაში განზრახ თუ შემთხვევით შეჭრით. ეს გამოწვეულია იმით რომ სოციუმის ყველა წევრი ერთმანეთთან ჯაჭვურად არის დაკავშირებული და ნებისმიერი ქცევა პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს მათზე. საზოგადოების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ამ პრობლემის გადაჭრა მეტად რთულია. თუ მას ბიოლოგიური თვალსაზრისით მიუდგებით და განვიხილავთ, ანუ, მუტაციისა[2] და სელექციის[3] პრინციპით, მაშინ უნდა

[1] იგორ აკიმუშკინი - საბჭოთა მეცნიერი, ბიოლოგი, მწერალი. ავტორი სამეცნიერო-პოპულარული წიგნებისა ცხოველთა შესახებ.

[2] მუტაცია - უჯრედის მემკვიდრული მასალის მკვეთრი, უეცარი ცვლილება.

[3] სელეცია - მეცნიერება მცენარეებისა და ცხოველების ახალი ჯიშების შექმნის მეთოდებზე.

ვიცოდეთ ისიც, რომ „მუტაციას უწოდებენ ორგანიზმის მემკვიდრეულ აპარატში მომხდარ თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს... მუტაციები მემკვიდრეობითი ცვალებადობებია“ (დიასამიძე, 2003 :191) „ცვალებადობის ქვეშ ესმით პროცესი რომლის დროსაც შთამომავლობა მშობლებისაგან განსხვავებულ ნიშან-თვისებებს იძენს“ (დიასამიძე, 2003 :6) და თუ მუტაციისა და ცვალებადობის ასეთ გაგებას შევადარებთ საზოგადოების მაგალითს, შეიძლება ითქვას, რომ მასში მიმდინარე ძვრები ყოველთვის მოახდენს გავლენას სოციუმის ყველა წევრზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თუ ცვლილება მაშტაბურია ის მუტაციის მსგავსად გავლენას მოახდენს შთამომავლობაზე და სელექციის პრინციპით საზოგადოების სათავეებთან მოხდება ის, ვინც ეს ცვლილება სათავისოდ გამოიყენა.

ლორენცის დაკვირვების ობიექტს სწორედ ეს ორი სფერო წარმოადგენდა, ბიოლოგიური და სოციალური. სწორედ მათში მიმდინარე მსგავსმა პროცესებმა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეთქვა გენეტიკური რღვევა წარმოადგენს კაცობრიობის ერთ-ერთ მომაკვდინებელ ცოდვას. ამის დასადასტურებლად ლორენცს მიმართავს ორგანიზმში მიმდინარე „ავთვისებიან სიმსივნეს“ და თვლის, რომ „იმუნოლოგებმა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი დაადგინეს, რომ ანტისხეულების წარმოქმნის უნარსა და ავთვისებიანი სიმსივნის წარმოშობის საფრთხეს შორის მჭიდრო კავშირია“ (ლორენცი, 2014 :531) მიუხედავად იმისა, რომ ანტისხეულებს ორგანიზმში დამცველობითი ფუნქცია აკისრიათ, უჯრედის ურიცხვი დაყოფისას ახალმა მუტაციებმა შესაძლებელია მათი ფუნქცია შეცვალონ ან უმოქმედო გახადონ. მსგავსად ამისა, საზოგადოებაში დროთა ცვლის პარალელურად იცვლება სურვილები და მოთხოვნილებები. შეცვლილი სურვილები ბადებს მოთხოვნილებებს, რომლებიც ხდება მიზეზი თანასწორობის რღვევისა, შემდგომში კი საფუძველი საზოგადოების უფუნქციობის.

ლორენცი საუბრობს საზოგადოების სამართლიანობასა და კანონების შესახებ და აღნიშნავს, რომ ფუნქცია დაკარგულ საზოგადოებაში მძლავრობს ძალადობა. ნებისმიერი ძალადობა ისჯება კანონით, მიუხედავად ამისა ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით ძალადობის სხვადასხვა ფორმას და თან იმდენად დიდი სიხშირით, რომ საზოგადოებაში უკვე ნორმალურ ქცევად ითვლება. ლორენცი წერს : „სამართალს რომელიც ჩვენთან ერთად გაჩნდა, სამწუხაროდ არასდროს უწევენ ანგარიშს.“ (ლორენცი, 2014 :532)ამიტომ, მხოლოდ კანონი და უფლებების მინიჭება ადამიანებისთვის რასაკვირველია ვერ მოაგვარებს ამ პრობლემას, რადგან XXI საუკუნეში „გენეტიკურმა რღვევამ“ იმდენად მაშტაბური სახე მიიღო ინდივიდის შიგნით, რომ მისთვის ძალადობა ურთიერთობის ნორმალურ ფორმასთან გაიგივდა. ამ პროცესების ასახსნელად ლორენცი მიმართავს ადამიანის

ფსიქიკას და აღნიშნავს, რომ ძალადობის მომხრე პიროვნების ფსიქიკა განსხვავებულია. განსხვავებულია მისი ჩამოყალიბების გზაც. „ცნობილია რომ ადამიანი ბიოსოციალური არსებაა. მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე მოქმედებს როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური მემკვიდრეობა... აღზრდის პროცესში მათი სწორი შეხამება გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ნორმალური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის." (დიასამიძე, 2003 :13) აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ გარემოს რომელშიც ყალიბდება ადამიანი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ გარემოს დიდ ნაწილს ქმნის თვით საზოგადოება, ამიტომ ვერ გამოვრიცხავთ მის როლს მოძალადე პიროვნების ჩამოყალიბებაში. ძალადობასთან ბრძოლა არ გულისხმობს მხოლოდ მოძალადის დასჯასა და გამოსწორებას, არამედ საზოგადოების აზროვნებისა და შეხედულების შეცვლასაც.

ლორენცი ხაზს უსვამს აღზრდის საკითხებს და წერს: „რელიგიად ქცეული რწმენა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და, რომ ბოროტმოქმედების ყველა ზნეობრივი დანაშაული მხოლოდ მის აღმზრდელებს ეკისრებათ არასწორი აღზრდისათვის, ძირშივე ანადგურებს ბუნებრივი სამართლის ყოველგვარ გრძნობას. (ლორენცი, 2014 :534) რადგან აღმზრდელს, რომლის როლშიც მშობლები გვევლინებიან, უმრავლეს შემთხვევაში სურთ, რომ მათი შვილი წარმატებული და გამორჩეული იყოს სხვათაგან. ამიტომაც რთული ვუწოდოთ მათ შვილის ბოროტმოქმედების მიზეზი.

ლორენცი იზიარებს ფროიდის შეხედულებას და აღნიშნავს, რომ თუ გვსურს ვიმსჯელოთ პიროვნების ბოროტმოქმედად ჩამოყალიბების გზებსა და მიზეზებზე უნდა განვიხილოთ მისი ფსიქიკაც და რადგან აზროვნება, მისი ჩამოყალიბების გზები და ცვლილებები ფსიქოლოგიის კვლევის საგანია, უნდა შევიჭრათ ამ სფეროში. როგორც ფროიდი აღნიშნავს:„ რადგან ფილოსოფია დაშენებულია ფსიქოლოგიაზე მას სხვაგვარად არ შეუძლია, თუ არა ფსიქოანალიზური წვლილი ფილოსოფიაში ეფექტურად მიიღოს მხედველობაში." (ფროიდი, 2011 :60) კრიმინოლოგიაში ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა: დანაშაულის ჩადენის სურვილი ნამდვილად მხოლოდ აღზრდითაა განპირობებული თუ მასში გენეტიკის წვლილიცაა?

ადამიანში ეს ორივე ფაქტორი ერთობლივადაა და მას ემატება ადამიანის უნარი მართოს საკუთარი ქცევები. თუ რომელიმე მათგანი არასწორი დოზით მიეწოდება ადამიანს, ის ჩამოყალიბდება ფსიქოპატად. როგორც ლორენცი ამბობს „სულიერად ჯანმრთელი და ფსიქოპატი ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან,

როგორც კონპენსირებული[4] გულის მანკით დაავადებული ადამიანი დეკომპენ-სირებული გულის მანკით დაავადებულისაგან.“ (ლორენცი, 2014 :533) მაგრამ სოციუმში, ამ განსხვავებულობაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს და როგორც ლორენცი ამბობს „საკმარისია წამოგცდეთ სიტყვა „არასრულფასოვანი“ ან „სრულფასოვანი“, რომ მაშინვე გაზის კამერის მოსარჩელედ გამოგაცხადებენ“ (ლორენცი, 2014 :532) მიუხედავად ამისა ჩვენი აზრით, საზოგადოებაში იმდენად დიდია რაიმე ნიშნით განსხვავებულის მიმართ აგრესია, რომ ინდივიდის ნების-მიერი ასოციალური ქცევა მის მიმართ დაუოკებელ სისასტიკეს ბადებს. საზო-გადოებას იმდენად დიდი ძალა აქვს, რომ ყველას მისი ჩარჩოების ქვეშ აქცევს და აიძულებს იმოქმედოს მსგავსად სხვებისა. ამიტომაა რომ განსხვავებულის მიმართ სოციუმი უმეტეს შემთხვევაში ერთნაირ რეაქციას გამოხატავს და რო-გორც ლორენცი ამბობს მივყავართ ლინჩის სამართალთან. ეს ყველაზე გავრცე-ლებული ფორმაა საკუთარი ნაკლის დაფარვისა და სხვაზე გადაბრალების, რაც საუკუნეთა მანძილზე ადამიანმა შექმნა. ეს ტრადიციად ქცეული ქცევა, ისევე მნიშვნელოვანია დღევანდელ რეალობაში როგორც „ფარისებრი ჯირკვალი ჩვენი ჰორმონებისათვის, და დღევანდელი სრულიად აშკარა ტენდენცია, ყველაფერი ხელაღებით წყალში გადაიყაროს, ისეთივე შეცდომაა, როგორც ცდა, ბაზედოვის დაავადება ფარისებრი ჯირკვლების სრული ამოკვეთით განვკურნოთ“ (ლორენ-ცი, 2014 :536)

ის, რომ სოციალურ ქცევათა რღვევა, ძალიან სწრაფად იკიდებს ფეხს საზო-გადოებაში, ამის მაგალითად ლორენცი შინაურ ცხოველებს ასახელებს და მართ-ლაც, მოშინაურების პროცესში ცხოველი კარგავს გარკვეულ ინსტიქტებს. ეს შეიძლება იყოს შთამომავლობაზე ზრუნვის ინსტიქტი, რადგან „განებივრებული“ ცხოველი აღარ ცდილობს ველურ პირობებში იბრძოლოს გადარჩენისათვის და შვილებისთვის საკვების მოპოვებისთვის, მისთვის უმთავრესი ხდება მხოლოდ ჭამა და განაყოფიერება. თუ რამდენიმე თაობის შემდეგ ის კვლავ აღმოჩნდება ველურ ბუნებაში (მის ბუნებრივ ადგილსამყოფელში) , ის თავს ვეღარ უშველის. ლორენცი ამბობს : „საერთოდ კი, შინაური ცხოველი თავისი პატრონის ბოროტი კარიკატურაა“ (ლორენცი, 2014 :538) რადგან მოშინაურების პერიოდში გამქრალი ქცევები უმეტეს შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია. ადამიანშიც ღირებულე-ბები განცდა მკაფიო დამოკიდებულებაშია იმ ცვლილების მიმართ რასაც მოში-ნაურების პროცესში ცხოველი განიცდის. დედობრივი ინსტიქტი, ოჯახისთვის და საზოგადოებისთვის ზრუნვა, სხვა ნორმების მსგავსად დაპროგრამებულია

[4] კომპენსირებული - ანაზღაურებადი

მაგრამ, ჭამას, განაყოფიერებას და სხვა მსგავს ქცევათა რიგს უფრო მეტ პრივილეგიას ვანიჭებთ როგორც ახლა, ისე წარსულში.

მიუხედავად ლორენცის კრიტიკული დამოკიდებულებისა, ადამიანში ჩამოყალიბებული ქცევებისა და შინაგანი სურვილების მიმართ, ის მაინც ეძებს რაღაც სანდოს და ხელჩასაჭიდს. ის ამ გზაზე პოულობს ადამიანის ყველაზე უმანკო და დადებით გრძნობას „ბალღურობას". ლორენცი მიმართავს შილერს და ნიცშეს. ის წერს: „ადამიანი მხოლოდ მაშინაა სრულად ადამიანი, როცა თამაშობს, - ამბობს ფრიდრიხ შილერი. ნამდვილად მამაკაცში ბავშვია დამალული, მას თამაში სწყურია - ამბობს ნიცჰე... ოტო ჰანმა გაცნობის პირველივე წუთებშივე მკითხა: მითხარით, რომ გაქვთ რაღაც ბავშვური ხასიათში? იმედია, ცუდად არ გამიგებთ! „ (ლორენცი, 2014 :539) მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობა ყველაზე წმინდა და უმანკო პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, ლორენცის დაკვირვებით, შესაძლებელია ისიც გახდეს მიზეზი გენეტიკური რღვევისა. თვლის, რომ თუ ეს ბავშვურობა საჭიროზე მეტად იქნება შენარჩუნებული და გამოხატული ადამიანში, ის აუცილებლად მოახდენს გავლენას მის ქცევებზე. რეალობიდან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ბევრ ინდივიდში ეს ნამდვილად ასეა. მოუთმენლობა, მოთხოვნილებების მყისიერად დაკმაყოფილების სურვილი, სხვისი გრძნობების მიუღებლობა, პასუხიმგებლობის არ ქონა და სხვა, მრავალი ქცევები რომლებიც ბავშვებისთვისაა დამახასიათებელი, დღეს ზრდა დასრულებულ ადამიანებშიც გვხვდება. ადამიანი რომლის სოციალურ ქცევებს სრულყოფა აკლია, საზოგადოების შავი ლაქა ხდება, რომელიც „პარაზიტის" მსგავსად სხვისიდან მოითხოვს ყოველივეს, თითქოსდა, ეს მას დამსახურებულად ეკუთვნოდეს.

„თუ ცივილიზებული ადამიანის მზარდი ინფანტილიზმი[5]და ახალგაზრდობის მზარდი ბოროტმოქმედება, როგორც ვამბობ, მართლაც გენეტიკური რღვევის მოვლენებში იღებს სათავეს, მაშინ ჩვენ უმძიმესი საფრთხე მოგველის." (ლორენცი, 2014 :540) ლორენცის ეს სიტყვები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ერთადერთი რაც დღევანდელ რეალობაში, მცირედით მაინც უშლის ხელს ამ პროცესის განუხრელად წარმართვას ადამიანში, სიკეთე-ბოროტების გარჩევის შესაძლებლობაა. როგორც დასაწყისში მოყვანილი ებრაულ თქმულებიდან ჩანს, რომ თვით ფულიანი კაციც კი წესიერებას დაეძებს. ლორენცი მიუხედავად მისი გულგრილი დამოკიდებულებისა სოციალურად განუვითარებელი ადამიანებისადმი, ის მაინც მოუწოდებს მკითხველს, რომ თანადგომა და სიკეთე გამოიჩინონ მათ მიმართ. საპირისპირო საქციელი კი უდიდესი ბოროტებად ჩაითვლება და გააქრობს

[5] ინფანტილიზმი - ორგანიზმის განვითარების მეტ-ნაკლები ჩამორჩენა.

რწმენას ყოველივე ჭეშმარიტისადმი. „თუ ფხიზელი თვალით შევხედავთ ყველაფერს, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, გაგვიჭირდება რამე დავუპირისპიროთ მორწმუნეს, რომელსაც სწამს, ანტიქრისტემ აიშვა თავიო“ (ლორენცი, 2014 :541)

გზას რომელსაც ლორენცი გვთავაზობს პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში, არის ძველი სიბრძნის ერთგულად დარჩენა. ის, ასევე აღნიშნავს, რომ თანამედროვე ახალგაზრდობაში შეგნება და ჭეშმარიტი ღირებულება სრულიად გამქრალი არა არის და ისინი ცდილობენ დარჩენილის შენარჩუნებას. ლორენცი წერს: „იმისათვის, რომ ჰომო საპიენსის საზოგადოება წარმატებული იყოს, მის ყოველ წევრს უნდა ჰქონდეს „კონტურების შევსების უნარი“ - უნარი, დაასრულოს დაუსრულებელი, აქციოს ის „საკუთრად“, თავისი ფიქრების, გრძნობების ანარეკლად. უნარი, რომელიც ინდივიდს საკუთარ თავს დაანახვებს სხვის მიერ პრეზენტირებულში.“ (თევზაძე, 2013 :103) ლორენცის ტექსტის განხილვამ ცხადყო, რომ ავტორის გამოხატული პოზიცია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით რელევანტურია თანამედროვე მდგომარეობისა. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ავტორი თვლიდა სოციალური ურთიერთობების რღვევას, რაც ყველაზე მძიმედ აისახებოდა რაიმე ნიშნით განსხვავებულობის მიმართ და შემდგომში მიზეზი ძალადობის ჩამოყალიბებისა.

კითხვას: აღნიშნული ძალადობის მიზეზი გენეტიკური რღვევაა თუ აღზრდა, შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ეს ორივე ფაქტორის ზემოქმედებითაა განპირობებული და ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ტექსტში განხილული ყველა ნიუანსი - საყოველთაოდ მიღებული ქცევების შეცვლა, პასუხიმგებლობათა ქრობა, ძალადობა, ბავშვურობა და სხვ. საზოგადოებასთან მიმართებით, მიუხედავად საუკუნის გასვლისა, დღესაც მწვავე განხილვის საგანია, რადგან „გენეტიკური რღვევის“ პროცესი განუხრელად მიმდინარეობს.

გამოყენებული ლიტერატურა

აკიმუშკინი იგორი, „სახალისო ბიოლოგია“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი. 1976.

„ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინებისა და ცნებების ლექსიკონი“ რედაქტორი გიორგი გოგიჩიძე, გამომცემლობა, მერიდიანი. 2011.

დიასამიძე ანზორი, „ევოლუციური მოძღვრების საფუძვლები“, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი. 2000.

დიასამიძე ანზორი, დოლიძე ქეთევანი, „ზოგადი გენეტიკა“, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ბათუმი. 2003.

თევზაძე გიგა, „სოციალური ქცევის ევოლუცია HOMO-მდე და მას შემდეგ“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2013.

ლორენცი კონრადი, „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2014.

ფროიდი ზიგმუნდი, „ფსიქოანალიზი“, გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი. 2011

Abstract

The text describes the philosophical problem of biology that is expressed in the “Genetic Decay” of one of the “Civilized Man’s Eight Deadly Sins”. In “Genetic Decay” Lorenz implies negative processes taking place in the society, which are discussed in the biological context. Problems caused by these processes are very important in the XXI century, many of which are causing of cause, but today the problems that have been caused by the development of internet networks are very clear. Since the evolution has begun in the distant past of the formation of human biological and social entities, it continues to this day, so any negative impact is kept and reflected in the thinking of the public that is expressed in their behaviors and passed from generation to generation. The purpose of the work is to develop Lorenz’s views based on biological considerations to discuss the ongoing processes in the public to make a genuine basis for “Genetic Decay”. Lorenz himself believes that the views and analysis of his ideas are noteworthy and should be taken into consideration for the normal development and functioning of the human, both biological and social.

შინაარსი

ზუსტ მეცნიერებათა სექცია

ანრი ფაღავა - ტექსტური მონაცემების ანალიზის ერთ-ერთი მეთოდი 3

ანა სურმანიძე, დავით ხოჯავა - კლასიკური კრიპტოსისტემის რიცხვით სისტემებთან კომბინაციით მიღებული ჰიბრიდული მოდელი 12

გიორგი ბერია - საინფორმაციო სისტემების დისტანციური ადმინისტრირება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით 21

კახი კახიძე - კონვეის უჯრედული ავტომატის მუშაობის ანალიზი შენონის ენტროპიის გამოყენებით 28

პედაგოგიკის სექცია

მარიამ ფუტკარაძე - ენა ბურჯია ერისა 38

ნინო ყაჭეიშვილი - ლიდერობა - როგორ შევქმნათ იდეალური მომავალი 45

სალომე ფუტკარაძე - უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლე 54

ეკონომიკის სექცია

ანა სარიშვილი, მარიამ ფუტკარაძე - ცხოვრების ღირებულება საქართველოში 65

ლინდა ანანიძე, გიგა ჯაფარიძე - ლურჯი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა საქართველოში 75

მზია შავძე - სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აჭარის მაგალითზე 86

ბიზნესის ადმინისტრირების სექცია

ივანე ბაკურაძე - მცირე ბიზნესის საგადასახადო რეფორმის პირველადი შედეგები 97

მარიამ ლეჟავა, ია ბერიძე - კრიპტოვალუტების გავლენა საქართველოს ეკონომიკასა და საფინანსო სისტემაზე 106

მამუკა სურმანიძე - ანარიცხები საპენსიო ფონდში, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირის დამატებითი საგადასახადო ტვირთი 115

ფინანსების სექცია

ელზა ველიაძე, ქრისტინა ველიაძე - სოფლიდან ქალაქში მიგრაციის პრობლემები აჭარაში (სტატისტიკურ ჭრილში) 125

რუსუდან ბარამიძე, გოგიტა ბარამიძე - ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი და კონტრიბუციის ინდექსი საქართველოში 138

მარიკა ხოზრევანიძე, ანა დავითაძე - საბანკო რეგულაციების გავლენა ეკონომიკაზე 147

ტურიზმის სექცია

სოფიო გოგმაჩაძე - ტურიზმის ინდუსტრიაში ადამიანური რესურსების მოტივაციის ძირითადი ფაქტორები 155

სამართალმცოდნეობის სექცია

არჩილ ჯინჭარაძე - გამოხატვის თავისუფლების ფარგლები ქართული და ევროპული სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით 169

თეონა მოსიძე, ნათია კაკალაძე - შრომითი უსაფრთხოება, გამოწვევები და საკანონმდებლო რეგულირება 179

მარიამ ბალაძე - გამარტივებული სააღსრულებო წარმოება - სასამართლოს განტვირთვის მექანიზმი თუ კრედიტორის სასარგებლოდ გადახდილი შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო 191

პოლიტიკურ მეცნიერებათა სექცია

მარიამ ირემაძე - ეკონომიკური სანქციები, როგორც შეკავების მექანიზმი 208
ლევან დუმბაძე - ეკონომიკის გავლენა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ფორმირებაზე 215

ფსიქოლოგიის სექცია

ხატია გორგაძე - აუტისტური სპექტრის აშლილობა, " Son-Rise თერაპია" 223
თამარ ჭაღალიძე - ოჯახური გარემო და დეპრესია ხანდაზმულებში 236
მაგდა მგელაძე, ეფემია აბულაძე - კონფორმიზმის კვლევა სტუდენტებთან 248

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სექცია

ჯილდა გობაძე - MN ჯგუფური სისტემის გავრცელების თავისებურებანი დონორებში 257
თამრიკო კაკალაძე, ნინო ბრეგვაძე - დედის ასაკის გავლენა ახალშობილთა ზოგიერთ მორფოლოგიურ თავისებურებაზე 271

გეოგრაფიის სექცია

ნათია ცინარიძე - კლიმატის ცვლილება აჭარის ზღვისპირეთში 284
დავით ბაკურაძე - ქარის ენერგეტიკული პოტენციალი აჭარის რეგიონში 291
ლანდა ფუტკარაძე - ქალაქ ბათუმის ბულვარის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები და გამოყენების პერსპექტივები 303

ქიმიის სექცია

მარიამ აბაშიძე, ჯაბა ჯაფარიძე - რძე და რძე პროდუქტების ეკოლოგიური სისუფთავის დადგენა 311
ილონა ჯიჯავაძე, დარინა ბოლქვაძე - ბუნებრივი სორბენტი-ეკოლოგიურად სუფთა სასუქის მიღების წყაროა 321
სტელა მარტიროსიანი - საშხაპე გელი - ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია? 333

მედიცინის სექცია

დავით ქობულაძე, ზურაბ ხიმშიაშვილი - მიოკარდიუმის ინფარქტი და მისი გავრცელება აჭარის რეგიონში 343
Rajneesh Khurana - "Evaluation Of Antimicrobial Potential Of Crude Plant Extracts Of Begonia Semperflorens, Morus Alba, And Myrisitica Fragrans Against Mentioned Bacterial And Fungal Species" 357
Surbhi Gupta, Altamash Ansari - Living Donor Liver Transplantation In Georgia (One liver, two lives) 364

ინჟინერიის სექცია

ნინო შაინიძე, ნანა გორჯელაძე, ნიკა გუგესაშვილი - სიგნალების დამუშავება - ყოველდღიურ ცხოვრებაში 370
სალომე საფარიძე - რეზერვუარული ნავთობშლამის ორგანული ექსტრაქტის გამოყენება ანტიკოროზიულ დანაფარებში 386
მარიამ ბერიძე - ნავთობის მარილგაცლის პროცესის მოდელის შესახებ 391

აგრარული მიმართულების სექცია

მარი ბურძგლა - ემულგატორთა როლი და საფრთხე საკვებში 397
დავით წილოსანი - ხელოვნური განაყოფიერების როლი მეცხოველეობაში „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი" 410
გიორგი ბოლქვაძე - ორგანული ნარჩენების კომპოსტირება და თანამედროვე ტექნოლოგიები 419

ენათმეცნიერების სექცია

ნაირა ვარდმანიძე - თანხმოვანთა ფონეტიკური გარდაქმნის რამდენიმე შემთხვევა ტაოურში 432
შორენა ცეცხლაძე - სომატური ფრაზეოლოგიზმები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში 438
რომანაძე თებრონე - ოკაზიონალიზმების ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში 450

ლიტერატურთმცოდნეობის სექცია

თათია დავითაძე - მედეა -,,კოლხეთის მეფის ბრძენი ასული'' (მ.ჩიტიშვილი) 465
მარიზა ბახტაძე - პატარძლის კერასთან გამოთხოვების ტრადიციები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 470
მაგდა გოგიბერიძე, ნათია გიორბელიძე - ლიტერატურის ისტორია და ისტორია ლიტერატურაში (ლევან გოთუას „ხანძთის ზარი“) 478

ისტორიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის სექცია

გიორგი ბაციკაძე - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა 487
თებრონე ფაღავა - ნიკოლო მაკიაველი 498
საბა ჯინჭარაძე - პერლ ჰარბორი 508
ქეთევან დეკანაძე - მუჰაჯირობა აჭარაში 516

ფილოსოფიის სექცია

გიორგი გორჯელაძე - თანამედროვე პრეს მედიის სიმულაციური ბუნების ზოგიერთი თავისებურებანი 529
დაჩი მეჯიდოვი - თანამედროვე ევროპის ფასეულობათა იერარქია 538
მარიკა ბროლაძე - ბიოლოგიის ფილოსოფიური პრობლემა: „გენეტიკური რღვევა - კონრად ლორენცის ტექსტის მიხედვით“ 544

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**

გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**

ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**